


მანქანისგან პირთ

განდამოთმავებელი და  
განმარმაველი მ-10  
საერთაშორისო განმარმავ

მემკვიდრეობა



განსაღი თქვენი  
ცხოვრება განმარმავი  
დღეს და სამარმავი!

ჯონ ბევილი



წიგნს თან ერთვის რუსურს  
DVD დისკი

## ქვირფასო მეგობარო

ფს. 89:12-ში მოხე ღმერთს შეღალადებს: „გვასწავლე ჩვენი დღეების დათვლა“. დედამიწაზე გატარებული ნებისმიერი ოდენობის დღე მართლაც რომ არაფერია მარადისობის უსასრულო სამყაროსთან შედარებით. და მაინც, ჩვენთვის ბოძებული დროის განკარგვა განსაზღვრავს მისაღებ ჯილდოს, როცა ამ შეზღუდულ სამყაროს დაეტოვებით.

„მარადისობით ამოძრავებულნი“ ყველაზე ძალმოსილი და გარდამქმნელი გამოცხადებაა, რომელიც სულიწმიდისგან მივიღე. ეკლესიებმა, წინამძღოლებმა და ცალკეულმა ადამიანებმა, რომლებმაც ეს ქვეშარიტებები აღმოაჩინეს, ახალი მიზნები, თვალთახედვა და მტკიცე გადამწყვეტილება შეიძინეს სასუფეველის მსახურების საქმეში. ჩემთვის პატივია ამ რესურსის თქვენთვის გაზიარება.

ამ წიგნს თქვენ და სხვა თანამსახურებს ვუგზავნი მთელი მსოფლიოს მასშტაბით თქვენდამი ჩემი სიყვარულისა და მხარდაჭერის პატარა სიმბოლოს სახით. ვთხოვთ, შეისწავლოთ და ყველა ნაცნობს გაუზიაროთ ეს საკითხი და ინტერნეტ სივრცეში არსებული სხვა რესურსები. ვისურვებთ, ჩაეჭიდოთ დიად გეგმას და მიზანს და შეიმეცნოთ ისინი, როცა ამ წიგნის გვერდებზე გადმოცემულ ქვეშარიტებებს ჩაულრმავებთ, რომლებიც ღმერთმა თქვენი სიცოცხლისა და მარადიული ხედვრისთვის განგისაზღვრათ.

ჩემო მეგობარო, ვლოცულობ, რომ გარდაქმნის იგივე დონე გამოცხადოთ, რაც მე ამ სიტყვის მიღებისას. თუ გულმოდგინედ გაჰყვებით მარადისობის გამოცხადებას, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ცხოვრება, თქვენი ოჯახი და მსახურება იგივენაირი აღარ იქნება. სიამოვნებით მოვისმენდი, რა გაელენას მოახდენს ეს სიტყვა თქვენსა და თქვენი მზუნველობის ქვეშ მყოფებზე.

თქვენი ძმა ქრისტეში



ჯონ ბევერი  
JohnBevere@ymail.com



 **MESSENGER**  
INTERNATIONAL  
MessengerInternational.org

მან აღიშინა

ამი ქრავს უღრნი



გახადეთ თქვენი  
ცხოვრება გამოსადეგი  
დღეს და სამარადუამოდ!

↔ ჯონ ბუკირი ↔



„რა ადვილია ყოველდღიურად სხვადასხვა სახის სტრესისგან დამძიმებულს გამოგრჩეს ცხოვრება ყველაზე მთავარი მიზნისთვის. ჯონ ბევირის ძლიერი წიგნი – „მარადისობით ამოდრავებულნი“ ბიძგს გაძლევთ, შთაგაგონებთ და აღგჭურვავთ ისეთი ცხოვრებისთვის, რომელიც მარადისობას განსაზღვრავს“.

– კრეიგ გროშელი, Life.Church-ის მწყემსი და ავტორი წიგნისა:  
*Struggles: Following Jesus in a Selfie-Centered World*

„მარადისობით ამოდრავებულნი“ გახლავთ ცხოვრების მიზნის ძიების პასუხი. მისი ცოცხალი სიტყვა გაიძულებთ, იფიქროთ ყოველდღიურის მიღმა. ეს სავალდებულო საკითხავია!“

– ჯონ ე. მაქსველი, ბესტსელერების ავტორი და მქადაგებელი

წიგნის „მარადისობით ამოდრავებულნი“ მე-10 საიუბილეო გამოცემა, რომლის ავტორი ჩემი მეგობარი ჯონ ბევირი გახლავთ, დიდებული შესხენებაა, რომ ჩვენი ცხოვრება მხოლოდ დღეთა ჯამი როდია. თქვენ მშვიდობასა და იმედს მოიპოვებთ, რადგან ეს წიგნი მოგიწოდებთ, რომ ცხოვრება უზენაეს მონოდებას გაუსწოროთ“.

– სტივენ ფურტიკი, Elevation Church-ის მწყემსი და *ნიუ იორკ თაიმსის* ბესტსელერის ავტორი.

„წიგნში „მარადისობით ამოდრავებულნი“ ჯონი წმ. ნერილს იყენებს ასახსნელად, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენთვის მარადისობაზე მომართული გონების ქონა. დარწმუნებული ვარ, რომ მისი სწავლება ქრისტეს მორწმუნეებს დაეხმარება მეტი სიბრძნისა და გაგების შექენაში დღეს ამ მიმართულებით ცხოვრებისთვის“.

– ჯოის მაიერი, ბესტსელერების ავტორი და ბიბლიის მასწავლებელი

„მარადისობით ამოდრავებულნი“ მამაცურად და ენერგიულად ეჭიდება ადამიანური გამოცდილების ერთ-ერთ უდიდეს „საიდუმლოს“ – მარადისობას. ჯონ ბევირი მისი ნაშრომებისთვის დამახასიათებელი სიცხადითა და საფუძვლიანობით იკვლევს ბიბლიას ამ საკითხთან დაკავშირებით და მკითხველებს შთააგონებს, რომ იცხოვრონ მარადისობაზე მიმართული, აღმატებული ცხოვრებით“.

– ბრაიან ჰიუსტონი, Hillsong Church-ის უფროსი მწყემსი

„მარადისობით ამოდრავებულნი“ ყოველწლიური საკითხავი უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანისთვის, ვისაც მარადიული მემკვიდრეობისა და ღვთის სამეფოს შენების სურვილი აქვს. ჯონი ბიბლიის საფუძვლიანი მხარდაჭერით მოუწოდებს და შთააგონებს მკითხველებს, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ ყველაზე ძვირფასი რესურსი – დედამიწაზე ცხოვრების დრო, რათა უდიდესი გავლენა მოახდინონ მარადისობაზე. ეს წიგნი თანამედროვე კლასიკაა!“

– ქრის ჰოჯესი, Church of the Highlands-ის უფროსი მწყემსი და *Fresh Air*-ისა და *Four Cups*-ის ავტორი

„ჯონ ბევირი წიგნში „მარადისობით ამოდრავებულნი“ იდუმალებით მოცულ მარადისობას ხსნის და უდავო არგუმენტს გვანვდის, თუ როგორ აისახება დღეს ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უკანასკნელი ამოსუნთქვის მიღმა არსებულ სამყაროზე. თავს არ უნდა მისცეთ უფლება, რომ ამ წიგნს გვერდი აუაროთ!“

– მარკ ბათერსონი, *ნიუ იორკ თაიმსის* ბესტსელერებში შესული წიგნის „*The Circle Maker*“ ავტორი და National Community Church-ის წამყვანი მწყემსი

„წიგნში „მარადისობით ამოდრავებულნი“, ჯონ ბევირი მკითხველებს მოუწოდებს, რომ ყოველთვის მარადისობით იყვნენ მოტივირებული. ჯონი ძვირფასი მეგობარია და ჩემთვის დიდი პატივია მისი წიგნის-თვის რეკომენდაციის განწევა“.

– ჯინთიზინ ფრანკლინი, Free Chapel, Gainesville, GA-ის უფროსი მწყემსი და *ნიუ იორკ თაიმსის* ბესტსელერის ავტორი

„მარადისობით ამოდრავებულნი“ გარდაქმნის თქვენს თვალთახედვას დროსა და მის გამოყენებაზე. ჯონი ბრწყინვალედ აცხადებს ბიბლიურ ჭეშმარიტებებს, რაც ყოველი დღის გარკვეული მიზნით ცხოვრების ძალას გაძლევთ, რომელიც დროებით არსებობას ბევრად აღემატება“.

– ეპისკოპოსი თ. დ. ჯეიკსი, *ნიუ იორკის ბესტსელერთა* ავტორი და TDJ Enterprises-ის აღმასრულებელი დირექტორი

„ვაჰ! ძლიერი, საინტერესო, დამამდაბლებელი. არ შემეძლო მისი ხელიდან გაშვება. მინდოდა ყველას ნაეკითხა. გთხოვთ, გამონახეთ დრო მისთვის!“

– ბილ მაკარტნი, მოძრაობა Promise Keepers.

მანკალისკონი

გადათმავებული და  
გაწმენილი 66-10  
საილპილით გაწმენა

ამიქმავებული



გახადეთ თქვენი  
ცხოვრება გამოსადეგი  
დღეს და სამარადუამოდ!

↔ ჯონ ბუკირი ↔

Driven by Eternity by John Bevere, Georgian

© 2017 Messenger International

[www.MessengerInternational.org](http://www.MessengerInternational.org)

Originally published in English as Driven by Eternity

Additional resources in Georgian by John Bevere are available for free download at: [www.CloudLibrary.org](http://www.CloudLibrary.org)

To contact the author: [JohnBevere@ymail.com](mailto:JohnBevere@ymail.com)

„მარადისობით ამოძრავებულნი“ ჯონ ბევერი ქართულად

© 2017 Messenger International

[www.MessengerInternational.org](http://www.MessengerInternational.org)

ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე Driven by Eternity

ჯონ ბევერისაგან, დამატებითი რესურსები ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [www.CloudLibrary.org](http://www.CloudLibrary.org)

ავტორის ელფოსტის მისამართია: [JohnBevere@ymail.com](mailto:JohnBevere@ymail.com)



ამ წიგნს ვუძღვნი ...  
ყველას, ვინც დაულაღავად შრომობს  
მარადისობისთვის გამოსადეგი ცხოვრების  
შენებისთვის. იყავით მხნე თქვენს ძიებაში!  
მისი მოსვლა გარდაუვალია და მისი საზღაური  
მასთანაა.

„ესაა საუკუნო სიცოცხლე,  
რომ გიცნობდნენ შენ, ერთადერთ ჭეშმარიტ  
ღმერთს, და მას, ვინც მოავლინე – იესო ქრისტეს“.

იოან. 17:3



## შინაარსი

წიგნის შესახებ .....	11
წინასიტყვაობა .....	13
შესავალი .....	15

### ნაწილი 1

თავი 1: საუკუნო .....	19
➤ თავი 2: აფაბელის სამეფო: ცხოვრება ენდელში .....	35
➤ თავი 3: აფაბელის სამეფო: განკითხვის პირველი დღე .....	55

### ნაწილი 2

თავი 4: მიცვალებულთა საუკუნო სამყოფელი .....	79
თავი 5: მოტყუებულის გასამართლება .....	97

### ნაწილი 3

თავი 6: დიდი განდგომილება .....	127
თავი 7: საძირკველი .....	153

### ნაწილი 4

➤ თავი 8: აფაბელის სამეფო: განკითხვის მეორე დღე .....	165
თავი 9: ზეცა .....	189
თავი 10: ქრისტეს სამსჯავრო ტახტი .....	209

### ნაწილი 5

თავი 11: სახლი ღვთის დაკვეთით .....	225
თავი 12: ღვთისგან მონოდებული .....	239

ნაწილი 6

თავი 13: გამრავლება .....	263
თავი 14: პირადი ზეგავლენა .....	287
დასკვნა: როგორ უნდა მიიღოთ სულის ხსნა? .....	303
შენიშვნები .....	305

## წიგნის შესახებ

მარადისობით ამოძრავებულნი თავიდან ბოლომდე იკითხება სხვა წიგნების მსგავსად. მათთვის, ვისაც მისი გამოყენება ინდივიდუალური ან ჯგუფური შესწავლისთვის სურს, წიგნი ექვს ნაწილად იყოფა და თითოეულს თან ახლავს სადისკუსიო კითხვები. ეს სასწავლო მასალა საკმარისია ექვსი კვირისთვის, მაგრამ შეგიძლიათ მისი მორგება თქვენი საჭიროებებისთვის.

წიგნი დაყოფილია შემდეგნაირად:

<b>ნაწილი 1</b>	თავები 1-3
<b>ნაწილი 2</b>	თავები 4-5
<b>ნაწილი 3</b>	თავები 6-7
<b>ნაწილი 4</b>	თავები 8-10
<b>ნაწილი 5</b>	თავები 11-12
<b>ნაწილი 6</b>	თავები 13-14

თუ წიგნის „მარადისობით ამოძრავებულნი“ წაკითხვა სასწავლო პროგრამის სახით გასურთ, გირჩევთ ჯგუფურად უყუროთ ან მოუსმინოთ თითოეულ სასწავლო გაკვეთილს და შესაბამისი ნაწილის სადისკუსიო კითხვებს უპასუხოთ. შემდეგ ჯგუფის თითოეულ წევრს განსახილველი ნაწილის შესაბამისი თავებიდან ბიბლიის მუხლების წაკითხვა დაავალეთ მომდევნო შეხვედრისთვის. სწავლების თითოეულ კვირას ერთი სასწავლო გაკვეთილი შეესაბამება.

ჯონ ბევერმა წიგნის „მარადისობით ამოძრავებულნი“, სწავლების საილუსტრაციოდ აფაბელის სამეფოს შთამბეჭდავი, იგავის მსგავსი ისტორია გამოიყენა. სამეფოს გამოჩენილი მეფე ჯეილინი მართავს და იმ მოქალაქეებითა დასახლებული, რომელთა შინაგანი ბუნებაც მეფისას ჰგავს. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებაც მისი ზეგავლენით არის გამსჭვალული. მართალია, „მარადისობით ამოძრავებულნი“ მოგონილი ამბავია, მაგრამ მისი დამატყვევებელი თხრობა და დინამიური თვალსაჩინოება თქვენ, წიგნის მკითხველს, ღვთის სამეფოს საიდუმლოებებისა და დაფარული მხარეების გაგებასა და გაცნობიერებაში გეხმარებათ. „აფაბელის“ ისტორიას უმაღლესი

ვით მე-2, მე-3 და მე-8 თავებში. ისინი შინაარსის გვერდზე ამ სიმბოლოთია ➤ აღნიშნული. იგივე ამბავი ძალმოსილად არის გადმოცემული „აზაბელის“ აუდიო სპექტაკლში, რომლის მოსმენაც შესაძლებელია ჯონ ბევირის ვიდეოსტრიმინგისა და რესურსების ჩამოსატვირთ ვებგვერდზე: [CloudLibrary.org](http://CloudLibrary.org)

ისიამოვნეთ!

## წინასწარმეტყველება

ღადგება დღე, როცა თითოეული ჩვენგანი ღვთის წინაშე წარდგება. აქ მთავარია შემდეგი: ვიქნებით კი მზად ამისთვის?

წმიდა წერილი შეგვაგონებს: „ძმებო, კიდევ უფრო გულმოდგინედ ეცადეთ (მთარგმნ. შენიშვნა: ინგლ. დარწმუნდით) განამტკიცოთ თქვენი მონოდება და რჩეულობა!“ (2 პეტრ. 1:10). აქ მთავარია გულმოდგინე მცდელობა, დარწმუნება.

იყავით თუ არა რაიმეში დარწმუნებული და მხოლოდ მოგვიანებით აღმოაჩინეთ, რომ ცდებოდით? ეს სამწუხაროა. მე, როგორც ტიპური მამაკაცი, ხშირად ვარ დარწმუნებული მარშრუტის, მითითებების, პროცედურების, ფორმულების ან მეთოდების სისწორეში მხოლოდ იმისთვის, რომ მოგვიანებით აღმოვაჩინო შემდეგი: თურმე არასწორ რაიონში, პროექტში, შეკრებაზე მოვხვდი; არასწორი ფორმულა მოვარგე და ახლა ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო. ამჯერად მითითებებს უნდა მივყვე. ასეთი შემთხვევები იმედს გვიცრუებს. დავხარჯე სანვაგი, დრო, რესურსები და ფული. დარწმუნებული ვიყავი, რომ ვიცოდი, მაგრამ რეალურად, არ მცოდნია.

არ მინდა იგივე შეცდომა მარადისობასთან დაკავშირებით გავიმეორო.

ამ წიგნის წერამ პირადად ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა – უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა ადამიანზე. 10 წლის წინ მისი დაბეჭდვიდან მოყოლებული, არაერთმა მოწმობამ მოაღწია ჩემი და ჩემი გუნდის ყურამდე ადამიანთა შეცვლილი ცხოვრების შესახებ. როცა წიგნის ხელახლა გამოშვების მიზნით მისი გადამუშავების რთულ დავალებაზე ვფიქრობდით, ვიცოდი, რომ ეს აუცილებლად უნდა გაგვეკეთებინა. გულში მოზღვაებული განცდა მქონდა, რომ წიგნის სათქმელი დროული და მნიშვნელოვანი იყო. ჩვენ, სახარების მნებებს, არ გვაკისრია იმაზე დიდი მონოდება, ვიდრე ეს გახლავთ ადამიანთა მომზადება მარადისობისთვის მაღლით და ჭეშმარიტებით. მე მსურს, რომ საუკუნოდ დარწმუნებული იყოთ.

უნდა გამოგვაფხიზლოს ფაქტმა, რომ შემოქმედის წინაშე წარდგომისას დაგვიანებული იქნება რაიმეს გამოსწორება. ჩემი იმედი და ლოცვა ასეთია წიგნის კითხვის ან ხელახლა

წაკითხვისას: დაე, სულიწმიდამ გამოიყენოს იგი, რომ წინ იაროთ თქვენი უდიდესი, მარადიული შესაძლებლობისკენ – სამუდამოდ შეიცვალოთ ღვთის მადლითა და მონყალებით!

პატივისცემით,  
ჯონ ბევირი  
მაისი, 2017 წელი



## მეცხვამდე

ნას წარმოადგენს სიტყვა „მარადისობა“, რომელიც ასე იპყრობს ჩვენს ყურადღებას და ფაქტობრივად, მასში მთელი ერის გარდაქმნის პოტენციალი იმალება? ასეთია ავსტრალიელი ართურ სთეისის ამბავი, რომელიც საუკუნეთა გასაყარზე უიმედო ცხოვრებისთვის განწირული დაიბადა. ეს იყო ერთი მანანნალის წვრილმანი დანამაულებითა და ლოთობით სავსე ცხოვრება პირველ მსოფლიო ომსა და დიდ დეპრესიას შორის. მისი მდგომარეობა მაშინ შეიცვალა, როცა 1930 წლის 6 აგვისტოს იესოს შეხვდა და მალევე მოისმინა ეკლესიის მწყემსის შეძახილი: „ვისურვებდი, რომ მარადისობაზე მეყვირა სიღნეის ყველა ქუჩაში!“. ართურმა გულში იგრძნო, რომ ეს ყვირილი რეალობად უნდა ექცია.

იგი ყოველ დილით ადრე დგებოდა, ერთ საათს ლოცულობდა და სახლიდან გადიოდა 5:00-სა და 5:30-ს შორის შუალედში. იქით მიდიოდა, საითაც ღმერთს მიჰყავდა. სიღნეის ქვაფენილებზე ყოველი 100 ფუტის დაშორებით საათების განმავლობაში წერდა ერთადერთ სიტყვას – მარადისობა. ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში მისი საქმიანობა საიდუმლოდ რჩებოდა. ვინ იყო ავტორი ამ ერთი სიტყვისა, რომელიც ათასობით გამვლელს გაჩერებას და მის უშუალო და საუკუნო შედეგების მქონე მნიშვნელობაზე დაფიქრებას აიძულებდა? შეძლო თუ არა ამ იდუმალმა ადამიანმა ხსენებული სიტყვის გავლენისა და ძალის გათავისება? ამ თავსატეხის ამოხსნა ვერავინ შეძლო 1956 წლამდე.

1967 წელს ართურის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ სიღნეულმა პოეტმა დუგლას სტიუარტმა შემდეგი ლექსი გამოაქვეყნა და ქუჩის მხატვრის საქადაგებელი ერთადერთი სიტყვა უკვდავყო:

მოკრძალებული, იდუმალი ართურ სთეისი  
ერთადერთი და მძლავრი სიტყვით მსახურებს ზეცას.  
დროსა და სივრცის უფსკრულების ამოძახილი  
იშვა სიტყვა და ესმა იგი მელექსეს ნეტარს:  
მარადისობა, მარადისობა – წკრიალით უხმობს საამო სიო,  
ცით მონაბერიდა იქვე მოსჩანს ჯოჯოხეთის ზმანება ბნელი.


ერთსიტყვიანმა ქადაგებამ ერი შეძრა. ართურის სათქმელი თაობებს შემოუნახა არქიტექტორმა რიდლი სმითმა, რომელმაც ეს სიტყვა სპილენძის ფირფიტაზე აღბეჭდა და სიდნის მოედანზე ჩამოკიდა. მოგვიანებით ის მილიარდზე მეტმა ადამიანმა იხილა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, როცა სატელევიზიო ეთერით სიდნის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალი გადაიციმოდა და ასევე ახალი ათასწლეულის დამდეგს, როცა სიტყვა უამრავმა ფორვერკმა გაანათა სიდნის ჰარბორ ბრიჯზე.

მარადისობა მთელი კაცობრიობის ყურადღებას იპყრობს. მის მიზიდულობას წინ ვერ აღუდგება ვერც ერთი რასა, ტომი თუ სქესი. ჩვენს გულებში მარადისობა და არსებობის გარდაუვალი, მაგრამ უცნობი გაგრძელების განცდა შექმნიდანვე მკვიდრობს. ამრიგად, გონივრული იქნება, თუ კარგად ჩავეუკვირდებით ჩვენი შემოქმედის ნათქვამს მარადისობაზე. ბოლოს და ბოლოს, მისი სიტყვა ასე ამბობს: „უძველესი დროიდან იგივე ვარ და არავის შეუძლია ჩემი ხელიდან დახსნა“ (ეს. 43:13). სწორედ ამ მიზეზის გამო უნდა მოჰკიდოთ ხელი წინამდებარე წიგნს. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი არჩევანი გონივრული იქნება.

მოდით, ერთად ვილოცოთ დაწყებამდე! ამაზე ხმამაღლა ვილოცე ჩემს კაბინეტში იმის მოლოდინით, რომ ახლა ჩემთან ერთად ილოცებთ:

ძვირფასო მარადისობის მამავ, ყოველივეს შემოქმედო და სამყაროს უფალო! შენთან მოვდივარ შენი ძის, იესო ქრისტეს სახელით. შენს მსახურ ჯონ ბევითან შეთანხმებით გთხოვ, რომ დღეს ცხო ჩემი თვალები დასანახად, ყურები სასმენად და მომცე გამგები გული, რომელიც მიხვდება შენს ნათქვამს ამ წიგნით. ვაღიარებ, რომ სულიწმიდის მხარდაჭერა მჭირდება შენი ნების და ჩემი ცხოვრების გზების შესაცნობად. ჩემი სურვილია, რომ გასიამოვნო ჩემი ცხოვრების ყოველ დღეს აქ და მარადისობაში. მაჩვენე არა მარტო შენი გზები, არამედ შენი გულიც, რომ გიცნობდე, რადგან ეს არის საუკუნო ცხოვრება: ახლოს გიცნობდე როგორც ჩემს ზეციერ მამას! მაღლობა შენი საოცარი ერთგულების, მაღლისა და მონყალეებისთვის!

დავინყოთ იმის გაცნობიერებით, რომ სულიწმიდა მოგცემთ შინაგან ხედვას და გაგებას ყველაფერში, რასაც თავად ვერ შეძლებდით. რა საოცარია!



65B020 1



## თავი 1

# მარადისობა

*„გვასწავლე ჩვენი დღეების დათვლა ... საქმე ჩვენი ხელისა განგვიმტკიცე, დიახ, საქმე ჩვენი ხელისა განგვიმტკიცე!“*

ფს. 90:12,17

დამიანთა უმრავლესობას ღირსეულად ცხოვრების სურვილი აქვს. ეს სწორი და ღვთიური შთაგონება გახლავთ. მოსეც იგივეს ითხოვდა ზემოხსენებულ ლოცვაში. მას სიბრძნე სურდა დასაწყისშივე, რომ დრო მაქსიმალური სარგებლით გამოეყენებინა. ცხოვრებაში ბევრი დანაკარგის ანაზღაურება შეიძლება, მაგრამ არასწორად გამოყენებული დრო არასოდეს აღდგება. მზის ჩასვლით დღე წარსულს ბარდება.

მოსეს ლოცვა მოიცავს სიტყვებს: „საქმე ჩემი ხელსა განამტკიცე!“ ფრაზა მეორდება. რატომ? მოსეს არც გრამატიკის არცოდნის და არც მეხსიერების პრობლემა არ ჰქონდა. მისი ლოცვა ებრაულ მწერლობაში არსებულ ლიტერატურულ სტილს მოგვაგონებს. გამეორება რომელიმე აზრზე ყურადღების მიქცევის ფორმა გახლავთ. ინგლისურ ენაში მნიშვნელოვანი სიტყვის ან ფრაზის ხაზგასმას რამდენიმე მეთოდით ვახდენთ. შეგვიძლია, ნაწერი გავამსხვილოთ, დავხაროთ ან ხაზი გავუსვათ, გამოვიყენოთ მხოლოდ დიდი ასოები ან ბოლოს ძახილის ნიშანი დავსვათ. ეს ყველაფერი მკითხველის ყურადღების მიპყრობას ემსახურება რალაც ძალზე მნიშვნელოვანზე. რაც შეეხება ებრაელ ავტორებს, ისინი ამ მიზნით სიტყვის ან წინადადების გამეორებას მიმართავდნენ და ცნობილი იყვნენ თავიანთი ზომიერებით – ისინი ყოველთვის სიფრთხილით ეკიდებოდნენ სიტყვების შერჩევას. ფრაზის ორჯერ გამეორების ფაქტი არა მარტო გვაჩვენებს, რომ ღმერთს ჩვენი წარმატება სურს, არამედ ისიც, რომ ეს ძალიან სურს. სწორედ მან გამოკვეთა ხსენებული აზრი.

ჩვენ შექმნილი ვართ იმისთვის, რომ წარმატებით ვისიამოვნოთ. ღმერთს სურს, რომ ჩვენი ცხოვრება მნიშვნელოვანი იყოს! ეს ჩვენ კი არა, სწორედ მან მოინდომა თავდაპირველად და წმიდა წერილში გააცხადა. ნება მომეცით, ორი ასეთი

მაგალითი მოვიყვანო! პირველი: „სიუხვით გიკურთხეხს უფალი, ღმერთი შენი ხელის ყველა საქმეს!“ (2 რჯ. 30:9). ყურადღება მიაქციეთ სიტყვას „ყველა“ და არა ზოგიერთ საქმეს!

სხვაგან ვკითხულობთ: „და ნუ განშორდება რჯულის ეს წიგნი შენს ბაგეთ, დღე და ღამე მასზე იფიქრე, რომ იფხიზლო ყოველივე მასში ჩანერილის აღსასრულებლად, რადგან მაშინ მიაღწევ ნარმატებას და სიკეთეს შენს გზებზე!“ (ი.ნ. 1:8).

ნარმატებით სიამის მიღებას ღვთიური სიბრძნე სჭირდება. წერილი აცხადებს: „სიბრძნის შემძენს თავისი თავი უყვარს; ვინც გონიერებას ინარჩუნებს სიკეთეს პოვნებს“ (იგ. 19:8). სიბრძნე ცოდნას და შესაძლებლობის გამოჩენისას სწორი არჩევანის გაკეთების უნარს გვაძლევს. სიბრძნე მხოლოდ გონებრივ სისხარტეს როდი ნიშნავს. ის ყველა ღვთისმომშიშისთვისაა და ქრისტეში იპოვება. თუ თქვენი მიზანი საუკუნო მნიშვნელობის მქონე ცხოვრების შენებაა, აუცილებლად დაგჭირდებათ ღვთიური სიბრძნე – წიგნის სათქმელიც სწორედ ამას შეეხება.

სიბრძნე ნარმატებას შობს, რომელსაც ხანგრძლივი კმაყოფილება და ჯილდო მოაქვს: „თუ დაბრძენდი, შენთვის დაბრძენდი“ (ინგ.: „თუ ბრძენი ხარ, შენივე სიბრძნე მოგიტანს ჯილდოს“ (NIV) (იგ. 9:12). ღმერთს არა მარტო ნარმატება სურს თქვენთვის, არამედ თქვენს დაჯილდოებასაც იზრახავს. ისევ ვკითხულობთ: „იცის უფალმა უმნიკვლოთა დღენი, უკუნისამდე იქნება მათი მემკვიდრეობა“ (ფს. 37:18).

ღმერთს რომ ჩვენთვის ნარმატება სურს, ეკლესიათა დიდმა ნაწილმა გააცნობიერა ბოლო წლებში და ეს ასეც არის. თუმცა ხშირად ნარმატების მიღწევას საზოგადოების მიერ განსაზღვრული გზებით ცდილობენ და არა ისე, როგორც თავად ღმერთი უყურებს ამ საკითხს. ნარმატებას დროებითის თვალსაზრისით განიხილავენ და არა საუკუნო პერსპექტივით. ეს კი ჩვენს სულიერ ხედვასა და გაგებას ბუნდოვანს ხდის და შედეგად მცდარი საქმეებით დაკავება მოაქვს.

ერთ დღეს ყველანი წარვდგებით სამყაროს მსაჯულის, იესო ქრისტეს წინაშე. თუ ჩვენი ცხოვრება ანგარიშში ჩასათვლელი გავხადეთ ღვთიური სიბრძნის მეშვეობით, საუკუნო ჯილდოს მივიღებთ. თუ ჩვენს საქმიანობაში მცდარ გზებს დავადექით, დავისჯებით ან საუკუნოდ დავზარალდებით. ამრიგად, ბრძნული იქნება რამდენიმე საათის გამოყოფა ღვთიური მოლოდინის გასარკვევად.

ეს გახლავთ წინამდებარე წიგნის მთავარი სათქმელი: თქვენი ცხოვრება ღირებული გახადეთ არა მარტო დღეს, არამედ

საუკუნოდ! ბიბლია ცალსახად გვეუბნება, რა უნდა გავაკეთოთ საამისოდ. თუ მარადისობით ვართ მოტივირებული, დავინწყით მისი რაობის გაცნობიერებით!

## მარადისობა

დაკვირვებით წაიკითხეთ ქვემოთოყვანილი ორი ადგილი წმიდა წერილიდან:

„არავის ძალუძს მარადისობის შეცნობა“.

(TLB) (იობ. 36:26)

„...თვით მარადიულობა ჩადო მათ გულებში“. (ეკლ. 3:11)

მარადისობა. რა არის ეს? როგორ განისაზღვრება? როგორ გავიგოთ? ერთ-ერთი განმარტებითი ლექსიკონი მას უსაზღვრო დროს<sup>1</sup> უწოდებს, მეორე კი – დროის მიღმა არსებობის მდგომარეობას.<sup>2</sup> ნუთუ შესაძლებელია, რომ ერთი მათგანი მარადისობას დროში არსებობას, ხოლო მეორე – დროის მიღმა არსებობას ეძახდეს? რატომ დარჩა ეს საკითხი კითხვის ნიშნების გარეშე? ნუთუ ამისთვის ერთი-ორ სამეცნიერო წიგნს უნდა მივმართოთ, როცა ისინი ამქვეყნად არსებულს ორ სხვადასხვა განმარტებას აძლევენ? დაუშვათ, ერთი წიგნი თევზს წყალში მცხოვრებ ხერხემლიანს უწოდებს, ხოლო მეორე – წყლისგან თავისუფლ გარემოში მცხოვრებ არსებას. ამის წაკითხვისას მაშინვე დავასკვნით, რომ ეს უკანასკნელი მცდარია და გადავადგებთ. მაშ, რატომ არ გვიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი და არ მოვისვრით ერთ-ერთ ლექსიკონს მარადისობაზე მცდარი განმარტების შემოთავაზებისთვის?

ჭეშმარიტება კი ის გახლავთ, რომ მარადისობის გონებით აღქმა შეუძლებელია. ჩვენი აზროვნება შემოსაზღვრულია და მარადიული, საუკუნო კონცეფციების აღქმა არ ძალუძს.

ნება მომეცით, თვალსაჩინოება მოვიშველიო! ერთი წუთით წარმოიდგინეთ, სად არის მარადისობის დასასრული?! იფიქრეთ მის გარე საზღვრებზე. თუ ეს შეძელით, რა აღმოაჩინეთ მის გარე საზღვარზე?! კედელი? რისგან არის გაკეთებული? რამდენად სქელია? იქნება თუ არა ეს გარე კედელი სამყაროს ბოლო? თუ ასეა, რა არის კედლის მიღმა? მეტი სივრცე? იქნება თუ არა ეს სამყაროს გაგრძელება? სად არის დასასრული? შეუძლია თუ არა გონებას სამყაროს უსასრულობის აღქმა? უბრალოდ, შეჩერდით და ამაზე იფიქრეთ!

რას იტყვით უძირო უფსკრულზე? შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ ხვრელი, რომელშიც ვარდებით და მას ბოლო არ უჩანს? ვერასოდეს დაეცემით და მის ძირსაც ვერ ჩაანვდნით თვალს. უბრალოდ, ვარდნას აგრძელებთ და აგრძელებთ მარადიულად. აქ არა ერთი, არამედ ორი რამ უშლის ხელს ჩვენი ფიქრის გავრცობას: პირველი, ხვრელს ბოლო არ უჩანს და მეორე, დაცემის დროს უსასრულოდ განვიცდით. ძნელია ამ ყველაფრის აღქმა და სამეცნიერო ფანტასტიკას ჰგავს. და მაინც, ამ ადგილს შვიდჯერ ახსენებენ წმ. ნერილში.

რას იტყვით თავად ღმერთზე, ადამიანთა შემოქმედზე? ერთი წუთით შეჩერდით და იფიქრეთ მის დასაბამზე ან ასე ვიტყვოდი – მის დაუსაბამობაზე. ნერილი ნათლად აცხადებს, რომ ის „უსასრულობიდან უსასრულობამდეა“. თუ იგი არ დაბადებულა და არც არავის შეუქმნია, როგორ დაიწყო მისი არსებობა ისეთად, როგორიც არის? როგორ განვითარდა?

სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ ის ღმერთი არ გამხდარა. მეფსალმუნე ასე ამბობს: „ვიდრე მთები დაიბადებოდნენ და შექმნიდი დედამიწასა და სამყაროს, უსასრულობიდან უსასრულობამდე შენა ხარ ღმერთი!“ (ფს. 90:2). ცოტა ხნით იფიქრეთ ამაზე. თუ ასე მოიქცევით, თქვენი ინტელექტუალური აზროვნება იმედს გაგიცრუებთ, რადგან იობის წიგნი ასე ამბობს: „არავის შეუძლია მარადისობის შეცნობა“.

## გული ჩადებული მარადიულობა

სიმართლე რომ ითქვას, ის, რაც ბუნებრივი აზროვნებისთვის ჩაუნვდომელია, შემოქმედმა ჩვენს გულებში განათავსა. გული იცნობს მარადისობას. ეს ყველა ცოცხალ არსებას დაბადებიდანვე აქვს. სწორედ ამიტომ ამბობს ნერილი, რომ „თქვა უგუნურმა თავის გულში: „არ არის ღმერთი“ (ფს. 14:1). ყურადღება მიაქციეთ, რომ აქ არ არის ნათქვამი: „თქვა გონებით“. მრავალი ათეისტი კატეგორიულად უარყოფს ღვთის არსებობას, მაგრამ გულით კარგად იცის, რომ იგი არსებობს, რადგან მარადისობა სწორედ გულში დევს. მათ ჯერ კიდევ არ გაუქვავებიანთ გულები სრულიად გადაგვარებულ მდგომარეობამდე.

ერთი მეგობარი მყავდა, რომელიც თავგამოდებული ათეისტი იყო, ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ფიქრობდა. იგი არავის აძლევდა მისთვის დამონების უფლებას. ფაქტობრივად, ერთხელ თანამშრომელს ბიბლია ხელიდან გამოგლიჯა, მიწაზე



დაანარცხა და ფეხით გათელა. თან ამ დროს იმ კაცსა და მის ბიბლიას აგინებდა. იგი კეთილ ქრისტიანს უძღურებდასა და უტვინობაში ადანაშაულებდა.

მოგვიანებით, ათეიზმის წლობით აღიარების შემდეგ, ჩემს მეგობარს მკერდის მწველი ტკივილი დაეწყო. ექიმებმა იგი გაკვეთეს დიაგნოსტიკური ოპერაციისთვის და მაშინვე გაკერეს. როგორც აღმოჩნდა, მას სიკვდილამდე 24 საათზე ნაკლები დრო დარჩენოდა.

მან იმ ღამით საწოლში გააცნობიერა, რომ მარადიულ სამყოფელში მიდიოდა და სულაც არ უნდოდა იქ მოხვედრა, რაც ელოდა. საიდან იცოდა მან ეს, როცა არავის აძლევდა წმიდა წერილის გაზიარების უფლებას? იქნებ მარადიულობა გულში ჰქონდა ჩანერგილი? როგორც წმიდა წერილი აცხადებს მთელ კაცობრიობაზე: „იმიტომ, რომ ცხადია მათთვის, რაც შეიძლება იცოდნენ ღმერთზე, რადგან ღმერთმა განუცხადა მათ“ (რომ. 1:19).

იმ ღამით ჩემი მეგობრის გულმა ძგერა შეწყვიტა. მან დატოვა სხეული და უკუნ სიბნელეში გადაინაცვლა. სიბნელე ისეთი სქელი იყო, რომ თითქოს ტანთ შემოეცვა. სინათლის ნაპერწკალიც კი არსად ჩანდა. დაცემის გარკვეული დროის შემდეგ ტანჯული სულების შემადრწუნებელი ხმები გაიგონა. მას რაღაც ძლიერი ძალა ჯოჯოხეთის კარიბჭისკენ მიათრევდა, როცა მოულოდნელად ისევ თავის სხეულს დაუბრუნდა. იგი ხელახლა გაცოცხლდა.

მეორე დღით მან ერთადერთ ნაცნობ ქრისტიანს დაურეკა. მისი მეგობარი მოვიდა და იესო ქრისტეს მეშვეობით გადარჩენის სახარება აუწყა. როგორც კი მან იესო ქრისტე თავის მხსნელად და უფლად მიიღო, მეგობარმა მის განკურნებაზე ილოცა. სამი კვირის შემდეგ კაცი საავადმყოფოდან გამოიწერა. მან კიდევ ათწლეულები იცოცხლა, სანამ გარდაიცვლებოდა საუკუნო ჯილდოს მისაღებად. იგი მართლაც რომ მოსიარულე სასწაული გახლდათ.

ეს კაცი ათეისტი გახლდათ და ღვთის არსებობას უარყოფდა, თუმცა მარადისობა მის გულში იყო ჩანერგილი. მეორე მხრივ, უგუნური ის ადამიანია, ვინც არა მარტო გონებით უარყოფს ღმერთს, არამედ გულშიც ეწინააღმდეგება სინდისის დაუძღურების წერტილამდე. ის უკვე მიუღწეველი ხდება. ერთი საქმეა, გონებით მტკიცედ ეჭიდებოდე რაღაც მოსაზრებას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს და მეორეა – გულის სრული გაქვავება. *The New Unger's Bible Dictionary* ასეთ განსაზღვრებას

იძლევა: „წმიდა წერილის თვალსაზრისით, „უგუნური“ გახლავთ ადამიანი, რომელიც უკუაგდებს ღვთის შიშს და ისე იქცევა, თითქოს ღვთიური სამართლიანობის საუკუნო პრინციპების უსაფრთხოდ უგულვებლყოფა შეეძლოს“.<sup>3</sup>

რეალურად, უგუნური ღმერთს გონებით აღიარებს, მაგრამ მის არსებობას გულით უარყოფს და ეს მის ცხოვრებაზეც აისახება. სწორედ ღვთის შიში იცავს ჩვენს გულებს სულიწმიდის მისაწვდომობის ფარგლებში. თუ შიშს დავკარგავთ, არავითარი იმედი აღარ გვრჩება. პავლე ამბობს: „თქვენ შორის ღვთისმოშიშნი, თქვენ მოგვევლინათ ხსნის სიტყვა!“ (საქმ. 13:26). მხოლოდ ღვთის მოშიშებს შეუძლიათ საუკუნო სიცოცხლის სიტყვების მოსმენა.

### მარადისობის განსაზღვრება

მარადისობა ჩვენს გულებშია ჩანერგილი, მიუხედავად იმისა, რომ გონებით ამის აღქმა შეუძლებელია. ამრიგად, მისი განმარტებისას გირჩევთ, საკუთარ გულს მოუსმინოთ. ფაქტობრივად, იგივე დამოკიდებულება დაგჭირდებათ, რომ მთელი ამ წიგნიდან სარგებელი მიიღოთ. ამას როგორ გააკეთებთ? უპირველესად, აღიარეთ, რომ სულიწმიდის დახმარება გჭირდებათ და მისი შემწეობა ითხოვეთ! იგი თქვენს შინაგან კაცს დაუკავშირდება და არა თქვენს თავს. მეორე, აწონ-დანონეთ და იფიქრეთ, როცა თქვენს გულს ჭეშმარიტების განაცხადი შეათრთოლებს. ნუ იჩქარებთ წიგნის სწრაფად წაკითხვას: თუ ასე მოიქცევით, მისგან მიღებულ სარგებელს შეამცირებთ.

ღვთის საუკუნო სიტყვამ სრულიად რომ მოგიცვათ, შემდეგი ხუთი ნაბიჯი გამოიყენეთ და თქვენ სამუდამოდ შეიცვლებით. დავითმა თქვა: „გულში დავიუნჯე შენი სიტყვები, რათა არ შევცოდო“ (ფს. 119:11). ნუ წაიკითხავთ მხოლოდ გონებით გააზრებისთვის, რაც შეიძლება ადვილად დაგავინწყდეთ და დაიკარგოს, არამედ ღვთის სიტყვას გულში დამკვიდრების ნება მიეცით გაანალიზებისა და ლოცვის მეშვეობით!

მარადისობა საუკუნოა! მას დასასრული არ აქვს. და მაინც, ეს მხოლოდ უსასრულო დრო არ არის, ვინაიდან დროს საერთოდ არ ექვემდებარება. მარადისობა დროის მიღმა არსებობს. მარადისობის მუდმივი ხანგრძლივობის თვალსაზრისით განხილვა ხელს შეგიშლით მისი სრული სურათის წარმოდგენაში.

მარადისობაზე საუკეთესო თვალსაზრისის მისაღებად

თავად ღმერთს უნდა დავაკვირდეთ. იგი შეუზღუდავია ძალით, ცოდნით, სიბრძნით, გაგებით ან დიდებულებით, და ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალი გახლავთ. იგი თვითმყოფადია, რადგან ყოველთვის იყო და მარად იქნება ღმერთი. იგი „საუკუნო მამად“ იწოდება (ეს. 9:6).

იანგის პირდაპირი თარგმანი ზემოხსენებულ ფრაზას „მარადისობის მამის“ სახით გვთავაზობს.<sup>4</sup> მას „საუკუნო მეფეს“ უწოდებენ (1 ტიმ. 1:17). ყოველივე მარადიული მასში იპოვება. ფაქტობრივად, თავად მარადისობაც მასშია. ყველაფერი, რაც მის გარეშეა, წარმავალი და ცვალებადია. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად კარგი, კეთილშობილი, ძლიერი ან ხანგრძლივი ჩანს ის – ბოლოს მაინც გადაივლის და გაქრება. დედამინა და სამყაროც კი შეიცვლება, მაგრამ ღმერთი იგივე დარჩება:

„შენ დააფუძნე, უფალო, თავდაპირველად დედამინა და ზეცა, შენი ხელის ნამოქმედარია! ისინი დაიღუპებიან, შენ კი დარჩები; და ყოველივე დაძველდება სამოსელივით. მოსასხამივით დაგორგლავ მათ და სამოსელივით გამოიცვლებიან; შენ კი იგივე ხარ და შენი წლები არ დასრულდება!“ (ებრ. 1:10-12)

იგი არა მხოლოდ არ შეწყვეტს არსებობას, არამედ იგივე დარჩება. წმიდა წერილი აცხადებს:

„რადგან ყოველი ხორციელი ბალახს ჰგავს და ადამიანის ყოველი დიდება ბალახის ყვავილს. გახმა ბალახი და დაცვივდა მისი ყვავილიც. უფლის სიტყვა კი უკუნისამდე მკვიდრობს. და ეს ის სიტყვაა, თქვენ რომ გეხარათ“.  
(1 პეტრ. 1:24-25)

ღმერთი მარადიულია, ამიტომ მისი ნათქვამიც საუკუნოა. იგი არ ცრუობს და მისი სიტყვა არ გამტყუნდება. ეს რომ ასე არ იყოს, ყველაფერი უკიდურეს წყვიდადში დაინთქმებოდა, რადგან ის არის ნათელი და ყოველივე თავისი სიტყვით უპყრია. მისი ნათქვამი ცვლილებას არასოდეს დაექვემდებარება, თუ არა და, იგი მარადიული აღარ იქნებოდა. ეს ის მტკიცე საძირკველია, რომელზეც შეიძლება ჩვენი ცხოვრების დაშენება.

## საუკუნო სასჯელი

მრავალი ადამიანი დღეს თავის ცხოვრებას მარადიულზე (ღვთის სიტყვაზე) არ აფუძნებს, არამედ ამქვეყნიურ აზროვნებაზე, ტრადიციებზე, ვარაუდებსა და გრძნობებზე ღვთის შესახებ. ეს მხოლოდ ურწმუნოებს არ ეხება, არამედ იმ ადამიანებსაც, რომლებიც თავს ქრისტიანებად მიიჩნევენ. მეტისმეტად საშიშია დროებითის საუკუნო ჭეშმარიტებად შერაცხვა. თუ ვინმე ასე ფიქრობს, მისი საძირკველი არასწორია. ასეთები თავს გარდაუვალი დაცემისთვის წირავენ. მათ სიცრუის სწამთ და მოტყუებულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

მაოცებს იმ ადამიანთა სიმრავლე, რომლებიც ცხოვრებას წარმავალზე აფუძნებენ. ზოგიერთ მათგანს ჩემთვის გაუზიარებია თავისი რწმენა ღმერთსა და მის ძეზე, მაგრამ ასეთი ღმერთი წმიდა წერილში საერთოდ არ ჩანს. სიცრუე მეტისმეტად შორსაა წასული. როგორ შეიძლება ირწმუნონ თავიანთი გონებით წარმოდგენილი ან საზოგადოების მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები, როცა უკვე გაცხადებულია, რომ ქვეყნიერება ღვთის ბუნების საწინააღმდეგოდ მოქმედებს? იესომ თქვა:

„ხოლო მას, ვინც ... არ მიიღებს ჩემს ნათქვამს, ჰყავს თავისი განმკითხავი; სიტყვა, რომელიც წარმოვთქვი, განკითხავს მას უკანასკნელ დღეს. რადგან მე ჩემით კი არ ვილაპარაკე, არამედ მამამ, ჩემმა მომავლინებელმა, მომცა მცნება, რა ვთქვა და რა ვილაპარაკო.“  
(იოან. 12:48-49)

წუთისოფლის დასაბამიდანვე დადგენილია განკითვის დღე (საქმ. 17:31). ის დღე არ მოიტანს ჭეშმარიტების ახალ გამოცხადებას, არამედ ყველაფერს უკვე ნათქვამით განსჯის. ღვთის სიტყვა, რომელიც ახლა გვაქვს, უკანასკნელ დღეს გაგვასამართლებს. ის საუკუნოა. ის საბოლოოა. არ არსებობს გამონაკლისი, სხვა ვარიანტი ან ხელახლა გადახედვის შესაძლებლობა. განა სასარგებლო არ იქნება ჩვენთვის იმის ცოდნა და ცხოვრებაში გათვალისწინება, რაც მან უკვე თქვა, ვიდრე ვარაუდების აგება, თუ რა შეიძლებოდა ეთქვა?

იმ დღის გასამართლებას საუკუნო ეწოდება (იხ. ებრ. 6:2). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ დღეს მიღებული გადანყვეტილებები, რომლებიც ღვთის მარადიულ სიტყვაზე

ჩვენი ცხოვრების სწორებას დაეფუძნება, განსაზღვრავს, სად გავატარებთ მარადისობას. გასამართლების დღის გადანყვებილები აღარ შეიცვლება, რადგან ეს მარადიული განკითხვაა.

მრავალი მორწმუნე და ურწმუნო უგუნურებას იჩენს და უკვე დანიშნული გასამართლების დღისკენ მიისწრაფის ყოველგვარი ფიქრისა და კვლევის გარეშე.

ისინი ცრუ კონცეფციებზე ამყარებენ იმედებს, რომლებიც ბიბლიაში არსად გვხვდება. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ღმერთი მხედველობაში მიიღებს ყველა იმ კეთილ საქმეს, რომელიც კი ოდესმე გაუკეთებია და თუ ეს გადანონის მათ მიერ ჩადენილ ცუდ საქმეებს, ღვთის კეთილგანწყობას ჰპოვებენ. სხვები, რომლებიც ხელახლა შობის განცდას აღიარებენ, ფიქრობენ, რომ არ წარდგებიან ქრისტეს, როგორც მსაჯულის წინაშე, რადგან იგი მათი მხსნელია. მათი აზრით, არანაირი ფორმის გასამართლებას არ დაექვემდებარებიან. ისინი მეტად გაკვირვებული დარჩებიან. არიან ისეთებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ ყველაფერი გამოუვათ. ისინი ღვთის არაბიბლიური მონყალების იმედად არიან.

ახალი აღთქმა არ აცხადებს და ასწავლის არც ერთს ამ მოსაზრებათაგან. ეს და სხვა მსგავსი აზრები ადამიანებმა საკუთარი წარმოდგენებით შექმნეს, ამიტომ წარმავალია და განკითხვის დღეს ვერ გაძლებს. უამრავი მამაკაცი და ქალი გაოგნდება იმ დღეს, მაგრამ ჩემი პირადი რწმენით, ურწმუნოებზე გაცილებით მეტი მალიარებელი ქრისტიანი დარჩება ელდანაცემი.

### გაბედულება განკითხვის დღეს

ჩვენ შიშით არ უნდა შევხვდეთ გასამართლების დღეს. საჭიროა, გაბედულნი ვიყოთ:

„სიყვარულში დარჩენილი ღმერთში რჩება, ხოლო ღმერთი – მასში. ისეთ სრულყოფას აღწევს სიყვარული ჩვენში, რომ გაბედულება გვაქვს განკითხვის დღეს, რადგან როგორც ისაა, ჩვენც ისეთივე ვართ ამ ქვეყნიერებაზე“.  
(1 იოან. 4:16-17)

ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს: „ღმერთში დარჩენით სიყვარული ჩვენში სრულყოფას აღწევს“. ამრიგად, განკითხვის დღეს გაბედულებას გვმატებს ღვთის სიყვარული, რომელმაც ჩვენში სრულყოფას (მონიფულობას) მიაღწია.

აი, სწორედ ეს არის საკვანძო მომენტი, რის გამოც მრავალი ქრისტიანი ბორძიკობს. ისინი უფლის სიყვარულს დროებითი შუქზე განიხილავენ და არა მარადიულობის თვალსაზრისით. არსებობს სიყვარულისა და სიკეთის საზოგადოების მიერ აღიარებული გაგება, რომელმაც ეკლესიაშიც მოიკიდა ფეხი, მაგრამ ის ადამიანური საზომით განისაზღვრება. ეს კონცეფციები, რეალურად, ღვთის სიყვარულს ეწინააღმდეგება. ნება მომეცით, განვიხილო რამდენიმე ასეთი შემთხვევა, რომლებიც საზოგადოდ არსებობს!

„ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და დაქორწინებას ვგეგმავთ“. ხშირად გვესმის ამგვარი წინადადება, როცა ორი ადამიანი თანაცხოვრებას ეწევა ქორწინების გარეშე. არა მხოლოდ ეს არის ცოდვიანი ქმედება, თუნდაც მართლა დაქორწინდნენ. ბევრჯერ ვყოფილვარ იმის მოწმე, რომ ასეთი განცხადების გამკეთებელი წყვილი საერთოდ არ ქორწინდება. მათ დაავიწყდათ ნათელი გაფრთხილება: „ყველას ცოლქმრობა იყოს პატიოსანი, სარეცელი – შეუბილწავი; მეძავებსა და მრუშებს ღმერთი გაასამართლებს“ (ებრ. 13:4). ყურადღება მიაქციეთ, რომ ებრაელთა წერილის ავტორი არ ამბობს: „მეძავებსა და მრუშებს, რომლებიც ეკლესიაში არ დადიან“. ეს სიტყვები ეხება ყველას, ვინც ასეთი ცხოვრების სტილი აირჩია.

„ვიცი, რომ ეს არ იყო მთლად მართალი, მაგრამ საქმის მოგვარებაში დამეხმარა და ისინი თავისას მიიღებენ“. ბიზნესმენები ხშირად ამბობენ ამას, როცა გაყიდვების უზრუნველყოფა სურთ და ნამდვილად დარწმუნებული არიან, რომ ეს მომხმარებლისთვისაც კარგია, თუმცა წარმატების მისაღწევად ცოტათი ცვლიან ფაქტებს. ეს არა მხოლოდ ტყუილის ცოდვაა. ეს საქმე თითქმის ყოველთვის უფრო მომგებიანია განცხადების გამკეთებლისთვის. ნუთუ მათ დაავიწყდათ გაფრთხილება: „ცრუთა (ვისაც წინასწარგანზრახვით მოაქვს უმართლობა სიტყვით ან საქმით) ხვედრი ტბაშია, რომელიც ინვის ცეცხლითა და გოგირდით“. (გამოცხ. 21:8)?

„ის, რაც მის შესახებ ვთქვი, სიმართლეა!“ ამას ხშირად ამბობენ უარყოფითად მოლაპარაკე ადამიანები (ჭორიკნები და ცილისმწამებლები) თანამშრომელზე, მეგობარზე, უფროსზე და ა. შ. ფაქტობრივად, შეიძლება 100 %-იან სიმართლეს ამბობდეთ და მაინც არასწორად იქცეოდეთ მარადისობის სტანდარტებიდან გამომდინარე. გაიხსენეთ ნოეს უმცროსი ვაჟი ქამი, რომელმაც მამის სიშიშვლესა და თრობაზე ზუსტი ამბავი

აუნყა ძმებს. მიუხედავად ამისა, მამის უპატივცემულობის გამო მოსული წყევლა მის შთამომავლობაზე გადმოვიდა და დიდხანს გაგრძელდა. ნუთუ დაავინყდათ ქორიკნებსა და ცილისმწამებლებს მათთვის განკუთვნილი შეგონება: „ნუ ჩივით ერთმანეთზე, ძმებო, რათა არ გასამართლდეთ! აჰა, მოსამართლე კარზეა მომდგარი!“ (იაკ. 5:9)?

მაგალითები უსასრულოა, მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი მახასიათებელი: ისინი ღვთის მარადიულ ნებას ეწინააღმდეგებიან. საშინელია ფაქტი, რომ ასეთი ცხოვრების წესის მიმდევრები და ერთი შეხედვით უვნებელი განცხადებების ავტორები ეკლესიებში სხედან. მათ თავი მშვენივრად უჭირავთ და სამაგალითო მოქალაქეების ნიმუშს წარმოადგენენ. როგორ ზომავენ ისინი მარადისობას?

იოანემ თავის წერილში პასუხი გაგვცა ღვთის სიყვარულის სრულყოფის სახით:

„ვინც ამბობს, შევიცანიო იგი, მაგრამ მის მცნებებს არ იცავს, ცრუა და ჭეშმარიტება არ არის მასში. ხოლო ვინც მის სიტყვას იცავს, მასშია ჭეშმარიტად აღსრულებულია ღვთის სიყვარული; ამით ვიგებთ, რომ მასში ვართ“.  
(1 იოან. 2:4-5)

გაიხსენეთ, რომ ადამიანს ჩვენი მსაჯულის წინაშე წარდგომის გაბედულებას ღვთის სრულყოფილი (მოწიფული) სიყვარული აძლევს. იოანე ნათელს ხდის, რომ ღვთის სიყვარული სრულყოფას მისი მცნებების დაცვით აღწევს და არა საზოგადოებისთვის მისაღები ქცევებით. ყურადღება მიაქციეთ, რომ ევა კეთილისა და ბოროტების შემეცნების ხის ბოროტმა მხარემ როდი მიიზიდა; იგი *სიკეთემ* მოხიბლა! „დაინახა დედაკაცმა, რომ საჭმელად კარგი ჩანდა ის ხე, თვალთათვის საამური და მიმზიდველი“ (დაბ. 3:6). ადამიანურ აზროვნებას სილამაზისა და სიკეთის ისეთი ფორმის შექმნა შეუძლია, რომელიც ღვთის მარადიულ სიყვარულს ეწინააღმდეგება.

წმიდა წერილი ასევე აცხადებს, რომ შეუძლებელია ღვთის მცნებების გარკვეული ოდენობის დაცვა და სამსჯავროს დღეს გაბედულების ქონა. როცა მის სიტყვას სრულად ვიცავთ მთელი სისავსით, მაშინ ხდება სრულყოფილი ღვთის სიყვარული. სწორედ ამიტომ ღმერთი მადლს: ის ღვთის სიტყვის სრულად დამორჩილების ძალას გვაძლევს ისე, როგორც ღვთისთვის მისაღებია. „ამიტომ ჩვენ, ვინც შეუძრავ სამეფოს ვღებულობთ,

გამოვიჩინოთ მადლიერება, რომლითაც ვემსახურებით ღმერთს სათნოდ, მონინებითა და მოშიშებით!“ (ებრ. 12:28).

აქ საკვანძო მომენცია მეფეთ მეფის სურვილისა და მოლოდინების გათვალისწინება და არა საზოგადოების ან ადამიანური აზროვნების მიერ მონონებულის მიღება. ამ მიზეზის გამო გვეუბნება ღმერთი: „ნუ მისედადგებით ამ ნუთისოფელს, არამედ გარდაისახებით თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის ღვთის ნება – კეთილი, სასურველი და სრულყოფილი!“ (რომ. 12:2). ის, რაც ჩვენი კულტურისთვის კარგი ჩანს, შესაძლოა, ღვთის სურვილებს – მარადისობას – ეწინააღმდეგებოდეს.

ნება მომეცით, თვალსაჩინოება მოვიშველიო. ამ ნუთას სინგაპურის სასტუმროში ვზივარ და ამ უქმეებზე, დაახლოებით, ოცი ათას ადამიანს უნდა ვუქადაგო. ამ დიდებულ ერს არაერთხელ ვენვიე. ასევე რამდენჯერმე მიქადაგია სახარება ნიდერლანდებში. აქ არ არსებობს მარიხუანას მოყვანის საწინააღმდეგო კანონი. ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ მისი მონევა ისე, რომ დაჯარიმების შიში არ ჰქონდეთ. თუმცა სინგაპურში ნარკოტიკული საშუალებების გარკვეული ოდენობის აღმოჩენისას (და ეს საკმაოდ მცირე რაოდენობაა), დაგაპატიმრებენ და მკაცრად დაგსჯიან. ზოგიერთი ნარკოტიკის პოვნისას კი ჩამოხრჩობით სიკვდილი არ აგცდებათ! როცა სინგაპურში ჩაფრინდებით, დაინახავთ ამგვარი პოლიტიკის ასახვას შესასვლელ ბარათზე: „სინგაპურის კანონით ნარკომოვაჭრეებს სიკვდილი ემუქრებათ“.

ახლა შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ მარიხუანას რეგულარულად მომხმარებელი ახალგაზრდა ჰოლანდიელი, რომელიც სინგაპურში სამოგზაუროდ მიდის და თავის მოსაწევს სინგაპურელს სთავაზობს? იგი სიხარულით ეუბნება ახალ მეგობრებს: „ეი, ბიჭებო, ეს მაგარი რამეა – დაგამშვიდებთ, სასიამოვნო გრძნობებს აღგიძრავთ და იმედგაცრუებას მოგამორებთ! არ გინდა გასინჯოთ? სიმოვნებით გაგიყოფთ!“

ახალგაზრდას დაუყოვნებლივ აპატიმრებენ. იგი შოკშია. პირველი კითხვა, რომელსაც ის პოლიციის ოფიცერს დაუსვამს, ეს იქნება: „რატომ დამაპატიმრეთ?“

გასამართლების დღე ახლოვდება. ჰოლანდიელი მსაჯულის წინაშე დგას სასამართლო დარბაზში. მას ჯერ კიდევ სჯერა, რომ რაღაც შემთხვევითობას აქვს ადგილი. მსაჯული მის დანაშაულს და განაჩენს წარმოთქვამს.

ელდანაცემი კაცი ამბობს: „თქვენო ღირსებავ, ჩემს ქვეყანაში



მეგობრებისთვის მარიხუანის განაწილება ჩვეულებრივი ამბავია!“

მოსამართლე პასუხობს: „თქვენ ჰოლანდიაში არ ხართ. თქვენ სინგაპურში ბრძანდებით და ამ ქვეყანაში ეს კანონსა-წინააღმდეგო ქმედებაა!“

ჰოლანდიელის თავდაჯერებულობა გაქრა. მას საძირკველი გამოეცალა. არავითარი რესურსი აღარ არსებობს. იგი ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს წინაშე დგას განწირული ყოველ-გვარი დაცვის გარეშე.

რამდენიმე წლის წინ სინგაპურში ყოფნისას ერთი ახალგაზრდა ამერიკელი დააკავეს ავტომობილზე ვანდალური თავდასხმის გამო. იგი დააპატიმრეს, დამნაშავედ ცნეს და როტანგის წიკებლებით რამდენიმე დარტყმა მიუსაჯეს. ასეთი სასჯელი სამუდამო ფიზიკურ დასახიჩრებას იწვევს, რადგან ადამიანს ღუნდულებზე სცემენ ბამბუკის სახეობის მცენარის წიკებლებით, რომელიც ქიმიკატებით არის გაჟღენთილი. განაჩენი უკიდურესი იყო. შეერთებული შტატების პრეზიდენტიც კი ცდილობდა ახალგაზრდის განაჩენის შემსუბუქებას. მის მცდე-ლობას წარმატება არ მოჰყოლია. ამერიკელმა სინგაპურის კანონები დაარღვია და სასჯელი დაიმსახურა.

ერთ დღეს ყველანი წარვდგებით სამყაროს უზენაესი მოსამართლის წინაშე. ამ სამსჯავროს გადანყვეტილება საბო-ლოო და სამარადისო იქნება. ბევრი იქნება ელდანაცემი მისი საბოლოო განაჩენით, მაგრამ ეს სავალდებულო არ არის. თქვენ არ უნდა აღმოჩნდეთ ასეთ მდგომარეობაში.

მზად ხართ? ღვთის სიტყვის თანახმად, სამყაროს მსაჯულის წინაშე გაბედულად უნდა წარვდგეთ. ეს წიგნი თქვენს დასახმარებლად არის შექმნილი. იმ ახალგაზრდა ჰოლანდიელს სინგაპურში მოგზაურობისთვის მოსამზადებლად დრო რომ გამოეყო, მკაცრ სასჯელს თავიდან აიცილენდა. რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენთვის მარადიული სასამართლოსთვის მომზადება, როცა ვიცით, რომ სამსაჯავრო ტახტზე მიღებული გადანყვეტილებები სამუდამოა.

## საზღაური

მარადისობაში ერთზე მეტი სასამართლო გაიმართება. ერთი მათგანი ურწმუნოებისთვის იქნება, ხოლო მეორე – მორ-წმუნეებისთვის და კიდევ ერთი – ანგელოზებისთვის. განაჩენი სხვადასხვაგვარი იქნება ზარალისა და სასჯელის ჩათვლით,

მაგრამ იქნება ჯილდოც. ამ ყველაფერზე დანვრილებით ვისაუბრებთ მომდევნო თავებში, მაგრამ ნება მომეცით, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ იქ მიღებული გადანყვეტილებები სამარადისოა. ამის გაზვიადება შეუძლებელია; სცადეთ და გონებით ჩანვდით უსასრულობას! ღვთის ნებაა, რომ ამის შესახებ წინასწარ ვიცოდეთ და ვიპრობოთ საზღაურის მისაღებად, რომელიც მისი სიტყვის თანახმად ცხოვრებას მოჰყვება. პავლე ამბობს:

„განა არ იცით, რომ ასპარეზზე ყველანი გარბიან, მაგრამ მხოლოდ ერთი იღებს ჯილდოს? მაშ, ირბინეთ ისე, რომ ჯილდო მოიპოვოთ! ყველა, ვინც იღვწის, თავს იკავებს ყველაფრისგან; ისინი – ხრწნადი გვირგვინის მისაღებად, ჩვენ კი – უხრწნადისა. ამიტომ მეც გავრბივარ, მაგრამ არა უმიზნოდ, და არც ისე ვიქნევ მუშტებს, ვითომ ჰაერს ვცემდე; არამედ ვთრგუნავ და ვიმონებ ჩემს სხეულს ...“.  
(1 კორ. 9:24-27)

პავლე მკაფიოდ ამბობს: „გავრბივარ, მაგრამ არა უმიზნოდ“. სხვა ვერსია გვეუბნება: „ვილტვი დანიშნულების წერტილისკენ და ჩემი ყოველი ნაბიჯი გამიზნულია“ (მ. 26). ეს სწორედ ის არის, რაც თითოეულმა ადამიანმა უნდა გააკეთოს – გარკვევით და გამიზნულად იაროს გამარჯვებისკენ. ჩვენ სხვას არ ვეჯიბრებით, არამედ საკუთარ თავს.

### მარადისობით ამოძრავებულნი

იმის იმედად ყოფნა, რომ სამჯავრო ტახტთან ყველაფერი რიგზე იქნება, საკმარისი არ არის. ჩვენ პატიება არ გვაქვს, რადგან ღმერთმა თავისი ნება უკვე გაგვაცნო. განკითხვაზე უამრავი ადამიანი იქნება, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ ქრისტიანულ სარბიელზე საკუთარ უპირატესობაში მათ ირგვლივ მყოფებთან შედარებით, მაგრამ მარადისობას მათი ცხოვრების წარმართვის და ანთების საშუალება არ მისცევს. და მაინც, ამ წიგნის სახელწოდება შემდეგია: „მარადისობით ამოძრავებულნი“.

სიტყვა „ამოძრავებულნი“ „მოძრაობაში მოყვანას, ნაბიძგებას“ ნიშნავს. იგი ასევე აღნიშნავს „წარმართვას, წინამძღოლობას“. კიდევ ერთი განმარტება ასეთია: „წინსვლის მოტივით უზრუნველყოფა“. რა წარგემართავს ან გვიბიძგებს

ამ დედამიწაზე? ეს საუკუნოა თუ დროებითი? ეფუძნება თუ არა ღვთიურ სიბრძნეს? საკუთარ თავს სხვებს ხომ არ ვადარებთ? პირფერობას, ტრადიციებს ან მითებს ხომ არ ვუსმენთ, რომელთაც ზოგიერთი კათედრიდან გვიქადაგებენ ან სკოლებში გვასწავლიან? გაძლებს თუ არა ღვთის სამჯავროზე ის საძირკველი, რომელზეც ჩვენს ცხოვრებას ვაგებთ? გახსოვდეთ, ჩვენ უკვე ვიცით ჩვენი გასამართლების სტანდარტები: „სიტყვა, რომელიც წარმოვთქვი, განიკითხავს მას უკანასკნელ დღეს“ (იოან. 12:48).


ბევრი მაღიარებელი ქრისტიანი ელდანაცემი დარჩება იესო ქრისტეს სამსჯავრო ტახტის წინ წარდგომისას. ესენი იქნებიან ადამიანები, რომლებიც თავს დაცულად გრძნობდნენ ახალი აღთქმის სწავლების ნაწილში, მაგრამ მისი მთლიანი სურათი გულდასმით არასოდეს გამოუკვლევიათ. ჩემი კითხვა თქვენს მიმართ ასეთია: გინდათ სიმართლის გაგება საუკუნო გადანყვეტილების გამოტანის შემდეგ, როცა რაიმეს შეცვლა მეტისმეტად გვიანი იქნება თუ ახლავე გაითვალისწინებთ სტანდარტებს, რომელთა მიხედვითაც ღვთის წინაშე გასამართლდებით?

მეორე თავი ალევორიული თხრობით დაიწყება და მომდევნო თავებში გაგრძელდება. დაკვირვებით ნაიკითხეთ და დეტალები გაიხსენეთ, რადგან მათ ხშირად დავუბრუნდებით! თხრობა მერვე თავში დასრულდება, ხოლო მასში გადმოცემული ჭეშმარიტება წიგნის დარჩენილ ნაწილში განიხილება. წინამდებარე წიგნი ალევორიაზეა აგებული, ამიტომ, გთხოვთ, ნუ უგულვებელყოფთ მას! შესაძლოა, სწავლების პროცესში ისევ დაგჭირდეთ მისი გადახედვა.

ღმერთი პირადად ჩემს ცხოვრებაში შრომობდა წიგნში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ჩემ მიერ დაშვებულ მრავალ, შეცდომას გაგიზიარებთ, რომლებიც სულიწმიდამ დეტალურად გამოიკვლია მისი ჭეშმარიტების მიკროსკოპქვეშ. ვიმედოვნებ, რომ ეს წმ. ნერილის გულმოდგინე შესწავლის ბიძგს მოგცემთ, რომ განკითხვის დღისთვის მყარ საძირკველზე მდგარი აღმოჩნდეთ. გაგიზიარებთ ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებულ რამდენიმე უდიდეს შეცდომას, რომლებიც მამაკაცებსა და ქალებს თანდათანობით აშორებს მას, ვისაც მხსნელად აღიარებენ. თქვენ ელდანაცემი, შენჯღრეული და ზოგჯერ დასჯილიც აღმოჩნდებით, მაგრამ ამავდროულად აღთქმებს, იმედსა და ნუგეშს მიიღებთ.

თუ თქვენ მხნე, ჭეშმარიტების მაძიებელი და ღვთის გულის მქონე ხართ, საქმეს შევუდგეთ. გახარებული დარჩებით, რომ ასე მოიქეცით! გულთან მიიტანეთ შემდეგი შეგონება:

„ღვთის ნიჭმა აღადგინა მასთან თქვენი ურთიერთობა და კვლავ გაგვაცოცხლა. თუმცა კიდევ გველოდება ერთი სიცოცხლე – მარადისობა! შეგიძლიათ ამის იმედი გქონდეთ. მინდა მტკიცე პოზიცია დაიკავოთ ამ საკითხებში, რათა ღმერთზე მინდობილებმა ყურადღება მნიშვნელოვანზე გაამახვილოთ, რაც ყველასთვის სასიკეთოა!“ (ტიტ. 3:7-8 The Message).



თავი 2

აფაბელის სამეფო:  
ცხმოვრეზა ენდელეზი


„[იესო] ბევრს ასწავლიდა მათ იგავებით(ჭეშმარიტებების  
ასახსნელი თვალსაჩინოებებით ან შედარებებით) ...“.

მარკ. 4:2

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჩვენი ქვეყნიერების მსგავსი და მაინც, მრავალგზის განსხვავებული სამყარო. იქ ვერ ნახავდით დამოუკიდებელ ქვეყნებს. არსებობდა მხოლოდ ერთი დიდებული სამეფო – აფაბელი. იგი აქამდე ცნობილ მთელ ქვეყნიერებაზე იყო გადაჭიმული, მაგრამ ერთადერთი დედაქალაქი ჰქონდა, რომელსაც სამეფოს ყველა მმართველი განაგებდა. მას აფაბელის დიად ქალაქს ეძახდნენ, რომელსაც ამიერიდან, უბრალოდ, აფაბელად მოვიხსენიებთ.

ამ წარმტაც ქალაქს გამოჩენილი მეფე ჯეილინი მართავდა. მისი ქვეშევრდომები მეფით აღტაცებული იყვნენ და აღმერთებდნენ მას. იგი ღრმა სიყვარულს წარმოაჩენდა, რომელსაც თითქოს ბოლო არ უჩანდა. ჯეილინი ძლიერი, ბრძენი და ამასთან ერთად, სიკეთით სავსე და დიდი იუმორის გრძნობის მქონე გახლდათ. მისი სამეფო მიხვრა-მოხვრის მიუხედავად, იგი ქვეშევრდომთათვის მისანვდომი პიროვნება გახლდათ. მასთან მყოფები სიკეთის ატმოსფეროთი იყვნენ მოცულნი. მის თანაყოფნას სიცოცხლის ყველა ასპექტი უფრო მაღალ დონეზე აჰყავდა. მეფის თვალთახედვა და შორმსჭვრეტელობა გასაოცარი იყო. მას ადამიანთა მოქმედების მიღმა გულის ზრახვების დანახვის იდუმალი უნარი ჰქონდა.

ჯეილინის მამა გახლდათ აფაბელის დამაარსებელი, რომელიც ასევე ცნობილი იყო დამფუძნებელი მეფე მამის სახელით. მას შემდეგ, რაც სამეფოს წესრიგი დამყარდა, მან მართვის სადავეები თავის ძეს გადასცა. დიადი ქალაქის მკვიდრები ჯეილინს მართვაში ეხმარებოდნენ სამეფოს მთელს ტერიტორიაზე. ეს მთავარ ქალაქში ძალაუფლებისა და წინამძღოლობის იერარქიული სისტემის მეშვეობით მიიღწეოდა.



დედაქალაქი უზარმაზარი გახლდათ და მისი ფართობი, დაახლოებით, 200 კვადრატულ მილს აღწევდა. იგი ისე გონივრულად იყო დაგეგმარებული, რომ მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვის მიუხედავად, არასოდეს იყო გადატვირთული. ქალაქი გარეუბნების, ქალაქის საცხოვრებელი ნაწილისა და ვილებისგან შედგებოდა.

დაბლობზე, რომელიც აფაბელის დასავლეთი ნაწილის ბოლოს გასდევდა, მშრომელთა მოკრძალებული სახლები იდგა (ეს უბრალო სახლები ჩვენს დედამიწაზე ექსტრავაგანტური მოგეჩვენებოდათ). მიუხედავად იმისა, რომ მათი საქმიანობა ინტენსიურ შრომას გულისხმობდა, მადლიერები იყვნენ იმით, რომ სამეფო ქალაქში ცხოვრობდნენ.

ჩრდილო და სამხრეთ საზღვრების მთაგორიანი მიწები ხელოვნათა დასახლებას ეკუთვნოდა. აქ ცხოვრობდნენ მუსიკის, მწერლობის, ხატვისა და დიზაინის შემოქმედებით საქმიანობაში დახელოვნებული ადამიანები. მათი სახლები ხეივანებით იყო გარშემორტყმული და მშრომელთა საცხოვრებლებზე მეტი ფასი ჰქონდა.

ყველაზე მიმზიდველი გახლდათ ქალაქის აღმოსავლეთი რაიონი, რომელსაც ულამაზესი ვილები ამშვენებდა. ეს ტერიტორია სამეფო ცენტრის სახელით იყო ცნობილი. ამ ფართო არეალში იჯდა მეფე და დროის უმეტეს ნაწილს ატარებდა. აქვე სახლობდა მეფის უახლოესი გარემოცვა. მისი ადმინისტრაცია და თანახელმძღვანელები აქ იკრიბებოდნენ და ერთობლივად შრომობდნენ.

სამეფო ცენტრი კლდეში ჩასმულ ძვირფას ქვას ჰგავდა, რომელიც დიდი ზღვის ნაპირებს გადაჰყურებდა. ლაჟვარდოვანი ოკეანიდან გამუდმებით ქროდა ნაზი სიო და ქალაქს აგრილებდა. წყლებს გარს ეკვროდა ხელშეუხებელი თეთრი სანაპიროები, რომელთაც სილამაზით მხოლოდ სამეფო ბალები თუ აღემატებოდა. ბალებს ყველგან შეხვდებოდით სამეფო ცენტრში. ისინი ყოველ მოსახვევს ფერადოვნებასა და სიცოცხლეს მატებდნენ. ეჭვგარეშეა, რომ ეს ადგილი საცხოვრებლად ყველაზე სასურველი იყო მთელს აფაბელში. ყველა ამ მშვენიერ სახლს მხოლოდ სამეფო სასახლე თუ ჩრდილავდა.

აფაბელის შუაგულში სიციცხლის ხე იდგა. მხოლოდ მეფის ქვეშევრდომებს ჰქონდათ მისი საოცარი ნაყოფის გასინჯვის პატივი. ნაყოფი არა მარტო გემრიელი და საამო სანახავი იყო, არამედ მისი სურნელოვანი რბილობი სასწაულმოქმედ ძალასაც შეიცავდა.




აფაბელის დაბლობების დასავლეთით გარე უდაბნო იწყებოდა, რომელიც თითქმის სამოც მილზე იყო გადაჭიმული დიდ მდინარე ადონგამდე. როგორც კი ადონგას გადაცურავდით, მაშინვე სამეფოს სხვა ნაწილში აღმოჩნდებოდით, რომელსაც ენდელი ეწოდებოდა. აფაბელის მოქალაქეთა შვილები დაბადებისთანავე მიჰყავდათ ენდელის პროვინციაში. პირველ კვირაში მათზე ზრუნვას იწყებდნენ სამეფო ძიძები. როცა ამ ნორჩ მოქალაქეებს, ენდელებს, ხუთი წელი შეუსრულდებოდათ, ენდელის სკოლაში შეჰყავდათ და ათი წლის განმავლობაში წვრთნიდნენ. აქ ისინი აფაბელისა და დიდი მეფე ჯეილინის გზებს სწავლობდნენ.

ჯეილინთან შეხვედრის პატივი მხოლოდ სამეფო ძიძებსა და მასწავლებლებს ჰქონდათ. იგი, დახლოებით, ხუთ წელიწადში ერთხელ ენდელს საიდუმლოდ სტუმრობდა, რომ სკოლისა და ბავშვებისადმი თავისი დამოკიდებულება გამოეხატა. მისი მოსვლა არასდროს გამხდარა ფართოდ ცნობილი, მაგრამ მისი სიკეთე ენდელის ცხოვრების ყოველ ასპექტს მოიცავდა.

ენდელის სკოლაში გატარებული ათი წელი მოსწავლეებს მომავალი ცხოვრებისთვის ამზადებდა. თხუთმეტი წლის ასაკში მათ მოკლე ვადით ნასწავლის ცხოვრებაში გამოყენების უფლება ეძლეოდათ. ამ დროის განმავლობაში თითოეულს გარკვეული ქონება გადაეცემოდა და პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. მათი ახალგაზრდა წლებისა და რესურსების გამოყენება განსაზღვრავდა, თუ სად გაატარებდნენ დარჩენილ ცხოვრებას, რომელიც მათ სამყაროში ასორმოცდაათ წელს მოიცავდა. მიუხედავად იმისა, რომ გამოცდის პერიოდი მხოლოდ ხუთი წელი გახლდათ, არც ერთმა მოსწავლემ მის ხანგრძლივობაზე არაფერი იცოდა. მათთვის ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ ეს პერიოდი ათ წელს არ გადააჭარბებდა. ამ დროის დასასრულს თითოეული მათგანი მეფის წინაშე უნდა წარმდგარიყო და ცხოვრებისეული არჩევნის შესახებ ანგარიში ჩაეხატებინა.

გამოსაცდელი პერიოდი მოსწავლის ერთგულებას წარმოაჩენდა. ვინც ჯეილინის მითითებებს მიჰყვებოდა სიტყვით თუ საქმით, მის წინამძღოლობას აღიარებდა, ასეთები აფაბელის მოქალაქეებად ჩაითვლებოდნენ. მათ მიერ გაკეთებული არჩევანი შესაბამის ჯილდოსაც გულისხმობდა.

თუ მოსწავლეები აჯანყდებოდნენ და გამოსაცდელ ვადაში მხოლოდ საკუთარი თავისთვის იცხოვრებდნენ, ლონის მიწაზე



გაიდევნებოდნენ. ღონი გახლდათ უკუნი სიბნელის უდაბური მინა, სადაც მარტოობა და სასონარკვეთილება მეფობდა. ის აჯანყებულები წამებასა და პატიმრობაში ატარებდნენ დარჩენილ ცხოვრებას.

პირველი, ვინც ყველასგან ჩამოშორებით დაისაჯა, დაგონი გახლდათ. მან ღონის მინა დააფუძნა და მის ბნელ ბატონად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ჯეილინის წინააღმდეგ მრავალი წლის წინ აჯანყდა, ენდელის მინაზე ზეგავლენა მაინც შეინარჩუნა. ენდელის მკვიდრებმა, რომლებიც ჯეილინის უფლობას აღიარებდნენ, დაგონის ბნელი ძალაუფლებისგან გათავისუფლდნენ. თუმცა დაცემული ბატონის მხარეს გადავიდნენ ისინი, რომლებმაც უარი თქვეს ჯეილინის სამსახურზე.

დიდი მეფე ჯეილინი სამეფოში სიბნელის რაიმე გზით შემოდნენის აღსაკვეთად იძულებული გახდა ბრძანებულება გამოეცა, რომ აფაბელის მთლიანობა და სოციალური ინფრასტრუქტურები დაეცვა. ყველა, ვინც დაგონის გზას გაჰყვებოდა და ჯეილინის მეფედ აღიარებაზე უარს იტყოდა სიტყვით თუ საქმით, დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში ღონის უკაცრიელ მინაზე განიდევნებოდა.


აი, აქ იწყება ჩვენი ამბავი. ამიერიდან, თვალს მივადევნებთ ენდელის ხუთ მოსწავლეს. მათი სახელები შემდეგია: დამოუკიდებელი, მოტყუებული, გაუბედავი, ეგოისტი და მონყალეა. ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ თითოეული მათგანი:

### დამოუკიდებელი

დამოუკიდებელი მუდამ ეჭვის ქვეშ აყენებს აფაბელის არსებობას. მას არ სჯერა, რომ ვინმე ჯეილინი, რომელიც არასოდეს უნახავს და არც შეხვედრია, მისგან არა მარტო ერთგულებას, არამედ „წესების ერთობლიობის“ სრულ დაცვასაც მოითხოვს. იგი ეჭვობს, რომ ეს გარკვეული ჩანაფიქრია, რომელიც მას და სხვებს მასწავლებლების კონტროლს დაუმორჩილებს. დამოუკიდებელი ამგვარი უპატივცემულობის გამო გაკვეთილებსაც არ ესწრება და წარმოსახვითი სამეფოს შესახებ სწავლაზე უარს ამბობს.

იგი სხვებსაც დასცინის ამ სისულელის რწმენის გამო. მას სურს იცხოვროს ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევს და ჯეილინის კანონებისგან განთავისუფლდეს. ერთადერთი გამონაკლისია შემთხვევა, როცა მეფის ედიქტი მის ინტერესებს ემსახურება. მაშინ ის მომხრეა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მისი





აზრია. დამოუკიდებელს არ ადარდებს, თუ სხვებიც გაიგებენ, რომ თავის ცხოვრებას რომელიმე პიროვნების ნებას არ დაუმორჩილებს.

## მოტყუებული

მოტყუებულს ეჭვი არ ეპარება აფაბელის არსებობაში. მას მეფე ჯეილინის სწამს და მისი ალთქმებით აღტაცებულია. იგი გონებით და სიტყვიერად ეთანხმება სკოლის სწავლებას და პოლიტიკას, თუმცა მისი ცხოვრების სტილით, მეტწილად, ამ სწავლებებს ეწინააღმდეგება. იგი ხარობს მეფის მომხრეობით, მისი სწავლებით და სკოლის ფუნქციონირებაშიც მონაწილეობს, როცა ეს მისთვის სასიამოვნოა. თუ მასში გამორჩენას ვერ ხედავს, შეხედულება სწრაფად ეცვლება. მისი ცხოვრების წესი ჯეილინის ნამდვილი მიმდევრისას არ ჰგავს და ძლიერი პიროვნული თვისებების გამო სხვებიც შეუმჩნეველად გადაჰყავს თავის გზაზე. იგი გამუდმებით ფიქრობს მომავალ გამოცდასა და განკითხვაზე.


მოტყუებული დამოუკიდებელს კარგად ეწყობა მიუხედავად იმისა, რომ ჯეილინის არსებობაზე მათი აზრები ერთმანეთს არ ემთხვევა. მოტყუებული მხიარულია და მათ ერთნაირი ინტერესები ამოძრავებთ, ამიტომ დამოუკიდებელს მოსწონს მისი კომპანია.

## გაუბედავი

გაუბედავი ყველაზე მეტად არის აღსავსე ენთუზიანზმით დანარჩენებს შორის. იგი ხშირად სიტყვით გამოდის ჯგუფში და ყოველთვის საუკეთესო შეფასებები აქვს. იგი ძალზე აქტიურია და როგორც წესი, სასწავლო პროგრამის მიღმაც საქმიანობს მოსწავლეების ჩასართავად საზოგადოების საქმიანობაში. ნებისმიერი, ვინც ამ ხუთ ადამიანს დააკვირდებოდა, გაუბედავს ჯეილინისთვის ყველაზე თავდადებულ მოსწავლედ მიიჩნევდა.

## ეგოისტი

ეგოისტსაც სწამს ჯეილინისა და მისი მოძღვრების. მას აფაბელის არსებობაში ეჭვი არ ეპარება და ამის შესახებ ხმამაღლა აცხადებს. იგი დარწმუნებულია, რომ ჯეილინი საოცარი მმართველი და მონყალე მსაჯულია, ამიტომ ლმობიერი



იქნება ყველა მისი მიმდევრის მიმართ. მიუხედავად ამისა, იგი შეზღუდულად აღიქვამს ჯეილინის სწავლებას და ბუნებას. მას დაავინწყდა, რომ ჯეილინი სამართლიანი და წმინდა მმართველია, გარდა იმისა, რომ მოსიყვარულე და მონყალეა. ამრიგად, ეგოისტმა ჯეილინის პიროვნებაზე დამახინჯებული წარმოდგენა შეიქმნა. იგი დარწმუნებულია, რომ მოტყუებული, გაუბედავი და მონყალეა ნებისმიერ შემთხვევაში იქნებიან ჯეილინის დიდებული სამეფოს შემადგენლობაში, თუმცა ლელავს დამოუკიდებლის ხშირი წინააღმდეგობის გამო.

ეგოისტს სჯერა, რომ ჯეილინის სიტყვიერი მხარდამჭერები, რომლებიც ძირითად კანონებს არ არღვევენ, აფაბელში შესვლას დაიმსახურებენ. მიუხედავად ამისა, სახელიდან გამომდინარე, საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებულია და ხშირად მის მიერ გაკეთებული სიკეთე პირადი გამორჩენით არის ნაკარნახევი. ზოგჯერ მას თანაგრძნობაც ამოძრავებს, მაგრამ ვითარების გამწვავებისას ყოველთვის საკუთარი ინტერესების დაცვას ცდილობს.

## მონყალეა

ჩვენი ბოლო ახალგაზრდა ქალბატონი გახლავთ მონყალეა, რომელსაც გულთან მიაქვს მეფე ჯეილინის კანონები და იცავს მათ. მან არა მარტო შეისწავლა მისი პრინციპები, არამედ ცდილობს თითოეული ედიქტის მიღმა ჯეილინის გულის ზრახვა დაინახოს. იგი ბევრ დროს ხარჯავს მეფის ნების გაგებისა და გაცნობიერებისთვის. ეს მეცადინეობის ხანგრძლივ დროს და ენდელის სკოლისა და საზოგადოებისთვის სასიკეთო საქმეში მოხალისეობას გულისხმობს. მან იცის, რომ თხუთმეტი წლის ასაკში მოკლე დრო იქნება მიცემული დიდი მეფის სურვილების შესასრულებლად. მისი მიზანია ჯეილინის სადიდებლად ცხოვრება და საკუთარი სარგებლობისთვის არაფერს გააკეთებს, რომ მთავარი მიზნიდან არ გადაუხვიოს.

მონყალეას ჯეილინი უყვარს და იმ დღეს მოელის, როცა ერთმანეთს შეხვდებიან. იგი მხურვალე გულით ემორჩილება მას და ხშირად ლაპარაკობს მის სიკეთეზე სხვა ადამიანებთან. ამისთვის ადამიანები მონყალეას სასაცილოდაც იგდებენ და გარიყავენ ხოლმე. გოგონა ჯეილინის კანონებისადმი ურყევი ერთგულების გამო განსაცდელებს გადის, მაგრამ მას ვერაფერი გადაახვევინებს მეფის რწმენის გზიდან.



ხუთივე ენდელელი თხუთმეტი წლის გახდა. მათ ორი ათას სხვა მოსწავლესთან ერთად დანიშნულ დღეს ენდელის სკოლა დაასრულეს. თითოეულ მათგანს განსაკუთრებული დავალება მიენდო და დაწყებისთვის საჭირო სახსრებიც გამოეყო. მის ოდენობას თავად ჯეილინი ადგენდა და მოსწავლეს დირექტორის მეშვეობით გადაეცემოდა გამოშვების დღეს.


ჩვენს ხუთ მოსწავლეში თანხის გადანაწილება შემდეგნაირად მოხდა: დამოუკიდებელმა მიიღო ორმოცდათხუთმეტი ათასი მინდობილი ერთეული, მოტყუებულმა და გაუბედავმა – ორმოც-ორმოცი ათასი. ეგოისტს ყველაზე მეტი მიენდო – სამოცდათხუთმეტი ათასი ერთეული, ხოლო მონყალებას – ოცდახუთი ათასი. ახალგაზრდა მოქალაქეები მიღებული თანხით გაუშვეს და თან საბოლოო მითითებები მისცეს.

### გაყიდვების აბნეტი

დამოუკიდებელი იშვიათად ესწრებოდა გაკვეთილებს, თუმცა რამდენიმე დოქტრინა თავში გამუდმებით უტრიალებდა. ზოგჯერ იგი ჩაფიქრდებოდა, სკოლის რომელიმე გიჟური მოძღვრება ჭეშმარიტება ხომ არ იყო. იმ შემთხვევაში, თუ ეს სიმართლე გამოდგებოდა, დამოუკიდებელი იმედოვნებდა, რომ მისი ქცევები სკოლის დასრულებისას მისაღებ თანხაზე არ აისახებოდა.

დამოუკიდებელი მინდობილი თანხით სავსე კონვერტს ხელის კანკალით ხსნიდა. მას თანხის ნახვისას გაკვირვებისა და შვებით მოგვრილი სიხარულის დაფარვა მოუხდა. იგი კიდევ უფრო აღფრთოვანდა, როცა გაიგო, რომ გაუბედავზე – თხუთმეტი ათასით, ხოლო მონყალებაზე – ორჯერ და უფრო მეტი თანხა მიიღო. დამოუკიდებელი ასე ფიქრობდა: *დროის ფლანგვა იყო! მონყალებამ და გაუბედავმა ამდენი დრო დაკარგეს უსარგებლო გაკვეთილებზე დასწრებასა და დამატებით საათებში, ახლა კი საჩვენებელიც არაფერი აქვთ!*

ამ გამოცდილებამ კიდევ უფრო გაამყარა დამოუკიდებლის რწმენა, რომ ჯეილინი არ არსებობდა. მისი აზრით, ეს ფული მოსწავლეების დიდი ხნის წინ გაუჩინარებული მშობლების დანატოვარი იყო; უფრო მეტიც, ჯეილინი სკოლის მიერ მოგონებულ ხრიკად მიიჩნია, რომლის მეშვეობითაც ისინი ადვილად შეძლებდნენ ახალგაზრდების ცხოვრების მართვას და თავისუფალი აზროვნებისგან მათ დაცვას.



დამოუკიდებელმა რამდენიმე კვირის მანძილზე იზეიმა სკოლის დასრულება. იგი მალევე მიხვდა, რომ დრო იყო, ბიზნესის აწყობაზე ეფიქრა. მისთვის მონდობილი ერთეულები სწრაფად იხარჯებოდა. ამან დამოუკიდებელი ძალიან შეაშფოთა.

ახალგაზრდა მანქანების დილერობამ დააინტერესა და აღმოაჩინა, რომ გაყიდვის დიდი ნიჭი ჰქონდა. ბიზნესი საოცრად კარგად წარიმართა. მრავალმა სკოლადამთავრებულმა მათთვის მინდობილი საწყისი კაპიტალით სწორედ დამოუკიდებლის სალონში შეიძინა ნახმარი თუ ახალი მანქანა. მან შემოსავლის მატების კვალობაზე ბევრ სხვა საქმიანობაშიც მოსინჯა ძალები და წარმატება პოვა. მან აქტივების ზრდასთან ერთად ცხოვრების სტილიც გაიუმჯობესა. დამოუკიდებელმა მალევე გააცნობიერა, რომ ფული გავლენის დიდი წყარო იყო და თითქოს, ბედნიერების ყიდვის ძალას მოიცავდა. სიმდიდრემ, აქტივებმა და ცხოვრების აღმავალმა სტილმა დამოუკიდებელს ქალების მოზიდვის ძალაც მიანიჭა და სტიმული შემატა.

იგი აღარ ესწრებოდა ყოველკვირეულ შეკრებებს, თუმცა მრავალი ადამიანი მას ძალზე კარგ მოქალაქედ თვლიდა საზოგადოებრივი პროექტების მხარდაჭერის გამო. ისე ჩანდა, რომ შეუძლებელი იყო ამ ბეჯითად მომუშავე ენდელელის ცხოვრების უფრო მეტად გაუმჯობესება.

## გზინეპელი და ღველოკარი

მოტყუებული უბედნიერესად თვლიდა თავს დამოუკიდებელთან ერთად გატარებული რამდენიმე კვირის გამო. მას დიდი თანხა არ მიუღია სხვების მსგავსად, მაგრამ ხარობდა, რომ მონყალეაზე მეტი მაინც ერგო. ამან კიდევ უფრო განამტკიცა მისი დამახინჯებული წარმოდგენა მეფე ჯეილინის უსასრულო წყალობაზე, რომელიც გარკვეულ საკითხებს ყურადღების მიღმა დატოვებდა.

მოტყუებულმა სქესობრივი ცხოვრება ნამოინყო რამდენიმე გოგონასთან, რომლებსაც სკოლის დროს ხვდებოდა, თუმცა ასეთი ქცევა მიღებულ სწავლებას არ შეესაბამებოდა. იგი ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ხედავდა ამგვარ ცხოვრებაში, რადგან ჯეილინის და მისი სამეფოს არსებობის მტკიცედ სწამდა. მან ცხოვრებისადმი საკუთარი მიდგომა ჩამოაყალიბა: *სანამ ჯეილინის ერთგული ვარ და სხვა ადამიანებს მეტისმეტად ცუდად არ ვექცევი, მეფის წინაშე კარგ მდგომარეობას*




ვინარჩუნებ. მისი აზრით, ჯეილინმა კარგად იცოდა, რომ ყველა ადამიანს გააჩნია საჭიროებები და სრულყოფილი არავინაა. იგი დარწმუნებული იყო ჯეილინის წყალობასა და მადლში, რომელსაც იგი განკითხვის დღეს გამოიჩინდა მის მიმართ, რადგან დიდებული მეფის მთელი გულით სწამდა.

სკოლის დამთავრებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ მოტყუებულმა საკუთარი საქმე წამოიწყო. იგი მშენებელი გახდა. თავდაპირველად მყიდველების პოვნა გაუჭირდა. მის მიერ აგებული სანიმუშო სახლი ყოველმხრივ წუნდაუდებელი იყო, მაგრამ ბინების ყიდვა არავის სურდა. ზოგიერთისთვის მის მიერ დაწესებული ფასები მიუღებელი იყო, სხვები კი საჭირო თანხის უქონლობის გამო თავს ვერ აძლევდნენ ამ მშენიერი სახლების ყიდვის უფლებას. სასონარკვეთილმა მოტყუებულმა ფასების დაწვეა გადანყვიტა.

იგი ამ სანიმუშო სახლს მაინც იყენებდა კლიენტების მოსაზიდად. იგი იმავე დაპირებებს იძლეოდა, რასაც ადრე, მაგრამ ამჯერად მშენებლობისას გაცილებით დაბალხარისხიანი მასალები გამოიყენა. ფაქტობრივად, ზოგიერთი მასალის გამოყენება პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ენდელის კანონებს და სტანდარტებს. მოტყუებულმა თავი გაიმართლა, რომ მშენებლობის კანონმდებლები გადაჭარბებულ სიფრთხილეს იჩენდნენ. იგი დარწმუნებული გახლდათ, რომ მის მიერ არჩეული მასალები ნებისმიერ დატვირთვას ან მეტეოროლოგიურ პირობებს გაუძლებდნენ. ახლა უკვე მოტყუებულის სახლების ყიდვა საკმაოდ სარფიან საქმედ მიიჩნის და ამით იმდენი ენდელელი დაინტერესდა, რომ მოტყუებული კონტრაქტებს უფრო სწრაფად დებდა მათთან, ვიდრე სახლების შენებას ასწრებდა. როგორც იქნა, ბიზნესი ამუშავდა.

რამდენიმე წლის შემდეგ მოტყუებული მიწის ნაკვეთებით დაინტერესდა. იგი დალაღეს მონუნუნე მყიდველებმა. მისი აზრით, მიწის გაყიდვის შემდეგ ყველაფერი დასრულებოდა და ამის შემდეგ საგარანტიო მომსახურებაზე ფიქრი აღარ მოუნედა.

მოტყუებული ალტაცებაში მოიყვანა ნაკვეთმა, რომლის ერთი აკრი, დაახლოებით, ათასი მინდობილი ერთეული ღირდა. ეს საქმე მეტისმეტად კარგი ეჩვენა, რომ სიმართლე ყოფილიყო. შემდგომმა ძიებამ გამოარკვია, რომ მიწა სანიაღვრე ზონაში მდებარეობდა. ეს ინფორმაცია ადამიანთა მცირე ჯგუფმა იცოდა და ყველა მათგანი მოტყუებულის მეგობარი იყო. დამოუკიდებლის ერთ-ერთი ახლობელი საქალაქო საბჭოს



წვერი გახლდათ. მოტყუებულმა იგი ნაკვეთის დამტკიცებაზე დაითანხმა სათანადო გეოლოგიური გამოკვლევების ჩატარების გარეშე. ბოლოს და ბოლოს, ენდელში ცხოვრების მანძილზე არ ახსოვდა, რომ ხსენებული მიწა ოდესმე დატბორილიყო. ნუთუ ეს პრობლემას წარმოადგენდა? საქმე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოგვარდა. ამის შემდეგ ახალგაზრდა მენარმის ცხოვრებას ძალღიჯ არ დაჰყევდა.


## მასწავლებლის თანაშემწე

გაუბედავი გამოშვების შემდეგ რამდენიმე მეგობარ გოგონასთან ერთად საყიდლებზე წავიდა დასვენების დღეებში. მისი აზრით, ეს საქმიანობა სასარგებლო იქნებოდა ორი თვალსაზრისით: პირველი, იგი სასიამოვნოდ გაატარებდა დროს უახლოეს მეგობრებთან ერთად და მეორე, ახალი კარიერის დაწყებისთვის აუცილებელ სამოსს და აქსესუარებს შეიძენდა. გაუბედავის დიდი ოცნება ენდელის სკოლის მასწავლებლის თანაშემწედ მუშაობა გახლდათ. მას არ ახსოვს, რომ რაიმე უფრო მეტად მოესურვებინა. ინტერვიუ მომდევნო პარასკევს იყო დანიშნული.

შოპინგის მეორე დღეს ერთმა მეგობარმა, ჭორიკა-ნამ გაუბედავს გაუმხილა, რომ მათი საერთო მეგობარი, ცილისწამება დირექტორთან მივიდა და ამბავი მიუტანა, თითქოს გაუბედავს რომელიღაც ახალგაზრდა მოსწავლესთან სქესობრივი ურთიერთობა ჰქონდა. გაუბედავმა სიბრაზე გულში ჩაიკლა, როცა ეს ამბავი მოისმინა. მოგონილი ჭორი სრულიად უკარგავდა მასწავლებლის თანაშემწედ გახდომის შანსს. ამ აბსურდულ ტყუილში სიმართლის მარცვალაც კი არ ერია. იგი თავს წმიდად იცავდა სკოლაში ყოფნის პერიოდში. იგი მიხვდა, რომ ვიღაც ცილისწამებამ ეს აშკარა შურის და შესაძლოა, სიძულვილის გამოც კი გააკეთა.

გაუბედავს ბოღმა ახრჩობდა. იგი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა და დარჩენილი უქმეების მანძილზე მისი გონება მთლიანად დაიპყრო ეგრეთ წოდებული მეგობრის ღალატმა. მან დაიფიცა, რომ ცილისწამებას ამ საქციელს აზღვევინებდა.

მოახლოვდა გასაუბრების დღე და გაუბედავის გასაკვირად, თანაშემწედ დაადგინეს. დირექტორმა განუცხადა, რომ მოსმენილი ჭორი გადაამონმა და ამ საქმეში მისი უდანაშაულობა დაადგინა.




გაუბედავი არა მარტო აიყვანეს სამუშაოზე, არამედ მისი საყვარელი მასწავლებლის თანაშემწედაც დანიშნეს. მას ორმაგი ცხოვრება ერქვა და სკოლის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერ პედაგოგად ითვლებოდა. იგი ოცდახუთი წლის იყო და გარკვეული ასაკის ენდელელებს ხელმძღვანელობდა (მასწავლებელთა განკითხვა არ ხდებოდა სხვების მსგავსად ოცი წლის ასაკში, არამედ ოცდაათი წლის შესრულებისას). გაუბედავი გაოცებული იყო, რომ ასეთ დინამიურ მასწავლებელთან მუშაობა ხვდა წილად.

სემესტრი დაიწყო და ყველაფერი საუკეთესოდ წარიმართა. თუმცა გაუბედავის გულს მაინც ღრღნიდა მეგობრისგან მიყენებული წყენის გრძნობა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენად კარგად მიდიოდა საქმეები. მან ვერაფრით აპატივა ცილისწამებას ჩადენილი ღალატი.

თითქოს ყველაფერი დიდებულად იყო, მაგრამ თანდათან ერთი პრობლემა მნიფდებოდა. ორმაგი ცხოვრების სახელი მის ხასიათზე მეტყველებდა. მისი როგორც მასწავლებლის ცხოვრება საგრძნობლად განსხვავდებოდა მისი პირადი ცხოვრებისგან. მისი განკითხვა მეტად მკაცრად წარიმართებოდა, რადგან მასწავლებლებს ჯეილინის პირადად ნახვის პატივი ერგებოდათ.

ერთ საღამოს, როცა გაუბედავი და ორმაგი ცხოვრება მარტონი იყვნენ, ამ უკანასკნელმა ფლირტი წამოიწყო. ელდანაცემი და შეურაცხყოფილი გაუბედავი მაშინვე გაიქცა. მასწავლებელი ამან ვერ შეაჩერა და მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში გოგონას მოსვენებას არ აძლევდა. ბოლოს მას ეჭვი შეეპარა თავდაპირველი რეაქციის მართებულობაში და ორმაგი ცხოვრების დამარწმუნებელ სიტყვებს ყური უგდო – ის ხომ ასე დიდი და მცოდნე ადამიანი იყო. გაუბედავს სიამოვნებდა მისი ყურადღება. მასწავლებელი თავაზიანი და კეთილი გახლდათ და საზოგადოებაში ერთ-ერთ ყველაზე სასიამოვნო გარეგნობის კაცად ითვლებოდა. ხანგრძლივი შინაგანი ჭიდილის შემდეგ გაუბედავი დანებდა და თავისი ქალწულობა ორმაგ ცხოვრებას მიუძღვნა. ამის შემდეგ ორს შორის მგზნებარე რომანი გაჩაღდა.

გაუბედავს არასოდეს გამოეცადა ვნებისა და სიყვარულის ამგვარი აღმაფრენა. ორმაგი ცხოვრების ყოველი დანახვისას სუნთქვა ეკვროდა. მასთან საღამოობით შეხვედრებზე ფიქრებმა იმდენად მოიცვა ქალის გონება, რომ დროებით ცილისწამების მიმართ გულში ღრმად დაფარული წყენაც კი დაავიწყდა.



გავიდა ოთხი თვე და ორმაგმა ცხოვრებამ მოულოდნელად იგი მიატოვა. გაუბედავი გადარეული და განადგურებული იყო. მას მიზეზი უნდა სცოდნოდა. გონებაში აღიდგინა ყველა შეხვედრა და კაცს პასუხი მოსთხოვა. ბოლოს ორმაგმა ცხოვრებამ უთხრა, რომ ცილისწამებისგან გაიგო თანასკოლელ ბიჭებთან მისი ადრინდელი სიყვარულის ისტორიები. ეს არ იყო მამაკაცის შეცვლის ნამდვილი მიზეზი; მან უბრალოდ გაუბედავის მიმართ ინტერესი დაკარგა. იგი უკვე სხვა ახალგაზრდა გოგოს აწონებდა თავს. გოგონებითვის ადვილი არ იყო ამ გამოჩენილი მასწავლებლის მაცდუნებელი და დამარწმუნებელი ზეგავლენისთვის წინააღმდეგობის განწევა.

გაუბედავი მეტისმეტად შეურაცხყვეს. მისთვის უკვე წარმოუდგენელი იყო ორმაგ ცხოვრებასთან ყოველდღიური შეხვედრა. ასე გაგრძელება აღარ შეეძლო და ქალი სკოლაში მუშაობას სასწრაფოდ გამოეთხოვა.

რამდენიმედღიანი უგუნებობის შემდეგ გაუბედავმა საკუთარი სილამაზის სალონი გახსნა ორმოცი ათასი მინდობილი თანხიდან დარჩენილი ფულით. მან ენდელის სკოლაში ყოველკვირეულ შეკრებებზე სიარული შეწყვიტა ჯელინის გაფრთხილების მიუხედავად, რომ მის ქვეშევრდომებს ეს შეხვედრები არ მიეტოვებინათ. გაუბედავს არ უნდოდა რაიმე საერთო ჰქონოდა თვალთმაქცებთან, ხოლო იქ შეკრებილთა უმრავლესობა სწორედ ასეთებად მიაჩნდა.

გაუბედავის გული თანდათან ქვაფეხობდა. იგი ჯელინის სკოლას იშვიათად ახსენებდა. ადრე მის მიერ უშურველად გამოხატული ენთუზიაზმი გულგრილობამ და ცინიზმმა ჩაანაცვლა. რომ გეკითხათ, გაუბედავი ჯელინის მომხრეობას აღიარებდა, მაგრამ გულის სიღრმეში მასვე ადანაშაულებდა იმ გაფუჭებული მასწავლებლის სკოლაში დაშვების გამო.

გარკვეული დროის შემდეგ მისი გამოცდის პერიოდი დასრულდა და გაუბედავი განაწყენებულ და გამწარებულ ადამიანად იქცა, თუმცა ამას თავგამოდებით უარყოფდა. მან დარჩენილი ცხოვრება მის შეურაცხმყოფელთათვის ანგარიშის გასწორებაში გაატარა.

## ენდელის მერი

ახლა კი ეგოისტს მივუბრუნდეთ. იგი მეტისმეტად გააკვირვა მიღებული თანხის ოდენობამ. ახალგაზრდა ზეიმობდა, მაგრამ საკმარისად კარგად იცოდა ჯელინის მოძღვრება, ამიტომ





უნესო საზოგადოებას თავს არიდებდა. რამდენიმე დღით დასვენების შემდეგ მან ინვესტიციების დაბანდება წამოიწყო. ვაჭრობა სარფიანი გამოდგა და სანყისი თანხა სწრაფად გამრავლდა. ფინანსური შესაძლებლობების ზრდის კვალობაზე თანატოლებში მისი პოპულარობაც იზრდებოდა.

ეგოისტმა სახლი შეიძინა ენდელის ერთ-ერთ უმშვენიერეს რაიონში და გავლენიანი და ძლიერი ხალხი დაპატიჟა. მთავრობის ჩინოვნიკებმა, პროფესიონალმა სპორტსმენებმა, ბიზნესმენებმა და სხვა ელიტურმა საზოგადოებამ დიდად ისიამოვნეს მისი უხვი სტუმართმოყვარეობით. იგი სწრაფად იქცა საზოგადოებაში გავლენიანი კავშირების მქონე ადამიანად.

სამი წლის შემდეგ ეგოისტმა ქალაქის მერის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და ფინანსური მდგომარეობისა და საჭირო კავშირების მეშვეობით ადვილად გაიმარჯვა. თუმცა თანამდებობის დაკავების შემდეგ მის წინაშე მრავალი პრობლემა წამოიჭრა. ერთ-ერთი საკითხი ენდელის სკოლას შეეხებოდა. მოსახლეობის ზრდასთან ერთად სკოლას მეტი სივრცე სჭირდებოდა. ეს ყველაფერი ნაკვეთის ყიდვას, მშენებელთა დაქირავებას, სამშენებლო ხარჯებსა და სკოლის მონყობას გულისხმობდა.

პირველი ნაბიჯი ხალხში ფონდების მოზიდვა გახლდათ. ყოველკვირეულ საქალაქო შეკრებებზე ეგოისტმა გაიგო, რომ ფინანსები არასაკმარისი იყო. სახსრების შესაგროვებელი პერიოდის დასასრულს მის ხელთ მხოლოდ ათასამდე მინდობილი ერთეული აღმოჩნდა.

ამის შემდეგ რთული გადაწყვეტილების მიღების დრო დადგა. ბოლოს და ბოლოს, სკოლას ერთი კონკრეტული მიწის ნაკვეთის ყიდვის საშუალება მიეცა. ეს საოცრად კარგი გარიგება იყო და ღირებულებაც ბიუჯეტის ფარგლებში ჯდებოდა. და მაინც, ერთმა დიდმა უნივერსიტეტმა იგივე ნაკვეთის შეძენის სურვილი გამოთქვა. ქალაქის საბჭოს აზრი შუაზე გაიყო. სკოლა არაკომერციულ ორგანიზაციას წარმოადგენდა და მისგან რაიმე გადასახადის ამოღება გამორიცხული იყო. მეორე მხრივ, მაღაზია დიდ მოგებას მოიტანდა და ქალაქის მკვიდრთათვის დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნიდა.

ხმების გაყოფის გამო გადამწყვეტი ხმის უფლება ენდელის მერს ერგო. ეგოისტის გულში წინააღმდეგობამ იჩინა თავი. მაღაზიის მფლობელებმა დიდი მხარდაჭერა გაუწიეს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების თუ მის სასარგებლოდ გავლენის გამოყენების თვალსაზრისით. მის სახლშიც არაერთხელ ყოფილან მოწვეულები.



ეგოისტმა მაღაზიის გაფართოებას მხარი დაუჭირა. მიღებული გადაწყვეტილება საზოგადოების წინაშე ენდელის მოქალაქეთა საყოველთაო სიკეთის მოტივით გაამართლა. მან გზა მისცა მეტი დასაქმების შესაძლებლობას და ქალაქის შემოსავლის ზრდას. ეგოისტის რჩევით, სკოლას გაფართოების შანსი უკვე არსებულ ტერიტორიაზე უნდა მოეძებნა, თუმცა მშენიანებელმა უნდოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. მისმა არჩევანმა ჯეილინის წრფელ მიმდევრებს იმედი გაუცრუა, მაგრამ დანარჩენი საზოგადოება ამ გადაწყვეტილებას ოვაციით შეხვდა.

ეგოისტის ორწლიანი ვადა დასასრულს უახლოვდებოდა და მომდევნო არჩევნებისთვის მზადების დრო მოვიდა. სინანულის გრძნობით სავსე მერმა ენდელის სკოლას ხუთი ათასი შესწირა. ამასთან ერთად, ხელმძღვანელობას მშენებლობისთვის შესაფერისი მიწის ნაკვეთის მოძებნის დაპირება მისცა.


ამან კვლავ მოუპოვა ჯეილინის მომხრეთა კეთლგანწყობა. ჩანდა, რომ ახალგაზრდა წინამძღოლი მეორე ვადითაც ადვილად გაიმარჯვებდა.

### რესტორნის მფლობელი

მონყალებამ სკოლის დამთავრების შემდეგ სამი ათასი გაიღო ენდელისთვის ნაკვეთის შესაძენად მისთვის მონდობილი ოცდახუთი ათასიდან. იგი მადლიერებით სავსე იყო მასწავლებლებისგან შეძენილი ცოდნის გამო და ამით სურდა გამოხატვა. დარჩენილი ოცდაორი ათასით მან, ბოლოს და ბოლოს, შეძლო რესტორნის გახსნა.

მონყალებას ყველაფერი მოსწონდა, რაც კულინარიის ხელოვნებას უკავშირდებოდა. ამასთან ერთად, იგი სალად მოაზროვნე საქმიანი ქალი გახლდათ და ისე ჩანდა, რომ რესტორნის მართვა მისი უნარების გამოვლენისა და საზოგადოებისთვის სამსახურის განწევის საუკეთესო საშუალება იყო. მან შეძლო და ქვეყნის მასშტაბით საუკეთესო მზარეულები მოიწვია. მათი ცოდნის გამოყენებით საუკეთესო მენიუ შეადგინა. მონყალების რესტორანს მაშინვე წარმატება ხვდა წილად.

ახალგაზრდა ქალმა რამდენიმე ჯილდოც მიიღო რესტორნისთვის, მაგრამ ამ წინსვლას ყოველთვის ჯეილინის სიბრძნეს უმადლოდა. ინტერვიუებში არაერთხელ გადაუხადა მადლობა თავის მასწავლებლებს და კარგი თანამშრომლები შეაქო. მას არ სურდა საკუთარი მცდელობებით ტრიახი და წარმატების



დაჩემება, რადგან კარგად იცოდა, რომ ეს ჯეილინის დამსახურება იყო.

მონყალეზამ ეკონომიური კეთილდღეზა საზოგადოებისა და ენდელის სკოლის სასარგებლოდ გამოიყენა. იგი საჭმელს აწვდიდა სკოლის სამზარეულოს. ხშირად იგი სალამოობით მუშაობდა გაჭირვებულთათვის საკვების დასარიგებლად. მას ცხელი საჭმლით ღარიბების გამასპინძლება სიამოვნებდა. მონყალეზამ პირობა დადო, რომ რესტორნის მოგების 25 %-ს სკოლას გადაურიცხავდა. ხუთი წლის შემდეგ მას ორას ათასზე მეტი მინდობილი ერთეული ჰქონდა გაღებული.

მონყალეზა ყოველთვის ეხმარებოდა მშრომელ ადამიანებს, რომლებსაც მაინც უჭირდათ ოჯახის შენახვა. იგი ფინანსური დახმარების გარდა მათ ჯეილინის სიბრძნისა და წარმატების პრინციპებსაც უზიარებდა. იგი მუდამ ახსენებდა ასეთ ხალხს, რომ ჯეილინის გარეშე ვერაფერს მიაღწევდა.


მიუხედავად იმისა, რომ მონყალეზის რესტორანი ყვაოდა, ეგოისტის სახლში გამართულ სოციალურ ივენთებზე ვერასოდეს მოხვდა. არც საზოგადოებიდან მიუღია რაიმე შემოთავაზება ხელმძღვანელად დანიშვნის თაობაზე. მას ჯეილინის უკიდურეს მიმდევრად მიიჩნევდნენ. გავლენიანი ენდელელების მიერ უარყოფას მონყალეზისთვის მხნეობა არ დაუკარგავს. მისი ყურადღება მიმართული იყო ნაკლებად იღბლიან ხალხზე. მას ძალიან მოსწონდა სკოლის ყოველკვირეული შეკრებები და ყოველთვის მზად იყო სხვადასხვა სახით დახმარების გასაწევად ან მოსამსახურებლად. მონყალეზა შემდგარი ახალგაზრდა ქალი გახლდათ.

## წინასწარ დანიშნული განკითხვის დღე

საბოლოო გამოცდის დღე ახლოვდებოდა. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში განკითხვის გარდაუვალობის შესახებ ყველამ იცოდა, რადგან პირველი ხუთი წელი უკვე გავიდა. თუმცა მაინც არ ეგონათ, რომ ეს ასე მალე მოხდებოდა.

ის დღე სხვა ჩვეულებრივი დღეებივით დაიწყო, მაგრამ სრულიად სხვაგვარად დასრულდა. გვიან ღამით აფაბელის სამეფო მცველებმა ორი ათასი სკოლადამთავრებული გაიტაცეს. ეს იდუმალი მოვლენა მაშინ მოხდა, როცა სხვა ენდელელებს ეძინათ.

ორი ათასი ახალგაზრდა მოქალაქე საიდუმლო გასასვლელით გაიყვანეს. ეს გახლდათ ღრმა გვირაბი, რომლის მეშვეობითაც ისინი მდინარე ადონგის მეორე ნაპირზე



აღმოჩნდნენ. არხს რომ თავი დააღწიეს, კიდევ ორი დღე მოშიშვლებულ უდაბნოში მიდიოდნენ. მთავარი მცველი ყველა მათგანის საჭიროებას აკმაყოფილებდა საკვების, წყლისა და სხვა ნივთების მარაგიდან.

მცველები მეტად თავაზიანად იქცეოდნენ, მაგრამ სიტყვაძინები ჩანდნენ. მთელი მათი ენერგია შესასრულებელი დავალებისკენ იყო მიმართული. ენდელელთა ზოგიერთი კითხვა ნაპასუხები იქნა, სხვები კი – არა. მცველების სტანდარტული პასუხი ასეთი გახლდათ: „ყველაფერს თავის დროზე გაიგებთ“.


ეს კიდევ უფრო ამძაფრებდა მოგზაურთა ცნობისმოყვარეობას. ენდელელებს თითქმის არ უგრძენიათ უნაყოფო მიწებზე მგზავრობის უხერხულობა, რადგან დიდი ხნის ნანატრი ქალაქისკენ მიემართებოდნენ. მესამე დღის განთიადზე ერთ გორაკს მიადგნენ. ამომავალი მზის შუქზე დიდებული ქალაქი გამოიკვეთა. აფაბელი იმაზე გასაოცარი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინათ.

ქალაქთან მიახლოების კვალობაზე მისი სიდიადე კიდევ უფრო გაიზარდა და განივრცო. დაბლობების მხრიდან მიახლოებაც კი ვერ უკარგავდა აფაბელს შეუდარებელ სილამაზეს. ენდელი უღიმღამო ჩანდა ქალაქის გარეუბნების ფონზეც კი.

როცა ენდელელი კაცები და ქალები ქალაქის მთავარ ნაწილს მიუახლოვდნენ, აღმოაჩინეს, რომ აფაბელში ყველაფერი მეტისმეტად ცოცხალი იყო. ამ საოცარ ადგილას ჩიტები არა მარტო გალობდნენ, არამედ ლაპარაკის ნიჭიც ჰქონდათ. მათი საოცარი და მელოდიური სიმღერა ირგვლივ არსებულ სილამაზეს განმარტავდა და მასვე ემსახურებოდა ქალაქის სიდიადის კიდევ უფრო გასაზრდელად.

ენდელელებს ეს მაინცდამაინც არ გაკვირვებიათ, რადგან დაინახეს, როგორ ლაპარაკობდნენ სამეფო გვარდიის ცხენები. ეს კეთილშობილი ცხოველები არა მარტო ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, არამედ მხედრებსაც გადაულაპარაკებდნენ ხოლმე. ცხადი იყო, რომ ცხენებსა და მცველებს შორის მეგობრული დამოკიდებულება არსებობდა. ახლა ნათელი ხდებოდა, რომ აფაბელის ყველა ქმნილება ლაპარაკის ნიჭით იყო დაჯილდოებული და მეგობრობისა და სიხარულის განცდის უნარიც ჰქონდათ.

საითაც არ უნდა მიბრუნებულიყვნენ ახალგაზრდა ენდელელები, მათ წინაშე სუნთქვისშემკვრელი სანახაობა იშლებოდა. აფაბელის ნახვამ ისინი უდიდესი მოწინებით აავსო და დაატყვევა. თავად ჰაერიც მაცოცხლებელი იყო. ის მათ




გონებას წმენდდა და მოგზაურობისგან გადალლილ სხეულებსაც ძალით აღავსებდა. ქალაქის შუაში მომდინარე წყალმა მათი დაინტერესება გამოიწვია. ის რალაცნაირად გაჯერებული ჩანდა, თითქოს სიცოცხლით ბრწყინავდა. ატმოსფერო მომაჯადოებელი მუსიკის ჰანგებით იყო გაჟღენთილი და მათ აღელვებულ გულებს სიმშვიდით ავსებდა. ყველაფერი, პანანინა მცენარიდან დანყებული და ჰაერით დამთავრებული, ცოცხალზე მეტი იყო. ყველაფერს სიცოცხლის წარმოშობის უნარი გააჩნდა. ყოველი ელემენტი სავსე იყო და ამ სასწაულებრივ ქვეყანაზე იღვრებოდა.

დიდებული ქალაქისკენ მიმავალი ახალგაზრდა მოქალაქეები ველარ ითმენდნენ, რომ ხელით არ შეხებოდნენ ყველაფერს, რაც მათ სიახლოვეს აღმოჩნდებოდა. ერთი სული ჰქონდათ, სანამ გაიქცოდნენ და ყველაფერს გამოიკვლევდნენ, მაგრამ იცოდნენ, რომ ახლა ეს დაუშვებელი იყო.

ისინი უზარმაზარი აუდიტორიის ფართო მისაღებში შეიყვანეს. აქ მამაკაცები და ქალები განაცალკევეს. დანარჩენი ნაგებობა, სადაც ახალგაზრდები შეიყვანეს, იმდენად ვრცელი იყო, რომ უსაზღვრო რაოდენობის ხალხს იტევდა. მასში უპრობლემოდ მოთავსდებოდა, სულ მცირე, ასი ათასი ადამიანი.

შუადღისას ენდელელებს სურნელოვანი აბაზანით ან შხაპით გაგრილების უფლება მისცეს და მეფესთან წარსადგომად სამოსელი დაურიგეს. ყველას ძალიან გაუხარდა ენდელის ჭუჭყიანი ტანსაცმლის მოშორება. მათი ძველი სამოსი საშინლად და შეუფერებლად გამოიყურებოდა ამ ბრწყინვალე ქალაქის ფონზე. აფაბელში ცხოვრების მძაფრი სურვილი ღრმად იყო ჩადებული თითოეული ენდელელის შინაგანში. მათ მშობლიურ სახლში დაბრუნების უცნაური გრძნობა გაუჩნდათ.

ბანაობისა და ჩაცმის შემდეგ ჯგუფი საჭმელად შეიკრიბა. სასაუზმე მაგიდები უზარმაზარ შიდა ეზოში მოეწყოთ, სადაც მათ დანაყრებისა და ერთმანეთთან ურთიერთობის მოკლე დრო მისცეს. საუზმის შემდეგ ისინი კვლავ დააშორეს ერთმანეთს და ამჯერად ეს სახელების ამოძახებით მოხდა. მონყალეა, ეგოისტი და სხვა, დაახლოებით, ხუთასი ადამიანი გვერდით მდებარე დარბაზში გაიყვანეს. გაუბედავი, მოტყუებული და დამოუკიდებელი დარჩენილ ათასხუთასთან ერთად მარცხნივ მდებარე აუდიტორიაში განათავსეს. როცა ისინი დარბაზებში შევიდნენ, შენიშნეს, რომ თითოეულის კარის წირთხლზე მათი



დასახელება იყო ამოკვეთილი. სახელები მეტად უცნაური ჩანდა და ახალგაზრდა ენდელელებისთვის უცნობ ენაზე ეწერა. ერთ-ერთი აუდიტორიის სახელი იყო სიცოცხლის დარბაზი, ხოლო მეორისა – სამართლის დარბაზი.

## სამართლისა და სიცოცხლის დარბაზებში

მარცხენა დარბაზის ზღურბლის გადაბიჯებისას დამოუკიდებელს უცნაური აღელვება დაეუფლა, რომელიც თითქმის შეძრწუნებაში გადაიზარდა. მან სკოლის მოგონებების აღდგენა სცადა და ჯეილინის შესახებ გაგონილი მწირი ინფორმაციით თავი გაიმხნევა. ეს ყველაფერი ახლა მეტად დამაბნეველი იყო. მას გულში სინანულის გრძნობა აღედრა ამდენი გაცდენილი გაკვეთილის გამო.

აშკარად ჩანდა, რომ დამოუკიდებელი შეცდა – ქალაქი და მეფე ნამდვილად არსებობდა. იგი მონოლითი შიშის დათრგუნვას შეეცადა და ყურადღება ჯეილინის სიყვარულისა და მონყალე ბუნების შესახებ გაგონილს მიაპყრო. ახლა მას არ სურდა ჯეილინის სამართალსა და სინმიდეზე ფიქრი, თუმცა გონებაში მისი სწორედ ეს თვისებები აეკვიცა. დამოუკიდებელი თავს იმ მოგონებებით ინუგეშებდა, რომლებიც მის კარგ მოქალაქეობაზე მეტყველებდა და არც საზოგადოების საჭიროებებისთვის მოხალისეობის მომენტები ავიწყდებოდა.

დამოუკიდებელმა ღრმად ამოისუნთქა და თვალი მოავლო კომპანიას, რომელშიც ახლა იმყოფებოდა. შეუძლებელი იყო არ შეემჩნია, რომ ენდელის ყველაზე ცუდ საზოგადოებასთან ჰქონდა საქმე. მან იცნო ქურდები, ყალთაბანდები და ლოთები. მათ შორის იყვნენ უსაქმურები და თუ ზოგიერთები შრომობდნენ კიდეც, ყველაფერს თავიანთი სარგებლობისთვის იყენებდნენ. მისმა შიშმა პიკს მიაღწია, მაგრამ პანიკის მოზღვავეებისას უცებ გაუბედავს მოკრა თვალი. დამოუკიდებელმა თვალები დახუჭა და შვებით ამოისუნთქა. მას უცებ მოაგონდა, რომ გოგონა კლასში ჯეილინის ყველაზე გამორჩეული და მხურვალე მიმდევარი გახლდათ. გაგონილი არ ჰქონდა, რომ იგი სკოლაშიც მუშაობდა? თუ ეს გოგონა მასთან ერთად იყო დარბაზში, იქნებ ყველაფერი მის სასიკეთოდ შემოტრიალებულიყო.

დამოუკიდებელი გაუბედავის მიმართულებით დაიძრა და მოულოდნელად მოტყუებულს შეეფეთა. აი, კიდეც ერთი კარგი ნიშანი! თუ გაუბედავთან მაინცდამაინც ახლო ურთიერთობა ვერ შეინარჩუნა, მოტყუებულს ხომ ძლიერ მორწმუნედ




იცნობდა. ისინი ჯეილინზეც კი ერთად მსჯელობდნენ. დამოუკიდებელს გუნება მაშინვე გამოუკეთდა, როცა ძველ მეგობარს გადაეხვია.

მოტყუებულის ქცევის მანერა ხმაურიანი და დადებითი იყო. ორი კაცი საუბარში გაერთო და დამოუკიდებლის შიშიც განელდა. ჯეილინის მოწყალება გაცილებით დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მათ წარმოედგინათ. ნახეთ, როგორ იოლად აპატია ისეთ ადამიანებს, რომლებზედაც ამას საერთოდ ვერ იფიქრებდა. როგორ შეიძლებოდა ეს სიმართლე არ ყოფილიყო? განა დიდი მასწავლებელი ორმაგი ცხოვრება მათგან ორ ნაბიჯზე არ ჩანდა? დამოუკიდებელი დარწმუნდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. და მაინც, მას ცოტათი აღელვებდა მოწყალებისა და ეგოისტის არყოფნა. ასევე შეუძლებელი იყო იმის უგულებელყოფა, რომ ზოგიერთები მოთქვამდნენ დარბაზის კუთხეებში. იქნებ ისინი ჯეილინის სიკეთის გაცნობიერებამ აატირა?!

მეორე დარბაზიც ემოციით სავსე გახლდათ. სკოლის დასრულების შემდეგ დაკარგული მეგობრები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. ყოველ საუბარში მოზღვავებული აღტაცება იგრძნობოდა: ისინი მალე ჯეილინს იხილავდნენ! დადგა მათ ჭეშმარიტ მიზანსა და აღთქმულ ბედისწერასთან შეხვედრის ჟამი.

ყველა იქ მყოფი ჟრიაშულით გამოხატავდა ამ საოცარი ქალაქის ხილვით მოგვრილ აღფრთოვანებას. მათ ყოველთვის იცოდნენ, რომ ის ენდელზე უკეთესი იქნებოდა, მაგრამ პირველმა შთაბეჭდილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ამის დატევა შეეძლოთ. ნუთუ სინამდვილეს შეესაბამებოდა ის, რომ დარჩენილ ცხოვრებას ამ დიდებულ ადგილას გაატარებდნენ? ნებისმიერი მათგანი ამგვარი პატივის სანაცვლოდ იატაკის მწმენდავობასაც სიამოვნებით დათანხმდებოდა! ყველა იქ მყოფმა კარგად უწყოდა, რომ ისინი ჯეილინის მიმდევრები იყვნენ, თუმცა დრო გავიდა და ოთახი ამაღელვებელმა დამოკიდებულებამ მოიცვა. იყვნენ კი ერთგულები? ამას დრო მალე აჩვენებდა. თავმდაბალი მსახურების აღტაცებას შიშის გრძნობაც შეეპარა თავიანთ მეფესთან შეხვედრის მოლოდინში.

პირველად სიცოცხლის დარბაზში შეკრებილები უნდა განეკითხათ. თუმცა ამას მოგვიანებით დაეუბრუნდებოთ. ამჟამად კი ჩვენი თხრობა სამართლის დარბაზში გადაგვიყვანს.



## სასამართლო უწყებები

შუადღე დადგა. სამართლის დარბაზის მკვიდრები, ასეთუ ისე, გამხნევდნენ და თავი ინუგეშეს, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. ისინი ნებისმიერ გაურკვეველობას ან მათ რწმენასთან შეუთავსებლობას ჯეილინის მოწყალებით ან მისი გზების იდუმალებით ხსნიდნენ. ამგვარი ფიქრი ამშვიდებდათ.

დარბაზში მყოფი ათას ხუთასი ენდელელისგან პირველი დამოუკიდებელი გამოიძახეს. განკითხვის დიდ დარბაზში მის წასაყვანად ოთხი სამეფო მცველი მოვიდა. მან საზეიმო განწყობილების შესანარჩუნებლად გაიღიმა და ერთ-ერთ მცველს თვალი ჩაუკრა, რომელმაც ოთახიდან გასვლისას შეხედა. ახალგაზრდა კაცი გაკვირვებული დარჩა, რომ მის ამ შესტს არ გამოეხმაურნენ.

დამოუკიდებელს ისევ წამოეშალა ეჭვები, როცა მის ზურგს უკან დარბაზის კარი დაიხურა. გული ამოვარდნას ჰქონდა. ისეთი ბაგაბუგით უცემდა, რომ ეგონა, მცველებსაც კი ესმოდათ მისი ხმა. ასეც რომ ყოფილიყო, ამის არავითარ ნიშანს არ ამჟღავნებდნენ. ძალიან მოუნდა, მოტყუებულიც თან ხლებოდა. იგი მალე წარდგებოდა მსაჯულის წინაშე და მარტო ყოფნა ნამდვილად არ სურდა. დამოუკიდებელი სწრაფად კარგავდა მხნეობას.

სანამ დიდ დარბაზში შევიდოდნენ, ერთ-ერთმა მცველმა შესაბამისი ოქმი ჩაუკითხა. იგი თავს უქნევდა, მაგრამ შიშობდა, რომ ნათქვამს ვერ დაიმახსოვრებდა. გულისცემა ყურებში ესმოდა და მის სმენას საფრთხეს უქადდა. მცველმა დამოუკიდებლის თანხმობაზე, რომ პროცესის თანმიმდევრობა გაიგო, თავი დაუკრა და დიდ დარბაზში შემავალი კარები ფართოდ გააღო.

დამოუკიდებელმა პირველი ნაბიჯი გადადგა უზარმაზარი დარბაზისკენ და თან მთელი ტანით თრთოდა. ყოველთვის ცივ შუბლზე ახლა ხვითქი გადასდიოდა. გზა სრულიად ერეოდა, რადგან ნანახმა აზროვნების უნარი დაუკარგა.





### თავი 3

## წიგნის სწავლა: განკითხვის შიშველი დღე

„ყოველივე ამას იესო იგავებით ელაპარაკებოდა ხალხს;  
იგავის გარეშე არაფერს ეუბნებოდა. რათა აღსრულებულიყო  
წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი, რომელიც ამბობს:  
„იგავებით გავხსნი ჩემს პირს. ვიტყვი, რაც წუთისოფლის  
დასაბამიდანაა დაფარული“.

მათ. 13:34-35


სანამ ჩვენს ალეგორიულ თხრობას გავაგრძელებდეთ, მინდა, ერთხელ კიდევ განვმარტო იესოს ნათქვამი მომავალ განკითხვასთან დაკავშირებით. მან იოან. 12:48-ში განაცხადა: „სიტყვა, რომელიც წარმოვთქვი, განიკითხავს მას უკანასკნელ დღეს“. ჩვენთვის უკვე ცნობილია სტანდარტი, რის მიხედვითაც გავსამართლებით მისი ტახტის წინაშე: ეს გახლავთ წმიდა წერილი. ამის გამო ტექსტზე მინაწერი რიცხვი ხშირად გამოჩნდება ჯეილინის მიერ წარმოთქმულ ფრაზებთან განკითხვის დარბაზში განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ. რიცხვები ბიბლიის სხვადასხვა თარგმანის მუხლებზე მიუთითებს, რომლებსაც წიგნის დასასრულს იპოვით. ჯეილინის სიტყვების უმეტესი ნაწილი წმიდა წერილიდან არის შედგენილი იმგვარად, რომ თხრობაში წარმოდგენილ ამა თუ იმ პერსონაჟს შეესაბამებოდეს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით აფაბელის ამბავს მივუბრუნდეთ.

### დამოუკიდებლის გასამართლება

დიდი დარბაზი გაცილებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა, ვიდრე დამოუკიდებელს წარმოედგინა. გარეთ მომლოდინე ათას ხუთასი ადამიანისთვის მისი განცდების გადაცემის საშუალება რომ მიეცათ, ალბათ, სიტყვებს ვერ იპოვიდა მისი გრანდიოზულობის აღსაწერად. ენდელის ყველაზე მაგარი





შენობები მის არქიტექტურასთან შედარებით მოძველებული ჩანდა. დარბაზი თავისუფლად დაიტევდა ერთდროულად ასი ათას ადამიანს. დამოუკიდებელს ამდენი ხალხი ერთ ადგილას არასოდეს ენახა.

მიახლოებისას მან თვალი გადაავლო აფაბელის მოქალაქეებს. პირველ რიგში, შენიშნა, რომ მათ გაბრწყინებული სახეებს მეფური იერი ჰქონდა. დამოუკიდებლის გონებაში ნაგვიანვე აზრად გაიბრინა გაკვირვებამ მათი ენით აღუნერელი სილამაზის გამო. თითქოს ისინი სხვა სამყაროდან იყვნენ. ამგვარი გარდაქმნის მიზეზი გახლდათ სიცოცხლის ხის ნაყოფი, რომლის ქამა ნებადართული ჰქონდათ.

დამოუკიდებელი დაინტერესდა, *ეს ადამიანები ნამდვილად ძველი ენდელელები იყვნენ თუ არა?* შემდეგ მან ერთ-ერთი ნაცნობი აღმოაჩინა. მას სათნოება ერქვა და დამოუკიდებელზე რამდენიმე წლით უფროსი იყო. ახალგაზრდა კაცს გაახსენდა, როგორ დასცინოდნენ გოგონას შეუხედავი გარეგნობის გამო. ახლა ის დიდებულად გამოიყურებოდა. სახის ნაკვთები იგივე ჰქონდა და მისი ცნობა შეიძლებოდა, მაგრამ ახლა გაცილებით ლამაზი იყო, ვიდრე რომელიმე სხვა ენდელელი. ფაქტობრივად, აფაბელის ნებისმიერი მკვიდრი, თუნდაც ყველაზე ულამაზო, მშობლიურ ქვეყანაში ნანახ ადამიანებზე გაცილებით მიმზიდველი გახლდათ.


თავდაპირველი ელდის გავლის შემდეგ დამოუკიდებელმა შენიშნა, რომ ყველა იქ მყოფის ყურადღება მის წინ არსებული ადგილისკენ იყო მიმართული. ამის მსგავსი მას არასდროს არაფერი ენახა.

ეს გახლდათ ტახტი. ამგვარი უბრალო აღწერა უსამართლო იქნებოდა, რადგან ეს ყველაზე დიდებული ტახტი გახლდათ. დამოუკიდებელს თვალები მასზე მჯდომისკენ გაექცა და მეყსეულად გააცნობიერა, ვინ იყო ქალაქის სიდიადის წყარო. ყველაფერი ტახტზე მჯდომარისგან მოდიოდა.

– *ეს ჯეილინი უნდა იყოს,* – გაიფიქრა დამოუკიდებელმა.

მოულოდნელად მან სრულად ირწმუნა იგი, თუმცა ადრე თავგამოდებით უარყოფდა.

ჯეილინის სახის ნაკვთები სანდომიანი, მაგრამ მკაცრი იყო, ყოველ შემთხვევაში, ამ დროისთვის. შესანიშნავი და ამავედროულად, შიშის მომგვრელი უფრო ზუსტი აღწერილობა იქნებოდა. მთელი მისი გარეგნობა თრთოლვას მოგვკრიდათ. რაც უფრო უახლოვდებოდა დამოუკიდებელი ტახტს, მით უფრო იზრდებოდა ძრწოლა მის გულში. არცთუ დიდი ხნის



წინ მოპოვებული სიმხნევე სრულიად დაკარგა. რა ელოდა მას?

დამოუკიდებელი მთელი ძალით ცდილობდა თავის ხელში აყვანას და თან იმეორებდა, რომ იგი მონყალე მეფეს უახლოვდებოდა. მის გონებაში ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები ტრიალებდა. ახლა უკვე ეჭვობდა, რომ განკითხვა მისთვის სასურველი შედეგით დასრულდებოდა.

წინ მიმავალ დამოუკიდებელს ვინრო ბაქანზე გაჩერება უბრძანეს. მას თავზე გადმოჰყურებდა ტახტზე მჯდომი ჯეილინი. იგი მტკიცე და მიზანმიმართული პიროვნება გახლდათ. მან შეკრებილებს მიმართა:

– გაიგებს ყველა, ... რომ მე ვიკვლევ თირკმელებსა და გულებს (აზრებს, გრძნობებსა და მიზნებს); და ყოველ თქვენგანს თავისი საქმეების მიხედვით მივუზღავ (როგორც დაიმსახურა)!.


დამოუკიდებელი სხვებთან ერთად უსმენდა, როცა მოულოდნელად ჯეილინი მას მიუბრუნდა, თვალი გაუსწორა და უბრძანა:

– ჩამაბარე შენი მნეობის ანგარიში!<sup>2</sup>

სანამ დამოუკიდებელი სიტყვის წარმოთქმას მოასწრებდა, ჰოლოგრამული გამოსახულება გამოჩნდა და ენდელში მისი ცხოვრება აჩვენა სკოლის პირველი დღიდან აფაბელში მოსვლის დღემდე. ყოველი მოქმედება, სიტყვა და ზრახვა გამოჩნდა და მოწმეთა წინაშე გაცხადდა. ახალგაზრდა კაცს ძრწოლა მოჰგვარა იმ გამოცხადებამ, რაც ახლა ჯეილინის შესახებ მიიღო: „არ არის ქმნილება მისგან დაფარული; ყოველივე გაშიშვლებული და გახსნილია მისი თვალებისთვის, ვის წინაშეც ვართ ანგარიშვალდებულნი“.<sup>3</sup>

დამოუკიდებელი შიშისგან მოიკუნტა, როცა თავის ბრიყვულ, ბოროტ და ეგოისტურ ცხოვრებას უყურებდა. მისი საქმეების ამხელა კრებულის წინაშე გამომჟღავნება სრულიად მოულოდნელი, უხერხულობის მომგვრელი და შემადრწუნებელი იყო. ის, რაც ენდელში უმნიშვნელო და უვნებელიც კი ჩანდა, საშინლად ეჩვენებოდა ამ დიდებული მსაჯულისა და აფაბელის პატივდებული მოქალაქეების წინაშე მდგარს. დამოუკიდებელი საკუთარმა საქციელმა დააფრთხო. როგორ შეეძლო ასეთი გზასაცდენილი, უგრძნობი და უგუნური ყოფილიყო? მან გონება დაძაბა იმედის სხივის მოსაძიებლად და იპოვა კიდეც; იგრძნო, რომ მის ანგარიშზე უფრო მეტი კეთილი საქმე იყო, ვიდრე ცუდი.

როცა მისი ცხოვრების ჩვენება დასრულდა, შვებით ამოისუნთქა მიუხედავად იმისა, რომ საშინელ გაკიცხვას



და რაღაც ფორმით სასჯელსაც მოელოდა. იგი ბედნიერი იქნებოდა, აფაბელის ყველაზე უმნიშვნელო მოქალაქედ რომ შეერაცხათ. ახლა დარწმუნებული იყო, რომ ჯელინიც დაინახავდა, რამდენად სჭარბობდა მისი კეთილი საქმეები.

ამის შემდეგ მეფემ მთავარ მწერალს მიმართა:

– არის დამოუკიდებლის სახელი სიცოცხლის წიგნში?

მთავარმა მწერალმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიუგო:

– არა, ჩემო უფალო!

ჯელინმა წარმოთქვა:

– დამოუკიდებლო, შენ დამნაშავე ხარ ბოროტი ბუნების არჩევაში, ამიტომ წაგიყვანენ ლონის მიტოვებულ მიწაზე, სადაც დარჩენილ ცხოვრებას წამებით გაატარებ უკიდურეს წყვდიადში, უიმედობასა და მარტოობაში!

ელდანაცემმა დამოუკიდებელმა წამოიყვირა:

– რატომ, უფალო?

– შენ ჩემი არ გჯეროდა, – მიუგო ჯელინმა. – მასწავლებლები გეუბნებოდნენ, რომ თუ არ მირწმუნებდი, შენს ცოდვებში მოკვდებოდი.<sup>4</sup> ისინი ასევე გასწავლიდნენ: „მხოლოდ მასშია ხსნა და არ არის ჩვენთვის ცის ქვეშ მოცემული სხვა სახელი, რომლითაც გადავრჩებით“.<sup>5</sup>

დამოუკიდებელი განაგრძობდა:

– დიახ, მაგრამ რას იტყვით ჩემს კარგ საქმეებზე? ნუთუ მათ არ გადანონეს ცუდი საქმეები?

უფალმა ჯელინმა უპასუხა:

– მნიშვნელობა არ აქვს, მცირედ არღვევ რჯულს თუ ბევრად, რადგან „ვინც ღვთის მთელ რჯულს იცავს და ერთ რომელიმეში შესცოდავს, იგი დამნაშავე ხდება ყოველივეში, როგორც მთლიანი რჯულის დამრღვევი პიროვნება“.<sup>6</sup>

დამოუკიდებელმა მთელი გამბედაობა მოიკრიბა და ჰკითხა:

– მაშ, როგორ შეიძლება ადამიანი გადარჩეს?

ჯელინმა მაშინვე არ უპასუხა, მაგრამ აფაბელის ერთ-ერთ მკვიდრ ქალს გადახედა. როგორც ჩანდა, იგი ჯელინის ერთ-ერთი მმართველი იყო, რადგან მის მსგავს, ოღონდ უფრო მომცრო ტახტზე იჯდა.

ქალმა თქვა:

– განა არ გეუბნებოდნენ შენი მასწავლებლები? „ჯელინმა მისი განსაკუთრებული კეთილგანწყობის გამო გიხსნა, როცა ირწმუნე. ეს შენი დამსახურებით არ მომხდარა. ეს ჯელინის საჩუქარია. გადარჩენა არ არის ჩვენ მიერ გაკეთებული კეთილი საქმეების საზღაური, რომ არც ერთ ჩვენგანს არ ჰქონდეს დასაკვებნი“.<sup>7</sup>



ჯეილინმა ქალის ნათქვამს დაამატა:

– დიდი ხნის წინ საფასური გადავიხადე ენდელის მოქალაქეების მიერ დარღვეული და მომავალში დასარღვევი კანონებისთვის. შეუძლებელი იყო, რომ რომელიმეს არ შეეცოდა ჩემს წინაშე ან თავი გამოეხსნა ტყვეობიდან. თუმცა მე შევიყვარე ყველა მათგანი და მათი შეცდომების საზღაური გადავიხადე. ამრიგად, ჩემ მიერ შემოთავაზებული ხსნა ნიჭია, რომლის დამსახურება არ შეიძლება; ვერასოდეს გააკეთებ იმდენ კეთილ საქმეს, რომ აფაბელის მოქალაქეობა დაიმსახურო. ჩემთან მოახლოება მხოლოდ რწმენის მეშვეობით შეგიძლია. და მაინც, შენ უარყავი, რაც შენი სიცოცხლის გადასარჩენად გვაკეთე“.

თავზარდაცემული დამოუკიდებელი რამდენიმე წუთით ჩუმად იყო, შემდეგ კი გამოფხიზლებულმა უპასუხა:

– გასაგებია.

ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს უიმედობის მორევში უნდა ჩაძირულიყო. იგი ცდილობდა რამე საყრდენი ეპოვა და ამის გამო იკითხა:

– ესე იგი, სულ ფუჭად ვირჯებოდი?

ჯეილინმა უპასუხა:


– დანერვილია, რომ „მკვდრებმა არაფერი იცინან. მათ არც საზღაური მიეზღვებათ და არც გაიხსენებენ. რასაც ცხოვრებაში აკეთებდნენ – სიყვარული, სიძულვილი, შური – ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. მათ არაფერში აღარ აქვთ წილი“.<sup>8</sup> და ისევ, „ბოროტებს მომავალი არ აქვთ; მათი ნათელი შუადღისას ჩაქრება“.<sup>9</sup>

დამოუკიდებელი საგონებელში ჩააგდო ჯეილინის სიტყვებმა და ხმა აღარ ამოუღია. იგი ნანობდა გაკვეთილების გაცდენას. ასე რომ არ მოქცეულიყო, იქნებ ჭეშმარიტება გაეგო და ასე დაუდევრად არ მოკიდებოდა საკუთარ სიცოცხლეს.

ჩამომდგარი სიჩუმის წუთებში კიდევ ერთმა აზრმა გამსჭვალა მისი გონება. ეს სწორედ ის აზრი იყო, რომლითაც მთელი დღის განმავლობაში თავს ინუგეშებდა. მან მხნეობა მოიკრიბა და თქვა:

– დიახ, მართალია ყველაფერი, რაც თქვი, მაგრამ ჯეილინ, შენ ხომ მონყალე მეფე ხარ! როგორ შეგიძლია ჩემი განდევნა? ჯეილინმა ასე უპასუხა:

– მონყალე მეფე ვარ და სწორედ ამიტომ გდევნი. ენდელში ცხოვრება ისე გაატარე, როგორც გინდოდა. ამით სამუდამოდ აირჩიე შენი ბუნება, რომელიც ბნელი ბატონის, დაგონისგან



მომდინარეობს. როგორ ვიქნები მონყალე, ჭეშმარიტი და მოსიყვარულე, თუ შენს უზნეო გზებს ჩემი დიდი ქალაქის შებილწვის საშუალებას მივცემ? ამით აფაბელის უმანკო მცხოვრებლებს ზიანს მივაყენებდი. შენ მიერ არჩეული ბუნება მალე თავს იჩენს და ათასობით წმიდა სულს გახრწნის. შენ შენი გზა აირჩიე. ამისთვის ზუსტად იგივე მოგეზღვება, რაც დაგონს, ვისი მიმდევარიც იყავი. თუ იმაზე ნაკლებს სასჯელს მოგისჯი, ვიდრე მას ერგო, უსამართლო წინამძღოლი ვიქნები. მე კი ასეთი არ ვარ!

შემდეგ ჯეილინი შეკრებილ საზოგადოებას მიუბრუნდა და მამის უძველესი ხელნაწერებიდან ციტატა მოიყვანა: „სიტყვის აბუჩად ამგდები განადგურდება, მცნების მოშიში კი დაჯილდოვდება“.<sup>10</sup>

ამის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა კრებული დაამძიმა. მეფემ მსახურებს უბრძანა:


– შეუკარით მას ხელ-ფეხი და გადააგდეთ გარესკნელის ბნელში, სადაც არის ტირილი და კბილთა ღრჭენა, რადგან მრავალია მონოდებული, რჩეული კი – ცოტა.<sup>11</sup>

დამოუკიდებელი შიშმა მოიცვა და საშინელი ყვირილი მორთო, როცა მთავარმა მცველმა შებოჭა და დარბაზის გვერდითი გასასვლელისკენ წაიყვანა. კრებულში სიჩუმემ დაისადგურა. ჩქამიც კი არსაიდან ისმოდა. ყველა მწუხარებით ადევნებდა თვალს ადამიანს, რომელმაც უგუნურად გაფლანგა საკუთარი ცხოვრება და ახლა სამუდამო სასჯელის თანამდები გახდა.

შენობიდან გაყვანილი დამოუკიდებელი სხვა მოზრდილ მოსაცდელში მოათავსეს. აქ ათასობით პატარა, გისოსებიანი საკანი იყო, სადაც მსჯავრდებულნი განაჩენის აღსრულებამდე იმყოფებოდნენ მათი რიცხვის შესავსებად. ამ ტერიტორიის შესასვლელ კარზე შემდეგი სიტყვები ეწერა:

„ნეტარნი არიან, რომლებიც რეცხავენ თავიანთ სამოსელს, რომ ჰქონდეთ უფლება სიცოცხლის ხეზე და კარიბჭით შევიდნენ ქალაქში. მის მიღმა არიან ძაღლები და გრძნეულები, მეძავეები და კაცისმკვლელები, კერპთაყვანისმცემლები და ყველა, ვისაც სიცრუე უყვარს და სჩადის“.<sup>12</sup>

დამოუკიდებელი სიტყვებს მიაჩერდა. შინაგანი მძვინვარებისგან გული უდუღდა. ახლა იგი მის მიერ არჩეული ბუნების სრულ გავლენას ექვემდებარებოდა. თუკი რამ სიკეთის



მარცვალის იყო მასში, მთლიანად შთანთქა იმ ზნეობრიობის ბოჭკოებმა, რომელიც თავად არჩია. ახალგაზრდა კაცის ქცევა სწრაფად გადაგვარდა და ცოფიან ძაღლს დაემსგავსა. მეფის კეთილისმყოფელი ზეგავლენის გარეშე დარჩენილი დამოუკიდებელი სრულიად მიეცა საზიზღარ აზროვნებას.

## მოტყუებული ჯეილინის წინაშე

რამდენიმე საათი გავიდა. ბევრი ადამიანი გამოიძახეს სამართლის დარბაზში, თუმცა მოტყუებული, გაუბედავი და ორმაგი ცხოვრება კვლავ თავიანთ რიგს ელოდებოდნენ რამდენიმე ასეულ ენდელელთან ერთად. მოტყუებული ოპტიმისტურ განწყობას ინარჩუნებდა და მისი მაგალითი სხვებსაც აიძებდა.

კარები გაიღო და კიდევ ერთხელ გამოჩნდა ოთხი სამეფო მცველი. ამჯერად მოტყუებული გამოიძახეს. იგი დაძაბულობამ მოიცვა და კანკალი დაანყებინა. მისი დროც მოვიდა. მოტყუებულმა მღელვარების დასაფარად, რასაც ოსტატურად ახერხებდა, დარჩენილებს შეუძახა:

– მაშ ასე, მეგობრებო, ჩემი საქმე წასულია!

მოტყუებულსაც გააცნეს პროცედურის თანმიმდევრობა და სამართლის დარბაზის კარები ფართოდ გაიღო. მასაც იგივე განცდები დაეუფლა, რაც დამოუკიდებელს. მოტყუებულმაც შენიშნა დარბაზის სიდიდე და მშვენიერება და არც აფაბელის მოქალაქეთა გამომეტყველება გამოორჩენია. გასასვლელში მიმავალმა რამდენიმე ენდელელი იცნო, რომელთაც სკოლა მასზე ერთი თუ ორი წლით ადრე დაამთავრეს. მან დამოუკიდებელზე მეტი ნაცნობი ნახა, რადგან სკოლის შეკრებებს თითქმის არასოდეს აცდენდა.


მან ერთი ადამიანი იცნო, რომელიც გაკვეთილებს არასოდეს დასწრებია. მას შეუბრალებელი ერქვა. იგი საქვეყნოდ ცნობილი ბოროტმოქმედი გახლდათ. მოტყუებული შეჩერდა; აინტერესებდა, აქ რას აკეთებდა ეს ადამიანი. მთავარმა მცველმა ანიშნა, რომ იმ კაცთან გამოლაპარაკების უფლება ჰქონდა.

მოტყუებული მას მიუახლოვდა და ჰკითხა:

– შენ შეუბრალებელი ხარ?

კაცმა უპასუხა:

– ერთ დროს შეუბრალებელი ვიყავი, მაგრამ ამ სამსჯავრო ტახტთან ჯეილინმა სახელი შემიცვალა და შერიგებული მიწოდა.



მოტყუებულმა ამოიბურტყუნა:

– საერთოდ, აქ როგორ მოხვდი? შენ ხომ ყველაზე ბოროტი კაცის სახელი გქონდა მთელ საზოგადოებაში. სკოლაში არასოდეს გივლია და ჯეილინს ჩემს ნაცნობთაგან ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდი.

შერიგებულმა უპასუხა:

– დიახ, ეს მართალია. თუმცა მძულდა ჩემი თავი და ჩემი ნამოქმედარი. სკოლაში არასოდეს მივლია, ამიტომ ჯეილინის სიცოცხლის გარდამქმნელი სიტყვაც არ მომისმენია. მიუხედავად ამისა, ჩემს სამსჯავრომდე ერთი კვირით ადრე მონყალების რესტორანში სადილისთვის წავედი. მან იცოდა ჩემი განადგურებული ცხოვრების შესახებ და როგორღაც ჩემს ტკივილსაც ჩასწვდა. მონყალებამ სადილად დამპატიჟა ერთი პირობით, რომ დავრჩებოდი და მასთან ვისაუბრებდი. იგი ორი საათის განმავლობაში ჯეილინზე, მის სიკეთეზე, ხსნასა და აფაბელად ნოდებულ ადგილზე მიყვებოდა.

შერიგებულმა განაგრძო:

– მან ამიხსნა, რომ ამ დიადი წინამძღოლისთვის ცხოვრების მიძღვნა ჯერ კიდევ არ იყო დაგვიანებული. უპირობო პატიების და მისი სამეფოს მოქალაქეობის მიღება ისევ იყო შესაძლებელი. მე მხოლოდ ერთი კვირა ვემსახურე ენდელში, მაგრამ ეს მთელი გულით გავაკეთე. წავედი იმ ადამიანებთან, რომლებიც შევავინროვე ან რამე მოვპარე და პატიება ვთხოვე. ზოგიერთ შემთხვევაში იმაზე მეტი დავუბრუნე, რამდენიც წავართვი.


მოტყუებული ხმაგაკმენდილი უსმენდა. მან უკან მცველს გახედა, რომელმაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. შერიგებული კვლავ თავის ადგილს დაუბრუნდა, ხოლო მოტყუებულმა ტახტისკენ სვლა განაგრძო.

მიდიოდა მოტყუებული და არ შეეძლო ახლახან მოსმენილზე არ ეფიქრა. მას არაერთხელ გაუგონია ჯეილინის დიდი მონყალების შესახებ, მაგრამ ამ თვისების ისეთი სახით გამოვლინება, რის მოწმეც ახლახან გახდა, სრულიად გამაოგნებელი იყო. შეუბრალებელი ერთ-ერთი უბოროტესი ადამიანი გახლდათ, ვინც კი ოდესმე ცნობია და ახლა სხვა აქ მყოფთა მსგავსად პატივდებული იყო. ახლა მოტყუებულმა გული დაიარხინა, რომ ჯეილინის თვალში კეთილგანწყობას ჰპოვებდა, რადგან მისი მტკიცე მორწმუნე გახლდათ.

როგორც კი ტახტის წინაშე წარდგა, მოტყუებულსაც დამოუკიდებელივით უბრძანეს:

– წარმოადგინე შენი ცხოვრების ანგარიში.





მასაც დამოუკიდებელივით სამგანზომილებიან ჰოლოგ-რამაზე უჩვენეს მთელი თავისი ცხოვრება სკოლის პირველი დღეებიდან აქ მოსვლის წინა დღემდე. მისთვის დიდი შვება იყო სკოლის გაკვეთილებზე ერთგულად დასწრების ხილვა და ჯეილინის თვალსაჩინო მხარდაჭერა საკრებულოს წინაშე.

და მაინც, მოტყუებულს ძალიან მალე თავზარი დაეცა. მისივე ცხოვრების წესი ბრალს დებდა. იგი თავისი გზების გამართლებას ცდილობდა, მაგრამ დიდებული მსაჯულის და ზნეობრივად წმიდა მონმეების წინაშე სინათლეზე გამოსვლისას შეცბუნებული და შერცხვენილი აღმოჩნდა. მოტყუებულმა ინატრა, რომ მიწა გასკდომოდა და ჩავარდნილიყო, როცა მისი ქორწინების გარეშე სქესობრივი კავშირები სამეფო კრებულის წინ აჩვენეს.

სააშკარაოზე გამოვიდა არა მარტო მისი საქმეები, არამედ ზრახვები და მოტივები. საიდან გაიგო ჯეილინმა ეს ყველაფერი? როგორ შეეძლო ისეთი რამისთვის გაესამართლებინა მოტყუებული, რომლის შესახებაც არავინ არაფერი იცოდა? მისი გულის კუნჭულში მიმალული საიდუმლოებები აღარ იყო დაფარული. მთელმა დამსწრე საზოგადოებამ იხილა, როგორ გულისთქმას ჰყავდა შეპყრობილი ბიზნესის ტრანსაქციებით, სახლების მშენებლობით და მიწის ყიდვა-გაყიდვით მაქსიმალური მოგების მისაღებად. მათ იხილეს, როგორ იყენებდა ცილისწამებასა და ქორიკანას მისთვის სასურველის მისაღებად. ისე ჩანდა, რომ ყველა მისი მოქმედება, მეტის მოხვეჭის სურვილით იყო აღძრული.

მოტყუებულს ყველაფრის კეთება თავისებურად სურდა და ყველაფერს ისაკუთრებდა. ამ ფაქტებს ვერაფერი დაუპირისპირდებოდა. და მაინც, იგი თავს იმშვიდებდა იმ აზრით, რომ ეს შეცდომები მნიშვნელოვანი არ იყო ჯეილინისადმი მისი რწმენის და საჯაროდ გამოხატული ერთგულების გამო.

როცა მოტყუებულის ცხოვრების ჩვენება დასრულდა, ჯეილინი მთავარ მწერალს მიუბრუნდა და ჰკითხა:


– არის მოტყუებულის სახელი სიცოცხლის წიგნში?

მწერალმა უპასუხა:

– არა, ჩემო ბატონო!

ჯეილინმა განაცხადა:

– მოტყუებულო, დამნაშავე ხარ ჩემს უარყოფაში, ამიტომ წაგიყვანენ ლონის მიტოვებულ მიწაზე, სადაც დარჩენილ ცხოვრებას წამებით გაატარებ უკიდურეს წყევიადში, უიმედობასა და მარტობაში!



მოტყუებული დამბლადაცემულივით იდგა. მისი გონება გამალებით მუშაობდა: „არა, ეს შეცდომაა! შეუძლებელია ასე მოხდეს! მე ჯეილინის მორწმუნე ვარ. რას ნიშნავს „ჩემი უარყოფა“?“

მან, როგორც იქნა, ამოილულლულა:

– როგორ უარგყავი?

ჯეილინმა უპასუხა:

– ნუთუ არ მოგისმენია მასწავლებლებისგან, რომ არიან სიტყვით ჯეილინის მორწმუნეები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებით უარყოფენ მას?<sup>13</sup>

მოტყუებული ისევ შეენინა აღმდეგა:

„დიდო მეფეო, მე ხომ შენს სკოლაში დავდიოდი! ერთგულად ვცდილობდი, არც ერთი გაკვეთილი არ გამეცდინა. ბევრ საქმიანობაში ჩართული ვიყავი. უფალსაც კი გინოდებდი!

ჯეილინმა მაშინვე უპასუხა:

– რატომ მიწოდებ „უფალო, უფალო“ და იმას კი არ აკეთებ, რასაც გეუბნები?<sup>14</sup> განა არ მოგისმენია ჩემი სიტყვები, რომ ნამდვილად ღვთისმოსავი არ არის ყველა, ვინც ასეთად თავს აჩვენებს? ასეთები უფალს მეძახიან, მაგრამ აფაბელში მაინც ვერ მოხვდებიან. აქ გადამწყვეტია ერთი საკითხი – ემორჩილებოდნენ თუ არა ჩემს ზეციერ მამას. სამსჯავროზე ბევრი მეტყვის: „უფალო, უფალო, შენს შესახებ სხვებს ვუყვებოდით და შენს სახელს ვიყენებდით“, მაგრამ მე ვუპასუხებ: „თქვენ ჩემი არასოდეს ყოფილხართ. გამშორდით ბოროტმოქმედნო!“<sup>15</sup>

მოტყუებული გაშმაგდა.


– მე ხომ რწმენა მქონდა. შენი მწამდა და შენივე სიტყვების თანახმად, გადარჩენა უნდა მივიღო!“

ჯეილინმა მოთმინება გამოიჩინა, მაგრამ გადანწყვეტილება არ შეუცვლია. მან კრებულის ერთ-ერთ მოქალაქეს გადახედა, რომელიც ყოფილი მასწავლებელი გახლდათ და მომცრო ტახტზე იჯდა.

– ნაუკითხე მოტყუებულს, რას ასწავლიდი გაკვეთილებზე.

ამ ბატონმა უძველესი ხელნაწერებიდან ამოიკითხა:

– ძვირფასო დებო და ძმებო, რა სარგებელი აქვს თქვენს რწმენას, თუ საქმეებით არ იქნება გამყარებული? ასეთ რწმენას არავის გადარჩენა არ შეუძლია. საკმარისი არ არის მხოლოდ რწმენის ქონა. რწმენა, რომელიც თავის თავს კეთილ საქმეებში არ გამოხატავს, საერთოდ არ არის რწმენა – ის მკვდარი და უსარგებლოა. შესაძლოა, ვინმემ იდავოს: „ზოგს აქვს რწმე-



ნა, სხვებს კი – საქმეები“. მე ასე ვიტყვი: „ვერ დავინახავ თქვენს რწმენას, თუ კეთილი საქმეები არ გექნებათ. მაგრამ მე გაჩვენებთ ჩემს რწმენას ჩემი კეთილი საქმეებით“. ფიქრობთ, საკმარისია, გჯეროდეთ, რომ ჯეილინი ერთია? ამის ხომ დემონებსაც სწამთ და მაინც შიშით ძრწიან! უგუნურო! როდის გაიგებ, რომ რწმენა კეთილი საქმეებით უნდა გამოვლინდეს და თუ ასე არ ხდება, ის უსარგებლოა?<sup>16</sup>

ჯეილინმა იგივე გაიმეორა:

– შენ ამბობ, რომ რწმენა გაქვს, მაგრამ ამას არ ჰქვია რწმენა თუ მას მორჩილების საქმეები არ ახლავს. საკმარისი არ არის თავის მორწმუნედ გამოცხადება, რადგან დემონებსაც სწამთ, მაგრამ გადარჩენილები არ არიან. ვისაც ნამდვილად სწამს, თავის შეცვლილ ბუნებას გამოავლენს და ბოროტ ნაყოფს აღარ გამოიღებს. შენ გამუდმებით ბოროტი ბატონი დაგონის ნაყოფი მოგქონდა, რაც იმის დასტური იყო, რომ მთელი გულით არასოდეს გირწმუნია.

მოტყუებულს ძალზე გაუძნელდა იმ ყველაფრის გააზრება, რაც ახლა წარმოითქვა. იგი მაინც ეწინააღმდეგებოდა:

– იმ ბოროტ კაცზე, შეუბრალებელზე რაღას იტყვით? მე მასზე უკეთესი ვიყავი! როგორ შეგიძლიათ მისი დატოვება და ჩემი გაგდება? უსამართლოდ იქცევით!

ჯეილინმა უპასუხა:


– შენ ამბობ, რომ უფალი უსამართლოა?! მისმინე! ეს მე ვარ უსამართლო თუ შენ ხარ? თუ ბოროტი კაცი მიატოვებს თავის ბოროტ გზას, რჯულს დაემორჩილება და სწორად მოიქცევა, იცოცხლებს მისი სული, რადგან იფიქრა ამაზე და ცოდვების მიტოვება და სწორი ცხოვრება არჩია. ის აუცილებლად იცოცხლებს – არ მოკვდება.<sup>17</sup>

იმდგაცრუებულმა და გაბრაზებულმა მოტყუებულმა წამოიყვირა:

– მე ხომ შენს სიტყვას ადამიანებს ვუზიარებდი და შენს შესახებ ვუმონებდი. ზოგჯერ ჩემი სურვილით ვასწავლიდი შენს სკოლაში!

ჯეილინმა მკაცრად უპასუხა:

– ნულა იმეორებ ჩემს კანონებს და ნუ წარმოთქვამ ჩემს დაპირებებს, რადგან უარყავი ჩემი წვრთნა და ჩემი რჯული. ქურდს დაინახავ და ეხმარები; დროს ბოროტ და უზნეო კაცებთან ატარებ. ილანძღები და ცრუობ. შენი პირიდან ბილწი სიტყვები ამოდის. შენს ძმას ცილს სწამებ. ჩუმად ვიყავი, ამიტომ გეგონა, რომ ეს ყველაფერი არ მაინტერესებდა.



ახლა დადგა შენი განსჯის ჟამი და ყველა შენი დანაშაული ბრალდებად წაგიყენე.<sup>18</sup>

მოტყუებული ხმას არ იღებდა. მისი გონება გამალებით მუშაობდა, მაგრამ თავის დასაცავად ვერაფერი მოიფიქრა.

რამდენიმე წუთი გავიდა. შემდეგ მეფემ მსახურებს მიმართა:

– შეუკარით ხელ-ფეხი, წაიყვანეთ და გადააგდეთ გარეს-კნელის ბნელში, სადაც არის ტირილი და კბილთა ღრჭენა!<sup>19</sup>

მთავარი მცველი მიუახლოვდა თუ არა, მოტყუებულმა ჯეილინის, დაცვისა და აფაბელის მოქალაქეების ლანძღვა დაიწყო. გაშმაგებული იქნევდა ხელებს. მისი ნამდვილი ბუნების გაცხადებამ ყოველივე კეთილი ჩაკლა.

მოტყუებულს ხელ-ფეხი შეუკრეს და დარბაზიდან გაიყვანეს. იგი მთელი გზა ილანძღებოდა. ისიც დამოუკიდებლის მსგავსად გამოამწყვდიეს, სანამ ყველას გასამართლება არ დასრულდებოდა.

მოტყუებულის დარბაზიდან გაყვანის შემდეგ ჯეილინმა იქ შეკრებილ მოწმეებს მიმართა:

– არის თაობა, რომელიც წმიდაა საკუთარ თვალში, მაგრამ სიბინძურისგან არ განბანია.<sup>20</sup>

### გაუბედავი ჯეილინის წინაშე

სამართლის დარბაზში ასზე ნაკლები ადამიანი დარჩა. მათ შორის იყვნენ გაუბედავი და ორმაგი ცხოვრება. გაუბედავი თავს შორს იჭერდა ორმაგი ცხოვრებისგან, რამდენადაც შეეძლო, რადგან მის მიმართ მწარე წყენა ჰქონდა. კაციც ერიდებოდა მას.

ოთხი სამეფო მცველი გამოვიდა და გაუბედავის სახელი ამოიძახა. იგი ნერვიულობდა დარბაზში შესვლის წინ, მაგრამ უხაროდა კიდეც, რომ ორმაგ ცხოვრებას მოშორდებოდა. ისიც სხვების მსგავსად შეიყვანეს დიდი დარბაზის შესასვლელში, ოქმი წაუკითხეს და წინ გაუძღვნენ.

აფაბელის მოქალაქეებს რომ გაუსწორდნენ, გაუბედავმაც დაინახა ნაცნობები. ბევრი მათგანი არც ისეთი გამორჩეული და ენთუზიაზმით სავსე იყო სკოლაში, როგორც ის. ახალგაზრდა ქალი გააოცა იმ ადამიანების ხილვამ, რომელთაც აქ საერთოდ არ ელოდა.

გაუბედავი ტახტს მიუახლოვდა და მის ირგვლივ მდგარი მომცრო ტახტები შენიშნა. მან რამდენიმე მასწავლებელი და სხვები იცნო, რომელთა წინამძღოლობა მასში ეჭვს არ იწვევ-



და, მაგრამ აქ ისეთებიც აღმოაჩინა, რომლებიც ტახტებზე ვერაფრით წარმოედგინა. ისინი აფაბელის ნაკლებად ცნობილი მოქალაქეები იყვნენ. აქ ზოგიერთი მდიდარი ადამიანიც მოხვდა.

– როგორ შეიძლება მდიდრის ყოფნა ასეთ საპატიო ადგილას? – ფიქრობდა იგი.

სანამ საკუთარი გონება უპასუხებდა, ჯეილინის ხმა მოესმა:

– ჩამაბარე შენი სახლმმართველობის ანგარიში.

ჰოლოგრამამ მისი ცხოვრება აჩვენა. გაუბედავი სიამოვნებით შესცქეროდა სკოლაში სწავლის პერიოდს. მოხალისეობა შრომაში, მეცადინეობაში გატარებული ზედმეტი საათები და კლასის წინამძღოლთა შორის ყოფნა მას კარგად ახასიათებდა. იგი საკუთარი გაბედულებით და სიბეჯითით ამაყობდა. თუმცა ცილისწამების ტყუილზე გამომხაურების ჩვენებამ მისი განწყობა შეცვალა. სრულიად ცხადი გახლდათ, რომ ქალს წყენის დათმობა არ სურდა. მისი გულის ზრახვები გამოაშკარავდა და ისინი არცთუ სახარბიელოდ გამოიყურებოდა.

შემდეგ დაიწყო მისი ურთიერთობა ორმაგ ცხოვრებასთან. მას მასწავლებელთან რომანი არასოდეს მოუხანიებია. იგი თავს ყოველთვის მსხვერპლად მიიჩნევდა და მთელ პასუხისმგებლობას ცილისწამებასა და ორმაგ ცხოვრებას აკისრებდა. ეს იყო მიზეზი, რომ საკუთარი არჩევანის გამო ანგარიშვალდებულებას არ გრძნობდა. მისი ცხოვრების ჩვენებასთან ერთად აშკარავდებოდა გულში დაგროვილი ბრაზი, სიმწარე და არაერთგზის შურისძიების სურვილი. მართალია, ქალმა მოახერხა ზოგი განცდის დათრგუნვა, მაგრამ ფესვის ამოძირკვა არასოდეს უცდია. ეს არა მარტო ორმაგი ცხოვრებისა და ცილისწამების მიმართ გამუდმებულ წყენაში გამოვლინდა, არამედ ფაქტშიც, რომ გაუბედავი სინამდვილეში ჯეილინს თვლიდა მისი ყოველი უბედურების მიზეზად. როგორ დაუშვა მან, რომ ორმაგი ცხოვრებისთანა ადამიანი სკოლის მასწავლებელი გამხდარიყო? წყენა და უპატიებლობა მეტისმეტად მყარი და სასტიკი გამოდგა.

ჩვენების დასასრულს ცხადი გახდა, რომ გაუბედავი ბოლმიანი ქალი იყო, რომელსაც სხვების მიმართ კეთილგანწყობა აკლდა. მიუხედავად იმისა, რომ ფართო აუდიტორიის წინაშე სრულად გამოვლინდა მისი გულის ნადები, მაინც დარწმუნებული იყო, რომ ადრინდელი ერთგულება სათანადოდ დაუფასდებოდა მეფის წინაშე. იგი მცირე საყვედურს ელოდა, მაგრამ ვერასოდეს წარმოიდგენდა, რა ელოდა სინამდვილეში.



ჯეილინი მთავარ მწერალს მიუბრუნდა:

– არის გაუბედავის სახელი სიცოცხლის წიგნში?

მწერალმა უპასუხა:

– არა, ჩემო უფალო!

ჯეილინმა განაჩენი გამოაცხადა:

– გაუბედავო, დამნაშავე ხარ სიმართლის გზიდან გადახვევასა და ჩემს უარყოფაში ლალატის მეშვეობით. შენ წაგიყვანენ ლონის მიტოვებულ მიწაზე, სადაც დარჩენილ ცხოვრებას წამებით გაატარებ უკიდურეს წყევლიაღში, უიმედობასა და მარტოობაში.

შეუძლებელი იყო გაუბედავის ელდის აღწერა. მისი თავზარდაცემა აქამდე გასამართლებულთა განცდებს ბევრად აღემატებოდა. ეს როგორ! ალბათ, ცუდ სიზმარს ხედავდა — არა, კომმარი ელანდებოდა და თავი უნდა გამოეფხიზლებინა! იქნებ რაღაც არასწორად გაიგო!

ქალმა უნდობლად იკითხა:

– ჯეილინ, შენ თქვი, რომ ლონის საშინელ მიწაზე უნდა წამიყვანონ?

– დიახ, გაუბედავო, სწორად გაიგე, – უპასუხა მეფემ.

– ეს როგორ შეიძლება, უფალო ჯეილინ? მე შენი მწამს! ეს ნათლად აჩვენა ჩემმა ცხოვრებამ. ჩემს რწმენას კეთილი საქმეებიც ზურგს უმაგრებს. ვიცი, გული გამისასტიკდა და სიყვარული ჩამიკვდა, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ იყო. ეს ცილისწამებისა და ორმაგი ცხოვრების დამსახურებაა. მათმა მუხანათურმა საქციელმა გული გამიცივი.

ჯეილინმა უპასუხა:


– დაგავინყდა, რას გაფრთხილებდნენ მასწავლებლები ჩემი სიტყვიდან? ბოროტება ისე გავრცელდება, რომ ადამიანებს სიყვარული გაუნელდებათ. ბოლომდე მომთმენი გადარჩება.<sup>21</sup> შენ ბოლომდე ვერ გაძელი.

გაუბედავი ისევ განაგრძობდა:

– მეფეო ჯეილინ, მე მართალი ადამიანი ვარ, რადგან შენი მწამს! ადამიანებთან კეთილად დამონმება ველარ შევძელი, მაგრამ ერთში დარწმუნებული ვიყავი: თუ ადამიანი გადარჩენას ერთხელ მიიღებს, მას არასოდეს დაკარგავს. ამას ზოგიერთი მასწავლებელიც კი ამბობდა. მათ სწავლების მიხედვით, შენი ხელიდან ვერავინ გამომგლეჯდა.

ჯეილინმა უპასუხა:

– დიახ, ეს მართალია. ვერავინ წაგგლეჯს ჩემი ხელიდან, მაგრამ არასოდეს მითქვამს, რომ ჩემგან წასვლა არ შეგიძლია.



მხოლოდ შენ გაქვს ამის ძალაუფლება. არ წაგიკითხავს წმიდა წერილი? თუ ადამიანი თავს დააღწევს ქვეყნიერების სიბილწეებს ჩვენი უფლისა და მხსნელის, ჯეილინის შემეცნების მეშვეობით და შემდეგ ხელახლა გაეხვევა მასში და დაიძლევს, უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე თავიდან იყო. მისთვის უმჯობესი იქნებოდა, არასოდეს შეეცნო სიმართლის გზა, ვიდრე შეეცნო და უკან გაბრუნებულიყო მისთვის გადაცემული წმიდა მცნებისგან.<sup>22</sup> თუ ვთქვი, რომ ასეთი ადამიანებისთვის უკეთესი იქნებოდა, არ შეეცნოთ სიმართლის გზა, რადგან ახლა უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ვიდრე გადარჩენამდე იყვნენ, რატომ ჩათვალე, რომ შეუძლებელია გადარჩენის დაკარგვა? თუ ხსნის დაკარგვა შეუძლებელია, როგორ ჩავარდნენ ისინი უარეს მდგომარეობაში?

რატომ უსმენ იმ მასწავლებლებს, რომლებიც ჩემი სიტყვის საწინააღმდეგოდ ქადაგებენ? ეს აზრი განსაკუთრებული სიფრთხილით გადმოვეცი, რომ ყველას სცოდნოდა სიმართლის გზის შესახებ. რატომ იტყუებ თავს? თუ ჩემი ნათქვამის გნამდა, რატომ მიეცი სიმწარეს ადგილი შენს გულში? წყენა უკონტროლოდ გაზარდე უპირობო დაცულობის (კრუ მოსაზრებით დამშვიდებულმა და დაიმსახურე განაჩენი, რომლის თავიდან არიდება შეუძლებოდა.

გაუბედავმა ვედრება დაიწყო:

– იმ კეთილ საქმეებზე რას იტყვით, რაც გამიკეთებია?

უფალმა ჯეილინმა ასე უპასუხა:

– კვლავ ვიმეორებ. არ წაგიკითხავს, რაც ჩემი წინასწარმეტყველების პირით ნათლად განვაცხადე? „თუ მართალი კაცი ცოდვილი გზებისკენ მიტრიალდება და სხვა ცოდვილების მსგავსად მოიქცევა, განა იცოცხლებს ის? არა, რა თქმა უნდა, არა! ყველა მისი წინანდელი სიკეთე დავიწყებული იქნება და თავის ცოდვებში მოკვდება“. მიუხედავად ამისა, ამბობ: „უფალი უსამართლოა!“ მისმინე ... ეს მე ვარ უსამართლო თუ შენ ხარ? როცა მართალი ადამიანები კეთილს ზურგს აქცევენ და ცოდვის ჩადენას იწყებენ, ამისთვის მოკვდებიან. დიახ, ისინი მოკვდებიან ცოდვილი ქმედებების გამო.<sup>23</sup> ზუსტად ისე მოხდა, როგორც დაწერილია. შენი სიკეთე და სიმართლე დავიწყებულია და არ ჩაგეთვლება.

გაუბედავი ისევ ჩაებლაუჭა სუსტ იმედს:

– უფალო, ხომ თქვი, რომ ჩემი სახელი სიცოცხლის წიგნში ჩაიწერებოდა, როცა ჩემს მხსნელად გალიარებდი? როგორ მოხდა, რომ ის აღარ არის წიგნში? რატომ ვერ იპოვა მწერალმა ჩემი სახელი? როგორ ამოიშალა იქიდან?



უფალმა ჯეილინმა მოთმინებით, მაგრამ მტკიცედ უპასუხა:  
 – არ გსმენია უნინ ნათქვამი? „ბოლომდე მომთმენი გადარჩება“.<sup>24</sup> ისინი, რომლებიც სამსჯავროს დღის დადგომამდე გაძლებენ, გამარჯვებულები არიან და მე ნათლად ვთქვი: „გამარჯვებული ჩაიცვამს თეთრს სამოსს და მის სახელს არ ამოვშლი სიცოცხლის წიგნიდან“.<sup>25</sup> თუკი ვთქვი, რომ ვინმეს არ ამოვშლიდი სიცოცხლის წიგნიდან, ესე იგი, ამოშლა შესაძლებელია. ასე რომ არ ყოფილიყო, ვიტყვოდი: „თუ უფლად მალიარებთ, თქვენი სახელი სამუდამოდ დარჩება სიცოცხლის წიგნში“.

გაუბედავი კვლავ ევედრებოდა:  
 – როგორ შეგიძლია ლონის მიწაზე გამგზავნო, სადაც ცოცხალი მკვდრები არიან?

ჯეილინი ერთ-ერთ მმართველს მიუბრუნდა:  
 – ნაიკითხე უძველესი ხელნაწერი, რომელიც ცნობილი იყო ენდელის მოქალაქეებისთვის.

მმართველმა ამოიკითხა:  
 – გონიერების გზიდან გადავარდნილი ადამიანი მკვდართა კრებულში დაისვენებს.<sup>26</sup>

გაუბედავს ენა ჩაუვარდა. შემდეგ მეფემ მსახურებს უბრძანა:

– შეუკარით მას ხელ-ფეხი, გაიყვანეთ და გადააგდეთ გარესკნელის ბნელში, სადაც არის ტირილი და კბილთა ღრჭენა, რადგან მრავალია მოწოდებული, რჩეული კი – ცოცხა.<sup>27</sup>

როცა გაუბედავს მთავარი მცველი მიუახლოვდა, მან ჯეილინი დაწყევლა. ქალი მთლიანად დაიპყრო სიმწარემ და სრულიად დაამახინჯა მისი ორგანოს დაცემული ბუნება (იხ. იუდ.12). იგი გვიანი შემოდგომის ხეს დაემსგავსა, რომელიც ფესვებიანად ამოთხარეს და მასზე არ იპოვებოდა სიმართლის ნაყოფი.

გაუბედავს ხელ-ფეხი შეუკრეს და დარბაზის გვერდითი კარიდან გაიყვანეს. ისიც დროებით გამოამწყვდიეს სხვებთან ერთად. როცა ქალმა დარბაზი დატოვა, მთავარმა მწერალმა მოწმეთა კრებულს ვითარება განუმარტა:

– ძვირფასო მეგობრებო, თუ ჩვენ, მას აქეთ, რაც მივიღეთ ჭეშმარიტების შეცნობა, კვლავ ნებით ვცოდავთ, აღარ რჩება მსხვერპლი ცოდვებისათვის, არამედ ჯეილინის სამსჯავროს რაღაც საშინელი მოლოდინი და მოწინააღმდეგეთა შთანთქმისთვის გამზადებული შურის



ცეცხლი... რადგან ჩვენ ვიცნობთ იმას, ვინც თქვა: „ჩემია შურისგება და მე მივუზღავ“. და კიდევ: „უფალი განიკითხავს თავის ერს“. სამიშია ცოცხალი ჯეილინის ხელში ჩავარდნა.<sup>28</sup>

## ორმაგი ცხოვრების ბასამართლება

სამართლის დარბაზში ყველაზე ბოლოს ორმაგი ცხოვრება გამოიძახეს. მან კარგად იცოდა ჯეილინის კანონები და დარწმუნებული იყო, რომ მისი განაჩენი სახარბიელო არ იქნებოდა. იგი მალე დაინახავდა, რა ძვირი დაუჯდებოდა ენდელის ცოდვები.

ორმაგ ცხოვრებას გული შეუღონდა, როცა სამართლის დარბაზში შეჰყავდათ და მცველების დახმარება დასჭირდა, რომ ჯეილინის სამსჯავრო ტახტამდე მიეღწია. მის ცხოვრებასაც გადახედეს და მანაც გაიგონა სასტიკი სიტყვები, რომ ორმაგი ცხოვრების სახელი არ იპოვებოდა სიცოცხლის წიგნში.

ჯეილინმა მტკიცედ განაცხადა:

– ორმაგო ცხოვრებავ, დამნაშავე ხარ ლალატში, სიმართლის გზიდან გადახვევასა და დაბრკოლების ლოდოდ ქცევაში! შენ ღონის მიტოვებულ მინაზე წაგიყვანენ, სადაც უდიდეს სასჯელსა და წამებას დაექვემდებარები.

ორმაგმა ცხოვრებამ ძრწოლით მოისმინა განაჩენი და შემდეგ ჯეილინს შეევედრა:

– უფალო, მე ხომ შენი სკოლის მასწავლებელი ვიყავი. შენ მოგიძღვენი მთელი სიცოცხლე.

ჯეილინმა უპასუხა:


– მასწავლებელი იყავი, მაგრამ იმ წიგნებს არ კითხულობდი, საიდანაც ასწავლიდი? „ძვირფასო დებო და ძმებო, ბევრი ნუ გახდებით მასწავლებლები სკოლაში, რადგან ჯეილინისგან უფრო მეტი სიმკაცრით განისჯებით“.<sup>29</sup>

ორმაგი ცხოვრება შეეპასუხა:

– რატომ ვიყავი დაბრკოლების ლოდი?

ჯეილინის ხმა შეუვალი გახდა:

– შენ გამო მრავალი მცირედთაგანი წაბორძიკდა და სამუდამოდ დაეცა. გაუბედავი ერთ-ერთია მათ შორის. იგი შენს მზრუნველობას მივანდე. ძალაუფლება მოგეცი მის დასაცავად და არა საკუთარი ინტერესებისთვის გამოსაყენებლად. შენი ზეგავლენით გულისთქმები დაიკმაყოფილე და შებლაღე იგი და სხვები. ერთმა დამ უკვე დაჭრა გაუბედავი და შენ, რომელსაც



მისთვის ჭრილობები უნდა მოგეშუშებინა, ბოროტად ისარგებლე მისი მდგომარეობით. ამ ქალის რწმენის გემი დაამსხვრიე. მას ლონის მინაზე გადასახლება მიესაჯა. დარწმუნებული ვარ, გახსოვს ჩემი გაფრთხილება: „ვინც ჩემი მორწმუნეებიდან ერთ მცირეთაგანს აცდუნებს, მისთვის აჯობებდა, წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვაში გადაეგდოთ“.<sup>30</sup>

ორმაგი ცხოვრება ევედრებოდა:

– ჯეილინ, ვიცი, რომ ლონის მინაზე გადასახლების ღირსი ვარ, მაგრამ უდიდესი წამება რისთვის მომისაჯე?! ასე მკაცრად რატომ მექცევი? მე შენი ერთ-ერთი მსახური ვიყავი და არა ვინმე ურწმუნოთაგანი. მე დამოუკიდებელს არ ვგავდი, რომელსაც შენთან არაფერი ესაქმებოდა. რატომ?

ჯეილინმა მტკიცედ უპასუხა:

– შენ უძველესი ხელნაწერები იცოდი და ასწავლიდი. რატომ მისვამ ასეთ კითხვებს? შეგახსენებ და იქნებ მოიგონო ჩემი სიტყვები. უძველესი ხელნაწერები მკაფიოდ ამბობს: „თუ მსახური თავის გუნებაში იტყვის: აგვიანებს ჩემი ბატონი მოსვლასო და დაიწყებს სხვა მსახურებისა და მხევლების შევიწროებას, ... მოვა იმ მონის ბატონი გაუხმაურებლად და მოულოდნელად, შუაზე გაკვეთს მას და ურწმუნოებთან დაუდებს წილს. მსახური მკაცრად დაისჯება, რადგან მან იცოდა თავისი მოვალეობა, მაგრამ უარი თქვა მის შესრულებაზე. ხოლო ის ადამიანები, რომლებმაც არ იციან. რომ შეცდომას სჩადიან, ნაკლებად დაისჯებიან. ვისაც მეტი მიეცა, მეტს მოსთხოვენ და ვისაც მეტს მიანდობენ, მეტსაც მოჰკითხავენ“.<sup>31</sup>


ჯეილინმა განაგრძო:

– დამოუკიდებელმა გაცილებით ნაკლები იცოდა საკუთარ შეცდომებზე. შენ გქონდა ცოდნა და შემეცნება. მისი განაჩენიც მკაცრია, მაგრამ შენთან შედარებით – მსუბუქი. შენ კი ყველაზე ღრმა წყვიადი დაიმსახურე.<sup>32</sup>

ჯეილინმა მთავარ მცველს უბრძანა:

– შეუკარით მას ხელ-ფეხი, გაიყვანეთ და გადაადგეთ გარესკნელის ბნელში, სადაც არის ტირილი და კბილთა ღრჭენა, რადგან მრავალია მოწოდებული, რჩეული კი – ცოტა.<sup>33</sup>

მთავარი მცველი მიუახლოვდა თუ არა, ორმაგმა ცხოვრებამ ჯეილინის, მცველებისა და აფაბელის მოქალაქეების მისამართით სიბილნეები გადმოაფრქვია. იგი ძალმომრეობით აღივსო და ფიზიკურად განთავისუფლებასაც კი შეეცადა ჯეილინზე თავდასასხმელად. მისმა ნამდვილმა ბუნებამ სრულად იჩინა თავი. თუკი რამე კეთილი იყო მასში,



ორგულობამ შთანთქა. მას ხელ-ფეხი შეუკრეს და გვერდითი კარიდან გაყვანისას მთელი გზა ილანძლებოდა. იგი სხვა ათას ხუთას ადამიანს შეუერთდა, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა წაეყვანათ ლონის მიწაზე.

როგორც კი ორმაგმა ცხოვრებამ დარბაზი დატოვა, მთავარმა მწერალმა წიგნი დახურა და დაიყვირა:

– აქ გამოტანილი ყველა განაჩენი სამართლიანია. მათ ის მიიღეს, რაც დაიმსახურეს!

სამსხვერპლოდან მოისმა ხმა:

– მართალი და ქვშმარიტია შენი განსჯანი!<sup>34</sup>

### ლონის მიტოვებული მიწა

ათასხუთასი მსჯავრდებული და დაპატიმრებული ენდელელი სამეფო დაცვის თანხლებით დაადგა ორკვირიან გზას ლონის მივიწყებული მიწისკენ. ამ მგზავრობამ ისინი ცეცხლის დიდ უდაბნოსთან მიიყვანა, სადაც დამსკდარი მიწიდან ამოსული მხურვალეა აუტანელი იყო. მოულოდნელად, სად იყო და სად არა, იქ, სადაც სიცხის გაძლება უკვე წარმოუდგენელი გახდა, მათგან გარკვეულ მანძილზე დიდი და ავისმომასწავებელი ნაგებობა აღიმართა. მსჯავრდებულებმა მიახლოებისას შეძლეს მასზე არსებული წარწერის გარჩევა: „ლონის მიტოვებული მიწა“.

ახლო მანძილზე დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ამ უზარმაზარ ნაგებობას არც ფანჯრები და არც რამე ლიობი ჰქონდა ძირში დატანებული ერთი დიდი კარის გარდა. კარში შევიდნენ თუ არა, მსჯავრდებულებს შენობის შიგნიდან თითქოს ათობით ათასი ადამიანის გულისგამგმირავი ყვირილი მოესმათ. ძალიან მალე შეძლეს მთავარი მცველის მიმართ წამოსული თხოვნა-მუდარის ხმების გარჩევა, რომელიც შესასვლელთან დაპატიმრებულების რიგს გამოეყო.

– ნუთუ საკმარისი არ არის? გთხოვთ, წყალობა მოიღეთ ჩვენზე. მეტისმეტად დიდია ჩვენი სასჯელი ასატანად!

– რამდენი ხანია, რაც ამ ადგილას არიან? – ჰკითხა დამოუკიდებელმა მცველს.

– მათი დრო 1-დან 129 წლამდე მერყეობს.

მოტყუებულს ელდა ეცა. იგი როგორღაც იმედოვნებდა გასული ორი კვირის მგზავრობისას, რომ ეს კომმარო ან დაშინების ტაქტიკა იყო. მან იგივე მცველს ჰკითხა:

– ეს ის ადგილია, სადაც დარჩენილ ცხოვრებას გავატარებ?



– დიახ. ეს სწორედ ის ადგილია, რომელზეც ენდელში გაფრთხილებდნენ.


ბევრი, ვისაც უფრო მკაცრი განაჩენი გამოუტანეს, ზემოთ განათავსეს ლითონის შენობაში, სადაც სიცხე უფრო მეტია. ვინც ჭეშმარიტება არ იცოდა და ისე მოიქცა, რომ გადასახლება დაიმსახურა, ამ უზარმაზარი შენობის ქვედა ნაწილშია. და მაინც, ეს ნაწილი ერთი დღითაც კი გაუსაძლისია, რომ არაფერი ვთქვათ ას წელზე!

ორმაგი ცხოვრების სამყოფელში ტანჯვა ენით აღუწერელი გახლდათ – იმაზე უარესი, ვიდრე შენობის უმაღლეს ნაწილში იყო. იგი მინისქვეშა დილეგში ჩაიყვანეს ცხელი გოგირდის კლდეების მახლობლად. იქ გოგირდის აუტანელი სიმყრალე ტრიალებდა, არასოდეს ნიავედებოდა და ლონის სხვა ადგილებთან შედარებით, სიცხეც გაცილებით მწველი იყო. ეს ადგილი შენობას არ მიეკუთვნებოდა, არამედ დედამიწის ჯურღმულებს. ეჭვგარეშეა, რომ იქაური სატანჯველი ყველა სხვას აღემატებოდა. აქ ორმაგი ცხოვრება მარტო დარჩებოდა წამებაში. ტერიტორია საკმაოდ ფართო იყო იმისთვის, რომ მისი მსგავსი განაჩენის მქონე სხვა ადამიანებიც დაეტია. ისინი საკუთარი ხმის გარდა ვერავის ხმას ვერ გაიგონებდნენ.

მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულები თავიანთ ადგილებზე განათავსეს, მთავარი მცველი გასასვლელისკენ გაემართა. მის ზურგს უკან რკინის კარი დაიხურა და შენობაში ისეთმა წყვილადმა დაისადგურა, რომ რამეს დანახვა შეუძლებელი გახდა. საბრალო სულებს ამ უკუნეთში 125 წელზე მეტი უნდა გაეტარებინათ უკიდურეს წყვილადსა და მარტოობაში. სინათლის დანახვის ერთადერთი საშუალება მსჯავრდებულთა ახალი ნაკადის მოყვანისას კარიდან შემოჭრილი შუქი იყო და ისიც წელიწადში ერთხელ. ამის შესაძლებლობაც კი ყველას არ ჰქონდა, არამედ მხოლოდ კართან ახლოს მყოფებს. დანარჩენები, ორმაგი ცხოვრების მსგავსად, დღის ნათელს ვერასოდეს იხილავდნენ. მათთვის მხოლოდ სიბნელე და წყვილი იყო შემონახული.

## ფიქრები

ენდელის ეს ოთხი მოქალაქე ძალიან ნანობდა დარჩენილი ცხოვრების მანძილზე, რომ ყური არ უგდეს ჭეშმარიტებას. მარტო მყოფნი გამუდმებით ფიქრობდნენ თავიანთ უგუნურებაზე, სათანადოდ რომ არ გაითვალისწინეს ჯეილინის სიტ-




ყვები, რის გაკეთებაც თავისუფლად შეიძლებოდა ენდელის მიწაზე. რას არ მისცემდნენ, რომ უკან დაბრუნების და თავიანთი ხვედრის შეცვლის შანსი მისცემოდათ. როგორ ნატრობდნენ, რომ თავის დროზე არ მოესმინათ უმრავლესობის აზროვნების ან პოპულარული ქადაგებებისთვის! ყველაფრის თავიდან დანყება რომ შეძლებოდათ, ყურს აღარ დაუგდებდნენ საკუთარ ბრიყვულ მსჯელობას და უძველეს ხელნაწერებს გაითავისებდნენ, რომლებიც არასოდეს იცვლებოდა ან ირღვეოდა.

მსჯავრდებულებს აფაბელის ხატება ანამებდა, რომელიც ყველაზე გამორჩეული სამეფო გახლდათ. გამოუთქმელი ტანჯვის დროსაც კი ხედავდნენ ქალაქის სილამაზეს, თუმცა მისი დათვალიერება მცირე დროით შეძლეს. არსებული კონტრასტი მათ ტკივილებს კიდევ უფრო აღრმავებდა. ლონის აუტანელი სიცხე, საზარელი სიმყრალე და წყვდიადი უფრო მეტად გამოკვეთდა ჭეშმარიტებას. მშვენიერი ქალაქი შეიძლებოდა მათი სამკვიდრებელი გამხდარიყო, მაგრამ ის მათი უგუნურების მიღმა დარჩა.

ნაწილი I: 1-3 თავები

1. როგორ განმარტავდით წარმატებას ამ წიგნის კითხვის დაწყებამდე? რამდენად ასახავდა ამ განსაზღვრებას თქვენი მიზნები, პრიორიტეტები და ჩვევები? როგორ დაუპირისპირდა თქვენს თვალთახედვას ამ ნაწილის წაკითხვა ან რით დადასტურდა ის?
2. როცა მარადისობის კონცეფციის სერიოზულობას წარმოვიდგენთ, აბსურდული ჩანს იმაზე ფიქრი, რომ ვინმე შეიძლება საკმარისად დარწმუნებული იყოს საკუთარი განაჩენის რაობაში, რომელიც ამ ადამიანის მარადიულ ხვედრს განსაზღვრავს. და მაინც, 1 იოან. 4:17 სწორედ ამას გვპირდება. ხსენებულ იდეას მომდევნო ნაწილებში ავხდით ფარდას, მაგრამ შეგიძლიათ, ახლავე განმარტოთ, რაზე დაყრდნობით იცით ეს ან საიდან მოდის თქვენი დარწმუნებულობა?
3. ამ ნაწილში აფაბელის სამეფოს გაეცანით, რომელიც დედამიწაზე ცხოვრებასა და ჩვენს საუკუნო ხვედრს შორის კავშირურთიერთობას სიმბოლური სურათებით ასახავს. ყველაზე მეტად რამ მიიქცია თქვენი ყურადღება ხსენებულ სამეფოსა და მის მმართველობაში? რამემ აღგაფრთოვანათ ან გაგაკვირვათ? როგორ ჰფენს ნათელს წმიდა წერილი ამბის თქვენ მიერ აღნიშნულ ელემენტებს?
4. მოდი, ენდელის მკვიდრებზე ვილაპარაკოთ. რა რეაქცია გქონდათ პირველ ოთხ განაჩენზე? მოვლენების სხვაგვარ განვითარებას ხომ არ ელოდებოდით? თუ კი, რატომ?
5. რომელია ყველაზე მწვავე კითხვები ან სირთულეები, სანამ ჩვენს კვლევას გავაგრძელებდეთ?



ବିଷୟ ୨





## თავი 4

# მკვლარის მარადიული სამეფო

*„ჭკითხეს მას მისმა მოწაფეებმა, რას ნიშნავდა ეს იგავი.  
მან თქვა: „თქვენ მოგეცათ (თანდათანობით), რომ იცოდეთ  
(უფრო ნათლად და საუფუძვლიანად გაცნობიეროთ და გაიგოთ)  
ღვთის სასუფეველის საიდუმლოებანი .....“.*  
ლუკა 8:9-10 (გაფართ. თარგმ.)

მომდევნო ოთხ თავში ალევორიას დროებით გვერდზე გადავდებთ და ყურადღებას იმ ჭეშმარიტებებზე გავამახვილებთ, რომლებიც დამოუკიდებლის, მოტყუებულის, გაუბედავისა და ორმაგი ცხოვრების გასამართლებაში გამოჩნდა. ამის შემდეგ ისევ განვაგრძობთ ალევორიულ თხრობას ეგოისტიისა და მონყალების ამბების აღწერით და წიგნის დარჩენილ ნაწილში მათ ცხოვრებას განვიხილავთ წმიდა წერილის ჭეშმარიტებების ფონზე. წინამდებარე წიგნის საუკეთესო ნაწილი იესო ქრისტეს მიმდევართა საუკუნო საზღაურს შეეხება.

### საფუძველჩამყრელი ჭეშმარიტება

ალევორიაში ჯეილინი იესო ქრისტეს წარმოადგენს, ხოლო მეფე მამა – ყოვლისშემძლე მამა ღმერთს. დაგონი სატანა გახლავთ, ენდელის ცხოვრება დედამინაზე ადამიანთა ცხოვრებას ასახავს, ხოლო აფაბელი ღვთის ზეციური ქალაქის სიმბოლოა. ლონის მიტოვებული მინა ცეცხლის ტბას შეესაბამება, სადაც ცალკეული პიროვნებები მარადისობას იესო ქრისტეს მხსნელი მადლის გარეშე გაატარებენ. წინა თავში განხილული პიროვნებების ცხოვრება იმ ადამიანთა სხვადასხვა ვითარებებს გვიჩვენებს, რომლებიც სამუდამო სასჯელის თანამდები იქნებიან. ღვთის სიტყვა ამას ძალზე ნათლად აცხადებს.

დიახ, თქვენ სწორად კითხულობთ: მათი ხვედრი სამუდამო სასჯელია. ამ სიტყვის დასაწერად მზადებისას დიდხანს

ვფიქრობდი, როგორ აღმეძრა მკითხველში იმის გაგების უნარი, რასაც წმიდა წერილი „საუკუნო სასჯელს“ უწოდებს. დაკვირვებით წაიკითხეთ მოყვანილი მუხლები:

„ამიტომ, მივატოვოთ ქრისტეს (მესიის) სიტყვის საწყისები და ვესწრაფოთ სრულყოფას (სულიერ სიმწიფეს); ნულარ ჩავუყრით საძირკველს ... მარადიული განკითხვის (და სასჯელის) მოძღვრებას. [ყველა ეს საკითხი დიდი ხნის წინ უნდა გცოდნოდათ]“. (ებრ. 6:1-2 AMP)

როგორც ხედავთ, დარჩენილი ხუთი საფუძველჩამყრელი ჭეშმარიტება გამოვტოვე, რომელთაგან ზოგი მკვდარი საქმეების მონანიებას და ქრისტეს რწმენისკენ სწრაფვას ეხება. ამის მიზეზი გახლავთ მარადიული განკითხვისა და სასჯელის გამოკვეთა, რაც ასევე ქრისტეს მოძღვრების საწყისებს მიეკუთვნება.

ერთ-ერთი ლექსიკონის თანახმად, „საწყისი“ ნიშნავს „საბაზისოს, არსებით ან საფუძვლიან ნაწილს“.<sup>1</sup> ეს გახლავთ მოძღვრების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელზეც დასაწყისიდანვე უნდა ვიდგეთ; ეს საძირკველია. მეტი თვალსაჩინოებისთვის ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა განვიხილოთ. დაწყებით სკოლაში ვითვისებთ ყველა იმ საბაზისო უნარს, რომელზეც ჩვენი განათლება უნდა დაშენდეს. ეს გახლავთ კითხვა, წერა და არითმეტიკა. ამ საძირკველის გარეშე ვერასდროს შევძლებთ სათანადო განათლების დონის მიღწევას. იგივე პრინციპი ჭეშმარიტია მორწმუნეებისთვისაც. თუ მარადიული განკითხვის მოძღვრება მყარად არ გავითავისეთ, ვერ შევძლებთ ქრისტეში მართებული ცხოვრების აგებას. ეს იგივეა, რომ განათლების მიღებას შეეცადოთ კითხვის, წერისა და მიმატება-გამოკლების ცოდნის გარეშე.

მოგზაური მსახურის ოც წელზე მეტი ხნის გამოცდილებამ მაჩვენა, რომ ბევრს ეს საკითხები არ ესმის და მათ შორის იესო ქრისტეს მიძღვნილი მიმდევრებიც შედიან. ყურადღება მიაქციეთ, რას ამბობს წერილის ავტორი: „ყველა ეს საკითხი დიდი ხნის წინ უნდა გცოდნოდათ“. მას არ უთქვამს რომ საწყისებს უნდა გავცნობოდით, არამედ მათზე სრული და საფუძვლიანი წარმოდგენა უნდა გვქონოდა. „დიდი ხნის წინ“ ნიშნავს, რომ ხსენებული საკითხები ფუნდამენტურია ჩვენი საწყისი რწმენისთვის, ისევე როგორც წერა-კითხვა არის ჩვენი განათლებისთვის.

მოკლედ განვიხილავთ, რატომ არის „საუკუნო განკითხვა“ სანყისი მოძღვრება, რომელიც კარგად უნდა ვიცოდეთ და მასზე დავაშენოთ ჯანსაღი ქრისტიანული ცხოვრება. ეს მხედველობაში იქონიეთ შემდგომი კითხვისას. ამის გაანალიზების გარეშე მეტისმეტად ძნელი იქნება იმის გაგება, რის შესახებ საუბარსაც ვაპირებთ და ადვილად გაგიჩნდებათ კითხვა: *რა არის აქ მთავარი?*

### ჯოჯოხეთი – სიმბოლური თუ რეალური?

სანამ ამ წიგნის წერას შევუდგებოდი, ერთი აზრი არ მასვენებდა: *როგორ გადავცე მარადისობისთვის გამოსადეგი გადანყვეტილებების რეალობა ახლანდელ თაობას, რომელიც დღევანდელი დღით ცხოვრობს და მალე ანგარიშის ჩაბარება მოუწევს სამყაროს უზენაესი მოსამართლის წინაშე?* რამდენიმე დღიანი ჭიდილის შემდეგ, ლოცვაში ერთი აზრი ამოტივტივდა. გავაცნობიერე, რომ იესო ადამიანების აზოვნებამდე სულიერი ჭეშმარიტებების მისატანად იგაგებს იყენებდა. ასე დაიბადა აფაბელის ალეგორიის იდეა.

როცა აფაბელში ცალკეული პიროვნებების განაჩენისა და ლონის მიწაზე სამუდამო განდევნის შესახებ ვწერდი, შინაგანად ვკანკალებდი. ფაქტობრივად, წინა თავის ბოლო ნაწილი თვითმფრინავში დავწერე, როცა ერთ კვირა საღამოს სახლში ვბრუნდებოდი. იმ დღეს სამჯერ ვიქადაგე. ჩემი თანაშემწეები ღრმა ძილს მიეცნენ, მე კი შეუჩერებლად ვბეჭდავდი. სახლში რომ მივედი, შუალამე გადასული იყო, მაგრამ ვერაფრით დავიძინე. მეშინოდა ყველა იმ ადამიანის გამო, ვინც საბოლოოდ, გაცილებით უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ცეცხლის ტბად წოდებულ ადგილას. იესოს სიტყვების თანახმად, ასეთი იქნებოდა ადამიანთა უმეტესი ნაწილი:

„შედით ვინრო კარიბჭით, რადგან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისკენ მიჰყავს, და მრავალნი არიან მასზე მოსიარულენი! რადგან ვინროა კარიბჭე და რთულია გზა, რომელსაც სიცოცხლისკენ მიჰყავს და ცოტანი ჰპოვებენ მას“. (მათ. 7:13-14)

იმ საღამოს საწოლში ვფიქრობდი რამდენიმე წლის წინანდელ ამბავზე, როცა სამხრეთ აფრიკის განსაკუთრებული რეჟიმის

მამაკაცთა საპყრობილეში სახარების ქადაგება მთხოვეს. გამახსენდა, როგორ მივდიოდით შემადრწუნებელ ადგილებში, რა სუნი ტრიალებდა, იქ არსებული საშინელი ცხოვრების პირობები, საკნები, სადაც ერთად იყო შეყრილი ოცი-ოცდაათი ადამიანი ერთმანეთზე მიჯრილი სანოლებით. ამ კაცებისთვის კედელზე პრეზერვატივებიც კი იყო ჩამოკიდებული. ამერიკის რამდენიმე ციხეში მიმსახურია, მაგრამ ცხოვრებაში არასოდეს მინახავს ასეთი სასონარმკვეთი პირობები. ამასთან შედარებით ამერიკის ციხეები სოფლის კლუბებად მოგეჩვენებოდათ.

იმ საშინელ ადგილას არათუ ორმოცი-ორმოცდაათი წლის, ერთი კვირის გაძლებაც კი ვერ წარმომეძგინა. მათ უმეტესობას სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. იქ მყოფი ურწმუნო ადამიანების სახეზე მხოლოდ უკიდურესი უიმედობა იხატებოდა. თითქოს მათი ფიქრებიც მესმოდა: *ერთ დღესაც მოვკვდები და აქედან თავს დავაღწევ*. მეორე მხრივ, პატიმრებს სიკვდილის უცნობი რეალობა აშინებდათ. მართლაც მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. მათ სრული სასონარმკვეთა დაეუფლათ. თავისუფალი რომ ყოფილიყავით, როგორც ადრე ისინი ცხოვრობდნენ და დარჩენილი ცხოვრების მანძილზე ამ ციხის ყურება მოესაჯათ, ისიც კი საშინელ წამებად მოგეჩვენებოდათ.

და მაინც, რაც არ უნდა შემადრწუნებელი ყოფილიყო იქ ყოფნა, მშვენიერიც კი იყო ჯოჯოხეთთან შედარებით. ბოლოს და ბოლოს, მათ თანამოსაკნეები ჰყავდათ და რამდენიმე გისოსებიანი სარკმლიდან მზის სხივები შემოდებოდა. ჯოჯოხეთში არც გვერდით მყოფი და არც შუქი არ არსებობს. არის მხოლოდ დაუშრეტელი ცეცხლი. ცეცხლის ტბაში არ არსებობს შვება და ეს საუკუნოა, რადგან სულები იქ მარადიულად დაიტანჯებიან! ჯოჯოხეთში ადამიანები არ ფიქრობენ: *ერთ დღესაც აქაურობას თავს დავაღწევთ*. მათ მარადიული სასჯელი დაიმსახურეს!

მარადიული განკითხვა ერთ-ერთია სანყის სწავლებათაგან, ამიტომ იესო ჯოჯოხეთზე ხშირად ლაპარაკობდა; უფრო მეტად, ვიდრე ამ საკითხზე დღესდღეობით კათედრიდან ქადაგებენ. მისი აღწერილობის ჩვენებას, წამების არსებობას და მის დაუსრულებლობას – თანაგრძნობის ნაკლებობად არ თვლიდა. პირიქით, ამას მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევდა და როგორც კეთილ მწყემსს, მისი ჩვენამდე მოტანა სურდა. ამრიგად, ჯოჯოხეთზე ლაპარაკი და მასზე სწავლება სიყვარულით იყო ნაკარნახევი, რადგან იგი ყველაფერს გულისხმიერებით აკეთებ-

და. მაშ ასე, ჩემი კითხვა შემდეგში მდგომარეობს: მართლა კარგ სამსახურს ვუნევთ ადამიანებს, როცა დღესდღეობით კათედრებიდან ჯოჯოხეთს არ ვახსენებთ? არის კი ეს ნამდვილი სიყვარული?

ბიბლიაში ჯოჯოხეთის აღმნიშვნელი რამდენიმე სახელია მოცემული. „შეოლი“ (მხოლოდ ძველ აღთქმაში), ჰადესი და სამარხი იმ მცირე სახელთაგანია, რომლებიც უშუალოდ, სიკვდილის სავანეს აღნიშნავს. გენა და ცეცხლის ტბა საუკუნო ჯოჯოხეთის მანიშნებელია. მალე უშუალო და მარადიულ სიკვდილზე მოკლედ ვისაუბრებთ.

წმიდა წერილი გვეუბნება, რომ ჯოჯოხეთი რეალური ადგილია და არა სიმბოლური, რის წარმოჩენასაც ამაოდ ცდილობს ჩვენი საზოგადოება. რიცხვ. 16-ში მიწა გაიხსნა და სამი ოჯახი ფიზიკურად შთაინთქა შეოლში მრავალი მონმის წინაშე. ახალ აღთქმაში ანტიქრისტესა და მის ცრუ წინასწარმეტყველზე ვკითხულობთ: „ორივენი ცოცხლად იქნენ ჩაყრილნი ცეცხლის ტბაში, გოგირდით რომ იწვოდა“ (გამოცხ. 19:20). ისინი არ მომკვდარან ხორციელად, რომ მათი სული იმ ადგილას აღმოჩენილიყო. ორივე ხორციელად იქნენ ჩაყრილნი ცეცხლის ტბაში.

## ლაზარი და მდიდარი

ლუკას სახარებაში იესო რეალურ შემთხვევაზე საუბრობს, სადაც მდიდარი მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრობდა და ყურადღებას არ აქცევდა მისი სახლის წინ მწოლარე მათხოვარს. ვიცით, რომ ეს იგავი არ გახლავთ, რადგან იესო ამბის თხრობას შემდეგი სიტყვებით იწყებს: „იყო ერთი მდიდარი“. მეორე, იგი აბრაჰამს ახსენებს და მათხოვარსაც კონკრეტულ სახელს, ლაზარეს უწოდებს. იესოს არ ახასიათებდა იგავის პერსონაჟებისთვის სახელების დარქმევა ან მათში რეალური ადამიანების გამოყენება.

მოკვდა ლაზარე და ანგელოზებმა წაიყვანეს აბრაჰამის წიაღში, რომელიც ძველი აღთქმის წმინდანების სანუგეშო ადგილი იყო, სანამ იესო გზას გახსნიდა ღვთის წინაშე მათ წარსადგომად ზეცაში. მდიდარიც მოკვდა და ჯოჯოხეთში აღმოჩნდა. შემდეგ ვკითხულობთ:

„და ჯოჯოხეთში, ტანჯვა-წამებაში მყოფმა, აღაპყრო თვალები და დაინახა შორიდან აბრაჰამი და ლაზარეც მის წიაღში. შესძახა: მამაო აბრაჰამ, შემიწყალე და მივივლინე ლაზარე, რომ თითის წვერი დაისველოს წყალ-

ში და ენა გამიგრილოს, რადგან ვიტანჯები ამ ალში!“  
(ლუკ. 16:23-24).

ყურადღება მიაქციეთ, რომ მდიდარი ტანჯვა-წამებაში იყო. სხვა თარგმანებში მისი მდგომარეობის აღსანერად გამოყენებულია „აგონია“, „დიდი ტკივილი“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი ტანჯვა მეტისმეტად დიდი იყო. ჯოჯოხეთი გაცნობიერებული წამების ადგილია. ასევე ცხადია, რომ კაცმა იცნო აბრაჰამი და ლაზარე და მათაც იცნეს იგი. მათ შენარჩუნებული ჰქონდათ აზროვნების უნარი, ემოციები, ნება, ფიზიკური მაჩვენებლები და შეგრძნებები. მდიდარს შეეძლო დანახვა, მოსმენა და ტკივილის განცდა. მათ ასევე ჰქონდათ გარკვეული ფორმის სხეული, რადგან მდიდარმა ენის დასველების მძაფრი სურვილი გამოხატა. იესომ თქვა, რომ ჯოჯოხეთს სამუდამოდ ექვემდებარება როგორც სხეული, ისე სამშინველი (იხ. მათ. 10:28). სხვა სიტყვებით, ადამიანთა სხეული გამუდმებით დაიტანჯება და ცეცხლითა და მატლით შეიჭმება.

ასევე, ყურადღება მიაქციეთ, რომ მდიდარი კაცი მოწყალეობას ითხოვდა, ლონის დილეგში მყოფი ადამიანების მსგავსად ჩვენი ალეგორიიდან. ჯოჯოხეთი ის ადგილი არ გახლავთ, საიდანაც გაქცევა შესაძლებელია და ეს სამუდამოა! არასოდეს მომხდარა, რომ გარედან ვინმე შესულიყოს მის მკვიდრთა სანუგეშებლად, თუმცა ამგვარ შვებასაც დიდად შენატრიან. აბრაჰამმა ამის შესახებ მდიდარსაც შეახსენა: „ჩვენსა და თქვენ შორის დიდი უფსკრულია, ისე რომ, გადმოსვლის მსურველები ვერც აქედან მანდეთ გადმოვლენთ თქვენსკენ და ვერც მაქედან აქეთ, ჩვენკენ“ (ლუკ. 16:26). ვიცნობ პიროვნებას, რომელმაც ჯოჯოხეთი იხილა; ეს კაცი მოგვიანებით ამბობდა, რომ ყველა იქ მყოფის ყვირილიდან ცხადი ხდებოდა, რამდენად აუტანელი იყო მათი ტანჯვა. ზუსტად იგივეს ამბობდა მდიდარი ზემოთ მოყვანილ მუხლში.

გავაგრძელოთ კითხვა:

„უთხრა აბრაჰამმა: შვილო, გაიხსენე, რომ უკვე მიიღე შენ სიცოცხლეში სიკეთენი, ლაზარემ კი – სიავენი. ამიტომ ახლა ის აქ ნუგეშცემულია, შენ კი იტანჯები ... უთხრა: რაკი ასეა, გვედრები, მამაო, მამაჩემის სახლში მაინც მიავლინე იგი! რადგან ხუთი ძმა მყავს, მივიდეს და გააფრთხილოს, რომ ისინიც არ მოხვდნენ ამ სატანჯველში“. (ლუკ. 16:25,27-28)

აღბათ, გაგიგიათ ძველად ნათქვამი: „ტანჯვას მარტოობა არ უყვარს“. აქ რატომ არ გამოდგება იგი? რატომ არ სურდა მდიდარს, რომ მასთან ერთად სხვებიც ყოფილიყვნენ? პასუხი ასეთია: ჯოჯოხეთში მეგობრობა და მოზიარეობა არ არსებობს. ზოგიერთი ფიქრობს, რომ იქ საღამოები იმართება; სხვები ელოდებიან, რომ მეგობრებთან ყოფნით ისიამოვნებენ. ასე რომ ყოფილიყო, მდიდარიც მოისურვებდა ახლობლების შემოერთებას, მაგრამ ის ყველანაირად ცდილობდა, მათთვის თავიდან აერიდებინა ამ სატანჯველში მოხვედრა. ჯოჯოხეთი უკიდურესი მარტოობისა და უიმედობის ადგილია. ის ასევე გახლავთ სამუდამო მოგონების ადგილი, რაც პირადად ჩემი აზრით, ერთ-ერთი უდიდესი სატანჯველია.

დააკვირდით, აბრაჰამის პასუხს, როცა მდიდარი ძმების გამო ევედრება:

„უთხრა მას აბრაჰამმა: მათ ჰყავთ მოსე და წინასწარმეტყველნი; მათ უსმინონ. მან კი თქვა: არა, მამაო აბრაჰამ, თუ ვინმე მკვდართაგანი მივა მათთან, მოინანიებენ! და უთხრა მას აბრაჰამმა: თუკი მოსეს და წინასწარმეტყველთ არ დაუგდეს ყური, მკვდრეთითაც რომ აღდგეს ვინმე, იმასაც არ ერწმუნებიან“. (ლუკ. 16:29-31)

აქ გადმოცემულია მეტად მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება. ბევრი ადამიანის სურვილია, რომ სახარების საფუძვლიანობა ზებუნებრივი განცდების მეშვეობით დაუმტკიცოს საკუთარ თავს თუ სხვებს. მიუხედავად ამისა, იესო გვაჩვენებს, რომ ღვთის სიტყვაზე მეტად არაფერი წარმოშობს ნამდვილ რწმენას, რომელიც ღვთის მორჩილებას ბოლომდე შეგაძლებინებთ. არასწორად ნუ გამიგებთ. ზებუნებრივი განცდები ადამიანებში გოაცებასა და ხანმოკლე ცვლილებასაც იწვევს, მაგრამ არ ძალუძს მტკიცე დარწმუნების წარმოშობა მათ გულებში.

როცა ჯერ კიდევ ამქვეყნიური და გასართობ საღამოებზე გადარეული მოზარდი ვიყავი, მამამ *ათი მცნების* სანახავად წამიყვანა, სადაც მთავარ როლში ჩარლტონ ჰესტონი მონაწილეობდა. ცხადად მახსოვს, როგორ მივაშტერდი ფართო ეკრანს, როცა მინა გაიპო და შემცოდე ხალხი შთანთქა. ამან მთლიანად შემძრა. კინოთეატრიდან გამოვედი თუ არა, ჩემი ცხოვრება შეიცვალა. ნელში გამართული, სულ სხვაგვარად დავდიოდი ერთი კვირის განმავლობაში, მაგრამ შემდეგ ისევ ძველ ცხოვრებას დავუბრუნდი. რატომ? იმიტომ, რომ ღვთის

სიტყვა არ მომისმენია, არ მომინანიებია და ჩემი ცხოვრება იესოსთვის სრულად არ მიმიძღვნია, რომ მის მაღლს ჩემში მოქმედა.

მე და ჩემს მეგობრებს სხვა უჩვეულო განცდებიც გვქონია, რომლებმაც ჩემზე დიდად იმოქმედა, მაგრამ რაიმე ზებუნებრივით არასოდეს შევცვლილვარ. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ჩვენი კოლეჯის სტუდენტური საძმოს ერთ-ერთი წევრი ჩემს ოთახში არ მოვიდა და ღვთის სიტყვა არ მომიტანა იესო ქრისტეს სახარების სახით, რამაც ჩემი ცხოვრება შეცვალა. წმიდა წერილი ხაზგასმით გვეუბნება: „რწმენა მოსმენისაგან, ხოლო მოსმენა – ღვთის სიტყვისაგან“ (რომ. 10:17). „ხელახლა ხართ შობილნი არა ხრწნადი თესლისაგან, არამედ უხრწნადისაგან - ღვთის ცოცხალი და საუკუნო სიტყვის მიერ“ (1 პეტრ. 1:23). სწორედ ამ მიზეზის გამო, მნიშვნელოვანია ვასწავლოთ და ვიქადაგოთ ღვთის სიტყვა და არა ჩვენი განცდები.

მეორე მხრივ, ამ განმარტების შემდეგ, ნება მომეცით, კიდევ ერთი ფაქტი აღვნიშნო: თუ რაიმე განცდა ღვთის სიტყვას არა მარტო ავსებს, არამედ მის სრულად გაგებაშიც გვეხმარება, ამაღლევებელი და საჭიროც კია. დამოწმებას უზარმაზარი ადგილი უჭირავს სახარების გადაცემაში, მაგრამ ღვთის სიტყვის მიღებას და რწმენას შეუძლია მხოლოდ ჩვენი მარადიულად დაფუძნება.

### „რატომ მივღივარ ამ ბზით?“

ახლა, ნება მომეცით, დამოწმება გაგიზიაროთ, რომელიც წმიდა წერილიდან განხილულს შეავსებს. ერთ საღამოს მე და ჩემი მეუღლე მეგობრის მისაღებ ოთახში ვისხედით, რომელიც ახალგაზრდობაში თავს გადახდენილ ამბავს გვიყვებოდა. იგი კარიბის კუნძულებზე გაიზარდა და წვიმების სეზონზე მშენებლობისთვის წვიმის წყლის დასაგროვებელ ორმოში ჩავარდა. მისი ძმა გადახტა და შველა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო, ამიტომ უკან ამოვიდა და მაშველის მოსაყვანად გაიქცა, რადგან ჩემმა მეგობარმა ცურვა არ იცოდა. როცა მაშველი მოვიდა, ის უკვე ოცდაათი წუთის გარდაცვლილი იყო.

მან გვითხრა, რომ სხეულის დატოვების მიუხედავად, ყველა მისი შეგრძნება მოქმედებდა. ამის შემდეგ გააცნობიერა, რომ რალაც ძალა სწრაფად ენეოდა ქვემოთ, ძალიან ღრმა სიბნელისკენ. სიბნელე იმდენად გაჯერებული გახლდათ, რომ თვალთან მიტანილ ხელსაც კი ვერ ხედავდა. თითქოს წყვილი ზედ შემოეცვა. მან ასე გვითხრა:



- შიში იმდენად დიდი იყო, რომ ამაზე უარესი წარმოუდგენელი გახლდათ. რაც მეტად შევიგრძნობდი, მით უარესი ხდებოდა. არასოდეს განმიცდია მსგავსი რამ დედამინაზე. მისი სიტყვებით აღწერა შეუძლებელია“.

იგი განაგრძობდა:

-შემდეგ მოციმციმე შუქები დავინახე და მივხვდი, რომ ჯოჯოხეთისკენ მივექანებოდი. ყვირილი დავიწყე: „რატომ მივდივარ ამ მიმართულებით? მე ხომ ქრისტიანი ვარ!“ ჩემი მეგობრის დედა და მამა ძლიერი მორწმუნეები იყვნენ, მაგრამ ის უბრალოდ დადიოდა ეკლესიაში, რადგან მშობლების თქმით, სხვა გზა არ ჰქონდა.

მაშინ მან შიშისა და ტანჯვის ხმები გაიგონა. ცხადად მახსოვს მისი ნათქვამი:

- ჯონ, ლიზა, არის ჩვეულებრივი ყვირილი, მაგრამ არსებობს ყვირილი, რომელიც ძარღვებში სისხლს გაგიყინავს. აი, ასეთი ხმები მესმოდა.

შემდეგ რაღაც ქმნილების პირისპირ აღმოვჩნდი. მას სასწორი ეჭირა და გამუდმებით მიმეორებდა: „ჩემთან მოდი! შენ ჩემი ხარ!“

იმ ქმნილებასთან ბრძოლა დავიწყე. თავიდან შეშინებულს ხმის ამოღება არ შემეძლო, შემდეგ კი ვიყვირე: „გამიშვი, გამიშვი!“

მოულოდნელად ვიგრძენი, რომ სხეულში მყოფი ვყვიროდი და ექიმს ხელზე ვუკბინე, რომელსაც თითი ჩემს ხახაში ჩაეყო. ასე მითხრა დედამ, როცა შემდეგში ჩემი განცდების შესახებ ვუამბე. ამავედროულად, დედაჩემი საოპერაციოს დერეფანში (უკვე საავადმყოფოში ვიყავი) იჯდა და ღმერთს შეჰლაღებდა: „ზეციერო მამა, თუ ჩემს შვილს ცოცხალს დამიბრუნებ, შენ გადმოგცემ სამარადისოდ!“ მოგვიანებით იმ მეგობარმა პირველმა წამოიწყო მსახურება კარიბის კუნძულებზე.

შესაძლოა, ეჭვი შეიტანოთ მისი მონაყოლის სისწორეში, მაგრამ არაერთი მამაკაცი, ქალი თუ ბავშვი არსებობს, ვისაც იგივე გამოუვლია. კლინიკური სიკვდილის განცდა საკმაოდ ხშირი შემთხვევაა, ასე რომ ექიმებს რამდენიმე მათგანი გამოუკვლევიათ.

ამგვარ მკვლევართაგან ერთ-ერთია ექიმი მელვინ მორსი, რომელიც კლინიკურად გარდაცვლილი ბავშვების შემთხვევების შესწავლას ხელმძღვანელობდა. მან ორი ჯგუფი შეისწავლა. პირველი ჯგუფი 121 პაციენტისგან შედგებოდა, რომლებიც კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მაგრამ არ მომ-

კვდარან. ეს ბავშვები ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იყვნენ შეერთებული, ინტენსიური თერაპია უტარდებოდათ ან მძიმე შედეგების მქონე ნამლებს იღებდნენ. მათი ასაკი სამიდან თექვსმეტ წლამდე მერყეობდა. არც ერთ მათგანს არ უთქვამს, რომ სხეული დატოვა.

მეორე ჯგუფი დაახლოებით ერთნაირი ასაკის თორმეტი ბავშვისგან შედგებოდა. ზოგიერთ მათგანს გული გაუჩერდა წყალში დახრჩობის შედეგად, ზოგი – ავტოკატასტროფაში მოყვა, სხვებს გულისცემა შეუჩერდათ და ა.შ. ამ პატარა ჯგუფიდან ყველას ჰქონდა სხეულიდან გასვლის განცდა. ზოგიერთები ყვებოდნენ, როგორ დაინახეს საკუთარი სხეულები და ექიმებს აღუწერეს პროცედურები, რომლებიც მათ უტარდებოდათ.

შეიძლება ვილატეებმა იფიქრონ, რომ ჩემს მეგობარს ჰალუცინაცია ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ბავშვებზე წარმოებულმა დაკვირვებებმა სრულიად სანინალმდეგო დაამტკიცა. გარდა ამისა, როგორ შეიძლება ადამიანს ჰალუცინაცია ჰქონოდა, თუკი იგი კლინიკურად გარდაცვლილი იყო 30 წუთის განმავლობაში?

### ჰადესი და ცეცხლის ტბა

ჩვენმა მეგობარმა და სხვა ჩემთვის ნაცნობმა ადამიანებმა, რომლებსაც ჯოჯოხეთის განცდა ჰქონდათ, წამების შუალედური ადგილი, ჰადესი იხილეს. ეს არ გახლავთ დალუპული ადამიანების სამუდამო სამყოფელი. აქ სულები დიდი თეთრი ტახტის წინაშე წარდგომამდე იტანჯებიან. მუდმივი სამყოფელი, სადაც ადამიანები, დემონები და დაცემული ანგელოზები ერთად გაატარებენ მარადისობას განკითხვის შემდეგ, ცეცხლის ტბად იწოდება. ეს ნათლად ჩანს წმიდა წერილის შემდეგი მუხლებიდან:

„ვიხილე დიდი თეთრი ტახტი და ზედ მჯდომი ... მისცა ზღვამ მასში მყოფი მკვდრები; და სიკვდილმა და ჯოჯოხეთმაც მისცეს მათში მყოფი თავიანთი მკვდრები; და თითოეული განკითხულ იქნა თავისი საქმეებისამებრ. სიკვდილი და ჯოჯოხეთი ჩაყრილ იქნენ ცეცხლის ტბაში; ეს არის მეორე სიკვდილი, ცეცხლის ტბა. ვინც არ აღმოჩნდა სიცოცხლის წიგნში ჩაწერილი, ცეცხლის ტბაში იქნა ჩაგდებული“. (გამოცხ. 20:11,13-15)

უპირველესად მინდა აღვნიშნო, რომ ყველა, ვინც წამების შუალედურ ადგილას ანუ ჰადესში იმყოფებოდა, სამსჯავროს წინაშე წარადგინეს. განკითხვის დასრულების შემდეგ ყველა კანონდამრღვევი და ურჯულოების მოქმედი ცეცხლის ტბაში გადაყარეს დემონების, დაცემული ანგელოზების და თავად ჯოჯოხეთის ჩათვლით.

### ცეცხლის ტბის ხილვა

მე და ჩემს მეუღლეს ბერძენი მეგობრები გვყავს. ცოლის სახელია ჯოი, რომელიც მესამე თაობის მსახური გახლავთ. მისი ბებია საბერძნეთში დაიბადა და გაიზარდა. მან ადრეული ასაკიდან დაიწყო ღვთის ძიება. ირგვლივ მყოფები მის კითხვებს გულგრილად და აშკარა დაცინვით ხვდებოდნენ. მას ეკლესიაში წასვლაც სურდა, მაგრამ უთხრეს, ღმერთი არ არსებობსო და ამგვარი სისულელეებზე ფიქრი აუკრძალეს.

ერთხელ ჯოის ბებია მეგობრებთან ერთად ცეკვავედა სოფლის მოედანზე, სადაც ბერძნული დღესასწაული იმართებოდა. ამ დროს რაღაც ხმამ უთხრა: „ეფროსინი, მარადიული ცეკვა ეძებე!“

იგი გაოცდა. *რა იყო ეს?* – დაინტერესდა გოგონა. მან მაშინვე შეწყვიტა ცეკვა და სახლისკენ გაიქცა, რომ აზრზე მოსულიყო. გზაში უზარმაზარი ტვირთის სიმძიმე შეიგრძნო, თითქოს ზურგზე რაღაც ჰქონდა მოკიდებული.

სახლში მისული ეფროსინი თავისი საწოლი ოთახისკენ გაემართა, მუხლებზე დაეცა და ტირილი დაიწყო. მას სურდა იმ ხმას დალაპარაკებოდა. ვინ ესაუბრებოდა მას? რას ნიშნავდა სიტყვები, რომლებიც უთხრეს? რის გაკეთებას სთხოვდა ხმა? ამგვარი კითხვები აწვალებდა მის გონებას, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც კი ეფროსინი იატაკს შეეხო, იგრძნო, რომ ოთახში რაღაც ცეცხლის მსგავსი შემოვიდა და მთლიანად მოიცვა. იგი უკან გადავარდა და ამ დროს ხილვა ნახა.

სრულიად თეთრებში ჩაცმული ანგელოზი მიუახლოვდა, ასნია და ისეთ ადგილას გადაიყვანა, სადაც მკრთალი შუქი იყო. იქ მარტო დარჩა. როცა ეფროსინმა ირგვლივ მიმოიხედა, მისდა გასაოცრად აღმოაჩინა, რომ გოლგოთის სცენას უყურებდა. უფალი ჯვარზე ეკიდა და მისი ქრილობებიდან სისხლი წვეთავდა. გოგონამ იესოს სახეზე ტანჯვის აგონია იხილა.

ამავდროულად, ეფროსინიმ შორი მანძილიდან მომავალი

ყვირილის ხმები გაარჩია. იგი შებრუნდა, რომ დაენახა, საიდან ისმოდა ხმები. მის წინაშე დიდი უფსკრული გამოჩნდა, რომელიც ჯვრისგან ამორებდა, იქედან კი ცეცხლის ენები ამოდოდა. ეს მთლიანი ცეცხლის ოკეანე გახლდათ. მან შეძლო უამრავი ადამიანის ყვირილის მოსმენა. ისინი ღმერთს ლანძღავდნენ. ამ დროისთვის იგრძნო, რომ რაღაც ძალა დედამიწის უფსკრულისკენ ეზიდებოდა და ადრე გაგონილმა ხმამ უთხრა: „შენც ამ ადგილს ეკუთვნი“.

ეფროსინი შეძრწუნდა! მან ყვირილი მორთო და შეწყალებას ითხოვდა. იგი ჯვარცმის ძირში დაეცა იგივე მძიმე ტვირთით, რომელიც ადრე შეიგრძნო. გარკვეული დროის მანძილზე იქ ეგდო და ტიროდა. ამის შემდეგ სიყვარულითა და თანაგრძნობით სავსე ხმამ უთხრა: „მან ეს შენთვის გააკეთა! შენთვის მოკვდა! თუ პატიებას ითხოვ და მის მსხვერპლს მიიღებ, ქვემოთ [ცეცხლის ტბაში] აღარ მოხვდები!“

ეფროსინი კიდევ უფრო მეტად აყვირდა და მაშინვე გამოეხმაურა ხმის ნათქვამს. მან პატიება ითხოვა. ამ დროს ზურგიდან ტვირთი მოწყდა და ჯვარცმის ძირში დაგორდა.

გოგონამ ზემოთ აიხედა და მის წინ მდგარი უფალი იესო დაინახა განდიდებული სახით. უფალმა ხელში აიყვანა და ულამაზესი მწვანე გორაკისკენ წაიყვანა. ახლა მას უფალთან აზრების გაცვლა-გამოცვლა შეეძლო. იგი კითხვებს უსვამდა და უფალი პასუხობდა. ეს საოცარი იყო! ეფროსინი დაინტერესდა, საით მიდიოდნენ. უფალმა უთხრა: „შენს ზეციერ მამასთან შესახვედრად!“

როცა ისინი გორაკის წვერს მიუახლოვდნენ, გოგონამ კარიბჭიდან გამომავალი შუქის დანახვა შეძლო. ირგვლივ არსებული ყვავილებისა და ხეებისგან მშვენიერი, ანგელოზისებრი მუსიკა და სიმღერა მოისმოდა. ისინი პარკთან მივიდნენ და კარიბჭე გაიარეს. იქ არსებული სილამაზე ენით აღუწერელი იყო!

ისინი პირდაპირ ტახტს მიუახლოვდნენ. ეფროსინს ღვთის სახე არ დაუნახავს, რადგან მას საბურველი ეფარა, მაგრამ დიდი წიგნი და ღრუბლებიდან მისკენ გამოწვდილი ხელი კი იხილა. ხელმა წერა დაიწყო. გოგონა წინ გადაიხარა, რომ ნაწერი გაერჩია და მისდა გასაოცრად დაინახა, როგორ ჩაიწერა მისი სახელი სიცოცხლის წიგნში! (თუმცა იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ეს სიცოცხლის წიგნი იყო).

როცა ზეციერმა მამამ ეფროსინის სახელი სიცოცხლის წიგნში ჩაწერა, ასე უთხრა: „კეთილი იყოს შენი მობრძანება

ოჯახში!“ და შუბლზე აკოცა. ამ დროს მან დაინახა, რომ ანგელოზებმა წრე შეკრეს და ცეკვა-სიმღერას შეუდგნენ დიდი სიხარულის ნიშნად! მას თავისი სახელი მოესმა ანგელოზების სიმღერაში, როცა ისინი ცეკვით წრეს უვლიდნენ. გოგონა მათ შეუერთდა. მან მოგვიანებით გაიგო, რომ ეს ანგელოზთა დიდი ზეიმი იყო მის პატივსაცემად, რადგან გადარჩენა მიიღო.

გარკვეული დროის შემდეგ უფალმა უთხრა ეფროსინის, რომ დედამინაზე დაბრუნების დრო იყო, რადგან მისთვის დიდი საშრომი დაგეგმა. გოგონას მძიმე განსაცდელების გადატანა მოუწევდა მისი სახელის გულისთვის, მაგრამ ამ ყველაფრის შემდეგ მასთან დაბრუნდებოდა სამუდამოდ.

ამ დროს ეფროსინიმ აღმოაჩინა, რომ თავის ოთახში იყო. ის ძალზე უკმაყოფილო დარჩა ახლახან განცდილი ზეციური მოგზაურობის შემდეგ დედამინაზე დაბრუნებით, მაგრამ არჩევანი არ ჰქონდა.

როცა სოფელში გოგონას ხილვის შესახებ გაიგეს, დევნა დაიწყო. თავდაპირველად მამა დაემუქრა, რომ ნაჯახით აკუნავდა, თუ თავის რწმენას არ მოინანიებდა. ეფროსინმა უთხრა, რომ არასოდეს არ მოინანიებდა, რაც ნახა.

დევნა დღითი დღე მძაფრდებოდა ერთ საღამომდე, როცა გოგონასთან მისი და მოვიდა და უთხრა, რომ ვილაც ადამიანები დილას მოსვლას და სოფლის მოედანზე მის ნაყვანას აპირებდნენ, სადაც ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია იდგა. თუ ის მარიამის ხატს არ ემთხვეოდა, თაყვანს არ სცემდა და არ ეამბორებოდა, ბენზინს გადაასხამდნენ და დაწვავდნენ.

ეფროსინის არ სჯეროდა, რომ ხალხი ასე შორს წავიდოდა, მაგრამ მათ მტკიცედ გადაეწყვიტათ ამგვარად მოქცევა. იმავე საღამოს მასთან უფლის ანგელოზი მოვიდა და მხარზე შეხებით გააღვიძა. როცა გოგონას გაეღვიძა, ანგელოზმა ადგომა, ჩაცმა და წინა კარიდან გასვლა უბრძანა. იგი დაემორჩილა და როცა ტერასაზე გავიდა, იგრძნო, რომ ვილაცამ მიწიდან ასწია. იგი ფიზიკურად უსაფრთხოდ იქნა გადაყვანილი სახლიდან სხვა სოფელში რამდენიმე მილის დაშორებით.

## წარმოუდგენელი წამიბა

ჯოის ბებიას ჰადესი არ უნახავს. მან ცეცხლის ტბა იხილა, რომელსაც ასევე „მეორე სიკვდილი“ ეწოდება. მისი ხვედრი შეიცვალა, რადგან მთელი გულით იესო ქრისტეს მიყოლა არჩია. წმიდა წერილი ასე გვეუბნება:

„მხდალთა და ურნმუნოთა, შემბილწველთა და მკვლელთა, მეძავთა და გრძნეულთა, კერპთაყვანისმცემელთა და ცრუთა ხვედრი ტბაშია, რომელიც ინვის ცეცხლითა და გოგირდით. ეს არის მეორე სიკვდილი“. (გამოცხ. 21:8)

ყურადღება მიაქციეთ, რომ ტბა „ცეცხლითა და გოგირდით ინვის“. გოგირდი არამეტალური სუბსტანციაა, რომელიც უდიდეს ტემპერატურაზე ინვის და მეტად უსიამოვნო სუნს გამოყოფს. მრავალმა აღწერა ჯოჯოხეთი და მისი შემადრწუნებელი სუნი. ისინი მას „აუტანელს“ უწოდებენ. ფაქტობრივად, ჩემს ნაცნობთაგან ვისაც ეს ადგილი უნახავს, იქ არსებული ტანჯვისა და საშინელების აღწერას ჩვენი ენისთვის შეუძლებლად მიიჩნევს.

ასევე ყურადღება მიაქციეთ ტერმინს, „მეორე სიკვდილი“. იესო ამბობს: „ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს [ეს ნიშნავს, რომ იგი ურნმუნოებს არ ელაპარაკება]: გამარჯვებულს ვნება არ ექნება მეორე სიკვდილისგან“ (გამოცხ. 2:11).

შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, რომ იესო ამას ეკლესიებს ეუბნება. და მაინც, ზემოხსენებულ მუხლში სამი ძირითადი კატეგორიის ადამიანებს ვხედავთ, რომლებიც ცეცხლის ტბაში დაიწვებიან. პირველ კატეგორიაში შედიან ქრისტესგან უკან მიქცეულები. მეორეში შედიან ისინი, ვინც ერთგულებას არ იჩენდნენ უფლის მიმართ. მესამე კატეგორიას წარმოადგენენ ცოდვილები, რომლებიც მას საერთოდ არ იცნობდნენ. პირველი ორი ჯგუფი ოდესღაც ეკლესიას შეადგენდა.

გაიხსენეთ პირველი სამი პიროვნება ჩვენი ალეგორიიდან: გაუბედავი, მოტყუებული და დამოუკიდებელი! ორი მათგანი აქტიურად ესწრებოდა ენდელის სკოლას, რაც ეკლესიის სიმბოლო გახლავთ. ამ საკითხს მცირე ხნით ჩავუღრმავდებით.

*მეორე სიკვდილი* ცეცხლის ტბაში ტანჯვა გახლავთ მთელი მარადისობის განმავლობაში. და კვლავ, მარადისობის განხილვისას პირველ თავზე იფიქრეთ: უკუნითი უკუნისამდე, უსასრულოდ, ყოველგვარი შვებისა და თავის დახსნის გარეშე! ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს აგონია ერთხელაც დასრულდება, მაგრამ ეს მოსაზრება ღვთის სიტყვის სწავლებას ამკარად ეწინააღმდეგება. იგი აცხადებს: „იტანჯებიან დღე და ღამე უკუნითი უკუნისამდე“ (გამოცხ. 20:10).

ტანჯვის უსასრულობის კიდევ ერთი მტკიცებულებაა იესოს ნათქვამი მათ შესახებ, ვინც მის სიტყვას არ ემორჩილება: „და

წავლენ ისინი საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი - საუკუნო სიცოცხლეში“ (მათ. 25:46).

ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს „საუკუნო სატანჯველი“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტანჯვა არ სრულდება. იგი საუკუნოა! იესო გვეუბნება:

„თუ შენი თვალი გაცდუნებს, ამოითხარე იგი: გირჩევნია ცალი თვალით შეხვიდე ღვთის სამეფოში, ვიდრე ორი თვალი გქონდეს და ჩაუქრობელი ცეცხლის გენაში იქნე ჩაგდებული“. (მარკ. 9:47)

როგორც ხედავთ, იესო აქ გენაზე ლაპარაკობს, ცეცხლის ტბაზე:

„თუ შენი თვალი გაცდუნებს, ამოითხარე იგი: გირჩევნია ცალი თვალით შეხვიდე ღვთის სამეფოში, ვიდრე ორი თვალი გქონდეს და ჩაუქრობელი ცეცხლის გენაში იქნე ჩაგდებული, სადაც მათი მატლი არ კვდება და ცეცხლი არ ნელდება“. (მარკ. 9:47-48)

ყურადღება მიაქციეთ, რომ მათი მჭამელი მატლი არ კვდება. ეს ნიშნავს, რომ მათ ყოველთვის აქვთ რაღაც საჭმელი. მოდი, ეს ბუნებრივ თვალსაჩინოებას შევადაროთ! როცა ადამიანი ფიზიკურად კვდება, მატლები იქამდე ჭამენ მის ხორცს, სანამ ძვლები არ დარჩება და შემდეგ მატლებიც კვდებიან. თუმცა გენაში ისინი არ კვდებიან, რადგან მათი საჭმელი არასოდეს მთავრდება. ერთი პიროვნება, რომელსაც ჯოჯოხეთის ხილვა ჰქონდა, ამონებდა, რომ იქ უზარმაზარი მატლები ნახა. ისინი ცეცხლისგან დატანჯული ადამიანების ხორცს ჭამდნენ და მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენ ხანს იყვნენ ჯოჯოხეთში, ხორცი მაინც საკმარისი იყო მატლების საჭმელად.

დიახ, თქვენ მართალი ბრძანდებით, ეს წარმოუდგენელი ადგილია! და მაინც, თავიდანვე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ღმერთს ცეცხლის ტბა ადამიანებისთვის არ შეუქმნია. ისმინეთ, რას ამბობს იესო მათზე, ვინც ამ საზარელ ადგილას აღმოჩნდნენ:

„მაშინ იმათაც ეტყვის, ვინც მარცხნივაა: წადით ჩემგან, წყეულნი, საუკუნო ცეცხლში, რომელიც გამზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვის!“ (მათ. 25:41)

ცეცხლის ტბა ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვის შეიქმნა და არა კაცობრიობისთვის. მიუხედავად ამისა, ეშმაკი ბევრს ატყუებს და მასთან ერთად მიჰყავს საუკუნო სატანჯველში. ეს ჩვენი ალეგორიის მსგავსია: დაგონის ზეგავლენამ ბევრი აცდუნა და ჯეილინის რისხვა თავს დაატეხა. ის სასჯელი, რაც მას ელოდა, მის გავლენას დაქვემდებარებულმა ადამიანებმაც გაიზიარეს. ასე რომ არ მოქცეულიყო, ჯეილინი სამართლიანი მეფე არ იქნებოდა.

### ყველაფერი საშუალოდ კარგადაა

წინა თავში ვიხილეთ, როდენ აშკარა იყო ჯეილინის რისხვა. წმიდა წერილი აცხადებს, რომ მამაკაცები და ქალები შესვამენ „... ღვთის მძვინვარების ღვინისგან, ... და დაიტანჯებიან ცეცხლსა და გოგირდში წმიდა ანგელოზების წინაშე და კრავის წინაშე. მათი წამების კვამლი ავა უკუნითი უკუნისამდე“ (გამოცხ. 14:10-11).

კიდევ ერთხელ იფიქრეთ სიტყვებზე „უკუნითი უკუნისამდე!“ გახსოვთ ჩვენი მსჯელობა მარადისობაზე პირველ თავში? ვცდილობდით თუ არა მისი უსასრულობის ჩანვდომას? ეს შეუძლებელია გონებით, მაგრამ შესაძლებელი – გულით. ამ მიზეზის გამო ღმერთი მთელ თაობაზე გოდებს, რომელიც მის სიტყვას არ ისმენს:

„ნეტავ ისეთი გული ჰქონოდათ, რომ შინებოდით ჩემი და მუდამჟამს დაეცვათ ჩემი ყოველი მცნება, რათა კარგად ყოფილიყვნენ თვითონ და მათი ძენი უკუნისამდე!“  
(2 რჯ. 5:29)

ყურადღება მიაქციეთ სიტყვას „უკუნისამდე!“ ნეტავ ეს ხალხი მოტივირებული ყოფილიყო იმით, რაც მუდმივია – ყოფილიყო მარადისობით ამოძრავებული!

ასევე, ყურადღება მიაქციეთ, რომ ღმერთმა თქვა: „მუდამჟამს დაეცვათ ჩემი ყოველი მცნება“. მას არ უთქვამს: „დროდადრო დაიცავით ჩემი ყოველი მცნება“. მას არც ეს უთქვამს: „ყოველთვის დაიცავით ზოგიერთი ჩემ მცნებათაგან“. არა, ყოველთვის ყველა მცნება უნდა დავიცვათ! ჩვენ გვებრძანა, რომ სრულად და მუდამ დავემორჩილოთ მის ნებას.



შესაძლოა, იფიქროთ: „არ დამიცვია ყველა მისი მცნება და ახლა სამსჯავროზე დამნაშავე აღმოვჩნდები! დიახ, თქვენ სრულიად მართალი ბრძანდებით. არავის შეუძლია ღვთის წინაშე წარდგომა და განცხადება: „შენი სამეფოს შესაფერისი ცხოვრებით ვიცხოვრე და მარადიულ სასჯელს არ ვიმსახურებ“.

ამგვარი ნაკლოვანების მიზეზი ის გახლავთ, რომ ადამიანმა საკუთარი ნებით ღვთის ურჩობა ამჯობინა. შედეგად, მან ცოდვილი ბუნება მიიღო. ამ მოლაღატური ქმედებით იგი სატანის მონად იქცა და მის ძალაუფლებას დაექვემდებარა. მას არ ჰქონდა არავითარი საშუალება, რომლითაც თავს გამოისყიდდა ან დაიხსნიდა. ეს დაცემული ბუნება ადამისა და ევას ყველა შთამომავალს გადაეცემოდა. ეს მთელი კაცობრიობაა, რადგან ყველანი ჩვენი მშობლების ბუნების მატარებელი ვართ.

ღმერთმა მისი წმიდა სიყვარულით აღთქმა დაგვიდო მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი სრულად იყო პასუხისმგებელი თავის დაცემულ მდგომარეობაზე. აღთქმა ჩვენს გადასარჩენად მხსნელის გამოგზავნას გულისხმობდა. ის მხსნელი იესო ქრისტეა. მის დაბადებამდე ასობით წლის წინ იქნა ნაწინასწარმეტყველები, რომ იგი ქალწულისგან იშვებოდა (იხ. ეს. 7:14). მისი მამა ღმერთი იქნებოდა, ხოლო დედა – ქალწული მარიამი, მეფე დავითის შთამომავალი. იესოს ორივე მშობელი ადამიანი რომ ყოფილიყო, ისიც ადამის ბუნებით დაიბადებოდა, ცოდვის ბუნებას დაემონებოდა, ვეღარ იცხოვრებდა სრულყოფილი ცხოვრებით და შესაბამისად, ვერ გამოგვისყიდდა. უფრო მეტიც, ის ქალისგან უნდა დაბადებულიყო, რადგან კაცმა შესცოდა და დაეცა, ამიტომ კაცსავე უნდა გადაეხადა ამ ლალატის საფასური. ამრიგად, იესო ასი პროცენტით ღმერთი და ასი პროცენტით ადამიანი გახლდათ.

როცა იესო ჯვარს ეცვა, ყველა ჩვენი ცოდვა აიტანა და სისხლი დაღვარა სიკვდილამდე ცოდვის საზღაურის გადასახდელად. მან სრულიად მართალი ცხოვრებით იცხოვრა, ამიტომ მამა ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა იგი და თავის მარჯვნივ დასვა. მეფე დავითმა, რომელიც ასევე წინასწარმეტყველი და იესოს წინაპარი იყო, ათასი წლით ადრე გვაუწყა, რა მოხდებოდა ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ. პეტრე მის სიტყვებს იმონმებს სულთმოფენობის დღეს:

„მაგრამ ის წინასწარმეტყველი იყო და იცოდა, რომ ღმერთმა შეჰფიცა, მისი საზარდულის ნაყოფი დაესვა

მის ტახტზე. მან წინასწარხედვით თქვა ქრისტეს აღდგომაზე, რომ არ იქნებოდა მიტოვებული მკვდართა სამყოფელში და მისი ხორცი არ იხილავდა ხრწნილებას. ეს იესო აღადგინა ღმერთმა, რისი მოწმენიც ვართ ჩვენ ყველანი“. (საქმ. 2:30-32)

იესო მკვდრეთით აღდგა ჩვენს გასათავისუფლებლად. ყურადღება მიაქციეთ პეტრეს სიტყვებს, რომ ის ჰადესში არ დარჩენილა, რაც თავისთავად გვეუბნება, რომ იქ იყო. როდის იყო იქ? ჯვარცმასა და აღდგომას შორის. იესომ სიკვდილი ანუ ჯოჯოხეთი იგემა ყველას გამო, რომ არ მოგვეგოს ჩვენი სამართლიანი საუკუნო განაჩენისამებრ. ახლა, როცა ჩვენი ეგოისტური ცხოვრება მოვინანიეთ და სრულად გადავეცით თავი მის უფლობას, მისი ღვანლი, სისხლის დაღვრა და სიკვდილი – ჩვენი გამოსასყიდი ხდება ღვთის წინაშე გასამართლებლად. ამით ღვთიური სიმართლის პოზიციაზე აღმოვჩნდით და მისი სამსჯავრო ტახტის წინაშე გაბედულად დგომა შეგვიძლია!

სწორედ ამ მიზეზის გამო ნათლად ამბობს წმიდა წერილი: „ვინაიდან მაღლით ხართ გადარჩენილნი, რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენგან კი არაა, არამედ ღვთის საჩუქარია. არა საქმეთაგან, რათა არავინ დაიკვეხნოს“ (ეფეს. 2:8-9).

თუ აქამდე არასოდეს მოგინანიებიათ ღვთისგან დამოუკიდებლად ცხოვრება, ცოდვილი გზებით სიარული და იესოს უფლობისთვის თავი სრულად არ გადაგიციათ, ახლავე გადაშალეთ წიგნის დანართი! ამ ნაწილში ღვთის გეგმას ავხსნი, რომელიც თქვენი გადარჩენისთვის შეიმუშავა და ვილოცებ, რომ იესო ქრისტე პირად უფლად და მხსნელად მიიღოთ.

მორწმუნეთა უმრავლესობამ კარგად იცის, რაც ამ ბოლო რამდენიმე გვერდზე დავწერე. მიუხედავად ამისა, აღმოვაჩინე, რომ ბევრი სრულად ვერ აცნობიერებს იმ საკითხს, რაზეც მომდევნო რამდენიმე თავში ვილაპარაკებ. ფაქტობრივად, მაღიარებელი ქრისტიანებისთვის სრული მოულოდნელობა იქნება წმიდა წერილში გამოვლენილი მარტივი ჭეშმარიტებები, რომლებზეც ამის შემდეგ ვისაუბრებ. ასევე, მომდევნო თავებში დავინახავთ, რატომ არის ასე მნიშვნელოვანი საუკუნო სასჯელის შესახებ ჭეშმარიტების ცოდნა ჯანსაღი სულიერი ზრდის მოსურნე მორწმუნისთვის.

## თავი 5

# მოსყუებულის პასამართლება

„ჩვენ კი ვიცით, რომ ჭეშმარიტების მიხედვით არის  
ღვთის სამსჯავრო ...“.  
რომ. 2:2

ესო მოვიდა, რომ ცოდვის საუკუნო საზღაურის გადახდისგან დავეხსენით, რაც სატანისა და მისი დამქაშებების ჩანაფიქრი გახლდათ. მის მიერ სიცოცხლის განირვა ღვთის საოცარი სიყვარულის დასტურია.

იფიქრეთ ამაზე! უფალმა კაცობრიობა შექმნა ცხოველებთან, ფრინველებთან, მწერებთან, ზღვისა და დედამიწის დანარჩენ მკვიდრთან ერთად – ყველანი თავ-თავის გარემოში და ეს ყველაფერი თავიდანვე სრული იყო. ნმიდა წერილში ვკითხულობთ: „იხილა ღმერთმა ყოველივე, რაც შექმნა, და აჰა, კარგი იყო ფრიად“ (დაბ. 1:31). შემდეგ მან ეს სრულყოფილი ქმნილება კაცს მიანდო დასაცავად და შესანარჩუნებლად. როგორც მეფსალმუნე აცხადებს: „ცანი – ცანია უფლისა, ქვეყანა კი კაცთა შვილებს მისცა“ (ფს. 115:16). ადამის პასუხისმგებლობაში შედიოდა არა მარტო საკუთარი თავის, არამედ დანარჩენი ქმნილების ლუციფერისგან დაცვა, რომელიც ღვთის ძველისძველი მტერი გახლდათ.

ღმერთს არ სურდა რობოტების ყოლა, რომლებიც მის სიყვარულს, მორჩილებასა და მასთან ურთიერთობას თავისუფალი ნებით არ აირჩევდნენ. სწორედ ამიტომ, ედემის ბაღში არსებული უამრავი ხიდან ერთ-ერთს თან ახლდა შემდეგი მცნება: „ბაღის ყოველი ხისგან შეგიძლია ჭამო, ოღონდ კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხისგან არ შეჭამო, რადგან რა დღესაც შეჭამ, სიკვდილით მოკვდები!“ (დაბ. 2:16-17).

აქ ღმერთი ფიზიკურ სიკვდილს არ გულისხმობდა, რადგან იგი კარგა ხნის შემდეგ გარდაიცვალა (თუმცა ესეც დაუმორჩილებლობის შედეგი იყო). ღმერთმა ადამს აჩვენა, რომ ღვთიური სიცოცხლისგან მოიკვეთებოდა და ლუციფერის ბუნებას მიიღებდა, რაც იგივე სიკვდილია.

გარკვეული დროის შემდეგ ლუციფერმა ევა აცდუნა და ღვთიურ ბუნებაზე წარმოდგენა დაუმახინჯა. მან ყველა ნებადართული ხიდან მისი ყურადღების გადატანა და

ერთადერთ აკრძალულ ხეზე შეჩერება მოახერხა. როცა ევამ ხე საამურად, სასარგებლოდ და მიმზიდველად მიიჩნია, მისი ნაყოფი იგემა. ასე იმიტომ მოხდა, რომ ქალის თვალში ღმერთი სიკეთის წამრთმევად იქცა და არა უხვად მიმცემად, როგორც სინამდვილეში არის. და მაინც, ამ ეტაპზე კაცობრიობა ჯერ კიდევ არ დაცემულა. ეს იქამდე არ მომხდარა, სანამ იგივე ხის ნაყოფი ევას ქმარმაც არ შეჭამა. ამის შემდეგ კაცობრიობამ სიკვდილის ბუნება შეიძინა. ადამის ცოდვა უფრო დიდი იყო. ევა ცდუნებულ იქნა, ის კი – არა (იხ. 1 ტიმ. 2:14).

საბოლოოდ, არა მარტო ადამმა, არამედ მის დაქვემდებარებაში მყოფმა ქმნილებამ სიკვდილის ბუნება მყისიერად მიიღო. ადამის ღალატის წინ ცხოველები ერთმანეთს არ ხოცავდნენ, ხორცს არ ჭამდნენ და არც კვდებოდნენ. არ არსებობდა ტორნადოები, მიწისძვრები, ქარიშხლები, შიმშილი, სნეულებები და ჭირი. ეს ყველაფერი ადამიანმა მოიტანა, რადგან არ დაიცვა ღვთისგან მისთვის მონდობილი. წმიდა წერილში ვკითხულობთ:

„რადგან ქმნილება თავისი ნებით კი არ დაემორჩილა ამაოებას, არამედ მისი დამმორჩილებლის მიერ იმედით, რომ თვით ქმნილებაც გათავისუფლდება ხრწნილების მონობისაგან, ღვთის შვილთა დიდების თავისუფლებისთვის“. (რომ. 8:20-21)

ბუნება საკუთარი სურვილით არ აღმოჩენილა წყევლის ქვეშ, არამედ ადამიანის მიერ ღვთისადმი გამოჩენილი ურჩობის გამო. ადამმა ვერ დაიცვა მის მზრუნველობას მინდობილი. მან ლუციფერისთვის განკუთვნილ წყევლას, ღვთისგან განშორებას – დაუმორჩილა არა მარტო ბუნება, არამედ საკუთარი თავი, ცოლი და მთელი შთამომავლობა. რა ღალატია! რა გამყიდველობაა!

ამ დროისთვის ღმერთს შეეძლო ეთქვა: „კაცობრიობამ, რომელიც შევიყვარე, ვაკურთხე და სრულყოფილი შევექმენი, ჩემს თავს ლუციფერი არჩია. დაე, ყველანი ცეცხლის ტბის კერძად იქცნენ და ჩვენ (მამა, ძე და სულიწმიდა) ყველაფერს ხელახლა დავიწყებთ! სხვა სამყაროს შევექმნით, სხვა არსებებით, რომლებიც ერთგულები და მოსიყვარულები იქნებიან, ისევე როგორც ჩვენ ვიქნებით მათ მიმართ“.

უფალი ასე რომ მოქცეულიყო, სრულიად სამართლიან გადანყვეტილებას მიიღებდა. მიუხედავად ამისა, მან თავისი

საოცარი სიყვარულის გამო აღთქმა მისცა კაცობრიობას, რომ მხსნელს გაუგზავნიდა იმ მონობისგან დასახსნელად, რომელშიც თვითონ ჩაიგდო თავი. ის მხსნელი მისი ძე იქნებოდა, ვის მირ შექმნა ცა და მიწა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი საშინელ ფასს გადაიხდიდა ჩვენი ცოდვისა და სიკვდილის ბუნების გამო, თუმცა თავიდანვე ჩვენი სიყვარულის გარდა არაფერი გაუკეთებია. ეს მართლაც დიდებული სიყვარულია.

სწორედ ეს გახდა გოლგოთის მიზეზი. არ მესმის, რატომ იბნევიან ქრისტიანები ურწმუნოთა შეკითხვაზე: „როგორ შეუძლია მოსიყვარულე ღმერთს იმ ადამიანების ჯოჯოხეთში გაგზავნა, რომლებსაც სახარება საერთოდ არ სმენიათ?“ ჩემი მარტივი პასუხი ასეთია: „ეს მისი კი არა, ჩვენი ბრალია“. იესომ წარმოუდგენელი ფასი გადაიხადა კაცობრიობის გასათავისუფლებლად. გარდა ამისა, ჩვენ ვინც უკვე გავიგეთ მისი სახარების შესახებ, უფლისგან მივიღეთ დავალება: ყველას, ვისაც ამაზე არაფერი სმენია, იმ წყევლისგან განთავისუფლებაზე უნდა ვაუწყოთ, რომელშიც თავად აღმოვჩნდით და მთელი ქმნილება დაუფქვემდებარეთ. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჩვენს თანამედროვე თაობაზე. ღმერთმა თავისი ნილი საქმე უკვე გააკეთა!

### ჩვენ ღვთის ბუნებას ვიღებთ

იესომ არა მარტო ჩვენი ცოდვების საზღაურისთვის გადაიხადა, არამედ მასში ღვთის მსგავსი ახალი ბუნება შევიძინეთ. უკვე აღარ ვართ ცოდვის მონები. როცა ადამიანი თავის ცხოვრებას მთლიანად იესოს უძღვნის, იგი სრულიად ახალი ქმნილება ხდება.

„მაშასადამე, ის, ვინც ქრისტეშია, ახალი ქმნილებაა; ძველმა განვლო და ახლა ყოველივე ახალია“. (2 კორ. 5:17)

ჩვენ, პირდაპირი მნიშვნელობით, მოვკვდით, როცა იესო ქრისტე მხსნელად მივიღეთ. ჩვენი ძველი ბუნება ღვთის თვალში ჯვარცმულია ქრისტესთან ერთად. იშვა სრულიად ახალი, ღვთის ბუნების მატარებელი პიროვნება. ამრიგად, ჩვენ ხელახლა დავიბადეთ. ახლა თავისუფალი ვართ იმ ბუნებისგან, რომელიც ერთ დროს ჩვენს ცხოვრებას მართავდა. როგორც წერილი აჩვენებს: „ამიტომ დავიმარხეთ მასთან სიკვდილში

ნათლისლებით, რათა, როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ასე ვიაროთ განახლებულ სიცოცხლეში. რადგან ვიცით, რომ მასთან ერთად ჯვარს ეცვა ჩვენი ძველი კაცი, რათა გაუქმდეს ცოდვის სხეული რათა ... აღარ ვიყოთ ცოდვას დამონებულნი“ (რომ. 6:4,6-8). ახლა ქრისტეს ბუნებით ვცოცხლობთ და არა ძველი კაცისამებრ, რომელიც დამონებული იყო ადამის ღალატის შედეგად.

ქრისტიანისთვის სრული უგუნურებაა ისეთი ადამიანის უგულბელყოფა, რომელსაც მისი ცხოვრების წესის გამო იესო უფლად არ მიუღია. იმ პიროვნებას სულიერი დნმ ცოდვის ჩადენისკენ უბიძგებს და ასეც იქცევა. უცნაური და სრულიად არაბუნებრივი ის გახლავთ, რომ ე. წ. „მორწმუნე“ ნებსით სცოდავს ან ცოდვის ჩადენა ჩვევაში გადაეზარდა. სიტყვა „მორწმუნე“ ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი, რომ ასეთი ადამიანი, შესაძლოა, იესოს მხსნელად და უფლად აღიარებდეს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყოს. მორწმუნე რომ ყოფილიყო, ცხოვრებაში ღვთიურ ბუნებას გამოავლენდა. იესომ ეს ნათლად გამოხატა:

„ასე, ყოველი კარგი ხე ნაყოფსაც კარგს იძლევა, ხოლო უვარგისი ხე ნაყოფსაც ცუდს იძლევა. არ შეუძლია კარგ ხეს ცუდი ნაყოფის გამოღება და არც უვარგის ხეს კარგი ნაყოფის გამოღება. ყოველ ხეს, რომელსაც კარგი ნაყოფი არ მოაქვს, ჭრიან და ცეცხლში აგდებენ. ასე რომ, მათი ნაყოფით იცნობთ მათ“. (მათ. 7:17-20)

იესოს ნათქვამი მარტივი, მაგრამ სრულიად შეუცვლელია. ნაყოფზე არ არის დამოკიდებული, თუ რა წარმოიშობა ხისგან. ამას ხის ბუნება განსაზღვრავს. ამრიგად, ხის ბუნება ცხადი ხდება მის ნაყოფზე დაკვირვებით.

თუ დაინახავთ ბუჩქს, რომელსაც ჯანსაღი მოცვის ნაყოფი ასხია, დარწმუნებული იქნებით, რომ ეს ბუჩქი საჭმელად ვარგის ნაყოფს იძლევა. მეორე მხრივ, თუ შხამიან კენკრას აღმოაჩინოთ, გეცოდინებათ, რომ ბუჩქი არ ვარგა. ხის სიკარგე ან შხამიანობა მისი ნაყოფით დასტურდება. ზუსტად ასევე, იესოს ნათქვამის თანახმად, ადამიანები ნამდვილ ქრისტიანებად მათი ლაპარაკით, რელიგიური გარეგნობით ან ქრისტიანულ შესაკრებელზე დასწრებით როდი მიიჩნევიან. ქრისტიანთა რწმენა მათივე მოქმედებით მჟღავნდება! მათი ნაყოფი უანგაროა და ღვთის სამეფოს შენებას ემსახურება

თუ ეგოისტური და ქვეყნიური პრინციპებით გამსჭვალულია? ამასვე აღწერს იოანე მოციქული თავის წერილში:

„ნუ შეიყვარებთ წუთისოფლის გზებს, ნურც იმას, რაც წუთისოფელშია. წუთისოფლის სიყვარული მამა ღმერთის სიყვარულს დევნის ადამიანიდან. ვინაიდან ყოველივე, რაც წუთისოფელშია: საკუთარი გზებით სიარული, საკუთარი თავისთვის მოხვეჭა, მნიშვნელოვან პიროვნებად წარმოჩენის სურვილი – მამისგან კი არა, წუთისოფლისგან არის. ეს ყველაფერი მას დაგაშორებთ. წუთისოფელიც გადადის და მისი გულისთქმაც, ღვთის ნების აღმსრულებელი კი უკუნისამდე რჩება“.  
(1 იოან. 2:15-17 The Message)

მე და ლიზას კარგა ხანი დაგვჭირდა, რომ ჩვენი შვილები ამ ჭეშმარიტებაში დაგვერწმუნებინა. ისინი ქრისტიანულ სკოლებში დადიოდნენ და უამრავ კლასელს ხედავდნენ, რომლებიც მშობლებთან ერთად რეგულარულად ესწრებოდნენ საეკლესიო შეკრებებს და ქრისტიანობას აღიარებდნენ, მაგრამ მუდამ საკუთარი თავის მათემატიკური ნაყოფები მოჰქონდათ, როგორც ზემომოყვანილ მუხლებში ვიხილეთ და არა ქრისტეს ბუნების მსგავსი. ეს მოსწავლეები საკუთარი თავისთვის ცხოვრობდნენ და არ ეძიებდნენ, არ სურდათ და სიამოვნებას არ ანიჭებდათ ღვთის ნების შესრულება.

ჩვენი ბავშვების მდგომარეობა სკოლაში მხოლოდ ერთი მაგალითია უამრავი სხვა შემთხვევიდან, რომლის მოყვანა შემოიძლია. ეს პრობლემა თავს იჩენს სახლებში, ბიზნესის სამყაროში და ეკლესიებსა და მსახურებებშიც. ბევრი მაღიარებელი ქრისტიანი არსებობს, რომელთა ნაყოფები სრულიად სანინალმდეგოზე მიგვითითებენ.

### ტიპური „მოძცევა“

ჩვენ მიერ ნაქადაგები სახარება ცალმხრივია და აქცენტი ცოდვილის ლოცვის მემშვეობით იესოს მიღებაზე კეთდება. ჩვენ მას „უფლად“ ვაღიარებთ და ამის შემდეგ საუკუნო გადარჩენა გვაქვს. და მაინც, ეს იესოს სწავლებას არ შეესაბამება. იგი ამბობს: „ყველა, ვინც მეუბნება: უფალო, უფალო, როდი შევა ცათა სამეფოში, არამედ ის, ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს“ (მათ. 7:21).

თუ დაკვირვებით წავიკითხავთ იესოს განაცხადს და მრავალი წლის დაუბლანსებელი ქადაგების, სწავლების, წერის და გალობის ფილტრში არ გავატარებთ, დავინახავთ, როგორ ეწინააღმდეგება იგი ჩვენს თანამედროვე სახარებას. ამაზე ნათლად იესო ვერ იტყოდა: ყველა, ვინც ცოდვილის ლოცვით ილოცა და უფლად მალიარა, ვერ მოხვდება ზეცაში. და თუ ისინი ზეცაში არ იქნებიან, მხოლოდ ერთი ალტერნატივა არსებობს, რაზეც წინა თავში ვილაპარაკეთ.

მოდით, რიგითი ევანგელური მსახურება განვიხილოთ. მქადაგებელი შემდეგი ტიპის სიტყვას ამბობს: „იესოსთან მოდით და კურთხევა მიიღეთ!“ იგი ხალხს უყვება, როგორ იძლევა იესო სიხარულს, მშვიდობას, წარმატებას, ბედნიერებას, ჯანმრთელობას, ზეცას და ასე შემდეგ. არასწორად ნუ გამიგებთ, მაგრამ იესოს კურთხევის დაპირება არასოდეს გამოუყენებია ადამიანთა მისაზიდად!“

ასე ოცდათხუთმეტ წუთიანი კომერციული მიზნის მქონე სიტყვის შემდეგ მსახური მსმენელებს თავის დახრას სთხოვს. ის მათ ეკითხება, მოხვდებიან თუ არა ზეცაში, დღეს რომ მოულოდნელად გარდაიცვალონ. ზოგან მქადაგებელი დამსწრეებს მოუწოდებს, რომ მარჯვნივ და მარცხნივ მიმოიხედონ და იგივე კითხვა დაუსვან გვერდით მყოფ ადამიანებს, რომ მათაც დაეხმარონ ეკლესიის რიგების შევსების გადანყვეტილების მიღებაში. მოხვდებიან კი სამოთხეში, ღამით რომ გარდაიცვალონ?

– თუ მათ დადებითი პასუხის მოცემა არ შეუძლიათ, – ამბობს წინამძღოლი, – ჩაჰკიდეთ ხელები და წინ გამოიყვანეთ.

როცა კანდიდატები წინ გამოვლენ, ვითარების შესაბამისი გალობა გაისმება, როგორიც არის მაგალითად, 90-იანების პოპულარული „როგორიც ვარ“. სხვა შემთხვევებში მსმენელები ტაშს უკრავენ და იღიმებიან, სანამ მუსიკოსები საზეიმო მელოდიას უკრავენ ადამიანთა მწკრივისთვის, რომელიც წინ მიემართება.

როცა ყველა წინ აღმოჩნდება, მსახური მოკრძალებით თავის დახრას სთხოვს მათ და ცნობილ ლოცვას იმეორებს: „მამაო, ვაღიარებ, რომ ცოდვილი ვარ! მაპატიე ჩემი ცოდვები! დღეს იესოს ვთხოვ ჩემს ცხოვრებაში შემოსვლას უფლად და მხსნელად. მადლობა, რომ შვილად მიმიღე! იესოს სახელით, ამინ!“

დარბაზიდან შეძახილები ისმის, მუსიკა უკრავს და „ახალმოქცეულები“ შეკრებას ტოვებენ ისეთები „როგორებიც იყვნენ“, გარდა იმისა, რომ ახლა მოტყუებულებიც არიან.



არაფერია ნათქვამი დაუმორჩილებელი ცხოვრების მონანიებაზე, საკუთარი სურვილების უარყოფასა და ღვთის ნების მიღებაზე, სიცოცხლის იესოსთვის მიძღვნაზე. მათ იესო უფლად აღიარეს, მაგრამ მათ გულებში ცვლილება არ მომხდარა. ახლა იესო, უბრალოდ, მათი ცხოვრების ნაწილი გახდა.

მინდა გაცნობოთ, რომ მეფეთა მეფე და უფალთა უფალი არავის ცხოვრებაში არ იქნება მეორე ან თუნდაც პირველი დანარჩენ კერპებთან ერთად. იგი სრულად და მთლიანად იმეფებს ჩვენს გულებში და ვერც ერთი პიროვნება, საგანი ან საქმიანობა ვერ გაუწევს მეტოქეობას ამ ადგილის დასაკავებლად. იგი უნდა იყოს უფალი, რაც უზენაეს ბატონსა და მესაკუთრეს ნიშნავს და ამის აღიარების შემდეგ ჩვენი ცხოვრება ჩვენ აღარ გვეკუთვნის.

იფიქრეთ ამაზე. დათანხმდებოდით ისეთ ადამიანთან ქორწინებას, რომელიც გამოგიცხადებთ, რომ თქვენი ერთგული იქნება და თან რამდენიმე საყვარელსაც იყოლიებს, მაგრამ თქვენ იქნებით უპირატესი მათ შორის? რაოდენ აბსურდულია იგივეს გამეორება სამყაროს მეფისთვის! მიიღებს იგი ასეთ საპატარძლოს, რომელიც ეტყვის: „პირველი იქნები ჩემს დანარჩენ საყვარელთა შორის“? აქ არ შეიძლება ლაპარაკი ალთქმით ურთიერთობაზე. აქ არ მოხდება გაერთიანება. როგორი თავის მოტყუებაა!

ეს „ახალმოქცეულები“ ჯვარს მათი ეგოისტური მეობის, ხორციელი ცხოვრების მოკვდინების და შინაგანში იესოს ახალი ბუნების ფორმირების საშუალებას არ აძლევენ. ისინი, უბრალოდ, გაიყიდნენ უკეთესი ცხოვრებისთვის დედამიწაზე და თან ზეცის დაპირებაც აქვთ. საინტერესოა! იმ ქვეყნებში, სადაც ქრისტიანები იღვევებიან, ადამიანებს გაცნობიერებული აქვთ რწმენისთვის სიცოცხლის განირვის რეალობა. დღესდღეობით, დასავლურ საზოგადოებაში იესოსთან უკეთესი ცხოვრებისთვის და ზეცაში მოსახვედრად მოვდივართ. თუმცა მისი გულისთვის ჩვენი სიცოცხლაც კი უნდა დავთმოთ.

დღეს, თანამედროვე საზოგადოებაში ბევრი ტიპიური ევანგელური მორწმუნე სიცრუეში ცხოვრობს იმ სახარების გამო, რომელიც ეკლესიაში მოისმინა. ახალმოქცეულებს ენთუზიაზმით ავსებს ახლად ნაპოვნი „რწმენა“. ისინი ქრისტიანულ აქტივობებში მონაწილეობას იღებენ, საეკლესიო მსახურებებს ესწრებიან და გასვლით მახარებლობაშიც კი ერთვებიან, რადგან ეს ყველაფერი ახალი და საინტერესოა.

ეს ახალ კლუბში სტუმრობას, სპორტის ახალი სახეობით გატაცებას, ახალ სკოლაში გადასვლას ან ახალი სამუშაოს შოვნას ჰგავს. სიახლის გრძნობა ადამიანებს იზიდავს. თუმცა ასეთმა ქრისტიანებმა არ გააკეთეს ის, რაც იესომ ნამდვილ მორწმუნეებს დაავალა: გამოთვალონ მისი მიყოლის ფასი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღონ მისი მსახურებისთვის თავის მიძღვნის გადანიშნულება (იხ. ლუკ. 14:27-33).

### დაზარალები, რომ შვიძინო

ეს გაცვლაა. მთელი ჩვენი ცხოვრება უნდა გავილოთ და მის ნაცვლად იესოს სიცოცხლეს (ბუნებას) ვიღებთ. იესომ არა-ერთხელ ილაპარაკა ამის შესახებ: იგი ამბობს:

„თუ ვინმეს სურს გამომყვეს, უარყოს თავი [დაივიწყეთ, უგულუბელყავით, უარი თქვით საკუთარ თავზე და საკუთარი ინტერესების დაცვაზე], აიღოს თავისი ჯვარი [შემომიერთდეს, როგორც მონაფე და იყოს ჩემს მხარეს] და გამომყვეს [მუდამ ჩემზე მონებებულმა]“.  
(მარკ. 8:34 AMP)

ჩვენ გამუდმებით უნდა მივინებოთ მას. გადარჩენა არ გახლავთ ერთჯერადი ლოცვა და შემდეგ საკუთარი ნებისამებრ ცხოვრება, თუმცა „ქრისტიანული“ კლუბის წევრი გახდით და ზეცას დაუკავშირდით. იესო განაგრძობს: „ვისაც სულის შენარჩუნება სურს, იგი დაკარგავს მას; ხოლო ვინც ჩემი ანდა სახარების გულისთვის დაკარგავს სულს, იგი შეინარჩუნებს მას“ (მარკ. 8:35). ბიბლიის გავრცობილი თარგმანი ასე გადმოგვცემს: „ვინც გაიღებს თავის სიცოცხლეს [რომელიც მხოლოდ დედამიწაზე აქვს] ჩემი ანდა სახარების გულისთვის, შეინარჩუნებს მას [უფრო მაღალ სულიერ სიცოცხლეს ღვთის მარადიულ სასუფეველში]“.

ეს გადამწყვეტი მნიშვნელობის გაცვლაა. ამით საკუთარ ცხოვრებაზე უფლებას ვთმობთ და როცა ასე ვიქცევით, მისი სურვილების მიყოლის ძალა გვეძლევა. სამაგიეროდ საუკუნო სიცოცხლეს ვიღებთ. დღევანდელიობაში ნაქადაგებ სახარებაში ყურადღებას არ ვამახვილებთ იესოს მიყოლის უკიდურესად მნიშვნელოვან ასპექტზე. მხოლოდ სარგებელზე გვითხრეს. არსებითად, *აღდგომის დაპირებებზე ვქადაგებთ ჯვრის ზეგავლენისა და მოწოდების ხსენების გარეშე.*

ეს შეიძლება შევადაროთ ახალგაზრდა კაცის განწყობას, რომელიც ტელევიზორში სამხედრო განვევის რეკლამას უყურებს. იგი, დაახლოებით, მისი ასაკის შესანიშნავ უნიფორმაში გამოწყობილ ელეგანტურ მეზღვაურს ხედავს, რომელიც თვალშისაცემი საზღვაო ლაინერის გემბანზე დგას. გემი ზღვის ტალღებს მიაპობს. ზევით ლაჟვარდოვანი ცა მოჩანს, ხოლო მეზღვაური ეკიპაჟის დანარჩენ წევრებს უღიმის. ამის შემდეგ რეკლამა მას მსოფლიოს ყველა პორტში აჩვენებს და რაც მთავარია, ეს მოგზაურობა სრულიად უფასოა.

ახალგაზრდა კაცი მაშინვე მიემართება კადრების აყვანის აგენტთან და ეწერება. იგი სამსახურის პირობებს არ ეცნობა, რადგან მეტისმეტად მოხიბლა შესაძლო სარგებელმა. ჭაბუკი მეტისმეტად ბედნიერია. ახლა მას შეუძლია, სრული სვლით მოიაროს მსოფლიო, გახდეს მაგარი სამხედრო შენაერთის ნაწილი და უამრავი ახალი მეგობარი შეიძინოს.

და მაინც, ახალგაზრდა ძალიან მალე აღმოაჩენს, რომ საბაზისო წვრთნა დილის 9 საათამდე ძილის საშუალებას არ იძლევა, როგორც აქამდე მიჩვეული იყო. მას თავისი მოვლილი გრძელი თმის შეჭრა უბრძანეს და არც ბევრ სოციალურ შეკრებაზე დასწრება შეუძლია, რადგან ბაზის დატოვების უფლება თვეში მხოლოდ რამდენიმე დღით აქვს. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ რეგლამენტირებული განრიგი სხვა ადამიანებთან ლაპარაკის დროს არ უტოვებს. გარდა ამისა, იგი სააბაზანოებს ხეხავს, საერთო სასადილოებს ალაგებს, აზიდვებს და სხვა რთულ ვარჯიშებს ასრულებს. მან დაკარგა თავისუფალი დრო, რომელიც ადრე ასე ბევრი ჰქონდა და საღამოს ქანცგამოცლილი ნვება სანოლში.

მიუხედავად ყველაფრისა, ახალგაზრდა ჯერ კიდევ იმედიანად არის, რადგან მალე ხომალდზე ასვლის ნებას დართავენ. საბაზისო წვრთნა დასრულდება და გემზე გაამწესებენ, თუმცა სამუშაო გრაფიკი კვლავ დაძაბული რჩება იმ განსხვავებით, რომ ეს ყველაფერი ღია ზღვაში უნდა აკეთოს. იწყება ომი და ჭაბუკმა მონაწილეობა უნდა მიიღოს საბრძოლო მოქმედებებში. ამაზე ხელის მოწერა მას არც უფიქრია.

კაცი იმის გამო ჩაენერა, რომ სამხედრო სამსახური სხვაგვარ ცხოვრებას პირდებოდა, რომლის უზრუნველყოფა თავად არ შეეძლო და თან უფასო გახლდათ. მას დეტალების გამოკვლევით თავი არ შეუწუხებია კადრების განყოფილებაში: მართალია, ზღვაზე სამსახური უფასო იყო, მაგრამ მას თავისუფლების

ფასად დაუფდა. ახლა ახალგაზრდა განაწყენებულია სხვადასხვა საკითხების გამო. თავს მოტყუებულად მიიჩნევს. თვლის, რომ მიჰყიდეს პაკეტი, სადაც მხოლოდ სარგებელზე იყო ლაპარაკი და არაფერი უთქვამთ პირადად მის მიერ გადასახდელ საფასურზე.

ჩვენ უსასყიდლო გადარჩენის სახარებაზე ვქადაგებთ, რაც აბსოლუტურად ზუსტია, მაგრამ უგულუბელვყოფთ ადამიანების ინფორმირებას, რომ ხსნა თავისუფლების საზღაურით მოდის. როცა თავისუფლებაზე ვლაპარაკობ, ვგულისხმობ არა რეალურ, არამედ ხალხის მიერ წარმოდგენილ თავისუფლებას, რადგან ქრისტეს გარეშე ყველა ცოდვის წნეხის ქვეშ იმყოფება. ისინი მონებს წარმოადგენენ, თუმცა ჰგონიათ, რომ თავისუფლები არიან.

ეს შეიძლება ფილმს „მატრიცა“ შევადაროთ. წლების წინ ჩემმა უფროსმა ვაჟმა ერთ საღამოს მისი რედაქტირებული ვერსია იქირავა და ფილმს მთელმა ჩვენმა ოჯახმა უყურა. საოცარი პარალელები დავინახე.

„მატრიცა“ საინტერესო კითხვას სვამს: „როგორ განასხვავებთ სიზმარში ნანახ და რეალურ სამყაროს, თუ არ გაიღვიძებთ?“<sup>1</sup>

ამ ფილმში ჩვეულებრივად მიედინება მეოცე საუკუნის ცხოვრება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. რეალურად, ამბავი უფრო გვიან, ოცდამეერთე საუკუნეში იწყება. ადამიანმა ხელოვნური ინტელექტი გამოიგონა და მას მარტივად მანქანა უწოდა. მანქანები დედამიწის მართვას ხელში იგდებენ და ადამიანს მისი უკან დაბრუნება უხდება. ძალაუფლებისთვის ჭიდილში მსოფლიო ნადგურდება და მანქანები იმარჯვებენ.

ისინი აღმოაჩენენ, რომ გადარჩენას ადამიანთა სხეულების მიერ გამოყოფილი ელექტროენერგიის გამოყენებით შეიძლება. მანქანები ამ მიზნით დიდ ილუზიას შექმნიან, რომ გაბრიყვებული ადამიანები იმსახურონ. ქვეყნიერება ისევ ნორმალური ჩანს (და ეს მეოცე საუკუნეშია), ფაქტობრივად კი, ადამიანთა სხეულები დიდი „ფერმების“ საკნებში მოათავსეს. მათი ტვინები საერთაშორისო ვირტუალური რეალობის პროგრამას უკავშირდება, რომელსაც „მატრიცა“ ეწოდება და ის ნორმალური ცხოვრების სიმულაციას ქმნის. კაცობრიობის მიერ აღქმული თავისუფლება რეალური როდია. სინამდვილეში ისინი მონები არიან.

ფილმი სწორედ იმ მომენტით იწყება, როცა ქალებისა და კაცების რჩეული ჯგუფი მატრიციდან გამოაღწევს და მისი

წევრები თავიანთ ნამდვილ იდენტობას დაადგენენ. ისინი რეალურ სამყაროში, რომელიც სხვა შემთხვევაში სრულიად უსიცოცხლო იქნებოდა, სიონად ნოდებულ კოლონიას დააფუძნებენ. რამდენიმე მათგანი ისევ მატრიცაში შედის, რომ მანქანებს შეებრძოლოს და კაცობრიობა გაათავისუფლოს. ბრძოლა მეტად დაძაბულია და ცხოვრებაც არ გახლავთ ადვილი, მაგრამ საერთო საქმისთვის თავდადებულებს ნამდვილი თავისუფლება უფრო მეტად სწყურიათ, ვიდრე ყალბი თავისუფლების სიცრუეში ცხოვრება. ისინი მატყუარა კომფორტით შენიღბულ მონურ ცხოვრებას სიძნელების გადალახვას ამჯობინებენ.

აქ ვხედავთ ანალოგიას. ბევრი ურწმუნო ქრისტიანებს მონებად მიიჩნევს, თითქოს ეს უკანასკნელები ბორკილებში ცხოვრობენ და თავისუფლება დაკარგეს, თვითონ კი ყველაფრის უფლება აქვს. ჭეშმარიტება კი იმაში მდგომარეობს, რომ ქრისტეს გარეშე ყველა შებორკილია და ისინი ძალიან გვანან მანქანების მიერ დამონებულ და ფერმებში გამომწყვდეულ ადამიანებს, რომლებიც ტყუილში ცხოვრობენ. ისინი ცოდვის მონები არიან.

### ძნელია, იყო ქრისტიანი

ბორკილებში არა მარტო ისინი არიან, რომელთაც არასოდეს მოუსმენიათ სახარება ან უარი თქვეს მის რწმენაზე. ამ თაობის ბევრი ტიპური „ახალმოქცეული“ დღესაც მონობაშია. ეს დილემა თავად შევქმენით სრული სახარების ქადაგებაზე უარის თქმით, თუ რას ნიშნავს იესოს მონაფეობა. ბევრი ფიქრობს, რომ თავისუფალია, სინამდვილეში კი ასე არ გახლავთ და ამის დასტური მათი ცხოვრების წესია. იესო ამბობს:

„უთხრა მათ იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ყველა ჩამდენი ცოდვისა, ცოდვის მონაა. ხოლო მონა საუკუნოდ არ რჩება სახლში, ძე რჩება საუკუნოდ. ამიტომ, თუ ძე გაგათავისუფლებთ, ნამდვილად თავისუფლები იქნებით“. (იოან. 8:34-36)

ეს სიტყვები ხის ნაყოფის მაგალითში დანახულ ჭეშმარიტებას იმეორებს. თუ ვინმე სისტემატურად სცოდავს, ნიშნავს, რომ ის ჯერ კიდევ ცოდვის მონაა. ის არ არის ძე, რადგან მისი ნამდვილი ბუნება არ შეცვლილა. შესაძლოა, მან იფიქროს, რომ გაათავისუფლდა ცოდვილის ლოცვის შემდეგ, თუმცა

მთლიანად არ დაუთმია პირადი „უფლებები“, რომ იესოს მიეყოლოდა. მას ისევ სურს საკუთარი თავისუფლების (რაც სინამდვილეში ყალბია) შენარჩუნება სახარების სარგებელთან ერთად. ეს შეუძლებელია!

როგორც ადრე აღვნიშნე, ეს ადამიანები თავიანთი „ხელახლა შობის“ განცდას სიხარულით, ენთუზიაზმით და მოშურნეობით იწყებენ, რადგან ეს ყველაფერი სიახლეა. თანდათანობით თავს იჩენს მათი შეუცვლელი ბუნება, მაგრამ ეს ქრისტიანულ წრეში ხდება და ევანგელურ ენასა და ცხოვრების სტილშია შეფუთული. სწორედ ამიტომ გახლავთ ის ასე მაცდური. თუმცა ახალი აღთქმა განსაკუთრებით გვაფრთხილებს ამგვარი სიცრუის არსებობის შესახებ.

პავლე წერს, რომ უკანასკნელ დღეებში ძალზე ძნელი იქნება ქრისტიანობა (2 ტიმ. 3:1). ჩვენ უკანასკნელ ჟამს ვცხოვრობთ. ამაში ეჭვი არავის შეეპაროს. ყველა წინასწარმეტყველური წერილი იესოს მალე დაბრუნებაზე ლაპარაკობს. პავლემ ჩვენი დღე იხილა და ქრისტიანისთვის ყველაზე ძნელი პერიოდი უწოდა.

ჩვენი თარგმანები ამ დროის აღსაწერად სიტყვებს „საშინელი“ და „საზარელი“ იყენებს. რატომ არის ასე? პავლეს ეპოქის მიმოხილვა გვაჩვენებს, რომ მისი მსახურება დიდი წინააღმდეგობებით იყო სავსე. იგი ხუთჯერ გაამათრახეს სხვადასხვა დროს თითო ჯერზე 39 დარტყმით. სამჯერ კვერთხით სცემეს, ერთხელ ჩაქოლეს და წლები ციხეში გაატარა. სადაც არ უნდა წასულიყო პავლე, ყველგან დიდად იდევენოდა. და მაინც, ის ამბობს, რომ ჩვენი დღეები ყველაზე რთული იქნებოდა ქრისტიანებისთვის! რატომ? იგი ასე გაგვიმარტავს:

„ვინაიდან ადამიანები იქნებიან საკუთარ თავზე შეყვარებულნი, ვერცხლის მოყვარენი, მკვებარენი, ამპარტავანნი, მგმობელნი, მშობლების ურჩნი, უმადურნი, უწმიდურნი, ერთმანეთის მოძულენი, შეურიგებელნი, ცილისმწამებელნი, შეუკავებელნი, მოლალატენი, გასასტიკებულნი, კეთილის მოძულენი, მოლალატენი, თავზედნი, გაბლენძილნი, ღმერთზე მეტად სიამეთა მოყვარულნი ...“.  
(2 ტიმ. 3:2-4)

ამ განაცხადის გამოკვლევის შემდეგაც კი შეიძლება დაინტერესდეთ, რისი თქმა სურდა პავლეს. რით განსხვავდება

ეს ჩამონათვალი მის ეპოქაში არსებული მსგავსი სიისგან? იმდროინდელ ადამიანებსაც ახასიათებდათ იგივე თვისებები. მათ უყვარდათ საკუთარი თავი და უყვარდათ ფული, იყვნენ უნმიდურები და შეურიგებლები და ა. შ. პეტრემ ასეც კი თქვა ორმოცდამეათე დღეს: „დაიცავით თავი ამ უკეთური (გადაგვარებული, ბოროტი, უსამართლო) მოდგმისგან“ (საქმ. 2:40). მაშ, რატომ გამოყო პავლემ ჩვენი თაობა ამ თვისებების მატარებლად და ბოლო ჟამს ქრისტიანობისთვის ყველაზე რთული დრო უწოდა?

იგი აგრძელებს და მიზეზსაც ასახელებს: „მათ ღვთისმოსაობის სახე აქვთ, სინამდვილეში კი ღვთის ძალის უარმყოფელნი და მისგან გაუცხოებულნი [მათი ქცევა ეწინააღმდეგება მათივე აღმსარებლობის ჭეშმარიტებას] არიან“ (2 ტიმ. 3:5 AMP). NKJVთარგმანი აცხადებს, რომ ისინი „გარეგნულად ღვთისმოსავნი, სინამდვილეში კი ღვთის ძალის უარმყოფელნი“ გახდნენ.

ამრიგად, ნათელი ხდება, რატომ არის ძნელი ქრისტიანობა ჩვენს თაობაში. მრავალნი (ახალი აღთქმის სხვა მითითებების თანახმად) აღიარებენ ქრისტიანობას, ხელახლა შობას და სულის ხსნას, მაგრამ ჯვარს არ აძლევენ თავიანთი ეგოისტური ცხოვრების მოკვდინების საშუალებას. მათ საკუთარი უფლებების დათმობისა და იესოს მიყოლის გადამწყვეტილება არ მიიღეს. ასეთ ადამიანებს გულწრფელად სწამთ, რომ ქრისტე მათი მხსნელია, მაგრამ მასთან ურთიერთობა უფრო იმ სიკეთის გამო სურთ, რასაც მისგან მიიღებენ და არა იმიტომ, რომ მის პიროვნებას აფასებენ. ასეთი დამოკიდებულება ჰგავს ქალის გათხოვებას ფულიან მამაკაცზე. შესაძლოა, იგი სიყვარულითაც ქორწინდება, მაგრამ ამას არასწორი მოტივით დაქორწინება ეწოდება. მრავალი ეძებს იესოს არასწორი მოტივით, როგორიც არის ხსნის მიღება, ქრისტიანული თემი, წარმატება ცხოვრებაში და სიკვდილის შემდეგ ზეცაში მოხვედრა. ისინი წრფელად ფიქრობენ, რომ იესო მათი მხსნელია, მაგრამ ცხოვრების საკუთარი შეხედულებისამებრ მართვა არასდროს დაუთმიათ.

პავლე ასეთ „მორწმუნეებზე“ ამბობს, რომ „მუდამ სწავლობენ, თუმცა ვერასოდეს აღწევენ ჭეშმარიტების შემეცნებას“ (მუხლი 7). ისინი მსახურებებს, სახლის ჯგუფებსა და სხვა შეკრებებს ესწრებიან, ისმენენ ღვთის სიტყვას, მაგრამ ვერ გარდაიქმნებიან.

## ბუნდოვანი საზღვრები

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ საზღვრები ბუნდოვანია. მოდი, გადავხედოთ პიროვნებას, რომელიც ეგოისტურ სურვილებს იკმაყოფილებს, მაგრამ ხელახლა შობის გამოცდილება აქვს, ნამდვილი მორწმუნის ტერმინოლოგიით ლაპარაკობს, ღვთისმოსავებთან მეგობრობს და მორწმუნეთა შეკრებებითაც ხარობს. ამ ყველაფრის მიუხედავად კი მასში ბუნების არავითარი ცვლილება არ შეინიშნება. არსებითად, ამგვარი ადამიანები გაუცნობიერებლად იქცნენ თვითმარქვებიდან და სიძნელე იმ ფაქტთან დაკავშირებით წარმოიშობა, რომ მათი თავის მოტყუება სენივით ვრცელდება. სხვები თავიანთ ცხოვრებას ქრისტიანული კულტურის ე. წ. „ნორმებზე“ აფუძნებენ და ეს ცხოვრებაზე ზეციურ თვალსაზრისთან თანხმობაში არ არის. ეს კი ნამდვილ მორწმუნეობას ართულებს. პავლეს დღეებში მორწმუნე თუ იყავით, თქვენი სიცოცხლე ყოველთვის საფრთხეში იქნებოდა. ამაზე კითხვის დასმა საჭიროც არ იყო: თუ იესოს ერთგულებას აღუთქვამდით, რისკზე მიდიოდით.

2 ტიმ. 3-ში პავლე განაგრძობს:

„შენ კი მე მომყვებოდი მოძღვრებაში, ქცევაში, განზრახვაში, რწმენაში, მოთმინებაში, სიყვარულში, გამძლეობაში, დევნაში, ტანჯვებში, რაც შემემთხვა ანტიოქიაში, იკონიაში, ლისტრაში; რა დევნანი არ გადავიტანე, მაგრამ ყველაფრისგან მიხსნა უფალმა; და ყველა, ვისაც სურს ღვთისმოსაობით იცხოვროს ქრისტე იესოში, დევნილი იქნება. ხოლო ბოროტი ადამიანები და თვითმარქვები წინ წაინევენ უარესისკენ, სხვებსაც შეაცდენენ და თავადაც ცდუნდებიან“. (2 ტიმ. 3:10-13)

პავლემ ყველაფერი განმარტა. არა მარტო მისი მოძღვრება უნდა ყოფილიყო ტიმოთესთვის სანდო, არამედ მისი ცხოვრების წესი და მიზანიც (მარადისობით ამოქმედება, რაზეც ამ წიგნში მოგვიანებით ვისაუბრებთ). პავლეს მოწმობა მხოლოდ მისი ნაპასუხები ლოცვები და სასწაულებრივი ნიშნები არ ყოფილა, რაც ადამიანებს მისი მიბაძვის სურვილს აღუძრავდა. არც მისი მსახურების პოპულარობა და ღვთის სიტყვის გადმოცემის შესანიშნავი უნარი გახლდათ ამის მიზეზი. მას არ სურდა ხსენებული გარემოებების გამოკვეთა. მნიშვნელოვანი მისი



ცხოვრების წესია, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება განმსაზღვრელი ფაქტორი.

პავლე განაგრძობს და ამბობს: „ბოროტი ადამიანები და თვითმარქვიები“ წინ წაიწვევენ. ყველა ჩვენგანმა იცის, რომ ბოროტ ადამიანს უნდა ერიდოს, მაგრამ თვითმარქვიების საქმე სხვაგვარადაა. ასეთების გარეგნული სახე სრულიად განსხვავდება მათი ნამდვილი ბუნებისგან და გაცილებით საშიში არიან. ისინი ქრისტიანობის გარკვეულ ფორმას ატარებენ, მაგრამ მათი ქცევები მაღლისმიერი გარდამქმნელი ძალის არსებობაზე არ მონიშნავენ. ყურადღება მიაქციეთ პავლეს ნათქვამს, რომ ისინი არა მარტო სხვებს აცდუნებენ, არამედ თავადაც ცდუნდებიან.

ამგვარი აღწერილობა სრულად შეესაბამება მოტყუებულის სახეს ჩვენს ალეგორიაში. ეს ახალგაზრდა კაცი ძალზე აქტიური გახლდათ ენდელის სკოლაში, მიძღვნილ მორწმუნედ მიიჩნევდნენ და წრფელად სჯეროდა, რომ ღვთის წინაშე სწორად იდგა. იგი მეტ ყურადღებას ერთგულების გარეგნულ გამოხატულებას აქცევდა, ვიდრე ცხოვრებით ამის დადასტურებას. იგი არა მხოლოდ თავს იტყუებდა, არამედ სხვებსაც ატყუებდა. მოტყუებულის სტანდარტების შემეყურე ადამიანთაგან მრავალი წავიდა კომპრომისზე მასთან დანოლილი გოგონებით დაწყებული თანასკოლელებით დამთავრებული, რომლებიც მის სიტყვას ისმენდნენ.

შესაძლოა კითხვა დასვათ: „სიტყვა? ის ხომ მასწავლებელი არ იყო“. დიახ, ასეა, მაგრამ ჩვენი ცხოვრება გაცილებით ხმამაღლა მეტყველებს, ვიდრე ჩვენი ლაპარაკი. ენდელის სკოლის მოსწავლეთა გულებში, რომლებიც სწორად იდგნენ ღვთის წინაშე, ნამდვილი ბრძოლა მიმდინარეობდა, რომ მოტყუებულის ძლიერი პიროვნებისა და ცხოვრების წესის გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყვნენ. ვინც მათგან მყარად არ იდგა, მოტყუებულის ზეგავლენას დაექვემდებარნენ.

ამ ბრძოლაზე არა მარტო პავლე, არამედ ახალი აღთქმის სხვა ავტორებიც გვაფრთხილებდნენ. იუდა გვეუბნება:

„საყვარელნო! ძალიან მოწადინებული ვიყავი ჩვენს საერთო ხსნაზე მომენერა თქვენთვის; მაგრამ საჭიროდ ჩავთვალე წერილობით შემეგონებინეთ, რომ იღწვოდეთ რწმენისთვის, რომელიც ერთხელ წმიდანებს გადაეცათ“.  
(იუდ. 3)

ყურადღება მიაქციეთ მისი სათქმელის გადაუდებლობას. იუდას სურდა ხსნასთან დაკავშირებულ მშვენიერ საკითხებზე ესაუბრა, მაგრამ საჭიროდ ჩათვალა სხვა თემის წამოწყება. მას სურდა ღვთის ერი რწმენისთვის ბრძოლაში გაემხნეებინა. რა ბრძოლაა ეს? იგი ასე განმარტავს:

„ვინაიდან შემოიპარნენ ზოგიერთნი, რომელთაც ადრი-დანვე ეწერათ ეს სასჯელი, უღმერთონი, გარყვნილებად რომ აქციეს ჩვენი ღვთის მადლი და უარყოფენ ერთადერთ მბრძანებელსა და ჩვენს უფალ იესო ქრისტეს“.  
(იუდ. 4)

ბრძოლა იმ ადამიანების ზეგავლენის წინააღმდეგ მიმდინარეობს, რომლებმაც ღვთის მადლი დაამახინჯეს თავიანთი უღმერთო ცხოვრების სტილის გასამართლებლად. მათი თავდასხმები უფრო მომაკვდინებელია, ვიდრე ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებული ყველა სახის დევნა. ისინი მეტ საფრთხეს წარმოადგენენ, ვიდრე ბიბლიური პრინციპების საწინააღმდეგო კანონები, მაგალითად, აბორტის ლეგალიზაცია, მარიხუანას თავისუფლად გამოყენება, ერთსქესიანთა ქორწინება ან სკოლებში ევოლუციის სწავლების მოთხოვნა. მათ გაცილებით დიდი ზეგავლენა აქვთ, ვიდრე რომელიმე კულტს ან ცრუ რელიგიას. მათი ზემოქმედება საუკუნო დაღუპვის მომტანია!

შეიძლება იკითხოთ, როგორ უკავშირდება ეს ყველაფერი ეკლესიის ხალხს. იუდას მიერ ნახსენები ადამიანები იესო ქრისტეს უარყოფენ. ჩვენს ეკლესიებში ვერავინ შეძლებს, ასე მოიქცეს და კვლავ ქრისტიანად იქნას მიღებული.

მაშ, რამ გაფიქრებინათ, რომ მორწმუნეები გაცილებით მგრძობიარეები იყვნენ იუდას დღეებში? ყურადღებით დავაკვირდეთ. ეს ადამიანები ჩვენს წრეში შემოიპარნენ. ჩვენს საკრებულოებში (ან იუდას დროს) ვერავინ წამოიმართება, რომ თავისი ბაგეებით უარყოს იესო ქრისტე და ეს შეუმჩნეველი დარჩეს. მაშ, როგორ უარყოფენ ეს ადამიანების უფალს? პასუხი ახალი აღთქმის სხვა წიგნში ჩანს: „ისინი სიტყვით აღიარებენ ღმერთს, საქმეებით კი უარყოფენ, ვინაიდან საძაგელნი და ურჩნი არიან და უვარგისნი ყოველი კეთილი საქმისთვის“ (ტიტ. 1:16). ისინი უფალს თავიანთი ცხოვრების წესით უარყოფენ და არა სიტყვებით. ფაქტობრივად, ისინი ამტკიცებენ, რომ ღმერთს იცნობენ. ისინი იესოს უფლად აღიარებენ, მოქმედებით კი სულ სხვა რამეს ამბობენ. გახსოვდეთ, ისინი

არა მარტო სხვებს, არამედ საკუთარ თავსაც კი ატყუებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ მთელი გულით სჯერათ, რომ ქრისტიანები არიან.

### ღვთის ჭეშმარიტი მადლი

იუდა აცხადებს, რომ ამ ადამიანებმა ღვთის მადლის სიტყვა დაამახინჯეს. ეს ფართოდ გავრცელდა თანამედროვე უკანასკნელ დღეებში, რადგან ჩვენმა სწავლებამ მას კარი გაუღო. მადლი ხორციელობისა და ზოგჯერ უღვთო ცხოვრების სტილის დამფარველად ჩავთვალეთ. ამგვარ აზროვნებას ხშირად წაანყდებით ეკლესიაში შემდეგი განცხადების სახით: „ვიცი, არ ვცხოვრობ ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ მადლობა ღმერთს მისი მადლისთვის“. ეს დიდი ტყუილია. წმ. ნერილი არ ასწავლის, რომ მადლი დიდი სალბუნია, არამედ ეს გახლავთ ღვთის გამაძლიერებელი თანდასწრება ჩვენში, რომ ვაკეთოთ ის, რასაც ჭეშმარიტება ჩვენგან მოითხოვს.

მადლზე ისე ასწავლიდნენ, თითქოს ის უბრალოდ ღვთის დაუმსახურებელი კეთილგანწყობა ყოფილიყო. ეს მართლაც ასეა და მისი შეძენა ან დამსახურება შეუძლებელია. გარდა ამისა, იგი ღვთის მორჩილების ძალას გვაძლევს და მოწმობა, რომ ის ნამდვილად მივიღეთ, ღვთიური ცხოვრების წესია. უფლის სიტყვის მორჩილება ადასტურებს მადლის არსებობას ჩვენს ცხოვრებაში. იაკობი სწორედ ამ მიზეზის გამო ამბობს:

„... ასევეა რწმენაც, თუ საქმენი (გამამაგრებელი მორჩილების საქმეები) არ გააჩნია, თავისთავად მკვდარია (ძალაგამოცლილი, უმოქმედო). მაგრამ ვინმე იტყვის: „შენ გაქვს რწმენა, მე კი მაქვს საქმენი“. მაჩვენე შენი რწმენა საქმეთა გარეშე და გაჩვენებ ჩემს რწმენას ჩემს საქმეთაგან. შენ გნამს, რომ ღმერთი ერთია? კარგს შვრები. მაგრამ ეშმაკებსაც სწამთ იგი და თრთიან ...“.  
(იაკ. 2:17-19)

იაკობი იმ უზარმაზარ უფსკრულზე ლაპარაკობს, რომელიც დღეს ჩვენს მოძღვრებაში არსებობს. ჩვენ კონტექსტიდან ძალით ვიღებთ ისეთ მუხლებს, როგორიცაა: „ირწმუნე უფალი იესო ქრისტე და გადარჩები“ (საქმ. 16:31). თუ გადასარჩენად მხოლოდ იესოს არსებობისა და ღვთის ძეობის რწმენა საკმარისია, იაკობის სიტყვებით, დემონებიც გადარჩენილები

იქნებიან, რადგან სწამთ. ეს უაზრობაა! ამ საკითხის კიდევ უფრო გასაღრმავებლად, იაკობი მიუთითებს, რომ დემონები ღვთის წინაშე კანკალებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დემონებს უფრო მეტად ეშინიათ ღვთისა, ვიდრე იმ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ რწმენა შესაბამისი მორჩილების საქმეების გარეშე.

ნამდვილად გადარჩენილი რომ ვართ იესო ქრისტეს მადლით, ამას ჩვენი საქმეები უნდა მოწმობდეს. სწორედ ამიტომ აცხადებს იოანე მოციქული:

„იმით გავიგებთ, რომ შევიცანით იგი, თუ ვიცავთ მის მცნებებს. ვინც ამბობს, შევიცანიო იგი, მაგრამ მის მცნებებს არ იცავს, ცრუა და ჭეშმარიტება არ არის მასში. ხოლო ვინც მის სიტყვას იცავს, მასშია ჭეშმარიტად აღსრულებული ღვთის სიყვარული; ამით ვიგებთ, რომ მასში ვართ. ვინც ამბობს, რომ მასში რჩება, მოვალეა ისევე მოიქცეს, როგორც ის იქცეოდა“. (1 იოან. 2:3-6)

იოანე ნათლად აცხადებს, რომ იესო ქრისტეს შეცნობის დასტური მისი მცნებების დაცვაშია. ვინც ამბობს, რომ იესოს იცნობს და მის სიტყვას არ იცავს, ის მოტყუებული და ჭეშმარიტებისგან გაუცხოებულია, მიუხედავად იმისა, რომ ბაგით აღიარებს ღვთის სიტყვაში განსწავლულობას. ამის გამო იოანე ამბობს: „შვილებო, ამას გწერთ იმისთვის, რომ არ შესცოდოთ! ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, გყავს შუამდგომელი მამის წინაშე – მართალი იესო ქრისტე“ (1 იოან. 2:1-2).

ყურადღება მიაქციეთ, რომ იოანე არ ამბობს: „ამას გწერთ იმისთვის, რომ შეცოდებისას გყავთ შუამდგომელი“. არა, მიზანი გახლავთ ის, რომ არ შესცოდოთ. ჩვენ ღვთის მადლის ძალა გვაქვს, რომ მზერა ქრისტეს მსგავს ცხოვრებას მივაპყროთ (როგორც 1 იოან. 2:6 ამბობს, „მოვიქცეთ ისე, როგორც ის იქცეოდა“), რადგან დაუმორჩილებელი ბუნებისგან თავისუფალი ვართ. იმ შემთხვევაში, თუ ცოდვა გვძლევს, გყავს შუამდგომელი.

მორწმუნეთა სიხარული ახლა იმაში მდგმოარეობს, რომ ჩვენი ღვთის მსახურების შესაძლებლობა გვაქვს:

„ამიტომ ჩვენ, ვინც შეუძრავ სამეფოს ვღებულობთ, გამოვიჩინოთ მადლიერება (ინგ. მადლი), რომლითაც ვემსახურებით ღმერთს სათნოდ, მონინებითა და მოშიშებით“. (ებრ. 12:28)

და აი, ისიც. მაღლი გვაძლევს ძალას, რომ ღმერთს სათნოდ ვემსახუროთ.

რატომ არ ვქადაგებთ მთლიან სახარებას და მხოლოდ ნახევარს გადმოვცემთ? დიახ, გადარჩენა უსასყიდლო ნიჭია. მისი შეძენა ან დამსახურება შეუძლებელია. ეს ყველაფერი ჭეშმარიტია. და მაინც, გვავინყდება ადამიანებისთვის შემდეგის თქმა: ხსნის მიღება მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, როცა სიცოცხლეს ვდებთ და იესოს უფლობას ვაღიარებთ. ასე მოქცევით მაღლის მიერ ვძლიერდებით, რომ ღვთის ბუნებასთან თანხმობით ვიცხოვროთ. ზუსტად ისე, როგორც პეტრემ დაწერა:

„მაღლი და მშვიდობა გაგიმრავლდეთ ღვთისა და ჩვენი უფლის იესოს შემეცნებით, ისე, როგორც მისმა ღვთაებრივმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც ცხოვრებისა და ღვთისმოსაობისთვის გვჭირდება, მისი შემეცნებით, ვინც თავისი დიდებისა და სათნოებისკენ მოგვინოდა, რომელთა მიერაც მოგვეცა უაღრესად დიდი და ძვირფასი ალთქმანი, რათა მათი მეშვეობით გავხდეთ ღვთიური ბუნების ზიარნი, განვერიდებით რა გულისთქმით გამონვეულ ხრწნილებას ამ ქვეყანაზე“. (2 პეტრ. 1:2-4)

ყურადღება მაიქციეთ რამდენიმე საკითხს: მაღლი მოგვეცა იესო ქრისტეს შემეცნებით და ეს მაღლი გახლავთ მისი ღვთიური ძალა, რომელიც ყველაფერს გვაძლევს, რაც ღვთისმოსაობით ცხოვრებისთვის გვჭირდება. ეს ღვთისნიერი ცხოვრება მისი ღვთიური ბუნების შესატყვისია. ამით თავს ვაღწევთ ქვეყნიერებაზე ადამის მეშვეობით შემოსულ ხრწნილებას, რომელიც ადამიანთა გულისთქმებით გამრავლდა ღვთის სანინააღმდეგოდ. არავის მისცეთ ნება, არც სიტყვით და არც საქმით, რომ თქვენში არსებული ღვთიური ბუნების თანახმად ცხოვრება მოგაშლევინოთ. პავლე ნათლად აცხადებს:

„ვინაიდან გამოჩნდა ღვთის მაღლი, რომელიც ყველა ადამიანის მხსნელია, რომელიც გვასწავლის, რომ უარვყოთ უღმერთობა და ამქვეყნიური გულისთქმანი, და გონივრულად, სიმართლითა და ღვთისმოსაობით ვიცხოვროთ ამ წუთისოფელში. ნეტარების იმედით მოველოდეთ, ჩვენი დიადი ღვთისა და ჩვენი მაცხოვრის, ქრისტე იესოს დიდების გამოჩენას, ვინც თავი

დასდო ჩვენთვის, რათა გამოვესყიდეთ ყოველგვარი ურჯულოებისგან და თავისთვის განენმიდა რჩეული ხალხი, კეთილ საქმეებს მონყურებული. ეს ელაპარაკე, შეაგონე და ამხილე მთელი ძალაუფლებით და ნურც უგულებელგყოს ვინმემ“. (ტიტ. 2:11-15)

ღვთის მაღლი გვასწავლის, რომ უარყყოთ უღვთოება და ხორციელი გულსითქმები და ვიცხოვროთ თავშეკავებით, სწორად და ღვთისნიერად. მასწავლებლები გვმოდვრავენ და ძალს გვმატებენ. ზუსტად ამას აკეთებს ღვთის მაღლი ჩვენს ცხოვრებაში.

ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს უნდა ვასწავლოთ! ფაქტობრივად, პავლე ამაზე ლაპარაკით განაგრძობს: „სარწმუნოა ეს სიტყვა და მსურს, რომ მტკიცედ ილაპარაკო ამაზე, რათა ღვთის მორწმუნენი გულმოდგინედ (გამუდმებით) ცდილობდნენ კეთილი საქმეების კეთებას“ (ტიტ. 3:8).

კეთილი საქმეები ღვთის მაღლის ძალით უნდა ვაკეთოთ. გადარჩენამდე მაღლი არ გვქონდა. არც ძველი აღთქმის ნმიდანებს ჰქონიათ. ეს ღვთის ნიჭი გახლავთ იესო ქრისტეში.

სწორედ ამიტომ გვეუბნება იესო, რომ ძველი აღთქმის დროს ჯოჯოხეთისთვის განწირულ მკვლელად მაშინ მიგიჩნევდნენ, თუ ადამიანის ფიზიკურ სიცოცხლეს ხელყოფდით. მაღლის ქვეშ კი საკმარისია ძმას სულელი უწოდოთ, მიკერძოება გამოიჩინოთ, პატიებაზე უარი თქვათ, გულში სიძულვილი გამოზარდოთ და ჯოჯოხეთის ცეცხლის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებით (იხ. მათ. 5:21-22). რატომ? ახლა ჩვენ ღვთის ბუნების თანახმად ცხოვრების უნარი მოგვეცა როგორც შინაგანად, ისე გარეგანად და ამას მაღლის ძალა აკეთებს ჩვენში.

### გამუდმებით მონმოვა

ყურადღება მიაქციეთ, რომ ტიტ. 3:8-ში ამ საკითხზე *გამუდმებით* ლაპარაკისკენ მოგვიწოდებენ. გესმით? აღმოვაჩინე, რომ ამაზე იშვიათად ისმის კათედრიდან ან მორწმუნეთა შორის, რომ აღარაფერი ვთქვათ *გამუდმებით* შეგონებაზე. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, რომ კეთილი საქმეების ღვთის მაღლის მეშვეობით კეთების მნიშვნელობას ვერ ვაცნობიერებთ. არსებითად, ჩვენში მყოფ ძალას უმოქმედოთ ვტოვებთ ურწმუნოებისა და გაუაზრებლობის

გამო. ჩვენი რწმენა მაღლთან შეხებისას უნდა გააქტიურდეს ჩვენი მრწამსის სიტყვიერად გამოთქმის მეშვეობით. პავლე ამბობს: „ვლოცულობ, რათა ქმედითი იყოს შენი რწმენის გაზიარება, რომ სრულად შეიცნო ყველა ის სიკეთე, რაც ჩვენშია ქრისტესთვის“ (ფილ. 6).

თუ ამ საკითხებს გამუდმებით არ ვამონებთ, ჭეშმარიტებისგან განდგომის გზაზე ვართ. ეს ნათლად ჩანს ებრაელთა მიმართ წერილში:

„ამიტომ, მეტი გულისყური გვმართებს მოსმენილისადმი, რათა არ გადავუხვიოთ. რადგან, თუ ანგელოზების მიერ ნათქვამი სიტყვა მტკიცე იყო და ყოველი დანაშაული და ურჩობა იღებდა დამსახურებულ საზღაურს, ჩვენ როგორღა გადავურჩებით, უგულვებელმყოფელნი ესოდენ დიადი ხსნისა ...“ (ებრ. 2:1-3)

ამ თემაზე გამუდმებული ლაპარაკით მარადისობისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხები ყოველთვის თვალთახედვის არეში გვექნება, რაც ცდომილების გზას აგვაშორებს.

მახსოვს, ბავშვობაში რომ ვთევზაობდი, მე და ჩემს თან-მზღებებს მთელი ყურადღება პროცესზე გვექონდა გადატანილი და ღუზის გარეშე მცურავი ნავი ჩვენგან შეუმჩნევლად საწყის პუნქტს შორდებოდა. ორმოცდახუთი წუთის შემდეგ ირგვლივ მიმოვიხედავდით და ადგილმდებარეობას ვერ ვცნობდით. გზას იმიტომ ავცდით, რომ ყურადღება სხვა საკითხმა, კერძოდ, თევზაობამ მთლიანად მიიპყრო.

დინებას მიყოლა ზოგიერთებს ძვირად დაუჯდათ, რადგან თევზაობაში გართულნი მდინარემ სასიკვდილო ჩანჩქერებისკენ გააქანა. უამრავი ადამიანი სიკვდილამდე დაეცა, რადგან თავდაპირველი პოზიციიდან თანდათან გადაუხვია.

იგივე ჭეშმარიტია მარადისობის მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ. ადრეული ეკლესიის მამების ნაშრომების გამოკვლევამ დამანახა, რომ მათ მიერ ნასწავლები თითქმის უცხოა ჩვენი დღევანდელი მოძღვრებისთვის, თუმცა წმ. წერილისგან განსხვავებულს არაფერს ასწავლიდნენ. პირველი რამდენიმე საუკუნის ეკლესიის მამები დარწმუნებული იყვნენ, რომ საქმეები არსებით როლს ასრულებდა ჩვენი გადარჩენის მოწმობის წარმოდგენაში. მოდი, რამდენიმე მაგალითი განვიხილოთ!

თავდაპირველად, პოლიკარპეს (ჩვ. წ. 69-156) ციტატას მოვიყვან, რომელიც სმირნის ეკლესიის ეპისკოპოსი და მოციქულ

იოანეს თანამხლები გახლდათ, რომელიც მოხუცებულობისას დააპატიმრეს და ცოცხლად დაწვეს. მან დაწერა: „ბევრს სურს ამ სიხარულის (გადარჩენის) განცდა, იცინა რა, რომ ხსნა მადლითაა და არა საქმეებით“.<sup>2</sup> ეს მისაღები განცხადება იქნებოდა დღევანდელი ევანგელური წრეებისთვის. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ფაქტს, რომ საკუთარი კეთილი საქმეებით დახსნას ვერ მივიღებთ. და მაინც, პოლიკარპემ ასევე მიწერა მორწმუნეებს: „ის, ვინც მკვდრეთით აღადგინა იესო, ჩვენც აღგვადგენს, თუ მის ნებას შევასრულებთ, მის მცნებებში ვივლით და გვეყვარება ისე, როგორც მას ვუყვარვართ, ამით დავიცავთ რა თავს ყოველგვარი უმართლობისგან“.<sup>3</sup> ამგვარ სიტყვას დღეს ხშირად ვერ გაიგონებთ კათედრებიდან.

ყურადღება მიაქციეთ თუ კავშირს. ჩვენ გვითხრეს, რომ ღვთის ნება უნდა შევასრულოთ და მის მცნებებში ვიაროთ, რომ წილი გვქონდეს მორწმუნეთა აღდგომაში. მალე ნახავთ, რომ იესო ზუსტად ამას გვეუბნებოდა.

მომდევნო, ვისი ციტირებაც მინდა, კლიმენტი ალექსანდრიელი (ჩვ. წ. 30-100) გახლავთ, რომელიც პავლე და პეტრე მოციქულების ხშირი თანამგზავრი და რომის ეკლესიის ზედამხედველი იყო. იგი წერდა: ჩვენ საკუთარი თავი, ჩვენი ღვთისმოსაობა ან საქმეები არ გვამართლებს, არამედ რწმენა, რომლითაც ყოვლისშემძლე ღმერთმა ყველა ადამიანი გაამართლა“.<sup>4</sup> ესეც ფართო მასშტაბით მიღებული განცხადება იქნებოდა დღევანდელ ქრისტიანულ წრეებში. კლიმენტმა სხვა რამეც მისწერა მორწმუნეებს: „აუცილებელია, რომ წახალისებული ვიყოთ კეთილი საქმეების საკეთებლად. ვინაიდან უფალი გვაფრთხილებს, „აი, მოდის უფალი და მისი საზღაური მასთან არის, რომ ყველას მიუზღოს საქმეთაებრ“ (რომ. 2:6-10).<sup>5</sup>

შესაძლებელია, რომ ეს იყოს პავლეს განცხადების მიზეზი: „არ ვეურჩე ზეციურ ჩვენებას, მეფე აგრიპავ. პირველად დამასკოსა და იერუსალიმის მკვიდრთ, მერე კი იუდეის მთელ ქვეყანას და აგრეთვე წარმართებს ვუქადაგებდი მონანიებას, ღვთისკენ

მოქცევას და მონანიების ღირსი საქმეების აღსრულებას“ (საქმ. 26:19-21) NLT ბიბლიის ვერსია იგივე აზრს შემდეგნაირად გვანვდის: „... დაამტკიცონ მომხდარი ცვლილება კეთილი საქმეების კეთებით“. ვინაიდან პავლე ამას ხაზგასმით აღნიშნავს, მართებული იქნება ვიფიქროთ, რომ მისი თანამხლები კლიმენტი რომაელი იგივეს გააკეთებდა.



კიდევ ერთი წინამძღოლი, რომლის ციტატის მოყვანა მინდა, კლიმენტი ალექსანდრიელი (ჩვ. წ. 150-200 წლები) გახლავთ. იგი ეგვიპტეში, ალექსანდრიის ეკლესიის წინამძღოლი იყო და ახალმოქცეულთა სადამრიგებლო სკოლა ებარა. იგი ურწმუნოთა შესახებ წერდა: „თუნდაც კეთილ საქმეებს აკეთებდნენ ახლა, ეს მათთვის სარგებლობის მომტანი არ იქნება სიკვდილის შემდეგ, თუ რწმენა არ ექნებათ“.<sup>6</sup>

ეს მოსაზრებაც მთელი გულით არის მიღებული ევანგელურ ქრისტიანთა შორის. როგორც ბოლო რამდენიმე თავში აღვნიშნავდი, ვიცით, რომ ურწმუნოთა კეთილი საქმეების ნებისმიერი რაოდენობა არ აძლევს მათ ღვთის საუკუნო სამეფოში შესვლის გარანტიას. ჩვენ ღვთის მადლით ვართ გადარჩენილები. და მაინც, ნახეთ, რას წერს კლიმენტი მორწმუნეებს:

„ვისაც ჭეშმარიტება უპყრია და კეთილი საქმეებით გამორჩეულია, საუკუნო ცხოვრების ჯილდოს მიიღებს ... ზოგიერთები სწორად და შესაფერისად აცნობიერებენ, რომ ღმერთმა (გადარჩენისთვის) საჭირო ძალით უზრუნველგვყო, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საქმეებს, რომლებსაც გადარჩენისკენ მივყავართ და ამით მათი იმედის საგნის მიღწევისთვის საჭირო მზადებას უგულვებელყოფენ“.<sup>7</sup>

ზოგიერთი თქვენგანი, შესაძლოა, ფიქრობდეს: „ჩანს, ამ ადამიანებს ახალი აღთქმა ნაკითხულიც არ აქვთ“. არა, მათ ის აქვთ ნაკითხული. ჯოშ მაკდაუელი თავის წიგნში, Evidence that Demands a Verdict მიუთითებს, რომ კლიმენტი ალექსანდრიელმა თავისი 2400 ციტატა ახალი აღთქმის თითქმის ყველა წიგნიდან აიღო, გარდა სამისა.<sup>8</sup> იგივე ჭეშმარიტია აქ მოყვანილი სხვა ციტატების მიმართაც. შედარებისთვის ვიტყვი, რომ ჩვენი ქრისტიანული მაღაზიების თაროებზე არსებულ წიგნებში ძალზე მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი წმ. ნერილის მუხლები. შესაძლოა, სწორ მიმართულებას იმიტომ ავცდით, რომ გამუდმებით არ ვამტკიცებთ იმას, რაც მნიშვნელოვანია?!

### ჩვენი არასრული სხარება

სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში წერილიდან მოგვყავს ისეთი ადგილები, როგორცაა „თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია, და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა

მკვდრებით აღადგინა იგი, გადარჩები“ (რომ. 10:9). ადამიანებს ვეუბნებით, რომ ერთადერთი, რაც მათ უნდა გააკეთონ, ამ მაგიური ლოცვის გამეორებაა და ისინი უკვე სასუფეველში არიან.

რატომ არ ვითვალისწინებთ და არ ვასწავლით თავად იესოს სიტყვებს? მან თქვა, „რატომ მომმართავეთ: უფალო, უფალო, და იმას კი არ აკეთებთ, რასაც ვეუბნებით?!“ (ლუკ. 6:46) როგორც ვნახეთ, უფალი უზენაეს ბატონს ნიშნავს. მას მფლობელის მნიშვნელობა აქვს. ამრიგად, იესო გვაფრთხილებს: „ნუ მიწოდებთ ბატონს, როცა საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობთ! უმჯობესია „დიდი წინასწარმეტყველი“ ან „მოძღვარი“ მიწოდოთ და თავი არ მოიტყუოთ“.

ახლა ხელახლა გამოვიკვლიოთ იესოს განაცხადი, რომლითაც მთელი ეს მსჯელობა ნამოვიწყეთ: „ყველა, ვინც მეუბნება: უფალო, უფალო, როდი შევა ცათა სამეფოში! (მათ. 7:21ა).

როგორც უკვე განვაცხადეთ, ყველა ვერ მოხვდება ზეცაში, ვინც იესო ქრისტეს უფალს უწოდებს. ეს ნათლად გვეუბნება, რომ „ცოდვილის ლოცვის“ წარმოთქმა არ გვაძლევს ღვთის სამეფოში მოხვედრის გარანტიას. ამ შემთხვევაში, ჩემი კითხვა ასეთია: ვინ შევა ცათა სასუფეველში?

იესო ასე პასუხობს: „ის, ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს“ (მათ. 7:21ბ).

საინტერესოა, რომ ეს სიტყვები ზუსტად შეესაბამება პოლიკარპეს ნათქვამს. ამრიგად, არა მარტო იესოს აღიარება, არამედ ამასთან ერთად ღვთის ნების შესრულება იძლევა ზეცაში შესვლის საშუალებას. ღვთის ნების შესრულების ერთადერთი გზა მისი მაღლის ქონაა, რომელიც მაშინ მოგვეცემა, როცა თავს დავიმდაბლებთ, საკუთარ ცხოვრებას უარვყოფთ და მას უფლად მივიღებთ. მეტად მარტივია ამის აღიარება, მაგრამ სირთულე მაშინ იწყება, როცა იესოს უფლობის რეალობის წინაშე საკუთარი თავის სრულად დამორჩილება გვინევს.

ახლა მოისმინეთ, რატომ გამოვკვეთე ეს საკითხი ასე დაჟინებით:

„ბევრი მეტყვის იმ დღეს: უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასწაულს? მაშინ მე განვუცხადებ მათ: არასოდეს მიცვნიხართ თქვენ, გამმორდით, მოქმედნო ურჯულოებისა!“ (მათ. 7:22-23)

1980-იანი წლების ბოლოს ღმერთმა ხილვა მომცა. უამრავი ადამიანი ვიხილე, ზღვასავით, რომლის ბოლოს თვალს ვერ მიუწვდენდი. ვიცოდი, რომ ამ მასაში არც ათეისტები, არც თვითალიარებული ცოდვილები და არც რომელიმე სხვა რელიგიის წარმომადგენლები არ შედიოდნენ. ისინი სამსჯავრო ტახტთან მიდიოდნენ და მთელი გულით ელოდებოდნენ იესოს ნათქვამს: „შედი შენი ბატონის სიხარულში, ღვთის სამეფოში!“ ამის ნაცვლად მათ შემდეგი სიტყვები მოისმინეს: „გამმორდით, მოქმედნო ურჯულოებისა!“ (მათ. 7:23).

მათ სახეებზე ელდა და შეძრწუნება დავინახე. წარმოგიდგენიათ იმ გადარჩენაში სრული დაჯერების ქონა, რომელიც სინამდვილეში თქვენი არ ყოფილა? წარმოგიდგენიათ ჯოჯოხეთის ცეცხლში სამუდამოდ განდევნა, როცა თავი ზეცის მიერ მართული გეგონათ? სამუდამოდ იმ აზრზე ფიქრი, რომ თქვენ და შესაძლოა, ისინი, ვინც გიქადაგებდნენ, ასე ზედაპირულად მიუღებთ თქვენს მარადიულ ხვედრს?

არსებობს კი ადგილი მაძიებლის ყურის მამებელი სიტყვებისთვის, რომელსაც არ სურს იესოს გაფრთხილებების მოსმენა?

ხედვით, რატომ არის აუცილებელი ღვთის სრული სიტყვის ქადაგება და არა მარტო დადებითი მხარეების ან სარგებლობის მომტანი სწავლების გადმოცემა? ღიახ, ჩვენ გვიყვარს სიკეთეების მიღება, მათზე ვლაპარაკობთ და ვხარობთ, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს წმ. წერილის მცნებებისა და გაფრთხილებების უგულვებლყოფის ხარჯზე!

ერთხელ კონფერენციაზე ამ ჭეშმარიტებების ღიად ქადაგების მიზეზი ვახსენე: „არ მსურს ვინმესგან სამსჯავროს დღეს მოვისმინო, „რატომ არ მითხარი სიმართლე?“ და ამ დროს ჩემს ხელებზე მისი სისხლი იყოს!“

ჩემი გამოსვლის დასრულების შემდეგ ერთი საკმაოდ გაღიზიანებული, ფაქტობრივად, განრისხებული პასტორი მომიახლოვდა. მან თქვა: „როგორ ბედავ ჩვენთვის, მსახურებისთვის ძველი აღთქმის თეოლოგიის თავს მოხვევას? ჩემს ხელებზე არავის სისხლი არ იქნება იმის გამო, რომ სრულ სახარებას არ ვქადაგებდი“. მას აშკარად მოსწონდა ღვთის სიტყვის დადებითი მხარეები, მაგრამ საწინააღმდეგო შინაარსის მქონე ნაწილებს გაურბოდა.

მას ასე ვუთხარი: „ბატონო, შეხედეთ, რას ეუბნება პავლე ეფესოს წინამძღოლებს“. ბიბლია ხელთ მქონდა, ამიტომ საქმეთა წიგნიდან შესაბამისი ადგილი გადავშალე და ვთხოვე,

ნაეკითხა: „ამიტომ გიმონებთ თქვენ ამ დღეს, რომ უბრალო ვარ ყველა სისხლისგან. რადგან არაფერი დამიკავებია და ღვთის სრული ნება განგიცხადეთ“ (საქმ. 20:26-27).

ელდანაცემმა შემომხედა ფართოდ გახელილი თვალებით და დაღებული პირით. მან თქვა: „რამდენჯერ წამიკითხავს ახალი ალექსანდრე და ეს სიტყვები არასდროს შემიმჩნევია“. ამის შემდეგ მეგობრული დიალოგი გავმართეთ. საუბრისას ვახსენე, რომ ქრისტეში მონიჭებული ადამიანების წარსადგენად არა მარტო უნდა ვასწავლოთ მათ, არამედ კიდევ უნდა გავაფრთხილოთ (იხილეთ კოლ. 1:28). რაში მდგომარეობს ჩვენი გაფრთხილება? არ გადავუხვიოთ ჭეშმარიტებიდან. გზას არ უნდა ავცდეთ თვითმარქვების ნაქადაგები სიტყვით, რომლებიც არა მარტო თავს იტყუებენ, არამედ უამრავ ადამიანს აცდენენ ღვთისმოსაობის გზიდან.

საქმ. 20-ის მონათხრობიდან ჩანს, რომ პავლე გარკვეული ხნით ეფესოელებთან დარჩა. მას ძალიან უყვარდა ისინი და ღვთის სულისგან იცოდა, რომ მათ დედამიწაზე ველარ ნახავდა. წარმოიდგინეთ, რა დაკვირვებით შეარჩევდით იმ ადამიანებისთვის სათქმელ უკანასკნელ სიტყვებს, რომლებსაც შვილებად მიიჩნევდით. პავლეს გამოსამშვიდობებელი სიტყვა ასეთი გახლდათ:

„მაშ, გაუფრთხილდით საკუთარ თავსაც და თქვენს მთელ სამწყსოსაც, რომლის მეთვალყურედაც დაგაყენათ სულიწმიდამ, რათა მწყემსოთ ღვთის ეკლესია, რომელიც მან საკუთარი სისხლით შეიძინა. რადგან ვიცი, რომ ჩემი წასვლის შემდეგ უღმობელი მგლები შემოგივარდებიან, რომლებიც არ დაინდობენ სამწყსოს. თვით თქვენგანაც აღდგებიან კაცები, რომლებიც უკუღმართად ილაპარაკებენ, რათა გადაიბირონ მონაფენი. ამიტომ ფხიზლად იყავით, გახსოვდეთ, რომ სამ წელიწადს, დღე და ღამე, განუწყვეტლივ ცრემლით ვასწავლიდი თითოეულ თქვენგანს!“ (საქმ. 20:28-31)

როგორ დაამახინჯეს ამ ადამიანებმა ჭეშმარიტება? შესაძლოა, სიტყვებით, მაგრამ უფრო სავარაუდოა – მოქმედებებით. ყურადღება მიაქციეთ, რომ პავლე იმდენად განიცდიდა ამას, რომ არ წყვეტდა ეფესოელების გაფრთხილებას დღითა და ღამით სამი წლის განმავლობაში. ისევ ვხედავთ საკითხის ხაზგასმას. ამაზე გამუდმებით უნდა ვილაპარაკოთ.

## სიყვარულისა და სამართლის ღმერთი

ჩვენს ალეგორიაში ადვილი შესამჩნევია მოტყუებულის ელდა და აგონია. გული შეგიღონათ ღონის ავისმომასწავებელმა მინისქვეშა დილეგმა. შიშისგან შეძრწუნდით ბნელ და აუტანელ სიცხეში, დაბინძურებული ჰაერით გაჟღენთილ საკანში 130 წლის გატარების ხსენებაზე. და მაინც, ეს არაფერია უამრავი მამაკაცისა თუ ქალის ხვედრთან შედარებით, ღვთის სრულ სიტყვას თუ არ ვიქადაგებთ.

თუ გახსოვთ, ჯეილინი მოსიყვარულეც იყო და სამართლიანიც. მისი განსჯით, სიყვარული ვლინდებოდა ფაქტში, რომ იგი დაგონის გახრწნილი ბუნებისა და ხასიათის მქონე ადამიანს აფაბელის ქალაქში არ დაუშვებდა. ასე რომ გაეკეთებინა, იმ ერთი პიროვნების გამო მთელი ქალაქი გაიხრწნებოდა და დაბინძურდებოდა მისი მკვიდრების ჩათვლით. ჯეილინის სიყვარულმა უმნიკვლოები დაიცვა.


ამავდროულად, ჯეილინი სამართლიანი იყო იმაშიც, რომ დაგონის ბუნების მატარებელ ადამიანს დაუმორჩილებლობის გამო თავად დაგონზე ნაკლებ სასჯელს ვერ მიუსჯიდა. ამ მიზეზით, ყველა, ვინც ჯეილინის მიმდევრობაზე უარი თქვა, ღონის ჯურღმულებში გადაასახლეს.

ამრიგად, ღვთის სიყვარულს არ შეუძლია, სატანის ბუნების მქონე ადამიანს მარადიულ ქალაქში სამუდამოდ ყოფნის უფლება მისცეს. იგი უსამართლო იქნებოდა, რომ სატანისა და მისი დამქაშებისთვის ცეცხლის ტბა მიესაჯა და გამონაკლისი დაეშვა მათი მმართველობის ქვეშ მყოფი და იგივე გახრწნილი ბუნების მქონე ადამიანებისთვის. ყველა, ვისაც სატანის ბუნება აქვს, სამუდამოდ ცეცხლის ტბის თანამდებია. ღმერთი არის და იქნება მონყალე და სამართლიანი და მისი დიდება მთელს დედამიწაზე გავრცელდება.



## ნაწილი 2: თავები 4-5

1. ამ ნაწილის წაკითხვამდე თვლიდით თუ არა საუკუნო სასჯელის საკითხს ფუნდამენტურ მოძღვრებად, რომელსაც ყველა ქრისტიანი უნდა იცნობდეს? რა ხდება, როცა ადამიანებს ისე ვიმონაფებთ, რომ ამ საკითხში ჩაღრმავებას დროს არ ვუთმობთ?
2. ბევრი ქრისტიანი არაფერს ეუბნება ადამიანებს ჯოჯოხეთის რეალობის შესახებ, რადგან მათი მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულების ან გაკიცხვის ეშინია. თუმცა ამ საკითხზე ლაპარაკი, რეალურად, თანაგრძნობის აქტია. როგორი იქნება მორწმუნეებისთვის (ინდივიდუალურად და ეკლესიურ გარემოში) საუკუნო სასჯელის განხილვა სიყვარულის პოზიციიდან?
3. როგორ ახსნიდით რწმენასა და ნაყოფებს (ან საქმეებს) შორის დამოკიდებულებას? თუ გადარჩენა ნიჭია, რატომ არის ჩვენი საქმეები მნიშვნელოვანი რწმენასთან კავშირში?
4. მეხუთე თავში ვიმსჯელებთ აზრზე, რომ სახარების აღთქმებს ადამიანებს ვუზიარებთ, თუმცა არაფერს ვეუბნებით, რა შედეგი შეიძლება მოყვეს მის ცხოვრებაში იესოს მოწაფეობის გადანყვეტილების მიღებას. რატომ არის ქრისტეს უფლობისადმი მორჩილებით ცხოვრება გაცილებით უხვი, ვიდრე უბრალოდ სულიერი შეღავათების მიღება ცხოვრების წესის შეცვლის გარეშე?
5. იფიქრეთ ყველაფერზე, რაც აქამდე გადარჩენას, სასჯელსა და მარადისობაზე ჩვენი ცხოვრების გავლენასთან დაკავშირებით შეისწავლეთ. რა ზეგავლენა მოახდინა მეხუთე თავის სწავლებამ მაღლის ბუნების შესახებ თქვენს თვალსაზრისზე განსახილველი საკითხების ირგვლივ?



ଶ୍ରୀମତୀ ୩





## თავი 6

# დიდი განდგომილება

„ბოლომდე მომთმენი გადარჩება“.

მათ. 24:13

სხლა მივადექით ორმაგი ცხოვრებისა და გაუბედავის სახეებით წარმოდგენილ ჭეშმარიტებას. ერთ დროს ისინი იესოს მთელი გულით მიჰყვებოდნენ. მიუხედავად ამისა, ერთი მათგანის გულში არასწორი ზრახვები გაჩნდა, მეორემ კი სამუდამოდ გადაუხვია გზიდან. ორივეს დასასრული ფატალური გახლდათ.

„ის ვიკითხოთ, რაც გვნამს“ თუ „ვირწმუნოთ ის, რასაც ვკითხულობთ“?

აღმოვაჩინე, რომ ზოგიერთი ჭეშმარიტება, რომელზეც ამ თავში ვიმსჯელებთ, წინააღმდეგობას იწვევს ევანგელურ წრეებში. თუ მაინც გვსურს ჭეშმარიტების გაგება და საკუთარ თავთან გულწრფელი დავრჩებით, წმ. წერილის გულმოდგინე კვლევა ყოველგვარ წინააღმდეგობას აღმოფხვრის. ამრიგად, სანამ გავარკვევდეთ, რას ამბობს ბიბლია ორმაგი ცხოვრებისა და გაუბედავის მსგავსათა ცხოვრების შესახებ, მინდა, გთხოვოთ, რომ გახსნილი გულითა და გონებით კითხვისთვის შეემზადოთ.

ერთი დიდი დაბრკოლება ბიბლიის კითხვისას ღვთის ნების შეცნობის საქმეში გახლავთ შემდეგი: *უფრო იმას ვკითხულობთ, რაც გვნამს და არ გვნამს ის, რასაც ვკითხულობთ*. საკუთარი რწმენის შესაბამისად კითხვა მაშინ ხდება, როცა ჭეშმარიტებას დაბურული სათვალეებით ვუყურებთ. ბუნდოვანება სხვა ადამიანებისგან ან საკუთარ დენომინაციაში მიღებულ არასწორ ცოდნას ან ღვთისა და მისი გზების შესახებ ჩვენს წინასწარ შექმნილ აზრს მოჰყვება. ეს ძალზე სახიფათოა, რადგან სიცრუემდე მივყავართ. ამის მაგალითი იობის წიგნში იპოვება.

ამას წინათ ჩემი ბიბლია ავიღე და სანამ გადავშლიდი, ღვთის ნათქვამი გავიგე: „იობის წიგნს გადახედე და კითხვა ოცდამეთორმეტე თავიდან დაიწყე“. მაშინვე გადავშალე ხსენებული თავი და ვნახე, რომ ის ელიჰუს სიტყვით იწყებოდა.

მცირეოდენი წიაღსვლა. გადატანილმა ტრაგედიამ დიდი დაღი დაასვა იობის თვალსაზრისს ღვთის გზების შესახებ. მისი შეხედულება ტკივილმა და უბედურებამ დაამახინჯა. ახლა ის ღმერთს თავისი განსაცდელის ჭრილში ხედავდა და არ ეძებდა მას სიბრძნის მისაღებად (იხ. იაკ. 1:2-8). დროთა განმავლობაში ამგვარი აზროვნება თავის გამართლებაში გადაიზარდა. იობის სამი მეგობარი გარდა იმ ერთისა, რომლის სიტყვის კითხვაც დავინყე, გზააბნეულ თვითშემდგარ თეოლოგად იქცა იობის ტრაგედიის მიზეზის ძიებაში. ამან ვითარება კიდევ უფრო გაართულა. მეგობრებმა იობის დაჟინების გაბათილების გზა რომ ვეღარ იპოვეს, მისი დადანაშაულება დაიწყეს.

ელიჰუ მათგან ყველაზე ახალგაზრდა იყო და საკმაო ხანს ელოდა ღვთის სიბრძნის მოსმენას იობისა და მისი სამი მეგობრისგან. როცა იგი მიხვდა, რომ მეგობრებს სათქმელი აღარაფერი ჰქონდათ, ლაპარაკი დაიწყო: „აჰა, ვუცდიდი თქვენს სიტყვებს და ვუსმენდი თქვენს მსჯელობას, როცა ეძებდით სათქმელს. გაკვირდებოდით და, აჰა, არ არის თქვენ შორის მამხილებელი, რომ პასუხი გასცეს იობს. ნუ იტყვით: სიბრძნე ვიპოვეთ, რადგან ღმერთი ამხელს მას და არა კაციო!“ (იობ. 32:11-13).

ელიჰუმ ყველა მათგანი გაკიცხა. მან თქვა: „განა შენი განსჯისამებრ უნდა მიაგებდეს იგი, როცა მის სიმართლეს უარყოფ?“ (იობ. 34:33). რა ზუსტად ასახა მან თანამედროვეობაში მოჭარბებული შეცდომა. ეს გახლავთ ეკლესიების არასწორი თეოლოგიის მთავარი ფესვი: *საკუთარ გამოცდილებას ღვთის სიტყვის განმარტების უფლებას ვაძლევთ ნაცვლად იმისა, რომ ღვთის სიტყვას მივცეთ ჭეშმარიტების დაფუძნების საშუალება!*

ელიჰუს არ ულაპარაკია ადამიანურ მოსაზრებებზე, მოვლენებსა და შემთხვევებზე დაკვირვების შედეგად ჩამოყალიბებულ თეოლოგიასა და ღვთის შესახებ წინასწარ შექმნილ შეხედულებებზე. მან ჭეშმარიტების ფალსიფიცირების გარეშე გადმოსცა ღვთის წმიდა სიტყვა. მისი სიტყვის დასასრულს ვკითხულობთ:

„მიუგო უფალმა იობს გრიგალიდან და უთხრა: „ვინ არის ეს, ჩემს ჩანაფიქრს რომ აბნელებს უმეცარი სიტყვებით? ნელზე სარტყელი შემოირტყი, როგორც კაცს შეჭფერის; შეგეკითხები და მიპასუხე!“ (იობ. 38:1-3)

სწორედ ეს ხდება, როცა ღვთის სიტყვებს ჩვენი გამოცდილების, სხვათა მოსაზრებების ან ღვთის პიროვნების

შესახებ წინასწარ აკვიატებული აზრების პრიზმაში ვატარებთ. ამით მის ჩანაფიქრს ვაბნელებთ და მიუწვდომელს ვხდით ყველასთვის, ვისზეც გავლენა გვაქვს. რეალურად, ჭეშმარიტებას ვუმალავთ მათ, რომელთაც მისი მოძიება და შეცნობა სურთ. სწორედ ამიტომ განრისხდა ღმერთი იობსა და მის მეგობრებზე და ახლაც ბრაზობს, როცა მის გზებს არასწორად წარმოვადგენთ. ჩვენ ადამიანებს მისი ჭეშმარიტების ცოდნას ვუკავებთ!

ამის შემდეგ უფალს ოთხი თავი სჭირდება, რომ იობს თავისი სიტყვა გამოუცხადოს. დასასრულს იობი სინანულით ამბობს:

„ვიცი, რომ ყველაფერი შეგიძლია და ვერაფერი დააბრკოლებს შენს განზრახვას. ამბობდი: ვინ არის ეს, ჩემს ჩანაფიქრს რომ აბნელებს უმეცარი სიტყვებით? – ვამბობდი იმას, რაც არ გამეგებოდა, ჩემთვის საკვირველზე, და ვერაფერს ვხვდებოდი. ამბობდი: მომისმინე და ვილაპარაკებ; შეგეკითხები და მიპასუხე! ყურმოკვრით გიცნობდი; ახლა კი გხედავენ ჩემი თვალები. ამიტომ უკან ვიხევ და ვინანიებ მტვერსა და ნაცარში“.  
(იობ. 42:2-6)

ყურადღება მიაქციეთ იობის ნათქვამს: „ყურმოკვრით გიცნობდი; ახლა კი გხედავენ ჩემი თვალები“. ამაში დევს ძღვევამოსილი ჭეშმარიტება. წმ. წერილი ამბობს, რომ მისი *ყურებისას* გარდავისახებით დიდებიდან დიდებაში (იხ. 2 კორ. 3:18) და არა *ყურმოკვრით ნათქვამის* შედეგად. იესო არის ღვთის ცოცხალი სიტყვა. მისი დანახვა მის შეცნობას, მისი გზების გამოკვლევას ნიშნავს.

აი, ამას აკეთებს ადამიანში გაცხადებული ჭეშმარიტება. ჩვენ ღვთის სიტყვას ვისმენთ, მაგრამ ცვლილება მანამ არ მოდის, სანამ *გონება არ გაგვინათდება*. როცა ღვთის სიტყვის გაცნობიერება ჩვენს გულებში აღწევს, ვყვირით: „ვხედავ, ახლა კი ვხედავ!“ ამ დროისთვის განათლებული და მის ხატებად უფრო მეტად გარდაქმნილი ვხდებით.

იმავე სულიერმა ჭეშმარიტებამ აღძრა პავლე შემდეგი ლოცვისთვის: „არ ვწყვეტ ღვთისადმი მაღლიერებას თქვენთვის, გიხსენებთ რა ჩემს ლოცვებში, რათა მოგცეთ თქვენ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად, და გაანათლოს თქვენი გონების თვალნი!“ (ეფეს. 1:16-18). ახლა იობი ისე

განათლებული იყო, როგორც არასდროს, თუმცა გადატანილ ტრაგედიებამდეც გამორჩეული ღვთისმოსაობით ცხოვრობდა. ახლა იგი ღვთის შეცნობის უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.

იობთან ლაპარაკის დასრულების შემდეგ ღმერთი ელიფაზს, იობის ერთ-ერთ მეგობარს მიმართავს და ამბობს: „ანთო ჩემი რისხვა შენ მიმართ და შენი ორი მეგობრის მიმართ, რადგან ჩემი მსახური იობივით წრფელად არ ილაპარაკეთ ჩემზე“ (იობ. 42:7).

უფალი ზედაპირულად არ ეკიდება საკითხს, თუ როგორ წარმოვადგენთ მას ან მის გზებს სხვათა წინაშე. ეს აბნელებს მის ჩანაფიქრს და აუკუღმართებს სამართალს. ამ მიზეზის გამო მიკვირს, როგორ შეუძლიათ ადამიანებს სწრაფად გადმოალაგონ თეოლოგია, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს წმ. წერილის მთლიანი ჩანაფიქრი. რა საშიშია! საიდან გვეცოდინება ჭეშმარიტება, თუ არ გვსურს მისგან მითითების ან შესწორების მიღება?

იობის წიგნის კითხვის დასრულების შემდეგ უფალმა რაღაც მითხრა, რამაც ბევრ კითხვას გასცა პასუხი. მან თქვა: „შვილო, შეამჩნიე თუ არა, რომ არაფერში ჩავრეულვარ, სანამ იობი და მისი მეგობრები ჩემს შესახებ სწორად არ ლაპარაკობდნენ? ჩემი თანდასწრება მას შემდეგ გამოვლინდა, როცა ვილაც ადგა და ჭეშმარიტება ილაპარაკა!“

დიდი მოწინება ვიგრძენი, როცა ღმერთი ჩემს გულს დაელაპარაკა და მის ნათქვამზე დავფიქრდი. შემდეგ ისევ გავიგონე მისი ხმა: „სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ბევრ ადამიანს, ეკლესიას თუ დენომინაციას არ აქვს ჩემი თანდასწრების და ცხოვრების გარდამქმნელი ძალის განცდა. ისინი არ აღიარებენ ჩემს წმიდა სიტყვას და საკუთარი განმარტებების ან შეხედულებების ფილტრში გატარებულს წარმოთქვამენ, რაც არაფრით განსხვავდება იობისა და მისი მეგობრების შემთხვევისგან. მათ დააბნელეს ჩემი ჩანაფიქრი თავიანთი ამაო ცოდნით“.

თუ გვსურს ღვთის თანდასწრებისა და ძალის რეალობის ცოდნა, ჭეშმარიტება ყოველგვარი ფალსიფიცირების გარეშე უნდა მოვძებნოთ. ამრიგად, ღვთის სამსჯავროს შესახებ წმ. წერილის კვლევისას, უფლის შესახებ მიკერძოებულ აზრებს, მცდარ თეოლოგიას ან ვითარებებს ღვთის მიერ თქვენთვის უკვე გაცხადებულის შეცვლის ნება არ მისცეთ. ამის ნაცვლად, ეძებეთ იგი ღვთის გაცხადებულ სიტყვაში, რომ მისი გზები ნათელი გახდეს.

## სარგებლის მიღების სურვილი

პირველ რიგში ორმაგი ცხოვრების ხვედრზე ვისაუბროთ. ამისთვის ხელახლა გადავხედოთ იესოს სიტყვას, რომელზეც ბოლო თავში ვისაუბრეთ:

„ბევრი მეტყვის იმ დღეს: უფალო, უფალო, განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით?! განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასნაულს? მაშინ მე განვუცხადებ მათ: არასოდეს მიცვნიხართ თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა!“ (მათ. 7:22-23)

„არასოდეს მიცვნიხართ თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა!“ სწორი თარგმანია და ახლოს არის დედანთან. ბერძნული სიტყვა „ურჯულოება“ (*ანომია*) კანონის ან ღვთის ნების სანინაალმდეგოდ მოქმედებას ნიშნავს. მარტივად რომ ვთქვათ, ეს ღვთის ძალაუფლებისადმი ურჩობას ნიშნავს.

ასევე იესოც ურჯულოების იდეას წინასწარ გვანვდის ერთი სიტყვით — *მოქმედნო*. იგი მიუთითებს რომ აქ ლაპარაკი არ არის პიროვნებაზე, რომელიც პერიოდულად ნაიბორძიკებს ან ქრისტეში ჩვილია და გათავისუფლებისთვის იბრძვის. იესო აღწერს ადამიანს, რომელიც არ ცდილობს, ღმერთს აამოს და ცხოვრების სტილით უგულუბელყოფს მის ნებას, ამართლებს თავის საქციელს ან უბრალოდ, თამაშობს. ამრიგად, იესოს სიტყვები მოტყუებულის მსგავს ცდუნებულებსაც ეკუთვნის და ორმაგი ცხოვრებისთანა მოლაღატეებსაც.

უამრავი ადამიანი, ვისაც იესო მიმართავს, განაჩენს მოისმენს და ეს მათ სულებში მთელი მარადისობის მანძილზე გახმიანდება დაღუპულთათვის განკუთვნილ სამყოფელში. მეტისმეტად მნიშვნელოვანია, რომ ბატონის გაფრთხილება არ უგულუბელყოფთ ან ზედაპირულად არ მოვეკიდოთ.

მოდით, ცოტა უფრო მეტად დავაკვირდეთ მეორე ჯგუფს, რომელსაც იესო ზემომოყვანილ მუხლებში მიმართავს. ღვთის სამეფოს გზიდან გადახვეულების ნაწილს ის ადამიანები შეადგენენ, რომლებიც დემონებს დევნიდნენ *იესოს სახელით*.

ვინ არიან ეს ადამიანები? შესაძლებელია, თუ არა, რომ მამაკაცები და ქალები იესოს სახელს დემონების განსადევნად იყენებდნენ და არავითარი კავშირი არ ჰქონდეთ უფალ იესოსთან? პასუხის საპოვნელად საქმეთა წიგნს გადავხედოთ.

„ზოგიერთმა მოხეტიალე შემლოცველმა იუდეველმაც იწყო უფალ იესოს სახელის ხსენება ავი სულებით შეპყრობილებზე; ამბობდნენ: გაფიცებთ იესოს, რომელსაც პავლე ქადაგებსო. ამას აკეთებდა ერთი იუდეველი მღვდელმთავრის, სკევას შვიდი ვაჟი. მაგრამ მიუგო ავმა სულმა და უთხრა მათ: „იესოსაც ვიცნობ და პავლეს ვიცი, თქვენ კი ვინა ხართ?“ დაეძგერა მათ ის კაცი, რომელშიც ავი სული იყო, სძლია და ისე სცემა, რომ შიშვლები და დასახიჩრებულები გამოცვივდნენ იმ სახლიდან“.  
(საქმ. 19:13-16)

ამგვარი მცდელობებით შეუძლებელი აღმოჩნდა დემონების განდევნა იესოს სახელით! ამ აღწერაში არის ერთი საფუძვლიანი ჭეშმარიტება: დემონების გასადევნად საკმარისი არ გახლავთ იესოს სახელის გამოყენება. თქვენ გარკვეული ურთიერთობა უნდა გქონდეთ ამ სახელის მატარებელთან. რეალურად, ქრისტეს მიმდევარი უნდა იყოთ წინა თავში აღწერილთაგან განსხვავებით.

შესაძლოა, იფიქროთ, რომ იესომ უარყო მათი ნაცნობობა. როგორ დევნიდნენ ისინი დემონებს და როგორ ახდენდნენ სასწაულებს მისი სახელით? ნუთუ ეს შესაძლებელია?

არიან ისეთები, რომლებიც ნამდვილად შეუერთდნენ იესოს სახარებიდან მომდინარე სიკეთეების გამო, მაგრამ ეს პირადი გამორჩენის გამო გააკეთეს. მათ არასოდეს უცდიათ ღვთის გულის გაგება. მათ მხოლოდ მისი ძალა და კურთხევა სჭირდებოდათ. პავლე გვაფრთხილებს, რომ ესენი არიან „გარყვნილი გონების მქონე და ჭეშმარიტებას მოკლებული კაცნი ... რომელთაც ღვთისმოსაობა მოსახვეჭი რამ ჰგონიათ. ერიდე ასეთ ადამიანებს!“ (1 ტიმ. 6:5).

ეს ადამიანები იესოს პირადი სარგებლისთვის ეძებენ, ამიტომ მათი მსახურებაც არა სიყვარულზე, არამედ მოგებაზე ორიენტირებულია. იესო მათ არ სცნობს, რადგან ასე ვკითხულობთ: „ვისაც ღმერთი უყვარს, ის შეცნობილია მისგან“ (1 კორ. 8:3).

ის შეცნობილია მისგან. სიტყვა შეცნობა, უბრალოდ, ვისიმე ვინაობის ცოდნას არ ნიშნავს, რადგან ღმერთმა ყველაზე ყველაფერი იცის. იგი ყოველისმცოდნეა! ამ სიტყვას უფრო სიახლოვის, მჭიდრო ურთიერთობის მნიშვნელობა აქვს. ბიბლიის გაფართოებული თარგმანი ხსენებულ მუხლს ასე გადმოგვცემს: „ვისაც ღმერთი ჭეშმარიტად [მოკრძალებით,

მორჩილების გამოჩენით და მისი კურთხევის მაღლიერებით) უყვარს, იგი შეცნობილია მისგან [აღიარებულია მასთან ახლო ურთიერთობისა და სიყვარულის ღირსად და მის საკურთხეას წარმოადგენს]“.

იესომ მრავალ ადამიანს უთხრა სამსჯავროს დღეს: „არასოდეს გიცნობდით“. მათ, რომელთაც ღმერთი არ უყვართ (რაც ცხადია, რადგან მის მიმართ სათანადო მორჩილებას, მოკრძალებასა და მაღლიერებას არ გამოხატავენ), მამა ღმერთი და იესო ახლოს არ იცნობენ, თუნდაც ისინი მისგან სულის ხსნას ეძიებდნენ. იესოს სიყვარული მისთვის სიცოცხლის გასაწირად მზადყოფნას ნიშნავს. უკვე საკუთარი თავისთვის აღარ ცხოვრობ, არამედ მისთვის.

იუდა ამის მაგალითია. იგი იესოს მიმდევრებს შეუერთდა. დიდი მსხვერპლის ფასად გაჰყვა მას და ისე ჩანდა, რომ ღმერთი უყვარდა. იუდამ ყველაფერი მიატოვა, რომ იესოს მსახურთა გუნდში ყოფილიყო და მოძღვრის კვალდაკვალ ევლო. იუდა დევნის სიმძაფრეს უძლებდა და მაშინაც კი რჩებოდა უფალთან, როცა სხვები ტოვებდნენ იესოს (იხ. იოან. 6:66). სულა არ შეუნყვეტია. იგი დემონებს დევნიდა, ავადმყოფებს კურნავდა და სახარებას ქადაგებდა (იხ. ლუკ. 9:1).

და მაინც, იუდას ზრახვები დასაწყისშივე მცდარი იყო. მას არასოდეს მოუხანიებია თავისი ეგოისტური მოტივები. მისი ბუნება ვლინდებოდა შემდეგ განცხადებებში: „რას მომცემთ, რომ ....“ (მათ. 26:15). მან იცრუა და მლიქვნელობით სცადა სარგებლის სურვილის დაფარვა (იხ. მათ. 26:25), იესოს მსახურების სალაროდან ფული პირადი მიზნებისთვის არაერთხელ გამოიყენა (იხ. იოან. 12:4-6) და ა.შ. მას არასოდეს გაუცვნია იესო ახლოს, მიუხედავად იმისა, რომ სამწელიწადნახევარი მასთან ერთად გაატარა როგორც მონაფემ. ამ მიზეზის გამო ეუბნება იესო: „განა თორმეტი არ აგირჩიეთ? ერთი თქვენგანი ეშმაკია“. ეს თქვა იუდა სიმონის ძეზე, ისკარიოტელზე, რადგან მას, თორმეტთაგან ერთ-ერთს, უნდა გაეცა იგი (იოან. 6:70-71).

ახლაც არიან იუდას მსგავსები, რომლებმაც მსახურებისთვის დიდი მსხვერპლი გაიღეს: ადამიანები დემონებისგან გაათავისუფლეს, ავადმყოფები განკურნეს, სახარება იქადაგეს და იესოს ენდნენ გადარჩენის საქმეში, თუმცა თავად იესოსთან ახლოს არასოდეს ყოფილან. მთელი მათი საქმიანობა გამორჩენას ეფუძნებოდა და ღმერთი არ შეიყვარეს. ასეთი აღწერილობა სრულად ესადაგება ორმაგ ცხოვრებას ჩვენი

ალეგორიიდან. იგი იესოს მიყვებოდა იმ ზეგავლენისა და ძალაუფლებისთვის, რომელიც მისგან მიიღო. მან თავიდანვე არ გაიდგა ფესვები ჯეილინის სიყვარულში.

ასეთნაირებისთვის უდიდესი სასჯელია გათვალისწინებული. იესომ იუდაზე თქვა: „იმ კაცისთვის უმჯობესი იყო, არ დაბადებულყო“ (მათ. 26:24). უფალი ასე ლაპარაკობს იმ სულიერ წინამძღოლებზე, რომლებიც ღმერთს მოხვეჭის ზრახვით ემსახურებიან და ხალხისგან სარგებელს იღებენ უფლის სახელით: „ამისთვის უფრო მკაცრად დაისჯებით“ (მათ. 23:14). ასეთი მამაკაცები და ქალები, ორმაგი ცხოვრების მსგავსად აღმოაჩენენ, რომ ჯოჯოხეთის ყველაზე ბნელ და სატანჯველ ადგილას მოხვდნენ.

### ბაღარჩენის დაკარგვა

ჩვენი ახლანდელი მსჯელობა სრულყოფილად აღწერს ორმაგ ცხოვრებას ჩვენს ალეგორიაში. რას ვიტყვით გაუბედავზე? მას მართლაც ჰქონდა ურთიერთობა ჯეილინთან – უყვარდა კიდეც – და მაინც, ბოლომდე ვერ გაუძლო. ნათლად ჩანს თუ არა ეს წმ. წერილში? მოდი, დავინყოთ ამ საკითხის გამორკვევა წინასწარმეტყველ ეზეკიელის სიტყვებიდან:

„თუ მართალი შეაქცევს ზურგს თავის სიმართლეს და ჩაიდენს ყველა იმ უმართლობას, რასაც ბოროტი სჩადის, განა იცოცხლებს? აღარ გაუხსენებენ მთელ მის სიმართლეს, თავის დანაშაულში, რითაც მუხთლობდა და ცოდვაში, რასაც სცოდავდა – მოკვდება!“ (ეზეკ. 18:24)

პირველი და უმთავრესი, ღმერთი მართალ კაცს მიმართავს და არა იმას, ვისაც თავი მართალი ეგონა, მაგრამ ასეთი არასდროს ყოფილა. ეჭვგარეშეა, რომ ეს ადამიანი განსხვავდება მოტყუებულის ან თვითმარქვიასგან, რომლებზეც წინა თავში ვისაუბრეთ.

ღმერთი ამბობს, რომ არ გაიხსენებს ამ ადამიანის ადრინდელ სიმართლეს. როცა ღმერთი რაიმეს ივინყებს, ეს ნიშნავს, რომ ეს არც არასდროს ყოფილა. ჩვენ ვლაპარაკობთ ღმერთზე, რომელიც ჩვენს ცოდვებს ივინყებს და ისე გვაცილებს მათ, როგორც აღმოსავლეთი არის დაშორებული დასავლეთისგან და დავინყების ზღვაში ძირავს. იგი მართლაც ასე იქცევა. იგი ამბობს: „შეუწნდობ მათ უმართლობას და ცოდვებს აღარ



გავუხსენებ“ (ებრ. 8:12). ღმერთი ჩვენს ცოდვებს ივინყებს მაშინ, როცა იესოს უფლად ვიღებთ. ეშმაკი ცდილობს, ბრალი დაგვდოს, მაგრამ ღმერთი ამბობს, რომ ჩვენს ცოდვებს აღარ გაიხსენებს. ამრიგად, მისი აზრით, ჩვენ არასდროს არ შეგვიცოდავს.

ამის სანინააღმდეგოც ჭეშმარიტია. როცა ღმერთი ამბობს, რომ ადამიანის სიმაართლეს აღარ გაიხსენებს, ეს ნიშნავს, რომ დაივინყებს ამ ადამიანთან ნაცნობობას. მასთან ურთიერთობა უკვე შეწყვეტილია.

მოდი, დაკვირვებით გამოვიკვლიოთ ნმ. წერილში ნათქვამი მორწმუნეზე, რომელიც სამუდამოდ განუდგა გადარჩენის გზას. იაკობ მოციქული წერს:

„ჩემო ძმებო, თუ ერთი თქვენგანი გადაუხვევს ჭეშმარიტებას და ვინმე მოაქცევს მას, იცოდეთ, რომ ცოდვილის ცდომილების გზიდან მომქცევი სიკვდილისგან იხსნის მის სულს და მრავალ ცოდვას დაფარავს“.  
(იაკ. 5:19-20)

პირველი, რაც უნდა აღვნიშნოთ, გახლავთ სიტყვები: „ძმებო, თუ ერთი თქვენგანი ...“. იაკობი არ მიმართავს ადამიანებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ქრისტიანები არიან. იგი ჭეშმარიტების გზიდან აცდენილ მორწმუნეებს ელაპარაკება. ამ მონაკვეთში განდგომილ ძმას ცოდვილი ეწოდება. ეს არ ნიშნავს, რომ იგი ზეციდან შობილი აღარ არის, არამედ ჩვევად გადაქცეულ ცოდვაშია და მორჩილების გზაზე დაბრუნება სჭირდება. თუ მაინც გაჯიუტდება, იაკობი ნათლად უხსნის, რომ საბოლოო შედეგი მისი სულის სიკვდილია. იგი დაიღუპება, თუ ღვთისკენ არ შემობრუნდება (არ მოინანიებს). იგავების წიგნი ამ აზრს შემდეგნაირად ამტკიცებს: „გონიერების გზიდან გადავარდნილი ადამიანი მკვდართა კრებულში დაისვენებს“. (იგ. 21:16)

იგავები იაკობის სიტყვებს ადასტურებს იმ აზრით, რომ ღვთის გზებს ჩამოშორებული და მონანიების გარეშე დარჩენილი ადამიანის საბოლოო სამყოფელი მკვდართა კრებულია, რომელსაც ჰადესი ეწოდება, საბოლოო ჯამში კი, მისი ხვედრია ცეცხლის ტბა.

## სიცოცხლის წიგნი

სიცოცხლის წიგნი რვაჯერ არის ნახსენები ახალ აღთქმაში. პავლე და იოანე წერენ, რომ ყველა ის ადამიანი, ვინც მარა-

დისობას იესოსთან გაატარებს, ამ წიგნშია ჩანერილი. ჩვენი სახელები მასში ზეციდან შობისთანავე აღინიშნება.

გაიხსენეთ, ეფროსინის დამონმება მეოთხე თავიდან. როგორც კი ამ ახალგაზრდა ბერძენმა გოგონამ სიცოცხლე იესოს მიუძღვნა, მამა ღმერთმა მისი სახელი სიცოცხლის წიგნში ჩაწერა და ასე უთხრა: „კეთილი იყოს შენი ოჯახში მობრძანება!“ ასევე, პავლე თანამოძმეს წერს: „შენ კი, ჩემო ერთგულო თანამშრომელო, შენც გთხოვ დაეხმარო ამ დებს, რომელნიც ჩემთან ერთად იღწვოდნენ სახარებით, კლემენტოსთან და სხვა ჩემს თანამშრომლებთან ერთად, რომელთა სახელები სიცოცხლის წიგნშია!“ (ფილ. 4:3).

პირიქითაც იგივე ხდება. ყველა, ვინც არ არის ჩანერილი სიცოცხლის წიგნში, დაღუპულია. მოისმინეთ, რას ამბობს გამოცხადების წიგნი: „ვინც არ აღმოჩნდა სიცოცხლის წიგნში ჩანერილი, ცეცხლის ტბაში იქნა ჩაგდებული“ (გამოცხ. 20:15).

იოანე დამაჯერებლად გვეუბნება, რომ ღვთის მარადიულ ქალაქში მხოლოდ ისინი დაიშვებიან, „ვინც კრავის სიცოცხლის წიგნშია ჩანერილი“ (გამოცხ. 21:27). დანარჩენები მკვდართა კრებულში თუ მოისვენებენ.

გამოცხადების მე-3 თავში იოანე ეკლესიაზე ლაპარაკობს – არა ქალაქზე, არა დაღუპულ ადამიანთა ჯგუფზე, არა ცრუ ღმერთების თაყვანისმცემლებზე და არა „სავარაუდო“ ეკლესიაზე. ის მიმართავს მათ, რომლებიც მას ეკუთვნოდნენ და აფრთხილებს: „გამარჯვებული ჩაიცვამს თეთრ სამოსელს, მის სახელს არ ამოვშლი სიცოცხლის წიგნიდან, და ვალიარებ მის სახელს ჩემი მამისა და მისი ანგელოზების წინაშე“ (გამოცხ. 3:5).

ყურადღება მიაქციეთ სიტყვას „ამოშლა!“ სიცოცხლის წიგნიდან თქვენი სახელის ამოშლის ერთადერთი პირობა იქ მისი არსებობაა. წიგნში მხოლოდ ის ადამიანები არიან ჩანერილნი, რომლებმაც იესო ქრისტე ნამდვილად ირწმუნეს. ურწმუნოები და მოტყუებულები, რომლებიც რეალურად არასოდეს ყოფილან იესოსთან, არ არიან ჩანერილი სიცოცხლის წიგნში, ამიტომ მათი სახელების ამოშლაც შეუძლებელია. იესო „ოჯახის“ წევრებს ელაპარაკება.

### ღამაფიქრებელი ხილვა

არის ერთი ღვთისმოსავი კაცი, რომელიც მეოცე საუკუნეში ერთგულად ემსახურებოდა ღმერთს თითქმის სამოცდაათი წლის განმავლობაში. ქრისტეს სხეულზე მისი ზეგავლენა

გასაოცარი იყო. მისი წიგნები 65 მილიონ ეგზემპლარად დაიბეჭდა, ხოლო მისი ბიბლიის სკოლის კურსდამთავრებულთა რიცხვი 20000-ს აღემატებოდა.

მან ამ საკითხზე ერთ-ერთ თავის წიგნში დაწერა. ამ მსახურმა თქვა, რომ 1952 წელს ხილვაში იესო გამოეცხადა და აჩვენა ერთი მწყემსის ცოლი, რომელსაც იცნობდა. ქალმა ირწმუნა სიცრუე, რომ მისი უნარები და სილამაზე ფუჭად იფლანგებოდა. გარკვეული დროის შემდეგ მან გულში სახელის მოპოვების, პოპულარობისა და სიმდიდრის ფიქრები გამოზარდა, რაც შეიძლება ქვეყნიერებაზე ჰქონოდა. საბოლოოდ, ქალი ცდუნებას აპყვა, ქმარი მიატოვა და სასურველი წარმატების საძებნელად წავიდა.

უფალმა იმ მსახურთან ლაპარაკში განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ერთ ფაქტს: „ეს ქალი ჩემი შვილი იყო“ და მიუთითა, რომ მისთვის არ ელოცა. შემდეგი მონაკვეთი მისი წიგნიდან არის აღებული:

– უფალო, რა მოუვა მას?! – ვკითხე მე.

– იგი მარადისობას დაღუპულთა ადგილას გაატარებს, სადაც არის ტირილი და კბილთა ღრჭენა“, – უპასუხა მან. ხილვაში დავინახე, როგორ ჩაეშვა ქალი ჯოჯოხეთის უფსკრულში. გავიგონე მისი საშინელი ყვირილი.

– ეს ქალი შენი შვილი იყო, უფალო! შენი სულით იყო სავსე და შენს მსახურებაში მონაწილეობდა. და მაინც, მეუბნები, რომ მისთვის არ უნდა ვილოცო. არ მესმის ეს!“

უფალმა შემდეგი მუხლი გამახსენა: „თუ ვინმე ხედავს, რომ მისი ძმა სცოდავს არა მომაკვდინებელი ცოდვით, ილოცოს და ღმერთი მისცემს სიცოცხლეს არამომაკვდინებელი ცოდვით შემცოდეს. არის მომაკვდინებელი ცოდვა, მასზე არ ვამბობ ილოცოს-მეთქი“ (1 იოან. 5:16).

– კი, მაგრამ უფალო, ყოველთვის მწამდა, რომ ამ მუხლში ნახსენები ცოდვა ფიზიკურ სიკვდილზე მიანიშნებდა და ადამიანის სული გადარჩებოდა შეცოდების მიუხედავად“ – ვუთხარი მე.

– აქ წერილი არაფერს ამბობს ფიზიკურ სიკვდილზე, – მიმითითა უფალმა, – შენ რაღაცას ამატებ. თუ მთლიანად წაიკითხავ 1 იოანეს მეხუთე თავს, ნახავ, რომ იქ ლაპარაკია სიცოცხლესა და სიკვდილზე – სულიერ სიცოცხლესა და სულიერ სიკვდილზე – და ხსენებულ მუხლში სწორედ სულიერი სიკვდილი იგულისხმება. აქ ლაპარაკია მორწმუნეზე,

რომელმაც სასიკვდილო ცოდვა ჩაიდინა და სწორედ ამიტომ მისთვის ლოცვა საჭირო არ არის. იმ ქალზე ლოცვაც იმიტომ აგვიკრძალე, რომ სასიკვდილო ცოდვით შესცოდა.

– ეს ნამდვილად ანგრევს ჩემს თეოლოგიას, უფალო. უფრო მეტად ხომ ვერ ამიხსნიდი? – ვთხოვე მე (ზოგჯერ საჭიროა ჩვენი თეოლოგიის უარყოფა, თუ ის ღვთის სიტყვას არ ეთანხმება).

იესომ შემდეგი მუხლები გამახსენა:

ებრ. 6:4-6

4 ვინაიდან შეუძლებელია, რომ ერთხელ უკვე განათლებულნი, რომელთაც მიიღეს ზეციური ნიჭი და სულიწმიდის მოზიარენი გახდნენ, 5 იგემეს ღვთის სიტყვის სიკეთე და მომავალი საუკუნის ძალები, 6 და მერე დაეცნენ, ამის შემდეგ კვლავ განახლდნენ მოსანანიებლად, რადგან ისინი ისევ ჯვარს აცვამენ ძე ღვთისას და ლანძღავენ.<sup>1</sup>

აუცილებელია გარკვეული მახასიათებლების გამოკვეთა ხსენებულ მუხლებთან დაკავშირებით. პირველ რიგში, რწმენიდან გადაცდომისთვის პიროვნება განათლებული უნდა იყოს და ზეციური ნიჭის გემოც უნდა იცოდეს. ეს შეეხება იმ ადამიანებსაც, რომლებმაც იესო მიიღეს, რადგან ის ზეციური ნიჭია. მეორე, პიროვნება სულიწმიდით სავსე უნდა იყოს. მესამე, მას ნაგემი უნდა ჰქონდეს ღვთის კეთილი სიტყვა და მომავალი ქვეყნიერების ძალები. ამ ჩამონათვალიდან ცხადი ხდება, რომ ლაპარაკია არა ქრისტიეში ჩვილებზე, არამედ მონიფულ ქრისტიანებზე.

წარსულში რამდენიმე ადამიანი თვალცრემლიანი მოვიდა ჩემთან. მათ მითხრეს, რომ რაღაც მომენტში უფალს მსახურებაზე უარი უთხრეს. მოგვიანებით მათ დიდი სინანული გამოიჩინეს და შეინანეს თავიანთი საქციელი. ისინი შეძრწუნდნენ ბიბლიის ამ და სხვა მსგავსი ადგილების წაკითხვაზე. ზოგჯერ ბავშვები უგუნურებით იქცევიან სულელურად და უფალმა ეს კარგად იცის. ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი არ ლაპარაკობს ჩვილ ქრისტიანებზე, არამედ სულიერად ზრდასრულებზე.

ამ შეშფოთებული სულების ნუგეშისცემისთვის შემძლია ვთქვა შემდეგი: თუ მათ სასიკვდილო ცოდვა აქვთ ჩადენილი (როგორც ზემოხსენებულ მუხლში ვნახეთ), არ ექნებათ იესოსთან მოზიარეობის აღდგენის სურვილი. იესოს მიმართ შინაგანი წყურვილის ქონის და მონანიების ფაქტი, რომელსაც ღვთისმოსაობის ნაყოფები ახლავს, ნიშნავს, რომ სულიწმიდა უკან იზიდავს მათ ურთიერთობის განახლებისთვის. მათ არ ექნებოდათ იესოსთან სიახლოვის ან წმიდად ცხოვრების სურვილი, მისგან სამუდამოდ რომ განმდგარიყვნენ, როგორც ის ქალი მსახურის ხილვაში.

იესომ თქვა, რომ ქალი ღვთის შვილი იყო. ზემოხსენებული მსახურიც, რომელმაც ეს მოწმობა დაწერა, ისეთ დენომინაციაში აღიზარდა, სადაც ბევრს არ სწამდა, რომ ადამიანს შეუძლია გადარჩენის დაკარგვა. მათ უპირობო მარადიული დაცულობის სჯეროდათ. სწორედ ამიტომ თქვა მან: „ეს ნამდვილად ანგრევს ჩემს თეოლოგიას“. იმ ქალის, როგორც ღვთის შვილის სახელი ჩაწერილი იყო სიცოცხლის წიგნში. მან ბოლომდე ვერ მოითმინა და სამუდამოდ დაუბრუნდა ქვეყნიერებას, ამიტომაც მისი სახელი ამოიშალა გამოცხადების მე-3 თავში იესოს გაფრთხილების თანახმად. მან სარგებლობის მისაღებად წასვლა არჩია. იგი არ იყო „გამარჯვებული“. ამ მიზეზით ებრაელთა წერილის ავტორი შეუძლებლად მიიჩნევს ასეთი ადამიანის განახლებას. იგი ახლა ორგზის მკვდარია. ერთხელ ეს ქალი მკვდარი იყო თავის ცოდვებში, შემდეგ საუკუნო სიცოცხლე დაიმკვიდრა, მაგრამ ხელმეორედ მოკვდა ცოდვაში და სამუდამოდ განუდგა უფალს (იხ. იუდ. 12).

როცა ადამიანი ამ მდგომარეობაში აღმოჩნდება, მისი ხელახლა შობა შეუძლებელია. სწორედ ამიტომ ამბობს ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი: „შეუძლებელია ... კვლავ განახლდნენ მოსანანიებლად“. ამრიგად, მკვდარია აზრი, თითქოს გარკვეულ ვითარებებში ადამიანები ხელმეორედ იშვებიან ზეციდან.

მინდა, კიდევ ერთხელ გავიმეორო: თუ ადამიანი ამ ცოდვას სჩადის, მას არ ექნება მონანიებისა და კვლავ იესოსთვის ცხოვრების სურვილი. სულიწმიდის გარდა არავის შეუძლია ჩვენი იესოსთან მიყვანა. თუ იგი დატოვებს ნამდვილ მორწმუნეს, ამ უკანასკნელის განდგომილების შედეგად, უკან არასოდეს დაბრუნდება. სწორედ ამ მიზეზის გამო იჩენს სულიწმიდა სულგრძელობას. იგი ადვილად არ ნებდება.

## სიბნელის წყვილი

პეტრე მოციქული კიდევ უფრო მეტად გვარკვევს ამ საკითხში. იგი ამბობს:

„თუ უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს შემეცნებით  
წუთისოფლის სიბილწეებს ჩამოცილებულნი...“.  
(2 პეტრ. 2:20)

უპირველესად, შევჩერდეთ და გავარკვიოთ, ვის მიმართავს პეტრე. თუ ადამიანი წუთისოფლის სიბილწეებს (ბოროტებას) ჩამოცილდა უფლისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს შემეცნების მეშვეობით, მას აუცილებლად უნდა ეწოდოს ქრისტიანი. ასეთებს ვერ შევიყვანთ თვითმარქვეების ანუ იმ ადამიანების კატეგორიაში, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ღმერთს იცნობენ, სინამდვილეში კი ასე არ არის. მათზე წინა თავში ვისაუბრეთ. ასეთი პიროვნებები მართლაც ჩამოშორდნენ სიბილწეებს უფალ იესოს მადლის მეშვეობით. ეჭვგარეშეა, რომ პეტრე მოციქული იმ ადამიანებზე ლაპარაკობს, რომლებიც ნამდვილად ზეციდან შობილები არიან.

მუხლის გაგრძელებაში ვკითხულობთ:

„... კვლავ გაეხვევიან მათში და დაიძლევიან, უკანას-  
კნელი პირველზე უარესი იქნება. უმჯობესი იქნებოდა  
არ შეეცნოთ სიმათლის გზა, ვიდრე შეეცნოთ და  
უკუქცეულიყვნენ მათთვის გადაცემული წმიდა  
მცნებისგან“. (2 პეტრ. 2:20-21)

პეტრე იმ ქრისტიანებს მიმართავს, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება ისევ ცოდვას დაუმონეს. მათთვის უმჯობესი იქნებოდა, რომ არასოდეს შეეცნოთ იესო ქრისტეს ხსნის რეალობა. ისინი მუდამ სიამოვნების, გულისტქმის და ამ წუთისოფლის დიდების სასარგებლოდ აკეთებენ და უარყოფენ მორჩილებას, რომ წმიდა ცხოვრებით იცხოვრონ.

რატომ იქნებოდა უმჯობესი, რომ ასეთებს არასოდეს შეეცნოთ სიმათლის გზა? ამას იუდა პასუხობს. პეტრეს მსგავსად, ისიც იმ ადამიანებს მიმართავს, რომლებმაც გადარჩენის გზა მიატოვეს. იგი აცხადებს: „ვაი მათ, რადგან კაენის გზით მიდიან, საზღაურისთვის აჰყვენენ ბილყამის ცდომილებას და სიჯიუტით ილუპებიან, როგორც კორახი“ (იუდ. 11).

ერთ დროს კაენს, ბილყამსა და კორახსაც ჰქონდათ ღმერთთან ურთიერთობა. ორი მათგანი მსახური იყო. კაენის შეცდომა ღვთის აშკარა დაუმორჩილებლობა იყო, ბილყამმა ფული უფრო მეტად შეიყვარა, ხოლო კორახი მის ზემოთ არსებული ძალაუფლების წინააღმდეგ აჯანყდა.

იუდა განაგრძობს:

„ისინი ლაქებად ჩანან თქვენი სიყვარულის სერობებზე; თავხედურად ნადიმობენ თქვენთან ერთად და მასპინძლობენ საკუთარ თავს; ქარის მიერ მიმოფანტული უწყლო ღრუბლები, შემოდგომის უნაყოფო ხეები, ორგზის გამხმარნი და ძირფესვიანად აღმოფხვრილნი; ზღვის მძვინვარე ტალღები, თავიანთი სირცხვილით აქაფებულნი, ცთომილი ვარსკვლავები, რომლებისთვისაც სიბნელის წყვდიადია შენახული საუკუნოდ“. (იუდ. 12-13)

პირველ ეკლესიაში სიყვარულის საღამოები ვახშამს წარმოადგენდა, როცა წევრები ერთად იკრიბებოდნენ ღმერთთან და ერთმანეთთან ახლო ურთიერთობის გამოსახატავად. როგორც წესი, ამგვარი საღამოები წმიდა ზიარებით სრულდებოდა.<sup>2</sup> აქ ერთ გამომაფხიზლებელ ფაქტს ვხედავთ: ყველა როდი ტოვებს ორგანიზებულ ეკლესიას გადარჩენის გზიდან გადახვევის შემდეგ, როგორც ზემოხსნებული ქალი მოიქცა მსახურის ხილვიდან. ასეთი ადამიანები უფრო საშიშნი არიან ჩვილ ქრისტიანებზე მათი ზეგავლენის გამო, რომელთა სინდისი ჯერ კიდევ სუსტია და მიყენებული ქრილობა, შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს.

კორახი ამ ტიპის ადამიანის მაგალითია. იგი აჰარონის დამხმარე მსახური გახლდათ, მაგრამ მოსეს და აჰარონს ასე გამოუცხადა: „შეიკრიბნენ მოსესა და აჰარონის წინააღმდეგ და უთხრეს მათ: „მეტისმეტს იღებთ თქვენს თავზე, რადგან წმიდაა მთელი თემი და უფალი მკვიდრობს მასში! რატომ აღზევდით თქვენ უფლის კრებულზე?“ (რიცხვ. 16:3). კორახის ზეგავლენამ 250 წინამძღოლსა და ისრაელის კრებულის 14.700 წევრს სასიკვდილო სასჯელი დაატეხა!

იუდა ამ განდგომილებს ლაქებს უწოდებს, რომლებიც ჩვენს კრებულებში რჩებიან. მათ მაღლით დაცულობის ცრუ განცდა აქვთ, რომლითაც ოდესღაც დადიოდნენ, მაგრამ დაამახინჯეს ის საკუთარი თავის საამებელი ცხოვრებით და ღვთის შიში დაკარგეს. ყურადღება მიაქციეთ კორახის ნათქვამს, რომ

ლმერთი იყო „ყველა მათგანთან“. ისიც დადიოდა დაცულობის ცრუ გრძნობით, რადგან მეორე დღეს მიწამ პირი ქნა და ყველანი ცოცხლად ჩაცვივდნენ ჯოჯოხეთში.

შედეგად, ყველა ამ განდგომილს შენარჩუნებული აქვს ქრისტიანული მეტყველების მანერა. ისინი სხვა მორწმუნეებს ესაუბრებიან, მაგრამ მათ ვერასოდეს იპოვიან გამარჯვებულთა შორის, რომელთათვისაც იესო დაბრუნდება. იგი მოდის უმნიკვლო ეკლესიის წასაყვანად, რომელსაც არ აქვს ლაქა (იხ. ეფეს. 5:27).

იუდა მიუთითებს, რომ ეს ადამიანები *ორგზის მკვდრები* არიან. როგორ შეიძლება ორჯერ მოკვდეთ? ერთხელ უკვე იყავით მკვდრები თქვენს ცოდვებში და ხელახლა შობის მეშვეობით საუკუნო სიცოცხლე მიიღეთ, შემდეგ კი სამწუხაროდ, ისევ მოკვდით გამოუსწორებელი, მოუნანიებელი ცოდვის გამო. გაიხსენეთ იაკობის ნათქვამი: თუ ქრისტიანი ჭეშმარიტების გზას აცდება და ამ მდგმორეობაში დარჩება, აუცილებლად მოკვდება. იოანე გვეუბნება, რომ მორწმუნეთათვის არსებობს სასიკვდილო ცოდვა. ორივე მათგანი მიუთითებს *ორგზის მკვდარ* ადამიანზე.

ყურადღება მიაქციეთ იუდას განაცხადს: „*რომლებისთვისაც სიბნელის წყვდიადია შენახული საუკუნოდ*“. სიბნელის წყვდიადი ყველაზე საშინელ საუკუნო სასჯელს ნიშნავს. ეს ცხადად ჩანს იესოს სიტყვებიდან მისი მეორედ მოსვლისა და სამსჯავროს შესახებ. ის ამბობს:

„*ნეტარ არიან ის მონები, რომლებსაც შინ დაბრუნებული ბატონი ფხიზლებს ჰპოვებს, ... ხოლო თუ იტყვის ეს მონა თავის გულში: აგვიანებსო მოსვლას ჩემი ბატონი და დაიწყებს მსახურებისა და მხევლების ცემას, ჭამას-სმასა და ლოთობას, მოვა იმ მონის ბატონი იმ დღეს, რომელზეც არ ფიქრობს, და იმ ჟამს, როცა არ იცის, შუაზე გაჰკვეთს მას და ურწმუნოებთან დაუდებს წილს. ის მონა კი, რომელმაც იცოდა თავისი ბატონის ნება და არ მოემზადა ან არ მოიქცა მისი ნებისამებრ, მაგრად იგვემება. ხოლო, რომელმაც არ იცოდა და ისე მოიქცა, რომ გვემა დაიმსახურა, ნაკლებად იგვემება. ყველას, ვისაც მეტი მიეცა, მეტს მოსთხოვენ; ვისაც მეტს მიანდობენ, მეტსაც მოჰპოვებენ*“ (ლუკ. 12:37,45-48)

რამდენი რამ დევს ამ მუხლებში. ნება მომეცით, გამოვკვეთო ზოგიერთი მათგანი. უპირველეს ყოვლისა, აქ ლაპარაკია



მსახურზე და არა უცხოზე, წარმართზე ან ცოდვილზე. მან იცის ბატონის ნება და მაინც მის საწინააღმდეგოდ იქცევა. ეს არ მიუთითებს დამოუკიდებლის მსგავს ქცევაზე, რადგან ასეთი ადამიანები შედიან კატეგორიაში, რომელმაც არ იცოდა და ცემა დაიმსახურა, ამიტომ ნაკლებად დაისჯება. ხსენებული მსახური არც მოტყუებულს არ ჰგავს. მოტყუებულს ეგონა, რომ მსახური იყო, მაგრამ ჯეილინის შეფასების თანახმად, ნამდვილ მსახურს არ წარმოადგენდა. ამ მონაკვეთში აღწერილ ადამიანს *მსახური* ეწოდება და სრულად აცნობიერებს თავისი ბატონის ნებას. მან გადარჩენის გზა მიატოვა.

ყურადღება მიაქციეთ, რომ მსახური სხვა თანამსახურებს სცემს. ეს მიუთითებს ცხოვრების ნესზე, რომელიც სხვებს საკუთარი სარგებლობის ან სიამოვნებისთვის იყენებს. აქ ვხედავთ, რომ ეს ადამიანი დღევანდელი დღით ცხოვრობს. იგი ჭამს, სვამს და თვრება. იგი საკუთარ თავს ემსახურება. გაიხსენეთ იუდას სიტყვები, რომ განდგომილები სხვა მორწმუნეებთან ერთად ზეიმობენ ღვთის შიშის გარეშე. ისინი მხოლოდ საკუთარ თავს ემსახურებიან. მათი ყოველი გადანყვეტილება, თუნდაც ერთი შეხედვით კეთილშობილური, მათსავე სარგებელს ემსახურება.

და ბოლოს, ყურადღება მიაქციეთ მსახურის სასჯელს, რომ იგი ურწმუნოებთან (ვისაც არასოდეს მიუღია გადარჩენა) განაწესეს. ურწმუნოები ნაკლებად იგვემებიან, ხოლო მსახური, რომელმაც იცოდა ბატონის ნება და არ შეასრულა, მაგრად იგვემება – ეს ცეცხლის ტბის უდიდესი სასჯელის ან სიბნელის წყვიადის მიღებაზე მიანიშნებს და ეს სამუდამოა!

## უპატიებლობის სიმწარე

ეს ნამდვილად მიესადაგება გაუბედავს (ორმაგ ცხოვრებასთან ერთად). გაუბედავმა იცოდა, რომ ჯეილინის ნება პატიება გახლდათ და მაინც უარი თქვა ამაზე. მან ცილისწამების წყენის გულში შენახვა ამჯობინა. უპატიებლობის სიმწარემ კარი გაუღო მის შემდგომ ხრწნას. სწორედ ამ მიზეზის გამო ვკითხულობთ ღვთის ერის მიმართ გაფრთხილებას, რომ „რომელიმეს არ მოაკლდეს ღვთის მადლი, რათა რაიმე მწარე ფესვი არ აღმოცენდეს, ზიანი არ მოიტანოს და ამით ბევრი არ შეიბილნოს“ (ებრ. 12:15).

ახალი აღთქმის წერილების კვლევაში და მსახურების მრავალწლიანმა გამოცდილებამ მასწავლა, რომ უპატიებლობა

უდიდესი მახეა, რომელსაც ადამიანები ღვთის გზიდან გადაჰყავს. გაუბედავის შემთხვევის მსგავსად, უპატიებლობა კარს უღებს სხვადასხვა მცდარ მოძღვრებებსა და ქცევებს.

მათ.18-ში იესოს იგავი მოჰყავს, სადაც ნაჩვენებია დიდი მეფე ქვეშევრდომებთან ანგარიშისნორების პროცესში. მის წინაშე მოიყვანეს მსახური, რომელსაც 10 000 ტალანტი ემართა. ტალანტი გახლდათ არა ფულის, არამედ წონის ერთეული. იგი ოქროს (იხ. 2 სამ. 12:30), ვერცხლისა და სხვა ლითონების ან მოხმარების საგნების ასანონად გამოიყენებოდა. ამ იგავში ტალანტი ვალის ოდენობას ასახავს, ამიტომ დაუეჭვებლად შეიძლება ვიფიქროთ, რომ იესოს მხედველობაში ჰქონდა ვერცხლის ან ოქროს მსგავსი გადასაცვლელი ერთეული. მოდი, ვივარაუდოთ, რომ ლაპარაკი იყო ოქროზე!

ჩვეულებრივი ტალანტი, დაახლოებით, სამოცდათხუთმეტი ფუნტის (34 კგ.) ტოლფასი იყო. ეს გახლდათ წონა, რომლის ტარება მამაკაცს შეეძლო (იხ. 2 მეფ. 5:23). 10 000 ტალანტი დაახლოებით 750 000 ფუნტი ანუ 375 ამერიკული ტონა (340.2 ტონა) იქნებოდა. ამრიგად, მსახურს მეფის 375 ტონა ოქრო ემართა. როცა ამ წიგნს ვწერდი, ერთი უნცია ოქროს ფასი, დაახლოებით, 1200 \$ გახლდათ. მათემატიკის გამოყენებით მივიღებთ, რომ ათი ათასი ტალანტი ოქრო თოთხმეტი მილიარდი დოლარის ფასი იქნება. აი, რამხელა ვალი ჰქონდა მსახურს! იესოს სურს გამოკვეთოს აზრი, რომ იმ ადამიანის ვალი უზარმაზარი იყო, რასაც ვერასოდეს გადაიხდიდა.

მეფემ მსახურისა და მისი ოჯახის გაყიდვა ბრძანა ვალის გადასახდელად. კაცი მეფის ფეხებთან დაეცა და მოწყალება ითხოვა, რაც მიიღო კიდევ. მას მთელი ვალი ეპატია.

იგავიდან ვხედავთ, რომ მეფე მამა ღმერთს წარმოადგენს. შეწყალებული კაცი ის ადამიანია, ვინც პატიება მიიღო იესო ქრისტეს მეშვეობით. როცა ვინმეს ზიანს აყენებენ, ვალიც ჩნდება. თქვენ გაგიგონიათ ასეთი ნათქვამი: „ის ამისთვის გადაიხდის“. პატიება ამგვარი ვალის გაუქმებაა. იგავში მოყვანილ ადამიანსაც ეპატია ვალი, რომელსაც ვერასოდეს გადაიხდიდა.

მიუხედავად ამისა, ვკითხულობთ: „ამ მონამ გამოსვლისთანავე იპოვა ერთი თავისი თანამონა, რომელსაც მისი ასი დინარი ემართა; დაიჭირა, ყელში სწვდა და უთხრა: გადამიხადე, რაც გმართებსო!“ (მათ. 18:28).

დინარი ერთი დღის საფასური გახლდათ. წარმოვიდგინოთ, რომ იგი დღევანდელ 100 \$-ს უტოლდება. მთლიანი ვალი, დაახლოებით 10 000 \$ იქნება. ასე რომ, მცირე სულაც არ არის.

განვაგრძოთ კითხვა: „პირქვე დაემხო ამხანაგი, შეევედრა და უთხრა: სულგრძელი იყავ ჩემს მიმართ და ყველაფერს გადაგიხდით! მაგრამ მან არ ინება, არამედ წავიდა და ჩააგდებინა იგი საპყრობილეში, ვიდრე ვალს გადაუხდოდა“ (მათ. 18:29-30). პირველ მსახურს თოთხმეტი მილიარდი დოლარი ეპატია. თანამსახურს ვალად მხოლოდ 10 000 დოლარი ემართა, მაგრამ პირველმა პატიება არ ინდომა. მას მტკიცედ ჰქონდა გადანყვეტილი, რომ იმ კაცისთვის ვალი გადაუხდევინებინა.

მნიშვნელოვანია, დავინახოთ, რომ ერთმანეთისთვის მიყენებული წყენა იმ დიდ ვალთან შედარებით, რაც ღვთის მიმართ გვექონდა 10 000 \$-ისა და 14 მილიარდის თანაფარდობის ანალოგიურია! მნიშვნელობა არ აქვს, რაოდენ ცუდად მოგექცათ სხვა, რადგან მათი შეცდომა ვერც კი შეედრება ღვთის წინაშე ჩვენი ცოდვების სიმძიმეს. შესაძლოა, ფიქრობდეთ, რომ თქვენსავით ცუდ დღეში არავინ ჩავარდნილა. ვერც კი წარმოიდგენთ, რა ცუდად მოექცნენ იესოს. ის უცოდველი და უმნიკვლო კრავი იყო, რომელიც დაკლეს და მისგან ამოიღეს ჩვენი 14 მილიარდიანი ვალი.

ადამიანს, რომელიც სხვას არ პატიებს, დაავინყდა, რამდენად დიდი იყო მისი ვალი, რომელიც აპატიეს! როცა გააცნობიერებთ სიკვდილისა და საუკუნო სატანჯველის რაობას, მიხვდებით, რისგან გიხსნათ იესომ და თქვენც გაუშვებთ სხვებს უპატიებლობის მარწმუნებებიდან. არაფერია მარადისობის ცეცხლის ტბაში გატარებაზე უარესი. იქ შვება არ იქნება. იქ მატლი არ კვდება და ცეცხლი არ ნელდება. ასეთი იყო ჩვენი ხვედრი, სანამ ღმერთმა არ შეგვიწყალა პატიებით მისი ძის იესო ქრისტეს სიკვდილის მეშვეობით! თუ ადამიანს პატიება არ შეუძლია, მას წარმოდგენილი არ აქვს ჯოჯოხეთის რეალობა. მას ვერ გაუცნობიერებია ღვთის სიყვარულისა და მიტევების სიღრმე.

მოდით, იგავის განხილვა გავაგრძელოთ:

„მისმა თანამონებმა რომ ნახეს, რაც მოხდა, შეწუხდნენ, მივიდნენ თავიანთ ბატონთან და ყოველივე აუწყეს. მაშინ დაიბარა იგი მისმა ბატონმა და უთხრა: ბოროტო მონავ, რაკი მთხოვე, მე მთელი ვალი გაპატიე! განა არ გმართებდა, ისევე შეგენყალეებინა შენი ამხანაგი, როგორც მე შეგინყალე?“ (მათ. 18:31-33)

მინდა, ხაზი გავუსვა, რომ იესო ამ იგავში ურწმუნოებზე არ ლაპარაკობს. ის მეფის მსახურებს ანუ ხელახლა შობილ

მორწმუნეებს ასხენებს. ამ ადამიანმა უკვე მიიღო დიდი ვალის პატიება (ხსნა) და ახლა ბატონის მონა ენოდება. ის, ვისაც მან აპატია, თანამსახური გახლდათ. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ადამიანი წარმოადგენდა „მორწმუნეს“, რომელიც მუდამ უარს ამბობდა პატიებაზე.

აქ საოცარი ფაქტი აღმოვაჩინე. როცა ადამიანები სახარების სხვა იგავებს ისმენდნენ, ყოველთვის სვამდნენ კითხვებს მათი მნიშვნელობის შესახებ. ამ შემთხვევაში კი, იესომ შეკითხვის გარეშე განმარტა იგავი. დარწმუნებული ვარ, რომ ამის მიზეზი გადმოსაცემი საკითხის უჩვეულობა გახლდათ. მას სურდა დარწმუნებულიყო, რომ ხალხმა ის სწორად გაიგო. აი, მისი განმარტება:

„განრისხდა ბატონი და გადასცა იგი მტანჯველებს, ვიდრე მთელ ვალს არ გადაუხდიდა. ასევე მოგექცევით ჩემი ზეციერი მამა, თუ ყოველი თქვენგანი გულით არ მიუტყევენს თავის ძმას მის შეცოდებებს“. (მათ. 18:34-35)

ამ ორ მუხლში არის სამი მთავარი პუნქტი, რომელთა ხაზგასმაც მინდა. პირველი, უმოწყალო მსახური მტანჯველებს გადასცეს. მეორე, ახლა მას ისევ უნევს თავდაპირველად ნაპატიები ვალის, 375 ტონა ოქროს გადახდა. და მესამე, ასე მოექცევა მამა ღმერთი ყველას, ვინც თავის ძმას არ პატიებს.

მოდით, მოკლედ განვიხილოთ თითოეული პუნქტი! პირველი, სიტყვა „ტანჯვა“ გონების ან სხეულისთვის უკიდურესი ტკივილის მიყენებას, აგონიაში ჩაგდებას და შესაბამისად, ნორმალური მდგომარეობიდან გადახრას ნიშნავს. მტანჯველი ტანჯვის პროცესის განმახორციელებელია.

მორწმუნე, რომელიც უარს ამბობს პატიებაზე, დემონური სულების მიერ გაიტანჯება. *მტანჯველებს* გონებისა და სხეულისთვის ტკივილის მიყენებისა და აგონიის გამონვევის უფლება აქვთ მიცემული სურვილისამებრ. მსახურებებზე ხშირად მილოცია ადამიანებისთვის, რომლებიც განკურნებას, ნუგეშსა და დახსნას ვერ იღებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ თავიანთი გულებიდან ადამიანებს არ ათავისუფლებდნენ პატიების მეშვეობით. სიმწარეს ადამიანი ყოველთვის განრისხებასა და ღვთის მიმართ ნყენის გაჩენასთან მიჰყავს. ადამიანის რწმენა იხრწნება და თუ ადგილი არ ექნა მონანიებასა და პატიებას, დასასრული საბედისწეროა.

მეორე პუნქტის თანახმად, უმოწყალო მსახურს ახლა მთლიანად უნევს თავდაპირველი დიდი ვალის გადახდა. მას

შეუძლებელს სთხოვენ! ეს ის ვალია, რომლისთვისაც იესომ გოლგოთაზე გადაიხადა. ალბათ, ამის გაგონებაზე შიში შეგიპყრობთ, მაგრამ უსმინეთ იესოს სიტყვებს სხვა მუხლიდან: „როცა ლოცულობთ, მიუტევეთ თუ რაიმე გაქვთ ვინმეს წინააღმდეგ, რათა თქვენმა ზეციერმა მამამაც მოგიტევოთ თქვენი ცოდვები“ (მარკ. 11:25).

ყურადღება მიაქციეთ, ვის ელაპარაკება აქ იესო?! დააკვირდით სიტყვებს: „თქვენი ზეციერი მამა“. ღმერთი არ არის ურწმუნოთა მამა. იგი ღმერთია ურწმუნოთათვის და მამა მორწმუნისთვის. ასევე, ურწმუნოებისთვის ლოცვა დამახასიათებელი არ გახლავთ. ნათელია, რომ იესო ღვთის შვილებს მიმართავს.

მოდით, განვაგრძოთ. „თუ თქვენ არ მიუტევეთ, – ამბობს იესო, – არც თქვენი მამა, რომელიც ზეცაშია, არ მოგიტევეთ თქვენს ცოდვებს“ (მარკ. 11:26). ამაზე ნათლად თქმა აღარ შეიძლება. ამას მესამე პუნქტთან მივყავართ: „თუ ადამიანი უარს ამბობს პატიებაზე, მანამ გაიტანჯება, სანამ წარმოუდგენელ ვალს არ გადაიხდის. ეს კი შეუძლებელია, რადგან არავის ძალუძს საკუთარი სულის გამოსხნა (იხ. ფს. 49:7). იესო ამბობს, რომ თუ არ მიუტევეთ, არც თქვენი ზეციერი მამა მოგიტევეთ თქვენს შეცოდებებს. ნუთუ არ ღირს პატიება?

ჩვენ არ ვსაუბრობთ ადამიანზე, რომელიც მიყენებულ წყენასთან დაკავშირებით შრომობს თავის გულში და პატიების ძალას ითხოვს ლოცვაში. აქ ლაპარაკია გაუბედავის მსგავს ადამიანებზე, რომლებიც დაჟინებით უარს ამბობენ პატიებაზე. ყურადღება მიაქციეთ, რომ ალეგორიაში მისმა უპატიებლობამ ეშმაკის სხვა გამოვლინებებსაც გაულო კარი და საბოლოოდ, იგი ჯეილინის გზას დაშორდა. ნუთუ ღირდა წყენის გულში ჩატოვება მის საბედისწერო დასასრულად? სწორედ ამის გამო ებრაელთა წერილის ავტორი დამაჯერებლად გვაფრთხილებს, რომ საკუთარი თავი გამოვიკვლიოთ და სიმწარის ყოველი ფესვი მოვიშოროთ, რითაც შესაძლოა, მრავალი შეიბიღნოს.

ახლა შეგვიძლია იესოს სიტყვების გაგება უკანასკნელი ყამის ეკლესიის შესახებ. ის ამბობს: „მრავალნი ცდუნდებიან მაშინ; ერთმანეთს გასცემენ და შეიძულებენ ერთი-მეორეს ... და რაკი გამრავლდება ურჯულოება, მრავალს გაუნელდება სიყვარული. მაგრამ ის, ვინც ბოლომდე დაითმენს, ის გადარჩება“ (მათ. 24:10,12-13).

ყურადღება მიაქციეთ, რომ აქ ლაპარაკი არ არის ზოგიერთ ან თუნდაც რამდენიმე ადამიანზე, არამედ მრავალზე,

რომლებიც განაწყენებული დარჩებიან ამ ეპოქაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. სიტყვა *მრავალი* დიდ რაოდენობაზე მიუთითებს. წყენა ან უპატიებლობა ურჯულოებას მოიტანს და მრავალი ადამიანის სიყვარული განელდება.

აქ გამოყენებული ბერძნული სიტყვა გახლავთ „აგაპე“ ანუ სიყვარული და აღწერს ღვთიურ სიყვარულს, რომელიც ქრისტიანის გულში იღვრება მისი ზეციდან შობისას. იესო არ ლაპარაკობს თვითმარქვიებზე, რადგან მათ, სინამდვილეში, არასოდეს მიუღიათ ღვთის სიყვარული. არა, იესო მორწმუნეებს მიმართავს, რადგან ასე ამბობს: „ბოლომდე მომთმენი გადარჩება“. თქვენ არ ეუბნებით ცოდვილს ან თვითმარქვიას: „თუ ბოლომდე მოითმენ, გადარჩები!“ მათ რწმენის რბოლა ჯერ არც კი დაუწყიათ!

### რწმენიდან განდგომა

წმიდა წერილი გვაფრთხილებს *განდგომილებაზე*, რომელიც თანამედროვე მორწმუნეებში დაიწყება. პავლე ამბობს: „არც რაიმე ხერხით გაცდუნოთ ვინმემ, ვინაიდან ის დღე [უფლის მეორედ მოსვლა] მანამდე არ დადგება, სანამ *განდგომილება* არ მოვა და არ გამოჩნდება ურჯულოების კაცი, - ძე გატიალებისა“ (2 თეს. 2:3). და იგი კვლავ წინასწარმეტყველებს: „ხოლო სული გარკვევით ამბობს, რომ უკანასკნელ დღეებში ზოგიერთები *განდგებიან რწმენისგან*, დაუჯერებენ მაცდურ სულებს და ეშმაკთა მოძღვრებებს“ (1 ტიმ. 4:1).

რატომ? „ვინაიდან დადგება დრო, როცა საღ მოძღვრებას ველარ აიტანენ, არამედ თავიანთი გულისთქმებისამებრ შემოიკრებენ ყურის მომქავებელ მასწავლებლებს. *ჭეშმარიტებას ყურს აარიდებენ* და ზღაპრებისკენ მიმართავენ“ (2 ტიმ. 4:3-4).

ყურადღება მიაქციეთ, რომ ზემომოყვანილ მუხლში პავლე შემდეგ სიტყვებს ამბობს: „ზოგიერთები განდგებიან რწმენისგან“. მის მიერ ნახსენები რწმენა წარმოსახვითი არ არის. ეს იესო ქრისტეს *ჭეშმარიტი რწმენა* გახლავთ. ადამიანები რწმენისგან რომ განდგნენ, ჯერ უნდა გააჩნდეთ ის.

ახალი აღთქმის თითქმის ყველა ავტორის გაფრთხილებები გაგიზიარეთ მორწმუნეთა განდგომის შესახებ. ახლა ნება მომეცით, ადრეული ეკლესიის მამების შეხედულებები მოვიყვანო, რომელთაგან ზოგიერთი ახალი აღთქმის მოციქულთა თანმხლებნი იყვნენ სახარების გავრცელებისას.

აღმოვაჩინე, რომ მათი ნათქვამი ზუსტად შეესაბამება წმ. ნერისის ჩვენ მიერ განხილულ სიტყვებს:

„ვიცხოვროთ მართალი ცხოვრებით, რომ დასასრულს გადარჩენა მივიღოთ!“

– კლიმენტი რომაელი<sup>3</sup>

„მაშინაც კი, თუ ადამიანმა უდიდესი საქმეები აკეთა ცხოვრებაში, მაგრამ ბოლოს ბოროტებაში გადაეშვა, ყველა მისი ადრინდელი ტკივილი ამაოა. მან კულმინაციის მომენტში დატოვა სცენა!“

– კლიმენტი ალექსანდრიელი<sup>4</sup>

„ზოგიერთი ფიქრობს, რომ ღმერთი ვალდებულია თავისი აღთქმები უღირსთა მიმართაც აღასრულოს. ისინი ღვთის ხელგაშლილობას მის მონობად აქცევენ ... განა ამის შემდგომ მრავალი არ დარჩება [მადლის] გარეშე? განა ეს ნიჭი მრავალს არ წაერთმევა?“

– ტერტულიანე<sup>5</sup>

„ადამიანი, შესაძლოა, ფლობდეს მიღებულ სიმართლეს, საიდანაც განდგომა შესაძლებელია“.

– ორიგენე<sup>6</sup>

„ვინც მას [ღმერთს] არ ემორჩილება, მემკვიდრეობა ჩამოერთმევა და ამოიშლება მისი ძეების სიიდან“.

– ირენეუსი<sup>7</sup>

ჩემგან ამ ბიბლიური ჭეშარიტებების მოსმენის შემდეგ ზოგიერთებმა შეცდომით მითხრეს: „ჯონ, შენ არმინიანელი ხარ!“ ეს გახლავთ ტერმინი, რომელიც ასე განიმარტება: „იაკობ არმინიუსსა და მის მიმდევრებთან დაკავშირებული თეოლოგია, რომლებიც უარყოფდნენ კალვინისტურ დოქტრინას ნინასნარგანსაზღვრულობასა და რჩეულობაზე და სწამდათ,

რომ ადამიანის თავისუფალი ნება ღვთის უზენაესობასთან თავსებადია“.<sup>8</sup>

ამ ადამიანებისთვის მარტივად ვიტყვი: „არა, მე არც კალვინისტი ვარ და არც არმინიანელი. მე ქრისტიანი ვარ, რომელსაც სწამს, რომ ბიბლია ღვთის უცდომელი სიტყვაა“.

იაკობ არმინიუსი წმ. წერილის და აქ მოყვანილი ციტატების ავტორების ეპოქიდან კარგა ხნის შემდეგ ცხოვრობდა. ნუთუ ყველა ამ ავტორს არმინიანელს უწოდებთ? რასაკვირველია, არა, რადგან ისინი არმინიუსის დაბადებამდე წერდნენ. ის, რასაც მე გადმოგცემთ, არ გახლავთ ჩემი პირადი აზრი, კონცეფცია ან მრწამსი, არამედ ნათელი ახალალთქმისეული ჭეშმარიტება. ღმერთმა სრულიად ნათელი გახადა ეს გაფრთხილების სიტყვა ჩვენთვის, ვისაც გვწამს. სიფხიზლე უნდა გამოვიჩინოთ, რომ რაიმე აზროვნების გამტარებელ სკოლას არ მივეწებოთ, არამედ გახსნილი ვიყოთ სულიწმიდის მიერ შთაგონებული წმ. წერილის კონტექსტისადმი, რადგან:

„მთელი წერილი ღვთივსულიერია და სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად და დასარიგებლად სიმართლეში. რათა მზად იყოს ღვთის კაცი და აღჭურვილი ყოველი კეთილი საქმისთვის“.  
(2 ტიმ. 3:16-17)

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ცრუ წინამძღოლები, რომელთაც იესო ხშირად მკაცრად აფრთხილებდა და საყვედურობდა, რომელიმე კონკრეტული სკოლის მიმდევრები იყვნენ და შესაბამისი სწავლების გატარებას ცდილობდნენ. და მაინც, თუ გადახედავთ იოანე ნათლისმცემელზე, იესოსა და სხვა ჭეშმარიტების მასწავლებლებზე ნათქვამს, ნახავთ, რომ ისინი ასწავლიდნენ „... როგორც ძალაუფლების მქონე და არა როგორც მათი მწიგნობრები“ (მათ. 7:29). ამ მიზეზის გამო პავლე ტიტეს სწერს: „ეს ელაპარაკე, შეაგონე და ამხილე მთელი ძალაუფლებით!“ (ტიტ. 2:15), ხოლო ტიმოთეს ასე არიგებს: „გთხოვე ეფესოში დარჩენილიყავი, რათა ზოგიერთებისთვის გემცნო, რომ არ ასწავლონ განსხვავებული მოძღვრება!“ (1 ტიმ. 1:3). პავლე კიდევ წერს ტიმოთეს:

„გააცხადე და იქადაგე სიტყვა! [შეინარჩუნე მუდმივი მზადყოფნის განცდა] კარგი შესაძლებლობისა და არახელსაყრელ დროს [მოსახერხებელ და მოუხერხებელ დროს, კეთილად მიღებისა თუ უარყოფის დროს] შენ,



როგორც სახარების მქადაგებელმა, ხალხს უნდა აჩვენო, რომ მათი ცხოვრების ზოგიერთი მხარე არასწორია.] ამხილე, შერისხე, შეაგონე მთელი სულგრძელობითა და სწავლებით!“ (2 ტიმ. 4:2 AMP)

ეფესელთა მიმართ მე-6 თავში პავლე ლოცვით ითხოვს: „გაბედულად ვაუწყო, რის თქმაც მიმართებს“ (მუხლი 20). შეგიძლიათ, ნახოთ, რომ ეს თვისება ღვთის ყველა ჭეშმარიტ მქადაგებელს ახასიათებს. მათი ძალაუფლება ღვთის სიტყვაშია. ისინი არ გთავაზობენ პირადი გრძნობების, სხვადასხვა სკოლების ან უმრავლესობისთვის მოსაწონი აზრების ნაკრებს. ზოგჯერ უმრავლესობაც ცდება. უნდა ვიცოდეთ, რომ ღმერთი გულისხმობს იმას, რასაც ამბობს და ამბობს იმას, რასაც გულისხმობს!

### ნაბოროტიკებისგან დაბრუნება

ზოგიერთები შეძრა სიტყვამ მაღლიდან განდგომის შესახებ, რაც ასე ნათლად ჩანს ნერილში. ისინი შემფოთებულები მოვიდნენ ჩემთან და მითხრეს: „მეგონა, რომ საუკუნოდ დაცული ვიყავი“.

ამაზე ასე ვპასუხობ: „რა თქმა უნდა! ჩვენ გვაქვს საუკუნო გარანტია! იესომ თქვა, რომ მამისგან მოცემულთაგან ერთსაც არ დაკარგავდა (იხ. იოან. 18:9). ის არასოდეს მიგვატოვებს. თუმცა მას არ უთქვამს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მისი მიტოვება“. ამ განცხადებას, როგორც წესი, დაინტერესებული მზერით ხვდებიან. ამის შემდეგ ვამბობ: „თუ მართლა გიყვართ იესო ქრისტე, რატომ უნდა ნახვიდეთ მისგან? მას არასოდეს უარყოფთ, თუ ნამდვილად გიყვართ“.

თუ ღმერთი გიყვართ, მისი მცნებების დაცვა არ გაგიჭირდებათ! თუ ღმერთს მოვალეობის გამო ემსახურებით, მასთან ლეგალისტურ ურთიერთობაში შედიხართ და ეს მცნებების დაცვას მეტისმეტად გაგიძნელებს. ღმერთს არ უნდა ვემსახუროთ მისი მოწონების მოსაპოვებლად; ღმერთს იმიტომ უნდა ვემსახუროთ, რომ მასზე შეყვარებული ვართ!

იუდა განაგრძობს და გვასწავლის, როგორ შევინარჩუნოთ ჩვენი სიყვარულის სიახლე იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეკლესიაში ცუდი ზეგავლენის ქვეშ ვხვდებით. იგი ამბობს: „დაიცავით თქვენი თავი ღვთის სიყვარულში და დაელოდეთ ჩვენი უფლისგან, იესო ქრისტესგან წყალობას საუკუნო

სიციოცხლისთვის!“ (იუდ. 21). უფალს უნდა ვეძებდეთ დღის ნებისმიერ მომენტში. ყოველთვის მისკენ უნდა ვისწრაფოდეთ, გამუდმებით გვქონდეს სურვილი, რომ თავი უფრო მეტად გაგვიცხადოს და „ყოველმა, ვისაც ეს იმედი აქვს მასში, განიწმიდოს თავი, როგორც ის არის წმიდა“ (1იოან. 3:3). იოანე განსაკუთრებით ლაპარაკობდა იესო ქრისტეს გამოცხადებაზე.

როცა უფალს და მის სულთან მოზიარეობას ეძებთ, არასოდეს გაგიჩნდებათ მისი მიტოვების სურვილი. ამრიგად, არ არსებობს თქვენი შემარყვეველი. ბიბლიის ერთ-ერთი ჩემი საყვარელი ალთემა იუდას წიგნის ბოლოს არის. იუდა ამბობს მათთვის, ვინც თავს იცავს ღვთის სიყვარულში იესოს გამოცხადების მისაღებად:

„ხოლო ვისაც ძალუძს დაგიცვათ დაცემისგან და უბინონი წარგადგინოთ თავისი დიდების წინაშე სიხარულით, ერთადერთ ღმერთს, ჩვენს მაცხოვარს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, დიდება, სიდიადე, ძალა და ხელმწიფება ყოველთა საუკუნეთა უწინარეს, და ახლა და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!“ (იუდ. 24-25)

ეს ჩემი წრფელი ლოცვა და სურვილი გახლავთ თქვენთვის!

ცათა სამეფოს უენების  
უნარი მთლიანად  
სულიწმინდის მიმართ  
მორჩილებას ეფუძნება  
*და არა ჩვენს  
კუნებრივ ნიჭს.*

- ჯონ გევირი

#მარადისობით ამოძრავებულნი






იესოსთან უკეთესი ცხოვრების  
მისაღებად არ მივდივართ  
იესოსთან იმიტომ მივდივართ,  
*რომ ის თავად არის სიცოცხლე.*

– ჯონ ბევერი

#მარადისობით ამოქრავებულნი










თუ არ გააკეთებთ თქვენი  
ცხოვრებისთვის  
ღვთიური მოწოდების  
განხორციელების არჩევანს...





...ღმერთი მას ვიღაც  
სხვას გადასცემს  
– ჯონ გევირი  
#მარადისობით ამოქრავებულნი




როცა ცხოვრებას  
ღვთის უცვლელ  
ჭეშმარიტებაზე ვაბეჭდებ,

გზად ვიქნებით მარადისობაში  
გაბედულებით შესაბიჯებლად.

- ჯონ გევირი

#მარადისობით ამოქრავებულნი







ღმერთი განგვსჯის  
ვისი სიტყვის მიხედვით და  
და არა აღამიანთა მიერ  
მონონეგული სტანდარტებით.

- ჯონ გუვირი  
#მარადისოვით ამოძრავებულნი



გაიგეთ მეტი ვებგვერდზე: [CloudLibrary.org](https://CloudLibrary.org)



## თავი 7

# საძირკველი

„... [უკომპრომისო] მართლის საძირკველი კი საუკუნოა“.

იგ. 10:25 (AMP)

სანამ ავაბელის ალეგორიას დაფუბრუნდებოდეთ ეგოისტისა და მონყალების გასამართლებისა და ჯილდოების განსახილველად, ბოლო სამი თავის დისკუსიას დავასრულებთ. გაიხსენეთ ეს მონაკვეთი მეოთხე თავიდან:

„ამიტომ, მივატოვოთ ქრისტეს (მესიის) სიტყვის სანყისები და ვესწრაფოთ სრულყოფას (სულიერ სიმწიფეს); ნულარ ჩაფუყრით საძირკველს ... მარადიული განკითხვის (და სასჯელის) მოძღვრებას. [ყველა ეს საკითხი დიდი ხნის წინ უნდა გცოდნოდათ]“. (ებრ. 6:1-2 AMP)

თუ საუკუნო გასამართლებისა და სასჯელის ჭეშმარიტებას მტკიცე საძირკველს არ ჩაფუყრით, ვერ ავაგებთ მართებულ და ჯანსაღ ცხოვრებას ქრისტეში. ეს შეიძლება შევადაროთ განათლების მიღების მცდელობას დანყებითი სკოლის საბაზისო უნარ-ჩვევების გარეშე, როგორებიცაა, კითხვა და წერა.

რატომ არის ეს ასე? სახარებების დაკვირვებით შესწავლისას შეამჩნევთ, რომ იესო ზეცაზე მეტად ჯოჯოხეთზე ლაპარაკობდა და მას აღწერდა. იგი ამას ჩვენში მტკიცე საძირკველის ჩასაყრელად აკეთებდა, რომელიც არის ღვთის შიში. აი, ერთი მაგალითი:

„რასაც ბნელში იტყვით, სინათლეზე მოისმენენ, და რასაც ოთახებში ჩასჩურჩულებთ ერთმანეთს, ერდო-ბანებზე გახმაურდება. გეუბნებით თქვენ, ჩემო მეგობრებო, იმათი ნუ შეგეშინდებათ, ვინც სხეულს კლავს და ამის მეტი აღარაფრის გაკეთება შეუძლია. გიჩვენებთ, ვისი უნდა გეშინოდეთ: გეშინოდეთ იმისა, ვისაც მოკვლის შემდეგ გენაში ჩაგდების ხელმწიფება აქვს. აჰა, გეუბნებით, მისი გეშინოდეთ!“ (ლუკ. 12:3-5)



ეს სიტყვები ძალმოსილი და მკაფიოა: მარადიული განკითხვისა და სასჯელის საკითხის საფუძვლიანად გაცნობიერება და ამ ჭეშმარიტების შენარჩუნება ჩვენს გულებში ღვთის შიშს მტკიცედ ამკვიდრებს.

ნება მომეცით, აგისხნათ! მხოლოდ ღმერთს შეუძლია ჯოჯოხეთის მარადიული განაჩენის გამოტანა. რაც საიდუმლოდ გვილაპარაკია, განკითხვისას მისი დიდების შუქზე გამოვლინდება. ცნობილი გახდება არა მარტო ჩვენ მიერ წარმოთქმული სიტყვები, არამედ მოტივები, დამოკიდებულებები, ქცევები და საქმეები. ღვთის შიში გამუდმებით გვახსენებს, რომ მისგან დაფარული არაფერია ყველაზე იდუმალი საგნების ჩათვლით. ვიცით, რომ მის მართლმსაჯულებას არაფერი გამოეპარება და იგი სამართლიანია. თუ ეს შემეცნება არ გვაქვს, მოგვატყუებს აზრი, რომ ღმერთი ყურადღებას არ აქცევს ან საერთოდ ვერ ხედავს ურჯულოებას და შედეგად, არაბიბლიური წყალობით ვინუგეშებით თავს, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს (მოტყუებულის, გაუბედავის და ორმაგი ცხოვრების მსგავსად). ადვილად შეიძლება აღმოვჩნდეთ უკანასკნელი ჟამის ადამიანთა შორის, რომლებიც ღვთისადმი მტკიცე ერთგულების გზას აცდნენ და ურჯულოებაში გადაეშენენ.

თუ ვინმეს ეს საძირკველი არ გააჩნია, აუცილებლად ჩაეფლობა ადამიანურ შიშში და ბოლოს იმას მოემსახურება, ვისიც ეშინია. თუ ღვთის შიში გვაქვს, მას ვემორჩილებით ნებისმიერი წნეხის მიუხედავად. თუ ადამიანთა შიში გვაქვს, ადამიანს ვემორჩილებით, განსაკუთრებით, ზენოლისას და საკუთარი გულისთქმების დაკმაყოფილების, ხორციელი სურვილებისა და სიამაყის მხარეს ვიხრებით. ხორცის გამუდმებული მორჩილება, საბოლოოდ, სერიოზულ შედეგებამდე მიგვიყვანს. ამრიგად, მარადიული განკითხვისა და სასჯელის შემეცნების ნაკლებობისას უფლის შიშის დიდ ნაკლებობასაც განვიცდით, რადგან ქრისტეს სამსჯავროს წინაშე წმიდა მოშიშება უფლის შიშის ერთ-ერთი ასპექტია. პავლე ამას ასე გამოხატავს:

„ვინაიდან ჩვენ, ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა თითოეულმა მიიღოს იმის მიხედვით, რასაც სხეულის სიცოცხლის დროს აკეთებდა – კეთილს თუ ბოროტს. და რაკი უფლის შიში ვიცით, ადამიანებს შევაგონებთ ...“. (2 კორ. 5:10-11)

პავლე არ ლაპარაკობდა დიდი თეთრი ტახტის განკითხვაზე (რომელზეც იესო ლუკ. 12-ში მიუთითებდა), სადაც

ადამიანებს ჯოჯოხეთისთვის განაწესებენ. იგი მორწმუნეთა გასამართლებაზე ლაპარაკობდა. ამ სახის განკითხვაზე მომდევნო თავში ვისაუბრებთ, თუმცა ახლა ყურადღება მიაქციეთ, რომ ჰავლე ქრისტეს სამსჯავროს უფლის შიშთან ათანაბრებს. ფაქტობრივად, ერთი მუხლით ზემოთ, იგი მას „უფლის შიშს“ უწოდებს. მთავარი ის გახლავთ, რომ უფლის შიშსა და განკითხვის შემეცნებას ერთმანეთისგან ვერ გამოყოფთ და უფლის შიში ჯანსაღი ცხოვრების გასაღებია.

მოისმინეთ ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები: „დაგიდგება უსაფრთხო ჟამი, ხსნის, სიბრძნისა და ცოდნის სიუხვეში; და ღვთისმოშიშებაში, რომელიც მისი საგანძურია“ (ეს. 33:6).

წმიდა მოშიშება ღვთის მყარი საფუძვლის გასაღებია. გაიხსენეთ იესოს წინასწარმეტყველება წინა თავებიდან, სადაც ის ლაპარაკობდა მრავალ ადამიანზე, რომლებიც მისი სახელით სასწაულებს ახდენდნენ, მაგრამ მაინც ვერ აიცდინეს მარადიული სასჯელი. გასაკვირი აღარ არის, როცა მათ. 7-ში იესო მათი დაცემის მიზეზებს მაშინვე ხსნის. ეს იყო მათი საძირკველი. მათ თავიანთი ცხოვრება ისეთ აზროვნებასა და მრწამსზე დააფუძნეს, რომელმაც ცხოვრების ქარიშხლებს ვერ გაუძლო. იესოს სიტყვებით:

„ამიტომ ყველა, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს და აღასრულებს მათ, იმ კეთილგონიერ კაცს ჰგავს, რომელმაც სახლი კლდეზე აიშენა. და მოვიდა წვიმა, გადმოსკდნენ მდინარეები, ამოვარდნენ ქარები, ეკვეთნენ იმ სახლს; ის კი არ დაეცა, რადგან კლდეზე [ღვთის მყარ საძირკველზე] იყო დაფუძნებული. ხოლო ყოველი, ვინც ისმენს ამ ჩემს სიტყვებს და არ აღასრულებს, ჰგავს უგუნურ კაცს, რომელმაც ქვიშაზე აიშენა სახლი. და მოვიდა წვიმა, გადმოსკდნენ მდინარეები, ამოვარდნენ ქარები, ეკვეთნენ იმ სახლს, და დაეცა იგი – და ფრიალ დიდი იყო მისი დაცემა“. (მათ. 7:24-27)

ვინც ბოლომდე დაითმინა, ქარიშხლებს გაუძლო, რადგან მისი საძირკველი მყარი იყო. ეს საძირკველი ღვთის შიში გახლავთ. ის ჩვენში სტაბილურობას წარმოშობს. ეს ღვთის სიმდიდრეთა სამარაგო სახლია. მისი ხსნა, სიბრძნე და ცოდნა უფლის შიშშია დაფარული.

## უფლის შიში

რა არის უფლის შიში? ღვთის მიმართ ძრწოლის განცდა? არავითარ შემთხვევაში. როგორ შევძლებთ ღმერთთან ახლო ურთიერთობას (რაც მისი წრფელი სურვილია), თუ მას ვუფრთხით? როცა ღმერთი მოვიდა ისრაელი ერისთვის თავის გასაცხადებლად, ისეთივე მოზიარეობა სურდა მათთან, როგორც მოსესთან ჰქონდა, მაგრამ ისინი უკან მიიქცნენ და მოახლოებაზე უარი განაცხადეს. მოსემ ხალხს უთხრა: „*ნუ გეშინიათ, თქვენს გამოსაცდელად მოვიდა ღმერთი, რომ მისი შიში გქონდეთ და არ შესცოდოთ!*“ (გამოს. 20:20).

თითქოს მოსეს სიტყვებში წინააღმდეგობა ჩანს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. იგი უფლის შიშსა და უფლის წინაშე ძრწოლას ერთმანეთისგან განასხვავებს და ეს განსხვავება მართლაც არსებობს. ვინც ღვთის წინაშე ძრწის, მას რაღაც დასამალი აქვს. გაიხსენეთ, რა ქნა ადამმა, როცა ღმერთს ეურჩა ედემის ბაღში: იგი ღვთის თანდასწრებას დაემალა. მეორე მხრივ, ვისაც ღვთის შიში აქვს, მას არ უნდა ღვთისგან შორს ყოფნა. იგი, პირიქით, ურჩობას გაურბის. ამრიგად წმიდა შიშის პირველი განსაზღვრება გახლავთ ღვთისგან დამორების შიში.

მოდით, განვაგრძოთ მისი სხვა მნიშვნელობის კვლევა! უფლის შიში ნიშნავს მისთვის პატივის მიგებას, დაფასებას და მოკრძალების ქონას ყველა სხვასა და ყველაფერზე მეტად. ღვთის შიშია, როცა გიყვართ ის, რაც მას უყვარს და გძულთ ის, რაც მას სძულს. რაც მისთვის მნიშვნელოვანია, თქვენთვისაც მნიშვნელოვანია და რაც მისთვის ფუჭია, თქვენთვისაც ფუჭია. თუ ღვთის შიში გვაქვს, *ვთრით მისი სიტყვის* წინაშე და მეყსეულად ვემორჩილებით მაშინაც კი, როცა გონებისთვის ძნელად აღსაქმელია, მტკივნეულია ან მისაგებელს ვერ ვხედავთ. მიუხედავად ამისა, მას სრულად ვემორჩილებით. ამრიგად, უფლის შიშის გამოვლინება მისი სიტყვის, გზებისა და ბრძანებების *მორჩილება* გახლავთ.

წმიდა წერილი გვეუბნება, რომ უფლის შიში სიბრძნის დასაწყისია. სხვაგვარად შეიძლება ასეც ვთქვათ: უფლის შიში სიბრძნის *საძირკველია*. სიბრძნე, რომელზეც სიღრმისეულად ვილაპარაკებთ მომდევნო თავებში, შესაბამისი შემთხვევისას სწორი გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარს ნიშნავს. სიბრძნე აკლია მას, ვინც ზენოლის დროს არასწორ გადაწყვეტილებას იღებს, ხოლო სიბრძნის წყარო უფლის შიშია.

წერილი გვეუბნება, რომ ჩვენი ცხოვრება შეიძლება სახლის შენებას შევადაროთ. თავდაპირველად იყრება საძირკველი, შემდეგ შენობის სტრუქტურა. ჩვენ ვკითხულობთ: „სიბრძნით შენდება სახლი“ (იგ. 24:3). თუ ჩვენს ცხოვრებას სწორი არჩევანის გაკეთების უნარით ვაშენებთ, ჯანსაღ ცხოვრებას მივიღებთ, რომელიც გაბედულად წარსდგება სამსჯავრო ტახტის წინაშე. ამ სიბრძნის წყარო კი უფლის შიშია.

### გვიცავს განდგომისგან

ქრისტიანები რწმენისგან არ განდგებოდნენ, უფლის შიში გულში მტკიცედ რომ ჰქონდეთ ჩანერგილი. ასეთ შემთხვევაში იესოს ერთგულების გზას არ გადავიდოდით; მის სიტყვას დაუდევრად არ მოვეპყრობოდით; ცოდვას არ გავეთამაშებოდით, რაც მორწმუნეთა გულს ისე აქეზავს, რომ საბოლოოდ, განდგომა გარდაუვალია (იხ. ებრ. 3:12-13). ყოველთვის ვიცოდით, რომ საიდუმლოდ ნათქვამი და გაკეთებული საჯაროდ გამჟღავნდება სამსჯავრო ტახტთან.

ისმინეთ, რას ეუბნება ღმერთი იერემიას ახალი აღთქმის ხალხის შესახებ:

„ჩემი ერი იქნებიან და მე მათი ღმერთი ვიქნები. ერთ გულს და ერთ გზას მივცემ მათ, რომ თავიანთ სასიკეთოდ და მათ შემდგომ, თავიანთი შეილები სასიკეთოდ, მუდამ ეშინოდეთ ჩემი. სამარადისო აღთქმას დავდებ მათთან, რომ ზურგს აღარ ვაქცევ და სიკეთით მოვექცევი; ჩემს შიშს ჩავუნერგავ გულებში, რომ აღარ განმიდგნენ“.  
(იერ. 32:38-40)

ყურადღება მიაქციეთ, რას ამბობს ღმერთი მათზე: „მუდამ ეშინოდეთ ჩემი ... რომ აღარ განმიდგნენ“. მახსენდება შეკრება მაღაიზიაში, სადაც უფლის მოშიშების სული ძალუმად გამოვლინდა. იქ ადამიანები მთელი აღმოსავლეთ ნახევარსფეროდან იყვნენ თავმოყრილი. ბიბლიის სკოლის სტუდენტები, მწყემსები და უამრავი დამსწრე ავსებდა აუდიტორიას, სადაც სიტყვით უნდა გამოვსულიყავი. მსახურების დასასრულს ბევრი ქვითინებდა და ყურადღებას არ აქცევდა გარშემომყოფებს. ხალხი იატაკს განერთხა კათედრის სიახლოვეს.

უფლის შიში ავსებდა იქაურობას და ვიფიქრე: „ჯონ ბევირ, ერთი არასწორი მოძრაობა, ერთი არასწორი სიტყვა და მკვდა-

რი ხარ!“ მართლა ასე მოხდებოდა? არ ვიცი, მაგრამ ერთხელ იგივე ვითარებაში ერთმა კაცმა და ერთმა ქალმა არასწორი ნაბიჯი გადადგეს ახალი აღთქმის ეკლესიაში და მკვდრები დაეცნენ. ამგვარი განაჩენის მეყსეული შედეგი გახლდათ „დიდმა შიშმა მოიცვა მთელი ეკლესია და ყველა, ვისაც ეს ესმა“ (საქმ. 5:11).

მალაიზიაში შეკრების შემდეგ ერთი ინდოელი წყვილი მომიახლოვდა და მითხრა:

– ჯონ, დღეს ისეთ შინაგან სინმიდეს ვგრძნობთ!

– დიახ, მეც, – ვუპასუხე მათ.

მეორე დილას სასტუმროს ნომერში ყოფნისას ასეთი მუხლი აღმოვაჩინე: „შიში უფლისა წმიდაა, მარადიული“ (ფს. 19:9).

სულიწმიდა მაშინვე დაელაპარაკა ჩემს გულს და მითხრა: „ლუციფერი თაყვანისცემის წამყვანი ანგელოზი იყო ზეცაში. იგი ცხებული, მშვენიერი და კურთხეული გახლდა, მაგრამ ჩემი შიში არ ჰქონდა და მარადიულად ვერ გაძლო“.

ჩემთვის დარტყმასავით იყო ღვთის გამოცხადება. ისევ გავიგონე: „ადამი და ევა ჩემი დიდების თანდასწრებაში იყვნენ. მათ ჩემთან მოზიარეობა ჰქონდათ, მაგრამ ჩემი შიში არ გააჩნდათ. ისინი ველარ დარჩნენ ჩემს თანდასწრებაში სამუდამოდ“.

უფლის შიში გამძლეობას გვაძლევს. იგი მუდამ ღვთის სიტყვის მორჩილებაში გვამყოფებს. მორწმუნეებს აფრთხილებენ: „ამიტომ გვეშინოდეს, რათა, ვიდრე მის სიმშვიდეში შესასვლელი აღთქმა რჩება, ვინმე თქვენგანი დაგვიანებული არ აღმოჩნდეს“ (ებრ. 4:1). საინტერესოა, რომ ამ მუხლის ავტორი შიშის ნაცვლად სიყვარულს არ ამბობს. სწორედ ღვთის შიში გვიცავს უკან, ცოდვაში დაბრუნებისგან.

### ცნობილი მახარებელი

არასოდეს დამავინყდება ერთი ცნობილი მახარებლის მონახულება, რომელიც ციხეში ხუთწლიანი სასჯელის ბოლო წელს იხდიდა. მისი ამბავი მთელმა ქვეყანამ გაიგო და ბევრი ცუდად აალაპარაკა ღვთის სამეფოზე. მიუხედავად ამისა, მას უფალთან ნამდვილი შეხვედრა ჰქონდა ციხეში ყოფნის პირველ წელს. როცა იმ მახარებელს ვესტუმრე ოთხი წლის შემდეგ, ერთ-ერთი პირველი იყო მისი ეს ნათქვამი: „ჯონ, ციხე არ იყო ღვთის სასჯელი ჩემს ცხოვრებაში; ეს მისი წყალობაა. იმ გზით რომ მევლო, როგორც ვცხოვრობდი, მარადიული ჯოჯოხეთით დავასრულებდი“.



მას ყურადღებით ვუსმენდი. ვიცოდი, რომ ღვთის იმჟამად დასუსტებულ მამაკაცს, ქრისტეს ჭეშმარიტ მსახურს ველაპარაკებოდი. ვიცოდი, რომ მსახურება ქრისტეს დიდი სიყვარულით დაინყო. მისი დაშურება ყველასთვის ცხადი იყო. მაინტერესებდა, ასე როგორ დამორდა ღმერთს, როცა ჯერ კიდევ მსახურების მწვერვალზე იმყოფებოდა. ამიტომ ვკითხე: „როდის დაკარგეთ იესოს სიყვარული?“

მან შემომხედა და უყოყმანოდ მიპასუხა: „არ დამიკარგავს!“

შეფიქრიანი და ვუთხარი: „რას იტყვით საფოსტო მაქინაციებსა და მრუშობაზე, რომელიც ჩაიდინეთ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში და რის გამოც ციხეში ხართ?“

მან თქვა: „ჯონ, იესო ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ ღვთის შიში არ მქონდა. ის არ იყო უზენაესი ავტორიტეტი ჩემს ცხოვრებაში. შემდეგ მან რაღაც ისეთი მითხრა, რომ გავშეშდი: „ჯონ, მილიონობით ამერიკელი ქრისტიანი ჩემს დღეშია. ისინი იესოს მხსნელს უწოდებენ და უყვართ იგი, მაგრამ უზენაესი უფლის შიში არ აქვთ.“

უცებ გონება გამინათდა. გავაცნობიერე, რომ შესაძლებელია გვიყვარდეს იესო, მაგრამ მხოლოდ ეს არ დაგვიცავს განდგომისგან. ასევე უნდა გვქონდეს ღვთის შიში. გაიხსენეთ მოსეს სიტყვები: „უთხრა მოსემ ხალხს: *„თქვენს გამოსაცდელად მოვიდა ღმერთი, რომ მისი შიში გქონდეთ და არ შესცოდოთ“* (გამ. 20:20). სწორედ ღვთის შიში გვაძლევს გამძლეობას, რომ არ ავცდეთ ღვთის მორჩილების გზას – ლუციფერის, ანგელოზთა მესამედის, ადამისა და ყველა იმ ადამიანთა მსგავსად, რომლებიც ჩვენს დროში აცდნენ ღვთის გზას.

## დაასრულეთ თქვენი გადარჩენა

ამ მიზეზით გვეუბნება პავლე: „შიშით და ძრწოლით (საკუთარ თავზე მინდობის გარეშე, სიფრთხილით, მგრძნობიარე სინდისით, ცდუნებასთან ყურადღებით) იღვანეთ (განავითარეთ, მიზნისკენ ისწრაფეთ და ბოლომდე მიიყვანეთ) თქვენს გადასარჩენად“ (ფილ. 2:12 AMP). გადარჩენას მოწინებით სავსე შიშით და თრთოლვით ვასრულებთ. ასეთი დამოკიდებულება მუდამ გვახსენებს, რომ ყოველი აზრი, სიტყვა თუ საქმე სამსჯავროს დღეს გამოვლინდება. ამის გაცნობიერებით თავმდაბლობას, სიფრთხილეს, სიფხიზლეს და მგრძნობიარეობას ვინარჩუნებთ და დაუმორჩილებლობის ცდუნებებს ვირიდებთ. ეს გვაიძულებს, ყოველთვის შორს ვიყოთ იმისგან, რაც ღმერთს არ მოსწონს.

ყურადღება მიაქციეთ, რომ პავლე არ ლაპარაკობს გადარჩენის აღსრულებაზე სიყვარულისა და სიკეთის მეშვეობით. მხოლოდ უფლის შიში გვაძლევს ძალას, რომ არ ჩამოვშორდეთ მადლს და არ გადავეშვათ ურჯულოებაში. მეორე მხრივ, ღვთის სიყვარული ლეგალიზმისგან გვიცავს, რომელიც ასევე ანგრევს უფალთან ახლო ურთიერთობას. ღვთისადმი ჩვენი სიყვარული ჩვენს მოტივებსა და ზრახვებს აღვივებს და ენთუზიაზმსა და სიზუსტეს უნარჩუნებს. უფალთან ჯანსაღი ურთიერთობისთვის აუცილებელია ჩვენს ცხოვრებაში გვექონდეს ორივე ძალა – ღვთის სიყვარული და ღვთის შიში. ამ მიზეზის გამო, პავლე ღმერთს ჩვენს ზეციერ მამასა და აბბას (მამიკო) უწოდებს, მაგრამ ასევე ამბობს, რომ ღმერთი მჭამელი ცეცხლია (იხ. ებრ. 12:29). იგი სიყვარულია, მაგრამ ასევე მართალი და წმიდა მსაჯულია. თუ მისი მოშიშება არ გვაქვს, გამძლეობაც გვაკლია, ხოლო იესო გამუდმებით გვიმეორებს: „ბოლომდე მომთმენი კი გადარჩება“ (მათ. 10:22).

### ჩვენი ზებავლინა

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც საუკუნო განკითხვისა და სასჯელის შემეცნება უნდა გვექონდეს, სხვა ადამიანებზე ჩვენი ზეგავლენაა. თუ უფლის შიში გვაკლია, დაუბალანსებელ სახარებას გადავცემთ – სიტყვით თუ საქმით. ეს კი ჩვენი ზეგავლენის ქვეშ მყოფებს განდგომილებისკენ მიდრეკილებს ხდის ან სამუდამო დაცემისთვის სწირავს.

თუ ჩვენ, სახარების მასწავლებლებმა და მწყემსებმა, არ შევიმეცნეთ ეს საფუძველჩამყრელი მოძღვრებები, უპირატესად შევეცდებით ადამიანებს გადავცეთ ბიბლიაში ნანახი პრინციპები კურთხევაზე, სიმდიდრესა და ბედნიერ ცხოვრებაზე. ეს პრინციპები მოქმედებენ იმისთვის, რისთვისაც არსებობენ. ისინი წარმოქმნიან ჯანმრთელობას, ფინანსურ წარმატებას, მშვიდობას, უკეთეს ურთიერთობებს და ასე შემდეგ. და მაინც, თუ საუკუნო სასჯელის საფუძვლიანი გაგება არ გვაქვს, ჯვარცმასა და იესოს მიყოლის საფასურზე ქადაგების ყოველთვის მოგვერიდება და უფრო მეტად, საკუთარი თავის მამებელ სიტყვას გადმოვცემთ, ვიდრე ნებისმიერ ფასად იესოსთვის თავგანწირვის მონოდებას.

თუ მარადისობით ამოძრავებული არ ვართ, ისე ვიცხოვრებთ და იმას გადავცემთ გარშემო მყოფებს, რაც მომგებიანი ამ ქვეყნიერებაზე იქნება და ვერ დავინახავთ სიცოცხლეს

მარადისობის გადმოსახედიდან; ადამიანებსაც ვასწავლით, რომ დღევანდელი დღისთვის იცხოვრონ და არა ძველი აღთქმის პატრიარქთა მსგავსად, რომლებიც „ელოდნენ ქალაქს საძირკვლიანს, რომლის ხუროთმოძღვარი და მშენებელი ღმერთია“ (ებრ. 11:10).

დიახ, ღვთის პრინციპების მორჩილთათვის ამ ქვეყანაშივე არის გარკვეული საზღაური. ამას ჩვენ კარგად ვასწავლით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დედამიწაზე ხიზნები ვართ. წარმატებულები უნდა ვიყოთ ამ ცხოვრებაში, თუმცა ეს ზეცის სტანდარტების გათვალისწინებით უნდა მოხდეს და არა ქვეყნიური კულტურის ზეგავლენით. ჩვენი ნამდვილი სამშობლო აქ არ არის.

ყურადღებით წაიკითხეთ წმინდანთა მოტივები, რომლებმაც ქვეყნიერება დათმეს იმისთვის, რომ ღმერთს გაჰყოლოდნენ:


„რწმენაში დაიხოცა ყველა მათგანი, ისე რომ ვერ მიიღეს აღთქმული, მხოლოდ შორიდან უყურებდნენ, ესალმებოდნენ და აღიარებდნენ, რომ უცხონი და ხიზნები არიან ამ ქვეყანაზე. ვინაიდან ისინი ასეთი ლაპარაკით ცხადყოფენ, რომ სამშობლოს ეძებენ. ხოლო თუ გაიხსენებდნენ, საიდან გამოვიდნენ, ექნებოდათ იქ დაბრუნების დრო. მაგრამ მათ სურდათ უკეთესი, ესე იგი, ზეციური; ამიტომ ღმერთსაც არ რცხვენია, რომ თავს მათი ღმერთი უწოდოს, ვინაიდან მან თვითონ მოუშადა მათ ქალაქი“. (ებრ. 11:13-16)

ამ წმიდანთა საძიებელი სამშობლო ღვთის ქალაქი, ახალი იერუსალიმი გახლავთ, რომელსაც ყურადღებას მივაპყრობთ წიგნის დარჩენილ ნაწილში. ამ ქალაქის მკვიდრებს გამარჯვებულები ეწოდებათ. მათი ჯილდო განუსაზღვრელად აჯობებს საუკეთესო ცხოვრებას, რომლის შეთავაზებაც დედამიწას შეუძლია.




### ნაწილი 3: თავები 6-7

1. იესოს მიმდევრობის რა სიკეთეს შეუძლია თქვენი ცდუნება, რომ მისკენ თავად იესოსთან ახლო ურთიერთობაზე მეტად ისწრაფოთ? რა დაგეხმარებათ თქვენი გულის დაცვაში, რომ მან შეძლოს სწორი ფოკუსის შენარჩუნება?
2. გამომაფხიზლებელია აზრი, რომ მორწმუნესაც შეუძლია რწმენის გზიდან გადახვევა. ეწინააღმდეგება თუ არა ეს შეხედულება თქვენს მრწამსს? იმსჯელეთ თქვენს პასუხზე შემდეგი ჭეშმარიტების ჭრილში: ჩვენ, როგორც მორწმუნეები, უნდა ვცდილობდეთ არა უბრალო შიშით, არამედ უფლის შიშით გამოხმაურებას.
3. იფიქრეთ უმოწყალო მონის იგავზე, რომელიც მოცემულია მათ. 18:23-35-ში? თქვენი აზრით, რატომ ეკიდება ღმერთი ასე სერიოზულად პატიების საკითხს?
4. თქვენი საკუთარი სიტყვებით აღწერეთ, როგორ შეიძლება ღვთის მონყალებაზე გამრუდებულმა შეხედულებამ ანუ წმიდა მოშიშების ზეგავლენის გარეშე ცხოვრებამ მორწმუნე აცდუნოს.
5. მარადისობის შესახებ ჩვენი თვალსაზრისი არა მარტო ჩვენზე, არამედ სხვა ადამიანებზეც ახდენს გავლენას. თქვენი აზრით, როგორი დამოკიდებულება უნდა გქონდეთ ღვთის მიმდევრობის ამქვეყნიურ სარგებელთან (როგორიცაა, ჯანმრთელობა, წარმატება ან რაიმეს დაგვირგვინება), რომ არსებითი მნიშვნელობის საკითხები უყურადღებოდ არ დაგრჩეთ?



ଶବ୍ଦାର୍ଥ ୪





თავი 8

აფაბელის სამეფო:  
ბანკოთხვის მიმრედე

„... მე ვიკვლევ თირკმელებსა და გულებს (აზრებს, გრძნობებს და მიზნებს); და ყოველ თქვენგანს თავისი საქმეების მიხედვით მივუზღავ“.  
გამოცხ. 2:23 AMP


მოდ, აფაბელის სამეფოს ალეგორიას დავუბრუნდეთ, რომ ეგოისტისა და მონყალების ხვედრი შევიტყოთ. მათი მეშვეობით მორწმუნეთა გასამართლების მნიშვნელოვან ასპექტებს გავიგებთ. ერთ-ერთი მათგანია ის, რომ ყველა მორწმუნე ერთნაირად არ დაჯილდოვდება.

მორწმუნეთა სასამართლო

გასამართლება იმ დილას მოხდა, როცა ენდელელებმა დიდ დარბაზში მოიყარეს თავი. სიცოცხლის დარბაზში მყოფი, დაახლოებით, ხუთასი ენდელელი მღელვარებით ელოდებოდა მეფე ჯელინთან პირველ შეხვედრას. მონყალებამ და ეგოისტმა ძველი და ახალი მეგობრები იპოვეს და მათთან საუბრის პროცესში იყვნენ, როცა დარბაზში სამეფო მცველები შემოვიდნენ. ყოველგვარი ლაპარაკი შეწყდა, როცა მთავარმა მცველმა შეკრებილებს მიმართა:

– მალე თქვენს მეფეს ნახავთ. მას ყოველთვის უყვარდით და იმ დღეს ელოდა, როცა ყველანი აქ მოხვიდოდით. თქვენ მას არასოდეს შეხვედრიხართ, მაგრამ ის ყოველთვის გხედავდათ. იგი თქვენს გულს უყურებს და თქვენს ნაყოფებს არჩევს. ის ცნობს თქვენ გულს, მოტივებს, აზრებსა და გრძნობებს, ისევე როგორც თქვენს საქმეებს. არაფერია დაფარული. იცოდეთ, რომ მისი განკითხვა სამართლიანია. არავინ იქნება უგულბელყოფილი ან არასწორად გაგებული.

მთავარმა მცველმა მითითება მისცა მათ, თუ როგორ უნდა შესულიყვნენ დიდ დარბაზში და როგორ უნდა მოქცეულიყვნენ შესვლის შემდეგ. ბრიფინგის დასრულების შემდეგ მან გამოაცხადა:



- პირველად ეგოისტი წარდგება ღვთის წინაშე. ერთი ნაბიჯით წინ გამოდით, რომ დიდ დარბაზამდე მიგაცილოთ.

### ეგოისტი და მისი განაპირობება

ეგოისტი ვარაუდობდა, რომ პირველს გამოიძახებდნენ ენდელის მერად მუშაობის გამო. იგი დარწმუნებული გახლდათ, რომ გულუხვად დაჯილდოვდებოდა მეფის გარე სამეფოში წინამძღოლი პოზიციისთვის. მან უძველესი ხელნაწერების სწავლება გაიხსენა ჯილდოების მიღებასა და აფაბელის მმართველობაში მონაწილეობაზე მათთვის, ვინც ერთგულად ემსახურებოდა მეფეს ენდელში. ეგოისტი საზოგადოების ძალისხმევით მონაწილე იყო ორი ვადით მერობის განმავლობაში. იგი გაბედულად შევიდა მეფესთან შესახვედრად.


დიდი დარბაზის კარი გაიღო და ეგოისტმა ესკორტის თანხლებით შეაბიჯა მეფის თანდასწავლაში. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საუცხოო, უზარმაზარმა აუდიტორიამ. ეგოისტმა შენიშნა, რომ ის თითქმის სავსე იყო. ყველა იქ მყოფი ფეხზე იდგა. იგი დაინტერესდა, რატომ იყო ადგილები თავისუფალი, მაგრამ მალევე უკუაგდო ეს აზრი და ჩათვალა, რომ მოქალაქეებმა თავად შეარჩიეს დასაჯდომი ადგილები.

იქით, შორ მანძილზე ჯეილინის ტახტი მოჩანდა. იგი გაცილებით დიდებული აღმოჩნდა, ვიდრე ეგოისტს წარმოედგინა. მან ასევე შენიშნა მომცრო ტახტები და სწორად ივარაუდა, რომ ისინი ჯეილინის თანამმართველებს ეკუთვნოდათ. მისი გული გამალებით ცემდა, რამდენიმე ტახტი თავისუფალი იყო. ეგოისტი დარწმუნებული გახლდათ, რომ ერთ-ერთ მათგანს სწორედ ის დაიკავებდა.

### ძველი მეგობარი

ტახტისკენ მიმავალ გზაზე ეგოისტი განცვიფრებით შეჰყურებდა ყოფილი ენდელელების დიდებულ გარეგნულ გარდაქმნას, რომლებიც ახლა აფაბელის მოქალაქეები გამხდარიყვნენ. მას ჯერ რამდენიმე ნაბიჯი ჰქონდა გადადგმული, როცა აუდიტორიის ბოლო რიგებში ერთი ძველი მეგობარი შენიშნა, რომელსაც გულზიარად ერქვა და რესტორანს ფლობდა. ეგოისტი მას ხშირად სტუმრობდა. მან მთავარ მცველს შეხედა კითხვის მზერით, თუ შეიძლებოდა მეგობართან დალაპარაკება. მცველმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.





ეგოისტი გულზიარს მიუახლოვდა და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

– როგორ ხარ, გულზიარო? – დაინტერესდა ეგოისტი.


– ძალიან კარგად, – მიუგო ძველმა მეგობარმა, – მაგრამ ჩემი სახელი აღარ არის გულზიარი. ახლა კმაყოფილი მქვია. უფალმა ჯეილინმა ახალი სახელი მომცა ყველა იმ მსახურის მსგავსად, რომელიც მისი ტახტის წინაშე წარდგა.

– აფაბელი გაცილებით ლამაზია, ვიდრე ოდესმე წარმოგვედგინა, – განაგრძო კმაყოფილმა, – ეს დიდი დარბაზი მხოლოდ კარიბჭეა დიდებული ქალაქის მშვენიერების, ბრწყინვალეებისა და სიდიადის სამყაროში. მეფე გაცილებით წარმოსადეგი, მოსიყვარულე და დიდებულია, ვიდრე ნებისმიერი, ვისაც ოდესმე შეხვედრიხარ. მაღლიერი ვარ, რომ მას ვიცნობ და ვემსახურები. პატივია მის სამეფოში ყოფნა. ეს ყველაფერზე უკეთესია, რაც აქამდე ვიცოდით. ენდელში რომ მცოდნოდა ის, რაც ახლა ვიცი, სულ სხვაგვარად ვიცხოვრებდი. უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევდი მეფისთვის სათნო საქმეების კეთებას. საუკეთესო მოქალაქე ვიქნებოდი ენდელში ცხოვრების მცირე დროის განმავლობაში. ნეტავ შემეძლოს, რომ მასთან უფრო ახლოს ვიყო ახლა.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა ეგოისტმა, – შენ ხომ ენდელის დიდი მოქალაქე იყავი! საუკეთესო რესტორნები გქონდა და ბევრ საზოგადოებრივ ღონისძიებას აფინანსებდი. შემონიროლობების შემგროვებელ კამპანიებს ფინანსურად და უფასო საკვებით ეხმარებოდი. საღამოების შემოსავლებსაც კი სწირავდი!

კმაყოფილმა თავი ჩაქინდრა.

– ამ ყველაფერს სახელის მოხვეჭისა და საზოგადოებაში მიღებისთვის ვაკეთებდი. ისიც ვიცოდი, რომ ბევრი მფარველი გამომიჩნდებოდა. ჩემი მოტივი სხვების კურთხევა კი არა, წარმატების გარანტიების მოპოვება იყო. ჯეილინის სიტყვებისთვის ყური უნდა დამეგდო. მან გვითხრა: „როცა სადილის ან ვახშმის გამართვას აპირებთ, ნუ მოინვეთ თქვენს მეგობრებს, ძმებს, ნათესავებს, მდიდარ მეზობლებს, რომ სამაგიეროდ, მათაც არ დაგპატიჟონ და სამაგიერო არ მოგიზღონ. არამედ, როცა ზეიმი გაქვთ, მოინვეთ ღარიბები, ხეიბრები, კოჭლები და ბრმები და იქნებით კურთხეული, რადგან მათ არ აქვთ, რომ გადაგიხადონ; ამის საზღაურს მართალთა აღდომისას მიიღებთ“.<sup>1</sup> იმ სადილებს ჩემი სარგებლობისთვის ვმართავდი და არა საზოგადოების სიკეთისთვის. ამით მინდოდა ენდელის გავლენიან საზოგადოებაში თავის დამკვიდრება.



ეგოისტმა კიდევ უფრო მეტის გაგება მოინდინა.

– შენ ხშირად სწირავდი ენდელის სკოლას. ნუთუ ამან კეთილგანწყობა არ მოგაპოვებინა ჯეილინის თვალში?


– მართლაც ვწირავდი ენდელის სკოლას, – უპასუხა კმაყოფილმა, – მაგრამ არა ჩემი საქმიანობის წარმატების პროპორციულად. ჩემი შემოსავლიდან მხოლოდ მცირე პროცენტით ვეხმარებოდი სკოლას. რესტორნის შემოსავლის მეტ წილს ვაგროვებდი, რადგან წარუმატებლობის მეშინოდა. ამას თან ერთვოდა კომფორტულად ცხოვრების სურვილი. ჩემი ნამდვილი ზრახვა საკუთარი თავის დაცვა იყო და ის მცირედი, რასაც ვწირავდი, სინდისის ხმას მიმსუბუქებდა. იძულებული ვიყავი ასე მოვქცეულიყავი, რადგან ჩვენი მასწავლებლები გამუდმებით განიხილავდნენ სამეფოსა და გაჭირვებულთათვის შეწირვის მნიშვნელობას. საბოლოოდ, მსჯავრდადების გრძნობისა და ძალდატანების გამო უფრო ვწირავდი, ვიდრე თანაგრძნობისა და სიყვარულის გამო.

– დამავიწყდა ჯეილინის თვალსაჩინოება ქვრივზე, რომელმაც აფაბელის სამეფო შეიყვარა, – განაგრძო კმაყოფილმა, – გახსოვს, მან თქვა: „გეუბნებით, რომ ამ ღარობმა ქვრივმა გაცილებით მეტი ჩააგდო შესაწირავ ყუთში ვიდრე ყველა დანარჩენმა. სხვებმა ის გაიღეს, რაც თავიანთი სიმდიდრისგან მორჩათ, მან კი, ლატაკმა, ყველაფერი ჩადო, რაც ებადა – ყველაფერი, რითაც უნდა ეარსება.“<sup>2</sup>

ეგოისტი მის სახლში გამართულ სადილებსა და სხვადასხვა შეკრებებს ესწრებოდა. იქ არასოდეს უნახავს შედარებით ნაკლებშემოსავლიანი და უიღბლო ადამიანი. შემდეგ ის ხუთი ათასი ერთეული გაახსენდა, რომელიც სკოლისთვის გადასაცემი მიწის ნაკვეთის სუპერმარკეტისთვის მიკუთვნების გადანყვეტილებით დაღონებული მოქალაქეების დასამშვიდებლად გაიღო. ერთ დროს ეს მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა, მაგრამ ახლა შეცბუნებული იყო მის მიერ გაცემული თანხის სიმცირით. რამდენად კარგი იქნებოდა ეს ჯეილინის თვალში?

ამგვარი ფიქრები კმაყოფილის მომდევნო სიტყვებმა შეანყვეტინა:

– მთელი გულით რომ ჯეილინისა და მისი ხალხისკენ ვყოფილიყავი, – თქვა მან, – ჩემს დროს სკოლას და მის მსახურებას მივუძღვნიდი. თუ ყველა თავის საქმეს გააკეთებს, ტვირთი მსუბუქდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – მცირედს უწევს მისი მთელი სიმძიმის ზიდვა. ჯეილინის ჩანაფიქრის



მიღება ყველას აარიდებდა ზედმეტ სირთულეს. ის რამდენიმე, ვინც თავის მხრებით ზიდა ტვირთი, დიდად დაჯილდოვდება. საბოლოო ჯამში, ის მცირედი, რაც გავილე, ჩემი სინდისის დასამშვიდებლად გავაკეთე ჯეილინის სამეფოსადმი მიძღვნის ნაკლებობის გამო.

როცა ჩემი ცხოვრება განიხილეს, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ საკუთარი კომფორტის, თავის დაცვისა და რეპუტაციისთვის უფრო მეტს ვფიქრობდი, ვიდრე ჯეილინის განდიდებისთვის. ახლა ამ ქალაქის ერთ-ერთი დაბალი რანგის მოქალაქე ვარ. მიუხედავად ამისა, მაინც მავსებს ჯეილინის სიკეთე და დიდი სიყვარული ჩემს მიმართ. მართლაც არ დამიმსახურებია არაფერი იქედან, რაც მისგან მივიღე, მაგრამ შენც მალე დაინახავ, რომ მისი სიყვარული და გულუხვობა უსაზღვროა. მთელი დარჩენილი ცხოვრება მის წინაშე ვალში ვიქნები ამ უზომო სიკეთისთვის.


ელდანაცემმა ეგოისტმა წამოიყვირა:

– უმდაბლესი მოქალაქე! გინდა თქვა, რომ აქ კლასობრივი დაყოფაა?

კმაყოფილმა გაიღიმა და მიუგო:

– დიახ, გარკვეული სახის. ამას ენდელშიც გვასწავლიდნენ, მაგრამ ბევრი ჩვენგანი სერიოზულად არ აღიქვამდა. გულის სიღრმეში ყველამ ვიცოდით, რომ ასე იქნებოდა. ფაქტობრივად, ამ ჭეშმარიტებაზე ფიქრობდი კიდევ, როცა დარბაზში შემოაბიჯე. გავიგონე შენი ფიქრები – ტახტის შემოთავაზებას ელოდებოდი. კლასში ნასწავლები უძველესი ხელნაწერებიდან იცოდი, რომ ეს შესაძლებელი იყო, თუმცა ეჭვი მეუარება, რომ ენდელში ყოფნისას აცნობიერებდი რწმენას შენი სამომავლო მდგომარეობის შესახებ.

ენდელში ყოფნის ხანმოკლე პერიოდში ჯეილინის ერთგულ ადამიანებს წინამძღოლობა ხვდათ ნილად და ამ საზოგადოების ყველაზე საინტერესო თანამდებობების მქონე მოქალაქეები გახდნენ. ისინი ქალაქის ყველაზე ლამაზ რაიონში ცხოვრობენ და მეფესთან ხშირი შეხვედრის შესაძლებლობა აქვთ. ვინც ენდელში უფრო მეტად საკუთარ კომფორტზე ვფიქრობდით, ქალაქის გარეუბნებში ვართ დასაქმებული. ამ დარბაზში ეს კარგად ჩანს. ბოლო რიგებში მყოფნი დაბლობების მკვიდრნი არიან. ჩვენ ინტენსიური მუშაობა დაგვევალა და ამ სამეფოს ყველაზე დაბალი რანგის მოქალაქეები ვართ. შუა ნაწილის ხალხი მთებზე ცხოვრობს და ხელოვნებასთან დაკავშირებული პოზიციები უჭირავთ. წინა ადგილებზე მყოფი და ტახტებზე



მსხდომი ადამიანები სამეფო ცენტრში ცხოვრობენ მეფესთან ერთად. მათ ჯეილინთან ახლოს ცხოვრებისა და მუშაობის პრივილეგია აქვთ. ისინი უდიდესები არიან ამ სამეფოში.

კმაყოფილმა ასე დაასრულა ლაპარაკი:

– ჩემო მეგობარო, ეგოისტო! იცოდე, რომ ჯეილინი სამართლიანი და მოსიყვარულე წინამძღოლია. მის მიერ ბოძებული ნებისმიერი რამ შენთვის ჯილდო იქნება. არც ერთ ჩვენგანს არ ექნებოდა სიცოცხლე ამ ქალაქის დამდაბლებულ ნაწილებში, ეს რომ ჯეილინისთვის არ ყოფილიყო.

ლაპარაკი დაასრულა თუ არა, კმაყოფილმა უკან დაიხია და თავისი ადგილი დაიკავა. მთავარმა მცველმა ეგოისტს ანიშნა, რომ ტახტისკენ სვლა გაეგრძელებინა.

### ცნობილი მასწავლებელი

ეგოისტმა მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ კიდევ ერთ ნაცნობს მოკრა თვალი, რომელსაც დიდ პატივს სცემდა. მისი სახელი მოტივატორი გახლდათ. იგი ადრე ენდელის სკოლის მასწავლებელი იყო – ეგოისტისთვის ერთ-ერთი გამორჩეული. მისი საუბარი ყურადსაღები და მკაფიო გახლდათ და ეგოისტს ხშირად შთააგონებდა. ეს ფანტასტიური დამრიგებელი ისე ასწავლიდა, რომ მოწაფეები ამალღებულ განწყობაზე დგებოდნენ და საკუთარ თავზე კარგი წარმოდგენა ექმნებოდათ. სხვა მასწავლებლებიც ამხნეებდნენ მოსწავლეებს, თუმცა ზოგჯერ სიმკაცრესაც იჩენდნენ და მათ სიტყვებს მტკივნეული მხილება მოჰქონდა. მოტივატორთან საქმე სხვაგვარად იყო. მისი კლასიდან გამოსული თავს დიდებულად გრძნობდა. ფაქტობრივად, ის ეგოისტის ყველაზე საყვარელი მასწავლებელი გახლდათ.

ეგოისტმა კიდევ ერთხელ გადახედა მთავარ მცველს ძველ მასწავლებელთან საუბრის ნებართვის მისაღებად. მცველმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად. ეგოისტი მოტივატორს მიუახლოვდა და ერთმანეთს გულთბილად მიესალმნენ.

ეგოისტს ერთი სული ჰქონდა, სანამ ჰკითხავდა:

– რატომ ხართ ბოლო რიგებში?

– ეს ჩემი ადგილი და მდგომარეობაა. ერთ-ერთი ვარ აფაბელის უმდაბლეს მოქალაქეთა შორის. დაბლობებზე ვცხოვრობ და სანტექნიკოსად ვმუშაობ.

– რა? – იყვირა ეგოისტმა, – ჯეილინის საუკეთესო მასწავლებელი იყავით! როგორ შეიძლება დაბალი რანგის



მოქალაქეთა რიცხვში აღმოჩნდეთ? თქვენ ერთ-ერთ ტახტზე უნდა მჯდარიყავით.

– რამდენიმე მიზეზმა ხელი შემიშალა, რომ ამ დიდებული შეკრების სათავეში ანუ ჯეილინის თანამმართველთა შორის ვყოფილიყავი, – თქვა მოტივატორმა. დროის ნაკლებობის გამო ჩემი შეცდომის მხოლოდ ფესვებზე ვისაუბრებ. გახსოვს, ყველა, ვინც ჯეილინს თავს მიუძღვნის, მშენებელს ნააგავს? ამას სკოლაში ყოველთვის გვასწავლიდნენ. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პასუხისმგებლობა ენდელში სხვა ადამიანთა ცხოვრების შენება გახლდა. ამის განხორციელება ჩვენ მიერ ნაჩვენები მაგალითით ხდებოდა, იქნებოდა ეს სიტყვა, ქცევა თუ საქმეები.

მე, როგორც დამრიგებელს, დიდი პრივილეგია და ასევე დიდი პასუხისმგებლობა მომენიჭა. მოსწავლეებს ჯეილინის პრინციპებსა და გზებს ვასწავლიდი. და მაინც, ბევრ რამეში ვერ ვივარგე, როგორც მასწავლებელმა.

ჩემი სწავლება დაუბალანსებელი იყო. ხაზს ვუსვამდი ჯეილინის მსახურების მხოლოდ დადებით მხარეებს. ჩემს მოსწავლეებს იქეთკენ ვუბიძგებდი, რომ წარმატებისთვის გრძელვადიანი შედეგების გაუთვალისწინებლად მიეღწიათ. არ ვასწავლიდი, რომ ცხოვრების უმთავრესი მიზანი ჯეილინისთვის სათნო ცხოვრება იყო. მოსწავლეებს მისი გზების გამოყენებით წარმატების მიღწევა ვასწავლე. შესაბამისად, მათთვის არასდროს მიჩვენებია ჩვენს საზოგადოებაში არსებული ორმოები და ხაფანგები.


უძველესი ხელნაწერები ნათლად მიუთითებს, რომ უნდა გადამეცა ჯეილინის სრული ჩანაფიქრი. ეს მოიცავს შემდეგს: „შევგაგონოთ და ვასწავლოთ ყოველ ადამიანს ყოველგვარი სიბრძნე, რათა ყოველი კაცი წარვადგინოთ სრულქმნილად ჯეილინში“.<sup>3</sup> მე ვასწავლიდი, მაგრამ გაფრთხილება უგულვებლევყავი. უკიდურესად დადებითი სწავლებით და ჯანსაღი გაფრთხილებების უარყოფით უამრავი ადამიანის ცხოვრება ვაშენე, მაგრამ ჯეილინის დიდებას ცოტა რამ თუ შევმატე.

აქ კმაყოფილმა თავი ჩაქინდრა.

– მათი უმეტესობა დასალუჰად გავწირე.

მასწავლებელმა ეგოისტის სახეზე უკიდურესი განცვიფრება შენიშნა და ნათქვამს ხაზი გაუსვა:

– დიახ, დასალუჰად გავწირე. ბევრი მათგანი ახლა ლონის მიტოვებულ მინაზეა ჩემი დაუბალანსებელი სწავლების



წყალობით. მოსწავლეებს არ ვაძლევდი იმას, რაც მათ სჭირდებოდათ – ვაძლევდი იმას, რაც სურდათ. არ მინდოდა მათთვის მიუღებელი გავმხდარიყავი ან პოპულარობა დამეკარგა. ამან შედეგად არასწორი შენება მოიტანა. არ აღმოვფხვერი მათი ცხოვრების სუსტი და მცდარი მხარეები. მათ ისეთ შეხედულებებს ვაწვდიდი, რომლებიც მათივე გულისთქმების ნახალისებას ემსახურებოდა.

გახსოვს უძველესი ხელნაწერების გაფრთხილებები დამრიგებელთა მიმართ? „ისინი აცდენენ ჩემს ხალხს და ამბობენ, „მშვიდობააო“, როცა არ არის მშვიდობა და ამით მორყეულ კედლებს აგებენ და ბათქაშით ათეთრებენ. ამიტომ უთხარი ამ გამთეთრებლებს, რომ ისინი ჩამოიქცევა“.<sup>4</sup> ბევრმა ჩემმა მოსწავლემ თავისი ცხოვრება დროებითი საგნებით ააგო და გადახურა. გულის სიღრმეში ვიცოდი, რომ ეს კედლები უვარგისი იყო, მაგრამ მაინც არ გავაფრთხილე. ვეუბნებოდი, ყველაფერი კარგადაა-მეთქი, თუმცა ასე არ იყო. წავახალისე მათი მიმართულება და გავამყარე მათი ცდუნება.

ახლაც კი ვნაღვლობ ღონში განწესებულ მოსწავლეთა გამო. ზოგიერთებმა მოახერხეს აფაბელში მოხვედრა, მაგრამ მხოლოდ დადებითი სწავლების მოსურნეთაგან, – აქ მოტივატორი ძალზე ანერვიულდა, ხმას დაუნია და თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა, – ბევრი აღმოჩნდა აფაბელის უკანა რიგებში. მათი ცხოვრება ფუჭად გაიფლანგა და მათი ძალისხმევა ცეცხლმა შთანთქა განკითხვის ტახტის წინაშე.

– დაინვა განკითხვის ტახტის წინაშე? – იკითხა ეგოისტმა.

– დიახ, – მიუგო მასწავლებელმა, – არ გახსოვს უძველესი ხელნაწერები? ყველა, ვინც აშენებს ამ საძირკველზე, სხვადასხვა მასალას – ოქროს, ვერცხლს, ძვირფას ქვებს, ხეს, ნამჯას, თივას – იყენებს. განკითხვის დღეს დგება ამ ნაგებობის გამოცდის დრო, რომ გამოვლინდეს თითოეული მშენებლის ნაკეთები საქმე. ყველა მათგანი ცეცხლით გამოიცილება, რომ მათი ფასეულობა დადგინდეს. თუ საქმე ცეცხლს გადაურჩება, მშენებელი ჯილდოს მიიღებს. თუ საქმე დაინვება, მშენებელიც ზარალს ნახავს. თვითონ გადარჩება, მაგრამ ისე, თითქოს ხანძრისგან დაეღწიოს თავი“.<sup>5</sup>

ცნობილი მასწავლებელი ისევ განაგრძობდა:

– საძირკველი, რომელზეც ძველი მოციქული ლაპარაკობდა, ჯეილინის უფლობა გახლავთ და ვიცით, რომ მასზე შენება აფაბელის სამეფოში მოხვედრის ერთადერთი გზაა. ამრიგად, თუ მართლაც ჯეილინს ვეკუთვნით, ამ საძირკველზე უნდა ვაშენოთ.



უძველესი ხელნაწერების შუქზე შეფასებული ჩემი ცხოვრება ჯეილინის სტანდარტებს აცდენილი გამოდგა. მარცხი განვიცადე იმ ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით, რომელთაც ვასწავლიდი. არ გამოვიყენე ჩემი ძალაუფლება, რომ ამ სამეფოს გზაზე წარმემართა მოსწავლეთა ცხოვრება და რასაკვირველია, საზღაურიც დავკარგე. გაიხსენე, რას ასწავლიდა ძველი მოძღვარი პავლე მისი გავლენის ქვეშ მყოფებზე: „რა არის ჩვენი იმედი და სიხარული, ჩვენი საზღაური და სიამაყის გვირგვინი, თუ არა თქვენ? დიახ, თქვენ ხართ ჩემი სიხარული, როცა უფლის წინაშე წარვდგებით“.<sup>6</sup>

ჯეილინის ჭეშმარიტებები კარგად ვიცოდი, როცა სწავლება დავიწყე, მაგრამ დაუცველობის გრძნობამ, სხვათაგან მოწონების მიღების სურვილმა და სიამაყემ გზას ამაცდინა. ამ ცოდნიდან ჩემს განდგომას დიდი ხანი არ დასჭირვებია. საბოლოო ჯამში, ისე დავიწყე ცხოვრება, როგორც ვქადაგებდი. გზიდან აცდენის შემდეგ დამავიწყდა ჯეილინის გაფრთხილებები ჩემი პირადი ცხოვრებისთვის. მოტყუებული აღმოვჩნდი. აქ პოპულარობისა და კეთილგანწყობის თვალთახედვა ენდელისგან სრულიად განსხვავებულია. ის, რასაც იქ დიდებულად მივიჩნევთ, აქ არაფერია.

ეგოისტმა სერიოზულად იკითხა:

– მოტივატორო, ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ ჯეილინი ჩვენს სახელებს ცვლის. რა არის შენი ახალი სახელი?

მასწავლებელმა გაიღიმა:

– ჩემი სახელი დამდაბლებულია.

ამის თქმაზე მან თავი დახარა და უკან დაიხია თავისი ადგილის დასაკავებლად. ეგოისტი მთავარ მცველს მიუბრუნდა, რომელმაც მას თავი დაუქნია იმის ნიშნად, რომ მოსმენილი ჭეშმარიტებას შეესაბამებოდა.

ეგოისტი ტახტისკენ სვლას განაგრძობდა. მას თავდაჯერებამ უღალატა და ახლა ისე მხნედ ვეღარ იყო, როგორც დარბაზში შემოსვლისას. ეგოისტი თავის ცხოვრებას ჩაუფიქრდა. რა მოტივები ჰქონდა? მმართველ პოზიციაზე ყოფნისას ჯეილინის განდიდებას ცდილობდა თუ საკითარი ამბიციებით მოქმედებდა? როგორ წარმართა მან თავისი ცხოვრება? შეესაბამებოდა თუ არა ის ჯეილინის სიტყვებს, თუ თავადაც მოტყუებული იყო? აშენებდა სხვა ადამიანებს, თუ საკუთარი წარმატების ასაგებად იყენებდა?



## მმართველი

ეგოისტი დიდი დარბაზის შუა რიგებს მიუახლოვდა. მან შენიშნა, რომ შუა ნაწილის მოქალაქეებს, გაცილებით მეფური შესახედაობა ჰქონდათ. თითოეული მათგანი დიდი სიყვარულით და მიმღებლობით უყურებდა. ეგოისტმა მათ თვალეში და სახის გამომეტყველებაში ნუგეშისცემა შენიშნა. ეს ძალიან დაეხმარა, რადგან საკუთარი ხვედრის შესახებ ეჭვები ანუხებდა და არ იცოდა, რა მოელოდა.

ეგოისტს თითქოს საუკუნეები დასჭირდა ტახტამდე მისაღწევად. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ენდელში ცხოვრების სხვადასხვა მხარეები ახსენდებოდა. მას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ჯეილინთან ერთად მმართველობას შესთავაზებდნენ მერის წარმატებული კარიერის გამო.

ახლა ეგოისტი ჯეილინის თანამმართველთა რიგებს შორის იმყოფებოდა. ამას საცნაურს ჰყოფდა მათი მეფური გამომეტყველება და თავზე დადგმული გვირგვინები. ყოველ მათგანს ხელში სამეფო კვერთხი ეჭირა. ისინი მართლაც ყველაზე მეფურად გამოიყურებოდნენ ამ დიდებული ქალაქის მოქალაქეთა შორის. იგი განცვიფრებული იყო იმით, რომ შეიძლებოდა ადამიანს ჰქონოდა ასე დიდებული შესახედაობა.

მმართველთა შორის ეგოისტმა ქალაქის საბჭოს ერთ-ერთი წევრის ყოფილი მდივანი შენიშნა.

– რა უნდა ამ ქალს ტახტზე? – გაუკვირდა მას.

იგი სკოლაში მისთვის შესამჩნევი არასოდეს ყოფილა. სწავლა მასზე ერთი წლით ადრე დაასრულა. ეგოისტმა ბევრი არაფერი იცოდა მის პიროვნებაზე, რადგან ყოფილი მდივანი ძალზე თავდაჭერილი იყო.

ქალმა წინ გადმოდგა ნაბიჯი. მთავარი მცველი შეჩერდა და მას თაყვანი სცა. ქალი ეგოისტს გადაეხვია მისალმების ნიშნად და თბილად გაუღიმა.

– კეთილი იყოს შენი მობრძანება აფაბელში, ეგოისტო! მე მომთმენი ვარ. ჯეილინმა შენთან დალაპარაკება მთხოვა, სანამ მის წინაშე წარსდგებოდი. მე მისი ერთ-ერთი დაქვემდებარებული მმართველი ვარ აფაბელში.

ეგოისტმა ყოველგვარი დაფიქრების გარეშე წამოიძახა:

– მმართველი? როგორ შეიძლება მმართველი იყო? ენდელისთვის არასდროს არაფერი გაგიკეთებია.

უცებ ეგოისტი განითლდა და მიხვდა, რომ მისი ეს განცხადება უდროო და მეტისმეტად გულგრილი იყო.

მომთმენმა თავი დაუქნია გაგების ნიშნად.





– ნუ შეგაცბუნებს შენი ნათქვამი. ტყუილი ვერ დაიმალება ამ დარბაზში ან ამ დიად ქალაქში. შენ მხოლოდ გულწრფელად თქვი, რასაც ფიქრობდი. ენდელში შენი იმიჯი და რეპუტაცია გადარდებდა. ეს მრავალს აიძულებს ტყუილის ლაპარაკს ისე, რომ ვერც კი ხვდება თავის შეცდომას. აქ სიტყვები არსებითია, მაგრამ მოტივები და გულის ზრახვები კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან აქ არაფერი იმალება. ამას საკმაოდ მალე მიხვდები, როცა ენდელში წარმოთქმული ყოველი სიტყვისთვის განისჯები.

– ყოველი სიტყვისთვის! – წამოიძახა ეგოისტმა. – თითოეული საუბრის ნებისმიერ სიტყვას გულისხმობ?

– დიას, – მიუგო მომთმენმა, – თითოეულ სიტყვას. გაიხსენე უფალ ჯეილინის ნათქვამი უძველეს ხელნაწერებში: „დარწმუნებული იყავით, რომ სამსჯავროს დღეს ყველა ფუჭი სიტყვისთვის პასუხს აგებთ. თქვენი სიტყვები განგსჯიან და უმნიკვლოდ ან დამნაშავედ გალიარებენ“.<sup>7</sup> ფუჭი სიტყვები ამაო, უსარგებლო და გულგრილია. ეს ყველაფერი კი ჯეილინის ბუნებას ეწინააღმდეგება.

ეგოისტმა კითხვა დაუსვა:

– ყოველთვის ვფიქრობდი, რომ პასუხს ვაგებდით ჩვენ მიერ ნათქვამი დიდი ტყუილის ან დიდი ჭეშმარიტებებისთვის კეთილ საქმეებსა და მთავარ მიღწევებთან ერთად.


იგი წუთით ჩაფიქრდა და ასე დაასრულა:

– რა მელის წინ?

მომთმენმა უპასუხა:

– უძველესი ხელნაწერები აცხადებს: „თქვენი საზღაური დამოკიდებულია თქვენს ნათქვამსა და ნამოქმედარზე“.<sup>8</sup> ამრიგად, არა მხოლოდ შენ მიერ გაკეთებული საქმეების, არამედ ყოველი სიტყვისთვისაც განისჯები. ეს მოიცავს ბოროტს, კარგს და იმ ფუჭ სიტყვებსაც, რომელიც შენი პირიდან გამოდიოდა. არა მხოლოდ საქმეებისა და სიტყვებისთვის განგსჯიან, არამედ მათ უკან მდგარი მოტივებისთვისაც. ასევე განისჯები გონებაში დაშვებული აზრებისთვის. არ დაგავინყდეს, რომ ჯეილინის სამსჯავრო სამართლიანია და „იკვლევს გონებასა და გულს“.<sup>9</sup> მან თავად განაცხადა: „მე, ჯეილინი, ვიკვლევ ყველას გულებსა და დაფარულ მოტივებს. ყველას თავის კუთვნილს მივაგებ, რაც დაიმსახურა თავისი ნამოქმედარის მიხედვით“.<sup>10</sup> იგი არა მარტო თითოეულ მოქმედებას და სიტყვას იკვლევს, არამედ მათ უკან მდგარ ზრახვებსაც.

მომთმენი ისევ განაგრძობდა:



– სწორედ ამიტომ ხარ განცვიფრებული, ტახტზე მჯდომი რომ დამინახე. შენ ენდელში ჩემი მიღწევების შუქზე შემაფასე. ჯეილინის მიდგომა განსხვავებულია; ამას თანდათანობით ხვდები და მალე შენთვის სრულიად ცხადი გახდება. ჩემო ძვირფასო ძმაო, ენდელში ცხოვრების შესაბამის საზღაურს მიიღებ.

ეგოისტს არასდროს მოუსმენია ასეთი მკაცრი სიმართლე. მიუხედავად ამისა, ნათქვამი ისეთი სიყვარულით იყო გაჯერებული, რომლის მსგავსი არასოდეს ენახა. ახლა კი მიხვდა, რომ ჯეილინი მოსიყვარულე, თანაგრძნობით სავსე მმართველი იყო, რადგან ამის მაგალითი მისი თანამმართველისგან სწორედ ახლა ნახა. მომთმენის სიტყვები სიყვარულში გახვეული შესწორება გახლდათ. მან გააცნობიერა, რომ სიყვარული მხოლოდ სხვათა ამება არ არის; ამას სიმართლესთან აქვს კავშირი.

მომთმენმა თავი დაუქნია:

– შენი მეფე გელოდება.

ეს თქვა თუ არა, მომთმენი თავის ტახტს დაუბრუნდა, ხოლო მთავარმა მცველმა ეგოისტს ანიშნა, რომ ტახტისკენ გზა მარტოს გაეგრძელებინა. მცველი იმ პლატფორმის დაბალ საფეხურზე უნდა დალოდებოდა, სადაც ქვემმართველთა ტახტები იყო განლაგებული.

## ეგოისტი ჯეილინის წინაშე

ეგოისტმა მითითებისამებრ ფრთხილად აიარა დიდებული ტახტის წინ მდებარე ბაქნისკენ მიმავალი საფეხურები. მან მალლა აიხედა და თავად მეფე იხილა. მთელს ამ კრებულში არავინ იყო ჯეილინივით წარმოსადეგი, მეფური და დიდებული. მისი ბრწყინვალეობა ერთდორულად გატყვევებდა და მოწინებას გგვრიდა. ეგოისტს მისი მსგავსი ადამიანი არ ენახა. მან მყისვე გააცნობიერა, რომ მის სიბრძნესა და ძალას ვერავინ აღუდგებოდა.

ეგოისტმა ჯეილინს პირველად გაუსწორა თვალი. იგი მიხვდა, რომ მეფე გაცილებით მოსიყვარულე და შიშის მომგვრელი იყო, ვიდრე წარმოედგინა. მისი თვალები თითქოს ეგოისტის მთელ არსებაში ატანდა და თავი გაშიშვლებული ეგონა. ცხადი იყო, რომ მეფეს ვერაფერი დაემალებოდა. ეგოისტმა მისთვის სასიკეთო გასამართლების ყოველგვარი იმედი დაკარგა, მაგრამ უკვე არაფერი ადარდებდა. ახლა ჭეშმარიტება ისე სწყუროდა, როგორც არასდროს.



ჯეილინმა წარმოთქვა:

– კეთილი იყოს შენი მოსვლა ჩემს სამეფოში, ეგოისტო! დიდი ხანი ველოდი ამ მომენტს. შენ ჩემი ხალხის მმართველი იყავი ენდელში. ხარ ღირსი, რომ კვლავ მართო და ერთ-ერთ ტახტზე იჯდე აფაბელში?

ჩვეულებრივ გაბედული ეგოისტი, რომელიც ლაპარაკზე უკან არასოდეს იხევდა, ახლა ხმას ველარ იღებდა. უცებ იგრძნო, რომ აფაბელის მმართველობაში დიდებული საქმეების კეთება შეეძლო, თუმცა დიდ დარბაზში მოსმენილი საუბრების შემდეგ მიხვდა, რომ ამგვარი ფიქრებით მხოლოდ თავს თუ მოიტყუებდა.

ჯეილინმა მის მახლობლად მყოფ ქვემმართველს ჰკითხა:

– რამდენ მოქალაქეზე მოახდინა ზეგავლენა ეგოისტმა ჩემი სამეფოს სასარგებლოდ?

რამდენიმე ადამიანი ჩამოთვალეს. ეგოისტს ელდა ეცა და უსიტყვოდ მოისმინა ეს გამოცხადება.

მეფემ ისევ ჰკითხა იგივე მმართველს:

– რამდენ ადამიანზე მოახდინა ზეგავლენა მომთმენმა?

– მის ანგარიშზე ხუთი ათას ადამიანზე მეტია, – უპასუხა მმართველმა.

– ეს როგორ? – ამოილულლულა ეგოისტმა, – ის ხომ მხოლოდ მდივანი იყო, მე კი მერი გახლდით. როგორ შეიძლება ჩემი რიცხვი ასე მცირე იყოს, ხოლო მისი – ასე ბევრი?

ჯეილინმა მტკიცედ უპასუხა:

– მე არ მითქვამს, რამდენ ადამიანზე მოახდინე ზეგავლენა, არამედ რამდენ ადამიანზე მოახდინე გავლენა ამ სამეფოს სასარგებლოდ!

მისი ხმა დარბილდა, მაგრამ სიმტკიცე შეინარჩუნა.

– შენს ძველ მასწავლებელს, მოტივატორს, რომელიც ახლა დამდაბლებულის სახელითაა ცნობილი, უფრო მეტი ზეგავლენა ჰქონდა ხალხზე, ვიდრე შენ. თუმცა ამ სამეფომდე მხოლოდ მცირედმა მოაღწია. სწორედ ამიტომ არ ერგო მას მმართველის პოზიცია ამ ქალაქში. გავლენა, რომელიც აქ, სამსჯავრო ტახტამდე აღწევს, ჩემს გზებსა და ჩემს მეფობას შეესაბამება.

ჯეილინმა ისევ განაგრძო:

– ნება მომეცი, მომთმენის მიერ ხუთი ათას ადამიანზე მოხდენილი ზეგავლენის შესახებ ცოტა რამ გიამბო. იგი გულუხვად სწირავდა სკოლას, როგორც ფინანსურად, ისე მსახურების თვალსაზრისით. ამრიგად, სკოლის მსახურებით სარგებლის მიმღები ადამიანები მის ანგარიშზე არიან.



ეგოისტი შეეპასუხა:

– მეც ხომ ვწირავდი სკოლას.

ჯეილინმა მიუგო:


– შენი შემოწირულობები შენივე სინდისის დამშვიდებას ხმარდებოდა ან შენი რეპუტაციის შენარჩუნება-განახლების მიზნით კეთდებოდა. ამისთვის სრული საზღაური მიიღე ენდელში. მომთმენი კი ჩემი სამეფოს მოშურნეობისა და ჩემი ხალხის სიყვარულის გამო სწირავდა.

მომთმენმა ჩემს ეკლესიურ მსახურებაზე მოიყვანა კაცი, რომელსაც მრისხანე ერქვა. ახლა ის ადამიანი სიცოცხლის დარბაზში ჩემს განაჩენს ელოდება. მისი ახალი სახელი მახარებელი იქნება, რადგან ჩემი გზების დიდი გადაძვინი გახდა. პირადად მან ათასზე მეტ ადამიანზე მოახდინა ზეგავლენა ჩემი სამეფოსთვის. მის მიერ აშენებული ყველა სიცოცხლე მომთმენის ანგარიშზეა, რადგან მრისხანე მან მოიყვანა ჩემს მსახურებაზე და მხარი დაუჭირა სკოლას, რომელმაც ის განვრთნა.

ეგოისტს გაახსენდა ხსენებული ადამიანი ენდელიდან. იგი ფიქრობდა, რომ მრისხანეს მეტისმეტი მოსდიოდა რწმენასთან დაკავშირებით. იგი თემის გაზეთთან თანამშრომლობდა და მის სტატიებში ხშირად ნახავდით გულისტკივილს აფაბელისადმი მოქალაქეთა მიძღვნის ნაკლებობის შესახებ. მრისხანე ხშირად აწყობდა უამრავი ენდელელისგან შემდგარ მიტინგებს საბჭოს წევრებთან შესახვედრად და სკოლის გაფართოების მხარდაჭერის მოთხოვნით. ეგოისტს მოახსენეს მისი უკმაყოფილების შესახებ, როცა მერმა კენჭისყრის მიმართულება შეცვალა და სკოლისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი გაასხვისა. ამ მიზეზების გამო ეგოისტს მრისხანე გულზე არ ეხატებოდა. ახლა მას სირცხვილი წვავდა იმის გაცნობიერების გამო, რომ ეს კაცი თურმე ყველაფერს აფაბელის სასიკეთოდ აკეთებდა. როგორ შეიძლებოდა ასე დაბრმავებული ყოფილიყო?

ჯეილინი კვლავ განაგრძობდა ეგოისტისთვის იმის ჩვენებას, თუ როგორ მოახდინა მომთმენმა ზეგავლენა ენდელელებზე სამეფოს სასარგებლოდ. მრავალმა მცირე წვირლმანმა ერთად ბევრი რამ შეადგინა. იგი ადამიანებს სიკეთით ეპყრობოდა სიყვარულით სავსე გულის გამო, გულუხვი იყო გაჭირვებულთა მიმართ და მტკიცედ იდგა ჭეშმარიტების გზაზე.

როცა მეფემ მომთმენზე მსჯელობა დაასრულა, ეგოისტის ცხოვრება სრულად განიხილა. როგორც მომთმენმა



უნინასწარმეტყველა, ყველა მოტივი, სიტყვა თუ საქმე შეფასდა.

ეგოისტმა დაინახა ყველა ის სიკეთე, რომელიც მეფის სახელით გააკეთა, მაგრამ გული დასწყვიტა ამ საქმეების კეთების მოტივებმა – საკუთარი თავისა და რეპუტაციის დაცვამ და ეგოიზმმა. განხილვის დასრულების დროისთვის ეგოისტი დარწმუნდა, რომ მისი ბედი გადანყვეტილი იყო.

მან მეფეს შეჰლაღადა:

– სასჯელს ვიმსახურებ მთელი ცხოვრების განმავლობაში. ლონის მიწაზე განდევნის ღირსი ვარ! რამდენი რამ გავფლანგე და რა ცოტა შევქმენი ჩემთვის ბოძებული ნიჭებისა და პასუხისმგებლობის სანაცვლოდ.


წარმოუდგენელი იყო ეგოისტის ტკივილი; ცრემლები ღვარად მოედინებოდა მის სახეზე. კაცი, რომელიც ესოდენ მხნე იყო დიდ დარბაზში შემოსვლის წინ, ახლა ხავსს ეჭიდებოდა. ერთადერთი, წყალობის იმედილა დარჩენოდა, მაგრამ გულის სიღრმეში თავს ამის ღირსადაც არ თვლიდა. ბოლოს ეგოისტმა თავი გაიმაგრა მეფისგან ლონის მიწაზე გადასახლების განაჩენის მოლოდინში.

მძიმედ ჩამოწოლილი სიჩუმის შემდეგ მეფემ სიტყვა წარმოთქვა:

– ეგოისტო, შენ ჩემი მსახური ხარ. ჩემი გნამდა და ჩემს უფლობას ემორჩილებოდი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაფლანგე. მიყვარხარ და ჩემს სამეფოში გეპატიჟები დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში!

ეგოისტი ადგილზე გაშეშდა. შემდეგ თვალები ალაპყრო და ცრემლებად დაიღვარა – არა მწუხარების, არამედ უზარმაზარი სიხარულის გამო. სრულიად მოიცვა ამ დიდებული მეფის წყალობამ და სიკეთემ. ერთ წამში ნათელი მოეფინა ჯეილინის ბუნებას, რაზეც აქამდე მხოლოდ სმენოდა. ერთი წუთის წინ თავი განწირული ეგონა და ისეთ ტკივილს განიცდიდა, რომლის არსებობაზე აქამდე წარმოდგენაც არ ჰქონდა. იგი განდევნის მეტს არაფერს იმსახურებდა. მისი ხვედრი დაღუპვა უნდა ყოფილიყო; ენდელში ცხოვრების გამოკვლევამ ეს დაადასტურა. ახლა, მოკრძალების მომგვრელი მეფე ყველაზე თანამგრძობი და სიკეთით სავსე სიტყვებით, რაც კი შესაძლებელია, დიდებულ ქალაქში ეპატიჟებოდა. რა წყალობაა! რა საოცარი სიყვარულია!

ეგოისტი უყურებდა, როგორ დაინვა თითქმის ყველაფერი, რაც ენდელში უკეთებია, მაგრამ ყურში კვლავ ხმიანობდა



სიტყვები: „მიყვარხარ და ჩემს სამეფოში გეპატიუები!“ მან გააცნობიერა, რომ მისმა მეგობარმა კმაყოფილმა სიმართლე უთხრა. რაც არ უნდა მიელო, მის დამსახურებას დიდად აღემატებოდა.

მეფემ ისევ დაილაპარაკა:

– ეგოისტო, შენ აღარ იწოდები ძველი სახელით. აი, მე შენ ახალ სახელს გაძლევ. ჩემს სამეფოში უპრეტენზიოს სახელით იქნები ცნობილი. შენთვის საცხოვრებელი გავამზადე დაბლობებზე და ლანდშაფტების დიზაინერად გნიშნავ. მართალია, ჩემი მმართველი ვერ იქნები, მაგრამ სამეფოს გარე ტერიტორიების მართვაში დამეხმარები.

ეგოისტმა კითხვა დასვა:

– გარე ტერიტორიების მართვაში დაგეხმარები?

ჯეილინმა უპასუხა:


– ამ ქალაქის ყველა მცხოვრები მმართველია. ჩემი სამეფო პლანეტის ყველაზე შორეულ კუთხეებსაც წვდება; აქ სხვა ბევრი ქალაქიც არსებობს. ამ გარე ქალაქების მკვიდრებს წვრთნა არ გაუვლიათ ენდელში აფაბელის მოქალაქეთა მსგავსად და არც სამსჯავროს წინაშე წარმდგარან. საბოლოო ჯამში, მათ არ აქვთ ამ ქალაქის მცხოვრებთა მსგავსი აღმატებული უნარები. და მაინც, შენ არ იქნები წინამძღოლი უშუალოდ აფაბელში. პლანეტის მასშტაბით ჩემს მმართველობაში დამეხმარები. განსაკუთრებული დავალებაც მოგეცემა – ბენგილიის კონტინენტის ოცი ქალაქის ლანდშაფტის დიზაინერთა წვრთნა და მომსახურება.

ეგოისტმა თავი დახარა და აქვითინდა. მეფის სიკეთე ყველაფერს აღემატებოდა.

მეფე მაგიდას მიუახლოვდა, რაღაც საგანი აიღო, შემობრუნდა და ისევ უპრეტენზიოსკენ გამოემართა. იგი ბაქანზე ჩამოვიდა და თქვა:

– ახლა, აიღე და ჭამე ეს ნაყოფი!

უპრეტენზიომ ნაყოფი აიღო ჯეილინის ხელიდან და იგემა. ეს ყველაზე გემრიელი საკვები იყო, რომელიც კი ოდესმე გაესინჯა. ნაყოფმა მისი გონება და გული განმინდა. მისი აზრები დიდმა სიყვარულმა და მსახურების სურვილმა აღავსო. ჭამისას ადრინდელი ტკივილისა და ბნელი აზრებისგან გასუფთავდა. მან სიძლიერე და ბედნიერება შეიგრძნო და იმედითა და რწმენით აივსო. დიდი ხანი არ დასჭირვებია იმის მიხვედრას, რომ ნაყოფი ცნობილი სიცოცხლის ხისა იყო, რომელზეც მასწავლებლები გაკვეთილებზე ლაპარაკობდნენ.



უპრეტენზიოს სახეს დიდი ღიმილი გადაეფინა, როცა ჯეილინი სიამოვნებით უმზერდა.

მეფემ უთხრა:

– შებრუნდი და შენს ოჯახს მიესალმე!

უპრეტენზიო ფრთხილად შემობრუნდა. იგი ჯერ კიდევ განიცდიდა სირცხვილის გრძნობას, რადგან მისი ცხოვრების დეტალები ყველამ გაიგონა და დაინახა. როცა ის სრულად შებრუნდა, ხალხი ოვაციებით და სიხარულის შეძახილებით შეხვდა. მუსიკა უკრავდა და ზოგიერთი მოქალაქე კიდევ ცეკვავდა. უპრეტენზიოს არც კი სჯეროდა, რომ ამ მეფური მოქალაქეებისგან ამხელა სიყვარულსა და გულთბილ მიღებას ნახავდა. ეს ის წამალი აღმოჩნდა, რომელმაც სრულად განკურნა ყველა შეცდომა, რაც ენდელში დაუშვია.


უპრეტენზიო მობრუნდა და ჯეილინის სახეზე ყველაზე დიდებული და სიხარულით სავსე ღიმილი შენიშნა. სწორედ ახლა დაინახა მეფის თვალები. ისინი უპრეტენზიოს ისეთი სიყვარულით და სითბოთი უყურებდნენ, რომლის მსგავსი ადრე არასოდეს ენახა. ახლა მას ჯეილინის ფიქრების გაგება შეეძლო, ისევე როგორც, მომთმენსა და სხვებს ესმოდათ მისი. ეს გახლდათ მიღების, სიამოვნებისა და წლების ნალოდინარი ნეტარების ფიქრები მისი საყვარელი მოქალაქეებისთვის. უპრეტენზიო მის ფეხებთან დაეცა და მადლობა უძღვნა მეფეს. მეფემ იგი ფეხზე წამოაყენა, გადაეხვია და ღიმილით უთხრა: „კეთილი იყოს შენი მოსვლა, მეგობარო!“

შემდეგ უპრეტენზიო თავის ადგილამდე მიაცილეს აუდიტორიის ბოლოსკენ, სადაც ის მეგობარი ენდელელების განაჩენს უნდა დალოდებოდა. ყოველი ცრემლი მოსწმინდეს. აქ აღარ იყო მწუხარება, ტკივილი ან ტირილი. ძველი გადავიდა.

## მონყალეზა და მისი ბანაკითხვა

დილა გავიდა და ყველა მოქალაქე სიცოცხლის დარბაზში გამოიძახეს გარდა მონყალეებისა. იგი მარტო დარჩა. ეს სულაც არ იყო სამძიმო, რადგან ოთახს ქალაქის ავტორების მშვენიერი ნიგნები ავსებდა. იგი აფაბელის მეორე ნეშტთას კითხულობდა, როცა მის დასაძახებლად მთავარი მცველი მოვიდა. მან თბილად მიმართა: „მონყალეზა, შენი მეფე გელოდება!“

მონყალეზას სიხარულით გული აუძგერდა. ახლა მას იმ მეფის ხილვის პატივი ერგო, რომელსაც დიდი ხანი ელოდა და უყვარდა. ამ მომენტს წლები ელოდა და ახლა ეს უნდა



მომხდარიყო. მცველმა მოახლოებისას გაულიმა და ერთად გაემართნენ დიდი დარბაზისკენ.

როცა დარბაზის კარი გაიღო, მოწყალემა იქ ნანახმა სიდიადემ აავსო. მიუხედავად ამისა, მისი ყურადღება ჯეილინის შორეულმა ტახტმა მიიპყრო. ამ დროისთვის იქ მხოლოდ სილუეტს ხედავდა. მოწყალეებამ თვალი მოავლო აფაბელის სამეფო მოქალაქეთა კრებულს.

– რა გამორჩეული ხალხია, – გაიფიქრა მან, – როგორ შეიძლება ამ მეფური შესახედაობის მამაკაცებისა და ქალების თანასწორად მივიჩნიო თავი?

მან შენიშნა, რომ მოქალაქეები თავს უკრავდნენ, როცა მათ რიგებს შორის გაივლიდა. რატომ სცემდნენ თაყვანს ეს ღირსეული მამაკაცები და ქალები? ისინი წარმოსადეგები და ლამაზები იყვნენ და მათი სამოსის დიდებულებაც ტახტთან მიახლოების კვალობაზე იზრდებოდა. ისინი ზეადამიანებევით გამოიყურებოდნენ. როგორ შეიძლებოდა მოწყალეებს თავის დაკვრით მისალმებოდნენ?

ახალგაზრდა ქალმა რამდენიმე ენდელეი იცნო. მათ ღიმილში მისი სრული მიღება და სიყვარული გამოსჭვიოდა. მოწყალეებს შეჩერება და ყოველი მათგანის გულში ჩაკვრა სურდა, \მოწყალეებამ გაიღიმა:

– შერიგებულო, ძალიან მიხარია შენ გამო! მთელი დარჩენილი ცხოვრება მოგემსახურები.

– მოწყალემა, შენ უკვე ისე ლაპარაკობ, თითქოს აფაბელში წლების განმავლობაში გეცხოვროს! – უპასუხა შერიგებულმა, – ჩვენ ერთმანეთის სამსახურისთვის ვცხოვრობთ ამ დიად ქალაქში. ფაქტობრივად, აქ წინამძღოლებად უდიდესი მსახურები არიან. ყველაზე რთული მოვალეობები გვაკისრია და მათი შესრულება ჩვენი სიამოვნებაა. ენდელში ყველაფერი სხვაგვარადაა. აქაური წინამძღოლები სხვებს არ იმსახურებენ, არამედ ხარობენ იმით, რომ თავად აქვთ მომსახურების მეტი შესაძლებლობა. აქაური მოქალაქეების უდიდესი სიხარულია, უპირველეს ყოვლისა, მეფის მსახურება, ხოლო შემდეგ, თანამოქალაქეთა მსახურება, განსაკუთრებით კი მათი, ვინც ჩვენზე ენდელში ზეგავლენა მოახდინა და ბოლოს, გარე ტერიტორიების მოქალაქეთა მომსახურება, რომელთა შესახებ მალე გაიგებ.

შერიგებულმა ასე დაასრულა:

– ჩემო ძვირფასო დაო, შენით ვამაყობ! ნადი შენს მეფესთან! იგი დიდი ხანია ელოდება შენს ნახვას და სამსახურისთვის ჯილდოს გადმოცემას.

ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ. მოწყალემა ისევ მცველთან მივიდა და ტახტისკენ გზა განაგრძეს.



## მონყალეზა ჯეილინის წინაშე

ჯეილინის სილუეტი უფრო მკაფიოდ გამოჩნდა, როცა მონყალეზა მას დაახლოებით 75 ფუტის (22 მეტრი) მანძილზე მიუახლოვდა. იგი ქვემმართველთა რიგებს ისე გაცდა, რომ მათი თავის დახრა არც კი შეუმჩნევია. მონყალეზის მზერა მხოლოდ ჯეილინისკენ იყო მიმართული. იგი მოხიბლა მისმა დიდებულმა ბრწყინვალეობამ.

მონყალეზა საფეხურებზე ადიოდა და ბაქანს რომ მიადგა, მეფის წინაშე განერთხა. ჯეილინი დაბლა ჩამოვიდა და ქალი ფეხზე წამოაყენა. მისი ხმა სინაზით იყო სავსე:

– მონყალეზა, ჩემო ძვირფასო მსახურო, კეთილი იყოს შენი მობრძანება ჩემს სამეფოში! დიდი ხანი ველოდი ამ წუთს, როცა პირადად გნახავდი.

მონყალეზამ მიუგო:

– ბატონო, სწორედ მე ველოდი დიდი ხანი ამ წუთს! შენ ჩემი მეფე ხარ. ვიმედოვნებ, რომ ამიერიდან შენს თანდასწრებაში ვიქნები დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში, რომ უფრო მეტი სისრულით გემსახურო. ამის შემდეგ მეფემ წარმოთქვა:

– მოდი და დაიმკვიდრე ქვეყნიერების შექმნიდან შენთვის განკუთვნილი სამეფო! მშვიერი ვიყავი და დამაპურე; მწყურვალი ვიყავი და მასვი; უცხო ვიყავი და სახლში შემიფარე, შიშველი ვიყავი და შემმოსე; ავადმყოფი ვიყავი და მომიარე, ციხეში ვიყავი და მომიხატულე.


განცვიფრებულმა მონყალეზამ უპასუხა:

– როდის გიხილე, უფალო, მშვიერი და დამაპურე? ან მწყურვალი და მასვი? როდის იყავი უცხო და ჩემს სახლში მიგიღე ან შიშველი შეგმოსე? როდის მინახინარ სნეული ან ციხეში როდის მოგინახულე?

მეფემ მიუგო:

– გეუბნები, რაც გაუკეთე ერთს ჩემს მცირე და-ძმათაგანს, მე გამიკეთე!“<sup>11</sup>

შემდეგ ჯეილინმა აჩვენა მონყალეზას, რა დიდად მოემსახურა მას სხვა ადამიანების შეწევნით და მისი მცნებების მორჩილებით. მისი ცხოვრება განიხილეს: ყოველი სიტყვა, საქმე, აზრი და გულის მოტივი. ყველაფერი გამოვლინდა: მისი მსახურება, მისი შეწირულობები სკოლისთვის; სიყვარული, რომელსაც თანამოქალაქეების მიმართ ავლენდა, ფუჭ და არამართებულ საქმიანობასა და დისკუსიებში მონაწილეობაზე უარის თქმა; დევნა, რომელიც ჯეილინისადმი მოშურნეობის



გამო გადაიტანა; მისი შრომა სხვების მოსამსახურებლად რესტორნის მეშვეობით; გზასაცდენილი სულების მოპოვება, დაღუპულთათვის საათობით ოხვრა და ტირილი ლოცვაში; ჯეილინის გზებზე მტკიცედ და განუხრელად დგომა, ჯეილინისადმი მოშურნეობის გამო სოციალური შეკრებებიდან გარიცხვა, თანამოქალაქეების საწინააღმდეგოდ ლაპარაკსა და ჭორაობაში მონაწილეობაზე უარის თქმა და კიდევ ბევრი რამ.

მონყალება გაოგნებული დარჩა ყველა იმ საშუალებების დანახვით, რომლებითაც სხვების სასიკეთოდ იმოქმედა და ზეგავლენა მოახდინა. ბევრი რამ, რითაც ჯეილინს დიდება შემატა, წინასწარ დაგეგმილი და გააზრებული არ ყოფილა. იგი უბრალოდ, იმ ცხოვრების სტილს მიყვებოდა, რომელიც უძველეს ხელნაწერებში დაინახა.

იყო სხვა საგნები მონყალების ცხოვრებაში, რომლებიც დაინვა. ამან მას დიდი მწუხარება მოჰგვარა და ყველა გამოუყენებელი შესაძლებლობა და ჩადენილი შეცდომა შეინანა. მიუხედავად ამისა, მისი ცხოვრებისეული შრომის მხოლოდ მცირე ნაწილი დაიკარგა.

## მონყალების საზღაური

მისი საბოლოო სიტყვებისა და აზრების განხილვის შემდეგ მეფემ მის გვერდით მყოფ ქვემმართველს გადახედა და ჰკითხა:

– რამდენი ადამიანის ცხოვრებაზე მოახდინა მონყალებამ ზეგავლენა ჩემი სამეფოს სასიკეთოდ?

მმართველმა უპასუხა:

– 5183 ადამიანზე, ჩემო უფალო! ეს ცოტათი აღემატება საზოგადოების მოსახლეობის ერთ მეექვსედს.

მონყალებას გაუკვირდა:

– როგორ შეიძლება ამდენი იყოს?

ჯეილინიმა უპასუხა:

– გაიხსენე უძველეს ხელნაწერებში ჩემ მიერ შეპირებული, რომ გავამრავლებდი თქვენს თესლს და გავზრდიდი თქვენი სიმართლის ნაყოფს!<sup>12</sup> მონყალება, ჩემი სამეფო გამრავლების პრინციპით მოქმედებს.

შემდეგ მეფემ დეტალურად აჩვენა, როგორ გამრავლდა ხალხზე მისი მორჩილებით აღსავსე ძალისხმევის გავლენა, მიუხედავად იმისა, რომ მონყალება საზოგადოების ლიდერი არ ყოფილა. ტალღის ეფექტი საოცარი აღმოჩნდა. ჯეილინიმა დაამატა:



– როგორც დაწერილია, „[კეთილშობილმა ადამიანმა] გაფლანგა, ღარიბებს დაურიგა; მისი სამართლის, სიკეთისა და კეთილშობილების საქმეები გაგრძელდება და უკუნისამდე დარჩება!“<sup>13</sup> ჩემთვის დამორჩილებულ ცხოვრებას გავრცობის ეფექტი აქვს, რომლის შესახებაც არც ერთ მოქალაქეს არ აქვს სრული წარმოდგენა, სანამ განკითხვის ტახტის წინაშე არ წარდგება. სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც ბევრი მორჩილებას არ იჩენს წვრილმან საკითხებში, რადგან უმნიშვნელო ჰგონიათ. ხშირად, ერთი შეხედვით არაარსებითი საქმე უდიდეს მოსავალს წარმოშობს ღვთის სამეფოში. შენი მორჩილება ნებისმიერ გარემოებაში ამის გასაღები იყო.

შემდეგ ჯეილინმა თქვა:

– მონყალება, ხედავ თავისუფალ ტახტს შენს მარცხნივ, ჩემს მახლობლად?

მან უპასუხა:

– დიახ, ჩემო უფალო!


ეს შენი ტახტი იქნება, რომელზეც დაჯდები და მართავ ერთად მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე.

მონყალება სრულიად გაოგნდა.

– უფალო, მმართველობის ღირსი არ ვარ! უბრალოდ, რესტორნის მეპატრონე ვიყავი. რამდენი ადამიანია ჩემზე მეტად ნიჭიერი. როგორ შევძლებ ასეთი დიდებული სამეფოს შენთან ერთად მართვას? ეგოისტი ჩვენი საზოგადოების დიდი ლიდერი იყო. მასზე რას იტყვი? გთხოვ, ისეთი სამუშაო მომცე, რომელიც შენ ან შენს ერს მოემსახურება!

ჯეილინმა უპასუხა:

– ეგოისტი დიდი დარბაზის შორეულ ბოლოშია და ჩვენი ქალაქის დაბლობებად ნოდებული ნაწილის ლანდშაფტების დიზაინერი იქნება და იგივე მსახურებას გასწევს შერჩეულ გარე ქალაქებში. შენ კი მმართველი იქნები ჩემსა და ჩემი ხალხის მიმართ გამოჩენილი სიყვარულის გამო. შენმა მოთმინებამ, ერთგულებამ და თავმდაბლობამ ეს პატივი მოგიმზადა. არ გახსოვს ჩემი სიტყვები უძველესი ხელნაწერებიდან? „ყველა, ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება (რანგით სხვა პატივდებულებზე ან დაჯილდოებულებზე დაბლა იქნება), ხოლო ვინც თავს დაიმდაბლებს (საკუთარ თავზე თავმდაბლური შეხედულება ექნება და შესაბამისად მოიქცევა), ამაღლდება (რანგით მაღლა აიწევს)“.<sup>14</sup> მხოლოდ ჩემი თანამმართველი როდი იქნები. შენთვის დიდებული სახლიც მოვამზადე დიდი ზღვის სანაპიროზე, ჩემი სახლის მახლობლად სამეფო ცენტრში.



ვიცი, როგორ გიყვარს წყალი და ტალღების ხმა, ამიტომ შენი სურვილი და სიამე დავაკმაყოფილე. ყველა ერთგულ მსახურს თავისი გულის სასურველს მივცემ.

მონყალება ხმას ველარ იღებდა.

მეფე კვლავ განაგრძობდა:

– ამ ქალაქის ათი რაიონის მმართველი იქნები. შენს გარდა კიდევ არის თერთმეტი მმართველი. თქვენ ზედამხედველობას გაუწევთ აფაბელის ქალაქის 120 რაიონს. ჩემთან ახლოს იქნებით ამ ქალაქის სხვა სამოცდაშვიდ წინამძღოლთან ერთად, რომლებიც ამ ტახტებზე სხედან. სხვა მმართველები ისეთ სფეროებს ხელმძღვანელობენ, როგორცაა განათლება, წარმოება, გართობა, ხელოვნება და სხვები. მე, მამაჩემი და ეს სამოცდაშვიდი მმართველი აფაბელის ცხოვრებას ვგეგმავთ, წინასწარ ვჭვრეტთ და ვზედამხედველობთ. შენ ჩემი ერთ-ერთი სანდო მრჩეველი და შუამავალი იქნები ჩემსა და მოქალაქეებს შორის.

არა მარტო ჩემი თანამმართველი იქნები ამ ქალაქში, არამედ, სხვა სამოცდაშვიდ მმართველთან ერთად გარე ტერიტორიების ქალაქების ზედამხედველობაც დაგეკისრება. ბენგილიის კონტინენტის ოც ქალაქზე გქონდეს ხელმწიფება. შენ კონტინენტის პრემიერ-მინისტრი იქნები. ყველა, ვინც აქ ცხოვრობს და მართავს, შენს წინაშე ანგარიშვალდებულია. შენ მხოლოდ ჩემს წინაშე იქნები პასუხისმგებელი.

როცა ჯვილინი მონყალებას ამ სიტყვებს ეუბნებოდა, თანაკლასელის გამო სიხარულით აღვსილი უპრეტენზიო მის უკან დადგა. და მაინც, მის სახარულს სინანულის გრძნობაც ერთვოდა. მას ეგონა, რომ ამ სამეფოსთვის ათასობით ადამიანის სიცოცხლეზე ახდენდა ზეგავლენას, სინამდვილეში კი ასე არ აღმოჩნდა. მასაც შეეძლო, ყოფილიყო ერთ-ერთი მმართველთაგანი, რომელსაც ჯვილინის გვერდით შრომის პრივილეგია ექნებოდა. მას მაღლიერება ავსებდა, რომ აფაბელის სამეფოში მიიღეს, თუმცა იმასაც აცნობიერებდა, რომ ენდელის ხანმოკლე ცხოვრება ფუჭად გაფლანგა და დარჩენილ 130 წელს ამის შედეგი უნდა ევნია.

ამის შემდეგ მეფემ მთავარ მცველს უთხრა:

– მომიტანე გამარჯვებულის გვირგვინი და მმართველის კვერთხი!

როგორც კი ჯვილინმა მოთხოვნილი საგნები მიიღო, მონყალებას გვირგვინი დაადგა თავზე.

– ყოჩაღ! – შესძახა მეფემ, – შენ სანდო მსახური ხარ. ერთგულება გამოიჩინე იმ მცირედში, რაც მოგეცი, ამიტომ ჯილდოდ 10 რეგიონისა და ოცი ქალაქის მმართველი იქნები.<sup>15</sup>



შემდეგ მეფემ ქალს კვერთხი გადასცა და უთხრა:

– ამიერიდან აღარ იწოდებოდე მონყალეზად, რადგან ახალ სახელს გაძლევ. შენ იქნები ნანატრი მძლეველი. განა არ ვუთხარი ენდელის მოქალაქეებს: „ვინც გაიმარჯვებს და ბოლომდე შეასრულებს ჩემს ნებას, მივცემ ძალაუფლებას რეგიონებსა და ერებზე – ის დამწყემსავს რკინის კვერთხით, როგორც მე მივიღე ჩემი ძალაუფლება მამისგან“?<sup>16</sup>

ჯეილინი მაგიდასთან მივიდა, რომელზეც ერთი ცალი ნაყოფი დარჩენილიყო. მან ის ნანატრ მძლეველს მიუტანა და უთხრა:

– ჩემო ძვირფასო მეგობარო და თანამმართველო, შეგიძლია იგემო სიცოცხლის ხის ნაყოფი.

შეჭამა თუ არა ნაყოფი, ნანატრმა მძლეველმა საოცარი სისუფთავე და განწმენდა განიცადა სხევის მსგავსად, რომლებმაც ასევე იგემეს ეს გემრიელი საკვები. მისი აზრები უფრო მეტი სიყვარულით აივსო და მომსახურების სურვილმა იმხელა მასშტაბებს მიაღწია, ადრე რომ არასოდეს წარმოედგინა. იგი ყოველგვარი ტკივილისა და ენდელის ბნელი აზრებისგან განიწმიდა. ყოველივე განახლდა. მან ჯეილინს შეხედა და გაუღიმა. შემდეგ გაუცნობიერებლად, თუ რატომ მოიქცნენ ასე, მხიარულად გაიცინეს. ეს გახლდათ ახალი თანამშრომლობის დასაწყისი, რომელიც მთელი სიცოცხლე გაგრძელდებოდა.


ნანატრი მძლეველი ხმაურიან აპლოდისმენტებზე შემობრუნდა. აუდიტორია დიდმა სიხარულმა მოიცვა და ყველა ააცეკვა. ეს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სხვა განკითხვების დროს მომხდარა. ჰაერი სიხარულისა და ზეიმის შეგრძნებით გაიჟღინთა. ნანატრი მძლეველის სახე სხივოსანმა ღიმილმა გაანათა. ასეთი სიყვარულის გადმოღვრამ იგი განაცვიფრა. მისმა მეფემ მხარზე ხელი გადახვია და დიდი სიხარულით შესძახა:

– ყოჩაღ, კეთილო და ერთგულო მსახურო! შემოდი შენი ბატონის სიხარულში!<sup>17</sup>

ასე დასრულდა დიდი მეფის, მისი მსახურებისა და აფაბელის სამეფოს ამბავი.

### ღარიბებისა და გაჭირვების სიტყვა

ამ თავში თვალი შევავლეთ, თუ როგორი იქნებოდა წმიდანების განკითხვა. არ შემიძლია, ხაზგასმით არ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ქრისტეს სამსჯავროს სიღიადე გაცილებით



აღმატებულია, ვიდრე ამ ამბავში აღწერილი ნებისმიერი ღიღება. და მაინც, ეს ალეგორია ღვთის სამეფოს მრავალ ჭეშმარიტებას აღწერს.

აფაბელში გადმოცემული დეტალები მიზნად არ ისახავს ჭეშმარიტების დაფუძნებას, არამედ მის გავრცობას და გადმოტანას. როცა იესო იგავებს ყვებოდა, თქვენთვის გასაგები იყო მათი დედააზრი და მცირე დეტალებით არ შებრკოლებულხართ, რომლებიც უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ მის მიერ გადმოცემულ ჭეშმარიტებაში.

ესეც რომ არა, შევეცადე გულმოდგინედ გამესვა ხაზი ამ ამბის მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებებისთვის, რომლებიც ქრისტეს საუკუნო სამეფოსთვის არსებითია. იმ დროისთვის, როცა წიგნს დაასრულებთ, ალეგორიის ხელმეორედ ნაკითხვა შეგეძლებათ და სავარაუდოდ, შესაბამის თავებში გადმოცემული წმიდა წერილის სწავლებების მეტ სიღრმეებსაც აღმოაჩინებთ.

## თავი 9

### ზენა

*„მე კი სიმართლეში ვიხილავშენს სახეს, გამოღვიძებისას  
შენი სახების მზერით გავძღები“.*

ფს. 17:15

სხლა მოდი, ვიმსჯელოთ მართლის გარდაცვალებაზე. როგორც ურწმუნოს განსასვენებელი ადგილია ჰადესი და საბოლოოდ, ცეცხლის ტბა, ისე გარდაცვლილი მორწმუნეებისთვისაც არსებობს ორი სამყოფელი. ახლანდელ სამკვიდრებელს ყველაზე ხშირად ზეცას უწოდებენ, მაგრამ წმ. წერილში *ზეციური იერუსალიმის* სახელითაა ცნობილი. მართლების საბოლოო სამყოფელსაც იერუსალიმი ჰქვია, მაგრამ ის დედამინაზე მდებარეობს. ეს გახლავთ განკითხვის შემდეგ ციდან დაშვებული ქალაქი და მას *ახალი იერუსალიმი* ეწოდება (იხ. გამოცხ. 21:2).

### ზენა იერუსალიმი

„არამედ მიეახლეთ სიონის მთასა და ცოცხალი ღვთის ქალაქს – ზეციურ იერუსალიმს და ათიათასობით ანგელოზს, მოზიემე საკრებულოს და ცაში ჩანერილ პირმშოთა ეკლესიას, ყოველივეს გამკითხავ ღმერთს და განსრულებულ მართალთა სულებს; და ახალი აღთქმის შუამავალს – იესოს და საპყურებელ სისხლს, რომელიც აბელის სისხლზე უკეთ მეტყველებს“ (ებრ. 12:22-24)

ზეციური იერუსალიმი ანუ „ზენა იერუსალიმი“ (იხ. გალ. 4:26), გახლავთ ჩვენს ალეგორიაში აღწერილი აფაბელის მსგავსი ქალაქი. იგი აშენებულია სიონად წოდებულ მთაზე. იქ მამა და ძე ღმერთი ცხოვრობენ ურიცხვ ანგელოზთან ერთად. საერთო კრებულის და პირმშოთა ეკლესიის, ძველი აღთქმის წმიდანებისა და იესო ქრისტეში გარდაცვლილების სამყოფელიც ზენა იერუსალიმი გახლავთ.

ყურადღება მიაქციეთ, რომ „განსრულებულ მართალთა სულებიც“ იმ ქალაქში არიან. რას წარმოადგენენ ეს ადამიანები?

ავტორმა ხომ უკვე ჩამოთვალა როგორც ძველი, ისე ახალი ალთქმის წმიდანები, რომლებიც თავიანთი საზღაურისთვის იღწვოდნენ?

გაიხსენეთ, რომ ღვთის სულიწმიდის მემვეობით ზეციდან შობისას ახალი ქმნილებები გავხდით. ჩვენი სულები სრულყოფილი ხდება ქრისტესთან ერთად და ჩვენ მასში ვართ. ამ მუხლში ავტორი ადამიანების სამშვიინველსა და სხეულზე კი არ მიუთითებს, არამედ მხოლოდ სულებზე. პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ ლაპარაკია წმიდანებზე, რომლებიც იესოს აქ, დედამინაზე ემსახურებიან. იფიქრეთ ამაზე! ებრაელთა წერილის ავტორი ასე მოგვინოდებს: „ამიტომ, გაბედულად მივეახლოთ მადლის ტახტს“ (ებრ. 4:16). მადლის ტახტი ღვთის ქალაქის შუაგულშია განთავსებული და ეს მონოდება ჩვენ, დედამინაზე მყოფებს გვეკუთვნის. შესაძლებელია თუ არა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი მორწმუნეები დედამინაზე კარგად იყვნენ ცნობილი სატახტო დარბაზში, რადგან იქამდე მათი ლოცვები ხშირად აღწევს?

ჩვენ ვართ სულები სამშვიინველით – ინტელექტის, ნებისა და ემოციების კომბინაციით – და ამჟამად ფიზიკურ სხეულში ვცხოვრობთ. იესომ თქვა, რომ ღვთის ნამდვილი თაყვანისცემა შესაძლებელია მხოლოდ „სულით და ჭეშმარიტებით“ (იოან. 4:24). პავლეც გამოკვეთს იგივე აზრს: „მემონმება ღმერთი, რომელსაც ჩემი სულით ვემსახურები მისი ძის სახარებით“ (რომ. 1:9). ჩვენი სულები ღვთის ხატად არიან შექმნილი და ჩვენ ხელახლა ვიშვით, ამიტომ იესოს სისხლისა და სულიწმიდის ძალით გვეძლევა ღვთის მადლის ტახტთან მისვლის შესაძლებლობა ნებისმიერი საჭიროებისას ან თაყვანისცემის სურვილის გამო.

## ზეცის მონახულება

ზენა იერუსალიმი ახლა მესამე ცად წოდებულ ადგილას მდებარეობს. ეს რეალური ადგილია, რომელიც პავლე მოციქულმა სიკვდილამდე მოინახულა. მან ასე დაწერა:

„მივალ უფლის ხილვებთან და გამოცხადებებთან. ვიცი კაცი ქრისტეში, რომელიც თოთხმეტი წლის წინათ – არ ვიცი, სხეულში, არ ვიცი, სხეულის გარეთ, ღმერთმა იცის, – სამოთხემდე იქნა ატაცებული. და ვიცი ამ კაცის შესახებ – თუმცა სხეულში იყო, თუ სხეულის გარეშე, არ



ვიცი, ღმერთმა იცის, – რომ ატაცებულ იქნა სამოთხეში და ისმენდა გამოუთქმელ სიტყვებს, რომელთა გამოთქმა ნებადართული არა აქვს ადამიანს“. (2 კორ. 12:1-4 NIV)

ბიბლიის მკვლევარები თანხმდებიან, რომ პავლე საკუთარ თავზე ლაპარაკობდა. ფაქტობრივად, ბიბლიის New Living Translation ვერსიაში მეორე მუხლი ასეთი სახით გვხვდება: „თოთხმეტი წლის წინ ატაცებული ვიყავი მესამე ცამდე“. ყურადღება მიაქციეთ, რომ პავლესთვის უცნობი იყო, სხეულით აიტაცეს თუ სხეულის გარეშე. ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ზეცა რეალური და ფიზიკური ადგილია. აღმოვაჩინე, რომ მრავალი ადამიანის აზრით, ეს არის უჩინარი ტერიტორია, სადაც ადამიანები აჩრდილებივით დაფარფატებენ. არა, ეს გახლავთ ფიზიკური ადგილი თავისი ქუჩებით, ხეებით, ცხოველებით, შენობებით, წყლით და ასე შემდეგ.

ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც ზეცად ავიდნენ და უკან დაბრუნდნენ პავლეს მსგავსად, მაგრამ ნება მომეცით, ჩემთვის ერთ-ერთი გამორჩეული ამბავი გაგიზიაროთ. ერთი მეგობარი მყავს, პასტორი გრეგი. 1979 წლის ოქტომბრის ერთ საღამოს მსახურებიდან დაბრუნებულმა პასტორმა ცოლი კიბის საფეხურებზე დამხობილი და მწარედ მოქვიითინე იპოვა. იგი მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც სერიოზული მოხდა. გრეგმა მალევე შეიტყო, რომ მათმა 10 წლის ვაჟმა, ჯასტინმა<sup>1</sup> სანოლ ოთახში პატარა ტელევიზორი შეიტანა, რომ აბაზანის მიღების დროს ფეხბურთის თამაშისთვის ეყურებინა. მან შემთხვევით ტელევიზორის მავთულს ხელი გამოჰკრა, აბაზანაში ჩამოაგდო და ელექტროშოკი მიიღო.

როცა გრეგმა ვაჟი იპოვა, მას პულსი აღარ უცემდა, სხეული გაციებოდა და ლურჯი შეფერილობა მიეღო. ბიჭს თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ ტვინი აღარ მუშაობდა. გრეგს მაშველთა კურსები ჰქონდა გავლილი და პირველადი დახმარების წესები კარგად შეისწავლა ლოს ანჯელესის რეგიონის შერიფის დეპარტამენტში შერიფის მოადგილედ მუშაობის დროს. იგი მრავალი სიკვდილის მოწმე გახლდათ. ისევ პოლიციის ოფიცერი რომ ყოფილიყო, მსგავს ვითარებაში დაზარალებულს მკვდრად გამოაცხადებდა და საქმეში კორონერს ჩართავდა სიკვდილის მიზეზის გამოსაძიებლად.

ახლა გრეგი მორწმუნე გახლდათ და კარგად იცოდა ლოცვის ძალა. მან ლოცვა დაიწყო და შვილს გულის

სარეანიმაციო მასაჟი გაუკეთა. რამდენიმე წუთის შემდეგ გამოძახებული პარამედიკოსებიც მოვიდნენ, ამიტომ გრეგმა საქმე პროფესიონალებს მიანდო და თავად ლოცვა გააგრძელა. ორმოცდახუთი წუთის მანძილზე ჯასტინის სხეულში სასიკეთო არაფერი მომხდარა. ელექტროკარდიოგრამა სწორ ხაზს უჩვენებდა. პარამედიკოსები აღელდნენ, რადგან შედეგს ელოდებოდნენ წარმოუდგენელ ვითარებაში.

ბოლოს გრეგმა ასე ილოცა: „მამა, მეტი რწმენა აღარ მაქვს. ჩემი უკვე ამოვწურე, მაგრამ ვიცი, რომ შენს სიტყვაში სხვა რწმენაზე ლაპარაკობდი“, (იგი რწმენის ნიჭს გულისხმობდა, რომელზეც 1 კორ. 12:9 ლაპარაკობს).

გრეგმა თქვა, რომ იგრძნო, როგორ დაედო თავზე ხელი. ამის შემდეგ შინაგანიდან ძალზე ძლიერი ძალისა და ძალაუფლების მოდინება განიცადა და შვილს შესძახა: „შენ იცოცხლებ და არ მოკვდები იესო ქრისტეს სახელით!“

მოულოდნელად კარდიოგრამის აპარატი ამუშავდა და ეკრანზე პულსის მანიშნებელი მოძრაობები გაჩნდა. პარამედიკოსები გაკვირვებისგან შეხტნენ. იმ დროისთვის, როცა ჯასტინი კიბეებზე ჩაჰყავდათ სასწრაფო დახმარების მანქანაში დასაწვენად, მან მოვარდისფრო შეფერილობა მიიღო, თვალის მგრძობელობა აღუდგა და სხეული გაუთბა.

გრეგი აღტაცებამ მოიცვა. მისი ვაჟი გაცოცხლდა და კარგად იყო. მასაც გაუჩნდა სასწაულებრივი ისტორია ღვთის ნამოქმედარის შესახებ, რომელსაც ყველა მეგობარს გაუზიარებდა. იგი ერთ რამეს ვერ აცნობიერებდა მხოლოდ, რომ მისი ვაჟის სიცოცხლისთვის ბრძოლა მხოლოდ ახლა იწყებოდა.

ექიმებმა დიაგნოზი წარმოადგინეს, რომ ბიჭი კომაში იყო. გასინჯვის შემდეგ კათეტერიდან გამოსული თირკმლის ქსოვილის ნაფლეთი იპოვეს. საერო ტერმინით ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი სხეული იშლებოდა. გრეგს უთხრეს, რომ თუ მისი ვაჟი იცოცხლებდა, სრულიად უმოძრაო დარჩებოდა. მოგვიანებით მათ ანგარიშში აღნიშნეს, რომ ჯასტინის სხეულის მდგომარეობა სამი თვის ბავშვის ტოლი იქნებოდა, ხოლო IQ – 0.01.

მოკლედ რომ მოვყვეთ, ოჯახის შვიდთვიანი ლოცვისა და დანებებაზე უარის თქმის შემდეგ, ჯასტინი მოულოდნელად კომიდან გამოვიდა. მამამისი საწოლთან ეჯდა, როცა ეს მოხდა და შვილს კითხვები ტყვიამფრქვევივით დააყარა, რომლებზეც მიესყული პასუხები მიიღო. ჯასტინმა საშუალო სკოლა, ლოს

ანჯელესის უნივერსიტეტი და ბიბლიის სკოლა წარჩინებით დაამთავრა. იგი დამამთავრებელ კლასში პრეზიდენტიც კი გახლდათ. დღეს მას ბედნიერი ოჯახი აქვს და ორი შვილის მამაა.

## „მამა, მე იესოსთან ვიყავი“

სამი დღის შემდეგ ჯასტინი საავადმყოფოდან გამოწერეს. გრეგმა შენიშნა, რომ მის ვაჟს სახე სულ განითლებოდა. მან ჰკითხა:

– რა ხდება, ჯასტინ?

ჯასტინმა უპასუხა:

– მამა მე იესოსთან ვიყავი. როცა ტელევიზორი აბაზანაში ჩამოვარდა, არაფერი არ მიგრძენია. უზარმაზარმა ანგელოზმა მარჯვენა მკლავში ხელი წამავლო და სხეულიდან ამომათრია. გვირაბში საოცარი სიჩქარით მივქროდი. ალბათ სინათლის სისწრაფე განვავითარეთ, სანამ ზეცის ერთ-ერთ ქუჩაზე არ დავეშვით.

ჯასტინმა მამას უამბო, რომ ქუჩები მოოქროვილი კი არა, სუფთა ოქროსი და იმდენად გამჭვირვალე იყო, რომ საკუთარი თავის დანახვაც შეეძლო. დედამინაზე შეუძლებელია ოქროს ისე განმეინდა, როგორც ზეცაშია. იქ წმინდა ოქრო გამჭვირვალეა. ხშირად დედამინაზეც კი იყენებენ მას ფანჯრების მოსაოქროვებლად (იფიქრეთ ასტრონავტების ძველი ჩაფხუტების ფარებზე, ზოგიერთ თვითმფრინავში მფრინავის კაბინების ილუმინატორებზე ან ზოგიერთი შენობის ფანჯრებზე).

ჯასტინმა თქვა, რომ პირველი ადამიანები, რომლებიც ზეციურ ქუჩაში შეხვდნენ, მათი გარდაცვლილი ნათესავები იყვნენ. მან ყოველი მათგანი დაასახელა, თუმცა ზიგიერთს არც კი იცნობდა და სახელიც არ იცოდა (რაც მისმა დედ-მამამ შენიშნა). დამხვედრ ჯგუფში ერთი ქალბატონი ერია, სახელად ფილისი. იგი ჯასტინის დედის მეზობელი იყო, რომლისთვისაც მან ჯასტინის ელექტროშოკამდე ერთი თვით ადრე ილოცა იესოს მხსნელად მიღებისთვის. მოქცევიდან ორი კვირის შემდეგ მეზობელი გარდაიცვალა.

ჯასტინი ამ ადამიანებს ესაუბრებოდა, როცა მოულოდნელად ჩორქოლი ატყდა და ჯგუფი დაიშალა. იქ იესო იდგა.

უფალმა ჯასტინს ზეცა დაათვალიერებინა. ზეცაში ბევრი ქუჩა და შენობა იყო. ქალაქი საკმაოდ დიდი ჩანდა.

ყვავილები, ბალახი და კლდეებიც კი ცოცხლობდნენ და ჰარმონიულად გალობდნენ. ჯასტინმა თქვა, რომ ჩანდა, ისინი ღმერთს ადიდებდნენ. თუ შემთხვევით ბალახს ან ყვავილს ფეხს დაადგამდა, მცენარეები არ ისრისებოდა და მაშინვე აღიდგენდა პირვანდელ მდგომარეობას. ჯასტინმა შენიშნა, რომ იქ ფერები გაცილებით ცოცხალი და მკვეთრი იყო, ვიდრე დედამინაზე ენახა. აქ ისეთი ფერებიც აღმოაჩინა, დედამინაზე რომ არ არსებობს. მას ასევე ნილად ხვდა პატივი, რომ დედის, მამისა და ორი და-ძმის სახლები ენახა.

შემდეგ ჯასტინი გააოგნა იესოს სიტყვებმა, რომ ისევ დედამინაზე უნდა დაბრუნებულიყო. მას არ უნდოდა ზეცის დატოვება, მაგრამ იესომ ერთ ადგილას მიიყვანა და ფარდა გადასწია. ჯასტინმა დაინახა, როგორ ეძახდა მამამისი უკან დასაბრუნებლად. იესომ თქვა:

– ის მამაშენია და შენი უკან მოხმობის ძალაუფლება აქვს.

ამ ამბის შემდეგ ჯასტინმა მამას სთხოვა, რომ არასოდეს გამოეხმო უკან, თუ შემთხვევით ისევ მოკვდებოდა. ეს ნაწილი გასაოცარი მომეჩვენა, როცა გრეგმა მის შესახებ მიაამბო. ზეცა იმდენად სჯობს დედამინას, რომ ჩემი დაკვირვებით, ამგვარი ხილვის მქონე ადამიანებს ყოველთვის უჭირთ უკან დაბრუნება.

პავლეც იგივე პრობლემას წააწყდა და ამის შესახებ ფილიპელთა ეკლესიას ეუბნება: „მსურს წავიდე და ვიყო ქრისტესთან, რაკი ეს ბევრად უკეთესია“ (ფილ. 1:23). უბრალოდ უკეთესი კი არა, ბევრად, ბევრად უკეთესი! პავლემ იგემა ზენა იერუსალიმი და იქ დაბრუნება სურდა, თუმცა დარჩენა ამჯობინა სამეფოს სასიკეთოდ.

მოგვიანებით ჯასტინმა მამას უამბო, რომ ზეცაში ათი წლის არ ყოფილა. მას ზრდასრული ადამიანის სხეული ჰქონდა. ბევრი, ჯასტინის ჩათვლით მივიჩნევთ, რომ განდიდებულ სხეულებში ყველანი ოცდაცამეტი წლის ვიქნებით. ამას გარკვეული საფუძველი აქვს, რადგან იესო ოცდაცამეტი წლის იყო, როცა ჯვარს აცვეს და წერილიც ასე ამბობს: საყვარელნო! ახლა ღვთის შვილები ვართ, ოლონდ ჯერ არ გამომჟღავნებულა, რანი ვიქნებით. მაგრამ ვიცით, რომ, როცა გამოჩნდება, მისი მსგავსნი ვიქნებით, რადგან ვიხილავთ მას, როგორიც არის“ (1 იოან. 3:2).

ეს ერთ-ერთია იმ ნამდვილი ისტორიებიდან, რომელთა გაზიარებაც შემიძლია. ის წმ. წერილთან ერთად აჩვენებს ზეცის რეალობას. იესოს ერთგული მსახურები იმ ქალაქში შევლენ დედამინის დატოვების შემდეგ.

## სულის, სამშინველისა და სხეულის გადარჩენა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანების სულები ახალი ქმნილებები ხდებიან იმ მომენტში, როცა იესოს უფლად მიიღებენ. ისინი მეცხეულად იღებენ იესოს მსგავსებას. ეს იოანე მოციქულის განცხადებითაც მტკიცდება: „როგორც ისაა, ჩვენც ისეთივე ვართ ამ ქვეყნიერებაზე“ (1 იოან. 4:17). როგორც ხედავთ, იოანე გამორჩეულად მიმართავს დედამიწაზე მყოფ მორწმუნეებს მათგან განსხვავებით, ვინც უკვე წავიდა ამ ქვეყნიდან თავისი საზღაურის მისაღებად. ღვთის სულით ხელახლა შობილი ადამიანი სრულყოფილია აქ და ახლა.

როცა ჩვენი სული დახსნას იღებს, სამშინველის გადარჩენის პროცესი იწყება. როგორც ადრე აღვნიშნეთ, სამშინველი გონების, ნებისა და ემოციებისგან შედგება. ჩვენი სამშინველი დაცული და გარდაქმნილია ღვთის სიტყვის მიერ ჩვენი მორჩილების შემთხვევაში. იაკობ მოციქული ამას შემდეგი განაცხადით ადასტურებს: „ჰოდა, ჩემო საყვარელო ძმებო, ... მოიშორეთ ყოველგვარი უნმინდურება და ბოროტების ნატამალი და მშვიდად მიიღეთ თქვენში ჩანერგილი სიტყვა, რომელსაც თქვენი სულების ხსნა შეუძლია! იყავით სიტყვის შემსრულებელი და არა მხოლოდ მომსმენნი თავის მოსატყუებლად!“ (იაკ. 1:19, 21-22). მნიშვნელოვანია აღვნიშნოს, რომ იაკობი სულის გადარჩენაზე ძმებს ელაპარაკება და არა ურწმუნოებს. იგი ყურადღებას ამახვილებს როგორც ღვთის სიტყვის მოსმენაზე, ისე მის მორჩილებაზე.

სამშინველი ადამიანის ერთადერთი ნაწილია, რომლის გადარჩენის მაჩვენებელს განვსაზღვრავთ. ჩვენ ვთანამშრომლობთ ღვთის სიტყვის მოსმენით და მორჩილებით, რომელიც თავის მხრივ პროცესს აჩქარებს ან პირიქით, გადარჩენის წინსვლა ბრკოლდება ღვთის ნათქვამის უგულვებლყოფით. ჩვენი სულების გარდაქმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი, როგორც მორწმუნეების კარგი დასასრულისთვის.

და ბოლოს, ჩვენში არის კიდევ ერთი ნაწილი, რომელიც უნდა გადარჩეს: ჩვენი სხეულები. ყურადღებით წაიკითხეთ, რას წერს პავლე ამ საკითხთან დაკავშირებით.

„რადგან ვიცით, რომ როცა დაინგრევა ეს ჩვენი მიწიერი სახლი – კარავი, ღვთისგან გვაქვს შენობა ზეცაში, ხელთუქმნელი სახლი, საუკუნო. ამიტომაც ვოხრავთ,

და ვნატრობთ ჩვენი ზეციური სახლით შემოსვას, მისით შემოსილნი კი, შიშვლები აღარ აღმოვჩნდებით. რადგან ვიდრე ამ კარავში ვიმყოფებით, ტვირთქვეშ ვართ და ვოხრავთ, ვინაიდან გახდა კი არ გვსურს, არამედ შემოსვა, რათა მოკვდავი შთაინთქას სიცოცხლით. სწორედ ამისთვის შეგვქმნა ღმერთმა და სული მოგვცა სანინდრად. ამიტომ ვართ ყოველთვის მხნედ; და ვიცით, რომ სანამ სხეულში ვართ დამკვიდრებულნი, განშორებულნი ვართ უფლისგან, ვინაიდან რწმენით დავდივართ და არა ხილვით. თუმცა მხნედ ვართ და გვირჩევნია განვშორდეთ სხეულს, რათა უფალთან დავბინავდეთ“.

(2 კორ. 5:1-8)

ამ სიტყვების ნაკითხვა დიდად გვაიმედებს და ჩვენს სამშვინველს წმენდს კიდევ. ყურადღება მიაქციეთ, რომ პავლე უბრალოდ კი არ ახსენებს, არამედ სამომავლოდ საუკუნო სხეულების ქონის ფაქტს ეყრდნობა. სხვა ადგილას ის ამბობს: „ვინაიდან ეს ხრწნადი უხრწნელობით უნდა შეიმოსოს და ეს მოკვდავი უკვდავებით უნდა შეიმოსოს“ (1 კორ. 15:53). ჩვენი სხეულები ისეთივე იქნება, როგორც იესოს აქვს, რადგან წერილი ასე აცხადებს: „საყვარელნო! ახლა ღვთის შვილები ვართ, ოღონდ ჯერ არ გამოიმუღავნებულა, რანი ვიქნებით. მაგრამ ვიცით, რომ, როცა გამოჩნდება, მისი მსგავსნი ვიქნებით, რადგან ვიხილავთ მას, როგორც არის“ (1 იოან. 3:2).

მოდით, განვიხილოთ, როგორი იყო იესოს სხეული აღდგომის შემდეგ. ყველა ის ფიზიკური ნიშან-თვისება, რაც მის სხეულს ჰქონდა, ჩვენც გვექნება სხეულების გამოსყიდვის შემდეგ. დავინყოთ იმით, რაც მისი აღდგომის დილას სამარხთან მოხდა. მარიამ მაგდალელი პირველი იყო, ვინც ცარიელი სამარხი ნახა და ტირილი დაიწყო, რადგან უფლის სხეული მოპარული ეგონა.

„... უკან შებრუნდა და იქვე მდგარი იესო დაინახა. მაგრამ ვერ იცნო, რომ იესო იყო. ჰკითხა იესომ: „დედაკაცო, რატომ სტირი, ვის ეძებ?“ მარიამს მებალე ეგონა და უთხრა: „ბატონო, თუ შენ წაიღე, მითხარი, სად დაასვენე, და მე წამოვიღებ!“. (იოან. 20:14-15)

იესო გარეგნულად ჩვეულებრივი ადამიანისგან არ განსხვავდებოდა. იგი უცხოპლანეტელს არ ჰგავდა სამეცნიერო

ფანტასტიკის ჟანრის ფილმიდან. მარიამმა უფალი ვერ იცნო, რადგან მაშინვე ვერ დარწმუნდა მის აღდგომაში. ქალმა იხილა სასტიკად მოკლული, წაღებული და დამარხული ქრისტე. სანამ იესო თავად არ გამოელაპარაკა, მარიამმა მანამ ვერ დაიჯერა, რომ მას ცოცხალს ხედავდა და შეცდომით მეზღვედ მიიჩნია. ამრიგად, მას ჩვენი მსგავსი სხეული ჰქონდა.

იესოს სხეული არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი მოკვდავის სხეულისგან, თუმცა უნდა დაისვას კითხვა, *მარიამმა მისი სული იხილა თუ ნამდვილად ხორცშესხმული იესო?* ამ კითხვაზე ნათელ პასუხს ვხედავთ სხვა ისტორიიდან, როცა იგი მოწაფეებს ეჩვენა. მან თქვა: „მაგრამ მან უთხრა: „რატომ შეძრწუნდით? რატომ გებადებათ გულში ასეთი ფიქრები? შეხედეთ ჩემს ხელებსა და ფეხებს! ეს მე ვარ თვითონ. შემეხეთ და ნახეთ, რადგან სულს არ აქვს ხორცი და ძვლები, მე კი მაქვს, როგორც ხედავთ!“ (ლუკ. 24:38-39).

იესოს აქვს ხორცი და ძვლები! ამრიგად, ჩვენც გვექნება ისინი. ყურადღება მიაქციეთ, რომ იესო არაფერს ამბობს სისხლზე. იმიტომ, რომ მისი სისხლი ღვთის წყალობის ტახტს ეპკურა. დარწმუნებული ვარ, რომ ახლა მის ძარღვებში ღვთის დიდებული სიცოცხლე ჩქეფს.

იესოს ასევე შეეძლო ფიზიკური საკვების მიღება. ჩვენ ვკითხულობთ: „მაგრამ რაკი სინარულისგან ვერ იჯერებდნენ და გაოცებულები იყვნენ; ჰკითხა მათ: „საჭმელი თუ გაქვთ აქ?“ და მიანოდეს შემწვარი თევზის ნაწილი და გოლეული. აიღო და მათ თვალწინ შეჭამა“ (ლუკ. 24:41-43).

იესოს მოწაფეებთან ერთად მხოლოდ ერთხელ როდი უჭამია. ამის შესახებ ორი სხვა ჩანაწერიც არსებობს: პირველი შემთხვევა ემაუსის გზაზე მოხდა, როცა იესო ერთ-ერთი მოწაფის სახლში შეიპატიჟეს და მეორე, როცა მან საუზმე მოამზადა თერთმეტი მოწაფისთვის ზღვის ნაპირას. ამრიგად, ჩვენ ჭამის უნარი გვექნება მარადიულ სხეულებში.

იესოს განდიდებული სხეულით ლაპარაკი, სიმღერა, სიარული, საგნების დაჭერა და სხვა ამგვარი შეეძლო ჩვეულებრივი ადამიანის მსგავსად, მაგრამ ის კედლებშიც გადიოდა და ხორციელად უხილავი ხდებოდა!

შესაძლოა, კითხვა დასვათ: „მას ხორცი და ძვლები ჰქონდა, მაგრამ კედლებში გავლა და გაქრობა როგორ შეეძლო?“ ოჰ, დიახ. ნახეთ, რას წერს იოანე: „იმავე დღეს, საღამოჟამს, კვირის პირველ დღეს, იესო იუდეველთა შიშით კარჩაკეტილში მსხდარ მოწაფეებთან მოვიდა, შუაში დადგა და უთხრა მათ: „მშვიდობა თქვენდა!“ (იოან. 20:19).

ამ შეხვედრისას იესო თომას სთხოვს, რომ თითები მის ნალურსმევე ხელებსა და ფერდში ჩაყოს. ამრიგად, სრულიად გარკვევით ვხედავთ, რომ იესოს ხორცი და ძველბი ჰქონდა. საინტერესოა, როგორ აღმოჩნდა ის ოთახში, როცა კარები ჩაკეტილი იყო? იგი კედლიდან შემოვიდა და უბრალოდ, გამოჩნდა. მას ასევე ადვილად შეეძლო გაუჩინარება, რისი დასტურიც წერილობია. როცა ემაუსის გზაზე მონაფეებს შეხვდა და ერთ-ერთის სახლში პური გატეხა, წერილის თანახმად, „მაშინ თვალი აეხილათ და იცნეს იგი, მაგრამ ის უჩინარი შეიქნა მათთვის“ (ლუკ. 24:31).

აღმდგარ სხეულებში ჩვენც გვექნება გაქრობისა და სხვა ადგილზე ხელახლა გამოჩენის უნარი. ეს ხსნის, თუ როგორ შევძლებთ დიდ მანძილზე გადაადგილებას ახალ ცასა და ახალ დედამიწაზე. ამის გაკეთება ნამდვილად მოგვიწევს, რადგან ღვთის ქალაქი 1400 მილია (2253 კმ) სიგრძითა და სიგანით, რომ არაფერი ვთქვათ სხვა გალაქტიკებამდე არსებულ მანძილებზე. ასევე შეგვეძლება ჰაერში მოძრაობა; გაიხსენეთ როგორ ამალდა იესო ზეცად მონაფეებთან 40 დღის ყოფნის შემდეგ. კიდევ ერთი რამ, რაც ჯასტინმა მამას უამბო (და ეს სხვა ადამიანებისგანაც ვიცი, რომელთაც ზეცის ხილვა ჰქონდათ), გახლავთ ნებისმიერ მანძილზე სიარულის, ლივლივისა და მეყსეულად აღმოჩენის უნარი. იესოსთან ერთად ჯასტინის ზეციური მოგზაურობისას იყო მომენტები, როცა ის დადიოდა ან ჰაერში ლივლივებდა სხვადასხვა მიმართულებით გადაადგილებისას.

## ქრისტეს ათასწლოვანი მიჯობა

საჭიროა, ყურადღება მივაპყროთ ღვთის ქალაქის მდებარეობის შეცვლას, მაგრამ თავდაპირველად, ის მოვლენები განვიხილოთ, რომლებიც მანამდე მოხდება. ეკლესიის ერის დასრულების შემდეგ შვიდწლიანი გასაჭირის პერიოდი დადგება. ურჯულოების კაცი, ანტიქრისტე გამოვლინდება და მრავალს აცდუნებს. იგი წინააღმდეგება და თავს აიმალება ყველაფერზე, რასაც ღმერთი ეწოდება ან თავყვანისცემას მოითხოვს. იგი წმიდანების დევნას შეუდგება და მრავალ ერს გაუძღვება სიბნელისკენ ღვთის წინააღმდეგ ამბოხების გზით.

ამ დროისთვის უფალი მოვა თავისი წმიდანების წასაყვანად. ზოგიერთების რწმენით, ეს შვიდწლიან გასაჭირამდე მოხდება, სხვა მორწმუნეების აზრით – შუაში, ხოლო ზოგი ამ მოვლენას



გასაჭირის დასასრულს ელოდება. ამ საკითხს ახლა არ შევეხები. გაცილებით მნიშვნელოვანია, რამდენად მზად ვიქნებით იმ დღისთვის.

პავლე ეკლესიის „ატაცებას“ რამდენჯერმე აღნიშნავს ახალ აღთქმაში. ერთ-ერთი ადგილი შემდეგია:

„ვინაიდან თვითონ უფალი ჩამოვა ციდან ბრძანების სიტყვით, მთავარანგელოზის ხმით და ღვთის საყვირით; და ჯერ ქრისტეში განსვენებულნი აღდგებიან; შემდეგ კი ჩვენ, ცოცხლად დარჩენილები, მათთან ერთად ვიქნებით ატაცებულნი ღრუბლებში, რათა ჰაერში შევეგებოთ უფალს და ამგვარად, უფალთან ვიქნებით სამარადისოდ“.  
(1 თეს. 4:16-17)

ეს არ გახლავთ იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა. იგი ამ დროს დედამიწაზე არ ჩამოვა არამედ თავის მორწმუნეებს ჰაერში შეეგებება. მეორედ მოსვლა იქნება შვიდწლიანი გასაჭირის დღეების დასასრულს, როცა თეთრ ცხენზე ამხედრებული იესო ზეციური არმიისა და უამრავი წმიდანის თანხლებით გამოჩნდება (იხ. იუდ. 14).

ანტიქრისტე, ცრუ წინასწარმეტყველი, მსოფლიო ლიდერები და ერების ერთიანი არმია უფალსა და მის მხედრობას დაუპირისპირდებიან. იესო ერთდღიან ბრძოლაში გაანადგურებს მათ თავისი მახვილით და დახოცილთა გვამებს ცის ფრინველები შეჭამენ. ეს მოვლენა საყოველთაოდ ცნობილია არმაგედონის სახელით, რადგან ხსენებული ბრძოლა მეგიდოს ველზე გაიმართება, რომელიც გადაჭიმულია ქარმელის მთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ იერუსალიმის მიმართულებით (იხ. გამოცხ. 16:16; გამოცხ. 19:11-21).

მსოფლიოში იქნებიან ადამიანები, რომლებიც არც უფლის წინააღმდეგ აჯანყებულან ბრძოლაში და არც ანტიქრისტეს მიმხრობიან. ბევრი თეოლოგის აზრით, ისინი გადარჩებიან და მომდევნო ერაში ცხოვრებას გააგრძელებენ, რომელსაც იესოს ათასწლიანი მეფობა ეწოდება. ისინი თავიანთ ქვეყნებში დარჩებიან და ქრისტეს მსოფლიო მმართველობას დაექვემდებარებიან. მათ ჩვეულებრივი სხეულები ექნებათ და დედამიწაზე გამრავლდებიან.

ამრიგად, დედამიწაზე ორი ტიპის ადამიანები იცხოვრებენ გასაჭირის წლების შემდგომ: ისინი, ვინც არმაგედონის ბრძოლას გადაურჩნენ და წმიდანები, რომლებიც იესოსთან

ერთად დაბრუნდნენ. წმიდანებს მათი მეფის, იესოს მსგავსად, განდიდებული სხეულები ექნებათ და მასთან ერთად იმეფებენ დედამიწაზე. ძნელი მისახვედრი არ არის, რა ურთიერთობა ექნება ამ ორ ჯგუფს. მათ იგივე დამოკიდებულება ექნებათ, როგორც იესოს ჰქონდა მის მონაფეებთან აღდგომის შემდეგ. განდიდებულ წმიდანებს საუბრის, სიარულის, ჭამის და დედამიწის მკვიდრ მოსახლეობასთან ურთიერთობა შეეძლება.

წერილი გვეუბნება, რომ ამ პერიოდში საყოველთაო მშვიდობა დაისადგურებს. ფაქტობრივად, ეს იქნება მშვიდობა მთელ სამყაროში, რადგან სატანასა და მის დამქაშებს ათასი წლით შებოჭავენ. არ იქნება ომები, წინასწარ აკვიატებული შეხედულებები, სიძულვილი, სირცხვილი, დანაშაული, ავადმყოფობა და ასე შემდეგ, რადგან ყველა ერი ღვთისკენ მოტრიალდება მთელი გულით, როგორც მიქა წინასწარმეტყველი ამბობს:

„და იქნება უკანასკნელ დღეებში, რომ უფლის სახლის მთა მთათა სათავეში განმტკიცდება, ამალღდება იგი გორაკებზე და ყოველი ხალხი მისკენ დაიწყებს დინებას. მრავალი ხალხი მოვა და იტყვის „მოდით, ავიდეთ უფლის მთაზე, იაკობის ღმერთის სახლში; რათა მან გვასწავლოს თავისი გზები და ვიაროთ მისი ბილიკებით, რადგან სიონიდან გამოვა რჯული და იერუსალიმიდან – უფლის სიტყვა!“ მრავალ ხალხს შორის სამართალს განსჯის და ამხელს ძლიერ, შორეულ ერებს; ისინი მახვილებისგან სახნისებს გამოჭედენ და შუბებისგან – ნამგლებს; აღარ აღმართავს მახვილს ერი ერზე და ომს აღარავინ ისწავლის. და დაჯდება თითოეული თავისი ვაზისა და ლეღვის ქვეშ და აღარაფერს შეუშინდება, რადგან ცაბოთ უფლის ბაგემ ბრძანა“. (მიქ. 4:1-4)

დადგება საყოველთაო აყვავების ხანა დაცული ფინანსური სისტემით, რადგან ერები ღვთის კანონებს დაემორჩილებიან. ეს საოცარი დრო იქნება!

### ბანკითხვა ღიღი თეთრი ტახტის წინაშე

ათასი წლის შემდეგ სატანას საპყრობილიდან გაათავისუფლებენ მოკლე ხნით. მას ერების ცდუნების უფლება მიეცემა.

ცდუნებას არ დაექვემდებარებიან განდიდებული სხეულების მქონე წმიდანები, არამედ მხოლოდ მსოფლიოს ერების მოსახლეობა მოკვდავი სხეულებით – ისინი, ვინც არმაგედონს გადაურჩნენ და მილენიუმის პერიოდში გამრავლდნენ.

ამბოხებულები ერთად შეიკრიბებიან და იერუსალიმს გარს შემოერტყმიან ომის გასაჩაღებლად. ამის შემდეგ ღვთის ცეცხლი ჩამოვა ციდან და გაანადგურებს მათ. თავად ეშმაკს ჩააგდებენ „ტბაში, რომელიც იწვის ცეცხლითა და გოგირდით“. ის იქ დაიტანჯება დღე და ღამე სამარადისოდ და მეტად ვერ გათავისუფლდება (იხ. გამოცხ. 20:7-10).

ამ მოვლენას მაშინვე მოჰყვება დიდი თეთრი ტახტის სამსჯავრო. ჰადესი გადმოსცემს მასში მყოფი გარდაცვლილების ყველა თაობას, რომელიც ადამიდან დაწყებული ამ ბოლო ბრძოლამდე ცხოვრობდა. ყველა, ვინც არ შევიდა იაჰვესთან აღთქმაში ძველად ან არ დაემორჩილა იესოს უფლობას, მეფის წინაშე წარსდგება და პასუხს აგებს ისე, როგორც დამოუკიდებლის, მოტყუებულის, გაუბედავისა და ორმაგი ცხოვრების გასამართლება ვიხილეთ. ვისი სახელიც არ აღმოჩნდება ჩანერილი სიცოცხლის წიგნში, ცეცხლის ტბაში ჩაიგდება სატანასა და მის ანგელოზებთან ერთად.

## ახალი ცა და ახალი დედამიწა

ახლანდელი ცა და მიწა ცეცხლით დაინგება (იხ. 2 პეტრ. 3:10-13) და ახალი ცა და მიწა გამოჩნდება. იოანე მოციქული წერს: „და ვიხილე ახალი ცა და ახალი დედამიწა, ვინაიდან პირველმა ცამ და პირველმა დედამიწამ გადაიარეს, და ზღვა აღარ იყო“ (გამოცხ. 21:1).

შემდეგ იოანემ ახალი იერუსალიმის ზეციდან ჩამოსვლა აღწერა, რომელიც სამუდამოდ დედამიწაზე უნდა ყოფილიყო. ქალაქი მოხსენებულია როგორც კრავის საპატარძლო, რადგან ის უფლის მიერ გამოსყიდულთა სამკვიდრებელი იქნება ადამიდან მოყოლებული ყველა იმ ადამიანამდე, ვინც ქრისტეს მეორედ მოსვლისას დიდება მიიღო. იოანე ახალი იერუსალიმის ამომწურავ აღწერილობას გვთავაზობს:

„წამიყვანა სულში დიდსა და მაღალ მთაზე, და მაჩვენა წმიდა ქალაქი იერუსალიმი, ციდან რომ ეშვებოდა ღმერთისგან; ღვთის დიდების მქონე, მისი შუქი პატიოსან თვალს ჰგავს, ბროლივით გამჭვირვალე იასპის ქვას.

დიდი და მაღალი გალავანი აქვს, თორმეტი კარიბჭე და კარიბჭეებში – თორმეტი ანგელოზი; და ზედ დანერილი სახელები, რომლებიც ისრაელიანთა თორმეტ ტომს ეკუთვნის. სამი კარიბჭე – აღმოსავლეთიდან, სამი კარიბჭე – ჩრდილოეთიდან, სამი – სამხრეთიდან და სამი – დასავლეთიდან. ქალაქის გალავანს თორმეტი საძირკველი აქვს და მათზეა კრავის თორმეტი მოციქულის სახელები. ჩემთან მოლაპარაკეს საზომად ოქროს ლერწამი ჰქონდა, ქალაქის, მისი კარიბჭეებისა და გალავნის გასაზომად. ქალაქი ოთხკუთხედიანია. მისი სიგრძე იგივეა, რაც სიგანე; და გადაზომა ქალაქი ლერწმით თორმეტი ათას სტადიონზე; მისი სიგრძე, სიგანე და სიმაღლე თანაბარია. გაზომა მისი გალავანი და გამოვიდა ას ორმოცდაათი წყრთა, კაცის საზომით, რომელიც ანგელოზისაა. გალავანი იასპით არის ნაგები, ხოლო ქალაქი – წმიდა მინის მსგავსი სუფთა ოქროთი. ქალაქის გალავნის საძირკვლები ყოველგვარი ძვირფასი ქვით არის მოპირკეთებული; პირველი საძირკველი იასპია, მეორე – საფირონი, მესამე – ქალკედონი, მეოთხე – ზურმუხტი; მეხუთე – სარდონიქსი, მეექვსე – სარდიონი, მეშვიდე – ქრიზოლითი, მერვე – ბივრილი, მეცხრე – ტოპაზი, მეათე – ქრისოპრასი, მეთერთმეტე – იაკინთი, მეთორმეტე – ამეთვისტო. თორმეტი კარიბჭე თორმეტი მარგალიტია: ყოველი კარიბჭე – თითო მარგალიტი, ხოლო ქალაქის ქუჩა სუფთა ოქროა, გამჭვირვალე მინის მსგავსი“. (გამოცხ. 21:10-21)

ქალაქი სუნთქვისშემკვრელი და იმდენად გასაოცარია, რომ ჩვენ მიერ ნანახი ვერც ერთი ამქვეყნიური ქალაქი ვერ შეედრება. იგი სიმდიდრეს, ბრწყინვალეობას და დიდებულებას ასხივებს. იქ არავითარ გახრწნილებას ადგილი არ ექნება, რადგან ქალაქი უკიდურესად წმინდაა.

იოანე ასე აგრძელებს აღწერას:

„და მაჩვენა ბროლივით ბრწყინვალე სიცოცხლის წყლის მდინარე, ღვთისა და კრავის ტახტიდან რომ მოედინებოდა. მისი ქუჩის შუაგულში, მდინარის გაღმა-გამოღმა სიცოცხლის ხეა, რომელსაც თორმეტი ნაყოფი გამოაქვს, თითოეულ თვეს თავისი ნაყოფი; ხოლო ხის ფოთლები ხალხთა განსაკურნავადაა. მეტად აღარაფერი

იქნება დანყვევლილი; და ღვთისა და კრავის ტახტი იქნება მასში, და მისი მსახურნი ემსახურებიან მას. იხილავენ მის სახეს, და მისი სახელი შუბლზე ექნებათ. ღამე აღარ იქნება და აღარ დასჭირდებათ არც ლამპრის შუქი და არც მზის სინათლე, ვინაიდან უფალი ღმერთი გაუნათებს მათ, და იმეფებენ უკუნითი უკუნისამდე“. (გამოცხ. 22:1-5)

ყურადღება მიაქციეთ წერილის განცხადებას, რომ ღვთის სახეს ვიხილავთ. ჩვენ გავხდებით მონმე იმისა, რასაც მოსე ასე ნატრობდა და ვერ იხილა. რა საოცარი და აღსაფრთოვანებელია!

ასევე, ყურადღება მიაქციეთ, რომ სიცოცხლის ხის ფოთლები *ერებს* განკურნავს. ეს რამდენიმე საინტერესო კითხვას წარმოშობს. რომელ ერებზეა ლაპარაკი, როცა ქალაქში წმიდანები მკვიდრობენ? ვისზე იმეფებენ წმიდანები სამარადჟამოდ? იქნებიან თუ არა იმ დროს ბუნებრივი გზით დაბადებული ადამიანები? ამაზე პასუხს ესაია წინასწარმეტყველი გვაძლევს.

„რადგან, აჰა, ვქმნი ახალ ცას და ახალ დედამიწას. აღარ გაახსენდებათ პირვანდელი და გულზეც აღარავის მოუვა. გაიხარეთ და სამუდამოდ ილხინეთ იმით, რასაც ვქმნი, რადგან, აჰა, მე ვქმნი იერუსალიმს ლხინად და მის ხალხს – სიხარულად. და მოვილხენ იერუსალიმში და გავიხარებ ჩემს ხალხში, და აღარ გაისმება მასში ტირილისა და მოთქმის ხმა“. (ეს. 65:17-19)

ახლა ესაია ახალი იერუსალიმის გარეთ მყოფ ადამიანებს მიმართავს:

„აღარ იქნება იქ ჩვილი ან მოხუცი, რომელიც არ გაასრულებს თავის დღეებს, რადგან ასი წლისაც ყმანვილივით მოკვდება, და ცოდვილი, თუნდაც ასი წლისა, დაიწყებულა. ააშენებენ სახლებს და იცხოვრებენ, გააშენებენ ვენახებს და შეჭამენ მათ ნაყოფს. სხვათა საცხოვრებლად არ ააშენებენ და სხვათა საქმელად არ გააშენებენ, რადგან დღეები ჩემი ხალხისა ხის დღეებივით იქნება და თვითონვე გაცვეთენ თავიანთი ხელის ნამოქმედარს ჩემი რჩეულნი. ამაოდ არ იშრომებენ და შფოთისთვის არ გააჩენენ, რადგან უფლის მიერ კურთხეული თესლის არიან და მათი შთამომავალიც მათთან ერთად.

და იქნება, სანამ მომიხმობენ – ვუპასუხებ, ჯერ კიდევ ლაპარაკში იქნებიან, რომ შევისმენ. მგელი და კრავი ერთად იბალახებენ; ლომი, ხარივით შეჭამს თივას, გველს კი მტვერი ექნება საჭმელად. აღარ ავნებენ და დააზიანებენ ისინი მთელს ჩემს წმიდა მთაზე! – ამბობს უფალი“.  
(ეს. 65:20-25)

ბევრი ამ მონაკვეთს შეცდომით ქრისტეს ათასწლოვან მეფობას მიაკუთვნებს. თუმცა ის ნათლად მიუთითებს დროზე, როცა ახალი ცა და ახალი მიწა გამოჩნდება. იოანე მოციქულისა და ესაიას წიგნების შესწავლა გვარწმუნებს, რომ იმ დროს იქნებიან ღვთის ქალაქის გარეთ მაცხოვრებელი ადამიანები. ისინი თავიანთ სახლებს აშენებენ საყოველთაო სიმშვიდისა და აყვავების მარადიულ ხანაში. ისინი არ შეიძლება იყვნენ წმიდა ქალაქის მკვიდრნი, რადგან მათ თავად იესომ გაუმზადა სავანეები (იხ. იოან. 14:2-4).

ასევე ყურადღება მიაქციეთ, რომ ამ ადამიანებს შვილები გაუჩნდებათ. აქედან გამომდინარე, ისინი არ შეიძლება იყვნენ განდიდებული წმიდანები, რადგან იესომ ნათლად განაცხადა, რომ აღმდგარი წმიდანები არც ბავშვებს შობენ და არც ქორწინდებიან. მან თქვა: „აღდგომისას არც ცოლს ირთავენ, არც თხოვდებიან, არამედ არიან როგორც ღვთის ანგელოზები ცაში“ (მათ. 22:30). ეს კიდევ ერთი ფაქტია, რომელიც ჯასტინმა ზეცაში ყოფნის შემდეგ დაადასტურა.

ეს ერები ახალ მიწას დაიმკვიდრებენ, გაამდიდრებენ მას ნარგავებით, მოსავლით და შენობებით. ისინი გამრავლდებიან და დაუბრკოლებლად აავსებენ დედამიწას სწორედ ისე, როგორც ადამსა და მის შთამომავლებს უნდა გაეკეთებინათ, ცოდვით რომ არ დაცემულიყვნენ.

როგორ შეიძლება ამას ლოგიკური ახსნა მოვუძებნოთ? ერთი დასკვნა, რომლის გამოტანაც შეიძლება, შემდეგი გახლავთ: როცა ათასწლეული დაიწყება, ბუნებრივი ადამიანური ცხოვრება გაგრძელდება, რადგან ჩვენი ბოლო მტერი – სიკვდილი – განქარდება (იხ. 1 კორ. 15:26). იესო დაამსხვრევს სიკვდილის წყევლას, როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ ასპექტში. ამრიგად, კაცობრიობა ათასწლიან პერიოდში ფიზიკურად გაძლებს.

შესაძლოა, მილენიუმის დასასრულს ჩვეულებრივმა ადამიანებმა მიიღონ სიცოცხლის ნიჭი, თუ ისინი ღვთის წინააღმდეგ არ აჯანყდებიან სატანის მცირე დროით გამოშვებისას. მეფსალმუნე წერს: „თაობიდან თაობაში

დავადგენ შენს სახელს გასახსენებლად, ამიტომ ხოტბას შეგასხამენ ხალხები უკუნითი უკუნისამდე“ (ფს. 45:17). ამ შესაძლებლობის გაგების ერთ-ერთი გზა ის გახლავთ, რომ ეს ადამიანები დაცემამდე ადამისა და ევას მსგავსებად მივიჩნიოთ. ადამი სიკვდილისთვის არ შექმნილა, არამედ მარადიული სიცოცხლისთვის. ეს ნიჭი დაუმორჩილებლობის გამო დაიკარგა; მან სიკვდილის წყევლა მოიტანა და მთელი რასა დააკნინა.

ახალ იერუსალიმში მხოლოდ ქრისტე და განდიდებული სხეულების მქონე წმიდანები დამკვიდრდებიან. თუმცა ჩანს, რომ მოკვდავი სხეულების მქონე ადამიანებსაც ექნებათ ქალაქში შესვლის, მის ნაყოფის დაგემოვნებისა და უფლის თაყვანისცემის უფლება. ეს კარგად ჩანს იოანეს წიგნიდან:

„ერები ივლიან მის ნათელზე, მიწიერი მეფეები მიიტანენ იქ თავიანთ დიდებას და პატივს. არ დაიკეცება დღისით მისი კარიბჭენი, რადგან ღამე აღარ იქნება იქ. და მიიტანენ მასში ერების დიდებასა და პატივს“. (გამოცხ. 21:24-26)

თავდაპირველად ადამიანი ცოდვის ცდუნებით დაეცა. მან სასჯელად სიკვდილი მიიღო როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, რასაც შედეგად მარადიული სიკვდილი მოჰყვა. მიუხედავად ამისა, ცოდვით დაცემას არ შეუცვლია ღვთის თავდაპირველი *მარადიული გეგმა*, რომელიც ღმერთს ადამიანის დედამიწაზე ცხოვრების შესახებ ჰქონდა.

შესაძლებელია თუ არა, რომ ღვთის ჩანაფიქრმა მარცხი განიცადოს ადამიანის დაუმორჩილებლობის გამო? არა! ღმერთმა ადამიანის წარუმატებლობა კურთხევად აქცია ქრისტეს-მიერი გამოსყიდვის მეშვეობით, დაცემული კაცობრიობიდან *განდიდებული ზეციური ადამიანების* შეკრებით, რომლებიც საბოლოოდ მთელ კაცობრიობაზე *იმეფებენ* ახალ მიწაზე. ეს გვეხმარება იესოს სიტყვების გაგებაში ერთგული მსახურის იგავიდან: „კარგი, კეთილო მონავ, რაკი მცირედზე ერთგული იყავი, ათ ქალაქზე გქონდეს ხელმწიფება“ (ლუკ. 19:17). შესაძლებელია თუ არა, რომ აქ ლაპარაკი იყოს მილენიუმის ქალაქებისა და მარადიულის ერის შესახებ ახალ დედამიწაზე?

ცოდვით დაცემა რომ არ მომხდარიყო, ღმერთს არ ეყოლებოდა განდიდებულ ადამიანთა კატეგორია, რომელიც მას დედამიწის და სამყაროს მართვის საქმეებში დაეხმარებოდა

უკუნითი უკუნისამდე. მან ეს წინასწარ განჭვრიტა მარადიული სიბრძნის მეშვეობით. სწორედ ამიტომ ეწოდება იესოს „წუთისოფლის დასაბამიდან დაკლული კრავი“ (გამოცხ. 13:8).

ათასწლოვანი მეფობის დასაწყისიდან და შემდეგ ახალი დედამიწის მარადიულ ერაში ღვთის თავდაპირველი ჩანაფიქრი აღსრულდება: დედამიწა დასახლება ჩვეულებრივი ადამიანებით, რომლებიც მარადიულად იცხოვრებენ. სრულიად გამართლდება იესოს სიტყვები: „მოვიდეს მეფობა შენი, და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“ (მათ. 6:10). დედამიწაზეც იქნება იგივე მდგომარეობა, რაც ჯასტინმა ზეცაში იხილა: უმშვენიერესი ახალი ფერები, ცოცხალი მცენარეები და კლდეები, რომლებიც ღმერთს უგალობენ, სრულყოფილი არქიტექტურა, ცოცხალი წყალი და ასე შემდეგ. მართლაც იდეალური სამყაროა!

ესაია თავის წინასწარმეტყველურ წიგნს ახალი დედამიწის შესახებ ნათქვამით ასრულებს:

„რადგან როგორც ახალი ცა და ახალი მიწა, რომელთაც ვქმნი მე, იქნებიან ჩემს წინაშე – ამბობს უფალი – ასევე იქნება თქვენი თესლი და თქვენი სახელი. და იქნება, ახალმთვარიდან ახალმთვარემდე, შაბათიდან შაბათამდე, მოვა ყოველი ხორციელი თაყვანსაცემად ჩემს წინაშე! – ამბობს უფალი. გამოვლენ და დაინახავენ ჩემს წინააღმდეგ შემცოდე ადამიანთა გვამებს, რადგან მათი მატლი არ მოკვდება და მათი ცეცხლი არ ჩაქრება. და შესაზიზღი იქნებიან ყოველი ხორციელისთვის!“ (ეს. 66:22-24)

ეს აზრი გვაფხიზლებს, რომ მთელი მარადისობის განმავლობაში შეგვეძლება გარკვეულ ადგილას მისვლა და სატანის, მისი ანგელოზებისა და უფლის წინააღმდეგ ამბოხებული კაცობრიობის საშინელი ხვედრის დანახვა. ალბათ, ღვთის სიბრძნემ განსაზღვრა, რომ ყოველ ქმნილებას ყოველთვის თვალწინ ჰქონოდა ცოდვისა და ამბოხების შემადრწუნებელი შედეგები. იფიქრეთ ამაზე: სატანა ცოდვაში მაცდუნებლის გარეშე ჩავარდა. თუ ღმერთი ამ სურათს მთელი მარადისობის განმავლობაში აჩვენებს მთელ ქმნილებას, ეს ლუციფერისა და მისი ანგელოზების საშინელ ცოდვის ჩადენისგან შემაფერხებელი მიღწევილი ფაქტორი იქნება.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, განდიდებული წმიდანები ღვთის ქალაქში, ახალ იერუსალიმში იცხოვრებენ. ისინი თავიანთ საზღაურს და საუკუნო მეფესთან მსახურების მარადიულ პოზიციებს მიიღებენ ქრისტეს სამსჯავრო ტახტთან ათასწლოვანი მეფობის დადგომამდე, რასაც მომდევნო თავში საფუძვლიანად განვიხილავთ.



## თავი 10

### ქრისტეს სამსჯავროს წინაშე

„მაშ, რატომ განიკითხავ შენს ძმას და ამცირებ, ჩვენ ხომ ყველანი წარდგებით ღვთის სამსჯავროს წინაშე?!

... ესე იგი, ყოველი ჩვენგანი საკუთარი თავისათვის ჩააბარებს ღმერთს ანგარიშს“.

რომ. 14:10,12

**ჩ**ვენ ყველანი წარდგებით ქრისტეს სამსჯავროს წინაშე. პავლე ვისზე ლაპარაკობს, მორწმუნეებზე თუ ურწმუნოებზე? მონაკვეთის კონტექსტის განხილვა ყოველგვარ გაუგებრობას აღმოფხვრის: იგი მორწმუნეებზე ლაპარაკობს. პავლე ქრისტიანების მიერ თანამოძმის განიკითხვის ან შეურაცხყოფის სერიოზულობაზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ ამის გამკეთებელი პასუხს აგებს ღვთის წინაშე.

ამრიგად, არა მარტო ურწმუნოები წარდგებიან სამსჯავროზე, როგორც წინა თავებში ვიხილეთ, არამედ ყველა ქრისტიანი, რათა ღმერთს ანგარიში ჩააბარონ დედამიწაზე გატარებული ცხოვრებისთვის. ეს თემა კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული პავლეს წერილში კორინთელთა მიმართ, რომელიც წინა თავში განვიხილეთ:

„... თუმცა მხნედ ვართ და გვირჩევნია განვმორდეთ სხეულს, რათა უფალთან დავბინავდეთ. ამიტომ ვცდილობთ კიდევ – აქ ვიქნებით თუ იქ, მისთვის სასურველნი ვიყოთ. ვინაიდან ჩვენ, ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა თითოეულმა მიიღოს იმის მიხედვით, რასაც სხეულის სიცოცხლის დროს აკეთებდა – კეთილს თუ ბოროტს. და რაკი უფლის შიში ვიცით, ადამიანებს შევაგონებთ, ჩვენ კი გაცხადებულნი ვართ ღვთისთვის და ვიმედოვნებ, რომ თქვენი სინდისისთვისაც ვართ გაცხადებულნი“. (2 კორ. 5:8-11)

და კვლავ, პავლეს ნათქვამიდან სრულიად ცხადია, რომ იგი ლაპარაკობს არა ცოდვილების, არამედ ქრისტიანების

გასამართლებაზე. მისი ნათქვამი, „გვირჩევნია განვშორდეთ სხეულს, რათა უფალთან დავბინავდეთ“, წერილის ადრესატების რაობაში დაეჭვების არანაირ საბაბს არ გვიტოვებს. არც ერთი ურწმუნო არ დამკვიდრდება ღმერთთან სხეულის განშორების შემდეგ. იგი მყისვე გაემართება ჰადესში, ხოლო მისი საუკუნო სამყოფელი ცეცხლის ტბა იქნება.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ურწმუნოები დიდი თეთრი ტახტის სამსჯავროს წინაშე წარდგებიან, რაც ზემოთ მოყვანილ მონაკვეთში ნახსენები მორწმუნეთა განკითხვიდან კარგა ხნის შემდეგ მოხდება.

მოდით, მოკლედ მიმოვიხილოთ წინა თავის დაკვირვების შედეგები! იესო დედამიწაზე ზეციური ლაშქრით დაბრუნდება, ანტიქრისტეს დაამარცხებს, სატანას დაატყვევებს და იერუსალიმში თავის მმართველობას დააფუძნებს ათასი წლის განმავლობაში. ამის შემდეგ, სატანას უფსკრულიდან გამოუშვებენ და მოკლე დროით ერების ცდუნების ნება მიეცემა. მათ ციდან ჩამოსული ცეცხლი შთანთქავს და ეშმაკი ცეცხლის ტბაში სამუდამოდ იქნება ჩაგდებული. შემდეგ, ყველა უღვთო და ურწმუნო ჰადესიდან აღდგება და დიდი თეთრი ტახტის წინაშე წარდგება. იესო ამას განკითხვის აღდგომას უწოდებს (იხ. იოან. 5:29). ვისი სახელიც არ იყო ჩაწერილი სიცოცხლის წიგნში, ჩაგდებული იქნება ცეცხლის ტბაში.

მეორე მხრივ, მორწმუნეთა განკითხვა დიდი თეთრი ტახტის სამსჯავრომდე კარგა ხნით ადრე იქნება. ეს დრო ნათლად არ ჩანს წმ. წერილში, თუმცა ვიცით, რომ ხსენებული მოვლენა ეკლესიის ღრუბლებში ატაცების შემდეგ და ქრისტეს ათასწლიანი მეფობის დაწყებამდე მოხდება. ამრიგად, ამ ორ მთავარ განკითხვას ერთმანეთისგან ათასი წელი აშორებს (ეს საკითხი აფაბელის ალეგორიაში ნაჩვენები არ არის).

რომაელთა წერილის სიტყვებს ეხმიანება 2 კორ. 5:10: „ვინაიდან ჩვენ, ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე“. რომაელთა მე-14 და 2 კორინთელთა მე-5 თავებში სიტყვა „სამსჯავრო“ თარგმნილია ერთადერთი ბერძნული სიტყვიდან „ბემა“. სტრონგის ლექსიკონში *Strong's Concordance*-ში იგი შემდეგნაირად განიმარტება: „საფეხური, ბაქანი, [სასამართლო]“.<sup>1</sup> *UBS Commentary* აცხადებს: „სამსჯავრო იყო ქალაქის სასამართლოს განკითხვის ადგილი რომის იმპერიაში. პავლე ამ სახებას იყენებს ქრისტეს განკითხვის საქმიანობის აღსაწერად“.<sup>2</sup> ამაზე დაყრდნობით, მორწმუნეთა განკითხვას *ქრისტეს სამსჯავროს* ვუნოდებთ.

ქრისტეს სამსჯავრო პირდაპირი მნიშვნელობით ღვთის უზენაესი სასამართლოა. წმიდა წერილი აცხადებს, რომ მამა ღმერთმა მთელი სამსჯავრო ძეს გადასცა (იხ. იოან. 5:22). იესო ქრისტე მხოლოდ ჩვენი მხსნელი არ არის. იგი ასევე ჩვენი მსაჯულიცაა და თავის სახლეულს მალე განიკითხავს. სიტყვა სამსჯავროს ძირეული მნიშვნელობის აღწერის უმარტივესი გზა ასეთია: გადანყვეტილების მიღება კვლევა-ძიების შედეგად – სასარგებლოდ ან საზიანოდ.

მრავალი ეკლესიის წევრი ვერ აცნობიერებს, რომ ისინი პასუხს აგებენ იმ საქმეების გამო, რაც დედამიწაზე ცხოვრების ხანმოკლე პერიოდში ჰქონდათ. ბევრს შეცდომით ჰგონია, რომ მათი მომავალი გასამართლება მიღებული გადარჩენით მთლიანად გამოირიცხება. მართლაც, იესოს სისხლი გვწმენს ყველა ცოდვისგან, რომელიც ღვთის სამეფოსგან გვაშორებდა; თუმცა ეს არ გვათავისუფლებს განკითხვისგან, თუ როგორ ვიქცევოდით ქრისტიანულ ცხოვრებაში, კარგად თუ ცუდად.

### საუპუნო გადანყვეტილებები

განკითხვა ანუ გადანყვეტილებები, რომლებიც ქრისტეს სამსჯავროზე მიიღება ჩვენი ცხოვრების განხილვის შემდეგ, საუკუნო იქნება და ცვლილებას აღარ დაექვემდებარება.

ერთი წუთით შეჩერდით და გაიხსენეთ ჩვენი მსჯელობები პირველითავიდან, როცამარადისობის ჩანვდომას ვცდილობდით. იაკობი დედამიწაზე ჩვენს დროებით ცხოვრებას წარმავალ ორთქლს უწოდებს (იხ. იაკ. 4:14). ეს მეტაფორა 80-100 წლიან ცხოვრებას ასახავს მარადისობასთან შედარებით. მას რომ ჰქონოდა ამჟამად თანამედროვეობისთვის ხელმისაწვდომი მათემატიკური ცოდნა, ალბათ, უფრო ზუსტად იტყოდა თავის სათქმელს. მე, როგორც მათემატიკის შემსწავლელმა სტუდენტმა, განათლების მიღების ადრეულ წლებში გავიგე, რომ ნებისმიერი რიცხვის უსასრულობაზე განაყოფი ნულის ტოლია.

$$80 \text{ წელი} : \text{უსასრულობაზე (მარადისობა)} = 0$$

ან

$$100 \text{ წელი} : \text{უსასრულობაზე (მარადისობა)} = 0$$

ნებისმიერი განსაზღვრული რიცხვი ნულის ტოლი ხდება უსასრულობაზე გაყოფით ან მასთან შედარებით.

მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი ხანი იცხოვრე დედამიწაზე. თუნდაც 150 წელი იცოცხლო, ის მაინც ნულის ტოლი იქნება მარადისობასთან შედარებით. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი, იესო ქრისტეს მორწმუნეების მიერ ამ ნულოვან დროის სარკმელში გაკეთებული საქმეები განსაზღვრავს, თუ როგორ გავატარებთ მარადისობას. გახსოვდეთ, რომ მარადისობის გასატარებელი ადგილი იესოს ჯვარცმასა და მის მხსნელ მადლთან ჩვენი დამოკიდებულებით განისაზღვრება, ხოლო ის, თუ როგორ გავატარებთ მარადისობას ღვთის სასუფეველში, ამაზე პასუხისმგებელი ჩვენი, როგორც ქრისტიანების ცხოვრებაა.

გახსოვთ მოყვანილი ალეგორიიდან, როგორ ნანობდნენ ეგოისტი და დიდი დარბაზის უკანა რიგებში მსხდომი ადამიანები, რომ ფუჭად გაფლანგეს ენედელის ხანმოკლე ცხოვრება? მათთვის მიცემული ხუთწლიანი პერიოდის უმეტესი ნაწილი საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებას უფრო მოხმარდა, ვიდრე ჯეილინის ნების მთელი გულით შესრულებას. მათ აღმოაჩინეს, რომ ცხოვრების დარჩენილი ნაწილი თითოეულ მათგანში არსებული პოტენციალის შესაბამისად კი არა, გაცილებით დაბალ დონეზე უნდა გაეტარებინათ. თუმცა ყოველ მათგანს შეეძლო მეტი ძალისხმევა გამოეჩინა ჯეილინთან შრომისა და მასთან უფრო ახლოს ცხოვრების, უფრო მეტიც, მასთან ერთად ზეციურ ქალაქში მეფობის მისაღწევად. მათ სკოლის დასრულების შემდეგ არჩევანი მიეცათ, რომ ხანმოკლე დრო საკუთარი სიამოვნებისთვის გაეტარებინათ ან პირიქით მოქცეულიყვნენ. ნებისმიერ შემთხვევაში მათი მომავალი უკვე გადაწყდა. მომდევნო 130 წელი ენდელის ხუთწლიანი ცხოვრების სტილის უშუალო შედეგი გახლდათ. იფიქრეთ ამაზე: 130 წელი 5 წელთან შედარებით. ეს ძალზე დიდი დროა. დედამიწაზე ამდენ ხანს ერთეულები თუ ცოცხლობენ. ეგოისტს და სხვებს იქამდე რომ ეფიქრათ ამაზე, სანამ ენდელში მათი ყოფნის პერიოდი ამოიწურებოდა, მომავალი ცხოვრება სხვაგვარი ექნებოდათ.

მიუხედავად ჩვენი ალეგორიის ამ ცოცხალი მაგალითისა, ის ახლოსაც ვერ მოვა განსახილველ საკითხთან, ამიტომ სხვა სურათი წარმოვიდგინოთ. მოგეცათ ერთი დღე და ამ ოცდაოთხი საათის გატარებაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იცხოვრებთ მომდევნო ათასი წლის განმავლობაში. შეეცადეთ, გაიაზროთ ათასწლიანი პერიოდის ხანგრძლივობა. ეს, ალბათ, ამერიკის შეერთებული შტატების შექმნის იქეთ წაგვიყვანს,

სანამ ქრისტიანული კოლუმბი ახალი სამყაროს აღმოსაჩენად გაემგზავრებოდა და სანამ ნორმანები ინგლისს დაიპყრობდნენ.

ათასი წელი ძალზე დიდი დროა. და მაინც, ისეთ საზღაურს მიიღებთ, ისეთ პოზიციას დაიკავებთ, ისეთი სამუშაო გექნებათ, ისეთ ადამიანებთან იმუშავებთ, ისეთი სამეზობლო გეყოლებათ, ისეთ სახლში იცხოვრებთ, სახლიდან ისეთი ხედი გექნებათ და საერთოდ, ყველაფერი ისე გექნებათ ათასი წლის მანძილზე – როგორც იმ ერთადერთ დღეს გაატარებთ.

ნუთუ მთელ ძალისხმევას არ მოახმართ ხსენებულ ოცდაათხუთსაათს? როგორ იცხოვრებთ? ნუთუ არ შეცვლით თქვენი ახლანდელი ცხოვრების სტილს? ნუთუ არ შეიცვლება თქვენი პრიორიტეტები? ნუთუ უფლის მორჩილება ყველაზე მთავარი არ აღმოჩნდება? ნუთუ მის სიტყვებს მეტი მონდომებით არ წაიკითხავთ და მთელი გულმოდგინებით არ დაემორჩილებით? არ შეეცდებით ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენას ღვთის სამეფოს სასიკეთოდ? ადამიანებს სხვაგვარად არ მოექცევით? სავარაუდო ცხოვრების სტილის ჩამონათვალის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. და მაინც, ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაზეც ვლაპარაკობთ. რადგან ერთი დღე 365 000 დღეზე (ათასი წლის შესაბამისად) რომ გავყოთ, განსაზღვრულ რიცხვს ვიღებთ და ეს არ გახლავთ ნული.

მოდით, კიდევ უფრო შორს წავიდეთ. დაფიქვით, იმ ერთი დღის გატარებაზე დამოკიდებულია მომდევნო მილიონი წლის გატარება – თქვენი ქონებით, სამუშაოთი, თანამშრომლებით, სახლით, სამეზობლოთი, მანქანით და ასე შემდეგ! შეეცადეთ, დროის ამ მონაკვეთის წარმოდგენას. ათვლის წერტილი არ გვაქვს, რადგან კაცობრიობა დედამიწაზე, დაახლოებით, ექვსი ათასი წელია, რაც ცხოვრობს. ამრიგად, ჩვენ მიერ მოტანილი რიცხვი 150-ჯერ აღემატება კაცობრიობის დედამიწაზე ცხოვრების პერიოდს. ეს თავისთავად მიუწვდომლად დიდია და მაინც არაფერია განსახილველ საგანთან შედარებით, რადგან ერთი დღის 365 000 000 დღეზე (ერთი მილიონი წლის შესაბამისად) გაყოფით განსაზღვრულ რიცხვს ვიღებთ და ეს ნული ჯერ კიდევ არ არის. მნიშვნელობა არ აქვს, რა რიცხვს დავასახელებთ, მილიარდს თუ ტრილიონს, რადგან ერთ დღესთან შედარებით მაინც განსაზღვრულ რიცხვს ვიღებთ.

იმისდა მიუხედავად, რამდენი წელი ვცოცხლობთ დედამიწაზე, ეს დრო მარადისობასთან შედარებით მაინც ნულია. იქნებ სწორედ ამის გამო მოგვიწოდებს პავლე მოციქული, რომ ვიღვანოთ მაქსიმალური ჯილდოს მისაღებად? იგი კორინთელების მიმართ

წერილში გვეუბნება, რომ ყველა, ვინც ასპარეზზე გამოდის, მოსაგებად იბრძვის და შემდეგ ამატებს:

„განა არ იცით, რომ ასპარეზზე ყველანი გარბიან, მაგრამ მხოლოდ ერთი იღებს ჯილდოს? მაშ, ირბინეთ ისე, რომ ჯილდო მოიპოვოთ. ყველა, ვინც იღწვის, თავს იკავებს ყველაფრისგან; ისინი – ხრწნადი გვირგვინის მისაღებად, ჩვენ კი – უხრწნადისა. ამიტომ მეც გავრბივარ, მაგრამ არა უმიზნოდ, და არც ისე ვიქნევ მუშტებს, ვითომ ჰაერს ვცემდე; არამედ ვთრგუნავ და ვიმონებ ჩემს სხეულს, რათა სხვებს რომ ვუქადაგებ, თვითონ უღირსი არ აღმოვჩნდე“. (1კორ. 9:24-27)

პავლეს თანახმად, ცხოვრებაში ერთი მიზანი უნდა გქონდეს: მივიღოთ მარადიული საზღაური, რომელიც არასოდეს გადაივლის. ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ მოსაგებად ვიასპარეზოთ. მოგებისთვის კი უდრეკი დისციპლინა და თავშეკავება უნდა გამოვიჩინოთ და მიზანსწრაფულად ვიცხოვროთ.

წლების მანძილზე აქტიური სპორტსმენი გახდლით. როცა შეერთებული შტატების ჩოგბურთის ასოციაციის ტურნირში, დევისის თასის იუნორთა და NCAA-ს პირველი დივიზიონის შეჯიბრებებში ვმონაწილეობდი, დატვირთულ წვრთნას გავდიოდი. ყოველდღე, ექვის საათის განმავლობაში კორტებზე ვვარჯიშობდი და ასეულობით სპეციფიკურ დარტყმას ვახორციელებდი ჩემს მწვრთნელსა და თანაგუნდელებთან ერთად. ვკითხულობდი წიგნებს კორტებზე გონების სიმტკიცის შენარჩუნების შესახებ. კორტის მიღმა ფიზიკურად ვვარჯიშობდი სიმძიმეების აწევაში, სირბილსა და თოკით ხტომაში, ჟონგლიორობაში, რომ ხელისა და თვალის კოორდინაციის უნარი გამეუმჯობესებინა და ეს სია თითქმის არ იწურებოდა. იმდენად მიზანსწრაფული და შემართებული ვიყავი, რომ დედაჩემი ჩვენს მახლობლად არსებულ კორტებზე საწოლის გადატანით დამემუქრა. ნებისმიერი სხვა აქტივობისა და სპორტის სახეობისგან გავთავისუფლდი, რომელიც ჩემს წინსვლას ხელს შეუშლიდა. ასე რატომ ვიქცეოდი? მოსაგებად, ჩემპიონობისთვის, საუკეთესო რომ გავმხდარიყავი და ამისთვის მეტი ჯილდო მიმეღო.

ღვთის სამეფოში ეს ყველაფერი ცოტა სხვაგვარად ხდება. აქ სხვებს არ ვეჯიბრებით, არამედ მხოლოდ საკუთარ თავს



და ჩვენი მიზანია, რომ ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ, იესოს ვაამოთ (იხ. 2 კორ. 5:9). როცა წმიდა წერილს დაკვირვებით ვკითხულობთ, ვიგებთ ჩვენი უფლის სურვილის შესახებ, თუ როგორ მოვექცეთ ადამიანებს, რას მივდიოთ, რას დავუთმოთ დრო, ვისზე მოვახდინოთ ზეგავლენა მარადისობისთვის, როგორ გავილოთ მისი სამეფოსა და სხვებისთვის, როგორ ვაპატიოთ და მრავალ სხვას. ამაზე მოგვიანებით სიღრმისეულად ვიმსჯელებთ. დასკვნა ასეთია: უნდა ვიცხოვროთ, რომ გავიმარჯვოთ!

### ჯილდოების მრავალფეროვნება

წმიდა წერილი გვაჩვენებს, რომ მორწმუნეების საუკუნო საზღაური და პოზიციები არა მარტო განსხვავდება, არამედ ფართო სპექტრს მოიცავს ყველაფრის დაწვა-დაკარგვიდან დაწყებული იესო ქრისტესთან ერთად მარადიული მეფობით დამთავრებული (იხ. 1 კორ. 3:15; გამოცხ. 3:21).

ბევრი ადამიანი კრთება, როცა ესმის სიტყვები „ზარალი“ და „დანვა“ საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით. მათთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ ზეცაში მსგავსი რამ შეიძლება მოხდეს. და მაინც, ეს სრული სიმართლეა და ამას წმიდა წერილი ადასტურებს.

სანამ ამ მუხლებს გაგიზიარებდეთ, ნება მომეცით, განმარტების წინ გითხრათ, რომ წმ. წერილში მშენებლობის მეტაფორა არაერთხელ არის წარმოდგენილი ინდივიდუალური ცხოვრების აღსაწერად. სხვა შემთხვევებში, ბიბლია ეკლესიაზე როგორც ცალკეულ შენობაზე ან ტაძარზე მიუთითებს. მეტაფორის გამოყენების ორივე შემთხვევაში ჩვენ მშენებლებს გვინოდებენ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ვაგებთ საკუთარ ან სხვათა ცხოვრებას და მთლიან ეკლესიას. ამ შედარებას ხშირად მოვიყვან წიგნის დარჩენილ ნაწილში. პავლე ნათლად აცხადებს:

„... თქვენ კი – ღვთის ყანა და ღვთის შენობა [ხართ] ... თითოეულმა უყუროს, როგორ აშენებს. რადგან არავის ძალუძს სხვა საძირკველი ჩაყაროს, გარდა იმისა, რაც დადებულია, რომელიც არის იესო ქრისტე. და ვინ რას აშენებს ამ საძირკველზე – ოქროს, ვერცხლს, პატიოსან ქვებს, ხეს, ნამჯას, თივას – თითოეულის საქმე გამომჟღავნდება. ვინაიდან დღე გამოაჩენს, რადგან ის

ცეცხლით ცხადდება და თვითონ ცეცხლი გამოცდის თითოეული ადამიანის საქმეს. ვისი აშენებული საქმეც გაძლებს, ის მიიღებს საზღაურს. ვისი საქმეც დაინვება, ის იზარალებს; თვითონ კი გადარჩება, მაგრამ როგორც ცეცხლისგან“. (1 კორ. 3:9-15)

ჩვენ ვსაზღვრავთ, როგორ შენობას ავაგებთ და ცხოვრების მშენებლობის ნებისმიერ მომენტში ორი მთავარი არჩევანის წინაშე ვდგებით. ერთია დროებითის მიმართ მიზიდულობა, რომელიც ხორცის სიამოვნებას ემსახურება (ხე, ნამჯა, თივა) და მეორე – ჩვენი ხელახლა შობილი სულის სურვილის თანახმად ცხოვრება, ღვთის მარადიული სიტყვის მიყოლა (ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ქვები). მას შემდეგ რაც ღვთის თანდასწრების ცეცხლი ყველას საქმეებს გამოცდის, ჩვენი კარგად ყოფნა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორც ვაშენეთ, ანუ როგორ ვიცხოვრეთ.

არა მარტო ჩვენი საქმეები გამოიცდება, არამედ ჩვენი აზრები, მოტივები და ზრახვებიც გამომჟღავნდება. სწორედ ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი მორწმუნეთათვის, რომ გულმოდგინედ მოისმინონ, ყურადღება მიაპყრონ და გულეში ჩაიმარხონ ღვთის სიტყვა, რადგან იგი გამუდმებით „ამჟღავნებს, შეისწავლის, იკვლევს და განსჯის გულის ყოველ აზრსა და ზრახვას“ (ებრ. 4:12 AMP). არაფერს შეუძლია ჩვენი გულის სიღრმეებში ღვთის სიტყვასავით ჩანვდომა.

თუ ადამიანურ აზროვნებას, ლოგიკას, ფსიქოლოგიას ან სიბრძნეს ვუსმენთ, ჩვენი ფიქრები და გულის ზრახვები დროებითისკენ გადაიხრება და ხშირ შემთხვევაში სრულ უმეცრებაში ვიქნებით, როგორც ეგოისტი იყო განკითხვის დარბაზში მოხვედრამდე. სწორედ ამ მიზეზის გამო გვაფრთხილებს იესო:

„რადგან არ არსებობს დაფარული, რომ არ გაცხადდეს და არც საიდუმლო, რომ არ გამჟღავნდეს და არ გაცხადდეს. ამიტომ დაუკვირდით, როგორ ისმენთ: ვისაც აქვს, მას მიეცემა; და ვისაც არა აქვს, ისიც წაერთმევა, რაც ჰგონია, რომ აქვს“. (ლუკ. 8:17-18)

იესო გვეუბნება, რომ გულში ღრმად იძირება და შინაგან აზრებსა მიზნებს აყალიბებს ის, რასაც ვუსმენთ და ყურადღებას ვაპყრობთ, ეს ყველაფერი კი საბოლოოდ, ჩვენს ცხოვრებას აგებს. ყურადღებით უნდა ჩავუკვირდეთ ღვთის

სიტყვას, რადგან იგი სინათლეა ჩვენი ბილიკისთვის. მის გარეშე აუცილებლად ავცდებით სწორ გზას ნებისმიერი ბნელ ღამეში მოსიარულე ადამიანისთვის. შესაძლოა, მოკლე დროის მანძილზე კიდევ შეინარჩუნოთ სწორი მიმართულება, მაგრამ ბოლოს მაინც გადახვალთ გზიდან.

გზას აცდენილები, შესაძლოა, დროებითმა გაგვიტაცოს და მისით ვაშენოთ ჩვენი ცხოვრება. ეს არ გამომყლავნდება, სანამ მას ღვთის სიტყვა არ გაანათებს. პავლე კიდევ უფრო განავრცობს ამ აზრს შემდეგი ნათქვამით: „და მაინც, ყველაფერი სინათლით მყლავნდება, ვინაიდან რაც გამომყლავნდა, უკვე ხილული და ნათელია“ (ეფეს. 5:13).

სწორი გზიდან აცდენისას ორი რამ ხდება. პირველი და ორიდან უმჯობესია ის, რომ ღვთის სიტყვის მოსმენისას (ქადაგების, კითხვის და მეგობრის ან წინამძღოლის ნათქვამის მეშვეობით) ჩვენს სინდისში მხილება მოდის. ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი ღვთის სიტყვის მტკიცე დიეტით კვება. თუ გონიერები ვართ, სწრაფი ვიქნებით მონანიებასა და პატიების თხოვნაში ჩვენი აზრების, მოტივებისა და ზრახვების გამო. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი სინდისი გამუდმებულმა შეცდომებმა უგრძობი გახადა, უფრო გაძნელება ღვთის სიტყვის მოსმენა, ხოლო თუ ის დაინვა, მხილება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ შეგვაგონებს წმ. ნერილი, რომ სინდისი წმიდად შევინახოთ (იხ. იგ. 4:23; 2 ტიმ. 1:3). თუ სინდისს ვიცავთ და სინმიდეში ვინარჩუნებთ, ადვილად ვიგრძნობთ ცოცხალი სიტყვის შეხებას.

მეორე არჩევანი, რომელიც ნაკლებად სასურველია, გახლავთ ჩვენი ზრახვების გამომყლავნება განკითხვის ტახტთან. თუ ეს მოხდა, შესაძლო ჯილდოს დავკარგავთ. ამიტომ კითხვა უნდა დასვათ, ღირს კი შეენიანაღმდეგოთ ღვთის სიტყვის მხილებას? ყოველთვის, როცა მას უგულვებლყოფთ, თქვენი გული ქვაკვდება და უფრო დიდ სიცრუეში შედის. საკუთარ მდგომარეობას ველარ ვაცნობიერებთ და რეალობას მხოლოდ მაშინ ვიგებთ, როცა განკითხვის ტახტთან ღვთის დიდების ნათელი გამოამყლავნებს მას.

## ჩვენი მარადიული მომავლისთვის მზადება

ჩვენი ცხოვრების განხილვა საიდუმლოდ არაფერს დატოვებს. ყოველივე ხილული და ცხადი გახდება. სწორედ ამიტომ უნოდებს პავლე მოციქული სამსჯავროს „უფლის შიშს“.

აქ დაწვრილებით გამოიკვლევა ჩვენი მოტივები, ზრახვები, ფიქრები, სიტყვები, მოქმედებები და ასე შემდეგ. The Message Bible-ის ვერსიით 1 კორ. 3:9-სა და 12-15-ში მოყვანილი პავლეს სიტყვები შენებასა და სამჯავროსთან დაკავშირებით მეტად ძალმოსილია:

„სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ ღვთის ყანა და ღვთის შენობა ხართ. სიფრთხილე გამოიჩინეთ სამშენებლო მასალის შერჩევაში, რადგან თითოეულის საქმე გამომჟღავნდება! თუ იაფფასიან და დაბალი ხარისხის მასალას გამოიყენებთ, გამოაშკარავდებით. კვლევა დეტალური და მკაცრი იქნება. ერთ რამესაც კი ვერ გამოაპარებთ. ვისი საქმეც გამოძიებას გაუძლებს, ის მიიღებს საზღაურს. და თუ ვერ გაუძლო, დაირღვევა და ხელახლა დაიწყება. თქვენ კი დაზარალებით, თუმცა ვაივავალახით გადარჩებით“.

არ ვიცი, თქვენ რას ფიქრობთ, მაგრამ მე არ მინდა ძლივ-სძლივობით გადავურჩე ქრისტეს სამსჯავროს. აქ ჩვენს საუკუნო ხვედრზე ვლაპარაკობთ. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა დღეში ჩავარდება ადამიანთა უმრავლესობა? ჩვენს ალეგორიაში მოქმედი პერსონაჟებისთვის სრულიად მოულოდნელი იყო ის, რის წინაშე დადგომაც მოუხდათ გარდა მონკალებისა, რომელიც მომზადებული შეხვდა მარადისობას. სხვებმა სერიოზულად ვერ აღიქვეს მარტივი მოძღვრებაც კი, რაც თავიდანვე უნდა სცოდნოდათ.

გამუდმებით ვუყურებ ამ ქვეყნიერების გონიერ ადამიანებს, რომლებიც მომავლისთვის ემზადებიან. მათი შრომა კარიერის შესაქმნელად სკოლის კარის შეღებისთანავე იწყება. წარმატებული კარიერის შემდგომი ნაბიჯია სახლების შექმნა კაპიტალის დაგროვების მიზნით. ისინი ასევე ზოგავენ გარკვეულ თანხას და საპენსიო ფონდსაც იქმნიან ხანდაზმულობის პერიოდისთვის. ზოგიერთი ჭარბი შემოსავლით ინვესტიციებს ახორციელებს მოგების მისაღებად. ეს ყველაფერი მომავლის უზრუნველყოფისთვის კეთდება. მათ არ სურთ გაჭირვებაში ცხოვრება, განსაკუთრებით კი მოხუცებულობის ასაკში. ეს ადამიანები საპენსიო ასაკისთვის ისევე რომ ემზადებოდნენ როგორც მრავალი მარადისობისთვის ემზადება, თავს დიდ საფრთხეში ჩაიგდებდნენ. ისინი ბევრი ეკლესიისგან განსხვავებით შემოფოთებულები და დაშინებულები იქნებოდნენ.

ნება მომეცით, სავარაუდო სურათი დაგიხატოთ. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობა იქნება იმ დღეს, როცა ადამიანს ასაკის გამო სამსახურიდან დაითხოვენ. პირველი, სოციალური უზრუნველყოფა მოიშლება და არ იქნება შემოსავალი ყოველთვიური პენსიის განსახორციელებლად. არა მხოლოდ ეს, არამედ მისი აქტივების მფლობელი ბანკი კარებს გაიხურავს და საქმიდან გავა. დანაზოგები აღარ აქვს. იმავე დღეს ადამიანი ცეცხლის ალში გახვეული იღვიძებს. მისი სახლი იწვის. იგი ხანძარს თავს აღწევს მხოლოდ იმ ტანსაცმლით, რომელიც ზედ აცვია და ისღა დარჩენია, სახლის ბოლომდე დაწვას უყუროს, რაც სრულიად ანადგურებს ყველაფერს, რაც ოდესმე შეუძენია.

ეს ძალზე ნაღვლიანი დღე იქნება იმ ადამიანის ცხოვრებაში. და მაინც, საქმე სწორედ ისეთ სურათთან გვაქვს, რომელსაც პავლე გვიხატავს. ეს დღე აუცილებლად დაუდგება ზოგიერთ ქრისტიანს ქრისტეს სამსჯავროზე. კვლავ მოისმინეთ მისი სიტყვები: „ვისი საქმეც დაინება, ის იზარალებს; თვითონ კი გადარჩება, მაგრამ როგორც ცეცხლისგან“ (1 კორ. 3:15). ცათა სამეფოს ბრძენმა მოქალაქეებმა იციან, რომ შეუძლებელია მომავლის შექმნა საპენსიო ასაკში. ჩვენ მარადისობისთვის უნდა მოვემზადოთ!

ნახსენები ბრძენები ის ადამიანები არიან, რომლებიც თავიანთ საუკუნო მომავალს გეგმავენ. ისინი გარკვეული მიზნისთვის ცხოვრობენ და იციან, რომ მათი მარადიული ხვედრი დედამიწაზე ცხოვრებით იწერება. ეს მათ ღვთის სამეფოში ფართო შესასვლელით უზრუნველყოფს ნაცვლად იმისა, რომ დამწვრობისა და განადგურების შემდეგ როგორღაც იქ შეძვრომა მოახერხონ. ნახეთ, რას ამბობს პეტრე ამ საკითხთან დაკავშირებით:

„ამიტომ, ძმებო, კიდევ უფრო გულმოდგინედ ეცადეთ განამტკიცოთ თქვენი მონოღება და რჩეულობა; თუ ასე მოიქცევით, არასოდეს წაიბორძიკებთ, და ასე უფრო ფართოდ გაიღება თქვენს წინაშე ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს საუკუნო სამეფოს კარი“.  
(2 პეტრ. 1:10-11)

გულუხვი დახვედრა ის გახლავთ, როცა უფალი გვეტყვის: „კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ! მცირედზე ერთგული იყავი, მრავალზე დაგაყენებ. შედი შენი ბატონის სიხარულში!“ (მათ. 25:21)

ამას წინათ უფალმა ხილვა მომცა. დავინახე როგორც მარშირებდნენ ღვთის სამეფოს გამარჯვებულები მის ქალაქში. ალღუმი ოქროს ქუჩებში მიმდინარეობდა და ქვაფენილზე მდგარი უამრავი მამაკაცი და ქალი მათ შეძახილებით ხვდებოდა. მეფე იესო ამაღლებულ ბაქანზე იდგა მთელი ქალაქის დასანახად. ერთგული მეომრები მარშით ადიოდნენ საფეხურებზე და იესოს წინაშე ნადავლი მიჰქონდათ ხალხის სიხარულის ყიჟინის ფონზე. ხილვაში ისე ჩანდა, თითქოს უფალი მეომრებს ეუბნებოდა: „ყოჩაღ!“

შემდეგ უფალი ჩემს გულს დაელაპარაკა: „გინდა ამ მეომრების რიგებში შედიოდე, რომლებიც მომკილ ნაყოფს ჩემთან მოიტანენ თუ ქვაფენილებზე მოყიჟინეთაგან ერთ-ერთი იქნები?“ მაშინ გადავწყვიტე ისე, როგორც არასდროს, რომ ჩემი მონოდება და რჩეულობა გამემართლებინა. სიმტკიცე შემმატა იმის გაცნობიერებამ, რომ მიხდოდა სიამოვნების ღიმილი დამენახა ჩემი უფლის სახეზე, როცა ჩემს ცხოვრებას განიხილავდა. არ მსურდა მისი დანალვლიანებული სახის ცქერა, როცა აღმოჩნდებოდა, რომ ჩემი პოტენციური სრულად ვერ გამოვიყენე. ასევე გადავწყვიტე, რომ ეს ჭეშმარიტება ცნობილი გამეხადა ყველა ღვთის მოყვარული ადამიანისთვის ჩემს თაობაში, რომ ჩემთან ერთად მათაც ფართოდ გაღებოდათ სასუფეველის კარი, მიეტანათ დამსახურებული ნადავლი და ჩვენი ზეციერი მამის დიდებული ღიმილი ეხილათ. სწორედ ჩვენ ვსაზღვრავთ, რამდენად დიდებული დახვედრა გვექნება დედამიწაზე მსახურების მეშვეობით. ეს გახლავთ მომდევნო თავების დანერის მთავარი მიზანი.

## მალე

მომდევლო თავებში განხილულია ის მთავარი სფეროები, რომლებშიც განვისჯებით ან დავჯილდოვდებით. უნდა აღინიშნოს, რომ ვერ მოხერხდა ყველა მათგანის ამომწურავად წარმოდგენა და მხოლოდ ყველაზე მთავარ ასპექტებს შევეხეთ. თუმცა კარგი საფუძველი ჩაიყრება, რომელზეც აიგება მარადისობისთვის ვარგისი ცხოვრება.


დასასრულს, ყურადღებით წაიკითხეთ პეტრეს ქვემოთ მოყვანილი სიტყვები და ნება მიეცით, რომ თქვენ გულს დაელაპარაკოს ამ თავში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. თქვენ ნახავთ საკვანძო სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც ჩვენს ნათქვამს უფრო ცოცხალს გახდის. ასევე პეტრეს სიტყვები შემდგომ თავში გადმოცემული თემებისთვის მოგვამზადებს:

„მისმა ღვთაებრივმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც ღვთისთვის სათნო ცხოვრებას სჭირდება, მისი შემეცნებით, ვინც თავისი დიდებისა და სათნოებისკენ მოგვინოდა, და ამიტომ წუთსაც ნუ დაკარგავთ, რომ აშენოთ მოცემულზე და შესძინოთ თქვენს საწყის რწმენას სათნო ხასიათი, სულიერი გაგება, ფხიზელი თავშეკავება, დაშურებული მოთმინება, მოკრძალებული დაინტერესება, გულთბილი მეგობრობა და ნამდვილი სიყვარული. ყველა ეს თვისება დანარჩენებს ეხამება და ავითარებს. თუ ყოველივე ეს თქვენშია და მრავლდება, თქვენს ფეხქვეშ ბალახი არ გაიზრდება, ერთი დღეც არ ჩაივლის საზღაურის გარეშე, რადგან გაიზრდებით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს შემეცნებაში. ... ამიტომ, ძმებო, კიდევ უფრო გულმოდგინედ ეცადეთ, განამტკიცოთ თქვენი მონოღება და რჩეულობა; ამ საქმეს ნუ გადადებთ, ახლავე იმოქმედეთ და გექნებათ მყარი ცხოვრება, მოგებული ქუჩები და თქვენს წინაშე ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს საუკუნო სამეფოს ფართო კარი გაიღება! დიდია საზღაური, ამიტომ ერთი წუთიც არ მინდა დავკარგო ისე, რომ არ შეგახსენოთ, თუმცა იცით და მტკიცედ დგახართ ახლანდელ ჭეშმარიტებაში. და სწორად მიმანია, სანამ ცოცხალი ვარ, შეხსენებით გამოგაფხიზლოთ“. (2 პეტრ. 1:3, 5-8, 10-13 The Message)

ნაწილი 4: თავები 8-10

1. ალბათ, აფაბელის მოქალაქეთათვის განკითხვის ყველაზე შთამბეჭდავი მომენტი ახალი სახელების მიღებაა. იფიქრეთ, ვინ და რანი იყავით ქრისტესთან მოსვლამდე და როგორ გარდაქმნა იესომ თქვენი ცხოვრება. თქვენი აზრით, როგორი იქნება თქვენი სახელის ცვლილების ამბავი ამ მომენტამდე?
2. თქვენი აზრით, შეიძლება ზეცა იყოს სიხარულის ადგილი მორწმუნეთათვის, სადაც ყველა ცრემლი მოიწმინდება მიუხედავად იმისა, რომ ისინი დიდ ზარალს ნახავენ დედამიწაზე ცხოვრების წესის გამო?
3. საკუთარი სიტყვებით განმარტეთ, რამ განაპირობა მონ-ყალების გამორჩეულობა მისი თანატოლებისგან განკითხვის ტახტის წინაშე. რას გვასწავლის მისი მაგალითი ჩვენი საკუთარი ცხოვრების შესახებ?
4. მე-9 თავში ზეცის ბიბლიური აღწერილობის რომელიმე ასპექტმა თქვენი გაკვირვება გამოიწვია? როგორ?
5. მე-10 თავში იხილავთ განცხადებას: „იესოს სისხლი გვწმენს ყოველგვარი ცოდვისგან, რომელიც ცათა სამეფოსგან გვაშორებს; თუმცა ეს არ აგვაცილებს სამსჯავროს, რომელიც განსაზღვრავს, რამდენად კარგი ან ცუდი იყო ჩვენი, როგორც მორწმუნეების, ცხოვრება“. როგორი იყო თქვენი პირველი რეაქცია ამ განცხადებაზე? როგორია თქვენი აზრები ამ ნაწილის შესწავლის შემდეგ?





65B020 5



## თავი 11

# სახლი ღვთის დაპვეთით

„... რომელშიც თქვენც შენდებით,  
რათა იყოთ ღვთის სამკვიდრებელი სულში“.

ევგს. 2:22

დორწმუნეთა სამსჯავროს ორ მთავარ კატეგორიად დავ-  
ყოფთ. პირველი გახლავთ ჩვენი ჩართულობა ღვთის  
სამეფოს მშენებლობის საქმეში ჩვენი მონოდებისა და  
ნიჭების შესაბამისად, ხოლო მეორე – თუ როგორ ვაგებთ  
ცალკეული ადამიანების ცხოვრებას, რაც აუცილებლად  
მოიაზრებს ჩვენს საკუთარსაც. სხვების შენებასთან  
დაკავშირებით ყურადღება მახვილდება ზეგავლენის  
მოხდენაზე. საკუთარი ცხოვრების შენება კი ღვთის მადლთან  
თანამშრომლობას გულისხმობს ქრისტესმიერი ხასიათის  
ჩამოყალიბებაში. ეს უკანასკნელი ღვთის სიტყვის მიმართ  
ჩვენი გამოხმაურების, მრწამსისა და სიტყვის მორჩილების  
თანამდევი პროდუქტია. ჩვენი მოქმედებები და საქმეები,  
სიტყვები, აზრები და მოტივები სრულად გამოიცდება ყველა  
შემთხვევაში.

თავდაპირველად, ღვთის სამეფოს შენებაში ჩვენი ფუნქციის  
განსჯას გამოვიკვლევთ, შემდეგ კი ჩვენს საკუთარ ცხოვრებაზე  
ვიმსჯელებთ.

„რა შეგიძლია ჩემთვის გააკეთო?“

ღვთის სამეფოს შენების უნარი სრულიად დამოკიდებულია  
სულიწმიდისადმი ჩვენს მორჩილებაზე, რადგან საუკუნო  
ფასეულობის მქონეს ვერაფერს გავაკეთებთ იესო ქრისტეს  
მადლის გარეშე. ჩვენ გვეუბნებიან: „თუ უფალი არ ააშენებს  
სახლს, ამაოდ გაირჯებიან მისი მშენებლები“ (ფს. 127:1). ეს  
მუხლი ნათლად მიუთითებს, რომ შეგვიძლია ღვთის სულის  
გარეშეც ვაშენოთ, თუმცა მარადისობის თვალსაზრისით ეს  
შრომა უსარგებლო იქნება. იგი სამსჯავრო ტახტთან დაიწვება.  
არსებითა ამ საკითხის გააზრება.

ღმერთი ასე ეუბნება ძველი აღთქმის ადამიანთა ერთ ჯგუფს, რომელიც მეტისმეტად დაკავებული იყო მისი მსახურებით:

„ასე ამბობს უფალი: „ცა ტახტია ჩემი, დედამინა კი ჩემს ფეხთა სადგამი. სად არის სახლი, რომელიც უნდა ამიშენოთ და სად არის ჩემი მოსასვენებელი ადგილი? ჩემმა ხელმა შექმნა ეს ყოველივე და ასე გაჩნდა ეს ყველაფერი!“ – ამბობს უფალი. „აი, ვის მივაპყრობ მზერას: თავმდაბალს და სულით მოდრეკილს, ჩემს სიტყვაზე რომ თრთის“. (ეს. 66:1-2)

უბრალოდ რომ ვთქვათ, უფალი ამბობს: „მე ვარ ღმერთი. სრულად აცნობიერებ, ვინ ვარ მე? რა შეგიძლია ჩემთვის გააკეთო?“ იდეა, რომ რაღაც ღვთისთვის საჭირო შეგვიძლია, გავაკეთოთ, ჰგავს ჭიანჭველების ჯგუფის ნათქვამს ადამიანის მიმართ: „შენთვის სახლის აშენებას ვაპირებ“. რა სასაცილოა! არაფრის კეთება არ შეგვიძლია საკუთარი ძალებით ისე, რომ ჩვენს დიდებულ, ჩაუნვდომელ და საოცარ ღმერთს ვემსახუროთ და ვაამოთ. მას ნამდვილად არ ვჭირდებით.

მეორე მხრივ, თავად ღმერთი საზღვრავს, ვინ აამებს და მისთვის ვინ ივარგებს: ვინც თავმდაბალი, მონანიე, მისი მოშიში და მორჩილია. ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც მისი სახლის აგების პატივი ექნებათ. როგორ შეუძლიათ სარგებელი მოუტანონ ასეთ დიდებულ ღმერთს? „არა ძალით და ძლიერებით, არამედ ჩემი სულით“ – ამბობს ცაბაოთ უფალი“ (ზაქ. 4:6). ეს გახლავთ ადამიანის მორჩილი თანამშრომლობა სულიწმიდასთან, რასაც შედეგი მოაქვს. მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იქნება ფუჭად დახარჯული მშრომელის ძალისხმევა.

## თანამშრომლები

არსებობს ერთი საოცარი ფაქტი: ასეთმა დიდებულმა და საოცარმა ღმერთმა, როგორიც ის არის, საკუთარი არჩევანით აუკრძალა თავის თავს დედამინაზე საქმიანობა, როცა ჩვენი პლანეტა დასაწყისშივე ადამიანს გადასცა. შესაბამისად, ღმერთს მოქმედება აეკრძალა.

შესაძლოა, ამ აზრმა გაგაოგნოთ, მაგრამ ნმ. წერილი არაერთხელ ადასტურებს მას. აბრაჰამის შთამომავლები „ტკივილს აყენებდნენ (ინგ. ზღუდავდნენ) ისრაელის წმიდას“

(ფს. 78:41). იესო მისი ერის სულიერ წინამძღოლებს ასე ეუბნება: „ღვთის სიტყვას აუქმებთ, ფუჭსა და უშედეგოს ხდით თქვენივე გადმოცემით“ (მარკ. 7:13 AMP). ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ღმერთთან თანამშრომლობაზე, რომ მისთვის სასურველი მიზანი განვახორციელოთ. ძირითადად, ეს მდგომარეობს ადამიანთა გარდაქმნაში იესოს ხატად და მსგავსად, რომლებიც მარადისობის განმავლობაში იცხოვრებენ. სწორედ ამ მიზეზის გამო გვეწოდება ღვთის თანამშრომლები:

„ვინაიდან ჩვენ ღვთის თანამშრომელი ვართ, თქვენ კი – ღვთის ყანა და ღვთის შენობა“. (1 კორ. 3:9)

თითქმის ყოველთვის, როცა ახალ აღთქმაში მარადიული საშრომის შესახებ გესმით, დაინახავთ, რომ ის შედარებულია ყანასთან ან შენობასთან. რატომ ყანა? იმიტომ, რომ დედამიწა არის ღვთის სამეფოს გასაზრდელი მინდორი, რაც ახლა მიმდინარეობს. მთელი ზეცა ყიჟინებს, როცა უყურებს წმიდანთა მიერ სამეფოს მშენებლობას დედამიწაზე. რატომ შენობა? იმიტომ, რომ ღმერთი მუდმივ სამკვიდრებელს ელოდება, ჩვენ კი მისი რეზიდენციის შემადგენელი ცოცხალი ქვები ვართ.

პეტრე წერს: „თქვენც აშენდით ცოცხალი ქვებით სულიერ სახლად“ (1 პეტრ. 2:5). პავლე წერს: „შენდებით რა ... ერთად შერწყმული ... წმიდა ტაძრად უფალში“ (ეფეს. 2:20-21). არსებითად, ჩვენი დედამიწაზე ყოფნის მიზანია ღვთის დიდებული ტაძრის ანუ სახლის აგება, იქნება ეს ადამიანთა გადარჩენა, სწავლება, მომსახურება თუ რაიმე ანალოგიური. ყველა ჩვენგანს აქვს წმიდა, ცოცხალი ქვის ფუნქცია და ასევე წარმოვადგენთ მშენებელს, რომელიც ცოცხალ ქვებს ერთმანეთს უხამებს და აკავშირებს ღვთის დიდებულ სახლად. ეს თვალსაჩინოდ გვაჩვენებს პირად და ცათა სამეფოს პასუხისმგებლობებს, რისთვისაც ანგარიშვალდებული ვართ ღვთის წინაშე.

## სახლი შიკვეთით

სახლების დაკვეთით მშენებელი რომ ვიყო, ყოველგვარი სამუშაოს დაწყებამდე კარკასის ნახაზს შევადგენდი და მშენებლობის გეგმას დავსახავდი. ნახაზები დეტალურად უნდა აღწერდეს სახლის აგების თანმიმდევრობასა და საჭირო

მასალებს. თუმცა ეს ყველაფერი არ არის. ყველა მშენებელმა იცის, რომ ამ საქმის უმთავრესი ნაწილი ხელოსნების სათანადო დროს დაქირავება გახლავთ. ესენია საძირკვლის ჩამყრელები, ცემენტის ამრევეები, სანტექნიკოსები, მეფილე-მომპირკეთებლები, ელექტრიკოსები და ამ სიის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება. ყოველი მათგანის მუშაობის დროს თუ არ გაითვალისწინებთ, ქაოსი გარდაუვალი იქნება. ამის მაგალითია თაბაშირ-მუყაოს კედლების ხელოსნის მონვევა ელექტროსადენების გაყვანასა და საიზოლაციო სამუშაოების დასრულებამდე.

თუ ხელოსანი თავის საქმეს ცუდად შეასრულებს ან მისთვის გათვალისწინებულ გრაფიკს არ დაიცავს, მშენებელი სხვას დაუძახებს იმ საქმის გასაკეთებლად. ახალ ხელოსანს სასწრაფოდ გამოცხადება და წინა დაქირავებულის მიერ გაფუჭებული საქმის გამოსწორება მოუწევს. ხელოსანმა დავალება რომ ვერ შეასრულოს, მშენებელი საქმის ბოლომდე მიყვანაზე მაინც იზრუნებს.

ასევე შევნიშნე, რომ მშენებელი *საკუთარ სახლს* მეტი დაკვირვებით აშენებს და ხელოსნებსაც გულდასმით არჩევს. იგი შეამონმებს, გამოიყენება თუ არა საუკეთესო მასალა და სხვა დანარჩენი სამუშაოს ხარისხიანად შესრულებისთვის. იგი მშენებლობის პროცესს დიდი გულმოდგინებით უმეთვალყურებს. ღმერთი *საკუთარი სახლის* შემკვეთი მშენებელია და მისი სახლი ადამიანთაგან აგებულ ქალაქს წარმოადგენს!

დედამიწაზე განსაკუთრებულ სახლებს ხშირად სახელებს ურჩევენ. მაგალითად, ინგლისის დედოფლის საცხოვრებელს ბაკინგემის სასახლე ეწოდება. შეერთებული შტატების პრეზიდენტის სახლს თეთრი სახლი ჰქვია. შესაძლოა, სხვები ასე ცნობილი არ იყოს. მსახიობ ფილის კალვერტის სახლს *ჰილ ჰაუზი* ეწოდება. მსახიობისა და რეჟისორის, ჩარლზ ივან ვენსის სახლი *ოუკ ლოჯი* გახლავთ. ნოველისტ ჩარლზ დაიერის სახლს *ოულდ ვობი* ეწოდება. სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება. და მაინც, ღმერთმა ეს საქმე ყველაზე ადრე დაიწყო. იგი თავის საუკუნო სახლს, რომელიც ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესშია, *სიონს* უწოდებს. შემდეგ მუხლებში ვკითხულობთ:

„რადგან სიონი ამოირჩია უფალმა, თავისთვის ისურვა სამკვიდრებლად. „მარადიულად ეს არის ჩემი მოსასვენებელი ადგილი, აქ დავმკვიდრდები, რადგან ასე ვისურვე“. (ფს. 132:13-14)

თუ თქვენი საოცნებო სახლის შენების პრივილეგია გქონიათ, გეცოდინებათ, რა აღფრთოვანება და მოლოდინი ახლავს მის დასრულებას. ერთი სული გქონდათ, სანამ იქ მოისვენებდით, რადგან ეს იყო თქვენი სიხარულისა და სიმშვიდის ადგილი.

მე და ლიზას 1990-იან წლების შუა პერიოდში სახლის შეკვეთით აგების პატივი გვერგო. ჯერ კიდევ ორლანდოში, ფლორიდის შტატში ვცხოვრობდით, როცა შეკვეთით სახლების აღიარებული მშენებელი და ჩვენი საეკლესიო მსახურების მოყვარული, სახელად რობერტი, ასეთი განცხადებით მოგვიახლოვდა: „მინდა, სახლი აგიშენოთ!“ იმ დროისთვის ძალიან პატარა სახლში ვცხოვრობდით და ვივარაუდეთ, რომ ამ ადამიანის მომსახურება საკმაოდ ძვირი დაგვიჯდებოდა. როცა ყოყმანი შეგვატყო, ამოთქვა: „ღვთისთვის მისაღებ ფასად აგიშენებთ“. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მას ერთი ცენტი მოგებაც არ დარჩენია იმ სახლიდან.

იქამდე ორ პატარა სახლში ვცხოვრობდით, რომლებიც ერთი ბენო სერიულ სახლებს წარმოადგენდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ მათი დიზაინის შერჩევაში არავითარი მონაწილეობა არ მიგვიღია. არასოდეს დამავინწყდება, როგორ გვესტუმრა რობერტი ჩვენს სერიულ სახლში პირველი საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, სამზარეულოს მაგიდას მიუჯდა, სუფთა ფურცელი ამოიღო და ენთუზიაზმით სავსემ განაცხადა: „დახატეთ თქვენი საოცნებო სახლი!“

გაოგნებული დავრჩით. ვერ წარმოგვედგინა, რომ ეს შესაძლებელი იყო. ჩემი ცოლი მაშინვე შეუდგა საქმეს და ესკიზის ხატვა დაიწყო. იგი წლების მანძილზე ელოდა ამ შანსს. ბოლოს, პროცესში მეც ჩავეერთე. ძალიან სახალისო იყო და აღფრთოვანება კიდევ უფრო იზრდებოდა, როცა თანდათანობით ვაცნობიერებდით, რომ ჩვენთვის სასურველი სახლის დიზაინის შექმნის იდეა რეალობად იქცა. აქ საზღვრებს არავინ გვინესებდა.

შემდეგ ცარიელ ფურცელზე გამოსახულ სახლს შევხედეთ და საქმე არქიტექტორებსა და დიზაინერებს გადავეცით. რამდენიმე დღე გავიდა და ბობმა პროექტი მოგვითანა. ერთი სული გქონდა მშენებლობის დაწყებამდე.

როცა რობერტის ხელოსნებმა საძირკველი ჩაასხეს და შენებას შეუდგნენ, ყოველდღიურად, ზოგჯერ კი დღეში ორჯერაც მივდიოდით მის სანახავად მთელი პროცესის დასრულებამდე. ძალზე მონადინებული ვიყავით. ვეღარ ვითმენდით სახლის მეორე ფასადის აშენებამდე. რამდენიმე

თვე წლებივით გაიწელა, ხოლო დღეები – კვირებად იქცა სახლისთვის ყოველ ცისმარე დღეს რაღაც ახლის შემატებისა და ერთ დღესაც იქ გადაბარგების გამძაფრებულ მოლოდინში. გაცხებული ვიყავით, რომ ცარიელ ფურცელზე დახატული ესკიზი ჩვენს თვალწინ ნაოცნებარ სახლად გარდაიქმნა!

ეს უსუსური გზა გახლავთ ღვთის ემოციებისა და მოლოდინის აღსაწერად, რომლითაც იგი მისი საოცნებო სახლის დასრულებას ელის. და ეს მშენებლობა რამდენიმე თვეზე გაცილებით დიდხანს გრძელდება. იგი სახლის დასრულებას სამყაროს შექმნიდან ელოდება. ჩვენ გვითხრეს: „რადგან აღაშენებს უფალი სიონს“ (ფს. 102:16) და „სიონიდან, მშვენიერების სრულქმნილებიდან, გამობრწყინდა უფალი“ (ფს. 50:2).

ღმერთი თავის სახლზე რამდენიმე ათასი წელია მუშაობს. მან გეგმა მანამ დასახა, სანამ ადამიანს დედამიწაზე დაამკვიდრებდა. მან თავისი ყოვლისმცოდნეობით იცოდა, რომ ადამიანი შესცოდავდა, თუმცა ეს სულაც არ შედიოდა მის ჩანაფიქრში. მან წინასწარ ცოდნის მეშვეობით გადარჩენილი კაცობრიობისგან სიონის აგება დაგეგმა.

ღმერთმა ყველაფერი საძირკვლის ჩაყრით და ქვაკუთხედის დადებით დაიწყო, რომელიც სხვა არავინაა, თუ არა მხსნელი იესო ქრისტე. მასზე მამა ღმერთი ამბობს: „აჰა, ქვას დავაფუძნებ სიონში, გამონაცად ქვას, ძვირფას ქვაკუთხედს, საიმედო საძირკველს“ (ეს. 28:16). მამა ღმერთმა სახლის მშენებლობა სამყაროს შექმნამდე ჩაიფიქრა და დაგეგმა, ამიტომ იესოს ეწოდა „ქვეყნიერების დასაბამიდან დაკლული კრავი“ (გამოცხ. 13:8), რომელზეც პეტრე ამბობს, რომ იგი „წუთისოფლის შექმნამდე იყო წინასწარ განწესებული“ (1 პეტრ. 1:20).

იესო არა მარტო საძირკველი და ქვაკუთხედი გახლავთ, არამედ მთავარი მშენებელიც. მან დაკისრებული დავალება სრულყოფილად შეასრულა. იესომ ჯვარცმის წინ ლოცვისას ასეთი სიტყვები უთხრა მამა ღმერთს: „აღვასრულე საქმე, რომელიც მომეცი გასაკეთებლად“ (იოან. 17:4).

მამა ღმერთმა სახლის აგება იესოს განწესებულ დროს გამოგზავნით დაიწყო (იხ. გალ. 4:4). შემდეგ მან პროცესში დანარჩენი ხელოსნები ჩართო. მათში მე და თქვენც შევდივართ. თუმცა ადრე ითქვა, რომ ჩვენ არა მარტო ხელოსნები ვართ, არამედ მისი სახლის სამშენებლო მასალასაც წარმოვადგენთ. პავლე ამბობს: „ამოგვირჩია მასში ქვეყნიერების შექმნამდე, რათა წმიდანი და უბინონი ვყოფილიყავით მის წინაშე



სიყვარულით“ (ეფეს. 1:4). ეს გვეუბნება, რომ ჩვენ მისი სახლის მშენებლები ვართ, ცოცხალი ქვები.

ღმერთმა ასევე აგვიჩინა ხელოსნებად, რადგან ვკითხულობთ: „ვინაიდან მისი ქმნილებანი ვართ, ქრისტე იესოში შექმნილნი, კეთილი საქმეებისთვის, რომლებიც წინასწარ გაგვიმზადა ღმერთმა, რათა ამ საქმეებში ვიაროთ“ (ეფეს. 2:10). ყურადღება მიაქციეთ, რომ მან შესასრულებელი დავალებები წინასწარ გაგვიმზადა. წერილი სხვაგან არსად ამბობს, რომ ჩვენი დავალებები ქვეყნიერების შექმნამდე მოგვეცა, თუმცა ეს სრულიად შესაძლებელია. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ „ღვთის საქმენი დასრულებულნი იყვნენ ჯერ კიდევ წუთისოფლის დასაბამიდან“ (ებრ. 4:3). რაც შეეხება ჩვენს, როგორც ხელოსანთა დავალებებს, ნმ. წერილიდან მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ისინი დაბადებამდე მოგვეცა. დავითი ამბობს: „ჩემი ჩანასახი იხილეს შენმა თვალებმა და შენს წიგნში იყო ჩანწერილი ჩემი მომავალი დღეები, როცა ჯერ კიდევ არ იყო არც ერთი მათგანი“ (ფს. 139:16).

ჩვენი ცხოვრებისეული სამუშაო მანამ იყო განსაზღვრული, სანამ დედის მუცელში გამოვისახებოდით. ეს ჭეშმარიტება იერემიას მიმართ ღვთის სიტყვიდან ჩანს. მან თქვა: „სანამ მუცელში გამოგსახავდი, მანამდე გიცნობდი, სანამ საშოდან გამოხვიდოდი გამოგარჩიე და წინასწარმეტყველად დაგადგინე ერებში“ (იერ. 1:5). პავლე მოციქული ასევე წერს: „ხოლო როცა კეთილინება ღმერთმა, რომელმაც გამომარჩია დედის საშოდან და მომიწოდა თავისი მადლით ...“ (გალ. 1:15-16). მხოლოდ ეს მოწმობებიც ადასტურებს დავითის სიტყვებს, რომ ყველა ჩვენგანი დაბადებამდე გამოყოფილი ვიქენით ღვთის განსაკუთრებული საქმის საკეთებლად.

სახეზეა საოცარი ჭეშმარიტება: ღმერთმა დაბადებამდე დანერა წიგნი თქვენს შესახებ და მასში აღწერილია თქვენი ცხოვრების ყოველი წუთი, როცა ჯერ დაბადებიდან ერთი დღეც არ გასულა! კითხვა იმაში მდგომარეობს, ვასრულებთ თუ არა ჩვენთვის დაგეგმილს. სოლომონი აცხადებს:

„ვიცი, რომ ყოველივე, რასაც ღმერთი იქმს – საუკუნოდ რჩება, არც მიემატება მას და არც მოაკლდება. ღმერთმა დაადგინა ასე, რომ მისი ემინოდეთ. რაც არის – უკვე იყო და რაც იქნება – უკვე ყოფილა; ღმერთი მოიძიებს გარდასულს“. (ეკლ. 3:14-15)

რამდენი რამ დევს ამ მონაკვეთში. უპირველეს ყოვლისა, ღმერთს აქვს გეგმა. ვერაფერი შეაფერხებს მის აღსრულებას და კაცობრიობა მას ვერაფერს დაუმატებს. და მაინც, სოლომონი ამბობს, რომ ის, რაც ახლა არის, დიდი ხნის წინ ღვთის გონებაში არსებობდა. რაც მომავალში უნდა აღსრულდეს, ისიც ღვთის გეგმაში იყო იმთავითვე. ამრიგად, ჩვენ ანგარიშს ვაგებთ იმისთვის, რაც უკვე გაკეთდა! შევედით თუ არა იმ საქმეში, რომელიც ღმერთმა შესასრულებლად მოგვცა? ყველაფერი აფურიეთ თუ საერთოდ ავცდით ამ დავალებას? სხვისი მოყვანა ხომ არ მოუწევს იმის საკეთებლად, რაც ჩვენთვის იყო გათვალისწინებული მთავარ გეგმაში?

მოცემულ მომენტში ერთი მნიშვნელოვანი განცხადება უნდა გავაკეთო. ყველას აქვს ღვთიური მონოდება ცხოვრებაში. თითოეული ჩვენგანი ღვთის სახლის მთავარი მონახაზის არსებითი ნაწილია. ამრიგად, ჩვენთვის კარგია ამ ჭეშმარიტების ცოდნა:

„რაც შეეხება ღვთიურ მონოდებას, თქვენ პასუხს აგებთ არა იმისთვის, რაც გააკეთეთ, არამედ იმისთვის, რის საკეთებლადაც მოგიწოდეს!“

ნება მომეცით, თვალსაჩინო მაგალითი მოვიშველიო. განკითხვის ტახტზე იესომ შეიძლება ასეთი რამ თქვას:

– მახარებელი ანდერსონ, წინ გადმოდგით ნაბიჯი და მომახსენეთ იმ სულების შესახებ, რომლებზე ზეგავლენის მოსახდენადაც მოგიწოდეთ!

შესაძლოა, ეს ადამიანი, ცოტა არ იყოს, დაბნეული წარდგეს იესოს წინაშე და ენის ბორძიკით თქვას:

– უფალო, თქვენ ბუხჰალტერ ანდერსონზე ლაპარაკობთ? მე ჩემი საკუთარი ფირმის ბუხჰალტერი ვიყავი. ეს იყო ჩემი პროფესია. ფაქტობრივად, ბევრი ეკლესია და არასამთავრობო ორგანიზაცია ავანყვე. მათი მსახურებების მეშვეობით ბევრმა მიიღო სულის დახსნა შენი სამეფოსთვის. სხვა ვინმეში ხომ არ აგერიე?

უფალი იტყვის:

– არა! სანამ დაიბადებოდი, მანამ მოგიწოდე აზიაში მრავალ ადამიანზე ზეგავლენის მოსახდენად და მათ მოსაპოვებლად ჩემი სამეფოსთვის. წარმოადგინე ანგარიში, თუ სად არიან ისინი! მორჩილების შემთხვევაში დიდად დაჯილდოვდები ყველა იმ ნაყოფისთვის, რომელიც ჩემი სამეფოსთვის მოიმეკე.

ახლა კი შენი საქმეები დაიწვება, რადგან ჩემს მორჩილებაში არ გიკეთებია.

ახლა სხვაგვარი სურათი წარმოვიდგინოთ. შესაძლოა, იესომ თქვას:

– ბუხჰალტერო ჯონს, წინ წამოდგი ნაბიჯი და ანგარიში ჩამაბარე შენი მოწოდების შესახებ.

ეს ადამიანიც დაბნეული წარდგება უფლის წინაშე და ამოილულლულებს:

– უფალო, შენ გინდოდა გეთქვა, „პასტორო ჯონს“, არა? მე 900-წევრიანი ეკლესიის პასტორი ვიყავი. ეკლესია სულ წულიდან დავიწყე.

ამ ადამიანს უფალი ასე უპასუხებს:

– არა, მე კომერციულ ბაზარზე ბუხჰალტრად მოგიწოდე, რომ სერიოზული ფირმა დაგეფუძნებინა ბევრი ჩემი ეკლესიისა და მსახურების მხარდასაჭერად, რომ ეფექტურად შეესრულებინათ ჩემგან მიღებული დავალება. გულწრფელად რომ გეძებნე, ამას დაგანახებდი. ნახსენებ მსახურებებში ჩართულ უამრავ ადამიანზე მარადიულ ზეგავლენას მოახდენდი და ჩაგეთვლებოდა. თითოეული სულისთვის დაჯილდოვდებოდი. ახლა კი ვერაფერს მიიღებ, რადგან ჩემი მორჩილებით არ აკეთებდი.

ასევე მოგიწოდე, რომ ქალაქის ბოლოში ეკლესიის აშენთა ხელმძღვანელი ყოფილიყავი, საიდანაც შენი ეკლესია დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ იქ წევრთა რაოდენობა 500-ს ცოტათი თუ აღემატებოდა, მათ საზოგადოების მრავალი წევრის ცხოვრებაზე სასიკეთოდ იმოქმედეს. რომ დამმორჩილებოდი, ის 20 000 სული, რომელიც მათ ჩემთვის მოიპოვეს, შენს ანგარიშზეც ჩაინერებოდა, რადგან იმ თემის ცოცხალი ნაწილი იქნებოდი, სადაც მოგიწოდე. შენ იქედან წამოხვედი, ამიტომ ვერ მიიღებ ჯილდოს ოცი ათასი ადამიანისთვის.

ნება მომეცით, რეალური მაგალითი მოვიყვანო. ჩვენს მსახურებაში არის საბჭოს წევრი, რომელიც ძვირფასი მეგობარია და საოცარ ეკლესიას წინამძღოლობს შეერთებული შტატების სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. 1991 წელს მან ეკლესია წამოიწყო 22 ადამიანით და ახლა თითქმის ოთხი ათას წევრს ითვლის. იქ ქადაგება სხვებზე უფრო ადვილია, რადგან ადამიანები ძალიან მოწყურებულები არიან. უამრავმა მიიღო გადარჩენა ამ ეკლესიაში და ბევრი დაიმონაფეს.

ეკლესია სწრაფად იზრდებოდა ლოცვების, ძლიერი ქადაგების და მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად. მათ მშვენიერი

შენობა ააგეს ადამიანთა მეტი რაოდენობის დასატევად. რამდენიმე წლის შემდეგ ჩემმა მეგობარმა ერთი გამორჩეული ჭალარა ჯენტლმენი შენიშნა, რომელიც ყოველთვის კარგად ჩაცმული მოდიოდა და მსახურებებს ესწრებოდა. ჩემს მეგობარს არ გამოჰარვია, რომ ეს ადამიანი ყოველ ქადაგებას თვალცრემლიანი ისმენდა და უყურებდა. პასტორი მიხვდა, რომ ეს არ იყო სიხარულის ცრემლები.

ბოლოს ხსენებული ჯენტლმენი ერთ-ერთ დამხმარე პასტორთან მივიდა და შემდეგი ამბავი გაუზიარა:

1981 წელს უფალმა ნათლად უთხრა, რომ იმ ქალაქში ეკლესია უნდა წამოენყო. ხილვა იმდენად მკაფიო იყო, რომ მან პროფესიონალი მოიწვია ნანახი ეკლესიის შენობის დასახატად. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანი რაღაც მიზეზით გაჯიუტდა და ეკლესიის წამოწყებაზე უარი თქვა. რაღაც დროის შემდეგ სხვა ქალაქებში გაემგზავრა და იქ იმსახურა, საბოლოოდ კი, ბიზნესის სფეროში იპოვა ადგილი.

მან ფრთხილად გადაშალა დაკეცილი ფურცელი და დამხმარე მწყემსს 1981 წელს დახატული შენობა აჩვენა. როცა მწყემსმა ქალაქს დახედა, კინალამ ელდა ეცა. ეს სწორედ ის შენობა იყო, რომელიც ჩემმა მეგობარმა წლების შემდეგ ააგო და სადაც ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. ჩემი მეგობარი მას შემდეგ ცდილობს იმ ადამიანის ნუგეშისცემას, მაგრამ მან უამბო, როგორ უჭირდა ამ პრობლემის დაძლევა (რასაკვირველია, ღმერთს არ სურს, რომ მან მსჯავრდადებაში იცხოვროს, არამედ უნდა ისწავლოს, გაიზარდოს და აღმოაჩინოს, როგორ ემსახუროს ღმერთს ნაყოფიერად დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში).

რამდენიმე წლის წინ ამ თემაზე ვსაუბრობდი ერთ დიდ კონფერენციაზე. მსახურების შემდეგ ერთი, ცოტა არ იყოს, გაოგნებული და გაღიზიანებული პასტორი ჩვენი გუნდის წევრს მიუახლოვდა და უთხრა:

– ეს სერიოზულად არ უთქვამს ამ საღამოს, არა?

ჩემი გუნდის წევრმა უპასუხა:

– რა თქმა უნდა, რაც თქვა, სწორედ ის იგულისხმა. ეს ღვთის სიტყვაა. მოხდა რამე?

პასტორმა, რომელიც დაახლოებით ორმოცდაათ წელს გადაცილებული იყო, ასე უთხრა:

– როცა ახალგაზრდა ვიყავი, ცხადი ხედვა მქონდა ფილიპინებზე ცხოვრების და მსახურების შესახებ. ეს იმდენად რეალური იყო, რომ დარწმუნებული ვიყავი, ერთდ დღეს

ნამდვილად გავემგზავრებოდი იქ. თუმცა არაფერი მოხდა და ახლა ისევ ჩემს ეკლესიას ვმწყემსავ აგერ უკვე ოცდაათი წელია.

ჩვენი გუნდის წევრმა თანაგრძნობით ჰკითხა:

– ახლა რის გაკეთებას აპირებთ?

მწყემსი ხმისამოუღებლად გაეცალა.

ერთი წლის შემდეგ ჩვენი გუნდის წევრმა უკვე ყოფილი პასტორის შესახებ შეიტყო, რომელსაც ეკლესია დამხმარე მწყემსისთვის გადაუბარებია, თავად ფილიპინებზე საცხოვრებლად გადასულა და ამით ძალზე კმაყოფილი იყო. მას ასე უთქვამს: „ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი, რომ ვაკეთებ საქმეს, რისთვისაც შექმნილი ვარ“.

ნება მომეცით, სხვა ისტორია გიამბოთ ამ ჭეშმარიტების დასამტკიცებლად. არცთუ დიდი ხნის წინ ერთმა მეგობარმა სადილი მოაწყო ჩემთვის, რომ „ზღვის ლომს“ (აშშ-ს სპეცოპერაციების ძალები) შევხვედროდი. მისი ვინაობის დასაფარად – ამ წიგნის წერისას ის ჯერ კიდევ აქტიურ სამსახურში გახლდათ, მოგონილ სახელს, პოლს გამოვიყენებ. ორი საათის განმავლობაში სულგანაბული ვუსმენდი მის დამონშებას.

ეს ამბავი მაშინ დაიწყო, როცა პოლი ჯერ კიდევ 19-20 წლის ჭაბუკი გახლდათ. მან ორწლიანი ბიბლიური კოლეჯი დაამთავრა და პრაქტიკისთვის ეკლესიის ახალგაზრდულ განყოფილებაში გამოგზავნეს. ინტერნატურის მეორე ზაფხულს მას ბრალი დასდეს, რომ ეკლესიის ერთ-ერთ გოგონასთან სექსობრივი კავშირი დაიჭირა. პოლმა თქვა: „ჯონ, მე მასთან არასოდეს ვყოფილვარ. ფაქტობრივად, მიმზიდველადაც კი არ მიმაჩნდა! მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელობამ არა მარტო დაიჯერა ეს ცილისწამება, არამედ გაიმეორა კიდევ და მაშინ ყველაფერი დავკარგე. მათ ყოველგვარი ძალაუფლება ჩამომართვეს. ჩემს რეპუტაციას ჩირქი მოეცხო და ჩემი წასვლა მოითხოვეს ყოველგვარი გამოძიების გარეშე“.

შემდეგ პოლმა თქვა: „ისე ვეძებდი ღმერთს, როგორც არასდროს. ერთხელ ლოცვაში ღმერთი ნათლად დამელაპარაკა: „სულიერი მსახურებისთვის არ მოგიწოდე. მინდა არმიას შეუერთდე“.

პოლი არმიის, საზღვაო-ქვეითი და საჰაერო ძალების გამწვევ პუნქტებში მივიდა, მაგრამ არავინ ჰყავდა, ვინც მას სიტყვას შეაწევდა. დარჩა მხოლოდ საზღვაო ძალები.

როცა პოლმა საზღვაო ძალებში განაცხადი შეიტანა, გამწვევმა ოფიცერმა სამუშაოთა სია დაუდო, რომელთაგან

ერთ-ერთი უნდა ამოერჩია. პოლი იმედგაცრუებული დარჩა, რადგან არც ერთი მათგანი გულთან არ ეკარებოდა, რომ ღვთის მითითების გათვალისწინებით ემოქმედა. ოფიცერს ისე ძალიან უნდოდა ახალწვეულთან კონტრაქტის გაფორმება, რომ რამდენიმე განსაკუთრებული პროგრამის ჩამონათვალიც აჩვენა. როცა მან სიტყვა SEALs (ტაქტიკური ქვედანაყოფი) ახსენა, ჩემი მეგობარი მაშინვე მიხვდა, რომ სწორედ იქ უნდა ყოფილიყო. მან კონტრაქტს ხელი მოაწერა.

გამწვევი ოფიცერი პოლის დაფრთხობას შეეცადა, რადგან ამ სანვრთნელი პროგრამის გავლა ერთეულებმა თუ შეძლეს. ფაქტობრივად, პოლს უთხრეს, რომ იმ ოფისიდან ვერც ერთმა ვერ გაიარა პროგრამა და იგი მსოფლიოში ყველაზე მკაცრ საბრძოლო წვრთნად იყო მიჩნეული! და მაინც, პოლს მოზღვავებული, თითქმის ეიფორიული განცდა დაეუფლა, რომ ღვთიურ მოგზაურობაში პირველ ნაბიჯს დგამდა. მან კატეგორიულად განაცხადა, რომ სწორედ ამ პროგრამაში ჩართვა სურდა.

მიუხედავად ყველაფრისა, რამდენიმე სერიოზული პრობლემა მაინც წარმოიშვა. პირველი, პოლმა ცურვა არ იცოდა. მას მხოლოდ ლოცვა და საბოლოო ჯამში, ცურვის დამოუკიდებლად სწავლა დარჩენოდა. მეორე, გარემოებები უფრო საინტერესო გახდა იმით, რომ პოლს ბავშვობისას ყურებში მიღებს უდგამდნენ და ბევრი ოპერაცია ჰქონდა გადატანილი ყურის არხების გასახსნელად. ამის გამო, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცს წყლის მცირე ოდენობაც რომ მოხვედროდა ყურში, მტანჯველი ტკივილი გარდაუვალი იქნებოდა, რასაც ყურის სეროზული ანთებითი ინფექციები მოჰყვებოდა. და მაინც, მას ნამდვილად სწამდა, რომ ღმერთი არ მოუნოდებდა იმის საკეთებლად, რისი მიღწევაც საკუთარი ძალებით შეეძლებოდა.

პოლი ცურვას თავისით სწავლობდა და გულწრფელად ლოცულობდა ყურების განკურნებისთვის. მისი ყოველდღიური ვარჯიში მტკივნეული გახლდათ, მაგრამ იგი არ ჩერდებოდა. ერთ დღეს, ოთხთვიანი ვარჯიშისა და აგონიის გადალახვის შემდეგ პოლმა არა მარტო ცურვა, არამედ დიდ სიღრმეზე ყვინთვაც ისწავლა და თან ყოველგვარი ტკივილისგან განთავისუფლდა! იგი განიკურნა და მზად იყო ტაქტიკური ქვედანაყოფის რიგებს შეერთებოდა.

პოლმა წარმოუდგენელი სირთულეები და წინააღმდეგობა გადაიტანა პროგრამის გავლისას, მაგრამ ბოლოში გავიდა და

ომისტვის მზადმყოფ ნაწრთობ საძმოს მიეთვალა. მან თოთხმეტი წელი იმსახურა სპეცოპერაციების ძალებში და ისეთი ამბები მომიყვა მისიებში ღვთის სასწაულებრივი ჩარევის შესახებ, რომ მოსმენისას ტანში ჟრუანტელი მივლიდა.

ვიცოდი, რომ იმ საღამოს ღვთის დიდ მამაკაცთან ერთად ვიჯექი, თუმცა ის კათედრასთან დგომისტვის არ იყო მონოდებული. მას ადამიანები უნდა მოეპოვებინა სამხედრო სამსახურში და ასე ემსახურა ჩვენი ქვეყნისტვის. დღეს პოლი არა მარტო ქვედანაყოფის მეომარია, არამედ საზღვაო სპეცდანაყოფის ინსტრუქტორიც. მან ღმერთს თავისი მიმართულების შესწორების საშუალება მისცა, რომ ღვთიურ გეგმაში მისტვის განსაზღვრული ადგილი დაეკავებინა.

ბევრი მაგალითი მსმენია, როცა ადამიანები აცდნენ თავიანთ დანიშნულებას პოლისგან განსხვავებით. თავადაც ვარ ასეთი შემთხვევების მომსწრე. მსოფლიო მასშტაბით ეკლესიებში მოგზაურობის ოცნლიანი პერიოდის განმავლობაში მინახავს უფროსი პასტორები, რომლებზეც გულში ვიცოდი, რომ დამხმარე მწყემსები უნდა ყოფილიყვნენ, ნაცნობი ბიზნესმენები კი – სრული დროით მსახურები, ხოლო ზოგიერთი პასტორის მონოდება სულაც კომერცია გახლდათ. მინახავს თავის ადგილს აცდენილი ადამიანები კორპორაციულ სამყაროში; ისინი ვილაც სხვისთვის მუშაობდნენ საკუთარ საქმეში მარცხის განცდის შიშით. ასევე მინახავს ისეთებიც, რომლებიც ზემდგომის ერთგულებას არ იჩენდნენ, რადგან უფროსობა სურდათ.

ღვთის ნების გარეშე დაქორწინებულებიც მრავლად მინახავს. მათი მონოდება გადაგვარდა. სხვებზე ზეგავლენა მოახდინეს ან ისეთმა მეგობრებმა ჩაითრიეს, რომლებიც ხელს უშლიდნენ მონოდების შესრულებაში. მინახავს აქტიურ დასვენებაში, სპორტში, ფულის ან ძალაუფლების გულისთქმაში ჩათრეული ადამიანები და მრავალი მსგავსი სურათი. მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ვითარება, იგი მორწმუნეებს ღვთის სახლის მშენებლობის საუფლო გეგმაში თავინთი ფუნქციის შესრულებისგან აფერხებს.

მაგალითები შემამფოთებელია, მაგრამ კარგი ამბავი ის გახლავთ, რომ არც ერთი ჩვენგანი არ უნდა გადავიდეს გზიდან, რომელიც ღმერთმა გასავლელად დაუდო. იგია ჩვენი ისტორიების ავტორი და მას შეუძლია ჩვენი ფუნქციის

შესრულებაში დაგვეხმაროს. ახლა უნდა დავსვათ კითხვა, როგორ აღმოვაჩინო, რის საკეთებლად ვარ მონოდებული, როგორც ღვთის სახლის მშენებელი? ამ მნიშვნელოვან კითხვაზე მომდევნო თავში ვისაუბრებთ. ასევე მოგანვდით რამდენიმე მიგნებას, თუ როგორ დავუბრუნდეთ ჩვენს ადგილს, თუ გზიდან უკვე გადავუხვიეთ.



## თავი 12

# ღვთისპატივითი მოწოდებები

„არ იცვლება ღვთის ნიჭები და მონოდება“.

რომ. 11:29

ვეერი აღმოაჩენს, რომ ღვთის გეგმიდან გადახვევის აზრი თუნდაც ისეთი საგნების მიმართულებით, რაც კარგი და ღვთისნიერი ეჩვენება ადამიანს – შემადრწუნებელია. ეს სრულიად გასაგები რეაქცია გახლავთ! მიუხედავად ამისა, გახსოვდეთ, რომ მონოდებული ვართ არა მარცხის ან სასჯელის შიშისთვის, არამედ ღვთისმოშიშებისთვის. უფლის შიში გვიცავს და გვეხმარება მისი აზრის გაგებაში, რადგან ნათქვამია: „შენი ყურები ხმას გაიგონებენ ზურგის მხრიდან: „ეს არის გზა, მასზე იარე“, როცა მარჯვნივ ან მარცხნივ გადაუხვევ“ (ეს.30:21). ამრიგად, ყურადღება მივაპყროთ საკითხს, თუ როგორ ვიპოვოთ ჩვენი, როგორც მშენებლის ადგილი ღვთის შეკვეთილ სახლში.

### პირველი: ღმერთი გულწრფელად გიძიებნიათ?

როცა გკითხავენ, ასრულებ თუ არა შენს დანიშნულებას, შესაძლოა იფიქროთ: „მინდა, მაგრამ არ ვიცი, რის საკეთებლად ვარ მონოდებული!“ ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. თავდაპირველად, საკუთარ თავს კითხვა უნდა დაუსვათ, ეძებდით თუ არა ღმერთს მთელი გულით? ჩვენ გვეუბნებიან, რომ ღმერთი საზღაურს მიაგებს იმ ადამიანს, ვინც გულმოდგინედ და რწმენით ეძებს მას (იხ. ებრ. 11:6) და არა ისეთს, ვინც ზერელედ მოქმედებს ცნობისმოყვარეობის გამო ან ეჭვით. თუ ვინმე წრფელად ეძებს ღმერთს და მისგან პასუხს ელოდება, აუცილებლად გაიგებს, რისთვის არსებობს დედამიწაზე.

როცა სულის დახსნა მივიღე პერდიუს უნივერსიტეტის საძმოში, მაშინვე დავინწყე ჩემი ცხოვრებისთვის ღვთის ნების ძიება. საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი და ყოველ მომდევნო სემესტრში IBM-ის კომპანიაში ვმუშაობდი. გარდა იმისა, რომ ღვთისადმი მორჩილების სურვილი მქონდა, კიდევ

ერთმა შემთხვევამ აღძრა ჩემში მოწოდების გაგებისკენ სწრაფვა. ეს ამბავი ჩემი გადარჩენიდან ხუთი თვის შემდეგ მოხდა. ოფისში ვიყავი 8 თუ 10 ინჟინერთან ერთად, რომლებიც ერთი თანამშრომლის კომპანიაში მუშაობის 38-ე წლისთავს ზეიმობდნენ. ერთმანეთში ვსაუბრობდით და მოულოდნელად იუბილარმა ასე გვითხრა: „მეზიზღებოდა სამუშაოზე მოსვლა ამ ოცდათვრამეტი წლის ყოველ დღეს“. ოთახში მყოფთაგან ზოგი დაეთანხმა, სხვებმა კი თავისთვის ჩაიხიბითეს. მარტო მე ვიყავი გაოგნებული.

როგორც ახალბედა ამ გამოცდილ პროფესიონალებს შორის, დავინტერესდი, რატომ არავინ გამოთქვა საწინააღმდეგო აზრი და თქმა გავბედე:

– რატომ მუშაობდით აქ ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში, თუ ეს საქმე გეზიზღებოდათ?

მან გამომხედა და მითხრა:

– ეს ხომ სამუშაოა.

მეც დავიწყე გულის აცრუება სამუშაოს მიმართ. მამჩემი ინჟინერი გახლდათ და მისგან ვიცოდი, რომ ეს კარგი, დაცული და მაღალანაზღაურებადი პროფესია იყო. ხსენებულმა შემთხვევამ ჩემი თვალთახედვა შეცვალა. ასე ვიფიქრე: „ვერც ფული და ვერც რაიმე სხვა მიზეზი ხელს ვერ შემიშლის მიზნისკენ სწრაფვაში, რომ ჩემი ადგილი დავიკავო დედამინაზე“. იქვე მტკიცედ გადაწყვიტე, რომ ჩემს მოწოდებას ვიპოვიდი და შემდეგ მისკენ განუხრელად ვივლიდი.

გავიგე, რომ ღმერთი ადამიანის ცხოვრების სრულ სურათს იძლეოდა, თუ მის გზაზე სიარულის დაწყებისას მის სახეს მოძებნიდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის დასასრულს დასაწყისიდანვე გიჩვენებდათ. ღმერთმა იოსებს თავიდანვე გაუმხილა, რომ დიდი წინამძღოლი იქნებოდა. უფრო მეტიც, მას მამა და ძმები მოემსახურებოდნენ. წინასწარმეტყველების აღსრულებამდე წლები გავიდა. მოსემ, სულ მცირე, ორმოცი წლით ადრე იცოდა, რომ ისრაელს წარუძღვებოდა. დავითმა ჭაბუკობისას გაიგო, რომ მეფობა ელოდა, თუმცა ჯერ ისევ მამის ფარას მწყემსავდა. მხოლოდ წლების შემდეგ გახდა იგი ისრაელის მეფე. ამ სიის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება.

ჩემი გეგმები პერდიუში საინჟინრო ფაკულტეტის დამთავრებას, ჰარვარდში ბიზნეს ადმინისტრირების დაუფლებას და ამერიკის კომერციულ სამყაროში მაღალი დონის მენეჯერად გახდომას მოიცავდა. ვაპირებდი დაქორწინებას და

წელიწადში რამდენჯერმე შვებულების აღებას. ასევე გადან-  
ყვეტილი მქონდა ღვთისთვის მეთედის გაღება. ასეთი იყო  
ღვთის მსახურების ჩემუელი ხედვა.

რაც უფრო მეტად ვეძებდი ღმერთს, მით მეტად ვეფლობოდი  
მსახურებაში. ამის აღიარება დიდად არ მომწონდა, მაგრამ  
საკმარისად გამჭრიახი ვიყავი იმის გასაცნობიერებლად, რომ  
მორჩილების შემთხვევაში სისრულესა და კმაყოფილებას  
ვიპოვიდი. რაკი ერთხელ შევპირდი ღმერთს, რომ ყველაფრის  
მიუხედავად დავემორჩილებოდი, მან ჩემი ცხოვრების სრული  
სურათი მაჩვენა, რის საკეთებლადაც მომიწოდა.

1980-იან წლების ადრეულ პერიოდში უკვე ვიცოდი ღვთისგან,  
რომ ერთხელაც, თუ მის მორჩილებაში დავრჩებოდი, ერებზე  
მოვახდენდი გავლენას მისი სიტყვის მეშვეობით. საჭირო არ  
არის იმის თქმა, რომ ამან მთლიანად დაიპყრო ჩემი გონება.  
ვერ წარმომედგინა, როგორ შეიძლებოდა ამის მიღწევა. ერთი  
პატარა ქალაქის მკვიდრი ბიჭი ვიყავი, რომელიც ქვეყნის  
ან საერთაშორისო დონეზე მოღვაწე არც ერთ მსახურს არ  
იცნობდა.

ღმერთი იოსებისა და დავითის მსგავსად გვიჩვენებს  
საბოლოო სურათს, მაგრამ არა მის მისაღწევად საჭირო ყოველ  
ნაბიჯს. ეს რწმენის გაღვივებაში უფრო გვეხმარება, ვიდრე  
გონების არგუმენტების მოტანაში. საჭიროა ვეძებოთ, თუ  
როგორ დავემორჩილოთ მის ნათქვამს და მიზნისკენ ვიაროთ.  
ხშირად ხდება, რომ ჩვენი მომდევნო ნაბიჯი თითქოს არ ჰგავს  
მიზნისკენ სვლას და პირიქით, სანინააღმდეგო მიმართულება  
აქვს. წინამძღოლობის სიზმრის შემდეგ ათწლიანი მონობა  
(როგორც იოსების შემთხვევაში იყო) სრულიად ალოგიკური  
ნაბიჯია. სწორედ ამიტომ გვეუბნება წმ. წერილი: „მთელი შენი  
გულით მიენდე უფალს და შენს გონიერებას ნუ დაეყრდნობი.  
ყოველ შენს გზაზე შეიცანი უფალი და ის მოგისწორებს  
ბილიკებს“ (იგ. 3:5-6).

რამდენიმე თვის შემდეგ, კოლეჯის ბოლო წელს, ჩვენი საძმოს  
სახლში დავრჩი. დანარჩენები მადლიერების დღესასწაულის  
აღსანიშნავად ოთხი დღით სახლებში გაემგზავრნენ. მე  
ვმარხულობდი და ვლოცულობდი, ღვთიურ მიმართულებას და  
ნებას ვეძებდი ჩემი ცხოვრებისთვის. რამდენიმე თვის შემდეგ  
მომდევნო ნაბიჯისთვის საჭირო მიმართულება მივიღე, რაც  
თითქოს სრულიად ეწინააღმდეგებოდა მოვლენების ბუნებრივ  
განვითარებას მსახურების საქმეში. ჩემთვის ლოგიკური  
იქნებოდა ბიბლიის სკოლაში სწავლა, მაგრამ უფალმა მაჩვენა,

რომ გასაუბრებაზე უნდა წავსულიყავი ინჟინრის პოზიციის დასაკავებლად. სწორედ ამიტომ გვეუბნება ღმერთი, რომ საკუთარ გონებას არ უნდა დავეყრდნოთ!

ჩვენს კამპუსში მრავალი კომპანიის წარმომადგენელს შევხვდი და თითქმის მაშინვე ვიცოდი, რომ მუშაობა Rockwell Corporation-ში უნდა დამეწყო, რომელიც დალასში, ტექსასის შტატში მდებარეობდა. ეს ყველაფერი უაზრო ჩანდა, რადგან დალასში არ იყო ჩემთვის ცნობილი არც ერთი ბიბლიური სკოლა. ცამეტი კომპანიის შემოთავაზება მქონდა სხვადასხვა ქალაქებიდან, რომელთაგან რამდენიმეში ბიბლიის სკოლა არსებობდა და ყოველი მათგანი ხსენებულ კომპანიაზე უფრო მეტ ხელფასს მიპირებოდა. და მაინც, მე უფალს დავემორჩილე.

როცა დალასში ჩავედი და ეკლესიაში შევბიჯე, უფალმა მაჩვენა, რომ აქ უნდა დავფუძნებულიყავი. სწორედ ამ ეკლესიაში აღვიზარდე მსახურების მემშვეობით, რომელიც იმ ადგილისკენ მიმავალი სასტარტო ბილიკი გახდა, სადაც ახლა ვარ.

### მეორე: ღანერბეთ საკუთარი თავი?

ამას მეორე მიზეზთან მივყავართ, თუ რატომ ვერ პოულობენ ადამიანები ღვთის ნებას თავიანთი ცხოვრებისთვის. ისინი არ ინერგებიან ადგილობრივ ეკლესიაში. ღვთის სიტყვა ასე გვეუბნება: „უფლის სახლში დარგულნი, ჩვენი ღვთის ეზოებში აყვავდებიან“ (ფს. 92:13).

ვინც ღვთის სახლში დაინერგება, რაც ამ ქვეყნიერებაზე ადგილობრივ ეკლესიას გულისხმობს, უფლის სახლის ეზოებში გაიფურჩქნება. ჩვენი ღვთის ეზოების ერთი ასპექტი ქრისტეს სამსჯავროც გახლავთ. ჩვენ აყვავდებით აქაც და განკითხვისას, თუ მტკიცედ ვართ ჩანერგილი ადგილობრივ ეკლესიაში. ასეთია ღვთის ჩანაფიქრი.

ეკლესია არა ადამიანმა, არამედ უფალმა დააფუძნა. იესო ამბობს: „და მე გეუბნები შენ, რომ შენ ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ სძლევენ მას!“ (მათ. 16:18). ყურადღება მიაქციეთ სიტყვას „ავაშენებ“. როგორ შეძლებს უფალი მისი ეკლესიის აშენებას, როცა ფიზიკურად დედამიწაზე არ იმყოფება? პასუხი ასეთია: – მისი ეკლესიის მემშვეობით და ეს ჩვენ ვართ. კვლავ ვიმეორებ, რომ ამიტომ გვენოდა თანამშრომლები (დაქირავებული მუშახელი). მისგან გვეძლევა მაღლი, უნარი და ნიჭი და ის ერთადერთია,

ვინც ზებუნებრივი ძალით გვავესებს, ჩვენ კი თვინიერი და მორჩილი ჭურჭლები უნდა ვიყოთ მის საქმეში. ახლა ისმის კითხვა: ეკლესიას მასთან თანამშრომლობით ვაგებთ თუ საკუთარი გეგმები გვამოძრავებს?

იესომ მსოფლიო ეკლესია ადგილობრივ ეკლესიებად დაჰყო. ამის ურიცხვი მაგალითიდან ერთ-ერთი იქნება მისი სიტყვები შვიდი ეკლესიის მიმართ გამოცხადების წიგნიდან. ესენია: ეფესო, სმირნა, პერგამო, თიატირა, სარდე, ფილადელფია და ლაოდისია.

წმიდა წერილი ეკლესიას ასევე ქრისტეს სხეულს უწოდებს. ისევე როგორც მთლიანი ეკლესია იყოფა ადგილობრივ ეკლესიებად, ქრისტეს მთლიანი სხეულიც იყოფა ადგილობრივ სხეულებად.

უფალი ერთადერთია, ვინც თავის ხალხს საჭირო ადგილას განათავსებს. პავლე გვეუბნება: „და, აჰა, ღმერთმა თითოეული ასო ისე განალაგა სხეულში, როგორც ნებაა“ (1 კორ. 12:18). ეს განცხადება, შესაძლოა, თქვენთვის შოკის მომგვრელი იყოს: ჩვენ არ ვირჩევთ, რომელ ეკლესიაში უნდა დავფუძნდეთ. ამას ღმერთი აკეთებს!

შეჩერდით და მცირე ხნით დაფიქრდით! ბევრი ადამიანი ისე არჩევს ეკლესიას, თითქოს სასურსათო მაღაზიაში იმყოფებოდეს ნაცვლად იმისა, რომ ღმერთს დაეკითხოს. როგორ შეძლებთ თქვენი ფუნქციის შესრულებას, თუ სხეულის საჭირო ადგილას არ იმყოფებით? ადამიანის სხეულის ყოველი ნაწილი გონივრულად არის დაკავშირებული ღვთის ჩანაფიქრის თანახმად. ხელს სირთულე შეექმნება, მუხლს რომ უერთდებოდეს. ასეც რომ იყოს, ყოველთვის უნდა ვეძებოთ ღვთის გეგმა სხვა ქალაქში ან სხვა ადგილობრივ ეკლესიაში გადასვლამდე.

ყველა ჩვენგანს თავისი ფუნქცია აქვს ადგილობრივ ეკლესიაში. წმიდა წერილში ვკითხულობთ:

„თქვენ კი ქრისტეს სხეული ხართ, ხოლო ცალ-ცალკე – მისი ასოები. და დააყენა ღმერთმა ეკლესიაში, პირველად მოციქულები, მერე წინასწარმეტყველნი, მერე მოძღვრები; შემდეგ ძალნი, განკურნების ნიჭი, შეწევნა, მართვა და სხვადასხვა ენები“. (1 კორ. 12:27-28)

ამის შემდეგ პავლე ეკლესიის მთავარ პოზიციებზე ლაპარაკობს. მიუხედავად იმისა, რომ იგი სრულ ჩამონათვალს

არ გვანვდის, ახალი აღთქმის სხვა წერილებიდან ვიგებთ, რომ ყოველი მორწმუნე ქრისტეს სხეულის ნაწილია და თითოეული მათგანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისევე როგორც ჩვენი ფიზიკური სხეულის ასოები. თუ საჭირო ადგილას არ ვდგავართ, ადგილობრივი ეკლესია უნარმოკლებულია ზუსტად ისევე, როგორც ჩვენი ბუნებრივი სხეული იქნებოდა, ასოები (როგორცაა ფეხი, თვალი ან თირკმელი) დამოუკიდებლად რომ მოქმედებდნენ, საერთოდ არ მუშაობდნენ ან სხეულისგან მოკვეთილი იყვნენ.

სამწუხარო ფაქტია, რომ იესო ქრისტეს მსახურება სრული დატვირთვით არ მიმდინარეობს ჩვენს საზოგადოებაში და ამის მიზეზი ადგილობრივი ეკლესიების უუნარობა გახლავთ. რატომ არიან ისინი უნარმოკლებულები? ხშირად მიზეზი არაეფექტური ხელმძღვანელობა კი არ გახლავთ, არამედ მაღიარებელი მორწმუნეების გადაწყვეტილება, რომ დამოუკიდებლად იცხოვრონ. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, რომ ჩემმა თვალებმა, ფეხებმა, ტერფებმა ან სხვა რომელიმე ნაწილმა თავის ჭკუაზე მოქმედება გადაწყვიტოს? თუ შეერთებული შტატების ადგილობრივი ეკლესიების მდგომარეობას გავითვალისწინებთ, საოცარია, რისი გაკეთება შეძლო ღმერთმა ამერიკაში.

ამის საპირისპიროდ, რატომ იზრდებოდა ასე სწრაფად პირველი ეკლესია? მოდი, გამოვიკვლიოთ და ნათლად დავინახოთ:

„და გამუდმებით მოციქულთა მოძღვრებაში, მოზიარებაში, პურის გატეხასა და ლოცვაში მკვიდრობდნენ ისინი ... ყველა მორწმუნე ერთად იყო ... ყოველდღე ერთსულოვნად იყვნენ ტაძარში, სახლებში პურს ტეხდნენ და მხიარულებითა და გულუბრალოებით ლებულობდნენ საზრდოს. აქებდნენ ღმერთს და მთელი ხალხის წინაშე იხვეჭდნენ კეთილგანწყობას, ხოლო უფალი ყოველდღე მათებდა ეკლესიას გადარჩენილებს“. (საქმ. 2:42-47)

ხედავთ, რომ მორწმუნეები ადგილობრივ ეკლესიაში იყვნენ დანერგილი? ისინი ერთად აქებდნენ ღმერთს, ისმენდნენ ერთსა და იმავე ქადაგებას, ჰქონდათ საერთო ხედვა და ცხოვრება. ამან ეკლესიის ჯანსაღი ზრდა განაპირობა. ადამიანები უფალს მათი ადგილობრივი ეკლესიის მეშვეობით ემსახურებოდნენ და ეს მათ სახლებსაც შეეხებოდა.

პირველი მორწმუნეებისთვის ადგილობრივი ეკლესიის ნაწილად ყოფნა მათ ცხოვრებას წარმოადგენდა. ფაქტობრივად,

პრობლემა მოგვიანებით წარმოიშვა, როცა რამდენიმე ქვრივს საკვებით მომსახურებაზე უარი უთხრეს. მოციქულებმა შეკრიბეს ადგილობრივი სხეულის ეკლესიები და უთხრეს, რომ წინამძღოლებისთვის კარგი არ იქნებოდა ღვთის სიტყვის მსახურების მიტოვება და სუფრების მომსახურება. „ამიტომ, ძმებო, ამოიჩინეთ თქვენგან შვიდი სარწმუნო, სულიწმიდით და სიბრძნით სავსე კაცი, და ისინი დავადგინოთ ამ საქმეზე!“ (საქმ. 6:3).

ყურადღება მიაქციეთ, რომ წინამძღოლებს არ უთქვამთ: „რამდენიმე მოხალისე გვჭირდება. ვის აქვს დრო, რომ ამ ქალბატონებს მოემსახუროს?“ არა, ყველა მორწმუნე მიძღვნილი იყო მსახურებისადმი, რადგან ისინი ადგილობრივ ეკლესიაში იყვნენ დანერგილი. პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ თითოეულს გულით სურდა, სწორედ ის აერჩიათ ამ საქმისთვის. ამორჩეული იქნა შვიდი ადამიანი:

„... წარადგინეს მოციქულების წინაშე, ილოცეს და ხელები დაასხეს მათ. ვრცელდებოდა ღვთის სიტყვა და დიდად მრავლდებოდა მონაფეთა რიცხვი იერუსალიმში; მღვდელთაგანიც ბევრი დაემორჩილა რწმენას“. (საქმ. 6:6-7)

მოციქულებმა ხელები დაასხეს იმ შვიდ ადამიანს. ეს ცხებულება არ ემსახურებოდა კათედრიდან ქადაგებას, საოჯახო ჯგუფის სწავლებას, ქებისა და თაყვანისცემის გაძღოლას ან მისიონერული მოგზაურობის წამოწყებას. ხელდასხმა საჭირო იყო ქვრივების მოსამსახურებლად ეკლესიაში. საოცარია!

და მაინც, ყურადღება მიაქციეთ, რომ იმ შვიდი ადამიანის მიერ სხეულში სწორი ადგილის დაკავების შემდეგ, თუნდაც ეს უმნიშვნელო ჩანდა, ღვთის სიტყვა გავრცელდა და დიდად გამრავლდა მონაფეთა რიცხვი იერუსალიმში. აქ საოცარ ფაქტს ვხედავთ. საქმეთა წიგნის პირველიდან მეხუთე თავის ჩათვლით, სიტყვა „მატება“ რამდენჯერმე არის გამოყენებული იერუსალიმის ეკლესიის ზრდის აღსანიშნავად. აი, რამდენიმე შემთხვევა:

„... და სამი ათასამდე სული შეემატათ იმ დღეს“. (საქმ. 2:41)

„... ხოლო უფალი ყოველდღე მატებდა ეკლესიას გადარჩენილებს“. (საქმ. 2:47)

„სულ უფრო და უფრო ემატებოდნენ უფალს მორწმუნენი, მრავალი მამაკაცი და დედაკაცი“. (საქმ. 5:14)

ამ მომენტამდე, ადგილობრივი ეკლესიის მსახურებაში მხოლოდ მოციქულები იყვნენ ჩართული და სიტყვის მთავარი გადამცემი მხოლოდ პეტრე გახლდათ.

მიუხედავად ამისა, რალაც მომენტში მორწმუნეებმა გააცნობიერეს, რომ ყოველ მათგანს ორი მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა: პირველი, ყველა ადამიანისთვის სახარების ქადაგება და სწავლება; და მეორე, გარკვეული ფუნქციის შესრულება ადგილობრივ ეკლესიაში.

აღმოჩენა, რომ ყველა მორწმუნე ვალდებულია, გაავრცელოს იესოს საოცარი აღდგომის ამბავი, საქმ. 5:42-6:1-ში გვხვდება: „ყოველდღე დაუცხრომლად ასწავლიდნენ და ახარებდნენ ქრისტე იესოს, ტაძარსა და სახლებში. იმ დღეებში, მონაფეები ... მომრავლდნენ...“ (საქმ. 5:42-6:1). პეტრესთვის შეუძლებელი იყო ყველა სახლში მისვლა სახარების საუწყებლად, რადგან რადიო, ტელევიზია ან ინტერნეტი არ არსებობდა. ამრიგად, ვიცით, რომ მორწმუნეებმა დაიწყეს იესო ქრისტეს სახარების გადაცემა და სწავლება მათ გარშემო მცხოვრები ადამიანებისთვის. ყურადღება მიაქციეთ, რომ ახლა ეკლესია მიმატებით კი არა გამრავლებით იზრდებოდა. ეს პირველი შემთხვევაა საქმეთა წიგნში, როცა გამრავლებულ ზრდასთან გვაქვს საქმე.

და მაინც, გამრავლების დინამიკა აქ არ შეჩერებულა. მორწმუნეებმა რაკი ერთხელ დაიკავეს მსახურების პოზიცია ეკლესიაში (მაგალითი მოცემული იყო ამორჩეული კაცების მიერ ქვრივების სუფრებზე მომსახურების სახით), ვკითხულობთ, რომ მონაფეთა რიცხვი უბრალოდ კი არ გაიზარდა, არამედ დიდად გამრავლდა. დიდად გამრავლება *სანიმუშო ზრდაა!*

ნება მომეცით, რომ გაგიზიაროთ განსხვავება შემატებასა და დიდად გამრავლებას ანუ სანიმუშო ზრდას შორის. წარმოვიდგინოთ პასტორი, რომელიც უფლისთვის 10 000 სულს მოიპოვებს ყოველი თვის განმავლობაში. ჩათვლით თუ არა ამას ეფექტურ მსახურებად? ალბათ, კი. და მაინც, იცით რა დრო დასჭირდება მას ამ რაოდენობის ადამიანთა მოსაპოვებლად? პასუხი იქნება წარმოდგენილი: 50 000 წელი და ეს იმ პირობით, თუ ამ ხნის განმავლობაში არავინ დაიბადება ან მოკვდება! ეს 8-ჯერ აღემატება კაცობრიობის დედამიწაზე ყოფნის დროს. ყოვლად შეუძლებელია!



ახლა ნება მომეცით, დიდად გამრავლების მაგალითი შემოგთავაზოთ. ვთქვათ, ორი ადამიანი დაიმონაფეთ და ადგილობრივ ეკლესიაში ჩართეთ. მომდევნო თვეს ეს ორი ადამიანი ორ სხვას მოიყვანს უფალთან და ეკლესიაში დააფუძნებს. მომდევნო თვეს ის ოთხი იგივეს გააკეთებს და შემდეგ თვეს რვა ადამიანი მოიყვანს ხალხს უფალთან. თუ ეს პროცესი გაგრძელდება, იცით, რა დრო დასჭირდება მთელი დედამიწის მოსახლეობის მოპოვებას? პასუხი გახლავთ: 39 თვე. დიახ, მართალია, ეს სამი წელიც არ არის! ეს გახლავთ დიდად გამრავლება.

ახლა შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, როგორ უნდა გავიგოთ ეს ბიბლიაში?

„ასე გასტანა ორ წელიწადს, და აზიის ყველა მკვიდრი ისმენდა უფლის სიტყვას – როგორც იუდეელები, ისე ბერძნებიც“. (საქმ. 19:10)

ყველა მკვიდრი! თუ წმიდა წერილი ამბობს *ყველაო*, ეს ყველა ადამიანს ნიშნავს. ჩვენ არ ვლაპარაკობთ ერთ ქალაქზე, არამედ მთელ რეგიონზე. მათ არ ჰქონდათ სატელიტური მათუწყებლობა, რადიო, სოციალური მედია, მანქანები ან თუნდაც ველოსიპედები. ეს არის სანიმუშო ზრდა!

დიდად გამრავლების გამოცდილება მორწმუნეთა ჯანსაღ სხეულს მოაქვს. ჯანსაღი სხეული ადგილობრივ ეკლესიებში დანერგილი მორწმუნეებით იქმნება, რომლებიც ასევე ჩართული არიან ეკლესიის მსახურებაში (ისეთ საქმეებში, როგორებიცაა ქვრივთა სუფრების მომსახურება, წესრიგის დაცვა, მანქანების სადგომზე მუშაობა, მისაღმება, ციხეში სახარების მიტანა, ბავშვთა მსახურებაში მონაწილეობა და მრავალი სხვა). მას, რომელიც მსახურობს, ადამიანები ადგილობრივ ეკლესიაში მოჰყავს. გახსოვდეთ, რომ იესო ყველა ერიდან ხალხის დამონაფებისკენ მოგვინოდებს და არა მხოლოდ მოქცევისკენ. ვისაც ქრისტეზე ვუმონმებთ, ჩვენს ეკლესიებშიც უნდა დავნერგოთ, რომ ისწავლონ ყველაფერი, რაც იესომ გვამცნო (იხ. მათ. 28:20). იმისთვის, რომ ადამიანებმა ქრისტეში მონიჭებულობას მიაღწიონ, საჭიროა მთელი ეკლესიის სხეული და მისი ყველა ნიჭი.

საკვანძო მომენტია ადგილობრივ ეკლესიაში დანერგვა. იქ ჩვენ ვიფურჩქნებით. თუ შენიშნეთ, სუფრების მომსახურებისთვის არჩეული შვიდეულიდან ერთი-ერთი ფილიპე გახლდათ.

მოგვიანებით, საქმეთა წიგნი მას ფილიპე მახარებელს უწოდებს. ახლა მისი მსახურება მრავალ ქალაქს მოიცავს: „მომდევნო დღეს გამოვედით პავლე და მასთან მყოფნი; კესარიას რომ მივალწიეთ, შევედით შვიდთაგან ერთ-ერთის, ფილიპე მახარებლის სახლში და მასთან დავრჩით“ (საქმ. 21:8).

მიუხედავად იმისა, რომ ფილიპე უკვე დიდი მახარებელი გახდა, რომელიც უფალმა სხვა ქალაქში გადაიყვანა, მას მაინც ცნობდნენ როგორც ერთ-ერთს ქვრივების მომსახურე შვიდეულიდან. ადგილობრივ ეკლესიაში მსახურებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, რომ იგი თავისი ცხოვრების მონოდებაში შესულიყო. ადამიანებს ასე ვეუბნები: „შესაძლოა, რალაც დიდის კეთების მონოდება გქონდეთ, მაგრამ ის სათანადოდ ვერ მომნიფდება, თუ ადგილობრივ ეკლესიაში დანერგვის მეშვეობით არ წარმოიშვა“.

ნება მომეცით, გავიმეორო მეფსალმუნის სიტყვები: „უფლის სახლში დარგულნი, ჩვენი ღვთის ეზოებში აყვავდებიან“ (ფს. 92:13). იფიქრეთ სიტყვაზე „დარგულნი“. ღვთის სამეფოს ფუნქციონირებაში გასარკვევად უნდა გაითვალისწინოთ თესვა-მკის კანონი. იესომ მოწაფეებს უთხრა, რომ თესვის, ნიადაგისა და მკის კანონების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მისი იგავების გაგება (იხ. მარკ. 4:13). მარტივად რომ ვთქვათ, ღვთის მთელი სამეფო ასეთი გახლავთ:

„...ღვთის სამეფო ჰგავს კაცს, რომელიც თესლს აგდებს მიწაში. ღამით სძინავს, დღისით დგება, მაგრამ არ იცის, როგორ აღმოცენდება და იზრდება თესლი. რადგან მიწას თვითონ გამოაქვს ნაყოფი: ჯერ ჯეჯილი, შემდეგ თავთავი, მერე კი სავსე მარცვალი თავთავში. რაჟამს მომნიფდება ნაყოფი, მაშინვე წარგზავნის ნამგალს, რადგან მოაწია მკამ“. (მარკ. 4:26-29)

დავუშვათ, ჩემს ხელთაა ერთი მუჭა სხვადასხვა ხეხილის კურკა, მაგრამ მე ვერ ვარჩევ მათ. იმის გაგების ერთადერთი გზა, თუ რა ნაყოფს უნდა ველოდო, მათი დათესვაა. დათესვიდან გარკვეული დროის შემდეგ მათ ბუნებას ამოვიცნობ.

ღმერთი თითოეულ ჩვენგანში წინასწარგანსაზღვრულ მონოდებას და მის განსახორციელებლად საჭირო ნიჭებს დებს: „ვინაიდან მისი ქმნილებანი ვართ, ქრისტე იესოში შექმნილნი, კეთილი საქმეებისთვის, რომლებიც წინასწარ გაგვიმზადა ღმერთმა, რათა ამ საქმეებში ვიაროთ“ (ეფეს. 2:10). და „არ იცვლება ღვთის ნიჭები და მონოდება“ (რომ.

11:29). იესოს ნათქვამის თანახმად, ჩემი მონოდება და ნიჭები თესლის სახით არის მოცემული. თუ ჩემს თავს ეკლესიაში დავნერგავ, ღვთივბოძებულ დანიშნულებას მოვიმიკი. თუ ასე არ მოვიქცევი, ნიჭებს სულ სხვა მიზნებისთვის გამოვიყენებ, ვიდრე ჩემს შემოქმედს ჰქონდა განსაზღვრული. ამიტომ, თავს ნუ მოიტყუებთ ქვეყნიერების სტანდარტებით მიღწეული წარმატებით. შესაძლოა, წინსვლა გქონდეთ თქვენში არსებული ნიჭების გამოყენებით, მაგრამ მათი გამოყენება არ მოხდება მთავარი გეგმის მორჩილებაში.

ნება მომეცით, რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო. ქვეყნიერებაზე ბევრი ადამიანია საოცარი ხმით. მათ სიმღერას მსმენელი ცრემლებამდე მიჰყავს. ეს ნიჭი ღვთის სადიდებლად და მისი გულისა და სურვილების მიყოლისთვის ადამიანთა აღსაძვრელად მიეცათ. მათ არასოდეს უმოქმედიათ დანიშნულებისამებრ, რადგან გადარჩენა ვერ მიიღეს და ვერც ეკლესიაში დაფუძნდნენ.

ეს ერთ-ერთი მაგალითია ურწმუნოებზე, რომლებიც იესოსთან არ მოსულან მთელი ცხოვრების მანძილზე. მათ გარდა არიან მორწმუნეები, რომლებმაც იესოს გულები მიუძღვნეს, მაგრამ ეკლესიაში არარეგულარულად დადიან. ისინი თავიანთ უმაღლეს დანიშნულებას არ ასრულებენ, რადგან ეკლესიაში დანერგილები არ არიან. შესაძლოა, ასეთები მონოდებული იყვნენ ეკლესიის გარეთ ზეგავლენის მოსახდენად და ამას კიდევ ახერხებდნენ გარკვეულ დონემდე, მაგრამ მათი ნაყოფიერება გაცილებით დიდი იქნებოდა, ადგილობრივ ეკლესიაში მყარად რომ დაფუძნებულიყვნენ.

შესაძლოა, ადამიანმა ამოიცნოს ზოგიერთი ნიჭი და შეეცადოს საუკეთესო გზით მის გამოყენებას, თუმცა ხის სრულ ბუნებას: ფორმას, ვარჯის მოყვანილობას, ძალას და ა. შ. – ვერასოდეს გაიგებთ, თუ ის თესლის სახით დარჩება. ასევე ვერ მიხვდებით ღვთიურ, ჭეშმარიტ დანიშნულებას, თუ ეკლესიაში არ დაინერგებით. ეს ღვთის ჩანაფიქრია და არა ადამიანის.

კიდევ ერთი არასასიამოვნო მხარეა მორწმუნეების სხვა ეკლესიაში გადაბარგება რაიმე პრობლემის წარმოშობისთანავე. დღეს მამაკაცები და ქალები ნაუცბათევად ტოვებენ ეკლესიებს, როცა რაღაც არასწორს დაინახავენ, განსაკუთრებით კი, ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით. შესაძლოა, მიუღებელი იყოს ეკლესიის წინამძღოლებისა და მათი გუნდის მართვის სტილი. შესაძლოა, ვინმეს შესანიშნავების შეგროვების ან ამ თანხის ხარჯვის წესი არ მოსწონდეს. პასტორის ქადაგებით უკმაყოფილო ზოგიერთი მსმენელი ეკლესიიდან

მიდის. ზოგჯერ მწყემსს მიუკარებლობას ან გადაჭარბებულ ფამილარობაში ადანაშაულებენ. ასევე არსებობს პრობლემები ეკლესიის სხვა წევრების მხრიდან უყურადღებობის გამო. ამ სიის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება. ამგვარ საკითხებზე განაწყენებული ადამიანები სიძნელეებს ვერ უმკლავდებიან და იმედს ვერ ინარჩუნებენ, ამიტომ გარბიან იქ, სადაც მათი აზრით ნაკლები კონფლიქტია მოსალოდნელი.

მოდი, თვალი გავუსწოროთ ერთ ფაქტს. სრულყოფილი მწყემსი და ეკლესიის თანამოდმე მხოლოდ იესო ქრისტეა. მაშ, რატომ გავურბივართ სირთულეებს ნაცვლად იმისა, რომ სიმტკიცე შევიზარჩუნოთ და მათი მოგვარება ვცადოთ? ასე შეიძლება უამრავი ეკლესია მოვიაროთ ადგილის ძიებაში, სადაც მრავალი სხვა ხელმძღვანელი და ეკლესიის წევრი შეგვხვდება.

დაიმახსოვრეთ! ადგილი, სადაც ღმერთმა მოგვათავსა, სწორედ ის ადგილია, სადაც ეშმაკი შეურაცხვეყოფს, რომ იქედან გაგვადოს. მტერს მამაკაცებისა და დედაკაცების ღვთიური ნიადაგიდან ამოძირკვა სურს. თუ მან ეს მოახერხა, წარმატებასაც მოიპოვებს. თუ უდიდესი კონფლიქტის დროსაც კი არ შეირხევით, მის გეგმებს ჩაშლით და ღვთისას – აღასრულებთ.

და კვლავ, „უფლის სახლში დარგულნი, ჩვენი ღვთის ეზოებში აყვავდებიან“. რა დაემართება მცენარეს, თუ ყოველ სამ კვირაში ერთხელ გადარგვას მოუნდომებთ? მისი ფესვთა სისტემა თანდათან დასუსტდება და ვერ გამოიხსამს ყვავილებს ან სრულ პოტენციალს ვერ გამოავლენს. თუ მაინც არ შეეშვებით და კვლავ გააგრძელებთ მის ხშირ გადატანას ახალ ნიადაგში, ის შოკისგან დაიღუპება.

ბევრი გადადის ეკლესიიდან ეკლესიაში მსახურების მონოდების გასავითარებლად. თუ მათ არ ცნობენ იმ ადგილზე, სადაც ღმერთმა მოუწოდა, წყენა ადვილად ეუფლებათ. თუ რაღაც მოხდა იმ საკითხში, სადაც მათ განსხვავებული მოსაზრება აქვთ, განაწყენებულები ტოვებენ ეკლესიას. ისინი არა მარტო მიდიან, არამედ ხელმძღვანელობასაც აკრიტიკებენ. ისინი დაბრმავებული არიან საკუთარი ნაკლოვანებების მიმართ და ვერ აცნობიერებენ, რომ ღმერთს მათი სრულყოფა სურდა განხორციელებული ზენოლის მეშვეობით (ეს მხოლოდ მსახურებით არ შემოიფარგლება, არამედ ქორწინებაზე, სამუშაოსა და სხვა მსგავს ურთიერთობებზეც ვრცელდება).

მოდი, ვისწავლოთ იმ მაგალითებით, რომელთაც ღმერთი გვანვდის მცენარეებსა და ხეებთან დაკავშირებით. როცა ხეს ნიადაგში ჩარგავენ, თავსხმა წვიმის, მწველი მზისა და ქარის

ზენოლის გადატანა უხდება. ნორჩ ხეს ლაპარაკი რომ შეეძლოს, ალბათ, ასე იტყოდა: „გთხოვთ, წამიყვანეთ აქედან! ჩამრგეთ იმ ადგილას, სადაც არ იქნება პაპანაქება სიცხე და ქარიშხალი!“

მებაღეს მისთვის რომ მოესმინა, მცენარეს უსათუოდ დააზიანებდა. ხეები, მზის სიმხურვალეს და ქარიან თავსხმას ფესვების სიღრმეში გადგმის მეშვეობით ეწინააღმდეგებიან. მოსული სიძნელეები საბოლოოდ მათი დიდი სტაბილურობის წყარო ხდება. მათ ირგვლივ არსებული გარემოებების სიმკაცრე ხეებს სიცოცხლის ახალი წყაროს ძიებას აიძულებს. ერთ დღესაც ისინი გაცილებით ძლიერი შტორმების წინაშე დადგებიან, მაგრამ ვერაფერი შეაფერხებს მათში ნაყოფის გამოღების უნარს. ვიცით რა ეს, არ უნდა შევეწინააღმდეგოთ ვითარებებს, რომელთაც ღმერთი ჩვენს ცხოვრებაში უშვებს, რადგან ამის მიზეზი ჩვენი მოწოდებისთვის გაძლიერება გახლავთ.

### მისამე: რაიმი ბამძიმებთ?

ახლა ვიმსჯელებთ ბოლო მიზეზზე, რომელიც ადამიანებს მოწოდების პოვნასა და მისკენ სვლაში აბრკოლებს. სხვადასხვა სიმძიმე მათ ხელს უშლის სარბიელის გავლასა და დასრულებაში.

პავლე თავის თავზე ამბობს: „სიცოცხლე არად მიღირს, ოღონდ კი დავასრულებდე ჩემს სარბიელსა და მსახურებას, უფალ იესოსგან რომ მივიღე, რათა დავამონმო ღვთის მადლის სახარება“ (საქმ. 20:24). პავლეს ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული მისი ცხოვრებისეული მისია. მას ჰქონდა დასასრულებელი საქმე და იმასაც ხვდებოდა, რომ ჯერ მიზნამდე არ მიეღწია. საიდან იცოდა ეს? ზუსტად ისე, როგორც იესომ, ისევე როგორც პეტრემ (იხ. 2 პეტრ. 1:14). ეს იციან ღვთის მაძიებელმა ადამიანებმა, რომლებიც ეკლესიაში დაინერგნენ და ბოლომდე გაძლეს. უფალი ყველას უცხადებს ამას, ვინც საკუთარ სიცოცხლეს ღვთის ნებაზე ძვირფასად არ მიიჩნევს. ამასია გასაღები: როცა სიცოცხლე არ გვენანება ღვთისთვის სასურველი გეგმის აღსასრულებლად, არა მარტო მოწოდებას აღმოვაჩინთ, არამედ მის აღსრულებასაც შევძლებთ.

ერთი მაგალითი სახარებებში ჩანს. ერთ დღეს იესო ერთი ქალაქიდან მეორეში მიემართებოდა. ჩვენ ვკითხულობთ: „გზას რომ ადგნენ, ვილაცამ უთხრა: „გამოყვები, სადაც კი წახვალ!“ (ლუკ. 9:57).

ამის მთქმელი აღტაცებული, ენთუზიაზმით საცხე და წრფელი ადამიანია. მას სურს, იესოს გაყვეს მთელი ცხოვრების განმავლობაში. თუმცა იესოს ენთუზიაზმის მიღმა ადამიანის ჭეშმარიტი მოტივის ანუ გულის ხაფანგების დანახვის უნარი აქვს. მან აღმოაჩინა დაბრკოლება, რომელიც ამ კაცს დანიშნულების შესრულებაში ხელს შეუშლიდა და ასე მიუგო: „მელიებს სოროები აქვთ და ცის ფრინველთ – ბუდეები. კაცის ძეს კი თავის მისადრეკი არ გააჩნია“ (ლუკ. 9:58).

ალბათ, ეს ადამიანი ამქვეყნიური დაცულობის გრძნობით პოულობდა შვებას. სავარაუდოდ, მას ექნებოდა კარგი სამუშაო, მნიშვნელოვანი კაპიტალი თავის სახლში და ხანდაზმულობის წლებისთვის გათვლილი პროგრამა. იესომ პირდაპირ დაუმიზნა მის ამ სისუსტეს, როცა უთხრა, რომ თავის მისადრეკი არ გააჩნდა.

შემიძლია ამ კაცის სახის და ბრბოში სხვათა წარმოდგენა, რომლებმაც იესოს სიტყვების გაგონებისთანავე დაიწყეს ნელ-ნელა უკან დახევა, რომ შეუმჩნეველად გაპარულიყვნენ. ეს ადამიანი ალბათ ასე იტყოდა: „იესო, შენს შეკრებებზე ხალხს გამოვუძღვები, ბენდში დავუკრავ და ხანდაზმული ადამიანებისთვის მანქანებსაც დავაყენებ პარკირების ადგილას, როცა ისინი შენს მოსასმენად მოვლენ ჩემს ქალაქში“. მის თვალში იესოს მონაფეოების ბრწყინვალება გაფერმკრთალდა და უფლის მსახურების კეთილი ზრახვებიც სწრაფად გაუჩინარდა. ამრიგად, ეს და მრავალი სხვა ადამიანი იმ განზრახვით გაბრუნდა უკან, რომ კვლავაც მხარი დაეჭირა იესოსთვის, მხოლოდ სიცოცხლის მიძღვნის გარეშე.

შემდეგ იესომ სხვა ადამიანს გადახედა, რომელსაც აღფრთოვანება ჯერ არ დაეკარგა და უთხრა: „გამომყევი!“

„მან თქვა: „უფალო, ნება მომეცი, ჯერ წავიდე და მამაჩემი დავმარხო!“ მან კი მიუგო: „მკვდრებს დაანებე თავიანთი მკვდრების დამარხვა. შენ კი წადი და იქადაგე ღვთის სამეფო!“ (ლუკ. 9:59-60)

საოცარია! რა მტკიცე პასუხია! შესაძლოა, ზოგიერთმა იფიქროს, რომ იესო ნაკლებად მგრძნობიარე და ცოტა არ იყოს, მკაცრიც იყო. მიუხედავად ამისა, იმდროინდელი კულტურის თავისებურებები არ უნდა დაგვაფიქნედეს. მკვლევარები გვეუბნებიან, რომ მაშინდელი ტრადიციის თანახმად, პირმშო ძეს მამის დამარხვის ვალდებულება ეკისრებოდა და მემკვიდრეობის ორმაგი წილიც ერგებოდა. დანარჩენი შვილები

მხოლოდ ერთ წილს მიიღებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ პირმშო მამის დაკრძალვის მოვალეობას უგულებელყოფდა, ორმაგი წილი მომდევნო ვაჟს გადაეცემოდა.

ამ ადამიანს თავში ფული უტრიალებდა. სავარაუდოდ, მას კომფორტულად ცხოვრება უყვარდა, რაც საბოლოოდ, ხელს შეუშლიდა იესოს მონაფეობის მიზნის მიღწევაში. ის, ალბათ, სხვა მიმართულებით გადაუხვევდა ან ღვთის გეგმის მიყოლის ნაცვლად ფინანსურ გათვლებზე დაფუძნებულ გადანყვეტილებებს მიიღებდა.

დარწმუნებული ვარ, რომ უფლის მითითების მიღების შემდეგ ეს ადამიანი რამდენიმე სხვასთან ერთად ბრბოში მიმალვას შეეცადა. მისი პასუხი დაახლოებით ამ აზრის მატარებელი იქნებოდა: „იესო, კონფერენციებზე მოგემსახურები, რომლებსაც ჩემს ქალაქში ჩაატარებ! გუნდში ვიმღერებ და დასარტყმელ საკრავზეც დავუკრავ. ამის გაკეთება ნამდვილად შემიძლია. მიყვარს ეს საქმე და შენგან არანაირ საზღაურს არ მოვითხოვ ამისთვის“. იესოს გაყოლის სურვილმა სიმძაფრე დაკარგა ამ და ბევრი სხვა ადამიანისთვის.

ყურადღება მიაქციეთ, რომ მას იესოს გაყოლაზე უარი არ უთქვამს. მან თქვა, რომ გაყვებოდა, თუმცა მისი დაბნეულობის გასაღები შემდეგ ფრაზაში გამოჩნდა: „ნება მომეცი, ჯერ ნავიდე ...“. ის უნდა დარწმუნებულიყო, რომ სასურველს მიიღებდა და იესოს ამის შემდეგ დაუმორჩილებდა ცხოვრებას.

ღვთის ნების წინ არაფერი არ უნდა დავაყენოთ, თუ ჩვენი ცხოვრებისთვის მისი გეგმის აღმოჩენისა და აღსრულების სურვილი გვაქვს. უამრავი მორწმუნე მინახავს, ვინც მორჩილებაზე უარი თქვა მათთვის პრიორიტეტული საკითხების პირველ რიგში დაყენების განზრახვის გამო. რა დასანანია, რომ ისინი დანიშნულებას აცდნენ! ვილაც სხვა მოვიდა და მათი ფუნქცია შეასრულა. როგორ იქნება მათი საქმე სამსჯავროს ტახტის წინაშე წარდგომისას?

ისევ ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ. იესოს ირგვლივ ხალხი შეთხელდა, მაგრამ იქ კიდევ დარჩა ერთი მოხალისე.

„უფალო, ოღონდ ჯერ ნება მომეცი შინაურებს გამოვემ-  
შვიდობო!“ უთხრა მას იესომ: „ვინც გუთანს უდგას და  
თან უკან იყურება, ღვთის სამეფოსთვის არ გამოდგება!“  
(ლუკ. 9:61-62)

ყურადღება მიაქციეთ წინა შემთხვევის მსგავს ფრაზას: „ნება მომეცი, ჯერ ...“. ცხადად ჩანდა, რომ ეს ადამიანი

ახლოს იყო თავისი ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან ან თუნდაც საყვარელ ადამიანთან. მას სურდა, რომ გალილეელი მოძღვრის მიყოლის გადანყვეტილება მათთან ერთად განეხილა. ახლობლებთან მჭიდრო ურთიერთობები გადამწყვეტი ფაქტორი გამოდგა იესოს მსახურების საქმეში. ამას უფალი პირდაპირ შეენიშნა აღმდეგა ნათქვამით, რომ ის ცათა სამეფოსთვის არ გამოდგებოდა.

ვხედავ, როგორ იხევს უკან ის ადამიანი ჯერ კიდევ მოზრდილ ჯგუფთან ერთად. თითქმის ყურში ჩამესმის მისი ხმა: „იესო, მე საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ადამიანურ რესურსებს კარგად განვკარგავ. შემძლია კონსულტანტი ვიყო შენს მსახურებაში და მართლაც კარგი თანამშრომლების მოზიდვაში დაგეხმარო. ასევე უზრუნველვყოფ ადგილობრივი საკონფერენციო ცენტრის დაცვას ჩვენს ქალაქში შენი მომდევნო შესხვედრისთვის. როცა მოხვალ, პასუხისმგებელი ვიქნები ხალხის დახვედრისა და წესრიგის დამცველთა მსახურებაზე. თუ დაგჭირდა, შენც შეგიძლები შეკრებაზე. იქ ვარ და გელოდები!“

საფიქრებელია, რომ ამ მომენტისთვის იესომ დაინახა, როგორ დავიდა აღფრთოვანებული მიმდევრების დიდი რიცხვი სამოცდაათ მონაფემდე. ალბათ, დასაწყისში იქ ათასამდე ადამიანი იქნებოდა, მაგრამ იგი უშუალოდ დაუპირისპირდა სამ მთავარ დაბრკოლებას, რომლებიც ადამიანებს თავიანთი დანიშნულების შესრულებაში ხელს უშლიდნენ: დაცულობის შეგრძნებას, ფულსა და ურთიერთობებს (არსებობს დაბრკოლების სხვა სფეროები, როგორებიცაა სიამოვნება, სხვა საგნების ნდომა ღვთის ნების მიღმა და ა.შ. თუმცა წლების გამოცდილებამ დამანახა, რომ ჩემ მიერ ჩამოთვლია მათგან მთავარი).

მრავალ ადამიანს სახარების კითხვისას მხედველობიდან გამორჩება ხოლმე ლუკას მომდევნო მნიშვნელოვანი განაცხადი, რადგან იგი მეორე თავში გრძელდება. და მაინც, მინდა შეგახსენოთ, რომ ლუკას წიგნი ერთი გრძელი წერილია. ეკლესიამ მოგვიანებით დაურთო მას თავები და მუხლები პარალელური ადგილების ძიების გასაადვილებლად. მოუსმინეთ, რას ამბობს ლუკა:

„ამის შემდეგ სხვა სამოცდაათი ამოარჩია უფალმა და ორ-ორი მიავლინა წინასწარ, ყველა იმ ქალაქსა და სოფელში, სადაც მისვლას აპირებდა. უთხრა მათ: „სამკალი ბევრია, მუშაკი – ცოტა ...“. (ლუკ. 10:1-2)



ამ მუხლებში რამდენი რამ დევს. უპირველეს ყოვლისა, დააკვირდით სიტყვებს „ამის შემდეგ“. დავსვათ კითხვა: „რის შემდეგ?“ პასუხი ასეთია: „მას შემდეგ, რაც იესომ დაინახა, როგორ შეთხელდა მის ირგვლივ ხალხი და მხოლოდ ისინი დარჩნენ, რომლებიც ასე ამბობდნენ: „არმადარდებს, რის ფასად დამიჯდება იესოს გაყოლა. მე ეს მინდა და ასეც მოვიქცევი!“ მათ მოისმინეს იესოს გამოხმაურება დაცულობაზე, ფულსა და მჭიდრო ადამიანურ ურთიერთობებზე და გადანწყვიტეს, არაფრისთვის არ მიეცათ ღმერთში მათი დანიშნულების აღსრულებისთვის ხელის შეშლის უფლება.

შემდეგ იესომ თავისი გუნდის სამოცდაათი ახალი წევრი ამოარჩია, რომლებიც სავარაუდოდ, სწორედ ის დარჩენილები იყვნენ. ახალ აღთქმაში ამორჩევა იგივე დადგენა გახლავთ. რაიმე საქმეზე დადგენილი ადამიანი იგივე ამორჩეულია და ვინც ამორჩეულია, ასევე დადგენილია კონკრეტული საქმისთვის. იესო გარკვეულ განაცხადს აკეთებს მათეს სახარების ორ სხვადასხვა ადგილას. თუ ის ორჯერ იმეორებს სათქმელს ერთი და იგივე სახარებაში, ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ. აი, ისიც: „მონოდებული ბევრია, რჩეული კი ცოტა“ (მათ. 20:16; 22:14).

მონოდებული ბევრია. მაინც რამდენი? ზუსტად რომ ვთქვათ, ყველა. ყველა მორწმუნეს აქვს ცხოვრებისეული მონოდება და გარკვეულ ნიჭებს ფლობს მის განსახორციელებლად. და მაინც, ეს აზრი გაგაოგნებთ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ რამდენიმეა რჩეული ანუ დადგენილი მისი მონოდების აღსასრულებლად. რატომ არის ასე მცირე რჩეულთა რიცხვი? პასუხი ასეთია: მხოლოდ მცირედნი არიან მზად, რომ ცხოვრებისეული მონოდებისთვის მიატოვონ თავიანთი სურვილები, დაცულობის განცდა, ფულისადმი ღტოლვა, დამაბრკოლებელი ურთიერთობები და ასე შემდეგ.

ყურადღება მიაქციეთ იესოს ნათქვამს: „... სამკალი ბევრია, მუშაკნი კი ცოტანი არიან“ (მათ. 9:37). ღვთის ბრალი არ არის, რომ ჩვენმა თაობამ მისი სიტყვა ვერ შეითავსა. უფლის სურვილია: „ყველა ადამიანი გადარჩეს და მიაღწიოს ჭეშმარიტების შემეცნებას“ (1 ტიმ. 2:4). ჩვენ ის ადამიანები ვართ, რომლებიც ღვთის განკითხვის ტახტის წინაშე წარვდგებით და ანგარიშს ჩავაბარებთ, თუ რატომ ვერ მოვიპოვეთ უფლისთვის ჩვენი თაობის წარმომადგენლები. თუ მონოდებას აღვასრულებთ, არ განვიკითხებით, ხოლო თუ სხვადასხვა დაბრკოლებებს ჩვენი შეფერხების საშუალებას მივცემთ, განკითხვა მკაცრი იქნება.

შეიძლება თქვათ: „მე მხოლოდ ერთი ვარ მრავალთაგან“. რა მოხდება, თქვენმა ღვიძლმა რომ განაცხადოს: „მე სხეულის უმნიშვნელო ასო ვარ. ვერავინ მამჩნევს და ჩემს საქმიანობასაც არ აფასებენ, ამიტომ იმას გავაკეთებ, რაც მომინდება და ჩემს ნამდვილ ფუნქციას აღარ შევასრულებ?“ როგორც იცით, ღვიძლის გარეშე სხეული სერიოზულ საფრთხეში აღმოჩნდება. რა იქნება, იგივე რომ თქვან ფილტვებმა, ფეხებმა, ტერფებმა ან სხვა რომელიმე ასომ? ისევე როგორც სხეულის ყოველი ასო მნიშვნელოვანია, ქრისტეს სხეულის ყოველი ნევრიც მნიშვნელოვანია.

ეს ფაქტი გვაფხიზლებს. იესო გვეუბნება, რომ მცირედნი აღასრულებენ თავიანთ დანიშნულებას, რასაც ღვთის სახლის შენება წარმოადგენს. ყოველ მორწმუნეს აქვს შენების მოწოდება, მაგრამ მათგან მცირე თუ შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ეს ნიშნავს, რომ მორწმუნეთა სამსჯავროზე ბევრი ადამიანი დაზარალდება და ვერ მიიღებს დიდებულ საზღაურს.

ვიცი, რომ ეს არ არის სასიხარულო ამბავი. თუმცა კარგის თქმაც შეიძლება: ახლაც არ არის გვიან, რომ დაიწყოთ. დადექით მუხლებზე და ღმერთს სთხოვეთ, მოგიტევეთ ყველაფერი, რასაც თქვენს ცხოვრებაში ღვთის ნების დაბრკოლების საშუალება მიეცით და შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყევით. მეცხრამეტე საუკუნის დიდ მახარებელს, სმით ვიგლზუორსს თავისი მსახურება მანამ არ დაუნყია, სანამ 50-ს არ გადააბიჯა. თქვენთვისაც არ არის გვიან.

გახსოვდეთ, რომ კარგად შენების გასაღებია: პირველი, ღვთის ძიება რწმენით. მეორე, იმ ადგილობრივ ეკლესიაში დანერგვა, რომელზეც ღმერთი მიგიითითებთ და ეკლესიის ხელმძღვანელობისადმი მორჩილებაში დარჩენა. და მესამე, ცხოვრებისეული დაბრკოლებების მოშორება. როცა ღმერთი გაჩვენებთ იმ სიმძიმეებს, რომლებიც უკან გწევენ, სთხოვეთ მის მახვილს, რომ გადაჭრას ყოველი საკვრელი თქვენს სულსა და სხეულზე. მისი მაღლი საკმარისი იქნება თქვენს გასათავისუფლებლად.

## სრული საზღაური!

საბოლოო სიტყვა, სანამ მომდევნო თავზე გადავიდოდეთ. ბევრ ადამიანს საერთოდ არ დაუნყია ღვთის სახლის შენება ან თავი აარიდა ამ საქმეს. ისინი დროებითაა დიდებამ გაიტაცა: ქვეყნიერების სიმდიდრემ, ზეგავლენის, ძალაუფლებისა

და სიამოვნების გულისთქმამ, ადამიანთაგან მოწონებამ. ეს ყველაფერი ხუნდება. თავს ნუ მოიტყუებთ, გზას ნუ გაიმრუდებთ და ცდომილებაში ნუ ჩავარდებით! დარჩით მიზანმიმართული. ქრისტეში საქმე გაქვთ შესასრულებელი. თქვენი საკეთებელი უნდა დაასრულოთ.

იქნებიან ისეთები, რომელთა სეზონური ან თუნდაც მთელი ცხოვრების შრომა წყალში ჩაიყრება. მათი საქმეები განადგურდება და ღვთის მარადიულ სახლში წილს ვერ დაიმკვიდრებენ. შეგიძლიათ ამის წარმოდგენა?

ნება მომეცით, ამ განცხადების წონადობის საჩვენებლად ჩვენი ოჯახის შეკვეთილი სახლის ამბავს დავუბრუნდე. ვინაიდან სახლის მშენებლობის პროცესს ყოველდღიურად ვაკვირდებოდი, ხელოსნებმა საკმაოდ კარგად გამიცნეს. ისინი „მქადაგებელს“ მეძახდნენ.

ყოველდღე, როცა მანქანით მივიდოდი მშენებლობის ადგილას, ხელოსნების როკ-მუსიკას იქაურობა მიჰქონდა. ჩემს დანახვაზე რომელიმე მათგანი სასწრაფოდ მივარდებოდა პორტატულ სტერეომაგნიტოფონს და გამორთავდა. გულში მეღიმებოდა ამგვარ მოკრძალებაზე, რასაც ღვთური საგნების მიმართ იჩენდნენ. შემდეგ ცოტას წავიმუსაიფებდით. ამ ბიჭებთან საინტერესო საუბრები და მსახურებისთვის დიდი შესაძლებლობები მქონდა.

ერთ-ერთი ასეთი შემთხვევისას გავიხსენე, რომ ხელოსნებმა იმ დიდებული სახლების შესახებ მიამბეს, რომლებიც აუშენებიათ. თავიანთ ნამოღვაწარზე მოყოლისას სახეები უბრწყინავდათ. კარგად ვხედავდი იმ უზომო კმაყოფილებას და სიამონებას, რაც მათ დიდებულ საქმეში მონაწილეობამ მოუტანა. არანაირ სირცხვილის გრძნობას ადგილი არ ჰქონია და მხოლოდ სიხარულს გამოხატავდნენ შრომის გამო, რამაც სხვა ოჯახებიც ასარგებლა და იმ მშვენიერი სახლების დამთვალიერებლებისთვისაც ცნობილი გახდა.

მოდით, წინ წავიდეთ კიდევ ერთი ნაბიჯით! წარმოგიდგენიათ, რას უნდა გრძნობდნენ ვაშინგტონში „თეთრი სახლის“ ამგები ადამიანები? წარმოიდგინეთ, რომ ერთ დღეს ერთ-ერთი მათგანის შვილი სკოლიდან მოდის და მამას უყვება, რომ გაკვეთილზე ქვეყნის ყველაზე ცნობილი სახლის შესახებ შეიტყო. შემდეგ ბიჭი თუ გოგონა საზეიმოდ აცხადებს, რომ მის სანახავად სკოლაში ექსკურსია დაგეგმეს.

რა ჟრუანტელი დაუვლის ამ ადამიანს, რომელიც შვილს იმ ცნობილი სახლის მშენებლობაში მონაწილეობაზე უამბობს? შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ მისი ემოციები, როცა შვილს

თან ახლდება ექსკურსიაზე პენსილვანიის გამზირის 1600 ნომერში? შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ მისი განცდები შვილის სახეზე აღბეჭდილი აღფრთოვანებისა და სიამაყის გამო, როცა ეს უკანასკნელი თანაკლასელებს ამცნობს შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობაში მამის მონაწილეობის შესახებ?

ანალოგიურ მდგომარეობაში ჩვენც აღმოვჩნდებით. თუმცა ჩვენ არ ვშრომობთ იმ სახლის მშენებლობაზე, რომელიც საბოლოოდ დაინგრევა და სხვა რამით შეიცვლება. ჩვენ ვშრომობთ სახლზე, რომელიც მთელი სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცევა უკუნითი უკუნისამდე. ო, დიას! გაიხსენეთ მიქა წინასწარმეტყველის სიტყვები: „მრავალი ხალხი მოვა და იტყვის: „მოდით, ავიდეთ უფლის მთაზე, იაკობის ღვთის სახლში; რათა მან გვასწავლოს თავისი გზები და ვიაროთ მისი ბილიკებით, რადგან სიონიდან გამოვა რჯული და იერუსალიმიდან – უფლის სიტყვა“ (მიქ. 4:2).

სამყაროში მიმდინარე მოვლენები ყოველთვის ღვთის სახლის ირგვლივ იტრიალებს. იქედან მომდინარე სიბრძნე და რჯული წარმართავს ყოველ ქმნილებას. აქ ერთი საოცარი ფაქტი უნდა აღვნიშნოთ: ის ათი ტრილიონი წლის შემდეგაც ისეთივე მშვენიერი იქნება, როგორც მისი შექმნის დღეს იყო.

არის სახარების ერთი დიდი მსახური, რომელმაც ერთგულება სიცოცხლის ბოლომდე გამოიჩინა. მან ნაყოფიერად იშრომა სამოც წელზე მეტხანს და მარადისობაში საზღაურის მისაღებად გადავიდა ჩვენი ათასწლეულის დამდეგს. მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ შუა დასავლეთში გავემგზავრე ერთ დიდ ეკლესიაში, სადაც თაყვანისცემის წამყვანმა ღვთისგან მოცემული ცოცხალი ხილვა გაგვიზიარა. ხილვაში ეს ადამიანი ზეცად ავიდა და იქ ის დიდი მსახური ნახა, რომელსაც გაესაუბრა კიდევ. მსახურმა გულიანი ღიმილით უთხრა თაყვანისცემის ხელმძღვანელს: „ეს გაცილებით კარგია, ვიდრე წარმომედგინა“.

მათ ილაპარაკეს სხვადასხვა ჭეშმარიტებაზე და მოვლენებზე. შემდეგ ის მსახური შებრუნდა და სიონში მის წილ სამუშაოზე მიუთითა. ეს მასიური რამ იყო. ერთგულების შედეგი გაცილებით ფართო და შორს მიმავალი აღმოჩნდა, ვიდრე მას წარმოედგინა და ეს ყველაფერი თვალნათელი გახდა. მას შეეძლო თავის ნაშრომზე მიეთითებინა, როგორც იმ ხელოსნებს, რომლებმაც თავიანთ აშენებულ სახლებზე მიაბჟეს. რა საოცარი მარადიული საზღაურია!

უბრალოდ წარმოიდგინეთ, რომ მარადისობაში ღვთის სახლის მშენებლობაში თქვენ მიერ შეტანილ წვლილს აჩვენებთ არა მარტო თქვენს შთამომავლობას, არამედ უამრავ ხალხსა და ერს, რომლებიც სიონად წოდებული დიდებული სახლის სანახავად მოვლენ. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, როგორ მოდიან ადამიანები, ღვთის სახლის მშენებლების სანახავად და თან თქვენს ღვანლზე მსჯელობენ მარადისობის განმავლობაში?

მოდით, საპირისპირო ვითარება განვიხილოთ. დავუშვათ, არაფერი გაქვთ საჩვენებელი თქვენი საქმეებიდან, რადგან კარგად ვერ დაასრულეთ. წარმოგიდგენიათ, როგორ მოდიან თქვენი შთამომავლები ან წინაპრები თქვენი ნაღვანის სანახავად, მაგრამ მათთვის საჩვენებელი არაფერი გაქვთ? წარმოგიდგენიათ, მთელი მარადისობის განმავლობაში თქვენი ნაშრომის სანახავად ამაოდ მოსული ერები იმის გამო, რომ აგებული დანგრევას დაექვემდებარა ან შეიცვალა? გაიხსენეთ პავლეს სიტყვები *The Message*-ის ბიბლიიდან:

„ვისი აშენებული საქმეც შემონმებას გაუძლებს, ის მიიღებს საზღაურს. თუ საქმე ვერ გაუძლებს, თქვენ მიერ აშენებული დაინგრევა და ხელახლა დაიწყება“.  
(1 კორ. 3:14-15)


ეს მართლაც მარადიული დანაკარგია. სამწუხაროა, მაგრამ ასეთია რეალობა. თუმცა ამას თქვენ არ გისურვებთ, ძვირფასო მეგობარო! ღმერთს ეს თქვენთვის არ უნდა. ახლავე შეგიძლიათ გადაწყვიტოთ, რომ ეს არ მოხდეს. ღმერთმა მოგცათ სიონის აშენების მადლი. როგორც იოანე მოციქული ამბობს:

„თავს გაუფრთხილდით, რომ არ დაკარგოთ ის, რისთვისაც იღწვოდით, არამედ სრული საზღაური მიიღოთ“.  
(2 იოან. 8)

თავად უფალმა მოაწყო ისე, რომ მის ყველა შვილს ჰქონოდა სრული საზღაურის მიღების შესაძლებლობა მისი სახლის მშენებლობისთვის. შრომის საჭიროება არასოდეს გაუფერულდება, არასოდეს მოძველდება და არასოდეს შეიცვლება. თუ დაყრდნობილი ხართ ღვთის მადლზე და კარგად აშენებთ, თქვენი მიღწევებით ურიცხვი ანგელოზი და ადამიანი აღფრთოვანდება უკუნითი უკუნისამდე.

ნაწილი 5: თავები 11-12

1. ვიცით, რომ ღმერთს არ სჭირდება, რათა მისთვის ვიწრომოდ – მას სურს მასთან ერთად ვიწრომოდ. რას გვეუბნება ეს განაცხადი მის შესახებ? საკუთარი თავის შესახებ?
2. ფს.139:16 გვეუბნება, რომ ღმერთმა ჩვენს დაბადებამდე დაწერა წიგნი, სადაც ასახულია ჩვენი ცხოვრების ყოველი წუთი. რა გზით შეიძლება გავიგოთ ღვთის მიერ ჩვენი ცხოვრებისთვის დაწერილი უნიკალური ისტორიების შესახებ?
3. შესაძლებელია (და ძალიან ადვილადაც), რომ ცხოვრება ერთი შეხედვით კარგი საქმეების კეთებაში გავლით და ჩვენს მონოდებას ავცდეთ. არსებობს თქვენს ცხოვრებაში შიშისა და იმედგაცრუების გამო მიშვებული სფეროები, რათა ახლა დაიწყოთ ღვთის ძიება და ცხოვრების განახლება?
4. მე-12 თავში ვიმსჯელებთ სამი საკვანძო მომენტის შესახებ, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ღვთისთვის საამო ცხოვრების დაფუძნებაში: მისი გულწრფელად ძიება, მის სახლში დაწერგვა და სხვადასხვა დაბრკოლებების მოშორება. რომელი მათგანი გამოიკვეთა თქვენთვის პიროვნული შესაძლებლობების გამოვლენის თვალსაზრისით? როგორ შეძლებთ მათში ზრდას?
5. მარადისობაში სრული ან ნაწილობრივი საზღაური გვერგება ან საერთოდ ვერაფერს მივიღებთ. თქვენთვის რა არის სრული საზღაური?



65B020 6





## თავი 13

# ბამრავლები

*„მომკელი საზღაურს იღებს და მისი ნაყოფი საუკუნო  
სიცოცხლემდე მიყვანილი ადამიანებია. რა სიხარული ელოდება  
მთესველსა და მომკელს! ამიტომ ჭეშმარიტია ეს ანდაზა: ერთი  
თესავს, მეორე იმკის“.*  
იოან. 4:36-37 NLT

*„დამრგველი და მომრწყველი ერთ გუნდად  
შრომობენ გარკვეული მიზნით, თუმცა თითოეული  
თავისი შრომისამებრ მიიღებს საზღაურს“*  
1 კორ. 3:8 NLT

ვინც ღვთის სამეფოს ერთგულად ემსახურებოდა ღვთის სახლის შენების მეშვეობით, კარგ მარადიულ საზღაურს მიიღებს. ყველა ჩვენგანი ინდივიდუალურად მოვიმკით განუღი შრომისთვის. თითოეულ ჩვენგანს განსხვავებული პასუხისმგებლობები აკისრია, მაგრამ სხვადასხვა მონოდებები ერთ შედეგს წარმოშობს: მარადისობისთვის შეძენილ სულებს. ბევრი დარწმუნებულია, რომ საჯაროდ მოღვაწე მსახურები, რომლებიც მილიონობით ადამიანის ცხოვრებას ეხებიან, პირველ რიგებში იდგებიან და გაცილებით დიდ საზღაურს მიიღებენ. თუმცა ეს მოსაზრება სიმართლეს არ შეესაბამება. ღმერთი ადამიანის მსგავსად არ აჯილდოვებს. იგი მორჩილების საქმეებს მიაგებს საზღაურს. ღმერთი ასე რომ იქცეოდეს, მსახურების ცენტრი სამეწარმეო საქმიანობის მიღწევები იქნებოდა. როგორც ბოლო ორ თავში ვნახეთ, ეს სრულიად გამორიცხულია. ღმერთი განსჯის და აჯილდოვებს ჩვენი მონოდების მიხედვით, რისი კეთების ძალაც მოგვანიჭა.

### გაღლით ალჭურვილი

ჩვენი წელთაღრიცხვით 56 წელს, სარბიელის დასრულებამდე დაახლოებით ათი წლით ადრე პავლემ დაწერა, რომ ის „მოციქულთა შორის უმცირესი“ იყო (1 კორ. 15:9). ეს უცნაურად მოეჩვენება ეკლესიის ისტორიის მკვლევარს. პავლეს მსახურებამ მთელი მაშინდელი ქვეყნიერება მოიცვა და

გაცილებით მეტი იშრომა ღვთის სამეფოსთვის, ვიდრე მის-  
მა რომელიმე სხვა თანამედროვემ. ეჭვგარეშეა, რომ იგი მისი  
დროის უდიდესი მოციქული იყო. ამრიგად, როგორ შეეძლო  
მას ამგვარი განცხადების გაკეთება? ხომ არ აზვიადებდა? ეს  
შეუძლებელია; ნმიდა წერილის წერისას ვერავინ იცრუებს.  
სულიწმიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემდა ამის დაწერის  
უფლებას, თუ პავლე მართლაც ასე ფიქრობდა.

პასუხს შემდგომ მუხლებში ვპოულობთ: „ღვთის მადლით  
ვარ, რაცა ვარ; და მისი მადლი არ იყო ჩემს მიმართ ფუჭი,  
არამედ ყველა მათგანზე მეტი ვიშრომე; თუმცა არა მე, არამედ  
ღვთის მადლმა, რომელიც ჩემთანაა“ (1 კორ. 15:10).

ძალზე საინტერესოა, რომ პავლე მშვენივრად აცნობიერებდა,  
რაოდენ აღემატებოდა მისი მიღწევები დანარჩენი მოციქულების  
ღვანლს, მაგრამ საკუთარ თავს მაინც მათზე უმცირესად  
თვლიდა. ამ წინააღმდეგობის განმარტება შემდეგ სიტყვებში  
ჩანს: „ღვთის მადლით ვარ, რაც ვარ“. პავლეს შეეძლო  
საკუთარი თავის გამოცალკეება იმისგან, რასაც ღმერთი მისი  
მეშვეობით აკეთებდა. იგი სრულად აცნობიერებდა, რომ მის  
ცხოვრებაში ღვთიურ მონოდებას ვერაფერს მიამატებდა და  
მისთვის მიცემული უნარით გათვალისწინებულზე მეტს ვერ  
გააკეთებდა. ეს ყველაფერი ერთ სიტყვაში ჯამდება: *მადლი*.  
მოცემული დინამიკა ყველა მორწმუნისთვის სამართლიანია  
მათ მონოდებასთან დაკავშირებით.

ნება მომეცით, ჩემი მსახურების გამოცდილების  
გამოყენებით განვიმარტოთ. ჩემი წიგნები 90-ზე მეტ ენაზე  
ითარგმნა მსოფლიოს მასშტაბით. მათი სრული ოდენობა  
რამდენიმე მილიონია და ურიცხვია მათ მიერ შეცვლილი  
ცხოვრების შესახებ მონობები. ხშირად ადამიანები  
ინტერესდებიან ჩემი წერის საიდუმლოთი. გულში მეცინება და  
ვიხსენებ, რა საშინელი მოსწავლე ვიყავი ინგლისურ ენაში ან  
რანაირ ავტორს წარმოვადგენდი, სანამ ღვთის მადლი ჩემს  
ცხოვრებაში გამოვლინდებოდა. ორგვერდიანი ინგლისური  
თემის დაწერას საათები ვუნდებოდი და ერთი პარაგრაფის  
დასრულებას ნახევარ რვეულს ვახმარდი. ახლა როცა ვწერ,  
სიტყვები თავისით მოდის. მე სხვებზე კარგად ვუწყვი, ვინ არის  
ამ წიგნების ავტორი. უბრალოდ, ყველა ამ წიგნის პირველი  
მკითხველი გახლავართ.

ერთხელ ეროვნული ტელევიზიით ინტერვიუ ჩამომართვეს  
და ყურადღება ჩემ მიერ დაწერილი წიგნების მთავარ თემებზე  
გაამახვილეს. თუმცა ინტერვიუს მიმდინარეობისას წამყვანი  
უფრო მეტად ჩემი მიღწევებით დაინტერესდა, ვიდრე ხსენე-  
ბული თემებით. თავი უხერხულად ვიგრძენი და სულიწმიდის  
ძიება დავინწყე, თუ როგორ შემეცვალა აქცენტები.

რალაც წამებში დიალოგი შეჩერდა და საუკეთესო დრო დადგა იმისთვის, რომ ღვთის სულისგან მონოდებული კომენტარი ჩამერთო. სოლომონის სიტყვები მოვიყვანე: „იცი, რომ ყოველივე, რასაც ღმერთი იქმს – საუკუნოდ რჩება, არც მიემატება მას და არც მოაკლდება. ღმერთმა დაადგინა ასე, რომ მისი ეშინოდეთ. რაც არის – უკვე იყო და რაც იქნება – უკვე ყოფილა; ღმერთი მოიძიებს გარდასულს“ (ეკლ. 3:14-15).

შემდეგ ვთქვი: „ენით გამოუთქმელი რაოდენობის პასტორები და მსახურები აკეთებენ იმას, რისთვისაც ღმერთმა მოუწოდა. ზოგიერთი მათგანი სამასკაციან ეკლესიებს ხელმძღვანელობენ პერიფერიებში. სხვები დაკარგულებსა და გულდაჭრილებზე ზრუნავენ განვითარებად ქვეყნებში. მათ საკუთარი თავი დათესეს მისიონერულ ასპარეზზე. სხვები შუაგულ ქალაქებში შრომობენ და ყოველდღიურად თავს დებენ იმისთვის, რაც ბევრ ადამიანს ფუჭად მიაჩნია. დანარჩენები კომერციის სამყაროში ერთგულად ემსახურებიან ღმერთს. სიის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება. სავარაუდოდ, ამ გადაცემაში ის ადამიანები ვერასოდეს მოხვდებიან, თუმცა ბევრი მათგანი ზეცის მონინავე პოზიციებზე დგას ღვთიური მონოდებისადმი ერთგულების გამო და ამას სრულიად გულწრფელი მოტივით აკეთებს“.

შემდეგ განვაგრძე: „რაც შემეხება მე, ღმერთმა კონკრეტული საქმის საკეთებლად მომიწოდა და მისმა მასშტაბმა მრავალი ადამიანი მოიცვა. სწორედ ამიტომ მომიწვიეთ გადაცემაში. და მაინც, მე არაფერი დამიმატებია იმ საქმისთვის, რაც მან დამავალა. ჩემი უნარის გაზრდა, გავრცობა და უფრო შორს წასვლა არ შემიძლია. ერთადერთი, რაც ჩემს ძალებს არ აღემატება, დავალებული საქმის არევაა და ეს მაშინებს!“

სტუდიაში ატმოსფერო მყისვე შეიცვალა და სულიერი სახე მიიღო. წამყვანმა, რომელსაც თავად ჰქონდა საერთაშორისო მასშტაბის მსახურება, აღნიშნა, რომ ჩემმა ნათქვამმა ინტერვიუს დარჩენილი ნაწილის ფოკუსი კვლავ ხალხის მსახურებისკენ მიმართა.

ეს ყველა ადამიანისთვის მართებულია. შესაძლოა, თქვენი მონოდება ცოლობა და შვილების გაზრდა, ადგილობრივ ეკლესიაში მზრუნველობის განწევა ან ლოცვის ოთახში შუამდგომლობაა. თუ ამას ერთგულად გააკეთებთ ბოლომდე, მორჩილებისთვის დიდ საზღაურს მიიღებთ. შესაძლოა, თქვენს ეკლესიაში ციხის მსახურებისთვის, კომერციის სამყაროში მოღვაწეთა ცხოვრების შეხებისთვის და სრული დროით მსახურებისთვის ხართ მონოდებული. თუ საქმეში ბოლომდე ერთგული დარჩებით და გულმოდგინეთ იშრომებთ როგორც უფლისთვის, იმ მახარებელივით დაჯოლდოვდებით, რომელმაც მრავალი სული მოიპოვა.

ეს სია გრძელდება. მე თავად დარწმუნებული ვარ, რომ ზეცის პირველ რიგებში უამრავ დედას, ბიზნესმენს, მუშას და სხვა ამგვარ ადამიანს ვნახავთ, რომლებიც უფლისგან დიდ საზღაურს მიიღებენ.

## ღვთის არმია დედამიანაზე

იესო ქრისტეს ეკლესია ღვთის არმია გახლავთ დედამიანაზე. ყველა ჩვენგანს გვაქვს განსაზღვრული ადგილი და დაკისრებული მისიის შესრულებისთვის საჭირო ნიჭები. წლების წინ ჩემი მეუღლე ლიზა უფალმა გააღვიძა და სულში აჩვენა ეს დიდი არმია. ეს იყო დილის ოთხ საათზე, მაგრამ მან მაშინვე გამაღვიძა ხილვაში ნანახის მოსაყოლად.

– ჯონ, – მითხრა მან, – ეს იყო არმია, სადაც ყველამ იცოდა თავისი ჩინი, ადგილი და პასუხისმგებლობა. ისინი სრულყოფილი წყობით მიაბიჯებდნენ. ზოგან თავისუფალ პოზიციებს ვხედავდი, რომელთაც თანდათან იკავებდნენ ადამიანები. მე და შენც იქ ვიყავით ჩვენ-ჩვენი მსახურების ადგილებზე. არავის სჭირდებოდა სხვათა შეხედვა მიმართულების გასარკვევად. ისინი სრული უნისონით მიაბიჯებდნენ, რადგან მათი თვალები უფლისკენ იყო მიპყრობილი.

შემდეგ ლიზამ ისეთი რამ თქვა, რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო.

– არავინ ცდილობდა სხვისი ადგილის დაკავებას. ყველა კონცენტრირებული იყო მსახურების გასაწევად იმ ადგილზე, სადაც უფალმა დააყენა.

გააცნობიერეთ? ღვთის არმიაში არავის ძლევდა შური, რომ სხვისი მსახურების დაკავება ეცადა. ყველა კმაყოფილი და ბედნიერი იყო თავის პოზიციაზე.

ამის გათვალისწინებით ისევ ჩვენს შეკვეთილ სახლს დავუბრუნდეთ. გავისვენოთ წმიდა წერილში დანერვილი: „სიბრძნით შენდება სახლი“ (იგ. 24:3). არსებობს ორი ტიპის სიბრძნე, რომელთა მეშვეობით შენება შეგვიძლია. მათგან ერთ-ერთი ზეციდანაა, მეორე კი – არა.

„ვინ არის თქვენს შორის ბრძენი და განსწავლული? კარგი საქციელით აჩვენოს თავისი საქმეები, ბრძნული თავმდაბლობით. მაგრამ თუ გული მწარე შურითა და შუღლით გაქვთ სავსე, ნუ ტრაბახობთ და ნუ ცრუობთ ჭეშმარიტების წინააღმდეგ. ეს არ არის მაღლიდან ჩამომავალი სიბრძნე, არამედ მინიერი, მშვიფიერი, ეშმაკური. რადგან, სადაც შური და შუღლია, იქ შფოთი და ყოველგვარი ბოროტმოქმედებაა.“ (იაკ. 3:13-16)

მნიშვნელობა არ აქვს, რას ვაკეთებთ ან ეს რამდენად კარგი ჩანს. თუ ჩვენი მამოძრავებელი ძალა შური ან ეგოისტური ამბიციის გახლავთ, ხორციელად, წმიდა წერილის მიღმა და დემონური მოტივებით ვაშენებთ, რაც ნამდვილად არ დაჯილდოვდება.

უებსტერის ლექსიკონში შური შემდეგნაირად განიმარტება: „უკმაყოფილებისა და სიხარბის გრძნობა სხვისი წინსვლის, წარმატების, ქონების და ა.შ. გამო“.<sup>1</sup> თუ ღვთის მოწოდებას ქვეყნიერების თვალსაზრისით შევხედავთ, შური გარდაუვალია. იყვნენ მქადაგებლები, რომელთაც პავლეს ცხოვრებისეული დავალების შურდათ. იგი წერდა: „თუმცა ზოგიერთი შურითა და ჯიბრით, ზოგი კი კეთილი განზრახვით ქადაგებს ქრისტეს. ერთნი სიყვარულით, რადგან იციან, რომ სახარების დასაცავად ვარ დაყენებული, მეორენი კი ჯიბრით, არანმიდად ქადაგებენ ქრისტეს, რადგან ფიქრობენ, რომ ამით ჭირს მიუმატებენ ჩემს ბორკილებს“ (ფილ. 1:15-17).

ის მსახურები კმაყოფილი არ იყვნენ ღვთიური მოწოდებით და პავლეს წარმატების შურდათ. ამ შურს შინაგანი ჯიბრი და ეგოისტური ამბიციები აღვივებდა. ამბიციის რაიმეს მიღწევის მხურვალე და ძლიერი სურვილია. როცა ამბიციის ეგოისტურია, ყურადღებას უფრო საკუთარ თავზე ვამახვილებთ, ვიდრე სიკეთეზე ან სხვა ადამიანებზე. ამგვარი მოტივი მხოლოდ უწესრიგობას და ბრძოლებს წარმოშობს და კარს უღებს ყოველგვარ ბოროტებას.

მეორე მხრივ, ღვთიური სიბრძნე სასუფევლის მოშურნეობას ანთებს და არა ეგოისტურ ამბიციას. აქ მშენებლობა მთავარი მაგეგმარებლის სურვილის თანახმად მიმდინარეობს და მუშაკებსაც მისი გულის წადილი აღძრავს. ამ სიბრძნეზე ვკითხულობთ: „ხოლო მაღლიდან ჩამომავალი სიბრძნე, პირველ რიგში, წმიდაა, მერე მშვიდობიანი, თავმდაბალი, მორჩილი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო“ (იაკ. 3:17).

ღვთიური სიბრძნე, პირველ რიგში, წმიდაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის არ არის ორმაგი, რომელსაც გარეგნული ღვთისმოსაობის იერი აქვს და შიგნიდან ჯიბრით და ეგოიზმით არის სავსე. ღვთიური სიბრძნე უფლის ერთგულია და მის დავალებებს სიხარულით იღებს. მისი მიზანი არ გახლავთ სხვებს შორის გამორჩევა, არამედ მოწოდების მორჩილება. ამ დამოკიდებულებით ყოველთვის გავიხარებთ სამეფოს წინსვლის გამო, ჩვენი მხრიდან იქნება ეს თუ სხვის მიერ.

ღვთიური სიბრძნე ყოველთვის სხვათა სიკეთეზეა ორიენტირებული და არა საკუთარზე. იგი მშვიდია, არ უყვარს კამათი და მბრძანებლობა, კრიტიკა და სხვებზე უფროსობა.

იგი გულით ხარობს, როცა სხვა ადამიანები ღვთისმოსაობაში დადიან და თავიანთ დანიშნულებას ასრულებენ. არიან ზოგიერთები, რომელთაც მსახურება უყვართ და ადამიანებს იტანენ და არიან ისეთები, რომლებსაც ადამიანები უყვართ და მსახურება მათთვის სიკეთის მოტანის საშუალებად ესახებათ. ეს უკანასკნელნი სწორედ ღვთიური სიბრძნით აღძრული არიან.

ღვთიური სიბრძნის კიდევ ერთი თვისება *მორჩილება* გახლავთ. როცა ჩვენი მოწოდებით კმაყოფილი ვართ, ღვთის უშუალო და გადაცემულ ძალაუფლებას ვემორჩილებით. ვხედავთ ღვთის სახლის შენების მასშტაბურ სურათს, რომელსაც მხოლოდ ერთი არქიტექტორი, დიზაინერი და მშენებელი ჰყავს. იგი ეკლესიაში მყოფ ცალკეულ ადამიანებს გადასცემს თავის ძალაუფლებას, უნარებს და დავალებებს. განკითხვისას ისინი მიიღებენ დიდ ჯილდოებს, რომლებიც მათ ზემდგომებს ემორჩილებიან. დამხმარე მწყემსები, რომლებიც ეკლესიებს ყოფენ, თანამშრომლები, რომლებიც თავიანთ ბიზნესს აშენებენ, თუმცა დამქირავებლებისგან ხელფასს იღებენ და სხვა ამგვარნი, ძალიან დიდ დანაკარგს ნახავენ სამსჯავრო ტახტთან, თუნდაც თავიანთ ამბოხებაში დიდ წარმატებას მიაღწიონ.

შედეგებმა არ გაცდუნოთ. შესაძლოა დიდ წარმატებას მივაღწიოთ და მაინც ღვთის წინააღმდეგ ამბოხებაში ვიყოთ ბრალდებული. გაიხსენეთ მოსე. უფლის მითითებისამებრ, მას კლდისთვის მხოლოდ უნდა ეთქვა და იქედან წყალი სასწაულებრივად გადმოვიდოდა. მოსე ღმერთს არ დაემორჩილა და გაბრაზებულმა კვერთხი დაჰკრა კლდეს. წყალი მაინც გადმოვიდა და თანაც იმდენი, რომ სამი მილიონი უდაბნოგამოვლილი ადამიანი დაარწყულა. ალბათ, ებრაელები ერთმანეთს ასე ეუბნებოდნენ წყლის სმისას: „საოცარია! ღმერთი მოსეს უსმენს. რა ძალაუფლება აქვს!“

მიუხედავად ამისა, ხალხის დარწყულების შემდეგ ღმერთმა მოსე გვერდზე გაიხმო და ამცნო, რომ აღთქმულ მიწაზე ფეხს ვერასოდეს დადგამდა დაუმორჩილებლობის გამო. მოსეს ნამდვილად ჰქონდა შედეგი – სასწაულებრივი შედეგი. თუმცა შედეგები წარმატების მანიშნებელი როდია. მორჩილება კი ამის მანიშნებელია. ღვთიური სიბრძნე ღვთისმოშიშებას ეფუძნება, რომელიც ღვთის ნებას ყველაზე და ყველაფერზე მაღლა აყენებს. ვისაც ღვთის შიში აქვს, სრულად ემორჩილება მის ძალაუფლებას.

მოდით, ჩემი ცოლის ხილვას დავუბრუნდეთ. იმ დღით მან ასე მითხრა:

– ჯონ, ყველა მებრძოლს ერთნაირი სახე ჰქონდა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო ერთსახოვანი არმია. ეს ნიშნავს, რომ ღმერთს სუპერვარსკვლავები არ ჰყავს. ამის გაცნობიერება ეკლესიაში სხვისი ადგილის დაკავების ან უფრო მაღალი პოზიციის მოსაპოვებლად ძალაუფლების წინააღმდეგ ამბოხების გულისთქმისგან დაგვიცავს. ჩვენ წინსვლა მაღლიდან მოვა, თუ ეკლესიაში დანერგილი დავრჩებით.

## სხვადასხვა ღონეები

სახარებებში ორ ანალოგიურ იგავს ვპოულობთ, რომლებშიც მოცემულია სხვადასხვაგვარი ქეშმარიტება განკითხვის შესახებ. ესენია იგავები ტალანტებსა და მინაზე. იგავი ტალანტებზე ხაზს უსვამს აზრს, რომ ყველა მორწმუნეს როდი ეძლევა ერთნაირი დონის მონოდება და ნიჭები. იესო ამბობს:

„ვინაიდან ეს ისე მოხდება, კაცმა რომ გამგზავრებამდე მოუხმო თავის მონებს და თავისი ქონება ჩააბარა. ერთს ხუთი ტალანტი მისცა, მეორეს – ორი და სხვას – ერთი; თითოეულს მისი შეძლების მიხედვით, და ნავიდა“.  
(მათ. 25:14-15)

კაცი, რომელიც შორეულ მოგზაურობაში გაემართა, იესო ქრისტეა, ხოლო მონები ჩვენ ვართ. ტალანტი ფულის საზომი ერთეულია, მაგრამ იგავში, სავარაუდოდ, სხვა რამეს აღნიშნავს.

ერთ-ერთი ვერსია, რომელიც პირადად ჩემი აზრით, სწორია, ტალანტებში მონოდების დონესა და ნიჭებს გულისხმობს. მაგალითად, ზოგიერთი ადამიანის მონოდება ერებს ნვდება, სხვებისა – მხოლოდ ქალაქებს ან ეკლესიის შიგნით არსებულ სახლის ჯგუფებს. ზოგიერთი ავტორის წიგნებს მილიონობით ადამიანი კითხულობს, სხვებისას – ათასობით ან ასობით. მართვის ნიჭის მქონე ერთ ადამიანს შეუძლია მსახურების განევა მეგაეკლესიის დონეზე, სხვებს კი საშუალო ან პატარა ეკლესიების მომსახურება ევალებათ. ზოგიერთი ბიზნესმენის სამენარმეო უნარები იმ დონის საქმის გაძლოლას ყოფნის, რომელსაც ღვთის სამეფოსთვის ასობით და ათასობით თანხის მობილიზება შეუძლია. სხვების ბიზნესი მილიონებსაც ნვდება. არიან ისეთებიც, რომელთა შესაძლებლობა რამდენიმე კომპანიის მართვის საშუალებას იძლევა და მილიარდობით თანხის გაღება შეუძლიათ ცათა სამეფოსთვის.

ახლა ისევ იგავს დავუბრუნდეთ. ყურადღება მიაქციეთ ორ მნიშვნელოვან პუნქტს. პირველი, ყველა მონას მიეცა რაღაც ანუ ეკლესიაში არ არსებობს ადამიანი, რომელსაც მონოდება

(თანმხლები ნიჭებით) არ ჰქონდეს. მეორე, მონებს მოწოდებისა და ნიჭების განსხვავებული დონეები მათი უნარების მიხედვით მიეცათ. როგორც არ უნდა იყოს, არ უნდა დაგვავინყდეს, რომ ეს უნარები ღვთისგან მოგვეცა და ჩვენში არაფერია, რაც არ მიგვიღია. ამას წერილიც მოწმობს: „რადგან ვინ განგასხვავებს? ან რა გაქვს, რაც არ მიგვიღია?“ (1 კორ. 4:7).

ამ იგავში ხუთი ტალანტისა და უნარების მიმღებმა მის ხელთ არსებული გააორმაგა. ორი ტალანტის მიმღებმა ასევე მოიქცა. პირადად ჩემი მოსაზრებით, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ღვთისგან ნიჭების მიღების მიუხედავად, მასთან უნდა ვითანამშრომლოთ. ამით შევძლებთ მისთვის სასურველი გზით დავაბრუნოთ მიღებული.

და მაინც, ერთი ტალანტის მიმღებმა მისთვის მონდობილი უმნიშვნელოდ მიიჩნია, ხოლო ბატონი უსამართლო, უგუნური და მკაცრი მოეჩვენა. ის, ალბათ, ასე ფიქრობდა: *რატომ მომცეს სხვებზე ცოტა? რატომ აქვთ სხვებს ეროვნული ან ქალაქის მასშტაბის მსახურება? რატომ აქვთ მათ ქადაგების, გალობისა და წერის ნიჭი, მე კი – არაფერი? რატომ არ იზრდება ჩემი კომპანია იმდენად, რომ სხვებივით მეტი გავცე?* და ა. შ. ამრიგად, მან თავისი ტალანტი დამალა, არ აღასრულა მონდობა და ნიჭები საკუთარი თავისთვის ან იმ სფეროში საქმიანობისთვის გამოიყენა, რაც ცათა სამეფოს სარგებლობას არ მოუტანდა.

კარგა ხნის შემდეგ, მონების ბატონი დაბრუნდა და ყველას ანგარიში მოჰკითხა. ორმა მონამ მიცემული გააორმაგა და ორივემ ერთნაირი ქება დაიმსახურა: „კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ! მცირედზე ერთგული იყავი, მრავალზე დაგაყენებ. შედი შენი ბატონის სიხარულში!“ (მათ. 25:21). ხუთტალანტიანი მონა ორტალანტიანზე მეტად არ შეუქიათ, რადგან ორივემ გამოიჩინა ერთგულება და გულმოდგინება. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ღმერთი ჩვენგან მიღებულისადმი ერთგულებას მოითხოვს.

ერთი ტალანტის მქონემ დიდი საყვედური მიიღო. ბატონმა მისთვის იმ ერთადერთი ტალანტის წართმევაც ბრძანა და ერთგულ მონას მისცა. მოლალატე მონამ დიდი დანაკარგი განიცადა, ხოლო ერთგულმა – კიდევ მეტი შეიძინა.

ამის გაგონებაზე 1992 წელი გამახსენდა, როცა ღმერთმა წიგნის წერის მითითება მომცა. როცა ლოცვისას გულში ეს სიტყვები მოვისმინე, თითქმის ურწმუნოებით ჩამეცინა. ინგლისურის გაკვეთილები მეზიზღებოდა! ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, წიგნს დანერო, დაცინვით გავაგდებდი ოთახიდან.

მიუხედავად ამისა, ათი თვის შემდეგ ჩემთან ორი ქალი მოვიდა სხვადასხვა დროს ორი კვირის განმავლობაში და



ერთი და იგივე წინასწარმეტყველური სიტყვა მითხრა: „ჯონ, თუ არ დანერ, რაზეც ღმერთმა მიგითითა, იგი სათქმელს სხვას გადასცემს და შენ ამისთვის განისჯები!“ ამ სიტყვებმა ამაკანკალა და რწმენის ნაბიჯი გადავდგი. დანარჩენი კი ისტორიაა. რომ არ დავმორჩილებოდი, სხვა დანერდა წიგნებს და მე ჩემთვის მონდობილ ტალანტებს დავეკარგავდი.

## ჩვენთვის მონდობილის გამრავლება

ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ, რომ შესაძლებელია თქვენი მონდობისა და ნიჭების მიმატება. ახლა ყურადღება მივაპყროთ თითოეული მორწმუნისთვის მინდობილის გამრავლებას. მინების იგავი ტალანტების იგავს წააგავს, მაგრამ გადმოცემული ჭეშმარიტების თვალსაზრისით მისგან დიდად განსხვავდება. იესო ამბობს:

„ნავიდა ერთი კეთილშობილი კაცი შორეულ ქვეყანაში, რომ მეფობა მიეღო და უკან დაბრუნებულიყო. მოუხმო თავის ათ მონას, მისცა ათი მინა და უთხრა, ვიდრე დავბრუნდებოდე, ივაჭრეთო“. (ლუკ. 19:12-13)

მინა ტალანტის მსგავსად ფულის საზომი ერთეულია. ამ იგავში ყველა მონას თანაბარი ოდენობის მინა მიეცა. ამრიგად, მინა არ აღნიშნავს მონდობის ან ნიჭების დონეს, როგორც ეს ტალანტების შემთხვევაში გვქონდა. აქ მინა ღვთის სიტყვას, ჩვენს ფუნდამენტურ რწმენას, გულებში ჩაღვრილ ღვთიურ სიყვარულს და ყოველი მორწმუნისთვის მიცემულ აღთქმის კურთხევას წარმოადგენს. ის ყველა მორწმუნეს ერთი და იგივე საზომით ეძლევა და არავის აქვს ზედმეტი დასაწყისიდანვე.

იგავში რალაც ისეთი იგულისხმება, რომელსაც ყველა მორწმუნე ფლობს ქრისტეში. ნმიდა წერილი აცხადებს: „ამიტომ ნურავინ დაიკვეხნის ადამიანით, ვინაიდან ყოველივე თქვენია“ (1 კორ. 3:21). და კიდევ: „კურთხეულია ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთი და მამა, რომელმაც გვაკურთხა ქრისტეში ყოველგვარი სულიერი კურთხევით ზეცაში“ (ეფეს. 1:3). ყოველგვარი კურთხევა ჩვენია ქრისტეში, მაგრამ დედამინაზე მათი მიღება და გამოვლენა, ჩვენი რწმენის მეშვეობით ხდება. მორჩილება, ლოცვები და გაცემა მათი გამრავლების საფუძველია. სწორედ ამიტომ კეთილშობილი კაცი, რომელიც იესოს წარმოადგენს, ასე ეუბნება მონებს (ანუ ჩვენ): „ვიდრე დავბრუნდებოდე, ივაჭრეთო!“ უნდა ავიღოთ ჩვენთვის მოცემული და ღვთის სადიდებლად გავამრავლოთ.

განვიხილოთ მონების საქმიანობით მიღებული შედეგები:

„მეფობა რომ მიიღო და უკან დაბრუნდა, ბრძანა მოეგვარათ მისთვის ის მონები, ვერცხლი რომ მისცა, რათა გაეგო, ვინ როგორ ივაჭრა. მოვიდა პირველი და უთხრა: ბატონო, შენმა მინამ ათი მინა მოიგო. უთხრა მას: კარგი, კეთილო მონავ, რაკი მცირედზე ერთგული იყავი, ათ ქალაქზე გქონდეს ხელმწიფებაო. მოვიდა მეორე და უთხრა: ბატონო, შენმა მინამ ხუთი მინა მოიტანა. მასაც უთხრა: შენ ხუთ ქალაქზე დადექიო. სხვა მოვიდა და უთხრა: ბატონო, აჰა, შენი მინა, რომელიც ხელსახოცში მქონდა გამოკრული“. (ლუკ. 19:15-20)

კეთილშობილმა კაცმა დიდად უსაყვედურა უკანასკნელ მონას, მინა წაართვა და იმას მისცა, ვინც ათი მინა მოიგო. ბატონმა ასე თქვა: „გეუბნებით თქვენ, რომ ყოველ მქონეს კიდევ მიეცემა, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაც აქვს“ (მუხლი 26).

ამ იგავში იესო მხოლოდ სამ მონას მიმართავს თავდაპირველი ათიდან. კვლავ ვიმეორებ, რომ ამ იგავს ზემოთ განხილულისგან ერთნაირი სანყისი თანხა განასხვავებს. მიუხედავად ამისა, ერთმა მონამ ათმაგი მოიგო, მეორემ ხუთმაგი, ხოლო მესამემ – საერთოდ არაფერი. აქ იმასაც ვხედავთ, რომ მონების ჯილდოები მათი ნაყოფიერების კვალობაზე განსხვავებულია. თითოეული მათგანის წარმატებამ განსაზღვრა, რამდენ ქალაქზე მიიღებდნენ ხელმწიფებას.

ჩვენთვის მონდობილის გამრავლების ხარისხზე დიდად იქნება დამოკიდებული ის ძალაუფლება, რაც ათასწლოვანი მეფობისას და ახალ ცასა და დედამიწაზე მოგვენდობა. ერთგულები ქრისტესთან ერთად იმეფებენ, მაგრამ ყველას არ ექნება იგივე ძალაუფლება. დედამიწაზე გამოჩენილი გულმოდგინება განსაზღვრავს ჩვენი მმართველობის მასშტაბს მარადისობის განმავლობაში. ერთი და იგივე ოდენობის სანყისი მინა ყველას თანაბარ პირობებში გვაყენებს. ამრიგად, ერთგულ ცოლსა და დედას, რომელიც გულმოდგინედ მსახურობს ეკლესიაში, საზღაურის მიღების იგივე შესაძლებლობა აქვს, რაც ასობით ათასი სულის მომპოვებელ მახარებელს.

ეს იგავი გვაჩვენებს, რომ ყოველ ადამიანს აქვს მიღებული ერთი მინის მრავალჯერ გაზრდის შესაძლებლობა. ჩვენს პირად ცხოვრებაში ღვთის სამეფოსა და მის მშენებლობაზე იმდენად მოვახდენთ გავლენას, რამდენადაც მოვისურვებთ – ბევრად ან მცირედ. არჩევანი ჩვენზეა. ფაქტობრივად, შეზღუდვა დაწესებული არ გვაქვს. შესაძლოა, ამ მოსაზრებამ

შეგაფიქრიანოთ, მაგრამ მის გავრცობას მაგალითების მოყვანით შევეცდები. მრავალი თვალსაჩინოების მოყვანა შემიძლია, მაგრამ მათგან მხოლოდ რამდენიმე გახსნის თქვენი გულის კარებს ამ სულიერი პრინციპის გასაგებად. სანამ მათ ჩავუღრმავებოდეთ, პირველ რიგში პეტრე მოციქულის სიტყვებს გადავხედოთ:

„მადლი ... გაგიმრავლდეთ ღმერთისა და ჩვენი უფლის იესოს შემეცნებით, ისე, როგორც მისმა ღვთაებრივმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც ცხოვრებისა და ღვთისმოსაობისთვის გვჭირდება...“. (2 პეტრ. 1:2-3)

ჩვენს ცხოვრებაში მადლის გამრავლება შესაძლებელია. იაკობი ამბობს: „უფრო მეტ მადლს გვანიჭებს“ (იაკ. 4:6). მხოლოდ მადლით შეგვიძლია რაიმე ღირებულის შექმნა ცათა სამეფოსთვის. ეს უნარი მრავლდება ღვთის ძალზე ახლოს გაცნობით. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, რომ ყოველმა მორწმუნემ მასთან ხარისხიანი დრო გაატაროს. უნდა ვილოცოთ, ბიბლია და სულიერი წიგნები ვიკითხოთ, ცხებულ ქადაგებებს ვუსმინოთ და ამასთან ერთად, ვეძებოთ და მოვუსმინოთ სულიწმიდას და მის გამოცხადებას. ამის კეთებით მადლი მრავლდება ჩვენს ცხოვრებაში, რაც უფრო მეტის კეთების შესაძლებლობას გვანიჭებს.

აღმოვაჩინე, რომ ჩემი ნაყოფიერება მით მეტად იზრდება, რაც უფრო მეტად ვუახლოვდები ღმერთს და მის გზებს. თუ მაქვს ბლაგვი ნაჯახი, ხის მოჭრას მთელ დღეს მოვანდომებ. თუ მას კარგად გავლესავ, იგივე ენერჯის დახარჯვით ხუთ ხეს მოვჭრი დღის განმავლობაში. აი, რა ხდება, როცა ჩვენს ცხოვრებაში მადლი მრავლდება! შრომა გაცილებით ეფექტურია.

მახსენდება ქუჩის დამონშემა წლების წინ დალასში, ტექსასის შტატში მიმდინარე გეი-პარადის დროს. ორი საათის განმავლობაში იესოზე ვესაუბრებოდი ამ დაღუპულ სულებს, ისინი კი ისე მიყურებდნენ, თითქოს სხვა სამყაროდან მოსული ვყოფილიყავი. ზოგიერთებმა ისევე სწრაფად მესროლეს ბიბლიური მუხლები, როგორადაც მე ვლაპარაკობდი. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ თავით კედლის განგრევას ვცდილობდი. ჩემი ძალისხმევა კედელზე ცერცვის მარცვლების შეყრას ჰგავდა.

შემდეგ უფალმა მითხრა: „მომხედე და გაჩვენებ, რა უნდა გააკეთო“. მომდევნო ოცდაათი წუთის განმავლობაში ღმერთს ადამიანებთან მიყვავდი და მათთვის სათქმელ სიტყვებს მანვდიდა. ახლა უკვე ეს სიტყვები მათ გულებამდე აღწევდა

და სამმა ადამიანმა ცხოვრება იესოს ქრისტეს მიუძღვნა. სულიწმიდის ძიებამ და გულში გახმიანებული მისი სიტყვის მოსმენამ ჩემი მცდელობა გაამრავლა.

ეს ბევრჯერ გამომიცდია სხვა სფეროებშიც. რაც უფრო მეტად ვიზრდებოდი ღვთის სიტყვაში, ნაკლებ დროში მით მეტის კეთების უნარი მეძლეოდა. ვიპოვე ჭეშმარიტების ბილიკები, რომლებიც ჩემს დროს, დღეებს და თვეებსაც კი ზოგავდა. ლოცვები უფრო ძლიერი გახდა, ღვთის თანდასწრება მეტად იგრძნობოდა, ადამიანების ცხოვრებაზე სასიკეთო ზეგავლენას ვახდენდი. წმიდა წერილი გვპირდება:

„სიბრძნის საწყისი უფლის შიშია და წმიდის შემეცნება – გონიერება. ვინაიდან ჩემით გაგიმრავლდება დღენი და მოგემატება სიცოცხლის წლები“. (იგ. 9:10-11)

ამ მონაკვეთში ორი აღთქმა გვაქვს: წლების მომატება, რაც ხანგრძლივ სიცოცხლეს ნიშნავს და დღეების გამრავლება. მეორე იგივე არ არის, რაც პირველი. ასეთ შემთხვევაში ზედმეტი იქნებოდა მისი დამატება. ეს ნიშნავს მეტის მოხერხებას იგივე დროის განმავლობაში. აზრი დღეების სიგრძის შესახებ სხვა მონაკვეთშიც არის მოცემული: „რადგან დღეგრძელობას, სიცოცხლის წლებს და მშვიდობას შეგმატებენ“ (იგ. 3:2). ამ მუხლის ავტორი ღვთის სიტყვაზე მიწებებას გვირჩევს, როგორც ზემოთ პეტრე. ყურადღება მიაქციეთ, რომ მოცემული გვაქვს არა მარტო სიცოცხლის წლები, არამედ დღეგრძელობა. ღვთის მოსმენა და მისთვის ყურადღების მიპყრობა ჩვენს დროს ამრავლებს.

### ბამრავლება ბაცემის მეშვეობით

ყველა, ვინც ღვთის შეცნობას ცდილობს, სიხარულით და უხვად გამცემი ხდება, რადგან თავად ღმერთი ასეთია. მან ყველას გვიბოძა უდიდესი საჩუქარი, მისი მხოლოდმობილი ძე. ღვთისთვის არაფერი იყო იესოზე ფასეული. იგი არასოდეს გასცემს დანანებით და უმნიშვნელო საჩუქარს. მან იესო გაიღო, რადგან მოსავლის გამრავლებას ხედავდა – მრავალი ძისა და ასულის ღვთიურ ოჯახში შემოერთებას – და მკა ჯერ კიდევ წინ არის.

რწმენით გაღება ჩვენს ხელთ არსებულის გამრავლების უეჭველი გზაა. იგი ამრავლებს ყველაფერს, ჩვენი ქონებით დანყებული და ადამიანთა ცხოვრებაზე საუკუნო ზეგავლენით დასრულებული, ისევე როგორც მამა ღმერთის მიერ იესოს ბაცემის შემთხვევაშია. იესო მიზანმიმართულად გვეუბნება:

„მეც გეუბნებით თქვენ: შეიძინეთ მეგობრები უმართლობის მამონით, რომ, როდესაც გაღარიბდებით, მიგიღონ მარადიულ სავანეში“ (ლუკ. 16:9). ჩვენი ფული, რომელიც სათანადოდ იქნება გამოყენებული, გავლენას მოახდენს ცხოვრების დონეზე მისი დასრულებიდან კარგა ხნის შემდეგაც, როგორც ზეცაში, ისე ახალ იერუსალიმში. „როგორც დაწერილია: [კეთილშობილმა კაცმა] გაფლანგა, ღარიბებს დაურიგა; მისი სიმართლის საქმეები და სიკეთე გაგრძელდება და დარჩება უკუნისამდე!“ (2 კორ. 9:9 AMP).

ღარიბი მხოლოდ მატერიალურად შეჭირვებული როდია. არსებობენ სულით ღარიბი ადამიანებიც. შესაძლებელია, მავანს მილიონობით დოლარის ქონება ჰქონდეს, მაგრამ სულით მაინც ღატაკი იყოს. ამის ერთ-ერთი მაგალითია მებაჟე ზაქე. თავისი მისიის აღწერისას იესომ თქვა: „უფლის სულია ჩემზე, რადგან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთაგან საკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების გამოსაცხადებლად და ბრმათათვის თვალის ასახელად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად“ (ლუკ. 4:18). მოგვიანებით იგი ქალაქში შედის, სადაც მდიდარ კაცს პოულობს და უამრავი ადამიანის წინაშე ეუბნება: „დღეს შენს სახლში მომიწევს დარჩენა“ (ლუკ. 19:5). მიუხედავად იმისა, რომ ზაქე ქალაქის უმდიდრესი კაცი იყო, მისი სულიერი სიღარიბე აშკარა გახლდათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან სხვებზე კარგად უწყოდა, რამდენად სჭირდებოდა ღმერთი. იესო ბევრ მდიდარ ადამიანს მოემსახურა, რომლებიც კარგად აცნობიერებდნენ ღვთის სიტყვის მიღების საჭიროებას.

მსახურებების მიზანი იესოს საქმის კეთება, გლახაკთათვის ღვთის სიტყვის გაცხადება და სწავლება გახლავთ. ფინანსების გაღებით გლახაკთათვის ვთესავთ და ჩვენი საქმეები საუკუნოდ დარჩება. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად ბევრი ან ცოტა გაქვთ. თუ თქვენს ხელთ არის თესლი, რომელსაც ღმერთი დანამდვილებით გპირდებათ, შეგიძლიათ ცათა სამეფოსთვის თქვენი ძალისხმევა გაამრავლოთ.

როგორ გამრავლდება თქვენი ნიჭი? წარმოიდგინეთ ვაშლის კურკა. თუ მას დათესავთ, აუცილებლად მოიმკით ბევრ ვაშლს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ყველა ამ ვაშლს გაცილებით მეტი კურკა აქვს. თუ ყველა მათგანს დათესავთ, უამრავ ვაშლს მიიღებთ და ეს ციკლი დაუსრულებელია. ზუსტად იგივე ხდება თქვენს ფინანსებთან დაკავშირებით. ნახეთ, რას ეუბნება პავლე კორინთელებს გაღების შესახებ:

„იმასაც გეტყვით, რომ ვინც ძუნწად თესავს, ის ძუნწად მოიმკის, ხოლო ვინც უხვად თესავს, ის უხვად მოიმკის.

თითოეულმა გაილოს ისე, როგორც გულით განენყო, არც მნუხარებითა და არც ძალდატანებით; ვინაიდან ღმერთს სიხარულით გამცემი უყვარს“. (2 კორ. 9:6-7)

ჩვენი გამრავლებული მოსავალი თესვის პირდაპირ პროპორციულია. ყურადღება მიაქციეთ, რომ თესვის საკითხს ღმერთი არ წყვეტს. ეს ჩვენი არჩევანია. თუ რწმენით და სიყვარულით უხვად გაცემას ვგეგმავთ, ჩვენი განაცემი დიდად გამრავლდება: „ხოლო ის, ვინც თესლს აძლევს მთესველს და პურს – საჭმელად, მოგცემთ და გაამრავლებს თქვენს თესლს და გაზრდის თქვენი სიმართლის ნაყოფს“ (2 კორ. 9:10).

უფალი გაამრავლებს თესლის მარაგს ახლახანს მოყვანილი ვაშლის კურკის მაგალითის მსგავსად. თუ დავთესავთ იმას, რაც ხელთ გვაქვს, გაცილებით მეტ თესლს მივიღებთ. პროცესი იქამდე გაგრძელდება, სანამ თესლის საწყობი არ გაგვიჩნდება და მაშინ სხვების კურთხევის გაცილებით დიდი შესაძლებლობა მოგვეცემა.

ღმერთი გაცემის მეშვეობით ჩვენ სიმართლის მოსავალსაც გაზრდის. აი, ეს უკვე ძალზე სასიხარულოა. აქ ლაპარაკია ჩვენი საუკუნო საზღაურის მოსავლის ზრდაზე, რაც გაცემის მეშვეობით ადამიანთა ცხოვრების მარადისობისთვის შეხებას ეფუძნება. არსებითად, ჩვენთვის მოცემულ მიწებს ვამრავლებთ, ისევე როგორც იგავში მოყვანილი ერთგული მონა მოიქცა.

### სხვაბთან თანამშრომლობა

გაღება, განსაკუთრებით, ღარიბთათვის, რომელთაც უკან დაბრუნება არ შეუძლიათ, საზღაურს გვპირდება როგორც ამ ცხოვრებაში, ისე განკითხვისას. ცათა სამეფოს შენებაში ჩვენი ძალისხმევის გამრავლება სახარების გავრცელებასთან თანამშრომლობით შეგვიძლია. ნახეთ, რას ეუბნება პავლე ფილიპელ მორწმუნეებს, რომლებიც მას ფინანსურად შეენეოდნენ:

„ხოლო თქვენ კარგად მოიქეცით, ჭირში რომ მეზიარეთ. თქვენ იცით, ფილიპელნო, რომ ხარების დასაწყისში, როცა მაკედონიიდან გამოვედი, არც ერთმა ეკლესიამ არ მიიღო მონაწილეობა ჩემთან მიღება-გაცემაში, თქვენს გარდა. თესალონიკეშიც გამომიგზავნეთ, რაც მჭირდებოდა, ერთი-ორჯერ“. (ფილ. 4:14-16)

ყურადღება მიაქციეთ, რომ პავლე ფილიპელებს მის მსახურებასთან თანამშრომლობაზე ელაპარაკება.

თანამშრომლობა, იგივე პარტნიორობა, გახლავთ „ცალკეულ ადამიანებს ან ჯგუფებს შორის ორმხრივი ურთიერთობა და პასუხისმგებლობა გარკვეული მიზნის მისაღწევად“.<sup>2</sup> ჯანსაღი, ღვთისგან ბოძებული თანამშრომლობა მასში ჩართულ ადამიანებს ყოველთვის აძლევს გაცილებით მეტის კეთების უნარს, ვიდრე მარტოდ მომუშავე ოდესმე შეძლებდა.

როგორც ვთქვი, იესომ მთელი ქვეყნიერების მოვლა და არა უბრალოდ მოქცეულების მოყვანა, არამედ ყველა ერიდან ადამიანთა დამოწაფება დაგვავალა. ეს დავალება ყველა მორწმუნეს აკისრია. და მაინც, თუ ყველა მათგანი მისიონერობას მოისურვებდა სრული დროით დასაქმების პირობებში, როგორ დაფინანსდებოდა სახარება? (სწორედ ამიტომ აძლევს უფალი ყოველ მორწმუნეს სხვადასხვა ნიჭსა და მოწოდებას) უფლის ჩანაფიქრით, მსახურებს საჭირო ფინანსები ანგელოზების მეშვეობით არ უნდა მიეღოთ და ეს თანხები არც ციდან ჩამოცვივდებოდა. მან ამის უზრუნველსაყოფად ეკლესიის სხეულს გალების პრივილეგია მიანიჭა, რომელიც პარტნიორობას ქმნის.

ღმერთმა ადამიანებს მოუწოდა და მსახურების ნიჭებით აღჭურვა, რომ ამით მასებს მიწვდომოდნენ. უკვე განვაცხადე, რომ იგი განსაკუთრებულ ნიჭებს, უნარებსა და ცხებულებას იძლევა მისი მიზნების განსახორციელებლად. მან ეს დავალება ყველას კი არა, რამდენიმეს მისცა ეკლესიაში (იხ. ეფეს. 4:11). დანარჩენ ნაწილს მისი მიზნების სხვა მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულება დაავალა. ეს მოიცავს მუშაობას, ფულის გამომუშავებას ანუ ხელფასის აღებას და მათი ზეგავლენის არეალში ადამიანების შეცვლას სახარების მეშვეობით. და მაინც, თუ სრული დროით მუშაობ, მასებს როგორ უნდა მიწვდე? პასუხი ასეთია – თანამშრომლობის მეშვეობით.

თუ თქვენ გაქვთ სიცოცხლის გარდამქმნელი პროდუქტი, მაგრამ თვეში მხოლოდ ორის წარმოება შეგიძლიათ, ვერ დააკმაყოფილებთ თქვენს ქალაქს, ქვეყანას ან მსოფლიოს. ამისთვის საჭიროა, მოძებნოთ შესაბამისი შესაძლებლობისა და აღჭურვილობის მქონე კომპანია, რომელიც თვეში ათასობით მსგავს პროდუქტს დაამზადებს და გაავრცელებს. ამისთვის მასთან თანამშრომლობა დაგჭირდებათ. თუ ასე მოიქცევით, არა მარტო ორ ადამიანს დააკმაყოფილებთ (რაც პირადი მახარებლობის და დამოწაფების ნიმუშია), არამედ დამატებით ათასობით სხვას იმ კომპანიის მეშვეობით. თქვენ ნაყოფიერად გაამრავლებთ ტალანტებს და ძალისხმევას უბრალო პარტნიორობის მეშვეობით.

იგივე პრინციპი ჩანს პავლეს მინანქრში ფილიპელთა მიმართ. იგი ასე განაგრძობს: „არა იმიტომ, რომ მოსაკითხს

ვეძებდე, არამედ ვეძებ ნაყოფს, რომელიც თქვენს სასარგებლოდ მრავლდება [კურთხევის მოსავალს, რომელიც თქვენს ანგარიშზე გროვდება]" (ფილიპ. 4:17).

ყურადღება მიაქციეთ ფრაზას „ნაყოფს, რომელიც თქვენს სასარგებლოდ მრავლდება“. ფილიპელი მორწმუნეები პავლეს ცხოვრებასა და მსახურებაში ფინანსების თესვის მეშვეობით ამრავლებდნენ თავიანთ ძალისხმევას სულების დახსნისა და დამონაფების საქმეში. მათ გაიღეს დროებითი, რომ ის მარადიულად ექციათ და პროცესის მიმდინარეობისას გაემრავლებინათ.

როცა ამ ტიპის თანამშრომლობას იწყებთ, პავლე ამბობს, რომ „ნაყოფი თქვენს სასარგებლოდ მრავლდება“. ეს თქვენი ზეციური ანგარიშია. როცა ქრისტეს სამსჯავროს წინაშე წარსდგებით, არა მარტო პირადად თქვენს მიერ სამუშაოზე, სამეზობლოში, სკოლაში და ა.შ. ცათა სასუფეველისთვის მოპოვებული ადამიანების გამო დაჯილდოვებით, არამედ ათასობით მილიონი სხვა ადამიანისთვის, რომლებსაც მიაღწიეთ და განვრთენით ღვთისგან დაყენებული მსახურების მეშვეობით. სწორედ ამ მიზეზის გამო გვეუბნება წმიდა წერილი: „გაატანე შენი პური ნყალს და ჰპოვე მას მრავალი დღის შემდეგ. გაანანილე შენი წილი შვიდ ან რვა ნაწილად!“ (ეკლ. 11:1-2).

თუ რეგულარულად გაიღებთ ღვთისგან დანიშნული მსახურებისთვის (თქვენი ადგილობრივი ეკლესიის ჩათვლით), მათ მიერ სახარების ქადაგების საქმეს თქვენც შეუერთდებით. თქვენ ყველაფერში გაქვთ წილი მათთან ერთად, რადგან პარტნიორი ხართ. აი, სასიხარულო ამბავი: რაც მეტს გაიღებთ, მით მეტად დაჯილდოვდებით.

იცოდეთ, რომ ღმერთი არასოდეს განსჯის შესანიშნავ მისი ოდენობის მიხედვით, არამედ ყურადღებას აქცევს თესვაში თქვენს ერთგულებას. მამა ღმერთს გულიდან მომდინარე ხარისხიანი გაღება სურს. მას მოსწონს და აკურთხებს გულის ამგვარ მდგომარეობას და არა მხოლოდ გაღებულის ოდენობას. მაგალითად, ვიღაც ერთგულად აძლევს მსახურს ყოველთვიურად 30 დოლარს. შესაძლოა, იმ ადამიანისთვის ასე მოქცევა გარკვეულ მსხვერპლს უკავშირდება. ღმერთი ასეთ შესანიშნავ მხოლოდ ფინანსური კუთხით არ განიხილავს, რადგან ის პირადი საჭიროებების მოკლების ხარჯზე განხორციელდა. ახლა წარმოიდგინეთ ვინმე სხვა, რომელიც თვეში ათასობით დოლარს სწირავს, მაგრამ ეს მისი შესაძლებლობების ნამეტიდან მოდის. აქ პიროვნული ხარჯების მოკლებას ან რაიმე მსხვერპლის გაღებას ადგილი არ ჰქონია. ორივე შესანიშნავი მშვენიერი და ფასეულია, მაგრამ ღვთის თვალსაზრისით



უფრო მეტი 30 დოლარის გამლებმა შესწირა. ეს დინამიკა თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ქვრივის მაგალითში, რომელმაც ორი ლეპტა გაიღო (იხ. მარკ. 12:41-44).

ასევე მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ღმერთი ჩვენს გაღებულს ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც ამრავლებს. ეს პროცესი კიდევ უფრო მეტის გაცემის უნარს გვაძლევს. წმიდა წერილი ამბობს: „ზოგი ხელგაშლილია, მაგრამ გამუდმებით ემატება“ (იგ. 11:24). იფიქრეთ ამაზე, თქვენი დაბანდება იზრდება არა მარტო მარადიულად, არამედ ფიზიკურ ქვეყნიერებაზეც და უამრავი ადამიანის შეხების საშუალებას გაძლევთ. ეს მარად განახლებადი და ზრდადი ციკლი გახლავთ.

ოცი წლის წინ, ჩემი ნაცნობი ბიზნესმენების ჯგუფი შეიკრიბა. თითოეულმა აღთქმა დადო, რომ თავიანთი მოგების გარკვეულ ნაწილს სახარების გავრცელების საქმისთვის გადაუბუნებდნენ. თავიდან მათი ძალისხმევა მცირე იყო, მაგრამ წლები გადიოდა და თანხა თანდათან იზრდებოდა. ეს ადამიანები მდგრადი იყვნენ გაცემასა და პარტნიორობაში. მათი მხრიდან შემოწირულობამ სახარების გასავრცელებლად 120 მილიონს მიაღწია აღთქმის დადებიდან 12 წლის შემდეგ. მათ თავიანთი მინა აიღეს და გაამრავლეს სასუფეველის მიზნებისთვის; მათი საზღაური დიდი იქნება.

ეკლესიის მრავალი მამაკაცი და ქალი წარმატებულად საქმიანობს ბიზნესის სამყაროში, მაგრამ მოგების მხოლოდ მცირე ნაწილს სწირავს ცათა სამეფოს მიზნებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების თვალში ისინი დიდად წარმატებული ჩანან, როგორი იქნება უფლის თვალსაზრისი მათ საქმეებზე? თუნდაც მილიონებს გამოიმუშავებდნენ, ხომ არ განისჯებიან ერთი მინის დამმარხველის მსგავსად? მათ მიცემული არ გაამრავლეს ღვთის სამეფოსთვის. ვინც ასე ცხოვრობს, არ არის მარადისობით ამოძრავებული.

ამას წინათ გოლფს ვთამაშობდი ერთ ბიზნესმენტთან ერთად, რომელიც ჩვენს მსახურებას სწირავდა ხოლმე. რაუნდის დასრულების შემდეგ იმ ადამიანმა ჩემს სასტუმრომდე მიმიყვანა. გზაში ასე მითხრა:

– ჯონ, თითქმის 50 წლის ვარ. მთელი ძალით ვშრომობდი, რომ ცხრა მილიონის ღირებულების კომპანია შემექმნა. ყველაფერი კარგად მიდის, ჩემი ბიზნესი დაუბრკოლებლად მუშაობს და ცოლ-შვილსაც არაფერი აკლია ცხოვრებაში. რატომ უნდა დავიდგა წლებზე ფეხი ჩემი ცხოვრების მომდევნო ათი წლის განმავლობაში, რომ ბიზნესი ოცდაათ ან ორმოც მილიონამდე გავზარდო?

მივხვდი, რომ იგი თავს ღვთის სახლის მშენებლობის ცოცხალ ნაწილად არ განიხილავდა. მხოლოდ მე მიმიჩნევდა

სამეფოსთვის მნიშვნელოვანი ფუნქციის შემსრულებლად, მაგრამ ვერ ხედავდა მისი, როგორც ბიზნესმენის ფასს.

მის კითხვას შემხვედრი კითხვით ვუპასუხე:

– დავუშვავთ, ასე გითხარი: „ძალიან ბევრი ვიშრომე, ჩვიდმეტი წიგნი დავწერე, შვიდი მილიონი მილი გავიარე მოგზაურობებში და ათასობით ქადაგება წარმოვთქვი. უკვე ყველაფერი აწყობილი მაქვს. მსახურებაც თავისით მიედინება და მე და ჩემს ცოლ-შვილს ცხოვრებისთვის აუცილებელი არ გვაკლია. რატომ უნდა მოვინყვიტო წელი კიდევ მეტი წიგნების წერით, მოგზაურობით და ქადაგებებით?“ შენი აზრით, იესო რას უპასუხებდა ასეთ განაცხადს?

მან გაიცინა და მითხრა:

– შენს ადგილას ყოფნას არ ვისურვებდი, როცა ამას ეტყოდი.

მაშინვე მივუგე:

– შენც ზუსტად იგივე თქვი!

ცოტა ხნით დაფიქრება დავაცადე და შემდეგ გავაგრძელე:

– იესომ მისი სამეფოს მშენებლობისთვის ქადაგებისა და წერის ნიჭი მომცა. შენ მისგან მიღებული გაქვს ფულის გამომუშავების უნარი, რომ ღვთის სამეფოს მშენებლობა დააფინანსო. ჩანს, ეს ორი რამ ერთმანეთს ვერ დაუკავშირე. ჩემი საქმიანობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მორჩილი ან დაუმორჩილებელი იქნები ღვთის მიმართ. ზუსტად ასევე, ჩემი პირის გაღების და ქადაგების უნარი დამოკიდებულია ჩემი ფეხების გადანყვებილებაზე, ნავიდეს თუ არა იქ, სადაც ხალხი ღვთის სიტყვას ელოდება.

კაცი გაშეშებული მისმენდა.

მან ექვსი თვის შემდეგ დამირეკა. ვკითხე, როგორ მიდიოდა მისი საქმეები. მან ასე მიპასუხა:

– ჯონ, მეტისმეტად შემაფიქრიანა შენმა სიტყვებმა, რომლებიც ექვსი თვის წინ მითხარი. მას შემდეგ თავჩაღუნული ვშრომობ, რომ ღვთის სამეფოთვის მეტის გაღება შევძლო.

მომწონს ასეთი თავმდაბლობა.

მეორე მხრივ, მე და ჩემი ცოლი კიდევ ერთ ბიზნესმენს ვიცნობთ, რომელიც ჩვენი სახლის ეკლესიაში დაფუძნდა და ძალზე აქტიურად შრომობდა ყოველივე აუცილებლის კეთებით. მან იცოდა, რომ ღვთისგან არ იყო მოწოდებული სრული დროით მსახურებისთვის და მისი უნარები უფრო ფინანსურ სამყაროში მოღვაწეობას შეესაბამებოდა, ამიტომ მიზნად დაისახა, რომ მოგების 10 % თავისთვის დაეტოვებინა და 90 % გაეცა. მან მიზნის შესაბამისად იმოქმედა და თავისი 10 პროცენტით არა მარტო უმშვენიერესი მანქანა, არამედ შთამბეჭდავი სახლიც შეიძინა. ღვთის სამეფოსთან

პარტნიორობამ მისი ბიზნესი ააყვავა და 10 პროცენტი დიდად გაიზარდა. მან იესოს პრინციპი გამოიყენა: ვინც მცირედში ერთგულია, ბევრშიც ერთგული იქნება.

თანამშრომლობის კიდევ ერთი მიზეზი გახლავთ სხვადასხვა მსახურებისთვის მადლიერებით მიძღვნის შანსი, რადგან მათი მეშვეობით სულიერად ვიზრდებით. პავლე აცხადებს: „თუ სულიერი დავთესეთ თქვენში, განა დიდი ამბავია, რომ ხორციელი მოვიმკათ თქვენგან? თუ სხვებს ძალაუფლება აქვთ თქვენზე, განა ჩვენ უფრო მეტად არა?“ (1 კორ. 9:11-12).

ეს ხორციელ სამყაროში ასე განიმარტება. თუ საჩუქარი ერთი მეგობრისგან მიიღე, მადლობის ბარათს მეორეს არ გაუგზავნი. მადლობა იმას ეკუთვნის, ვინც გაკურთხა და ამის გაკეთებით ურთიერთობას აფუძნებ ან ამყარებ. ღმერთმა ამგვარი პარტნიორული დამოკიდებულება განზრახ დაადგინა. რაც უფრო მეტ ადამიანამდე მიდის მსახური მათი სულიერი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მით უფრო მეტი ფინანსების მობილიზება ხდება აუცილებელი. ამრიგად, თუ მსახურების სასიკეთო გავლენის მხილველი ყველა ადამიანი ფინანსებით მხარს დაუჭერს მას (თუნდაც ეს ქვრივის ორი ლეპტის ოდენობა იყოს), არა მარტო იმ დონეზე მსახურების შენარჩუნება გახდება შესაძლებელი, არამედ მისი გაფართოებისთვის საჭირო ხარჯებიც დაიფარება.

პავლე ფილიპელთა მიმართ ნათქვამს ასე ასრულებს:

„ყოველივე მივიღე და უხვად მაქვს; კმაყოფილი ვარ, რომ მივიღე ეპაფროდიტესგან თქვენს მიერ გამოგზავნილი კეთილსურნელება, საამებელი მსხვერპლი, ღვთისთვის მოსანონი. ჩემი ღმერთი კი ყოველ თქვენს საჭიროებას თავისი სიუხვისამებრ ალავსებს, ქრისტე იესოში დიდების მეშვეობით“. (ფილ. 4:18-19)

აღთქმა, რომ ღმერთი ყოველ საჭიროებას დააკმაყოფილებს მისი სიმდიდრის სიუხვიდან, მსახურების პარტნიორ მორწმუნეებს ეკუთვნის. თუ მეათედს გაიღებთ და მსახურებას შეეწევით, შეგიძლიათ მყარად იდგეთ ღვთის ამ დაპირებაზე. ნაკლოვანება არ გექნებათ.

## გამრავლება ლოცვის მეშვეობით

გამრავლების კიდევ ერთი გზა ლოცვა გახლავთ. ისევე როგორც ფინანსების გაღებით ვხდებით მსახურებების პარტნიორები, ასევე შეგვიძლია ლოცვის მეშვეობით მარადიულად შევცხოთ ადამიანების, ოჯახების, ეკლესიების, ქალაქებისა

და ერების ცხოვრებას, რომელთაც მხოლოდ ზეცაში თუ შევხვდებით. ასევე შევეხებით სხვათა ცხოვრებას მსახურებისთვის ლოცვის მეშვეობით. ჩვენ გვყავს როგორც ფინანსური, ისე ლოცვის პარტნიორები. ლოცვის პარტნიორი ის ადამიანია, რომელმაც პირობა დადო, რომ MessengerInternational-თვის ყოველდღიურად ილოცებს.

ადამიანები ხშირად მოდიან და მეუბნებიან: „თქვენთვის ყოველდღე ვლოცულობ“. მე მათ ვეკითხები, მართლა გულწრფელად აკეთებენ ამას თუ უბრალოდ ამბობენ. ვინც გულწრფელად შუამდგომლობს, ასე მივმართავ: „ეს უდიდესი რამ არის, რითაც ჩვენი დახმარება შეგიძლიათ“. და მართალიც არის! თუ ქრისტიანები ლოცულობენ, მეც ადამიანს ეხება მსახურება და გავლენაც უფრო დიდია. ლოცვა ასევე აღძრავს ღმერთს, რომ შეეხოს ადამიანთა გულებს მისი საქმისთვის ფინანსური მხარდაჭერის გასაწევად. ამრიგად, თუ საქმე ასარჩევად მექნებოდა ლოცვით პარტნიორსა და ფინანსურ პარტნიორს შორის, პირველ ადგილზე მლოცველს დავაყენებდი. თუმცა ორივე მათგანი საჭიროა.

### გამრავლება მსახურების მეშვეობით

გამრავლება მსახურების მეშვეობითაც ხდება. ჩვენს ორგანიზაციაში ბევრი დამხმარე და გუნდის წევრია, რომელთაც მე და ლიზა გამუდმებით ვახსენებთ, რომ ჩვენი მსახურებით მოპოვებული ყოველი ადამიანისთვის მიიღებენ საზღაურს ქრისტეს სამსჯავროზე.

ეს კარგად ვიცი ბრძოლიდან დაბრუნებული დავითის განცხადებიდან ყველა მისი თანამებრძოლის მიმართ. 1 სამუელის წიგნის 30-ე თავში მოთხრობილია, როგორ მისდევდნენ დავითი და მისი მეომრები ყამალეკს, რომ ისრაელის ბანაკიდან წაყვანილი ხალხი და ნაძარცვი უკან დაებრუნებინათ. როცა დავითმა და მისმა კაცებმა ბრძოლა დაასრულეს და წართმეული დაიბრუნეს, ზოგიერთმა ადამიანმა აღარ მოინდომა იმ მეომრებისთვის ნადავლის გაყოფა, ვინც აღჭურვილობის საყარაულოდ დარჩნენ. დააკვირდით დავითის პასუხს:

„ვინ დაგეთანხმებათ ამ საქმეზე? რადგან რა წილიც ნაომარ კაცს უდევს, იგივე წილი უნდა ხვდეს საჭურველთან დარჩენილთ; ყველას თანაბრად უნდა ხვდეს წილი“. ასე იყო ამ დღიდან და მერეც. ეს არის ისრაელისთვის, მისგან დადგენილი წესი და რჯული დღემდე“.  
(1 სამ. 30:24-25)

დავითი ქრისტეს პირველსახე გახლავთ. ამრიგად, წესი – „ასე იყო ამ დღიდან და მერეც. ეს არის ისრაელისთვის, მისგან დადგენილი წესი და რჯული დღემდე“ – იესოსა და მისი ეკლესიისთვის დღესაც გამოსადეგია. სამსჯავროს ტახტთან წილი უდევს არა მარტო წინამძღოლებს, არამედ ყველას, ვინც ერთგულად ემსახურებოდა, გასცემდა და ლოცულობდა, თუნდაც ბრძოლის ველზე ადამიანთა თვალწინ არ გამოჩენილან.

## დამოკიდებულება მნიშვნელოვანია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსახურებისთვის ჯილდოს მიღების მნიშვნელოვანი ნაწილია თქვენი დამოკიდებულება. არა მარტო ჩვენი საქმეებია ანგარიშგასანევი, არამედ გულის ზრახვები, რომლებიც საქმეებს გვაკეთებინებს. ღმერთი ამბობს: „თუ მოინდომებთ და შეისმენთ, მინის დოვლათს შეჭამთ“ (ეს. 1:19).

მახსენდება პერიოდი, როცა სულიერად გამოფიტული ვიყავი. თითქოს ჩვენი საეკლესიო მსახურებებიდან ვერაფერს ვიღებდი, ეს განსაკუთრებით პასტორის ქადაგებას ეხებოდა. აყვავებულს არაფრით ვგავდი.

ამ რვაათასიანი ეკლესიის მმართველ გუნდში ვირიცხებოდი და უშუალოდ მწყემსის წინაშე ვიყავი ანგარიშვალდებული, თუმცა თანდათან მის მიმართ კრიტიკული ვხდებოდი. ერთ დღეს ლოცვაში ღმერთი დამელაპარაკა და მითხრა: „პრობლემა პასტორში კი არა, შენშია“.

გავშეშდი.

– რა არის ჩემი პრობლემა?

უფალმა მკითხა, რას ამბობდა ეს. 1:19. მოვიყვანე ზემოხსენებული მუხლი, რადგან დაზეპირებული მქონდა. შემდეგ მან მითხრა:

– ეს არის შენი პრობლემა. გამუდმებით იმეორებ, რომ სულიერად კარგად ვერ იკვებები და მართალიც ხარ, რადგან მინის დოვლათს ვერ ჭამ.

სასწრაფოდ შევეწინააღმდეგე:

– მე მორჩილი ვარ, ყველაფერს ვაკეთებ, რასაც პასტორი ჩემგან მოითხოვს.

უფალმა მიპასუხა:

– მე არ მითქვამს, რომ მორჩილების შემთხვევაში მინის დოვლათს შეჭამდი. მე ვთქვი: „თუ მოინდომებთ და შეისმენთ“. შემდეგ მან თქვა:

– შესმენა ანუ მორჩილება შენს მოქმედებებს უკავშირდება, ხოლო მოინდომება – შენს დამოკიდებულებას, რომელსაც ახლა სიმყრალის სუნი ასდის!

უფალმა გამიცხადა, როგორ ვემორჩილებოდი და ასეთად გამოვიყურებოდი კიდეც, მაგრამ ჩემი დამოკიდებულება კრიტიკული, მონუნუნე და გამსამართლებელი იყო. ეს კი მსახურების მოტივზე მავნე ზეგავლენას ახდენდა.

მაშინვე მოვინანიე და მომდევნო მსახურებაზე ზეცა გაიხსნა. ისევ მივიღე ღვთისგან, რაც მჭირდებოდა. ცრემლებად ვიღვრებოდი ჩემი პასტორის ქადაგებისას და თან ვფიქრობდი, რამდენი რამ დავკარგე თვეების განმავლობაში ჩემი არასწორი დამოკიდებულების გამო. ამის შემდეგ ძალიან მალე გამიცხადა სულიწმიდით შთაგონებული პავლეს სიტყვები: „ვინაიდან ეს იმისთვისაც მოგწერეთ, რომ გამომიცადეთ, ყველაფერში მორჩილნი ხართ თუ არა“ (2 კორ. 2:9).

მივხვდი, რომ ღმერთი გამოცდის ჩვენს დამოკიდებულებას მისი ნების დამორჩილებაში. მე არ ვლაპარაკობ იმის შეწყნარებაზე, რასაც ეშმაკი თავს გვახვევს. ამისგან იესომ გაგვათავისუფლა ჯვარცმის ფასად. ეშმაკს მტკიცედ უნდა შევეწინააღმდეგოთ რწმენით, ლოცვით და ღვთის სიტყვის აღიარებით. მე ვლაპარაკობ ჩვენს დამოკიდებულებაზე იმ სავალი გზის მიმართ, რომელიც ღმერთმა განგვისაზღვრა. ამაზე პავლე ამბობს: „ის ზრახვანი იქონიეთ თქვენში, რაც ქრისტე იესოშია“ (ფილ. 2:5). იესომ არა მარტო შესვა მამა ღმერთის მიერ მომზადებული სასმისი, არამედ ეს საკუთარი ნებით გააკეთა. სწორედ ამიტომ გვეუბნება პავლე, რომ „განვიახლოთ ჩვენი გონება სულით [ვიქონიოთ განახლებული გონებრივი და სულიერი დამოკიდებულება]“ (ეფეს. 4:23).

რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი დამოკიდებულება მოტივებზეც აისახება და განკითხვის ტახტთან წარდგომისას არა მარტო ჩვენი საქმეების, არამედ მათი აღმძვრელი ზრახვების გამოც დაგვაჯილდოვებენ. მოდი, კიდეც ერთხელ გადავხედოთ პავლეს სიტყვებს:

„ვინაიდან ჩვენ, ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა თითოეულმა მიიღოს იმის მიხედვით, რასაც სხეულის სიცოცხლის დროს აკეთებდა – კეთილს თუ ბოროტს [იმის გათვალისწინებით, რა მიზნები და მოტივები ამოძრავებდა, რას მიაღწია, რით იყო დასაქმებული და მიუძღვნა თუ არა თავი და მთელი ყურადღება მის შესრულებას]“. (2 კორ. 5:10 AMP)

ძალიან მანუხებს იმის დანახვა, რომ ზოგიერთები ღვთის მსახურებისას თანდათან მწარდებიან. მათ მარადიული თვალსაზრისის ხედვა დაკარგეს. ისინი შრომას აგრძელებენ, მაგრამ იტანჯებიან და მათ მოტივებსაც შურისა და ეგოიზმის

გრძნობები ერევა. ჩემი აზრით, ყველაზე მეტად სწორედ ეს უშლის ენთუზიაზმით დამწყებ ადამიანებს, რომ ბოლომდე წარმატებით მივიდნენ. ამიტომ გვაფრთხილებს წმიდა წერილი: „გაფრთხილდით, რომ რომელიმე თქვენგანს არ მოაკლდეს ღვთის მადლი, რათა რაიმე მწარე ფესვი არ აღმოცენდეს, ზიანი არ მოიტანოს და ამით ბევრი არ შეიბილწოს“ (ებრ. 12:15).

ყურადღება მიაქციეთ, რომ მუხლის თანახმად შესაძლებელია ბევრის წაბილწვა. ამის მომსწრე არაერთხელ ვყოფილვარ სრული დროით მსახურების ოცდაათი წლის განმავლობაში და ეს ძალზე გულსატკეპნია. ბიბლიის გაფართოებულ თარგმანში იგივე მუხლი მოგვინოდება, რომ „ვივარჯიშოთ განჭვრეტის უნარში და ყურადღებით ვიყოთ ერთმანეთის მიმართ“. ერთმანეთს ისეთი სიტყვებით უნდა ველაპარაკოთ, რომ ჩვენში ამ სიმწარის არსებობა ავიცილოთ, რადგან არ გვინდა საყვარელი ადამიანების დაცემა ან მწარე დამოკიდებულების გამო სრული საზღაურის მიღებაში მათი მარცხი ვიხილოთ.

მე და ჩემი ცოლი განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ამ საკითხს ჩვენი შვილებისა და გუნდის წევრების ცხოვრებაში. სრული დროით მოგზაური მქადაგებლის მსახურება გვაკისრია და შვილების ცხოვრებაზე ღვთის მადლია ჩვენი ცხოვრების წესის გამო. და მაინც, არ გვინდა რომ მათ მადლი მოაკლდეთ, ამიტომ ვამხნევებთ, დამოკიდებულებას ვუმოწმებთ და ვცდილობთ სიმტკიცის შენარჩუნებაში დავეხმაროთ.

მახსოვს ერთხელ, როგორ ვიჯექი ჩემს ოთხ ბიჭთან ერთად და ვეუბნებოდი:

– ბიჭებო, კარგად იცით, რომ თვის უმეტესი დღეების განმავლობაში ვმოგზაურობ და დედათქვენიც სახლში არ არის თვეში რამდენიმე დღე. ასე იმიტომ ვაკეთებთ, რომ ღვთის მოწოდება აღვასრულოთ. მან ამ გზით დაგვინესა ადამიანთა ცხოვრებაზე ზეგავლენის მოხდენა მის სადიდებლად და ცათა სამეფოს აღსაშენებლად.

შემდეგ გავაგრძელე:

– ჩვენს ცხოვრებაში ღვთის მოწოდების აღქმას ორიდან ერთ-ერთი გზით შეძლებთ. ერთი მხრივ, მშობლები თქვენთან ხშირად არ არიან და ნორმალური ოჯახური ცხოვრების შესაძლებლობა არ მოგეცათ. მეორე მხრივ, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ეს არა მარტო მშობლების, არამედ თქვენი მოწოდებაც არის. როგორ შეიძლება ასე იყოს? თქვენ თესავთ მშობლებს ათასობით ადამიანის ცხოვრების შესაცვლელად ღვთიური მიზნების შესაბამისად. თუ თქვენი დამოკიდებულება ასეთი იქნება, ყველა ის ადამიანი, ვისაც ჩვენ მოვემსახურებით, თქვენს ანგარიშზეც ჩაინერება და განკითხვის ტახტთან დაჯილდოვდებით. თუ ჩათვლით, რომ ეს მოწოდება მშობლებს

გართმევთ, ვერც ერთი იმ სულისთვის ვერ მიიღებთ ჯილდოს, ვისაც ჩვენი მსახურება შეეხება. ამრიგად, ბიჭებო, ყველაფერი ერთ სიტყვამდე დაიყვანება: დამოკიდებულება.

მათ გაითავისეს ნათქვამი და ამის შემდეგ არასოდეს დასცდენიათ საყვედური ჩვენს მოგზაურობებზე. ფაქტობრივად, ბევრჯერ, როცა მე და ლიზა ვყოყმანობდით, რომელიმე მონვევას დავთანხმებოდით თუ არა, ბიჭები ყოველთვის გვამხნეებდნენ და წასვლისკენ გვიბიძგებდნენ. საოცარი ურთიერთობა გვაქვს მათთან. ყველა მათგანს უყვარს ღმერთი და ყველანი ჩართული არიან ჩვენს მსახურებაში. მადლობა ღმერთს მისი უღვევი მადლისთვის. ამრიგად, ჩვენმა ბიჭებმა ადრეული ასაკიდან დაიწყეს თავიანთი მინების გამრავლება.

იგივეს ვაკეთებ ჩემი გუნდისთვის. მათ ასე ვეუბნები:

– შეგიძლიათ, აქ ყოფნა ჩვეულებრივ სამუშაოდ ჩათვალოთ და ამისგან ბოლოს დაიღლებით, გამწარდებით და განკითხვის ტახტთან ჯილდოს ველარ მიიღებთ. მეორე მხრივ, შეგიძლიათ ეს მილიონობით ადამიანის ცხოვრების შეცვლის პრივილეგიად აღიქვათ. ყოველი წიგნის გამოშვება, ყოველი ნაპასუხები წერილი, სოციალური მედიით ადამიანთა ცხოვრების შეხება, დაგეგმილი შეკრებები და ა. შ., რაც ამ მსახურებაში ღვთის განჩინებით ხდება ადამიანთა მოსაპოვებლად, თქვენი დამსახურებაც იქნება. თქვენ იქნებით დავითის საჭურვლის მცველი კაცებივით.

მათ ეს ჭეშმარიტება მიიღეს და შესანიშნავი დამოკიდებულება გამოიმუშავეს. ჩემი, როგორც წინამძღოლის მოვალეობაა, რომ სიცოცხლის სიტყვები ვილაპარაკო, რომ მათ სწორი დამოკიდებულების შენარჩუნებაში დავეხმარო, თუმცა, საბოლოოდ, ეს მაინც მათ პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

ჯანსაღი დამოკიდებულების შენარჩუნება ჩვენი მინების გამრავლებასა და წარმატებული დასასრულის მიღწევაში გვეხმარება. ღმერთი საკუთარ სახლს აშენებს და ჩვენთვის დიდი პატივია მასთან თანამშრომლობა. რაც არ უნდა უმნიშვნელო გეჩვენებოდეთ თქვენი საქმე, გახსოვდეთ, რომ ნებისმერი სამუშაო არსებითია და მისი შედეგიანობა თუ მარცხი თქვენი გადასაწყვეტია. თავს იოანე მოციქულის მსგავსად დავიიმედებ: „თავს გაუფრთხილდით, რომ არდაკარგოთ ის, რისთვისაც იღწვოდით, არამედ სრული საზღაური მიიღოთ!“ (2 იოან. 8).



## თავი 14

# წირადი ზებავლება

„შენ კი იცი .... როგორ ვცხოვრობდი და რა იყო ჩემი მიზანი.  
იცი ჩემი რწმენა და ისიც, რა ხანგრძლივი ტანჯვა გადავიტანე,  
სიყვარულსა და მოთმინებაში“.

ტიმ. 3:10 NLT

დარადისობაში ჯილდოს მივიღებთ ან დავზარალდებით იმის კვალობაზე, თუ რა ზეგავლენა მოვახდინეთ სხვა ადამიანების ცხოვრებაზე. ეს არა მარტო მსახურების, არამედ ჩვენი პირადი ღვთისმოსაობის (რაც ასევე მნიშვნელოვანია) შედეგიც იქნება: როგორ ვიცხოვრეთ და როგორი დამოკიდებულება გვქონდა სხვა ადამიანებთან.

სხვების მიმართ ჩვენი ხედვა მათდამი მოპყრობას განაპირობებს მაშენებელი ან დამანგრეველი გზით. თუ ადამიანებს ჩვენს დაბლა მდგომებად მივიჩნევთ, შესაბამისად მოვექცევით. მათ საჭიროებებს ზედაპირულად მოვეკიდებით და დამცირებით მოვიხსენიებთ. თუ პიროვნებებს ვაფასებთ, სიყვარულით სავსე გულიდან გამომდინარე შევეცდებით მათი ცხოვრების აშენებას და განმტკიცებას.

თუ ადამიანები რაიმეს მიღების წყაროდ მიგვაჩნია, მათ გამოვიყენებთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენს თვალში მათ ფასეულობას საკუთარი სურვილები, საჭიროებები და ოცნებები დიდად აღემატება. თუ ადამიანებს ღვთის ხატად შექმნილ პიროვნებებად მივიჩნევთ, რომლებიც მშვენიერები და ძვირფასები არიან, ჩვენი გულის მოტივები მათ საკურთხებლად აღგვძრავს საკუთარი თავის უგულებელყოფის ხარჯზეც კი. ასეთია ქრისტესმიერი ქცევა.

### ეპონისტური სიმაგრეები

სანამ იესოს გავიცნობდი, მეტისმეტად თავკერძა ვიყავი. 1979 წელს უფლისკენ მოქცევის შემდეგ სულიწმიდამ ჩემი ქცევების ეგოისტურ სიმაგრეებზე შეტევა განახორციელა. საჭირო არ არის იმის აღნიშვნა, რომ ქრისტეში ყოფნის პირველი ათწლეული დიდი დაპირისპირების პერიოდი გამოდგა.

ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი სიმაგრე სექსუალური გულისთქმა იყო. პორნოგრაფიის ცდუნებისთვის წინააღმდეგობის

განევა ძალიან მიჭირდა. ექვსწლიანი ბრძოლის შემდეგ 1985 წელს მარხვის მეოთხე დღეს გავთავისუფლდი. ამის შემდეგ გონების სულში განახლების პროცესი დაიწყო.

რამდენიმე წლის შემდეგ აღმოვაჩინე ამ გულისთქმის ფესვი. ღვთის სიყვარული თანდათან იზრდებოდა ჩემს გულში. შედეგად, ადამიანთა ფასეულობის გაცნობიერებაც მოვიდა და გამყარდა. მივხვდი, რომ ჩემი ძველი მიდრეკილების საფუძველი უკიდურესი ეგოიზმი იყო. ქალის თვალთვლება პორნოგრაფიით ან გულისთქმით მის ხორცის ნაჭრამდე დაყვანას ნიშნავდა. ეს გრძნობა ისე გამძაფრდა, რომ ჩემს გულს აუჯანყდა.

ჩემში თანდათან იზრდებოდა გამოცხადება, რომ ქალი ღვთის ხატად შეიქმნა და დიდებით და პატივით დაგვირგვინდა. ეს ჭეშმარიტება კარგა ხანია ვიცოდი, მაგრამ მხოლოდ გონების დონეზე და შინაგან კაცში გათავისებული არ მქონდა. გარკვეული დროის შემდეგ ღვთის გარდამქმნელი საქმიანობის რეალობა გავაცნობიერე. როცა ჩემს თვალწინ პორნოგრაფიული სახეები ბილბორდებზე, ჟურნალების გარეკანზე ან სატელევიზიო ეკრანზე გაიელვებდა, თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდი. ძალიან ვბრაზდებოდი იმის გამო, რომ პიროვნება, რომლისთვისაც იესომ სისხლი დაღვარა, ხორცის დონემდე დააკნინეს. ქალებთან ჩემი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა ამ გამოცხადების ზრდასთან ერთად.

გაოგნებული ვარ ქალებისადმი მოპყრობით ზოგიერთ ეკლესიაშიც კი. მათ დამცირებით უყურებენ, ნაკლებად ფასეულ ადამიანებად თვლიან და უპატივცემულოდ ექცევიან. ეს აბსურდია. მამაკაცი და ქალი ღვთის სამეფოს თანაბარი მემკვიდრეები არიან. მამაკაცებმა, რომლებიც უფრო ძლიერი ჭურჭლები არიან(მხოლოდ ფიზიკურად და არა სულიერად), ქალები საკუთარ თავზე მეტად უნდა დააფასონ. მამაკაცებმა მათ მიმართ პატივისცემა და მფარველობა უნდა გამოიჩინონ და ყოველთვის შეეცადონ მათ აშენებას. ქმრებო, თქვენ ოჯახური კავშირის თავები ხართ, მაგრამ ცათა სამეფოში წინამძღოლობა ოჯახის მომსახურებისთვის სიცოცხლის განირვას ნიშნავს. აქ სრულიად არ იგულისხმება ცოლ-შვილზე ბატონობა. თუ ოჯახის თავობად ცოლზე მეტად საკუთარი პიროვნების დაფასებას თვლით, შესაბამისად მოეპყრობით მას და აშენების ნაცვლად დაანგრევთ. ამისთვის პასუხს აგებთ სამსჯავროზე.

## მიღებულად ყოფნის სურვილი

ეგოიზმის მეორე სფერო, რომელიც ღმერთმა მაჩვენა, კიდევ უფრო მაცდური გახლდათ. 1980-იანი წლების შუაში დაახლოებით ოთხასკაციან საეკლესიო საბჭოში ვმსახურობდი.

ჩვენი ეკლესია რვა ათასზე მეტი ადამიანისგან შედგებოდა და ქვეყნის მასშტაბით ათასობით ეკლესიასთან ჰქონდა კავშირი.

იმ დროს დაპირისპირება საშინლად მეჯავრებოდა და ნებისმიერ ფასად ვცდილობდი მის თავიდან აცილებას. ადამიანებისადმი უკიდურესად კეთილი და თავაზიანი ვიყავი. ყველა შესაძლებლობას ვიყენებდი, რომ მათთვის რაიმე სასიამოვნო მეთქვა, თუნდაც ეს სიმართლე არ ყოფილიყო. ამის შედეგად საბჭოს ყველაზე კარგი მორწმუნის სახელი დავიმკვიდრე. ეს ხმები ჩემამდეც მოდიოდა და კმაყოფილებას მანიჭებდა.

ერთ დღეს, ლოცვაში ღმერთმა მკითხა:

– სად ვთქვი 1 კორ. 13-ში, რომ სიყვარული სასიამოვნოა? ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებულმა ვუპასუხე:

– არსად.

შემდეგ ღმერთმა მითხრა:

– შეილო, იცი, რატომ ეუბნები ადამიანებს მხოლოდ კარგ სიტყვებს, თუნდაც ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდეს?

მე ვუპასუხე:

– რატომ? არ ვიცი? ამაზე არ მიფიქრია.

მან სწრაფად მითხრა:

– მათგან უარყოფის გეშინია. ვინ არის შენი სიყვარულის ცენტრში, თავად შენ თუ ისინი? თუ მართლა გიყვარს ადამიანები, ჭეშმარიტებას ეტყვი მათ მიუხედავად იმისა, მოეწონებათ თუ არა. უფრო მეტად იქნები დაინტერესებული მათი კარგად ყოფნით და ამაში დაეხმარები, თუნდაც უარგყონ.

ახლა ნათლად დავინახე ჩემს შინაგანში თავაზიანობით შენიღბული ეგოიზმი. მტკივნეული სიმართლე გამჟღავნდა. ადამიანებს მიღების საჭიროებისთვის ვიყენებდი. მათგან მოწონების დამსახურება მსურდა ჩემი დაუცველობის დასაკმაყოფილებლად და ნაკლებად მალეღვებდა მათი მომსახურება. მათგან მხოლოდ ერთი რამ მინდოდა: ვყოფილიყავი მიღებული.

სწორედ ამიტომ გვყავს უამრავი მსახური, რომლებიც ღვთის სიტყვის მხოლოდ „პოზიტიურ“ მხარეებს აშუქებენ. ისინი გაფრთხილების, შესწორების და საყვედურის სიტყვებისგან თავს იკავებენ. მათ მრევლის ჭეშმარიტ სიყვარულზე მეტად ის აინტერესებთ, რომ ეკლესიის წევრები არ გაანანყენონ და მათი რიცხვი არ შემცირდეს.

ვინ არის ასეთი სიყვარულის ობიექტი, სხვები თუ მათი საკუთარი თავი? თუ დაინახავთ, რომ ადამიანი კლდიდან ვარდება და ამას ვერ ამჩნევს, განა არ დაუყვირებთ სასიკვდილო ბილიკიდან გამოსაბრუნებლად? და მაინც, გამიგონია ამ „მოსიყვარულე მსახურების“ კერძო საუბრები ადამიანებზე, რაც მეტად შემამოფოთებელია. ისინი მიმტანებს, მაცნებებს და სხვა

მომსახურე პერსონალს დაბალი კლასის მოქალაქეებად მიიჩნევენ. რა გავლენას ახდენენ ასეთი მორწმუნეები ადამიანებზე მათი საჯარო მსახურების მიღმა? ისინი პასუხს აგებენ ყველა იმ ადამიანზე მოხდენილი ზეგავლენის გამო, რომელთანაც უშუალო შეხება ჰქონდათ.

## მანამდელოპიდან სიმკაცრემდე

რაკი ერთხელ გამიცხადდა ხსენებული ჭეშმარიტება, ჩემი ცხოვრების ქანქარა სანინალმდეგო მხარეს გადაიხარა. ძალზე მკაცრი მქადაგებელი გავხდი. ადამიანებისადმი ღვთიური სიყვარული ჩემს გულში ჯერ კიდევ არ გიზგიზებდა. ახლა ის მალეღვებდა, რომ სიმართლე მეთქვა და ნაკლებად ვფიქრობდი მათ სიჯანსაღეზე მარადიულობის თვალსაზრისით. ზოგჯერ ჩემს მრევლს ვტანჯავდი. ყურადღება კვლავ საკუთარ თავზე მქონდა გადატანილი, მაგრამ ახლა ეგოიზმი სხვაგვარად ვლინდებოდა. ჩემი ქცევა შემდეგი სიტყვების კლასიკური მაგალითი გახლდათ: „შენ ფიქრობ, რომ ყველა უნდა დაეთანხმოს შენს სრულყოფილ ცოდნას. მართალია ცოდნა თავს მნიშვნელოვან პიროვნებად გვაგრძნობინებს, მაგრამ სიყვარულია ის, რაც მართლა აშენებს ეკლესიას“ (1 კორ. 8:1-2 NLT).

მოგზაურ მქადაგებლად მსახურების პირველ წლებს რომ გადავხედავ, ცუდი გრძნობა მეუფლება იმ პასტორების გამო, რომელთაც ჩემი წასვლის შემდეგ ყველაფრის დალაგება უხდებოდათ. მაშინ რომ პასტორი ვყოფილიყავი, ნამდვილად არ მოვიწვევდი ჯონ ბევირს ჩემს ეკლესიაში ხალხის სამსახურებლად. იმ წინამძღოლების მაღლიერი ვარ, რომლებმაც ჩემში ღვთის და მისი ერის მსახურების გულწრფელი სურვილი დაინახეს მიუხედავად იმისა, რომ სულიერ სიმწიფემდე კიდევ ბევრი მაკლდა.

ამ დროისთვის აღარ ვცდილობდი ხალხის მონონების დამსახურებას და უარყოფის თავიდან აცილებას. მუდამ ჭეშმარიტებას ვლაპარაკობდი და ვუპირისპირდებოდი, თუმცა იგივე ეგოისტური მოტივები მამოძრავებდა, რომელთაც უფალი გულიდან მაცლიდა.

რამდენიმე წლის შემდეგ კარგად ცნობილმა მწყემსმა გავლენიანი წინამძღოლების წინაშე გამაკრიტიკა. მისი კომენტარების შესახებ სამ სხვადასხვა კონტინენტზე მოვისმინე. თავდაპირველად ძალიან გავბრაზდი და გავნადგურდი, მაგრამ ვიცოდი, რომ წყენა არავითარ სარგებლობას არ მომიტანდა თუ ღვთისგან არ დამაშორებდა. საბოლოო ჯამში, იმ კაცის შემოტევამ მაიძულა ისეთი მონდომებით მეთხოვა ღვთიური სიყვარულით ავსება, როგორც არასდროს. მთელი გულით

ვევედრებოდი ღმერთს ადამიანებისადმი მეტი თანაგრძნობით ავსებას. ვერც კი გავაცნობიერე, როგორ მოამწიფა ღმერთმა ჩემში მისი სიყვარული ძვირფასი ადამიანების მიმართ.

ამ პროცესში უფალმა გამოცხადება მომცა, რომელმაც ჩემი მსახურება შეცვალა. შესაძლოა, რალაც ძალზე ღრმა და საფუძვლიანის მოსასმენად ემზადებით, მაგრამ ეს სინამდვილეში მარტივი რამ იყო. უფრო მეტიც, სისულელედ მოგეჩვენებათ, სანამ მასზე კარგად არ დაფიქრდებით. გამოცხადება შემდეგი სახის გახლდათ: „ერთი კოვზი შაქარი ნამალს არ ავნებს“. მივხვდი, რომ ნამლის პოტენციური ტკბილის დამატებით არ მცირდება. ზოგჯერ უფრო ადვილი ხდება მისი მიღება და ხშირ შემთხვევაში სასიამოვნოც კია.

ახლა უკვე უამრავი წინამძღოლი ასე მეუბნება: „ჯონ, საოცარია, როგორ გვაცინებ ხოლმე, როცა ღვთის სიტყვით ვიცხრილებით. ასეთ სერიოზულ საკითხს სიცოცხლის მომნიჭებულად აქცევ“. როცა ამგვარი კომენტარი პირველად მოვისმინე, მივხვდი, რომ ღვთის მადლში გავიზარდე. მისი დიდად მადლიერი ვარ!

მიუხედავად იმისა, რომ ის გამსამართლებელი პასტორი ჩემს კურთხევას ნაკლებად ისახავდა მიზნად, მისი კრიტიკა ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი კურთხევა გამოდგა. უნდა გახსოვდეთ, რომ ღმერთი ადამიანთა ბოროტ განზრახვას თქვენი ცხოვრებისთვის მის ნებად გარდაქმნის. მან იუდას ლალატი ჯვარზე იესოს დანიშნულების აღსასრულებლად გამოიყენა. მან იოსების ძმების მავნე ჩანაფიქრი იოსებისთვის წინასწარმეტყველური სიზმრების ახდენის იარაღად აქცია. და ამ სიის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება.

## მიზანი ღვთის სიყვარულია

ეს ყველაფერი ადამიანების მიმართ ჩვენს წარმოდგენაზე დაიყვანება. თუ ღვთის სიყვარულსა და თანაგრძნობას ჩვენს ცხოვრებაში გაზრდის საშუალებას მივცემთ, სხვებს ამრეზით აღარ გადავხედავთ. ადამიანების ჩვენზე დაბლა მდგომებად მიჩნევა კრიტიკულ და გამსამართლებელ დამოკიდებულებას აღვივებს და ჩვენს ქცევებსაც სიხისტე ემატება. ნახეთ, რას ეუბნება პავლე რომაელ მორწმუნეებს:

„მაშ, რატომ განიკითხავ შენს ძმას და ამცირებ, ჩვენ ხომ ყველანი წარვდგებით ღვთის სამსჯავროს წინაშე?! ... ესე იგი, ყოველი ჩვენგანი საკუთარი თავისათვის ჩააბარებს ღმერთს ანგარიშს“. (რომ. 14:10,12)

თუ მორწმუნეები მეორე უდიდეს მცნებას – მოყვასის სიყვარულს – უგულბებლყოფენ, გარდაუვლად აღმოჩნდებიან სხვების დამცირების ხაფანგში, რომლის შესახებაც პავლე ზემოთ გვაფრთხილებს. ამგვარი აზროვნება განსაკუთრებით მაშინ შეინიშნება, როცა პიროვნებას ბიბლიური ცოდნა აქვს სულიწმიდის ნაყოფების საფუძვლის გარეშე.

წმიდა წერილი გვეუბნება, რომ ღმერთი სიყვარულია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სიყვარული არ არის ღმერთი. აქ უზარმაზარი განსხვავებაა. ღვთის პიროვნება, გზები და მიზნები სიყვარულზე ჩვენი განსაზღვრებით არ შემოიფარგლება, რადგან ამ სიყვარულს ვერავინ შეიმეცნებს, სანამ იესოს არ გაიცნობს. ის არის სიყვარულის არსი.

ასევე, ვერსად წავიკითხავთ აზრს: „ღმერთს აქვს სიყვარული“. მას აქვს ძალა. მას აქვს ნიჭები. მას აქვს ძალაუფლება. და ჩამონათვალი ასე გრძელდება. თუმცა თავად იესოა სიყვარულის არსი. და რადგან ეს ასეა, ჩვენც იგივენაირები ვიქნებით ხელახლა შობის შემდეგ. სწორედ ამიტომ ამბობს პავლე:

„თუ მე ადამიანთა და ანგელოზთა ენებით ვლაპარაკობ, მაგრამ სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ მხოლოდ ჟღარუნა რვალი ვარ ან წკრიალა წინწილა. წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო და მქონდეს მთელი ცოდნა, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი. მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავწირო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფერი სარგებელი მაქვს“. (1 კორ. 13:1-3)

სიყვარული ჩვენი სიტყვებიდან არ მომდინარეობს. შესაძლებელია, სიტყვებით ადამიანზე მზრუნველობას გამოვხატავდეთ, მაგრამ საქმეებით უარვყოფდეთ. სიყვარული არც ჩვენი მოქმედებით იწყება. ზემოხსენებულ მუხლებში პავლე ამბობს, რომ შესაძლებელია, ერთი შეხედვით უმაღლესი სიყვარულის მაჩვენებელი მოქმედებები გვქონდეს (ღარიბების დახმარება და საკუთარი თავის განირვაც კი), მაგრამ სხვა მოტივით ვაკეთებდეთ. ეს მიგვანიშნებს, რომ ნამდვილი სიყვარული გულიდან მომდინარეობს.

როცა გვიყვარს, სხვების მიმართ მომთმენები და კეთილები ვართ. მათი წარმატების არ გვშურს, რადგან მათი გამარ-

ჯვება გვახარებს. არასოდეს ვიტრაბახებთ და თავს შევიკავებთ ყოველგვარი ქედმაღლობისა და სიამაყისგან. არასოდეს შევეცდებით საკუთარი ნების გატანას. არ ვიქნებით გამაღიზიანებლები ჩვენი მოუთმენლობის გამო. არ დავიმახსოვრებთ ყველა იმ ფაქტს, როცა ცუდად მოგვექცნენ, არამედ პატიებას ვარჩევთ და ყოველგვარ ვალს მივუტევეთ. არასოდეს გავილიძებთ უსამართლობაზე; ჩვენი მისწრაფება წყალობისა და ჭეშმარიტებისკენ იქნება. არასოდეს დავკარგავთ ადამიანის გაუმჯობესების იმედს და ყოველთვის საუკეთესოს მოლოდინში ვიქნებით. სხვებს ყოველთვის უდანაშაულოებად მივიჩნევთ, სანამ მათი დანაშაული არ დამტკიცდება და მაშინაც კი გვექნება მათი მონანიებისა და გამოსწორების იმედი. სასოებით სავსე ვიქნებით და ნებისმიერ სიძნელეს ავიტანთ ღვთის სამეფოს ან სხვა ადამიანის კეთილდღეობისთვის. დასკვნა ასეთია: ვიცხოვრებთ სხვათა ღვთიური აღშენებისთვის, რაც მხოლოდ ქრისტესთან გაიგივებით და მისი ნების ცხოვრებაში აღსრულებით მოხდება.

## წინამძღოლი, რომელმაც მრავალზე მოახდინა ზეგავლენა

წლების წინ ძალზე ახლო მეგობრის დაკრძალვაზე ვიყავი. მას ჯეკ უოლესი ერქვა. მან Detroit World Outreach დააფუძნა დენვერში, მიჩიგანის შტატში, რომელიც მრავალ რასობრივი ეკლესია გახლდათ და ათ წელიწადში ოთხი ათას წევრამდე გაიზარდა. ჯეკი ზიმბაბვეში მიემგზავრებოდა საქადაგებლად და როგორც კი თვითმფრინავიდან ჩამოვიდა, გულის შეტევა მიიღო.

ჯეკის გასვენებას ათასობით ადამიანი ესწრებოდა: მსახურებათა წინამძღოლები მთელი ამერიკის მასშტაბით, საზოგადოების ლიდერები და მთავარ კორპორაციათა ხელმძღვანელები. გარდა ამისა მოვიდნენ ქარხნის მუშები, ქუჩის მანანნალები და კვების ტალონებზე მყოფი დედები. ასეთი იყო მისი ეკლესიის დემოგრაფიული სიჭრელე. დაკრძალვაზე ბევრი ისეთი ადამიანიც მოვიდა, ვინც იესოს არ იცნობდა – სასტუმროებისა და რესტორნების პერსონალი და მრავალი მოქალაქე, რომლებზეც ჯეკმა დიდი ზეგავლენა მოახდინა.

ჩემი მეგობრის ეკლესიის მიღმა ნაცნობი ადამიანების მოსვლამ არ გამაკვირვა. მე და ჯეკი დიდ დროს ვატარებდით ერთად ეკლესიის კედლებს გარეთ და კურთხეული ვიყავი მისი ქცევით ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვისაც ქუჩაში ვხვდებოდით. იგი ყოველ მათგანს ისე ეპყრობოდა, როგორც ძვირფასსა და შესანიშნავს. იგი მიმტანებდა და კამერდინერებს

მომსახურების გასამრჯელოს სიყვარულით აძლევდა. ზოგჯერ თავს შორს ვიჭერდი, რადგან მისი ქმედებები, ცოტა არ იყოს, გაზვიადებული მეჩვენებოდა. ეს სულელური აზროვნება მაშინ მოვიშორე, როცა ჯექმა მითხრა, რა ძვირფასი და მშვენიერი იყო ღვთის თვალში ყველა ეს ადამიანი. ჯექი მხოლოდ კი არ გაგრძნობინებდათ, რომ მის გვერდით ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება თქვენ იყავით. ჯექთან ყოფნისას, თქვენ ნამდვილად იყავით მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი.

დაკრძალვა ოთხსაათნახევარი გაგრძელდა. მასთან ახლოს მყოფ წინამძღოლებს სთხოვეს, წამომდგარიყვნენ და რამდენიმეწუთიანი გამოსათხოვარი სიტყვა ეთქვათ. მას შემდეგ, რაც რამდენიმე ჩვენგანმა მოკლედ ილაპარაკა, რა ახლოს ვიყავით ჯექთან და რას ნიშნავდა ის ჩვენთვის, ერთი კარგად ცნობილი წინამძღოლი წამოდგა და თქვა: „მე მეგონა, მისი საუკეთესო მეგობარი ვიყავი“. ყველამ გაიცინა.

ვიცოდით, რომ ჯექი თითოეულ ჩვენგანს ისე გვიყურებდა და გვეპყრობოდა, როგორც მის უახლოეს მეგობარს. ამ დიდებული ადამიანის ზეგავლენას არა მარტო მახარებლური ქადაგებებითა და სატელევიზიო გამოსვლებით, არამედ პირადი შეხვედრის დროსაც იგრძნობდით. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, დიდი კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი იყავით თუ შემწეობის მიმღები პირი. ჯექმა იცოდა, რა ურთიერთობა უნდა ჰქონოდა თქვენთან და უყვარდით როგორც ადამიანი. ჯექი თავისი მოწოდებისა და ნიჭების ერთგული გახლდათ და ამასთანავე, მიცემული მინები ცხოვრების ყველა სფეროში გაამრავლა.

### **ღარაჯი, რომელმაც მრავალზე მოახდინა ზეგავლენა**

ზოგიერთი პიროვნება, რომელმაც ჩემს ცხოვრებას მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია, კათედრასთან არასოდეს მდგარა. ერთი მათგანი გახლდათ Rockwell International-ის ფინანსური თანამშრომელი. მას მაიკი ერქვა და ქრისტიანად მოქცევიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ გავიცანი. იგი სამსახურში ჩემს მახლობლად იჯდა და შესვენებებზე და ლანჩის დროს ღვთიურ თემებზე ვსაუბრობდით. მოგვიანებით, ერთმანეთს სახლებშიც ვსტუმრობდით და ეკლესიაში ვხვდებოდით. ჩემზე დიდი გავლენა სწორედ მაიკის სინრფელემ და წმიდა წერილიდან მომდინარე პრაქტიკულმა ჭკუამ იქონია. ძალზე შთაბეჭდავი იყო მისი პატივისცემა და სიყვარული ცოლ-შვილის და სხვა ადამიანების მიმართ, რომლებიც ცხოვრების გზაზე ხვდებოდნენ.



საბოლოოდ, Rockwell-ი მივატოვე და მსახურებას შევეუდ-ექი. მოკლე დროის შემდეგ მაიკმაც მიატოვა კომპანია და სა-კუთარი საბუღალტრო ფირმა დააფუძნა, რომელიც დღემდე არსებობს. მისი ბიზნესი აყვავდა. მაიკი თორმეტ ათასზე მეტ კლიენტს დაეხმარა საგადასახადო დეკლარაციების შევსებასა და საბუღალტრო აღრიცხვაში და აქედან ხუთი ათასი მისი რეგულარული კლიენტია. ისინი წლებია მისი მომსახურებით სარგებლობენ, რადგან ხედავენ მაიკის პატიოსნებასა და ერთ-გულებას.

ამას წინათ მაიკს ვკითხე, რამდენ კლიენტს გაუზიარა ღვთის სიტყვა. მან ასე მიპასუხა: „ჯონ, მიახლოებითი შეფასებით, ალბათ, 90 % იქნება“. ეს ათი ათას ადამიანს აღემატებოდა.

კინლამ დავეცი. შემდეგ დავინტერესდი, მათგან რამდენმა მიიღო გადარჩენა. მან მიპასუხა, რომ ასეულობით ადამიანი მიიყვანა ხსნამდე და დაამატა: „გასულ კვირას ერთი კუბელი კაცი მივიყვანე უფალთან და მასთან ერთად ვილოცე, რომ სიმსივნისგან განკურნებულიყო“.

მაიკი ასევე ბევრ მსახურებას დაეხმარა საბუღალტრო აღ-რიცხვის მოწესრიგებაში. ერთ-ერთი მათგანი ჩვენი მსახურე-ბაც იყო სანყის სტადიაზე. მაიკმა ჩემი ცხოვრების მოწოდება კარგად დაინახა და წლების მანძილზე სრულიად უსასყიდლოდ მეხმარებოდა დეკლარაციების შევსებაში. მაიკის ცხოვრებამ მრავალ სფეროში მოახდინა სასიკეთო გავლენა ადამიანებზე.

მახსოვს, ჩვენი ხანგრძლივი საუბრების დროს ერთი დარა-ჯის შესახებ მიაბზო, რომელმაც მასზე უფრო დიდი ზეგავ-ლენა იქონია, ვიდრე რომელიმე სხვა ადამიანმა. ამას წინათ დავურეკე, რომ იმ ადამიანის შესახებ მეკითხა. მაიკი ტელე-ფონში აქვითინდა.

მან მითხრა:

– ჯონ, ჩემი ცხრა დეიდისა და ბიძისგან ექვსმა ცხოვრე-ბა ფსიქიატრიულ თავშესაფარში დაასრულა. დედაჩემსაც იგ-ივე ბედი ეწია. ჩემი ორივე ბაბუა იარაღით ჩაცხრილეს. ჩემი ოჯახი მეტისმეტად არეული იყო და მეც იგივე მიმართულებით მივექანებოდი.

ისე მოხდა, რომ ფინანსური გაჭირვებისას დედამ სხვა ოჯახში გამგზავნა, რომ ჩემზე ეზრუნათ. მათთან შვიდი წელი ვიცხოვრე. ოჯახის თავი ადგილობრივი ქალაქის ფაბრიკის დარაჯი გახლდათ. მას ჩარლი ერქვა. მისმა სინრფელემ, იე-სოსადმი მიძღვნის ხარისხმა და ადამიანებისადმი სიყვარულ-მა დაამსხვრია ჩემი ცხოვრების წყევლა. ჩარლის ყოველ კვი-რა მივყავდი ეკლესიაში და ღვთის გზებს მასწავლიდა. მისმა

ზეგავლენამ ჩამომაცალიბა ისეთ ადამიანად, როგორც დღეს ვარ. ერთხელ ჩემმა გოგონამ თემა დაწერა, რომელიც ასე დაასათაურა: „უდიდესი ადამიანი, რომელიც არასოდეს მინახავს“. ეს ჩარლი გახლდათ.

ალბათ, ჩარლის შესახებ დედამინის ზურგზე ვერსად გაიგონებთ ამ წიგნის ფურცლების მიღმა. და მაინც, მისი ზეგავლენა იმ ათასობით ადამიანზე გავრცელდა, ვისაც მაიკი მოემსახურა. მისი გავლენა ჩემამდეც მოვიდა მაიკის მეშვეობით. ასევე, იმ მილიონობით ადამიანს, რომელთა მომსახურების პატივიც მერგო, არაპირდაპირ შეეხო ჩარლის ცხოვრება. ხედავთ, როგორ გაამრავლა მიცემული მინები ერთმა დარაჯმა? დადგება დღე, როცა ის უხვად დაჯილდოვდება.

### ზიგაველენა შთამომავლობაზე

ეს ერთ ნამდვილ ამბავს მახსენებს, რომელიც ამას წინათ ჩემმა თანამშრომელმა წამიკითხა. მასში წარმოდგენილია ათეისტი მაქს ჯუკსი და ღვთისმოსავი კაცი, სახელად ჯონათან ედვარდსი. აი, ისტორიაც:

ათეისტი მაქს ჯუკსი უღმერთო ცხოვრებას ეწეოდა. იგი უღმერთო გოგონაზე დაქორწინდა და ამ კავშირით დაბადებული ადამიანებიდან 310 სიღარიბეში გარდაიცვალა, 150 კრიმინალი იყო, 7 – მკვლელი, 100 – ლოთი და ქალების ნახევარზე მეტი – მეძავი. მისი 540 შთამომავალი შტატს ერთი მილიონ ორასორმოცდაათი ათასი დოლარი დაუფდა.

ქება უფალს, რომ ეს ორივე მხრივ მოქმედებს! არსებობს ჩანაწერი დიდ ამერიკელ ღვთის კაცზე, ჯონათან ედვარდსზე. იგი მაქს ჯუკსის თანამედროვე იყო და ცოლად ღვთისნიერი გოგონა მოიყვანა. გამოკვლეულ იქნა მისი 1394 შთამომავლის ცხოვრება, რომელთა რიცხვში 13 კოლეჯის პრეზიდენტი, 65 კოლეჯის პროფესორი, 3 შტატის სენატორი, 30 მოსამართლე, 100 ადვოკატი, 60 ექიმი, 75 არმიისა და საზღვაო ძალების ოფიცერი, 100 მქადაგებელი და მისიონერი, 60 გამოჩენილი მწერალი, 1 შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი, 80 მთავრობის ჩინოვნიკი და 295 კოლეჯდამთავრებული შედიოდა, რომლებიც შტატების მმართველები და უცხო ქვეყნების მსახურები გახდნენ. ედვარდსის შთამომავლობა შტატებს ერთი პენიც კი არ დაჯდომიათ.<sup>1</sup>

ეს მინის გამრავლების კიდევ ერთი შემთხვევა გახლავთ. ამ ადამიანებმა – ჩარლიმ, მაიკმა და ჯონათან ედვარდსმა – ბევრი ადამიანის ცხოვრებაზე მოახდინეს სასიკეთო ზეგავლენა. ამან დიდი მემკვიდრეობა დატოვა. და მაინც, მრავალი ადამიანის შეცვლილი ცხოვრება არ გახლდათ მათი საჯარო მსახურების ნაყოფი. ეს მათი პირადი ცხოვრების შედეგი იყო.

ეს ის პრივილეგიაა, რომელსაც ღმერთი ყველა ჩვენგანს ანიჭებს. რა პასუხს სცემთ პოლიციის ოფიცერს, როგორ ელაპარაკებით მწყემსს, როგორ ეპყრობით შვილებს, როგორ წარმართავთ ფინანსურს საქმეებს, რა სიტყვებს იყენებთ ცალკეულ ადამიანებთან ურთიერთობაში და სხვა ამგვარი საქმეები განსაზღვრავს თქვენს ზეგავლენას ირგვლივ მყოფებზე. მაშინველი გინდათ იყოთ თუ დაბრკოლების ლოდი?

„ესე იგი, ყოველი ჩვენგანი საკუთარი თავისათვის ჩააბარებს ღმერთს ანგარიშს. ამიტომ ნულარ განვიკითხავთ ერთმანეთს, არამედ იმსჯელებთ იმაზე, რომ შებრკოლება ან ცდუნება არ დაუდოთ ძმას ... მაშ, ვესწრაფოთ მშვიდობასა და ერთმანეთის აღმშენებლობას!“ (რომ. 14:12,13,19)

პავლე ამას ღვთის სამსჯავროსთან პირდაპირ კავშირში განიხილავს. ყოველგვარი ზეგავლენა, რასაც ცალკეულ ადამიანებზე მოვახდენთ, იქ მკაცრ გამოცდას გაივლის. დიდად მნიშვნელოვანია, რომ ეს ყოველთვის გვახსოვდეს. ამგვარი დამოკიდებულება გამარჯვებისკენ სწრაფვას აღძრავს ჩვენში და ნაკლებ ყურადღებას მივაქცევთ საკუთარ თავს.

რებეკა რუთერ სპრინგერი მეცხრამეტე საუკუნეში ცხოვრობდა და ზეცაში იქნა წაყვანილი, სანამ გარდაიცვლებოდა და იქ საბოლოო ჯილდოს მისაღებად წარსდგებოდა. დაბრუნების შემდეგ მან თავისი კლასიკური ნაწარმოები „*Intra Muros*“ დაწერა. წიგნში იგი ერთ ნათესავს ახსენებს, რომელთან ერთადაც ზეცაში საკმაოდ დრო დაჰყო.

ქალმა თქვა, რომ ეს ნათესავი მისი მაზლი გახლდათ და უფაღთან ძალზე ახლოს იყო. მაზლმა მას ასეთი სიტყვები უთხრა:

„ნეტავ შეგვეძლოს ჯერ კიდევ ხორცში ყოფნისას გაანალიზება, რომ ყოველდღიურად მარადისობისთვის ვაშენებთ. რამდენად განსხვავებული იქნებოდა ჩვენი ცხოვრება მრავალ სფეროში! ყოველი კეთილი სიტყვა, ყოველი მწყალობელი აზრი, ყოველი უანგარო ქმედება მომავალ ცხოვრებაში მარადიული სილამაზის საყრდენ სვეტად იქცევა“.<sup>2</sup>

## სხვევის მიყვანა იესოსთან

უდიდესი ზეგავლენა, რასაც პიროვნებაზე მოვახდენთ, მისი იესოსთან მიყვანა გახლავთ. როცა მარადიული განკითხვის რაობას აცნობიერებთ, შინაგანი სწრაფვა გექნებათ, რომ გადარჩენის გეგმაზე სხვებსაც უამბოთ. ბიბლიაში ვკითხულობთ: „ბრძენია ის, ვინც სულებს იძენს [ღვთისთვის, როგორც ადამიანთა მებაღური – იგი მარადისობისთვის აგროვებს და მიიღებს მათ]“ (იგ. 11:30).

ახალმოქცეული რომ ვიყავი, ყველა იმ ადამიანისთვის სახარების გაზიარების შინაგან მოთხოვნას ვგრძნობდი, ვისაც ჩემს ირგვლივ ვხვდებოდი. მოგვიანებით, სულიწმიდის წინამძღოლობის ძიება ვისწავლე, როდის და რა მელაპარაკა. მივხვდი, რომ იესოს მოწოდების მიუხედავად, იგი იმას აკეთებდა, რასაც მამა ღმერთისგან ხედავდა. როცა ღმერთთან ერთად დავდივართ, მისგან მოდის მიმართულება, რომელიც განსხვავდება ადრინდელი მოუთოკავი სურვილისგან, რასაც იმედგაცრუებად მიყვავართ და ადამიანებსაც ვაფრთხობთ.

როგორც არ უნდა იყოს, ადამიანების საუკუნო სიცოცხლესთან მიყვანის საჭიროება ყოველთვის იარსებებს, სანამ ყველანი ზეცაში არ წავალთ. ღვთის სიყვარული ამ სურვილს კვებავს. ადამიანის ქრისტემდე მიყვანა ზეციურ ანგელოზებს და თავად ღმერთს გამოუთქმელ სიხარულს ანიჭებს. იესომ თქვა: „მომკელი საზღაურს იღებს და მისი ნაყოფი საუკუნო სიცოცხლემდე მიყვანილი ადამიანებია“ (იოან. 4:36-37 NLT).

მე ჩემი ცოლის უფალთან მიყვანის პატივი მერგო ჩვენს პირველ პაემანზე. იესოს რწმენიდან მოკლე ხანში პირობა დავდე, რომ არც ერთ გოგოს არ შევხვდებოდი, სანამ იესო ცოლს თავად არ გამომიჩენდა. ვიცოდი, რომ ღმერთმა ადამს ევა მიუყვანა და მას ჩემთვისაც შეეძლო იგივეს გაკეთება.

ქრისტიანად მოქცევამდე ბევრ გოგოსთან მქონდა პაემანი. მოქცევის შემდეგ რამდენიმე ქრისტიან გოგონასაც შევხვდი და აღმოვაჩინე, რომ ეს ხელს მიშლიდა ღმერთთან ურთიერთობაში. ჩვენს გულებში ტკივილი და ცრემლები იყო, როცა ურთიერთობას ვწყვეტდით. დიდი ხანი არ დამჭირდა იმის გასააზრებლად, რომ ეს ჩემთვის გონივრული ნაბიჯი არ იყო, ამიტომ პირობა დავდე, რომ ახალ გოგონასთან შეხვედრამდე გულიანად ვილოცებდი.

ამ დროისთვის კი ჩემი მომავალი ცოლი საკმაოდ თამამი გოგო გახლდათ. კამპუსის ერთმა სტუდენტმა მას ყველაზე მოუთოკავი გოგოც კი უწოდა. არ ვიცი, ეს სრული სიმართლე იყო თუ არა, მაგრამ არც მთლად ტყუილი არ უნდა ყოფილიყო. როცა ლიზასთან ურთიერთობა დავინწყე, უკვე წელიწადნახე-

ვარი იყო, რაც გოგოს არ შეეხვედროდი. ყოველთვის, როცა ღმერთს ამის ნებართვას ვთხოვდი, უარს ვიღებდი. ამჯერად სულიწმიდამ მიბიძგა, რომ ღიზა ბიბლიის შემსწავლელთა მომავალ პიკნიკზე დამეპატიჟა. მან მოწვევა მიიღო.

პიკნიკის შემდეგ მე და ღიზამ კამპუსის ეზოში გავისეირნეთ და მას სახარება გავუზიარე შუალამიდან 1:30-მდე. მოულოდნელად ღიზამ ლაპარაკი შემანწყვეტინა და მაშინვე მოინდომა გადარჩენის მიღება. ძალიან მალე ორივემ გავაცნობიერეთ, რომ ღვთის ნება იყო ჩვენი დაქორწინება. გულწრფელად ვიტყვი, რომ მე უფრო მოგებული დავრჩი. დღეს არ ვიქნებოდი ისეთი, როგორც ვარ, ჩემს გვერდით ღიზა რომ არ ყოფილიყო.

ჩემი ცოლი მილიონობით სიცოცხლეს შეეხო ღვთის სიტყვით. იგი ნაყოფიერი მწერალი და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლია. მას კონფერენციებზე იწვევენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. რა მოხდებოდა, მისთვის ხარების შანსი რომ არ გამომეყენებინა? რა მოხდებოდა, მისგან დაცინვის მიღების შიშით იესოზე ლაპარაკისგან თავი რომ შემეკავებინა? დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი სხვა ვინმეს გაგზავნიდა. მე ავცდებოდი ღვთისგან მოსულ საუკეთესო არჩევანს ჩემი ცოლის სახით და არ მექნებოდა წილი ყველა იმ ადამიანის გადარჩენაში, რომელთაც ჩემი ცოლი მარადისობისთვის მოემსახურა. მაღლობა ღმერთს მისი კურთხევებისთვის!

გახსოვდეთ, რომ თესლი მრავლდება, მაგრამ თავად თესლი უმნიშვნელო ჩანს. ნურასოდეს ჩათვლით სულიწმიდის წინამძღოლობას თავისთავად გამომდინარედ და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ნუ უგულვებლყოფთ მას. ერთი შეხედვით „უმნიშვნელო“ საგნები, რაშიც ღმერთს დავემორჩილე, ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან გამამრავლებელ ფაქტორად იქცა. ღმერთს სურს, რომ ამრავლებდეთ. ღმერთს ასევე სურს, რომ გამრავლებისთვის დაგაჯილდოვოთ.

## საბოლოო შეგონება

სასწორზე ბევრი რამ დევს. არ შეიძლება ზედაპირულად მოვეკიდოთ დედამიწაზე ჩვენთვის მოცემულ დროს. ადამიანთა საუკუნო ხვედრი ღვთის გეგმის მიმართ ჩვენს მორჩილებაზეა დამოკიდებული. მისი ნებაა, რომ ყველა გადარჩეს და იესოს მსგავსად გარდაიქმნას. მას არ სურს, რომ ვინმე მისი ნების მიღმა დარჩეს.

ისრაელიანთა მთელი თაობა უდაბნოში ჩაიხოცა ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ. შესაძლებელია, გვყავდეს დიდებული წინამძღოლები, მაგრამ ჩვენზე, როგორც თაობაზეა დამოკიდებული მთავარი მშენებლის გეგმის აღსრულება. მან

განაცხადა: „და ექადაგება სამეფოს ეს სახარება მთელ მსოფლიოს ყველა ერისთვის დასამონებლად და მაშინ დადგება აღსასრული“ (მათ. 24:14). ნუ უგულუბელვყოფთ ჩვენს დავალებას! უკვე დროა, ეს ჩვენი მოვალეობაა და იესოც მოდის! თუ ჩვენს დანიშნულებას არ აღვასრულებთ, ღმერთს სხვა თაობის წამოყენება დასჭირდება ისევე, როგორც ჯოშუას შემთხვევაში მოიქცა, რადგან მან უკვე დაადგინა, რომ უფლის სახლი სავსე უნდა იყოს.

ღვთის გეგმის შესასრულებლად ჩვენი წილი დავალება უნდა შევასრულოთ მონდობილის გამრავლების მეშვეობით. ნუ დაყრით ფარ-ხმალს. ნუ იფიქრებთ, რომ თქვენი დავალება უმნიშვნელოა. ნუ დაკარგავთ ერთუზიანობას. ნუ გაქრება ზეციური ხედვა თქვენი გონებიდან, რომელიც ცხადი გახდა ახალ აღთქმაში და ამ წიგნშიც მოცემულია. არა მარტო თქვენი თაობის ადამიანებს აქვთ თქვენი იმედი – ვინც, მთელი გულით ელოდება, როდის გაუცხადებთ იესოს ან გაამხნევენთ და გააძლიერებთ რწმენაში, არამედ თქვენი საუკუნო ხვედრიც გელოდებათ. წარმატებას უფლის მადლზე სრული მინდობით მიაღწევთ. იგი ერთგულია!

მოგიწოდებთ, როგორც ღვთის სამეფოს თანამოქალაქე. აღასრულებთ თქვენი მონოდება და გაამყარეთ თქვენი რჩეულობა! ბოლომდე გაირბინეთ თქვენს წინ მდებარე სარბიელი. აქედან ათი მილიონი წლის შემდეგ რომ უკან მოიხედავთ, თქვენი ნამოქმედარი გაგახარებთ. შეუძლებელია, მეტისმეტი მოგივიდეთ ღვთის ნების აღსრულებაში. ამრიგად, ირბინეთ ისე, რომ გაიმარჯვოთ!

საბოლოო გამხნევების სახით გიტოვებთ პავლეს ერთ-ერთ ყველაზე გულწრფელ ლოცვას ყველა წმიდანისთვის:

„თქვენ კი უფალმა გაგიმრავლოთ და უხვად მოგცეთ სიყვარული ერთიმეორისა და ყველას მიმართ, როგორც ჩვენ ვართ თქვენდამი, რათა განმტკიცდეს თქვენი გულები უბინოდ სინმიდეში, ჩვენი ღმერთისა და მამის წინაშე, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლისას, მის ყველა წმიდანთან ერთად“. (1 თეს. 3:12-13)



წმიდა წერილი იმაზე გაცხილებით მეტ მუხლს შეიცავს საუკუნო საზღაურის შესახებ, რის დატევაც ამ წიგნში იქნებოდა შესაძლებელი. საუკუნო სასჯელისა და ჯილდოს შესახებ ადგილების სანახავად ეწვიეთ ვებ-გვერდს: [DrivenByEternity.com/EternalRewards](http://DrivenByEternity.com/EternalRewards).

ნანილი 6: თაჰი 13-14

1. არსებობს თქვენს ცხოვრებაში ისეთი სფეროები (ან რაიმე მთავარი), რაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო და ნაკლებად შთამბეჭდავი გეჩვენებათ? იფიქრეთ ამ საგნებზე ზეციური პერსპექტივით. რატომ იქნება ღვთისთვის მნიშვნელოვანი იმ სფეროებში თქვენი ერთგულება, რომლებიც თითქოსდა უმნიშვნელო ჩანს?
2. უმეტესი ჩვენგანისთვის შეჯიბრება ან სხვებისთვის თავის შედარება ინსტინქტურია. რა იცვლება ღვთის სამეფოსადმი ჩვენს მიდგომაში, როცა ყურადღებას აღარ ვაქცევთ ჩვენს მიღწევებს სხვებთან მიმართებაში?
3. თქვენი ცხოვრება მდიდარია გამრავლებით? როგორ შეძლებთ თქვენი დროის, ლოცვისა და რესურსების უკეთესად მართვას?
4. ჩვენი წიგნის ფურცლებზე მოგზაურობის დასაწყისში 1 იოან. 4:17-ზე ვიმსჯელებთ, რომელიც გვეუბნება, რომ შეგვიძლია გაბედულად წარვსდგეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე. იმის გათვალისწინებით, რასაც ახლა აკეთებთ, შეგიძლიათ განმარტოთ, რატომ არის ასე?
5. ახლა რა გზით შეძლებთ დაჟინებულობის გამოჩენას მარადიული ზეგავლენის მქონე ცხოვრების შენებაში?





## ღანართი

# რომონ მივიღეთ პადაჩენა

„თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია,  
და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა მკვდრეთით  
აღადგინა იგი, გადარჩები. ვინაიდან გულით სწამთ  
სიმართლეს, ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად“.

რომ. 10:9-10

ღმერთს სურს, რომ მარადიული წარმატების პოზიციაზე იდგეთ. მას დიდი მონადინება აქვს თქვენსა და იმ გეგმის მიმართ, რომელიც თქვენი ცხოვრებისთვის შექმნა. და მაინც, თქვენი დანიშნულებისკენ სვლის დაწყების ერთადერთი გზა ასეთია: ხსნის მიღება ღვთის ძის, იესო ქრისტეს მეშვეობით.

ღმერთმა იესო ქრისტეს სიკვდილითა და აღდგომით გზა გაგახსნათ მის სამეფოში საყვარელი ძისა და ასულის სახით შესასვლელად. ქრისტეს ჯვარცმის მსხვერპლმა შესაძლებელი გახადა თქვენთვის მარადიული და უხვი სიცოცხლის უსასყიდლოდ მიღება. გადარჩენა ღვთის საჩუქარია. თქვენ მას ვერც დაიმსახურებთ და ვერც გამოიმუშავებთ.

ამ ძვირფასი საჩუქრის მისაღებად, პირველ რიგში, უნდა აღიაროთ თქვენი შემოქმედისგან დამოუკიდებლად ცხოვრების ცოდვა (რადგან ეს არის თქვენ მიერ ჩადენილი ყველა ცოდვის ფესვი). ამგვარი მონანიება გადარჩენის მიღების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. პეტრემ ეს იმ დღეს გააცხადა, როცა ხუთი ათასმა ადამიანმა მოინანია საქმეთა წიგნში: „მაშ, მოინანიეთ და მოიქეცით, რომ წარიხოცოს თქვენი ცოდვები!“ (საქმ. 3:19). წმიდა წერილი აცხადებს, რომ ყოველი ჩვენგანი ცოდვის მონად იბადება. ამ მონობის ფესვი ადამის ცოდვისგან მოდის, რაც ნებსით ურჩობის მაგალითია. მონანიება არის არჩევანი, რაც საკუთარი თავისა და სატანის, სიცრუის მამის მორჩილებიდან ახალი ბატონის, იესო ქრისტეს მორჩილებაში გადმოსვლას ნიშნავს, რომელმაც სიცოცხლე გასწირა თქვენს გამოსახსნელად.

იესოს თქვენს ცხოვრებაზე უფლობის ნება უნდა მისცეთ. იესოს უფლად აღიარება მისთვის თქვენს ცხოვრებაზე (სულ-

ზე, სამშენველსა და სხეულზე) – მთელს თქვენს არსებასა და საკუთრებაზე – ბატონობის მინიჭებას ნიშნავს. როგორც კი ამას გააკეთებთ, ღმერთი სიბნელისგან დაგიხსნით და მისი სამეფოს სინათლესა და დიდებაში გადაგიყვანთ. თქვენ მარტივად გადახვალთ სიკვდილიდან სიცოცხლეში და მისი შვილი გახდებით!

თუ გსურთ გადარჩენის მიღება იესო ქრისტეს მეშვეობით, შემდეგი ლოცვა წარმოთქვით:

*„ზეციერო მამავ, ვაღიარებ, რომ ცოდვილი ვარ და შორს ვდგავარ შენი სიმაღლის სტანდარტებიდან! ჩემი ცოდვებისთვის საუკუნო სასჯელს ვიმსახურებ! მადლობა, რომ ამ მდგომარეობაში არ დამტოვე. მჯერა, რომ იესო ქრისტე, ქალწული მარიამისგან დაბადებული შენი მხოლოდშობილი ძე გამოგ ზავნე დედამინაზე ჩემი სასჯელის ჯვარზე ასატანად. მჯერა, რომ იგი მესამე დღეს აღდგა და ახლა შენს მარჯვნივ ზის როგორც ჩემი უფალი და მხსნელი. ამრიგად, დღეს ვინანიებ შენგან ჩემს დამოუკიდებლობას და ცხოვრებას მთლიანად იესო ქრისტეს უფლობას გადავცემ.“*

*იესო, ჩემს უფლად და მხსნელად ვაღიარებ! შემოდი ჩემს ცხოვრებაში შენი სულით და მაქციე ღვთის შვილად! ვინანიებ სიბნელის საქმეებს ჩემს ცხოვრებაში. შენი მაღლით ვიცოცხლებ შენთვის, ვინც საკუთარი თავი გასწირა, რომ მარადიულად მეცოცხლა.*

*მადლობა, უფალო! ახლა ჩემი ცხოვრება მთლიანად შენს ხელშია და შენი სიტყვის თანახმად, არასოდეს ვიქნები შერცხვენილი“.*

კეთილი იყოს თქვენი შემობრძანება ღვთის ოჯახში! მოგიწოდებთ, რომ ეს საოცარი ახალი ამბავი სხვა მორწმუნეს გაუზიაროთ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შეუერთდეთ ბიბლიის მორწმუნე ადგილობრივ ეკლესიას და იმ ადამიანებს, რომლებიც ახალ რწმენაში გაგამხნეებენ. შეგიძლიათ, ჩვენს მსახურებას დაუკავშირდეთ (ენვიეთ [MessengerInternational.org](http://MessengerInternational.org)-ს) თქვენს საცხოვრებელ არეალში ეკლესიის საპოვნელად.

თქვენ ეს-ეს არის წამოიწყეთ შესანიშნავი მოგზაურობა. დაე, ყოველდღიურად გაიზარდეთ გამოცხადებაში, მაღლში და ღმერთთან მეგობრობაში!

## შენიშვნები

### თავი 1

1. *Webster's Encyclopedic Unabridged Dictionary of the English Language* (New York: Gramercy, 1993), s.v. "eternity."
2. *The American Heritage Dictionary of the English Language*, Fourth Edition (New York: Houghton Mifflin, 2000), s.v. "eternity." Eternity: *the state or quality of being eternal; eternal: existing outside of time; hence: the state of existing outside of time.*
3. Merrill F. Unger, *The New Unger's Bible Dictionary*, ed. R. K. Harrison (Chicago: Moody, 1988), BibleSoft PCStudyBible Version 4.
4. Robert Young, *Young's Literal Translation of the Holy Bible* (Grand Rapids, MI: Baker, 1986).

### თავი 2

1. გამოცხადება 2:23 AMP
2. ლუკა 16:2
3. ებრაელთა 4:13 AMP
4. იოანე 8:24
5. საქმეები 4:12 AMP
6. იაკობი 2:10 TLB
7. ეფესელთა 2:8–9 NLT (სიტყვა „ღმერთი“ „ჯეილინით“ არის შეცვლილი თხრობის შესაბამისად)
8. ეკლესიასტე 9:5–6 NLT
9. იგავები 24:20 NLT
10. იგავები 13:13
11. მათე 22:13–14
12. გამოცხადება 22:14–15
13. ტიტე 1:16 NLT (სიტყვა „ღმერთი“ „ჯეილინით“ არის შეცვლილი თხრობის შესაბამისად)
14. ლუკა 6:46 TEV
15. მათე 7:21–23 TLB (სიტყვა „ზეცა“ „აფაბელით“ არის შეცვლილი თხრობის შესაბამისად)
16. იაკობი 2:14, 17–20 NLT (სიტყვა „ღმერთი“ „ჯეილინით“ არის შეცვლილი თხრობის შესაბამისად).
17. ეზეკიელი 18:25, 27–28 TLB
18. ფსალმუნი 50:16–21 TLB
19. მათე 22:13
20. იგავები 30:12
21. მათე 24:12–13 TEV
22. 2 პეტრე 2:20–21 TEV (იესო ქრისტეს სახელი „ჯეილინით“ არის შეცვლილი თხრობის შესაბამისად)
23. ეზეკიელი 18:24–27 NLT
24. მათე 24:13
25. გამოცხადება 3:5 NASB
26. იგავები 21:16 NIV
27. მათე 22:13–14

28. ებრაელთა 10:26–27, 30–31 NLT (სიტყვა „ღმერთი“ „ჯეილინით“ არის შეცვლილი თხრობის შესაბამისად)
29. იაკობი 3:1 NLT (სიტყვა „ეკლესია“ შეცვლილია სიტყვით „სკოლა“, ხოლო სიტყვა „ღმერთი“ – „ჯეილინით“, თხრობის შესაბამისად)
30. მარკოზი 9:42
31. ლუკა 12:45–48 NLT
32. იუდა 13 TEV
33. მათე 22:13–14
34. გამოცხადება 16:5–7 TEV

#### თავი 4

1. *The American Heritage Dictionary*, Third Edition (New York: Houghton Mifflin, 1992), s.v. “elementary.”

#### თავი 5

1. Movie Reviews: *The Matrix*. <http://www.pluggedinonline.com/movies/movies/a0000128.cfm>. Accessed September 5, 2005.
2. Alexander Roberts and James Donaldson, eds., *The AnteNicene Fathers*. “Polycarp: Letter to the Philippians,” 10 vols. (Grand Rapids, MI: Wm. Eerdmans Publishing Company, 1985), ch. 1.
3. Alexander Roberts and James Donaldson, eds., *The AnteNicene Fathers*. “Polycarp: Letter to the Philippians,” 10 vols. (Grand Rapids, MI: Wm. Eerdmans Publishing Company, 1985), ch. 2.
4. Alexander Roberts and James Donaldson, eds., *The AnteNicene Fathers*. “Clement of Rome Letter to the Corinthians,” 10 vols. (Grand Rapids, MI: Wm. Eerdmans Publishing Company, 1985), ch.32. notes 291
5. Alexander Roberts and James Donaldson, eds., *The AnteNicene Fathers*. “Clement of Rome Letter to the Corinthians,” 10 vols. (Grand Rapids, MI: Wm. Eerdmans Publishing Company, 1985), ch.34.
6. David W. Bercot, ed., *A Dictionary of Early Christian Beliefs* (Hendrickson Publishers, Inc., 1998), 586.
7. იგივე.
8. Josh McDowell, *Evidence That Demands a Verdict* (San Bernardino, CA: Here’s Life Publishers, 1972), 50–52.

#### თავი 6

1. Kenneth E. Hagin, *I Believe in Visions* (Tulsa, OK: Faith Library Publications, 1984), 68–71 (second edition; tenth printing).
2. From the UBS Handbook Series. © 1961–1997 by United Bible Societies.
3. David W. Bercot, ed. *A Dictionary of Early Christian Beliefs* (Hendrickson Publishers, Inc., 1998).
4. იგივე.
5. იგივე.
6. იგივე.
7. იგივე.
8. *The American Heritage Dictionary of the English Language*, Fourth Edition. Houghton Mifflin Co., 2004 (software edition).

### თავი 8

1. ლუკა 14:12–14
2. მარკოზი 12:43–44 TEV
3. კოლოსელთა 1:28 (ქრისტეს სახელი „ჯვილინით“ არის შეცვლილი თხრობის შესაბამისად)
4. ეზეკიელი 13:10–11 NIV
5. 1 კორინთელთა 3:12–15 NLT
6. 1 თესალონიკელთა 2:19–20 NLT
7. მათე 12:36–37 TEV
8. იგავები 12:14 TEV
9. იერემია 11:20
10. იერემია 17:10 NLT (აქ უფლის სახელი „ჯვილინით“ არის შეცვლილი თხრობის შესაბამისად)
11. ეს საუბარი ადაპტირებულია შემდეგი ადგილიდან: მათე 25:34–40 TEV
12. 2 კორინთელთა 9:10
13. 2 კორინთელთა 9:9 AMP
14. ლუკა 14:11 AMP
15. ლუკა 19:17 NLT
16. გამოცხადება 2:26–27 NIV
17. მათე 25:21

### თავი 9

1. ამ თავში სახელები შეცვლილია ადამიანთა პირადი ცხოვრების გაფრთხილების მოტივით.

### თავი 10

1. James Strong, *Strong's Exhaustive Concordance of the Bible* (Peabody, MA: Hendrickson Publishers, 1988).
2. *BibleSoft New Exhaustive Strong's Concordance*, (Seattle, WA: BibleSoft, Inc., ver. 4, 1994).

### თავი 11

1. ეს ნაწილი ადაპტირებულია ჩემი წიგნიდან „შეუპოვარი: ძალა, რომელიც გჭირდებათ იმისთვის, რომ არასოდეს დანებდეთ“. (*Relentless: The Power You Need to Never Give Up* (Colorado Springs, CO: Waterbrook Press, 2011), 217–219).

### თავი 13

1. *Webster's Encyclopedic Unabridged Dictionary of the English Language* (New York: Gramercy, 1993), s.v. “envy.”
2. *The American Heritage Dictionary of the English Language*, Fourth Edition. Houghton Mifflin Co., 2004 (software edition).

### თავი 14

1. Leonard Ravenhill, *Sodom Had No Bible* (Minneapolis, MN: Bethany House, 1971), 155.
2. Rebecca Ruter Springer, *My Dream of Heaven: A Nineteenth Century Spiritual Classic: Originally Known As Intra Muros* (Cincinnati, OH: Harrison House), 21.

# კონკურენციის გარეშე



## მიიღეთ თქვენი იდენტობა და მიზანი არეულობისა და შეფიხობის ეპოქაში!

არსებობს გარკვეული მიზეზი, რის გამოც სხვა ადამიანებს მოწინააღმდეგეებად აღვიქვამთ და საკუთარ თავს საზღვრებს ვუწესებთ მათთან შედარებისა და კონკურენციის სფეროებში. მტერი გვყავს, რომელიც ჩვენს გონებას, ნებასა და ემოციებს თავს ესხმის იმ იმედით, რომ საკუთარ თავს და ერთმანეთს დავეწყებთ ბრძოლას. ეს ის წრეა, რომელიც ახლო ურთიერთობებს გვაშორებს, ჩვენს შინაგან პიროვნებაში არეულობას იწვევს და დასახულ მიზანს ფარგლებს უწესებს.

ბესტსელერების ავტორი ლიზა ბევირი წიგნში „კონკურენციის გარეშე“, გაგიზიარებთ გამოცხადებას ღვთის სიყვარულის შესახებ, რომელიც ამ საზღვრებს ანგრევს. თქვენ შეწყვეტთ სხვა ადამიანების კონკურენტებად აღქმას და ღრმა ურთიერთობას დაამყარებთ თქვენს შემოქმედთან, რასაც დიდხანს ელოდით. ეს ის კავშირი იქნება, რომელიც ჭეშმარიტი იდენტობის გაცნობიერებისა და სიახლოვის აღქმას იძლევა. ლიზა იუმორითა და ენთუზიაზმით გადმოგცემთ ბიბლიურ ჯანსაღ მოძღვრებას, რომელიც შევსებული იქნება ჩვენი დროისთვის საჭირო წინასწარმეტყველური ხედვით.

დროა, წინ გადადგათ ნაბიჯი და იცხოვროთ კონკურენციის გარეშე!

**მრავალ ენაზე არსებული დამატებითი სასწავლო რესურსებისთვის ენციეთ შემდეგ გვერდს:**

CloudLibrary.org





**Messenger International** ცალკეულ ადამიანებს, ოჯახებს, ეკლესიებსა და ერებს ღვთის გარდამქმნელი ძალის გაცნობიერებასა და განცდაში ეხმარება.

ამის გააზრებას შედეგად მოაქვს ძალმოსილი ცხოვრება, გარდაქმნილი საზოგადოებები და მთელს მსოფლიოში მოდებული უსამართლობის მიმართ დინამიური გამოხმაურება.

Cloud Library ონლაინ პლატფორმა გახლავთ, რომელიც პასტორებსა და წინამძღოლებს სხვადასხვა ენაზე არსებულ ციფრულ რესურსებთან უფასო წვდომის საშუალებას აძლევს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ეწვიეთ **CloudLibrary.org** -ს და ჩამოტვირთეთ რესურსები ჯონ და ლიზა ბევირებისგან 80-ზე მეტ ენაზე!

ელ. წიგნები, ვიდეო და აუდიო გაკვეთილები, აუდიო წიგნები, ბიბლია...



კიდევ უფრო მეტი გსურთ? დაასკანაჩეთ აქ:



# აფაბელი აუდიო სპექტაკლი



„აფაბელი“ ჯონ ბევირის ეპიკური ალეგორიული ნაწარმოები გახლავთ. იგი სარკმელს წარმოადგენს, რომელიც ამქვეყნიური რეალობის მიღმა გვახედებს და ღვთის სამეფოს მრავალ ქეშმარიტებას ცოცხალი სახით წარმოგვიდგენს. მორწმუნეთათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მარადიულობის თვალთახედვით ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ მისი აღქმა ძნელია.

თქვენც შეუერთდით დიდებულ მეფე ჯეილინს, ბნელეთის ბატონ დაგონს, მონყალებას, დამოუკიდებელსა და სხვებს! აღმოაჩინეთ აფაბელის საოცარი ტერიტორიები და გარესკნელის საშინელი მინალონი. თქვენი ცხოვრება გარდაიქმნება, როცა ზემოხსენებული პერსონაჟების ამბავი თქვენს საკუთარ გულისნადებს გამოავლენს.

„აფაბელის“ აუდიო სპექტაკლი ეპიზოდები მეტად მიმზიდველი მოსასმენია და წიგნის „მარადისობით ამოძრავებულნი“ დინამიურ და თვალსაჩინო ნაწილს წარმოადგენს.

ასევე იხილეთ გვერდზე: [CloudLibrary.org](https://www.cloudlibrary.org)





## მარადისობით ამოძრავებულნი რესურსების ნაშრობი

ნიგნი, რომელიც ახლა ხელში გიჭირავთ, ჯონ ბევირის რესურსების ნაკრების ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც „მარადისობით ამოძრავებულნი“ ეწოდება. ნიგნის ნაკითხვით და თანდართული სასწავლო მასალების გამოყენებით დინამიური და ცხოვრების გარდამქმნელი სწავლების გათავისების შესაძლებლობა მოგეცემათ, რომლებიც DVD ROM-ის ფორმით არის მოცემული და ასევე შეიძლება მათი ჩამოტვირთვა CloudLibrary.org-დან. ეს მასალა, დაკვირვებით შესწავლის შემთხვევაში, დიდ გავლენას მოახდენს და თქვენს ქრისტიანულ ცხოვრებას გაამდიდრებს, რითაც ღვთისთვის უფრო მეტის გაკეთების შესაძლებლობა მოგეცემათ.

რესურსების ნაკრები „მარადისობით ამოძრავებულნი“, შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

- „მარადისობით ამოძრავებულნი“, სახელმძღვანელო ნიგნი. ნაკრების ერთადერთი ბეჭდური ნაწილი. ნიგნი ასევე დატანილია რესურს დისკზე PDF ფაილის სახით;
- „მარადისობით ამოძრავებულნი“, DVD ROM თანდართული დისკი ყველა მასალას მოიცავს ციფრული ფორმით. დისკის დაკვრას ვერ შეძლებთ თქვენს სახლის ფლეირზე, თუმცა ყველა ფაილის ჩამოტვირთვა და ნახვა შესაძლებელი იქნება ტაბლეტზე, კომპიუტერსა და სმარტფონებზე;
- „მარადისობით ამოძრავებულნი“, აუდიონიგნი. სახელმძღვანელო ნიგნის ყველა ნაწილი წაიკითხეთ მშობლიურ ენაზე MP3 ფორმატში;
- „მარადისობით ამოძრავებულნი“, სასწავლო ვიდეო გაკვეთილები. 6 ვიდეო გაკვეთილი MP4 ფორმატით;
- „აფაბელი“ აუდიო დრამა MP3 ფორმატში აუდიოდრამა MP3 ფორმატში;
- ბონუს მასალა  
DVD დისკი ასევე მოიცავს სხვა ნიგნებსა და რესურსებს: „კონკურენციის გარეშე“, „სიკეთე თუ ღმერთი?“, „ქორნიების ამბავი“ და „სულიწმიდა“ (ელ. ნიგნები).

# ქველას ეს ზრდიპრადული რესურსი თქვენი საჩუქარია!



შეგიძლიათ, გააკეთოთ დისკის ასლები, გადაიღოთ მასალები, ელ. ფოსტით გაუგზავნოთ მეგობრებს, დააკოპიროთ და გადაიტანოთ ტექსტი Word-ის დოკუმენტში, სწავლება გაუგზავნოთ თქვენს ეკლესიას, ატვირთოთ ინტერნეტში სხვებისთვის გამოსაყენებლად.

გაგზავნეთ ეს რესურსები ყველგან, სადაც ღვთის სიტყვისა და ძალით აღვსილი ქრისტიანული ცხოვრების შესახებ კარგი სწავლების ნყურვილია!

მეტი ინფორმაცია სასწავლო პროგრამის კომპონენტებზე „მარადისობით ამოძრავებულნი“

- ამ დისკზე არსებული ფაილები არ გამოდგება ჩვეულებრივი ვიდეო-ფლეიერისთვის. ისინი წარმოადგენენ „შერეულ მედია-ფაილებს“ ვიდეო, აუდიო და ტექსტური ფაილების ერთობლიობით. მათი ნახვა შესაძლებელია მხოლოდ კომპიუტერზე ან რომელიმე სხვა ციფრულ მონწყობილობაზე;
- **MP4 ვიდეო ფაილები** შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ და ნახოთ ტაბლეტზე ან კომპიუტერზე;
- **MP3 აუდიო ფაილები** შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ თქვენს აუდიო-ფლეიერზე, სმარტფონზე ან კომპიუტერზე;
- **PDF ციფრული ფაილები** შეგიძლიათ, ჩამოტვირთოთ თქვენს აუდიოფლეიერზე, სმარტფონზე ან კომპიუტერზე; ადვილად შესაძლებელია მათი ნაკითხვა, ამობეჭდვა ან გამრავლება;
- დამატებითი რესურსები მრავალ ენაზე მოიძიეთ შემდეგ ვებ-გვერდზე:

CloudLibrary.org



# განათლების სამსახურსადაც

რესურსების დისკი



**MESSENGER**  
INTERNATIONAL  
MessengerInternational.org

უპურეთ ვიდეოს  
და გადმოტვირთეთ  
უფრო მეტი.



CloudLibrary.org

მხოლოდ  
კომპიუტერისთვის

## ჯონ ბეკირი



ეს სასწავლო პროგრამა და ჯონ და ლიზა ბევირების სხვა სწავლებების მოძიება შესაძლებელია მესინჯერის უფასო ვიდეოჩვენების მეშვეობით ან რესურსების ჩამოტვირთვით შემდეგი ვებგვერდიდან:



CloudLibrary.org

დამატებითი რესურსები სხვა ენებზე იხილეთ და ჩამოტვირთეთ  
Youtube.com & Youku.com-დან და სხვა მსგავსი მედია-გვერდებიდან.

# როგორი იქნება თქვენი მანადისობა?

რა მოხდება, თუ გაიგებთ, რომ მონაწილეობთ ექსპერიმენტში, რომელიც მომდევნო 24 საათის განმავლობაში განსაზღვრავს თქვენი დარჩენილი ცხოვრების ხარისხს? ყველაფერი, სამსახურიდან დანაშაულებული და ახლობლებითა და თქვენი საცხოვრებელი სახლით დასრულებული, დამოკიდებული იქნება ამ ერთადერთი დღის გატარებაზე. როგორ მოუდგებით ხსენებულ 24 საათს? მიზანსწრაფული იქნებით თუ მოვლენების განვითარებას შემთხვევითობას მიანდობთ და საუკეთესოს იმედს იქონიებით?

შესაძლოა ეს იდეა ყურით მოთრეული გეგონოთ, მაგრამ ასე სულაც არ გახლავით. ფატტობრივად, იგი ზუსტად ასახავს თქვენი ახლანდელი არჩევანის გაფლენას თქვენს მარადიულ ხვედრზე.

წიგნში „მარადისობით ამოძრავებულნი“, ბესტსელერების ავტორი ჯონ ბევერი თვალისამხელ ალეგორიას იყენებს და უხვად მოაქვს ადგილები წმინდა ნერილიდან, რომ ცოცხალი ფერებით გამოკვეთოს ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრების ზეგაფლენა ჩვენივე მარადიულ არსებობაზე.

უკანასკნელი ამოსუნთქვის შემდგომი ცხოვრება ხვედრზე გაცილებით მეტია. ნუ იქნებით უმოქმედოდ, სანამ გვიან არ არის! ახლაც აღმოაჩინეთ, როგორ გახადოთ გამოსადეგი თქვენი ცხოვრება დღეს და სამარადეამოდ!



## წიგნს თან ერთვის რუსურს DVD დისკი



ჯონ ბევერი და მისი მეუღლე, ლიზა – მსახურება Messenger International-ის დაშფუთვლებები არიან. ჯონი მსახური და ბესტსელერების ავტორი გახლავით, იგი დიდი გაბედულებით და ერთუზი-აზმით ქადაგებს შეუვალ ტემპარიტეტებზე. მისი გული ადგილობრივი ეკლესიის მხარდაჭერის სურვილით ანთია და მასალებს უსასყიდლოდ გადასცემს წინამძღოლებს მათი საცხოვრებელი ადგილის, ენისა და ფინანსური მდგომარეობისგან დამოუკიდებლად. დღევანდლამდე მის მიერ შექმნილი რესურსები თარგმნილია 90-ზე მეტ ენაზე, ხოლო მთელი მსოფლიოს მწყემსებასა და წინამძღოლებს შორის მილიონობით ეგზემპლარი დარიგდა. როცა ჯონი ოჯახში იმყოფება, იმედს არ კარგავს, რომ ლიზას გოლფის პარტიის თამაშზე დაითანხმებს და დროს ოთხ შეილთან, რძალსა და შეილიშვილებთან ატარებს.

გადმოტვირთვ. ეს და სხვა რესურსები [CloudLibrary.org](http://CloudLibrary.org)



ეს წიგნი ავტორის საიტეჟარია და არ იყიდება



შეილთან და მისი შვილებთან ერთად